ISSN 0132-6023

ცისკარი

10

1979

კოსტა ხეთაგუროვი

სამკალი

269

გამოცემის ოცდაშვიდმეტე წელი

10

ოქტომბერი

1979

თბილისი

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა

ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და მწერალთა კავშირის ორგანო

შინაარსი

პროზა, პოეზია

3. კოსტა ხეთაგუროვი — ლექსები; თარგმნეს გრ. აბაშიძემ, ა. კალანდაძემ, ჯ. ჩარკვიანმა, გ. ნიშნიანიძემ
5. თეიმურაზ მაღლაფერიძე — ცხრაკარა. რომანი. გაგრძელება
41. ლია სტურუა — ლექსები
44. რევაზ ინანიშვილი — თინა და სანდრო. მოთხრობა
59. ეთერ თათარაიძე — თუშური მოტივები. ლექსები. წინასიტყვა ბესიკ ხარანაულისა; კომენტარები გიორგი ცოცანიძისა
65. კობა არაგული — ლექსები
69. ბელა შალვაშვილი — ლექსები
71. გივი ბერაძე — მოთხრობები
77. ირაკლი გაზაძე — ლექსები
81. ვაჟა ჩორდელი — მოთხრობები
108. შალვა ფორჩხიძე — ლექსები

ახალი თარგმანები

112. პოლ ვალერი — აზრები. დასასრული. თარგმნა ბაჩანა ბრეგვაძემ.

100 — კორნელი კეკელიძე — 100

131. გრიგორ ფარულავა — კორნელი კეკელიძე

წერილები

138. რუბენ ჩეთითი, მარგარიტა ვალიევა — ოსური პოეზიის საგანძური
142. ნინო ერაკომაიშვილი — იურისტის ფიქრები ნოდარ დუმბაძის ზოგიერთ ნაწარმოებზე
147. ივანე სურგულაძე — საბჭოთა ისტორიოგრაფიის ძვირფასი შენაძენი

ხელოვნება

151. გია ლომაძე — თენგიზ ღვინიაშვილი
154. ეთერ შავგულიძე — „სიყვარულო, ძალსა შენსა“...

პირველი შთაბეჭდილება

156. ვაჟა ყუბუსიძე — წიგნი ყველასათვის
157. ვახტანგ ხარჩილავა — ფიქრები მამულის წარსულსა და აწმყოზე
159. კულტურული ცხოვრების ქრონიკა

მთავარი რედაქტორი
მორის ფოცხიშვილი

სარედაქციო კოლეგია:
ბაბუა ამირეჯიბი,
გივი გეგეჭკორი,
გურამ გგერდწითელი,
რისმაგ გორდეზიანი,
გიორგი გუგლია,
ნოდარ დუმბაძე,
მერაბ ელიოზიშვილი,
ედუარდ მენაგდე,
იოსებ ორჯონიკიძე,
ოტია კამკორია
(მთ. რედაქტორის მოადგილე),
გურამ ფანჯიკიძე,
ნუგზარ შატაიძე,
ჯანსუღ ჩარკვიანი,
გივი ძნელაძე,
ნუგზარ წერეთელი,
თამაზ წივწივაძე,
ტარიელ ჭანტურია,
რეზო ჭეიშვილი.

120—კოსტა ხეთაგუროვი—120

ნეტავი

მშურს მისი ბედი,
ვინც მშობელ დედის
კალთაში შეხვდა მზიან გაზაფხულს,
ვინც შემოდგომის
დაღმართზე მდგომი
მადლობით ლოცავს.
იმ ჟამს გარდასულს

ნეტავი მის ბედს.
ვინც ხალხის იმედს
გამოთქვამს, როცა მღერის მოძახილს,

ვისი მარჯვენაც
შვილთა სარჩენად
იღვწის, რომ ფეხზე იდგეს ოჯახი.

ნეტავ მის სიტყვას,
დროზე რომ ითქვა,
და ერთმა რომ თქვა ხალხის სათქმელი!
ვინც სიყვარული
იცის მამულის
და ქვეყნად რჩება კვალი ნათელი.

ფიქრები

არ ვეცემი სულით,
მაინც ფეხზე ვდგები.
თუ მოვკვდები, ცრემლებს
დამაფრქვევენ დები.

ძლივს ვაჩნივარ მიწას,
ჩუმი, როგორც ჩრდილი,
ვერ ვარ მამაჩემის
ღირსეული შვილი.

მეზობლების ლანძღვა,
მეგობრების წყენა...

ხალხში ვზივარ მუნჯად,
ვერ ვაბრუნებ ენას.

ყურს არ მიგდებს ბალღიც,
არვინ მიდგას გვერდით,
ბრძოლის ველზე ვუხმობ,
არ მომყვება ერთიც.

ვერ ვემსხვერპლე მამულს,
თუმცა არ ვიკრეფ გულხელს...
დავატარებ ასე
მიწის მძიმე უღელს...

თარგმნა გრიგოლ აბაშიძემ

გიჟი მწყემსი

გადმოიხედა მწყემსმა მწვერვალით,
ნისლს ხეობაზე აფენდა ქარი...
ღრუბლის ქულაში ჩავეფლობიო,
ქარის ფრთაზე რომ ქანაობს წყნარად...
რბილ სარეცელზე ვინებივრებო,

იძალახებსო ჩემს თავზე ფარა...
ქვაზე შეხტა და იშვირა ფეხი,..
რადგან... ჭკუასთან ის იყო მწყრალად,
რადგანაც... ჭკუა არ ჰქონდა სულაც,
მან უფსკრულებში დალია სული.

რა არის?

გიჟი ვარ? რა ბედს დავეძებ?
ფეხქვეშ იძვრიან მიწანი...
მე... ღმერთისაგან სხვას ვითხოვ, —
მიდი და... გამოიცანი...

საცოლე კაცის დარდი

ქალო, მზე ხარ და მზის სხივი
ბნელ გულში ჩამოდწეული, —
შენს სიმღერას და შენს თამაშს
გული ვერ ეძლებს ეული...

შენი ხმატკბილი საუბრით
სიკვდილსა რასმე შევყრივარ...
შორს სადმე შენგან... ვერა ვძლებ, —
არადა... შენი მსხვერპლი ვარ!

თარგმნა ანა კალანდაძემ

გაზაფხული

თოვლი დნება და ყინული
ლღვება, აჭრელდა მიწაო,
აჭრელდა მთა და მინდორი
ცა წვიმად ჩამოიქცაო.

ტყე გაიფოთლა, ხნულებში
ტბორებში ჩაიძირაო,

ბიჭმა პეპელას მისდია,
პეპელა დაიჭირაო.

აგრემც დედაშენს დაურჩი,
ყვავილთ ნუ დასწყვეტ გულსაო,
ბიჭო, პეპელა გაუშვი,
გაფიცებ გაზაფხულსაო.

ვ ი ც ი

მიმაბარებთ მიწას,
დამიტირებთ ხათრით...
„შეუნდოსო", იტყვით
ჩემი მისამართით.

ალბათ რამეს დაკლავთ,
ზურგს შეაქცევთ მარხვას,

გაძღებით და ჯამში
ჩემს ლანდს დაინახავთ.

ერთ დღეს ცრემლით ივლით,
მერე, ვიცი სწრაფად
გადაუვლის თრიმლი
მიტოვებულ საფლავს.

თარგმნა ჯანსუღ ჩარკვიანმა

მიცვალებულის სასთუმალთან

ვ. ზ. ყიფიანის ხსოვნას

მშვიდობით იყავ! აწ წარსულია,
შენი ლამაზი გულის ნაღველი,
ცამ მიიზიდოს შენი სული და
ჩვენ ჩავიბაროთ შენი სახელი.

შენ ხომ მოყვასზე დარდით დაბერდი,
მაგრამ არ გატყდი — შავად დაფერფლილ
ღამის წყვდიადშიც გზას მოიკვლევდი
მხოლოდ სიმართლით, მხოლოდ სიკეთით.

შენ შეიყვარე ჩვენი ოსეთი
და მასზე ფიქრით გულს იოსებდი,
ჩვენ რა პატივი უნდა მოგაგოთ,
მკვდარი რა წესით პატიოსნდები?

შენ არ ამოხვალ ჩვენი გულიდან,
შენს სახელს შვილებს გადავაბარებთ,
მაგრამ დღეს ჩვენს შენს ცხედარს ვუვლით და
ტკივილით ვუმზერთ ღია სამარეს.

თარგმნა გიორგი ნიშნიანიძემ

თეიმურაზ მაღლაფერიძე

ცხრაპარა

რომანი

2.

„ბუხარი უკვე აღარ იყო მიმზიდველი, მაგრამ ისევ მის ახლოს ვარჩიეთ ჯდომა.

— გივი, გეტყობა, ახალი ლექსი დაგიწერია, აბა, წაგვიკითხე, — ვუთხარი მას, როცა ხელში ქაღალდი დავუნახე.

— ჩემი არაა, მაგრამ ვისიც არის, მშვენიერია. უფრო იმითაა შესანიშნავი, რომ ბავშვის დაწერილია, — სიამოვნებით თქვა მან და ცალხაზიან რვიულის ფურცლებს თვალი გადაავლო.

. . . . . .

— აბა, წაგვიკითხე, შენი ნაქები ლექსი! — მიმართა ზეინაბმა გივის.

— ჯერ გვითხარი, ვინაა ავტორი, — მოითხოვა გულბაათმა.

— ამ ლექსის ავტორი 15-16 წლის ყმაწვილია.

— ოჰო, — იუცხოვა პაატამ.

— სამი-ოთხი დღის წინათ მწერალთა სახახლეში ნუკრივით შემოვიდა ერთი ყმაწვილი, თან მოიტანა ძველად ვილაცის მიერ გადაწერილი საბა-სულხან ორბელიანის ლექსიკონი. ყმაწვილმა თავაზიანად იკითხა: მწერალთა კავშირი ხომ არ შეიძენს ამ ლექსიკონსო. დამაინტერესა ცალკერძ ხელნაწერმა, ცალკერძ ყმაწვილის ვინაობის გაგების სურვილი აღმეძრა. ის თიანეთში გადმოსახლებული სვანის შვილი გამოდგა, მერვე თუ მეცხრე კლასის მოწაფე. ყმაწვილის გარეგნობამ და ლაპარაკმა მიმიზიდა. დავუწყე მუსაიფი. გამოირკვა, რომ ლექსებს წერს. წაუკითხავს არაფერს უშვებს. ბევრი პოეტის ლექსი ზეპირად ცოდნია. გავამხნევე, დავარიგე და ბოლოს, საბას ლექსიკონით მუზეუმში გავაგზავნე.

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ცისკარი“ № 9.

დღეს მივიღე მისი მოკრძალებული წერილი და რამდენიმე ლექსი. ყველაზე უფრო შესანიშნავი მათ შორის თან წამოვიღე თქვენთვის წასაკითხად.

— საინტერესო ამბავია. — ჩაილაპარაკა ლაშამ.

— წაგვიკითხე, წაგვიკითხე! — შევძახეთ დანარჩენებმა.

გივიმ წუნარი, ხავერდოვანი ხმით დაიწყო:

თეთრი მიწა

დედამიწა შეიმოსა თეთრი სამოსელით,
თეთრ კარავებს დაემგვანენ ატეხილი მთები,
მახსოვს შენი გუნდაობა უხელთათმნო
ხელით,
ახლაც მინდა შენი ნახვა,
ახლაც მენატრები.
ეს სურვილი ძლიერია, როგორც ქარიშხალი,
სისპეტაკით შემოსილი, ვით ეს თოვლი
წმინდა.
მომაგონდა შენს ლოყაზე პაწაწინა ხალი
და თუ შენი ღიმილი მსურს,
შენი გულიც მინდა.

რეზო გელოვანი

გივიმ დაამთავრა ლექსის კითხვა და ყველა სათითაოდ შეგვათვალიერა.

— გადასარევი აქ არაფერია, ისე, ლექსს არაუშავს, მხოლოდ დროზე უნდა იმ ბავშვს პატრონობა, თორემ დაიღუპება, — დაასკვნა ლაშამ.

— რა დაღუპავს? — გაოცებით იკითხა გივიმ.

— სიმბოლისტური პოეზიის გავლენა. გადასული სიმბოლისტების ხმა მაგ ლექსში საკმაოდ ისმის, — განმარტა ლაშამ.

— ასეთი შაქარყინულიანი ლექსების მოხმენა, რაგინდ ნიჭიერადაც უნდა იყოს

ისინი დაწერილი, უკვე აუტანელია. ან ვის სჭირდება ახლა ფელეტონიური, საკუთარ გრძნობათა ვიწრო ნაჭუჭში მომწყვდეული ლირიკა. ეს არცაა ლირიკის მთავარი დანიშნულება. ცდება, ვინც ფიქრობს, თითქოს ლირიკულ ლექსებში არ შეიძლებოდეს ჰეროიკა, ჯანსაღი სული, მოვლენებისა და საგნების ნათლად ასახვა, — გამომწვევად ამბობს პაატა.

— ამ ლექსში სრულიად არაფერია ავადმყოფური, — ბეჯითად უპასუხებს მას გივი.

— ლექსი უთუოდ ლამაზია, თუმცა, რა თქმა უნდა, ის თავისუფალი არაა დეკადენტიზმისაგან, — მორიდებით უჭერს ზეინაბი მხარს ლაშას.

— დაანებეთ თავი დისკუსიას, ამბებს მოუყვეთ სჯობია, — გვირჩევს გულბაათი".

●

ის, რაც თქვენ ახლა წაიკითხეთ, გახლავთ ნაწყვეტი რაუდენ გვეტაძის თავის დროზე გახმაურებული რომანიდან „ლაშაური საღამოები". ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, რომ ხსენებული რეზო გელოვანი იგივე მირზაა, ხოლო „თეთრი მიწა" ის ლექსია, რომელზედაც ჩვენ უკვე გვქონდა საუბარი. მკითხველი იმასაც ადვილად მიხვდება, რომ ჩემი და რომანის პერსონაჟთა აზრები „თეთრი მიწის" შესახებ, მაინცდამაინც არ ემთხვევა ერთმანეთს, მაგრამ ამაზე სიტყვის გაგრძელება ზედმეტად მიმაჩნია. მთავარი ამ შემთხვევაში ისაა, რომ „ლაშაურის საღამოების" მეშვეობით, „თეთრმა მიწამ" დღის სინათლე იხილა, ხოლო ავტორის გვარი და სახელი პირველად გახმიანდა მკითხველთა ცნობიერებაში. რომანი ჟურნალ „მნათობში" დაიბეჭდა 1935 წელს, 1936-ში ცალკე წიგნად გამოვიდა, ხოლო იმ დროს, როცა მირზა საბას ლექსიკონითა და საკუთარი ლექსებით მორიდებულად მიადგა მწერალთა სასახლის რკინის კარს, რომანი ის-ის იყო იწერებოდა. კრძალვით დაიარა პირველი სართული, შეიჭვრიტა სარკეებით გაწყობილ სხდომათა დარბაზში, ილიას და აკაკის დიდი, ფერწერული სურათები დაინახა, მერმე პაწია, მყუდრო, შაშვებით ახმიანებულ ბაღშიც გავიდა გულის კანკალით. ხულ მოელოდა, რომ გალაკტიონს შეეფეთებოდა პირისპირ და შიშისა და ბედნიერების ჟრუანტელი უვლიდა. ბაღში, ძველკამზე, ხოლიდური მამაკაცები ისხდნენ, დინჯად საუბრობდნენ. მირზა გუმანით მიხვდა, რომ გალაკტიონი არ ერია მათ შორის და ცოტა დამშვიდდა. ბაღის თავში შადრევანი ამოჩუხჩუხებს, ხოლო კედელში ჩადგმულ ფილაზე აკაკის ოთხსტრიქონიანი ლექსია ამოტვიფრული: „კარგო სტუმარო, დაუვიწყარო, შესვი, გაამოს ეს წმინდა წყარო". (გაივლის წლები და აკაკის ლექსის გვერდით გაჩნდება მარმარილოს დაფა, რომელზეც ჩამოწერილი იქნება სია იმ პოეტთა და მწერალთა, ფაშისტებთან ბრძოლას რომ შეაკლეს თავი. ეს სია მირზა გელოვანით დაიწყება).

სანაქებო მამულიშვილსა და ქართული კულტურის დიდ მეცენატს — დავით სარაჯიშვილს, მართლაც რომ იშვიათი გემოვნებით ჰუგია თავისი სასახლე, აწ მწერალთა სასახლედ წოდებული. მირზა დაუფარავი ინტერესით ათვალიერებს ყველაფერს. გამოხდება ხანი და იგი გაუშინაურდება აქაურ გარემოს, მაგრამ ახლა თავს ისე გრძნობს, როგორც მდაბიური ხელმწიფის კარზე, ეს კი, ცოტა არ იყოს თრგუნავს მას შინაგანად. გალაკტიონი არ აღმოჩნდა მწერალთა სასახლეში. გულჩაწყვეტილი მირზა ისაა გატრიალებას დააპირებს, რომ აწგანსვენებული პოეტი, გრიგოლ ცეცხლაძე დაინტერესდება: მაინც, რად სჭირდება უმაწვილს გალაკტიონი? იქნებ მას შეუძლია რითიმე შველა? შემთხვევით, ლექსებს ხომ არ წერს ჭაბუკი? თქვას, ნუ მოერიდება, აი, ყველა ესენი, წერენ და წერენ უვარგის ლექსებს, მაგრამ არაფრისა ერიდებათ, — იცინის გრიგოლ ცეცხლაძე და შეჯგუფებულ ახალგაზრდებზე ანიშნებს. საუბარში სიმპათიური მამაკაცი, როგორც მერმე აღმოჩნდა, რაუდენ გვეტაძე, ჩაერევა. მირზას, რაღა თქმა უნდა, წაკითხული აქვს მისი რომანები: „თეო" და „ჭიაკოკონა". ლექსების წიგნიც იცის, ოდნავ ახირებული სათაურით — „ვირების მესიჯ". ამ კრებულიდან ერთი, „ჩოჩორი", ძალიან მოსწონს და ზეპირადაც ახსოვს... საერთოდ, გრიგოლ ცეცხლაძეც და რაუდენ გვეტაძეც, როგორლაც იოლად იმახსოვრებენ ნდობას ნუკრივით შემკრთალი, დარცხვენილი ჭაბუკისას, რომელიც საბას ლექსიკონს აჩვენებს მათ, მერმე იმაშიც გამოუტყდება, რომ ლექსებს წერს, მაგრამ თან არ წამომიღიაო — იცრუებს, რადგან ლექსები მხოლოდ გალაკტიონისათვის ეძღვნება. პოეტები მოხიბლა ჭაბუკის გარეგნობამაც, საუბარმაც, იმ თავდაჭერილმა არისტოკრატიზმმა, რომელსაც ვერასოდეს შეიძენ, თუ დედის მუცლიდან არ დაგყვა. რაკიღა ლექსები თან არ წამოგიღია, შინ რომ ჩახვალ, უეჭველად გამოგვიგზავნეო, სთხოვენ გულწრფელად. ნეტა როგორ გაილია მაჩაბლის ქუჩა? მოედანი? რუსთაველის გამზირი? არაფერი ახსოვს სიხარულით ფრთაშესხმულ მირზას. მერმე, თიანეთში დაბრუნებული, მართლაც გააგზავნის რამდენიმე ლექსს რაუდენ გვეტაძის მრსამართით. აი, ასე მოხვდა „თეთრი მიწა" „ლაშაურ საღამოებში", დანარჩენი კი თქვენ უკვე წაიკითხეთ. ცხადია, ყოველივე ამის თაობაზე მირზამ არაფერი იცოდა და მხოლოდ მაშინ გაიგო, როცა „მნათობის" მორიგი ნომერი გაშალა (მაშინ იგი უკვე ტექნიკუმდამთავრებული იყო და სოფელ სიმონიანთ ნევში

მუშაობდა მასწავლებლად), „ლაშაური საღამოების“ კითხვა დაიწყო და ჰოი, საკვირველებავ: თავის ლექსს წაიწყდა დაბეჭდილს! იქვე, ძუნწად, მაგრამ სიმართლით, აღწერილი იყო მწერალთა სასახლეში მისი სტუმრობის ამბავიც. ადვილი მისახვედრია, რა აღტაცება და სიხარული დაეუფლებოდა სადღაც, სიმონიანთ-ხევში გადაკარგული ჭაბუკის გულს. ოო, როგორ სჭირდებოდა მას ალერსიანი სიტყვა და საკუთარი ძალებისადმი რწმენის გაღვივება, თბილი, მამაშვილური სიტყვა! და აი, ამ სიტყვამაც არ დაიგვიანა. „ლაშაური საღამოები“ ძლიერი ბიძგი იყო საიმისოდ, რომ მირზას საბოლოოდ გადაეწყვიტა მომავალი ცხოვრების გზა და კვალი... მაგრამ, ნუ გადავუსწრებთ მოვლენებს.

8.

არსებობს გავრცელებული სტერეოტიპი: რაკიღა მავანი ადამიანი ცხოვრებითა და მოღვაწეობით გამოჩინებულთა შორის მოხსენიებას დაიმსახურებს, მისი ბიოგრაფოსები მოსდგებიან და დაიწყებენ წერას ქრესტომათიებში — როგორი განსაკუთრებული ბავშვი იყო იგი, მშობლების გამგონე, ბებოს და ბაბუას პატივისმცემელი, ამხანაგებში თითით საჩვენებელი და საყოველთაოდ მისაბაძი, სწავლით ხომ ნულარ იკითხავთ: არც თამაში ახსოვდა თურმე იმ პატივცემულ გვამს, არც ძილი, არც ჭამა, არც დასვენება, ოღონდ კი გაკვეთილები მთელი სიგრძე-სიგანით დაეზუთხა და განცვიფრებულ მასწავლებელთა ქება დაემსახურებინა. მსგავსი ბიოგრაფიების შემდგენლებს ალბათ შორს გამიზნული დიდაქტიკური მოსაზრებები ამოძრავებთ, მაგალითის ძალა და მნიშვნელობაც მოეხსენებათ, მაგრამ რატომღაც ის კი არ უწყიან, თავიანთი კეთილშობილური მცდელობით სრულიად საწინააღმდეგო შედეგს რომ აღწევენ. მოზარდი ამქვეყნად პირველი მტერია დაღეჭილ და გაცვეთილ ჭეშმარიტებათა, ეგეც არ იყოს, იგი სრულ ნდობას მოითხოვს პედაგოგებისაგან და „ნუცას სკოლის“ დონეზე სწავლებას არაფრით არ გვაპატიებს. არ გვაპატიებს და მართალიც იქნება! მკითხველი, ალბათ, მიხვდა, საით მიედინება ეს საუბარი: მირზა გელოვანი არ ყოფილა სანაქებო და სამაგალითო მოწაფე. პირდაპირ ვიტყვი, ტვინისა და გულისათვის უსარგებლო გაკვეთილების წვართვას, „დონ-კიხოტის“, ან ხალხური პოეზიის კითხვა ერჩივნა, ხოლო მისი ნება რომ ყოფილიყო, ერთი-ორის გარდა, არც ერთ გაკვეთილზე არ ივლიდა, მაგრამ არ ვიცი, საუბედურად თუ საბედნიეროდ, არ იყო მისი ნება და ამიტომ იძულებული გახლდათ ყველა გაკვეთილს ესწრებოდა, თან, შეძლებისდაგვარად, დადებითი ნიშნებიც დაეგრვეზიწა, მით უმეტეს, რომ უკვე ტექნიკუმის დამამთავრებელ კურსზე იჯდა და სულ მალე ატესტატი უნდა აეღო, რაიც გარდაუვალ აუცილებლობას წარმოადგენდა. თითქო ყველაფერი თავისი გზით მიედინებოდა, ბუნებრივად უნდა დასრულებულიყო, მაგრამ მოხდა ერთი გაუთვალისწინებელი შემთხვევა, რამაც ყველაფერი არევდარია. მოვუსმინოთ მირზას ყრმობისდროინდელ ამხანაგს — ვახტანგ ბეწუკელს: „მათემატიკას ერთი ახალგაზრდა, გამოუცდელი პედაგოგი გვასწავლიდა. დაფას რომ მიადგებოდა, უკან, კლასში, რა ხდებოდა, ველარ იგებდა. ეს, ცხადია, უწესრიგობას იწვევდა კლასში და მის გაკვეთილებს მეტისმეტად მოსაწყენს ხდიდა. ერთხელ მირზამ მე და იოსებ ბურდული (ჩვენი კლასელი, დაიღუპა დიდ სამამულო ომში) ცალკე გაგვიხმო და გვითხრა: — მოდი, „ტაჩის“ (ეს მეტსახელი შევარქვით მათემატიკის მასწავლებელს) ოინი მოვუწყოთ.

— რა ოინი? — ვკითხე.

— რა და, ჩვენი საკლასო ოთახი შიგნიდან ჩავკეტოთ დიდ დასვენებაზე.

— ჩვენ შიგ დავრჩეთ? — ჰკითხა იოსებმა.

— არა, საქმეც ეგაა, რომ არა. ეს გარედან უნდა გავაკეთოთ და თანაც შეუმჩნევლად.

მართლაც, ჯერ საკლასო ოთახების ფანჯრების შიგნითა დარაბები ჩავკეტეთ საგულდაგულოდ. მერმე კი გარეთ გამოვედით. მირზამ კარის შიგნითა ჩანგალს ძაფი გამოაბა, გამოიხურა და უცებ ხელი გაუშვა ძაფს. კარი შიგნიდან ჩაიკეტა. სამივენი ეზოში გავედით და ამხანაგებს შევუერთდით.

ზარი დაირეკა, ჩვენც, სხვა ნოსწავლეებთან ერთად, საკლასო ოთახის კარს მივაწყდით. მოვიდა მათემატიკის მასწავლებელი, მაგრამ კარს აბა როგორ შეაღებდა. მოუხმო დირექტორსაც. ბევრი უყვირეს „შიგნით მყოფთ“ — კარი გააღეთო, მაგრამ როცა არავინ გამოეხმაურა, ფანჯრის ნინები ამოიღეს, დარაბები შეამტვრიეს და ისე შევიდნენ ოთახში. ეს უკვე სკანდალი იყო. ჩვენი ახალგაზრდული ხუმრობა სკოლის დირექციამ მეტისმეტად გააზვიადა. ექვი ორ ჩვენ ამბანაგზე მიიტანეს და გარიცხვა დაუპირეს.

მირზამ ისევ გაგვიხმო მე და იოსები.

— ახლა რა ვქნათ?

— უნდა გამოვტყდეთ, — თქვა მან.

— სამივემ დავიბრალოთ?

— რა თქმა უნდა.

— ჩვენს გამო სხვები არ უნდა დაისაჯონ, — გვითხრა მირზამ და მე მომაჩერდა — მაგრამ ამჟამად დანაშაულს მხოლოდ მე და იოსები ვიკისრებთ. შენზე კი არაფერი არ უნდა შეიტყოს.

ო�ურაზ ბაღლაფერიძე
ცხრაკარა

— რატომ? — ვიწუინე მე.

— იქნებ მართლა გაგვრიცხონ, შენ კი კლასს დარაზმავ, კრებას ჩაატარებ და მთელი კლასი მოითხოვს ჩვენს დაბრუნებას.

შევთანხმდით. მირზა და იოსები მეორე დღესვე გარიცხეს ტექნიკუმიდან. მე დღის ბოლოს ამხანაგები დავტოვე, კრება მოვიწვიე, ამხანაგების დაბრუნება მოვითხოვეთ, ოქმის ამონაწერი კი დირექტორს მივართვით.

მაგრამ მოხდა ის, რასაც არ ველოდით: მეც გამრიცხეს.

დავრჩით სკოლის გარეთ ეს „სამი მუშკეტერი", მაგრამ ფარ-ხმალი მაინც არ დაგვიყრია: მაშინვე განათლების სახალხო კომისარიატში ვაფრინეთ განცხადება. კომისარმა შეგვიწყნარა და უფლება მოგვცა ტექნიკუმის დამამთავრებელი კურსი ექსტერნად ჩაგვბარებინა. ეს მოხდა 1935 წლის აპრილში".

ერთი სიტყვით, გამოცდების ექსტერნად ჩაბარების უფლება მისცეს, მაგრამ ქრისტეს პერანგადქცეული ატესტატი ბოლოს და ბოლოს მოპოვებული იქნა თუ ვერა, ძნელი სათქმელია. ალბათ უფრო ვერა, რადგან, როგორც ქვემოთ გამოჩნდება, მირზა იძულებული გამხდარა უნივერსიტეტში თავისუფალ მსმენელად ყოფნას დასჯერებოდა. მაგრამ ეს კია, რომ უატესტატობის მიუხედავად, მასწავლებლად მაინც გაუმწესებიათ სოფელ სიმონიანთხევის დაწყებით სკოლაში. მასწავლებელთა კადრები ძალიან ჭირდა მაშინ! როგორც ირკვევა, პედაგოგიური ახპარეზი სულაც არ ეხატებოდა გულზე მირზას. თბილისიდან დაბრუნების შემდეგ მისი ფიქრები და აზრი მხოლოდ პოეზიას დასტრიალებდა და მისცემდნენ თუ არა მასწავლებლის ადგილს, არსებითად სულერთი იყო. აი, როგორი ბარათი მიუწერია მას პოეტ გრიგოლ ცეცხლაძისათვის ცოტა ხნით ადრე ტექნიკუმის დამთავრებამდე, 1935 წლის მარტში:

„ბ ი ძ ი ა გ რ ი გ ო ლ!

თიანეთიდან გწერთ.

მინდა ცალმხრივად მაინც გაგაცნოთ ჩემი ლექსების წყებას და გავიგო თქვენი შეხედულება მათზე.

შეიძლება არა ღირს, რომ ვწერო?

შეიძლება ჩემს ლექსებში გამოდის ტლანქი ხუმრობა მხოლოდ? არ ვიცი!

მე ამას ვერა ვგრძნობ, თქვენ კი შეგიძლიათ მიმითითოთ ამაზედ სამართლიანად.

მაშინ მე დავეთხოვები ლექსების წერას, თუმცა ძალიან ძნელი იქნება ეს.

ჩემი შეხედულებები, რაც ამ ლექსებშია, ძველმა ლიტერატურამ მიანდერძა, როგორც ახალგაზრდობის უმრავლესობას.

ალბათ არაა ეს შეხედულებები სწორი. და თუ ასეა, გარდავქმნი მათ! გარდავქმნი —

მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ცოდნის (საკუთარი ცოდნის!) მარაგს გავიმდიდრებ უაღრესად და დავრწმუნდები ჩემი აზრების სიყალბეში.

ალბათ გავლენებიც მაქვს პოეტების და მინდა თქვენ მიმითითოთ ამაზე.

მე მხოლოდ პოეზიის ბავშვი ვარ ჯერჯერობით.

მაგრამ არც ერთი ლექსი არ დამიწერია ნაიალადევად!

დანარჩენი ლექსებიც ამ ლექსებს ემთხვევიან აზრებით.

შეიძლება ყველა დასაწვავი იყოს.

არ ვიცი!

თქვენ გეცოდინებათ და მომწერეთ!

მირზა (რეზო) გედეონის ძე გელოვანი

18. II. 35 წ."

P. S. ლექსიკონის საქმისა არაფერი ვიცი. ნეტავ თუ მოიწონეს?

ძნელია ზუსტი ვარაუდი იმისა, თუ რა უპასუხა გრ. ცეცხლაძემ ჭაბუკს, მაგრამ ნამდვილად რომ უპასუხა, ეს მირზას მომდევნო ბარათიდან ჩანს:

„ძ ი ა გ რ ი გ ო ლ!

მივიღე თქვენი მონაწერი საპასუხო წერილი, რამაც ბავშვურად გამახარა. უკვე აღარ მქოდა ძოლოდინი, რადგან დიდი დრო გავიდა ჩემი წერილის გამოგზავნის დღიდან.

ალბათ გაწუხებთ. მაგრამ მაინც მინდა გამოგიგზავნოთ ჩემი ნაწერებიდან რამდენიმე ლექსი.

ორი უკანასკნელი შეიძლება დაიბეჭდოს.

საერთოდ, მე არ ვიცი ლექსები სად უნდა გავაგზავნო, ან რომელ ორგანოში დამიბეჭდავენ.

ჰო, მართლა: აქ მე აღმოვაჩინე ერთი ძველი ხელნაწერი (წელი არ აწერია დაწერის, მაგრამ ძალიან ძველია) „ეფრემვერდის" მსგავსია და შიგ სწერია მხოლოდ შელოცვები, წამლები სხვადასხვა ავადობათა და სიზმრის ახსნა.

ამჯერად ვწერ ვაჟა-ფშაველას ცხოვრებას პროზად და ვაგროვებ მის დაუბეჭდავ ლექსებს.

როცა დავასრულებ, გამოგიგზავნით.

მშვიდობით,

პატივისცემით: მირზა გელოვანი"

აი, ასეთი იყო მირზას გუნება-განწყობილება ცოტა ხნით ადრე ტექნიკუმის დამთავრებამდე. მერმე, დამთავრების შემდეგ, როგორც ვიცით, მასწავლებლობას შესდგომია, მაგრამ რამდენიმე თვის პედაგოგობა ერთ გაბმულ ტანჯვად ქცეულა მისთვის. აქ მრავალი ბელეტრისტული პასაჟის შეთხზვა შეიძლებოდა მირზას ცხოვრების ხსენებულ პერიოდზე, მაგრამ დაე, ისევ თვითონ ილაპარაკოს:

ძია გრიგოლ!

ალბათ იცით: თიანეთი როგორი მივარდნილია და დავიწყებული. არაფერი არ მოდის დროზე და „მნათობის“ მეექვსე ნომერმაც გუშინღა მოაღწია ჩემამდის.

„ლაშაური საღამოების“ გაგრძელებაში წავიკითხე ჩემი ლექსი „თეთრი მიწა“. ლექსის დაბეჭდვა არ გამახარებდა, გამახარა იმან, რომ თქვენ და პატივცემულმა რაჟდენმა ჩემთვის ჩაიდინეთ ეს საქმე.

არ ვიყავი ღირსი ამდენი თქვენი წვალებისა. მაგრამ, ძია გრიგოლ! მე მინდა გამოგიტყდეთ: ამ ლექსის დაბეჭდვამ სიმწვავეც მაგრძნობინა, რადგან „პირველადვე სხვას ავეკიდე-მეთქი“, გავიფიქრე (ბავშვური თავმოყვარეობა!). „მაგრამ — ვინუგეშე თავი, — სიარული რომ ისწავლო, საჭიროა სხვისი დახმარება. ხოლო რომ იარო, საჭიროა გზა“.

დიახ, ასე გავიფიქრე და სწორედ ამ „გზის“ გულისათვის დავწერე ბალადა: „ცხენის ტირილი“ და გავგზავნე „მნათობის“ რედაქციაში. ვფიქრობ დაბეჭდავენ.[1]

მე ღღემდის ვმუშაობდი მასწავლებლად. სიმონიანთხევის დაწყებით, არასრულ და სრულ სამუალო სკოლაში (საშუალო სკოლაში ვასწავლიდი მხოლოდ სამხედრო. საქმეს). ასე რომ, მე მქონდა კვირაში 47 საათი. ეს ჩემთვის უდიდესი დატვირთვა იყო და არა მრჩებოდა არც ერთი საათი დასვენებისათვის, მით უფრო, წერისათვის.

მაინც მოვახერხე და დავწერე შვიდთავიანი პოემა „საქართველო“[2] (რამდენიმე ლექსი და ნოველა.[3]) მე ვიცი: ამ პოემას არასოდეს ეღირსება დაბეჭდვა, მაგრამ ხომ გახსოვთ ლეგენდა „ნაცრისფერ ჩიტზე?“, ან შკლოვსკი?

მასწავლებლობას 1 ნოემბრიდან დავეთხოვე. ეხლა ვარ უადგილოდ...

„პირუტყვდამზადებაში“ მთხოვეს მუშაობა და მეც ვაპირებ, მაგრამ ძია გრიგოლ! განა ეს ყველაფერი სასაცილო არ არის?

ჩემს ერთ ახალ ლექს გიგზავნით.

გწერთ: მრიზა გელოვანი

P. S. აქ საკმაოდ დიდი თოვლია და გაცინებული ვიძახი: უდაბნო... უდაბნო...

ამ პატარა ბარათიდან მრავალი „ძაფის ამოხვევა“ შეიძლება: მიაქციეთ ყურადღება — როგორი ღირსეული თავშეკავებით ლაპარაკობს მირზა ლექსის გამოქვეყნებასთან დაკავშირებულ სიხარულზე, როგორ ჯენტლმენურად იხდის მადლობას და თანაც არ მალავს, რომ თავმოყვარეობა გაუღიზიანა „პირველადვე სხვაზე აკიდებამ“. მაგრამ ისიც სავსებით შეგნებული აქვს, რომ სიარულის დაწყებისას დამხმარეა საჭირო, ხოლო თუ შნო და უნარი გაქვს, მერმე შენვე უნდა იპოვნო გზა... ერთი სიტყვით, აქ ზედმეტად მოთავმდაბლებული, ენამოჩლექილი და გულაჩქროლებული ჭაბუკი კი არ ლაპარაკობს, არამედ ახალგაზრდა, რომელმაც იცის თავისი ფასი და ამავე დროს, ხელის გამოწვდენის რაინდული დაფასებაც შეუძლია. არა ჰგავს იმას, პატივს რომ დასდებ და ბრიყვული თვითკმაყოფილებით გაიფიქრებს: მეკუთვნოდა და იმიტომაც მომექცნენ ასეო. საგულისხმოა მეორე ამბავიც: ვისაც სკოლასთან რაიმე კავშირი ჰქონია, მან იცის, თუ რას ნიშნავს მასწავლებლისათვის კვირაში 47 საათიანი დატვირთვა. ეს ისეთი შრომაა, სპილოს რომ წააქცევს, ადამიანს კი, უბრალოდ, ჭკუიდან გადაიყვანს, ამიტომ შვიდთავიანი პოემის, ლექსებისა და ნოველის დაწერა ამ ხანებში, ჭეშმარიტ შემოქმედებით გმირობად უნდა ჩაითვალოს. დასანანია, რომ ხსენებული პოემის წაკითხვა ჩვენ ალბათ აღარ მოგვიწევს (ასევე ნოველისა!). ამ სინანულს კიდევ უფრო აძლიერებს ფრაზა: „პოემას არასოდეს არ ეღირსება დაბეჭდვა“... რატომ? აქ ერთადერთი ვარაუდი შეიძლება არსებობდეს: ალბათ ნამეტანი „თავისუფლად“ იყო დაწერილი... რაც შეეხება ლეგენდას „ნაცრისფერ ჩიტზე“, გრ. ცეცხლაძისაგან განსხვავებით, მე არ მახსოვს, უფრო ზუსტად, არ ვიცი მისი შინაარსი, თორემ იქნებ რასმეს მივმხვდარიყავი „საქართველოს“ შინაარსის თაობაზე. ხოლო ვიქტორ შკლოვსკის, ამ ფრიად საინტერესო მოაზროვნისა და მწერლის შემოქმედების საფუძვლიანი ცოდნა „მივარდნილ და დავიწყებულ თიანეთში“, ახალგაზრდა კაცის მღვიძარე სულს მოწმობს და მის ფართო ლიტერატურულ ინტერესებზე მიუთითებს. როგორც გამოირკვა, მასწავლებლობისათვის თავი დაუნებებია მირზას, მაგრამ აქ მეორე არანაკლები (გაცილებით უარესი!) საშიშროება იჩენს თავს: „პირუტყვდამზადებაში“ აპირებს მუშაობის დაწყებას. აბა, რა მისი საქმეა ვეტერინარია და მასთან დაკავშირებული საკითხები? მაგრამ საბედნიეროდ, ვითარება სხვაგვარად წარიმართა...

„ძია გრიგოლ!

ალბათ შეგაწუხეთ ამდენი წერილებით, მაგრამ მინდა გითხრათ: „მე თქვენ არ მოგეშვებით“ და დავუმატო: „მაინც არ მოგეშვებით!“ მე თქვენ ძალზე ბუნებრივად გაგიცანით, ყოველგვარი ცერემონიების გარეშე და სწორედ

---

[1] „ცხენის ტირილი“ დაიბეჭდა არა „მნათობში“, არამედ „ჩვენ თაობაში“ (1936, №5-6)

[2] ამ პოემის ასავალ-დასავალი დღეისათვის უცნობია.

[3] აგრეთვე.

თეიმურაზ მაღლაფერიძე
ცხრაკბარა

ამის მიზეზია, რომ ჩემი გულახდილობა თქვენს წინაშე შეიძლება თავხედობად ჩაითვალოს.

და ვფიქრობ: გულახდილობა ადამიანს ამცირებს (ზოგჯერ მაინც!). ისიც, ჩვენს საუკუნეში!

გამონაკლისები, რა თქმა უნდა, არიან.

მე თქვენ ამ გამონაკლისთა სიაში პირველს ჩაგწერდით.

ამისათვისაა, რომ მინდა ყველაფერი გითხრათ. მომწყინდა ამ ფუქსავატ ხალხთან ყოფნა და რომ მკითხოთ: „შენ მათ მოსპობდი?“ გიპასუხებდით: „დიახ, ძია გრიგოლ!“

მე წინა წერილში გწერდით: „პედაგოგობა მივატოვე-მეთქი“.

ხშირად ხდება, რომ „ვაი!“ გაქცეულები, „უის“ შეხვდებიან.

მე — და პედაგოგი? ვის გაუგონია?

მაგრამ რას იზამ...

კეთილი სურვილებით: მირზა გელოვანი

4. XII-35 წ.

●

მადლობის ღირსია აწ განსვენებული პოეტი გრ. ცეცხლაძე, რომელსაც სათუთად შემოუნახავს მირზას რამდენიმე ბარათი. ეს ბარათები რომ არა ძალზე მნიშვნელოვანი მონაკვეთი მისი ცხოვრებისა, ჩვენთვის ბნელით მოცული იქნებოდა დღეს. კერძოდ, ვერასოდეს გავიგებდით, რომ თბილისში წასვლამდე, მას უაღრესად ძძიმე სულიერი განცდები ჰქონია. იმდენად გასჭირვებია ირგვლივ მყოფ ფუქსავატ ადამიანთა შორის ცხოვრება, რომ მათ დაუფიქრებლად მოსპობაზეც კი არ იტყოდა თურმე უარს. წარმოიდგინეთ, სადამდე უნდა მისულიყო ახალგაზრდა კაცი...

სიმონიანთხევში მუშაობის დაწყების შემდეგ ფარნაოზ მასწავლებელი აღარ ენახა, მასთან საუბრით გული არ ეჯერებინა და სალამოსპირზე ბიბლიოთეკა-სამკითხველოსაკენ გასწია. იმედი ჰქონდა, იქ შეხვდებოდა ფარნაოზს და თავის ნაფიქრ-ნააზრევს, ჩვეულებისამებრ, გაუზიარებდა. მაისი იდგა, 1936 წლის მაისი, ჰყვაოდა ქლიავის, ატმის, ალუბლის, ვაშლისა და ჭერმის ხეები და თიანეთის ვიწრო, სოფლურ შუკებში გონისშემშლელი სურნელი ტრიალებდა, ხოლო პატარა მოედანზე, სადაც ორსართულიანი სასტუმრო იდგა და ამიტომაც დაბის ცენტრად იყო მიჩნეული. უზარმაზარ, მშვენიერ ცაცხვებს ჩვილი ფოთლები გამოეტანათ. ცაცხვებშორის, ელექტრონათურებს მირიადი ყვითელი პეპელა ესეოდა და მართლაც რომ ზღაპრული სანახაობა იქმნებოდა. რამეთუ ჩვილი ფოთლებიც პეპლებივით ჩანდნენ შორიდან. მირზა დიდ ხანს უმზერდა პეპლების უთავყამო ფარფატს ნათურების ირგვლივ და ფიქრობდა: „ყოველი არსება, უბრალო ყვითელი პეპელაც კი, თავგანწირვით მიილტვის შუქისაკენ. მაშ, მე ვინ გამამტყუნებს, რომ თბილისისაკენ ავიღო გეზი? დღეს მხოლოდ თბილისში შეიძლება ნამდვილ სინათლეს ეზიაროს ადამიანი“... ამ ფიქრებით მიაშურა სამკითხველოს. იდგა მაისი, 1936 წლისა.

4.

გრძელ, წითელმაუდგადაფარებულ მაგიდაზე ახალი ჟურნალ-გაზეთები აწყვია. სიცარიელეა და სიჩუმე, მხოლოდ მოხუცი ბიბლიოთეკარი ქალი მიმჯდარა თავის კუთხეში. მირზა მდაბალ სალამს ეტყვის და პრესას ჩაეკვალიერებს. უცებ, უცხო რამ ჟურნალი მოხვდება თვალში. „ჩვენი თაობა“... ინტერესით აიღებს, გადაფურცლავს... ბიჭოს? თურმე ჟურნალი ახალგაზრდა, დამწყებ ავტორთაგვის ყოფილა განკუთვნილი. ამას იუწყება პირველსავე გვერდზე დაბეჭდილი „სარედაქციო“: „ჩვენი თაობა“ ფართო ადგილს დაუთმობს ახალგაზრდა მწერლების მხატვრულ პროდუქციას. ამავე დროს ყოველმხრივ შეეცდება გაუწიოს დახმარება ახალგაზრდა მწერალს მის თეორიულ სწავლებაში და შემოქმედებით მუშაობაში. რედაქცია იმგვარად წარმართავს თავის მუშაობას, რომ დახმარებას ექნეს რაც შეიძლება უფრო მეტი კონკრეტული და პრაქტიკული ხასიათი“... „შეიარაღებული ბოლშევიკური სიფხიზლით, მთელის დაუნდობლობით ჟურ. „ჩვენი თაობა“ იბრძოლებს კლასობრივი მტრის ნარჩენების იდეოლოგიის ყოველგვარ გამოვლენათა წინააღმდეგ ჩვენს ლიტერატურაში“...

ეგ იყო და, მირზა პირდაპირ დააცხრა ჟურნალში დაბეჭდილ სტრიქონებს სხვადასხვა ავტორებისას: გიორგი კალანდაძის, გრიგოლ აბაშიძის, სიმონ ჩიქოვანის, იაკობ ბურჭულაძის, ალექსანდრე საჯაიას ლექსები, დემნა შენგელაიას და მოსე გვასალიას მოთხრობები.

მაშასადამე, ამიერიდან გამოსვლას იწყებდა ჟურნალი, რომელიც ახალგაზრდა ავტორთა

ნაწარმოებებს გამოაქვეყნებდა უპირატესად. მირზა სიხარულით კანში ვეღარ ეტეოდა. ერთბაშად გაუქროლა თვალწინ მწერალთა სასახლემ — მაჩაბლის ქუჩაზე, სადაც ალბათ მოთავსებული იყო „ჩვენი თაობის“ რედაქცია, ახალგაზრდა მწერალთა და პოეტთა სახეებმა, რომლებსაც არ იცნობდა, მაგრამ რომლებთანაც დამეგობრება მისი სანუკვარი ნატვრა იყო... მუსაიფი ლიტერატურაზე, თეატრზე, მხატვრობაზე, ყოველივე იმაზე, რაიც მისი სულის უძვირფასეს ნაწილს შეადგენდა... ღმერთო, რა ბედნიერება იქნებოდა! ნუთუ მართლა ეღირსება მირზა როდისმე, თავის თავი ახლობელ თანამოაზრეთა წრეში იხილოს?... აქ ისევ გაახსენდა ფარნაოზ მასწავლებელი და ძალიან მოუნდა სიხარული მისთვისაც გაეზიარებინა. რატომ არ არის სამკითხველოში? სად იქნება ნეტავ? მირზა ბიბლიოთეკარს მიმართავს კრძალვით: ხომ არ შემოუვლია აქ დღეს ფარნაოზ მასწავლებელს? მერმე, დიდი ხნის მერმე, წლების შემდეგ, მირზა ცივი ერუანტელის გარეშე ვერ გაიხსენებს ამ საბედისწერო წუთს. ფარნაოზ მასწავლებელიო? მოხუცი ბიბლიოთეკარი ცხვირზე წამოდგმულ სათვალეს შუბლისაკენ აიცურებს და დუმილით, გამომცდელად უმზერს ჭაბუკს. ფარნაოზ მასწავლებელიო? ჰო, ფარნაოზ მასწავლებელი, განა რა მოხდა ასეთი? უკვირს მირზას. ბიბლიოთეკარი სწრაფად ადგება, მირზასთან მივა და მოწყლიანებული თვალებით მიაშტერდება. შენ რაო, შვილო, არაფერი გაგიგია? მირზას ყინულოვანი ერუანტელი დაურბენს: რა, რა, უნდა გამეგო? თქვით ჩქარა, რა უნდა გამეგო?

●

კვირაობით, ივრის ნაპირას, დაცემულ მინდორზე, დიდი ბაზრობა იმართებოდა თიანეთში. ბავშვობიდან მოყოლებული, მირზას თავისი თვალით შეეძლო ენახა ხევსურული ტალავრით მოსილი, ფარ-დაშნიანი, საკლავ-საფუხარიანი და ლაჯიებიანი ხევსურები ყველერბოს გამყიდველი, ფაფანაგიანი ფშავლის დიაცები, იარაღის ოსტატი ლეკები — წილამურებიანი ფაფახები რომ ეხურათ და მუგუზალივით აელვარებდნენ თვალებს, თუში მეცხვარეები და მზით გარუჯული ქიზიყელი გლეხები— ზანტად მიწოლილნი საზამთროს გორებზე. იმართებოდა დოღი, იწელებოდა ქართული გარმონი, „ახმეტურით“ შეხურებული თუშები უვლიდნენ ცეცხლოვან მწყემსურს, ხშირად მთვრალი ხევსურები გაიძრობდნენ დაშნებს, დაერეოდნენ ერთმანეთს და გამოსაშვებ სისხლს გამოიშვებდნენ. ისმოდა გზიანი ქართული და შუშხუნა კაფიობა... დადიოდა თვალებგაფაციცებული და ხმენაგამახვილებული მირზა ამურმურებულ მილეთის ხალხში, ისმენდა, ითვისებდა, იმახსოვრებდა და სული წვეთწვეთობით ევსებოდა სიამაყით. თვითონაც ხომ ქართველი იყო, ამ ხალხის სისხლი სისხლთაგანი და ძვალი ძვალთაგანი, თვითონაც ხომ ქართულად შეეძლო აჩქამება და ლექსის ამოთქმაც ქართულად შეეძლო აი, იმ ბერიკაციკით, ცაცხვის ძირას რომ ჩამომჯდარა, ფანდურს ნელიად აჩხაკუნებს და დაბეჟილი ხმით დამღერის: „შავეთზე შამოვიარე, შვიდ პირად ისხდა ჯარიო, დავჯე და ამბავს ვკითხავდი, შავეთი როგორ არიო? სხვაფრივ ყველაი კარგად ვართ, გველებმა გვიყვეს ძალიო, შემოგვენგრივა საფლავი, შემოგვედინა წყალიო“. მირზა შორიახლოს გაუჩერდება ბერიკაცს და უსმენს. დაამთავრებს ერთ ლექსს მოხუცი, წამით იყუჩებს და ახლა სხვას დაიწყებს, ახალს. ასე გრძელდება კაი ხანი... აი, ეგრე უნდა იყოს პოეტი, „არ შეამოკლოს ქართული, არა ქმნას სიტყვამცირობა“... მემრე მიხვეულ-მოხვეული ქუჩაბანდებით მიემართება ზემოთ, თიანეთის გადამყურე ცხრაკარას აწდაქცეული ციხისაკენ. აქ, ხავსიან ლოდებსა და გაველურებული წითლადაღუებული ბროწეულებს ნაჩრდილში მირზას საათობით შეეძლო ყოფნა და ლექსების ბუტბუტი. ქვემოთ ხელისგულივით მოჩანს მთელი თიანეთი, წაგრძელებულად რომ ჩაწოლილა ღარტაფში, შორს კი კავკასიონის შაქრისფერი მწვერვალები გაუქნია ლაჟვერ ნისლეულს... ვინ იცის, ლექსის რამდენი სტრიქონი ამოუთქვამს მირზას აქ, რამდენი ბალღური ოცნება და ნატვრა გაუნდვია მდუმარ ნაქცევთათვის?! ხომ გახსოვთ მისი „ცხრაკარა“: „ჩემს ბავშვობაში ცხრა მთათა კალთას ციხე რამ ედგა მთაზე მაღალი, ცხრაკარა ერქვა და თითო კართან ცხრა ლოდი იწვა, ცხრაძმისმაგვარი. ციხეს მდუმარე

თეიმურაზ მაღლაფერიძე
ცხრაკარა

დარბაზი ჰქონდა დამხობილი და უენო ზარი, და დამღამობით ცხრაპირად ჰქროდა ცხრა კარებიდან ამდგარი ქარი. მე ყოველ დილა ავდევდი აღმრათს მოწყენილი და უმიზნოდ ჩუმი, ჩამოვჯდებოდი დანგრეულ თაღთან და ყურს ვუგდებდი წარსულის დუმილს. მეგონა, ქარი უშორეს ზღაპრად მომახარებდა რამეს საოცარს, მიმასწავლიდა თამარის საფლავს და დაუწერელ „ვეფხისტყაოსანს“... მაგრამ ნელნელა შევიგენ, თითქოს, ძნელია უხმო აჩრდილებს მიჰყვე, ყოველდღე ლოდი ცვიოდა თითო და მტკივნეულად ოხრავდა ციხე. ასე დაინგრნენ ცხრაკარის ბჭენი, მაგრამ ნანგრევთან როცა გავივლი, დამხვდება თაღთან ბავშვობა ჩემი, — როგორც ლამაზი, თეთრი ყვავილი, დამბზდება ქარიც და როგორც ღრუბელს გამაქანებს და წარსულში მახვევს. კედლები დგება და ჩემს ვრცელ უბეს შეეფარება მდუმარე ციხე“. წავიდა ის დრო, როცა „მზეზე ჰყვაოდა სოფლად ალუჩა და გაისმოდა დების სიმღერა“. ხვალ მირზა ქალაქისაკენ აიღებს გეზს და დაემშვიდობება ბალღობიდან შესისხლხორცებულ გარემოს. რა ელოდება წინ? არ იცის! არ იცის და სწუხს, წვალობს ჭაბუკი პოეტის მგრძნობიარე სული, სწორედ ამ დროს, ცხრაკარას ნაქცევთაგან გამოვა ბერული ჩოხით მოსილი, უხამური, თმა-წვერმოშვებული ანტონი გელოვანი, „კაცი ბრძენი და გონიერი ვაზირი და მდივანთუხუცესი“ მეფეთმეფე თამარისა, ხელს მოჰკიდებს თავის შორეულ ნაშიერს, მზისაკენ შეაბრუნებს და ბრძანებით ეტყვის:

— გვალე!

. . . . . .

მამის, გედეონ გელოვანის შეგონება:

— სარეველა ბალახს, შვილო, ფესვი ღრმადა აქვს გადგმული, გგონია, ამოვძირკვეო და ისევ გაიხარებს, შეჩვენებული. ხორბლის მოთხრა კი ხელის ერთი წამოკვრით შეიძლება. სარეველა ძნელი მოსასპობია, ხორბალი — ოოლა, მაგრამ აბა, სად ხორბალი და სად სარეველა? ეგრევეა სიკეთისა და ბოროტების ამბავიცა: ბოროტება ყველგან იბუდებს, სიკეთე — ძალზე ცოტაა, მაგრამ მხოლოდ სიკეთეა, შვილო, ადამიანისაგან პატივცემული. მხოლოდ სიკეთე! დაიმახსოვრე!

— დავიმახსოვრებ, მამა!

„ეფრემვერდიდან“.

„მარტში მზე კუროსა შინა შევალს. ამ დროს დაბადებულს (მირზა 2 მარტსაა დაბადებული) ექნება მარსის ბუნება. ის იქნება ახოვანი, ვაჟკაცი, მარდი, დარბაისლურად, ზრდილად მოლაპარაკე, მაგარის აგებულებისა, პირისახე მოგრძო, სისხლნაკლები, პატივმოყვარე, თავმომწონი, ამპარტავანი, ცხარე, მოუთმენელი, მსწრაფლის, დაუდგრომელის აზრისა, აქვს ჩქარად მონანიების უნარი, უქმად არ გაატარებს დროს, ეყვარება სწავლა, უმეტესად საომარი. ექნება ხშირად ავადმყოფობა, იქნება ზოგჯერ საწყლად, ზოგჯერ ბედნიერად. აღმოსავლეთისა და სამხრეთის მხარე მისთვის ბედნიერია, დასავლეთისა — არც ისე, ხოლო ჩრდილოეთი — საშიშია“...

. . . .

დედის, ევა მაჩურიშვილის ამონაკვნესი:

— ჩრდილოეთს ერიდე, დედის სილაღევ, ჩრდილოეთს ერიდე!

ნაწილი მეორე

„როცა წინ გზაა, ქაცისაკენ ხელშეუხები“

(1936-1939)

აღტაცებავ სიყმაწვილის დროისა,
სამუდამოდ, სამუდამოდ მშვიდობით.

გალაკტიონი

თავი მეხუთე

I.

აცვია: ძველებური, ღილკილოებიანი ბლუზა — წვრილი, ვერცხლის კუწუბებიანი ქამრით. მოსხლეტილი „გალიფე“ და წვივებზე მჭიდროდ შემოტმასნილი უძიროები. თავზე: ფართო სვანური ქუდი. მაღალია, წელვიწრო და ბეჭბრტყელი. ამიტომაც ასეთი ჩაცმა განსაკუთრებით შვენის. გვერდული სიარული სჩვევია, მარჯვენა მხარი ოდნავ წინა აქვს წაგდებული. ნაბიჯი: მსუბუქი, მოზომილი, შემართული. აღნაგობაში ფოცხვერის სიმარდე სჭვივის. დანჯღრეული ნაბიჯებით მოარული ბრბოში რომ გაერევა, ისე გამოჩნდება, როგორც შვილდიდან გასაფრენად შეწკიპული ის-

არი. ხელის მტევნები: ჩამოხვეწილი, ძლიერი, ნერვიული. მარცხენა საფეთქელთან გამუდმებულად უფეთქავს ხის ფესვივით გაკლაკნილი, მოლურჯო ძარღვი და ჩვეულებად აქვს დროდადრო მოისინჯოს თითებით, შინაგანი გულისყური მიუგდოს მის იდუმალ თრთოლას. საუბარი დინჯი იცის — მკერდისმიერი ბარიტონით, დინჯი და დამარწმუნებელი. საერთოდ, დარწმუნების უნარი მისი ადამიანური ბუნების ერთი მთავარი ნიშანთაგანია და გულწრფელობაში იღებს ძალუმ სათავეს. რასაც უნდა აკეთებდეს, ამბობდეს თუ წერდეს, არასოდეს ტყუის, ყოველთვის გულწრფელია (თუნდ შემცდარიც იყოს!) და სწორედ ამიტომ, მის გულწრფელობას დიდი მომსყიდველი ძალა აქვს. გჯერა, იცი, რომ ამ ადამიანს შეიძლება ენდო, არა, შეიძლება კი არა, უნდა ენდო უეჭველად! მალე ოცი წლისა შესრულდება, ბუხლი უვარგა და მკლავი ერჩის, ხოლო სული უშრეტი წყურვილითა აქვს სავსე... აი, ასეთი ჭაბუკი დადის ოცდაათიანი წლების თბილისის ქუჩებში, დადის და ვერ ძღება ხარულით. თბილისში ადრეც ყოფილა ერთიორჯერ, სულ ბოლო ხანებში აკი მწერალთა სასახლეც მოინახულა, მაგრამ ის ჩამოსვლები მაინც ეპიზოდური და დროით მოზღუდული იყო, ახლა კი მას უკვე მთელი არსებით შეეძლო დასწაფებოდა ამ საოცარი ქალაქის უბეში ცხოვრებით გამოწვეულ სიხარულს. შეეძლო და ისიც დაეწაფა... მაგრამ თბილისი მაინც უფრო რთული, მრავალწახნაგოვანი, იდუმალი და ძნელადშესაცნობი გახლდათ, ვიდრე ეს ერთი შეხედვით შეიძლებოდა წარმოედგინა ადამიანს, მით უმეტეს, თუ იგი თბილისის ძირეულ მკვიდრად ვერ მიიჩნევდა თავს. დიახ, რთული და ძნელშესაცნობი იყო თბილისი, მაგრამ გულუხვი, დარბაისელი მასპინძლის მსგავსად, სტუმრისაგან დაფარული და გადანახული მას არაფერი ებადა, უშურველად ჰქონდა გამოფენილი სააკარაოზე თავისი განძიცა და ზადიც, ნამდვილიცა და რიოშიც და კეთილსასურველი სტუმარი თუ ძვირფასს ყალბისაგან ვერ გაარჩევდა, ანა რა მასპინძლის ბრალი იყო, ეს სტუმრის ნიათზე ან უნიათობაზე მიანიშნებდა უპირველესად. მირზა ნიათიანი სტუმარი აღმოჩნდა. იგი მალე მიხვდა, რომ თბილისი საქართველოსათვის გაცილებით მეტია, ვიდრე ჩვეულებრივი დედაქალაქი და ამის მიხვედრა არ იყო უბრალო რამ. დილიდან მინუხრამდე შეეძლო ხეტიალი ქალაქის ქუჩებში, სუნთქვა ოქროს წინწკლებით შეზავებული მაისის ჰაერით და დაკვირვება, დაკვირვება ყველაფერზე. აგრეთვე, ძალიან უყვარდა ბებერი ანჩისხატის მოხილვა, მისი ხავსიანი კედლების მიმოფერება მზერით, შავთელის, ანუ ჩახრუხაძის ქუჩით სალაყბოზე გასვლა, კოჭაობით, ჩიკორით, ან ლახტით აზარტულად გახურებული ბიჭების ცქერა, ცქერა ეფუნებიანი, გახვეული ცხენებისა, რბილ ეტლებს რომ დააქროლებენ, ხოლო „კოზლაზე“ უეჭველად ცუდლუტი ბალღია ტკიპასავით მიმჯდარი. უყვარდა სიონის ზარის საამო გუგუნის მოსმენა და ყრუანტელისმომგვრელი სტრიქონების გახმიანება „დიდო ზარო, ჩვენის სიონისაო, ნატრული ვარ შენ დიდებულ ხმისაო“... მერმე ფიროსმანისაგან უკვდავყოფილი და აწ მოშლილი „ვირის ხიდი“, რუხი, პიტალო კლდე და ზედ „სახლი სათნოებისა“, დემეტრე თავდადებულისაგან ნაშენი მეტეხის ღვთისმშობელის ტაძარი... არსად ისე ვიწრო არ არის მტკვრის კალაპოტი და არსად ისე არ დუღს და ბუღრაობს მდინარე, განსაკუთრებით გაზაფხულზე, როგორც აქ, მეტეხის ძირში. გაივლის ზუსტად შვიდი წელი და სისხლის წვიმებში მობანავე მირზა დასწერს ლექსს — „ნუ მწერ“, ერთ-ერთ ბრწყინვალე ლექსს ქართული პოეზიისა, სადაც ასეთი სტრიქონები იქნება: „რომ მტკვარი ოხრავს როგორც ყოველთვის, როცა მეტეხის ახლოს ჩაივლის...“ ხოლო გაცილებით უფრო გვიან, უკვე ჩვენს დღეებში, თანამედროვე კრიტიკოსი ასე შეაფასებს ხსენებულ სტრიქონებს: „ნამდვილი შემოქმედი იცნობა არა მხოლოდ ხმით, არამედ განსაკუთრებული სმენითაც, იმ უცნაური ნიჭიდ, რომელიც მას საშუალებას აძლევს, სამყაროს ურიცხვ ხმათა შორის, შენიშნოს ჩვენთვის შეუმჩნეველი, უცნობი ხმებიც. მხოლოდ ნამდვილი პოეტის გაფაქიზებულ სმენას შეეძლო გაეგონა ეს საოცარი, მარადიული ხმა. რამდენი საგულისხმო რამ არის ნათქვამი ამ უბრალო სიტყვებით, რა სადად, რა დაუმადლებლად, არახელოვნურად და ამავე დროს რა ზუსტად: „რომ მტკვარი ოხრავს როგორც ყოველთვის, როცა მეტეხთან ახლოს ჩაივლის“. მირზა გელოვანის მიერ აღმოჩენილი ეს იდუმალი ხმა ქართული პოეზიის თანამედროვე ხმათა რიგში დარჩება სამუდამოდ“... „ვირის ხიდიდან“ სულ ორი ფეხის ნაბიჯზე დგას ლურჯმინარეთიანი მეჩეთი, როგორც ხიწვი და ეკალი, გარდასულ ყამთა სიავისაგან შემორჩენილი. „მეიდნის“ განთქმული ბაზრის შემდგომ ვიწრო, დაგრეხილი, დამრეცი ფოლორცები ნარიყალას ციხის დაქცეული ქონგურებისაკენ მიცოცავენ. მიჰყვება მირზა ამ ფოლორცებს და ბუტბუტებს თავისთვის: „თბილისი!.. უცნაურია აფერადებული სისრულე ძველი თბილისისა!.. დროთა მსვლელობამ გული გადაუშალა ამ საიდუმლოებას. აქ, ძველი თბილისის გულის სიღრმეში, გამოჩნდა ბუნებრივი ვეძა — ანკარა წყარო — და დასწყისი ჯადოსნური ლაშაზი პოეზიისა. მე გსვამ ამ წყაროს ორივე ხელით და ვამბობ,

---

თეიმურაზ მაღლაფერიძე
ცხრაკარა

რომ ჩემს ძარღვებში მისი მადლიანი ნაკადი მჩქეფარებს... მე თანამედროვე ადამიანი ვარ, ქედმაღალი და სილამაზის მაძიებელი! და მე ვამბობ: მეგობრებო, მწერლებო, პოეტებო, ნუ დავუთმობთ თბილისს არქეოლოგებს. უშუალოდ შევიმეცნოთ ის, ვისუნთქოთ მისი ჰაერით, ქუჩაბანდებით, ნაგრევებით და შევიყვაროთ ისე, როგორც ჩვენი პირველი ლექსი"... ნარიყალის ქონგურებს მიღმა ბოტანიკური ბაღი გარინდულა მუქი ჩრდილებით, მის ზემოთ კი ხარის გადახეხილი ქედის ფერი, ტიტველი გორაკები ზარმაცად დაყრილან ხვატში და თვლემით დასცქერიან ლეღვთა ხევის კლდოვან, ამომშრალ კალაპოტს. ძალიან მალე გაიშინაურა და გაიშინაგანა ეს მიდამოები მირზამ, მაგრამ ყველაზე მეტ შთაგონებასა და იდუმალ სიხარულს მაინც მთაწმინდის პანთეონში ასვლა მგვრიდა ხოლმე. ერთხელაც იყო, კრძალვით შეაღო რკინის მძიმე ჭიშკარი და ინატრა: ნეტავ სხვა არავინ დამხვდესო, მარტოობა და ჩაღრმავებული ფიქრი ეწადა, დიდ წინაპართა სძვალეების უჩუმარი მილაციცება. იმსანად ხალვათობა იყო მთაწმინდაზე, ვაჟა-ფშაველა ორიოდე წლის გადმოსვენებული გახლდათ დიღუბის პანთეონიდან, გალაკტიონს ცხოვრებისა და შემოქმედების ვრცელი გზა ედო წინ და ერის ბეშმარიტი ნება თუ იქნებოდა, სხვას არც არავის მიუჩენდა აქ „სამუდამო განსასვენსა ალაგსა" ძალიან, ძალიან დიდ ხანს... ილიაზე „მტირალი საქართველო" ინახულა ჭაბუკმა. იქვე, ახლოს, არცთუ დიდი ხნის წინ დაკრძალული სულმნათი მოხუცის, ვასილ ბარნოვის საფლავს მოუხარა ქედი, დავით კლდიაშვილსა და აკაკის განსასვენებელთ ფიუალერსა ნოწიწებული მზერით, ხოლო ვაჟას საფლავთან ჭირისუფალივით იდგა კაი ხანს. ბოლოს ბარათაშვილის ნეშტთან დაიმუხლა. იჯდა, დასცქეროდა მზვარეში გაწოლილ დიდ ქალაქს და განუწყვეტლად უხმიანდებოდა ერთი ხაოცარი ლექსის სტრიქონები: „ვისი ხმა არის ეს საკვირველი? რად აქვს გულს ესე ჩუმი ნაღველი? რა ვსცან პირველად წუთისოფელი, დავშთე ადგილი, სადაც წრფელი ტბიოდა ნათლად დრო ყმაწვილობის სწორთა, თანაზრდილთა, მეგობართ შორის, — მას აქეთ ხმა რომ თან სდევს ყოველთა ჩემთა ზრახვათა და საწადელთა! ცხადად თუ სიზმრად, იგი მე მარად სულ ერთსა მიწვრთნის გულისა ჭირად: „ეძიე, ყრმაო, შენ მხვედრი შენი, ვინძლო იპოვნო შენი ხაშვენი! მაგრამ მე ხვედრსა ჩემსა ვერ ვჰპოვებ და მით კაეშანს ვერღა ვიშორებ! ნუთუ ხმა ესე არს ხმა დევნისა შეუწყალისა სინიდისისა?.. მაგრამ მე ჩემში ვერ ვჰპოვებ ავსა, მისს საშფოთველოს და საქენჯნავსა! ნგელოზი ხარ, მფარველი ჩემი, ან თუ ეშმაკი, მაცთური ჩემი, ვინცა ხარ, მარქვი, რას მომისწავებ? სიცოცხლეს ჩემსას რას განუმზადებ? როს ვსცნა მე შენი საიდუმლობა? როს მხვდეს ამქვეყნად ჩემი წილობა:"... არა, არ ეჩვენებოდა მირზას, ნამდვილად არ ეჩვენებოდა: ნამდვილად ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქო თვითონ იყო ამ ლექსის ავტორი, იმდენად ესადაგებოდა ლექსის განწყობილება მის ამ ყამინდელ სულიერ ვითარებას. ეაბი სიყმაწვილისა დასრულდა! ახლა ის თბილისს დასცქეროდა შიშითა და თრთოლვით და გრძნობდა მკაფიოდ: ან უნდა ეპოვნა საკუთარი ადგილი ამ უზარმაზარ, ჭრელ, მრავალფეროვან ქალაქში, ანდა „ამქვეყნად საკუთარ წილობაზე" ოცნებაც ზედმეტი იყო. ხოლო როგორ იპოვნიდა ადგილს საკუთარს? მზე ჩასასვლელად მიიდრიკა. მიდამომ, თითქო რაღაც იდუმალის მოლოდინში, სული შეიკმო და გაირინდა. ნიავიც არ იძვროდა. ცაზე მეჩხრად ამეუტდნენ ვარსკვლავები. ცოტაც და, მობრძანდა ღამე. და მირზამ გაიგონა, აშკარად გაიგონა ილიას მონოლიტური ხმა: „ჩვენი თავი ჩვენადვე უნდა გვეყუდნეს!" „სისხლით შევლებავ ჭაღარას!" — გამოეხმიანა აკაკი. „კარგ ყმად ვინა ვთქვათ, ვაჟებო, ნათქვამი არა გვრცხვენოდეს?" — გამომკიოდა ვაჟა. „რომ ჩემს შემდგომად მოძმესა ჩემსა სავალი გზისა გაუადვილდეს!" — ჩურჩულებდა კოვლი „სტოლნაჩალნიკი" მოცახცახე ხმით... აი, თურმე რა იყო მარადეთიკური, მამულიშვილური და ინტელიქტუალური ღირებულებანი, გულისფიცარზე სამარადჟამო ალბეჭდვა რომ ხამდა ყოველი ქართველისათვის... და მირზა მიხვდა ამას! როგორღაც შინაგანი განთავისუფლება იგრძნო, წამოდგა, ბკლავები გასაფრენად გამზადებულივით გაშალა და ქვემოთ გართხმულ, მირიადი ყვითელი წერტილებით გადაბრდღვიალებულ ქალაქს ჩახძახა: „თბილისო, ჩემო ძვირფასო, მოვდივარ და დამხვდი".

2.

იმსანად, როცა მირზა გელოვანი თბილისს გადმოვიდა, (1936), ერთობილ საქართველოში წმინდა წყლის ლიტერატურული ორგანო მხოლოდ სამი იყო: გაზეთი „ლიტერატურული საქართველო", ჟურნალი „მნათობი" და „ჩვენი თაობა". რაღა თქმა უნდა, მხატვრული მასალა (კრიტიკული ნააზრევი — განსაკუთრებით), სხვა ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზეც იბეჭდებოდა (მაგ: „კომუნისტი", „ახალგაზრდა კომუნისტი"...), მაგრამ ქართული მწერლობის პროფილის გამოკვეთა მაინც ზემონახსენებ ორგანოებს ჰქონდათ ნაკისრები. წარსულს ჩაბარდა ის დრო, ჩვენი საუკუნის ათიანი და ოციანი წლები, როცა გამოდიოდა „საქართველოს სამრეკლო", „შვიდი მნათობი", „პრომეთე", „ილიონი", „მშვილდოსანი", „ხომალდი", „მეოცნებე ნიამორები", „ქართული მწერლობა", „კავკასიონი", „ახალი კავკასიო-

ნი", „ლომისი" (ეს მხოლოდ ჟურნალები!) და სხვა. როგორც ცნობილია, 1932 წელს, პარტიის საკავშირო ცენტრალური კომიტეტის მიერ მიღებული დადგენილების ძალით, ლიტერატურაში ერთხელ და სამუდამოდ მოეღო ბოლო განკერძოებასა და ჯგუფობრიობას, აგრეთვე, ძალზე საშიშარ ბაცილას ვულგარული სოციოლოგიზმისას. შეიქმნა საბჭოთა მწერლების ერთიანი ფრონტი, რისი ნათელი დადასტურებაც იყო 1934 წელს ჩატარებული I სრულიად საკავშირო ყრილობა მაქსიმ გორკის მეთაურობით. ისიც კარგადაა ცნობილი, თუ როგორი აღიარება მოიპოვა ყრილობაზე მრავალსაუკუნოვანმა ქართულმა მწერლობამ მალაქია ტოროშელიძის ორსაათნახევრიანი მოხსენების შემდეგ. და თუმცა ეს მოხსენება საკმაოდ იყო გაჯერებული ვულგარული სოციოლოგიზმის მწუთხე წყლით, მსმენელთათვის მაინც აშკარა გახდა, რომ საქმე ჰქონდათ მსოფლიოს ერთა შორის უძველესი ენის, კულტურისა და მხატვრული აზროვნების ხალხთან, რისი ნათელი დასტურიც იყო მეორე დღეს სხდომათა დარბაზში გამოკიდული დიდი პორტრეტი რუსთაველისა! მწერალთა პირველი ყრილობით საბოლოოდ დაედო მიჯნა რევოლუციამდელ და რევოლუციის შემდეგდროინდელ ინერციას — როცა ყველას, მეტ-ნაკლებად, შეეძლო ის ეთქვა, დაეწერა და დაებეჭდა, რაც საჭიროდ მიიჩნდა. ამიერიდან პარტია სრულიად არაორაზროვნად ეუბნებოდა კალმის ოსტატებს, რომ საბჭოთა მწერლობის ერთადერთი მხატვრული მეთოდი არის სოციალისტური რეალიზმი, ხოდო ერთადერთი სანუკვარი მიზანი — კომუნიზმის აშენებისათვის თავდაუზოგავი ბძოლა. ბოლო მოეღო ყოველგვარ „იზმებს" ლიტერატურაში და ხელოვნებაში, ერთი „იზმის" გარდა! მეთოდი გარკვეული იყო, მიზანი ხომ გარკვეული და გარკვეული. რაზე წერდა, რას აქვეყნებდა ზემოხსენებული დროის ქართული ლიტერატურული და არამარტო ლიტერატურული პრესა? უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, რას კითხულობდა მარზა გელოვანი იმდროინდელ პრესაში? მოდი, თვალი გადავავლოთ 1936 წლის „კომუნისტის" ჩაყვითლებულ ფურცლებს:

დღეს, 6 ივლისს, დიდი სადღესასწაულო პროგრამა მიძღვნილი — სსრ კავშირის კონსტიტუციისათვის — ღია ესტრადაზე გაძლიერებული პროგრამა.

მუსიკ-ჰოლი, მონაწილეობენ:

სერგეევა — ტოსკინა (გველების ცეკვა)
მარდვინოვა — ტოროპკოვა (მხიარული ცეკვა)
ქეთო ჯაფარიძე (ძველ ბოშურ სიმღერა-შემს.)
კავალჩუკი (ფიქრების გამოცნობა მანძილზე)
რაპიტო (სსრ კავშირის საუკეთესო ჟონგლიორი)
20 გერლხი (ტანგო, ფოქსტროტი)

დასაწყისი 9 ს. 20 წუთზე. შესვლა 1 მან.

ეს, რაც შეეხება ფილარმონიას. წარმოდგენილი მაქვს როგორ ავსებდნენ დარბაზს გრძელი, გამოყვანილკაბიანი და ბერეტიანი ქალიშვილები, აგრეთვე, ჩაშვებულ „უკრაინკაზე" ფუნჯისქამარმორტყმული, თეთრი „რაგოჟის" ფეხსაცმლიანი ვაჟები და მოუთმენლად ელოდნენ „ფიქრების მანძილზე გამომცნობის", ვინმე კავალჩუკის სცენაზე გამოჩენას. ვინ იცის, იქნებ მირზაც იყო მათ შორის? ხომ ცხადია, ამგვარ „გაძლიერებულ პროგრამას" თიანეთში იგი ვერ იხილავდა! კინოთეატრ „ოქტომბერში" გადის „უკანასკნელი ბანაკი" ცნობილი ლიალია ჩორნაიას მონაწილეობით, ხოლო „ეთერში" — „სრულიად ახალი ეგზემპ. ხმოვანი ფილმი — „პეპო". აირჩიე, სულო და გულო... რამდენიმე ნომრის შემდეგ გაზეთი იუწყება, რომ გაისად სრულდება 100 წელი ქართული ლიტერატურის დიდი კლასიკოსის ილია ჭავჭავაძის დაბადებიდან და რომ ამასთან დაკავშირებით შექმნილია საიუბილეო კომისია შემდეგი შემადგენლობით, მ. ტოროშელაძე (თავმჯ.), პ. აღნიაშვილი, აკ. თათარიშვილი, ვ. მირცხულავა, ნ. კიკნაძე (სახელგამი), კ. გორდელაძე (აკადემიის ფილიალი), ალ. მაშაშვილი, გ. ლეონიძე (მდივანი), დ. დემეტრაძე, მ. ჯავახიშვილი, ს. შანშიაშვილი, პ. საყვარელიძე, ი. გრიშაშვილი... ამ ერთი შეხედვით სრულიად უწყინარსა და ყველა ნორმალური ქართველისათვის სასიამოვნო ინფორმაციას, შეუძლებელია იმდროინდელ საზოგადოებაში და, განსაკუთრებით ლიტერატურულ წრეებში, მითქმა-მოთქმა არ გამოეწვია. საქმე ის გახლავთ, რომ ერის წამებული მამა მაშინ ზოგიერთის მიერ „რეაქციონერის" სახელით იყო მონათლული.

აი, რას წერდა, მაგალითად, ერთი კრიტიკოსი: „ილია რეაქციონერი იყო არამარტო მსოფლმხედველობით, არამედ თემატურადაც. მან სავსებით გვერდი აუარა ისეთ თემებს, რომლებიც ჯერ კიდევ ლავრენტი არდაზიანმა და დანიელ ჭონქაძემ შეამჩნიეს". ახლა კი, უცებ, რესპუბლიკის პირველი გაზეთი ილიას იუბილესათვის მზადებას იუწყებოდა. ამის შემდეგ უკვე ეჭვი აღარ რჩებოდა, რომ დღეს თუ ხვალ, განახლების ქარს უნდა დაექროლა. ოდნავ გადავუსწრებ მოვლენებს და ბარემ აქვე მოგახსენებთ, რომ ჭერმაშიტების ქარმა

თეიმურაზ მაღლაფერიძე
ცხრაკბარა

მართლაც მძლავრად დაუბერა მას შემდეგ, რაც გაზეთ „პრავდაში“ ასეთი ფრაზა დაისტამბა: „ილია ჭავჭავაძე XIX საუკუნის მეორე ნახევრის ნაციონალურ-რევოლუციური მოძრაობის უაღრესად პოპულარული მოღვაწეა“. ეს რაც შეეხება მის მსოფლმხედველობრივ ასპექტებს, თორემ ილია რომ დიდი მხატვარი იყო, ამის უარყოფა თვით ყველაზე კბილდახრჩენილმა მტრებმაც ვერ მოახერხეს... „კომუნისტის“ იმავე ნომერში, სადაც „პრავდის“ ხსენებული გამონათქვამი გადმოიბეჭდა, გამოქვეყნდა საიმდროოდ ცნობილი კრიტიკოსის — ბენიტო ბუაჩიძის ვრცელი წერილი „ილია ჭავჭავაძე და სოციალისტური ეპოქა“, სადაც არსებითად სწორად არის შეფასებული ერის მამისა და სინდისის მხატვრული და არამარტო მხატვრული მემკვიდრეობა. აღსანიშნავია, რომ ამავე წერილში საკმაოდ მკაცრადაა გაკრიტიკებული ვულგარული შეხედულებანი ლიტერატურაზე. შეხედულებანი, რომლებმაც თავის დროზე, დიდი ზიანი მოუტანა ქართული საზოგადოებრივი აზრის ნორმალურ განვითარებას. ბ. ბუაჩიძის წერილით დაიწყო, თუ შეიძლება ითქვას, ილიას ოფიციალური აღორძინება, თორემ ისე, ასაღორძინებელი რა სჭირდა ილიას, იგი ხომ იმ კერპთა რიცხვს მიეკუთვნება, რომლებიც არასოდეს ემხობიან, რამეთუ ერის სულში დგანან ძეგლებად. დიახ, ილიას ოფიციალური აღორძინება დაიწყო, მაგრამ მომდევნო წელს გამართულ დიდ იუბილეს მისას, „მიზეზისა გამო სხვათა და სხვათა“, ვეღარ დაესწრო ვეღარც ბ. ბუაჩიძე და ვეღარც საიუბილეო კომისიის ერთი ნაწილი.

რუსთაველის თეატრში დიდის წარმატებით მიდიოდა „არსენა“ ა. ვასაძის დადგმით. არსენას როლს ხორავა ასრულებდა. რეცენზენტები — ტიციან ტაბიძე, არჩილ ჯაჯანაშვილი და სხვები, საქებურ სიტყვებს არ იშურებდნენ. თეატრი იმ გზაზე მიაბიჯებდა და იმკიდა დაფნებს, რომელიც თავის დროზე სანდრო ახმეტელმა გაჭკვალა; სულს სიხარულით უვსებდა ჭაბუკს და სისხლს უჩქროლებდა ჩკალოვის, ბაიდუკოვისა და ბელიაკოვის გმირობა, რომელზედაც მაშინ ძალზე ბევრს წერდა პრესა. ამ ლომგულა ვაჟკაცებმა თვითმფრინავ „ანტ-25“-ით ჩრდილოეთ პოლუსს გადაუარეს და ძირსდაუშვებლად ჩაფრინდნენ ამერიკის შეერთებულ შტატებში. ეს იყო ადამიანის გონებისა და ნების საიმდროოდ უმაგალითო გამარჯვება სტიქიაზე და მირზა იმდენად იყო შეძრული ამ ამბით, რომ ერთხანს ფიქრობდა კიდეც — საფრენოსნო სკოლაში ხომ არ შევიდეო... ამავე ხანებში გამოიცა და დაუყოვნებლივ ითარგმნა ქართულად ნიკოლოზ ოსტროვსკის უკვდავი წიგნი „როგორ იწრთობოდა ფოლადი“, რომელზედაც ვრცელი რეცენზია მოათავსა „კომუნისტმა“. მირზამ აღარც კი იცოდა, უკვე რამდენჯერ ჰქონდა წაკითხული ეს წიგნი და აღგილები, ჩვეულებისამებრ, ზეპირად დამახსოვრებული ხსენებულმა წიგნმა წარუხოცელი კვალი დააჩნია მის სულს. იმდენად სერიოზული, რომ ერმე დიდ ხანს ფიქრობდა მსგავსი წიგნის ქართულად დაწერის აუცილებლობაზე და სწორედ ამ ფიქრების ანარეკლი უნდა იყოს მოგვიანებით ხარკოვიდან გამოგზავნილი ბარათი, რომლის ადრესატიც რუსუდანი გახლავთ: „მთავარი, რაც ამ წერილში მინდოდა მოგეწერა, ის არის რომ ჩემს თავთან დავდე პირობა: დაბრუნებამდე დავწერო წიგნი, რომელიც იქნება გამომშვიდობება ყველაფერთან, რაც ასე აღელვებდა ჩემს ახალგაზრდობას, რომელსაც ექნება ჩემი თაობის ყველა ხასიათი და იდეა. მე უკვე დავწერე ზოგი რამ იმ მცირე დროში, რომელსაც ვპოულობ. ვწერ, დასვენებაზე, ვწერ ძილის წინ, ან კრებებზე, თუ ისეთ ადგილზე მოვახერხე დაჯდომა, თავმჯდომარემ რომ ვერ შემნიშნოს. ვწერ დღიურად დგომისას — დაღლილი და უძილო. და გეფიცები, თუ კარგად ვიქენი, თუ გადავრჩი, ჩამოსვლისას წაგიკითხო ჩემი პირველი სერიოზული წიგნი“... დამეთანხმეთ, რომ ეს პატარა ნაწყვეტი, შეუპოვარი განწყობილებითა და ინტონაციით ენათესავება პავკა კორჩაგინის უტეხი სულის მდუღარებას. და რაოდენ სამწუხაროა, რომ წიგნის მხოლოდ სამიოდე ფრაგმენტმა მოაღწია ჩვენამდე. ამავე ხანებში ჩნდება გაზეთის ფურცლებზე და მერმე კარგა ხანს გრძელდება ცნობები ესპანეთის სამოქალაქო ომის შესახებ. მთელი მსოფლიოს ყურადღების ცენტრში ექცევა დოლორეს იბარური — პასიონარიას (ბობოქარს ნიშნავს), მანუელ ასანიას, ლარგო კაბალიეროს სახელები, ფედერიკო გარსია ლორკა, რაფაელ ალბერტი და გენერალი ლუკაჩი... „პრავდა“ აქვეყნებს მიხეილ კოლცოვისა და ილია ერენბურგის ცეცხლოვან რეპორტაჟებს... ისახება და მალე დაიწერება კიდეც ერნესტ ჰემინგუეის წიგნი „ვის უხმობს ზარი“... „დაო დოლორეს, ძმებო ბასკებო!“ — ლექსად იღვრება ტიციან ტაბიძე. „მე თქვენი სულის სუნთქვა მახელებს და თქვენი გზების მძლავრი გუგუნი!“ — დასწერს მირზა მოგვიანებით მათე ზალკასადმი (გენერალი ლუკაჩი) მიძღვნილ ლექსში. აწეული მუშტი, „ბანდერა როსა“ და „ნო პასარან“ მსოფლიოს ყველა სინდისიერი ადამიანის პაროლი ხდება. საბჭოთა ბიჭები მასიურად მიიპარებიან ესპანეთისაკენ რესპუბლიკელთა დასახმარებლად და წესრიგის დამცველნი ვერ აუდიან მათ სახლებში დაბრუნებას. პლანეტა ფეხმძიმედაა... მის საშოში უზარმაზარი ომის ურჩხული იშმუშნება. საცაა დაიწყება მშობიარობა და ეს მშობიარობა საშინლად მტკივნეული იქნება — ლამის თან გადაიტანს მშობელს! „მსოფლიო... მსოფლიო... მსოფლიო... მსოფლიო ნგრევათა

კვლავ მოწმე გავხდებით!“ — ყვირის გალაკტიონი. „ფიურერს“ მკლავი რომელი პატრიციტით გაუშვერია და კბილებამდე შეიარაღებულ დივიზიებს საღმრთო ომისაკენ მოუწოდებს. „დრანგ ნახ ოსტენ!“ „დუჩე“ بენიტო მუსოლინი აბისინიის დაპყრობაზე ჩალიჩობს... გაზეთის ერთ-ერთ ნომერში ქვეყნდება შეიარაღებულ ძალთა სახკომის — ვოროშილოვის სიტყვა კიევის ოლქის სარდლობასთან შეხვედრისას. ამ სიტყვიდან აშკარად ჩანს, რომ მოახლოვებულია დიდი ომის შავი აჩრდილი. „მსოფლიო ნგრევათა კვლავ მოწმე გავხდებით“, — ყვირის გალაკტიონი, მაგრამ ვიდრე-მდის ეს მომხდარა, ისეთ პატარა ქვეყანაში, როგორიც საქართველოა, მსოფლიო რადიუსის პულსაცია არცთუ გამოკვეთილად იგრძნობა და ცხოვრებაც თავის გზით, თანაბარზომიერი რიტმით მიედინება. მაგალითად, „ლიტერატურული გაზეთის“ ერთ-ერთ ნომერში (1936 № 20), ასეთი ცნობაა გამოქვეყნებული:

ДИСКУССИЯ:

„ЛАШАУРИ САЛАМОЕБЗЕ“

5 დეკემბერს, საღამოს, დაიწყება დისკუსია რ. გვეტაძის რომანზე „ლაშაური საღამოები“. მომხსენებელი მიხ. ჯავახიშვილი.

იმავე ნომერში დაბეჭდილია საკმაოდ ვრცელი წერილი მავანი კრიტიკოსისა, რომელიც „ლაშაური საღამოების“ განჩხრეკასა და დაფასებას ისახავდა მიზნად. მიუხედავად იმისა, რომ საიმდროოდ ვულგარული სოციოლოგიზმი დაგმობილი და უკუგდებული იყო, წერილში მაინც მძლავრად იგრძნობა მისი ანარეკლი. საქმეში ჩაუხედავ მკითხველს ისეთი შთაბეჭდილება დარჩება, თითქოს გონებამახვილ კრიტიკოსს მწერალი დიდ დანაშაულში გამოეჭიროს და ახლა მისი ლაზათიანი გაროზგვა (ანრამე უარესი!) დიდად სასარგებლო ღონისძიება იქნებოდა. ერთი კია, ამას ვერ დავუკარგავთ, ოცდაათიანი წლების ნიშატი კრიტიკოსს საკმაოდ ზუსტად აქვს ფორმულირებული. იგი წერს: „დროის ის მონაკვეთი, რომელიც აღებულია „ლაშაური საღამოების“ ფონად, არის ჩვენი სინამდვილის შესანიშნავი წლები. ეს არის დრო პირველი ხუთწლედის დამთავრებისა და მეორე ხუთწლედის დაწყებისა. ეს არის ის დრო, როცა ჩვენში, საქართველოში თავდება რიონჰესის, ფერომარგანეცის ქარხნისა და მრავალი სხვა სამრეწველო საწარმოს მშენებლობა, რკინიგზის ელექტრიფიკაცია, როცა მიმდინარეობს ჭიათურის, ტყიბულის მაღაროების რეკონსტრუქცია, იწყება გრანდიოზული მუშაობა კოლხიდის ჭაობების ამოსაშრობად, როცა გლეხური მოსახლეობის თითქმის ნახევარს კოლმეურნეობები აერთიანებენ, როცა სწრაფი ტემპით მიმდინარეობს სოფლის მეურნეობის მექანიზაცია, ფეხს იკიდებს აგროტექნიკა, როცა შავი ზღვის სანაპიროები იმოსებიან ჩაისა და სუბტროპიკულ მეურნეობის პლანტაციებით, როცა საქართველო ხდება წერა-კითხვის მთლიანი მცოდნეობის რესპუბლიკად. ახალ სოფელს ათასობით ეზრდებიან ტრაქტორისტები, აგრონომები, ზოოტექნიკოსები, როცა სოფელსა და ქალაქს აზვირთებულ ტალღად მოედო სოციალისტური შეჯიბრება, როცა ყოველი რაიონი თავისი საკუთარი გაზეთის გამოშვებას იწყებს, როცა ჩვენში ერთიმეორეზე იხსნება სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებანი და იზრდება საქართველოს მეურნეობა, მწერლობა, ხელოვნება“... ზემორე ნაწყვეტის აქ მოხმობა ორი მიზნით არის გაპირობებული: პირველი ის გახლავთ, რომ ციტატაში მშვენივრად იგრძნობა ე. წ. დროის სურნელი, ეს ყოველივე მართლაც ასე იყო, რის გახსენებაც ალბათ არ იქნებოდა ზედმეტი პატივცემული მკითხველისათვის და მეორე: კრიტიკოსმა ლამის ჯვარს აცვას რ. გვეტაძე, „ლაშაურ საღამოებში“ რატომ არ ასახე ეს გრანდიოზული მოვლენებიო.

მირზამ გულის კანკალით დაიწყო სტატიის კითხვა. გამოტეხილი ჯობია, ქვეცნობიერად ელოდა, უფრო ზუსტად, უნდოდა, რომ მის „თეთრ მიწაზეც“ ყოფილიყო ნათქვამი თუნდაც ორიოდე სიტყვა, მაგრამ კითხვის პროცესში სურვილი გადაავიწყდა, სამაგიეროდ, კრიტიკოსის აბეზარმა ტონმა გააღიზიანა. ყოველივე ეს ბეზღობასა და პირად ანგარიშსწორებას უფრო ჰგავდა. მირზას მოსწონდა „ლაშაური საღამოები“. მის აწყვეტილ ახალგაზრდულ ფანტაზიას უხვ საკვებს აწვდიდა და აღაგზნებდა ილიას, ჩაფხან დადეშქელიანისა თუ ტატაშ ხვარის რომანტიული თავგადასავალი, უცნობი ქალის, იგივე ზეინაბის, ტრაგიკული ცხოვრების ეპიზოდები... საერთოდ, რომანი ჯანსაღ ეთიკას ეფუძნებოდა და ამკვიდრებდა. მაშ, სხვა რაღა იყო საჭირო? მაგრამ, ალბათ არსებობს კიდევ რაღაც სხვა, ჭაბუკისათვის უცნობი საზომები ნაწარმოების შეფასებისა და აი, იმას უნდა მისწვდეს, ის უნდა გაიგოს აუცილებლად! ამიტომაც იყო, რომ მოუთმენლად დაუწყო მომდევნო კვირას ლოდინი — როცა „ლაშაურ საღამოებზე“ დისკუსია გაიმართებოდა. მოხსენებას აკი მიხეილ ჯავახიშვილი აკეთებდა, ხოლო მისი ისევე სჯეროდა მირზას, როგორც ღმერთი საბაოთისა — მორწმუნე ებრაელს...

3.

საღამოს შვიდი საათისათვის მწერალთა სასახლის არცთუ დიდმა დარბაზმა შევსება იწყო.

თეიმურაზ მაღლაფერიძე
ცხრაკარა

მირზა მორიდებით გაერია მოფუსფუსე ხალხში. ამ დროისათვის, გარდა „თეთრი მიწისა", მშვენიერი ბალადა „ცხენის ტირილიც" იყო დასტამბული „ჩვენ თაობაში" და მას თითქო უკვე ჰქონდა ერთგვარი უფლება თავისუფლად ყოფილიყო მწერლებსა და პოეტებს შორის, მაგრამ, რაღა თქმა უნდა, სრულიადაც ვერ სარგებლობდა ამ უფლებით, ძალზე უხერხულად გრძნობდა თავს და კვლავ გრიგოლ ცეცხლაძე რომ არ გამოსჩენოდა მფარველად, იქნებ უჩუმრად გაპარულიყო კიდეც. გრიგოლმა, ამ სათნოებითა და სიკეთით სავსე კაცმა, შეახალისა, ბეჭებზე მკლავი მოჰხვია, დარბაზში შეიყვანა და გვერდით მოისვა... გამოჩნდა ტიციან ტაბიძე, პიჯაკის ლაცკანში განუშორებელი წითელი მიხაკი ჰქონდა ჩამაგრებული. დაბალი იყო, სრული, ჭაბუკური სიკისკასე უკვე დაჰკარგოდა, მაგრამ შუბლზე ჩამოვარცხნილი სწორი, თხელი თმა, დიდრონი, ცისფერი თვალები და მსხვილი, ვნებიანი ტუჩები თითქო დაუმთავრებელ — ბავშვურ იერს ანიჭებდა. ზუსტად მირზას წინ დაიკავა ადგილი, გააბოლა და საოცრად ნატიფ თითებში პაპიროსი ისეთი ბუნებრივი არტისტიზმით დაიკავა, რომ საცქერლად მარტო ეს კმაროდა. უნზერდა მირზა, უმზერდა და ფიქრობდა: „როგორ მიყვარხარ, ნეტა იცოდე, როგორ მიყვარხარ"... მობრძანადა შალვა დადიანი — ულამაზესი რაინდი და ჯენტლმენი. ლეო ქიაჩელი — დიდი, ოდნავ ზოზინა, იღლიაში ტყავის გაქუცული პორტფელით, სათვალის სქელი მინებიდან კეთილი, დაბნეული მზერით რომ იყურებოდა... ამასობაში მომიჯნავე ოთახიდან მიხეილ ჯავახიშვილი, რაჟდენ გვეტაძე და ბესო ყღენტი გამოვიდნენ, პრეზიდიუმის მაგიდას მიუსხდნენ, ამ უკანასკნელმა დისკუსია გახსნა და სიტყვა მოხსენებისათვის მიხეილ ჯავახიშვილს მისცა. მიხეილი გამხდარი იყო, ძარღვიანი, ნაყვავილარი სახე და მაღალი შუბლი ჰქონდა, მოკლედ შეკრეჭილ ულვაშსა და ნიკაპზე დატოვებულ პაწია წვერს, „ბლანჟეს" ატარებდა, ხოლო მისი მახვილი, ბასრი მზერა, ყოველივეს აღმქმელი და სულის ცხრაკლიტულში შემაღწევარი, დროდადრო თითქო ეკლებივით ჩხვლეტდა მსმენელებს სწორ ცხვირზე წამოსკუპებული პენსნეს მიღმიდან. თუმცა ამას უთუოდ ისიც უწყობდა ხელს, რომ პენსნეს მინები ჭაღის შუქს ირეკლავდა...

„ლაშაური საღამოების" მოცულობა „თეოზე" და „ჭიაკოკონაზე" ორჯერ უფრო ნაკლებია, იგი სულ 6 ფორმაა, სამაგიეროდ, მისი ფორმალურ-ნხატვრული წონა ორჯერ უფრო მეტია", — დაიწყო ჩვეული, სხარტი სტილით მიხეილმა, მერმე ჟანრის თავისებურებაზე ჩამოაჯდო სიტყვა, „ათას ერთი ღამე" და ბოკაჩიოს „დეკამერონი" გაიხსენა და ისევ რაჟდენ გვეტაძეს დაუბრუნდა. საბჭოთა მწერლობამ ახალი ადამიანი ინდივიდუალურ და სოციალურ კონკრეტობაში ე. ი. სოციალიზმის მშენებლობაში უნდა გვიჩვენოს, მკითხველს ამ დიდი ეპოქის თანაბარი რომანი სჭირდება. უწინდელი რეალისტი მწერლები (სერვანტესი, ბალზაკი, შექსპირი, ტოლსტოი, ჭავჭავაძე) იმდროინდელ პრობლემებს თამამად აყენებდნენ და თამამადვე გადასჭრიდნენ ხოლმე. სოციალისტური რეალიზმის თვალსაზრისით გვეტაძის რომანში ჩვენი სინამდვილის ფართო საზოგადოებრივ პანორამას ვერ იპოვნით (თუმცა რომანის მანძილზე დღევანდელობა მაინც საკმაოდ მოიპოვება), ხოლო კლასიკურ-ეპიკური რომანის თვალსაზრისით „ლაშაური საღამოების" კონსტრუქცია დაფანტულია. რომანში ჩაქსოვილი ნოველები უბრალო შემთხვევებზეა აგებული"...

მირზა ცდილობს მთელი არსებით უსმინოს, მაგრამ ნება-უნებლიეთ ეფანტება ყურადღება. ღია კარებში „ჩვენთაობელი" პოეტები — მალალი, ელეგანტური, ახალ პიჯაკში კოხტად გამოწყობილი ალიოშა საჯაია და გაბრიელ ჯაბუშანური შენიშნა. მაშინ ისინი უკვე საკმაოდ იყვნენ აღიარებულნი და გაშინაურებულნი ლიტერატურულ წრეებში. მირზა კი რა? ორიოდე მჭლე ლექსი აქვს გამოქვეყნებული, ეგაა და ეგ. გული ჩასწყდა. შესაძლებელი რომ ყოფილიყო ასეთი რამ, სიხარულით აიხდიდა სარქველს გულისას და გადმოუშვებდა ლექსების ჩანჩქერს, რომ ყველას, ამ დარბაზში მყოფს, ტიციანს, მიხეილ ჯავახიშვილს, ყველას, ყველას, საკუთარი თვალით ეხილა თუ რის შემძლე იყო მირზა... ორატორი კი განაგრძობდა: „რაჟდენ გვეტაძე მოხერხებული ფაბულისტია ამბავისა და სიუჟეტური გაშლის პროპორცია თითქმის ყველგან ზომიერად აქვს დაცული. ზედმეტი, გარეშე მასალით არც ერთ ეპიზოდს არ ტვირთავს". აქ იგი გაჩერდა და ავტორს მიუბრუნდა:

— ბატონო რაჟდენ, სიტყვამ მოიტანა და უნდა შეგეკითხოთ: რეზო გელოვანისა და მისი ლექსის პაწია ეპიზოდი თქვენი შეთხზულია თუ სინამდვილიდან არის აღებული?

— სინამდვილე გახლავთ, ბატონო მიხეილ.

— ეგრეც ვიგუმანე. თუ არ ვცდები, ახლახან „ჩვენ თაობაშიც" ჰქონდა გამოქვეყნებული ერთი ლექსი ამაგ ყმაწვილსა.

— დიახ, ბატონო მიხეილ, „ცხენის ტირილი".

— ჰო, „ცხენის ტირილი". „თეთრი მიწისა" არ იყოს, ისიც კარგია, მომეწონა. მხოლოდ, თქვენი გმირის მსჯელობა ნამეტანი მკაცრი მეჩვენა, ბატონო რაჟდენ. აბა რა ნახეთ „თეთრ მიწაში" დეკადენტური, გეფაყვა? ერთი მოხდენილი სატრფიალო ლექსია, ეგაა და ეგ. რაო, ამ ახალგაზრდებს ახლა მიჯნურობასაც ხომ

არ დავუშლით, კაცო? ვინ არის ეგ ჭაბუკი? სადაურია? სად არის ამყამად?

გრიგოლ ცეცხლაძემ ველარ მოითმინა და ღაიძახა:

— აქ გახლავთ, ბატონო მიხეილ! — მირზას მკლავში მისწვდა, ძალიან წამოაგდო ფეხზე, მთლად ალანძული.

ჯავახიშვილის პენსნეს მინიდან ახლეტილმა მზერამ წამით სულის სიღრმემდე ჩააშუქა ნუკრივით ყელაღერილ, დარცხვენილ ჭაბუკს. მაგრამ მხოლოდ წამით. მწერლურმა ალღომ მაშინვე იყნოსა, ვისთანაც ჰქონდა საქმე და გულსავსედ გაიღიმა:

— აგაშენა ღმერთმა! დაჯექი შვილო, დაბრძანდი! — უთხრა და სიტყვა განაგრძო.

მირზა ისე გრძნობდა თავს, თითქო სკამი გამოაცალეს და ჰაერში გამოკიდული დატოვეს. შინაგანად ცახცახშემდგარ კიდურებს ველარ იმორჩილებდა. დარბაზში მსხდომთა მზერამ — მისკენ მოპყრობილმა, მთლად აუბნია თავგზა. მერმე ერთმანეთში უფორმოდ არეულ სახეთა შორის ერთი გამოირჩა და გამოიკვეთა: ტიციან ტაბიძე! უღიმოდა ნათელი ბავშვური ღიმილით და ხელს უწვდიდა წინა რიგიდან:

— გამარჯობა შენი, მე ტიციან ტაბიძე ვარ.

— ვიცი ბატონო, — წაილუღლუღებს მირზა და გაუბედავად მოუჭერს ხელს თბილ, ოდნავ დონდლო მარჯვენაზე. „გამარჯობა შენი, მე ტიციან ტაბიძე ვარ", — ეს გულითადად ნათქვამი, სადა სიტყვები მთელი სიცოცხლის მანძილზე დაამახსოვრდება მირზას და ხშირადაც გაახსენდება ლხინისა თუ შეჭირვების ჟამს. ხოლო როცა ტიციანი ტრაგიკულად აღესრულება, მწარე ნაღველით გამსჭვალულ ლექსსაც დასწერს.

დარბაზის ყურადღებამ კვლავ მომხსენებლისაკენ გადაინაცვლა. იგი განაგრძობს: „ავტორს საშუალება ჰქონდა ფუნჯი ხალვათად მოექნია და მეტად ფართო ეპიკური ტილო დაეხატა. მაგრამ მან ეს შემთხვევა სავსებით ვერ გამოიყენა. რატომ? რა მოხდა? ჯერ ერთი ის მოხდა, რომ ავტორმა ეპიკურ-სოციალური თემა აიღო და ლირიკულად კი გადასწრა. აი, რატომ ვარქმევ „ლაშაურ საღამოებს" ტრაგიკულ-ლირიულ რომანს, ლირიკოსი პოეტი ტრაგიკულ შემთხვევას უთვალთვალებს და ეპიკურ მასალას ლირიკულად გრძნობს და ლირიკულად ჰსახავს"

ყოველივე ზემოთქმულის გაგონება და კარგად გააზრიანება მირზასათვის აუცილებელზე აუცილებელია, რათა საბოლოოდ გაერკვეს რომანის ღირსებასა თუ ზადში, მაგრამ უნებლიეთ ეფანტება ყურადღება. ხუმრობაა? „ჯაყოს ხიზნებისა", „არსენა მარაბდელის" ავტორს ჰხსომებია მისი ლექსები, მოსწონებია კიდეც. ხუმრობაა? ბოლოს, მომხსენებელი რომანის საგაზეთო რეცენზენტს, მავან კრიტიკოსსაც გადასწვდა. ახალგაზრდა კაცი ხარ და დაიმახსოვრე ჩემგანო, ურჩია, ასე გაბორიტებული წერა და მწერლის შრომის ასე გაბიაბრუება არ ეგებისო, რომანს, მართალია, აქვს მხატვრული ნაკლოვანებანი, მაგრამ განა ღირსება კი არ გააჩნიაო? ანდა ვის დაუწერია უნაკლო ნაწარმოები გენიოსების გარდა? ამიტომ, ნაბან წყალს ბავშვებსაც ნუ გადავაყოლებთო... შესვენებაზე ბატონმა მიხეილმა თავისთან ამოიხმო მირზა, დაუყვავა, ასაგალ-დასავალი გამოჰკითხა. სამომავლო მიზნებსა და განზრახვებში ფრთხილად, ტაქტიანად ჩაეზიარა, კმაყოფილი დარჩა და უთხრა: „გვარტომობა ხელს გიწყობს, შვილო, გარეგნობაც და პოეტური ნიჭიც! ღღეიდან, იცოდე, ჩემი ფალავანი იქნები. არც ერთ შენ სტრიქონს წაუკითხავს არ გავუშვებ. ვინძლო თავი არ შეირცხვინო და მეც სირცხვილი არ მაჭამო. თუ რამე დაგჭირდეს, ნუ მომერიდები, მომძებნე!" — უთხრა და თავისი სავიზიტო ბარათი გაუწოდა.

4.

ყოფილი წყნეთის ქუჩის მიდამოები (ამჟამინდელი მელიქიშვილის ქუჩა), ოცდაათიან წლების მიწურულში მჭიდროდ დასახლებული უბანი გახლდათ. უნივერსიტეტის თეორ შენობამდე, აქაურობას, ასე თუ ისე, მაინც ედო ქალაქის იერი, უნივერსიტეტის შემდეგ კი, იწყებოდა წითელი აგურით ნაშენი, კრამიტით დახურული, კოხტა სახლების რიგი, ბოსტნები და ხეხილიანი ეზოები რომ ამშვენებდათ. ასე გრძელდებოდა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტამდე, ხოლო მის შემდგომ ტრიალი, ხრიოკი მინდვრები იშლებოდა. განსაკუთრებით ვიწრო წყნეთის ქუჩა იმ ადგილას იყო, სადაც ახლა სასტუმრო „საქართველო" დგას. აფთიაქი, ფართლეულისა და რკინა-კავეულის მაღაზია, სამკერვალო, თონე და სხვა მრავალი საწვრილმანო დუქან-სახელოსნო ერთმანეთს მჭიდროდ მიხუტებოდნენ. ქუჩაში დახრიგინობდა ცალვაგონიანი ტრამვაი, დაქროდნენ ეტლები. დაპაკუნობდნენ მაწვნის ქილებიანი ვირები და დილიდან საღამომდე გაისმოდა: „მაწო-ონ!" „ყვაილების მიწა", „სტეკლო სტავლიატ — აკოშკი შუშები", „სტარი ვეში ბაკუპაი"... აი, სწორედ აქ, ქართული პურის თონისათვის ერთი ცალფანჯრიანი, ფარღალალა ოთახი მიუდგამთ, სადაც რუსუდანის სწავლის გასრულებისა და თიანეთში დაბრუნების შემდეგ, მირზამ დაიდო ბინა. ოთახს შესასვლელი ეზოდან ჰქონდა. ბნელ, საკუჭნაოს მსგავს სათავსოს გაივლიდი და ვიწრო, ცემენტის იატა-

---

თეიმურაზ მაღლაფერიძე
ცხრაკარა

კიან ოთახში მოხვდებოდი. ოთახი თბებოდა პაწია, მრგვალი ელექტროქურით. საწოლი, მაგიდა, უბრალო ჭურჭლის კარადა და რამდენიმე სკამი, აი, ეს იყო ამ ოთახის მთელი მოწყობილობა. ჰო, კიდევ ფანჯრის წინ აკაციის ტოტებშესხეპილი ხე იდგა. საღამოს ბინდში ქუჩის ტრანსპორტის შუქზე ამ ხის ლანდი იჭრებოდა ოთახში — გადაირბენდა კედლებს და ისევ ქრებოდა. ეს ის ხე გახლავთ, რომელსაც მირზა ასეთ სტრიქონებს მიუძღვნის თავის ერთ-ერთ საუკეთესო ლექსში, „შემოდგომის საღამო“ რომ ეწოდება: „ხესა სცვივა და შემომდაღადებს, მეც მსურს მარტომყოფს ვუშველო რამე: — შემოდი ხეო! აჰა კარს ვაღებ და გაათენე ჩემს სახლში ღამე“. აქ, ამ „ოთახში, დილ-დილაობით განმარტოვდებოდა ხოლმე მირზა და წარმტაც ლექსებად იღვრებოდა მისი ლამაზი სული“ — იგონებს ვახტანგ ბეწუკელი. მართალია, ეს ფრაზა ცოტა „ხმამაღლაა“ დაწერილი, მაგრამ სინამდვილეს მაინც კარგად ირეკლავს: მირზას დილაობით ჰყვარებია მუშაობა. მართლაც, 1936 წელი საკმაოდ ნაყოფიერია მის შემოქმედებაში. ამ თარიღით სულ ორმოცი ლექსია ჩვენამდე მოღწეული, ხოლო მათ შორის რამდენიმე ისეთიც არის, პოეზიის ყველაზე ნატიფ დამფასებელსაც რომ მოხიბლავდა. მოდი, ჩვენც ხსენებული ლექსების მიხედვით ვცადოთ ავტორის სულიერ სამყაროში შეღწევა, იმ გუნება-განწყობილების აღდგენა, რითაც შეძრული იყო პოეტი, ამა თუ იმ ლექსის წერად რომ ჯდებოდა, მით უმეტეს, რომ დიდზე დიდი უმრავლესობა ლექსებისა ავტობიოგრაფიული ჩანს და საშუალებას გვაძლევს „მსხვილი პლანით“ შევხედოთ მათ დამწერს. საინტერესოა „ჩემი გენეალოგია“, სადაც ვკითხულობთ: „ნე არ ვიცი ჩემი გენეალოგია, მაგრამ ვიცი, რომ ჩემს წინაპრებს პოეტის სახელი არც კი გაუგიათ და ლაფნით იბამდნენ შინაურ წრიაპებს. მათი ხელობა ნადირობა იყო აქამდის, ახლა კი მათმა ნაშიერმა რაღაცა ლექსების წერას ხელი მიჰყო, დაღალა თვალები წიგნებზე მშიერმა“. ყველაზე ყურადსაღები ამ სტრიქონებში, ალბათ, მაინც ეს „წიგნებზე დამშეული, დაღლილი თვალებია,“ რაც აშკარად მოწმობს ახალგაზრდა პოეტის გაუნელებელ ინტელექტუალურ წყურვილს. ახლა, რა თქმა უნდა, ძნელია რაიმეს გადაჭრით თქმა იმის თაობაზე, თუ რას და როგორ კითხულობდა იმ პერიოდში მირზა, ჩვენი მიხვედრები ზოგად ვარაუდთა ფარგლებს ვერ გასცილდება, მაგრამ საიმდროოდ მას ისეთ წრეში უხდებოდა ტრიალი, რომ ვარაუდები მთლად უნიადაგოდაც ვერ ჩაითვლება. მოვუსმინოთ პოეტ შალვა ამისულაშვილს: „ხშირად ვხვდებოდით ერთმანეთს ხან მწერალთა კავშირის ბაღში, სადაც თავდავიწყებამდე ვუსმენდით შაშვების ჭახჭახს, ხან კიდევ მწერალთა სასახლის სალონში, სადაც სხვებთან ერთად საჭაშნიკოდ ჩვენც ვკითხულობდით ახალ ლექსებს — ახალგაზრდა პოეტების საკონსულტაციო შეკრებაზე. ამ საინტერესო შეკრებებს ხელმძღვანელობას უწევდა პაოლო იაშვილი. მას მირზა „ივრისპირელ მზეჭაბუკად“ ჰყავდა მონათლული... პაოლოს მიერ შემოწმებულ ლექსებს წინ აღარაფერი ეღობებოდა და მე ოა მირზა ხშირად ვიბეჭდებოდით ჩვენს რეპუბლიკურ ჟურნალ-გაზეთებში, განსაკუთრებით „ჩვენი თაობის“ ფურცლებზე... ერთხელ ელექტროსინათლე ჩაგვიქრა სალონში და ბატონმა პაოლომ კელაპტრები აანთებინა სპილენძის მოვარაყებულ შანდლებში. სარკეებისა და სარკიანი კარადების ფონზე შუქ-ჩრდილის ისეთი მოძრაობა წარმოიშვა, რომ თავი სიზმარში გვეგონა ახალგაზრდებს. ამ დროს სწორედ მირზა გელოვანი კითხულობდა თავის ახალ ლექსებს, ერთი მათგანი, კარგად მახსოვს, იყო „საუბარი იორთან“, ახლაც აონის ზარებივით რეკენ მისი ალალი სტრიქონები: „ვაუამ დალოცა შენი ტალღები, მთიელმა მთიელს გითხრა ლექსები, სადაც მორევში, როგორც ბალღები, ჭყუპალაობენ მურყნის ფესვები“.. კითხულობდა და მოლაპლაპე კელაპტრების შუქზე სალონის კედლები თითქოს თანდათან დნებოდნენ, ილეოდნენ, თვალსაწიერს მეტი ასპარეზი ეძლეოდა, ჩვენც ჩვენივე ჩრდილებიანად თითქოს ვარსკვლავებიან სივრცეს შევუერთდით და ცხადად ვხედავდით ივრის ვერცხლოვან ტალღებს და ტალღებში ბალღებივით მოჭყუმპალავე მურყნის ფესვებს... მირზას არ აკლდა სილამაზე, მაგრამ იგი ნამდვილ მზეჭაბუკს ჰგავდა იმ წუთებში, როცა „ვაუას ეზოში მოკლული ჩხიკვის“ წაკითხვა სთხოვა პოეტმა ვალერიან გაფრინდაშვილმა. სთხოვა და ვალში არ დარჩენილა, მით უმეტეს, მას პაოლო იაშვილმაც აუბა მხარი: „დამკიდეთ ნამის ასი საყურე, გამივსეთ მკერდი ბროლის მძივითა, ცა ჩამოიღეთ, მხრებზე დამხურეთ, ან კლდეს მაჯახეთ არაგვივითა!“.. ეს იყო ახალგაზრდული პოეზიის ნამდვილი ზეიმი“...

აი, ასეთ წრეში უხდებოდა მირზას ყოფნა და უკეთესს, დამწყები პოეტისათვის, მართლაც რომ ვერ ინატრებდა კაცი. ამის მიუხედავად, ამ პერიოდის ლექსები ერთგვარი ჭმუნვითაა გაჯერებული. უნდა ითქვას, რომ მჭმუნვარე ტონი საერთოდ დამახასიათებელია მირზას შემოქმედებისათვის, მაგრამ ეს არის ჭმუნვა კაცისა, რომელიც ცალმხრივად კი არ აღიქვამს ცხოვრებას, მხოლოდ ნათელი, ან მხოლოდ ბნელი ფერებით, არამედ კარგად იცის, რომ ცხოვრება „ერთფერად მტვირთველი არის საქმის თეორისა და შავისა. საცა პირიმზეს ახარებს, იქვე მთხრელია ზვავისა, მაინც კი ლამაზი არის, მაინც სიტურფით ჰყვავისა!“... თვით ისეთი ტრაგიკული ლექსიც კი, როგორი-

ცაა „ღისადმი“, არ არის უსასოობით დამძიმებული და მისი ტრაგიზმი პოეტის უზარმაზარი, გამოუვლინებელი ენერგიის წყვეტებისაგან წარმოსდგება უფრორე. მირზა ასე მიმართავს რუსუდანს: „ახლა მარტო ვარ, შენც შორსა ხარ, და, ვაი მარტოს, როცა წინ გზაა კაცისაგან ხელშეუხები“. პატივცემული მკითხველი უჩემოდაც იოლად მიხვდება, რომ სწორედ ეს სტრიქონია, ამ წიგნის ქვესათაურისათვის შესაფერისად რომ მივიჩნიე. „როცა წინ გზაა კაცისაგან ხელშეუხები“ — ასე ესახებოდა მირზას როგორც ჩანს, თავისი მომავალი ცხოვრება და ბედ-იღბალი. იმ გზებზე უნდოდა ევლო, უტკეპნელი რომ იყო სხვათაგან, ის მთები უნდა დაელახნა, რომლებზედაც ჯერ არავინ ასულიყო, ის წყალი უნდა ესვა, ჯერ რომ არ მიჰკარებია სხვათა ბაგეები. ძნელი იყო ეს, შევაშფოთებელიც, მაგრამ სამაგიეროდ ცხოვრების ნამდვილ გემოს მხოლოდ ასე გაიგებდა კაცი და მირზასაც ნამდვილი გემო ეწადა მხოლოდ. „მე ვდგევარ ცთაში, ცივ ღრუბლებში თავაწეული, ია და ხავსი ჩავიქსოვე აწეწილ თმებში“, — ამბობს იგი ამაყად, — „ავდგები დილით დანამული და ჯანმაგარი, ავასწრებ არწივს, გადავუვლი ხეევბს ხმაურით“... თანდათან, შეუმჩნევლად მოდის სასურველი, მაღალი პოეტური ოსტატობაც: „ეს ხეები კაცებს ჰგვანან თუ კაცები არიან? იქით ფშავის მთები ჩანან, აქეთ ნაქერალია. ნაქერალის მთების ძირში წყარო არის ანკარა... ესიზმრება, თურმე, ძილში, გოგო მოვა პატარა. შესვამს, გულ-მკერდს გაიგრილებს, ათამაშებს ვერცხლის ღილებს“... აღარას ვამბობ უკვე ხსენებულ „ცხენის ტირილზე“ და კიდევ უფრო „საუბარზე იორთან“, აგრეთვე, „წარსულ წლებზე“, „შემოდგომის საღამოზე“ და „ამაღლებაზე“, რომლებიც, ჩემი ღრმა რწმენით, ნამდვილი პოეზიის რანგშია განსახილველი. ასეთია მირზას პოეზია თვალის ერთი გადავლებით თბილისში ჩამოსვლის პირველ წელს, მაგრამ მე განგებ ცალკე შემოვიტოვე ის ციკლი ლექსებისა, რომლებიც ძალუმად ფეთქვენ დამოუკიდებელი სიცოცხლით და რომლებიც აღბეჭდილნი არიან ჩვენთვის ეგზომ ნაცნობი სახელით და გვარით: ნანი ლანდია! ალბათ გახსოვთ, რომ მან ისევე მოულოდნელად მიატოვა თიანეთი, როგორც გამოჩნდა და ჭაბუკ პოეტს ღრმა სევდა დაუტოვა. სევდა, მითვლემილი და ნავლწაფარებული, ჩუმად იღველფებოდა და, ვინ იცის, კვლავ ასე მძაფრად იჩენდა თუ არა თავს, ერთი შემთხვევა რომ არ მომხდარიყო: „დავყიალებ ქალაქში და ვათვალიერებ ქუჩებს, შენობებს, ვაკვირდები ხალხის ცხოვრებას. მიყვარს უსაქმოდ ხეტიალი“, — არის ასეთი სტრიქონები მირზას ერთ წერილში. და აი, „უსაქმო ხეტიალის“ ჟამს, რუსთაველის პროსპექტზე, ფოტოგრაფის ვიტრინაში, ტკივილებამდე ნაცნობ და ძვირფას სახეს მოჰკრა თვალი. თეთრებში გამოწყობილ ასულს, ფართო ფარფლებიანი თეთრი შლაპა ეხურა და პროფილში მჯდარი, კბილ-ბაგეთაგან საოცარ, თეთრ ღიმილს აფრქვევდა. მირზას ელდა ეცა, შეცბა, დაიბნა. ეს ხომ ნანი ლანდია იყო! ზემორე შემთხვევა, ცოტა მოგვიანებით, ასე გარდაისახება ლექსად: „ხეტიალით ძლიერ დავითვერი. სასტიკია: სევდას დაღლაც ერთვის. მოველ, ვნახე ცისკარივით ფერი, ვიდექი და ვლოცულობდი შენთვის. ვიტრინაში ჩანდი, როგორც დილა, როცა სხივი ჰქარგავს ხოლმე ველებს. გიცქეროდი... მაგრამ ისე ფრთხილად, როგორც ერთ დროს მოვეფერე ხელებს“. ეს შემთხვევა თითქო ნიშანი იყო და ისევ აიყალყა, აწრიალდა, კალაპოტიდან გადმოვიდა ძლივსძლივობით დაოკებული და მინავლებული ვნება. კვლავ უძილო ღამეები, ყველასა და ყველაფერზე გულის აყრა, უხალისობა და ნაღველით გატენილი სული, როცა ბნელში გაუხდელი აგდიხარ ლოგინზე, მისჩერებიხარ წკვარამს ფართოდგახელილი თვალებით და ერთიდაიგივეს ფიქრობ სრულ გამოთაყვანებამდე: „ნეტა მოვიდოდეს! ნეტა მოვიდოდეს!“ მერმე სადღაც, შორს მატარებლის გაგრძელებული კივილი გაისმის და უფრო მეტად გაგრძნობინებს საკუთარ მარტოობასა და მიუსაფრობას: „თითქოს ამ წუთში მოხვალ შენ ჩემთან, კარებს სინაზით დააკაკუნებ, იქნება გულის უსაზღვრო ფეთქვა და გამოუთქმელ წუთებს მარგუნებ. ვზივარ, მოგელი, მოგელის ბინაც, მოგელის ლექსი სამღერებელი... მაგრამ დამეა, ქალაქსა სძინავს და ცას შეჰკივის ბატარებელი“ — აი, კიდევ ერთი ლექსი ამ უიღბლო ტკივილების ამსახველი... რაღა თქმა უნდა, მირზას არ გაუჭირდებოდა თბილისში ნანის მონახვა, მაგრამ თუ ლექსების მიხედვით ვიმსჯელებთ, მათი ურთიერთობა მაინც ვერ წარმართულა ვაჟისათვის სასურველი გზით. ყოველ შემთხვევაში, ჭაბუკი გამუდმებულ პირუმტკიცობას საყვედურობს ქალს: „და თუმც წახვედი, მაინც არ მჯერა, ყველა შენდარი იქცეს გამცემად. მაშ რად გიგონებ ლექსებში ჯერაც? მაშ, რად ვიჩოქებ შენს სალოცველად? მზესავით მზეო, უშენობამა ხმაში ჩაწყვიტა წკრიალა ლარი“... მაინც, რა უცნაურ კანონებსა, თუ უკანონობაზეა აგებული ქალ-ვაჟის ურთიერთობა! ხომ ცხადია, რომ მირზას გარეგნული და პიროვნული ხიბლი მართლაც ყოველგვარი ეჭვის მიღმა იდგა? უფრო მეტიც, აი, რას იგონებს მწერალი ლადო ავალიანი: „პირდაპირ გაგაოცებდათ მისი თავაზიანობა, ყურადღება და ნაზი მოპყრობაც კი. ის რომ ნაზი დამოკიდებულების ოსტატიც იყო, ამას

თეიმურაზ მაღლაფერიძე
ცხრაპარა

განსაკუთრებით მაშინ შეამჩნევდით, როდესაც თავის ტოლ გოგონებთან საუბრობდა. და ეს საუბარი ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებდა გარეშე მსმენელზე, თითქოს მოსაუბრეს ბუმბულის მარაოთი უნიავებსო". ასეთი იყო მირზა, როცა უბრალოდ ნაცნობ გოგონებთან საუბრობდა და იოლი წარმოსადგენია, როგორი იქნებოდა ნანი ლანდიასთან საუბრისას. ვინ მოსთვლის, რამდენჯერ მოუნიავებია მისთვის „ბუმბულის მარაოთი", ანდა ასეთი უნაზესი სტრიქონები მიუძღვნია: „ნუ გაოცებს ცის წითელი ფერი, დამიჯერე, ღვინო დაიღვარა, მსურდა შენთვის მეთქვა ყველაფერი, აღარ გეტყვი, არა, არა, არა"... ვინ მოსთვლის, მაგრამ ყოველივე ამაო გამოდგა! ამ პატარა, ჯიუტი და თავნება ქალბატონის გული არც გაიხსნა და არც ამზიანდა. არ ვიცი, რამდენად ზუსტია ანალოგია, მაგრამ მე აქ მაინც ტატო ბარათაშვილის სვეგამწარებული ტრფობა მასსენდება ჭავჭავაძიანთ ზვიადი ქალისადმი. ამ უკანასკნელმა, ყური არ ათხოვა კოჭლი „სტოლნაჩალნიკის" მდუღარ სულისკვეთებას და ღარიბი მოხელის მოსალოდნელი ცოლობა იოლად გასცვალა სამეგრელოს „მთავრინას" ტიტულზე. ფილისტერის ლოგიკით თუ ვიწსჯელებთ, ნანიც აბა რას უნდა მიეზიდნა მირზასკენ? მისი თიანეთური ავლა-დიდება კარგად ახსოვდა, თბილისურს — საკუთარი თვალით ხედავდა. ეგეც არ იყოს, ბიჭი უმაღლესში არ სწავლობდა და ეშმაკმა უწყოდა, ისწავლიდა თუ არა. ერთადერთი მისი ნამდვილი გატაცება რაღაც ლექსების ჩხაპნა იყო, რეალურად სხვა არაფერი ეჭირა ხელში, ნანი კი, დღეს თუ ხვალ ექიმი გახდებოდა და „ცხოვრებაში არ დაიკარგებოდა", ამ ბიჭზე ათასჯერ უკეთესი მთხოვნელები გამოუჩნდებოდა. არა, ტყუილი იქნება თუ ვიტყვით, თითქო ნანის არავითარი გრძნობა არ გააჩნდა მირზასადმი, დიახ, არ იყო მთლად გულგრილი, მაგრამ ეს სუსტი ვნება მომავალი უზრუნველი ცხოვრებისაკენ მისწრაფებაზე ხელს ვერ აღებინებდა და როცა გათხოვების რეალური შესაძლებლობა გამოჩნდა, განსაკუთრებული ყოყმანის გარეშე კიდეც გადადგა ეს ნაბიჯი. ხოლო მირზას ამის შემდეგ ისღა დარჩენოდა, რომ მწარე ირონიით წამოეძახა: „ძუძუები რომ გიფეთქავს ვნებით, უნდა გახდეს დასრესილი ტიტო... გოგონა ხარ, დედაკაცი ხდები, მარმარილო, ბოი, მარმარილო!" ნანი ლანდია 1936-ში არ გათხოვილა, ცოტა უფრო მოგვიანებით გათხოვდა, ვგონებ, 1938-ში, რაც, ცხადია, არ ცვლის საქმის ვითარებას. აქ მთავარი ისაა, რომ მირზას კიდევ ერთხელ მოუხდა მწარე სამსალით სავსე ფიალის გამოცლა. კარგად მესმის, გულუბრყვილობა იქნებოდა იმის მტკიცება, თითქო ნანი ლანდია ერთადერთი ქალი იყო მირზას ცხოვრებაში. სხვა არა იყოს რა, მისი შემოქმედებიდან სრულიად საწინააღმდეგო ჩანს და თანამედროვეთა მოგონებებიდანაც იგივე მტკიცება, მაგრამ ნანი ლანდია იმით იყო განსაკუთრებული, რომ მასთან, ნება-უნებლიეთ, პირველი, თანაც გაუზიარებელი სიყვარულის ტკივილი დაკავშირდა და ამიტომაც მოუშუშებელ იარად დარჩა. გადმოცემით, ნანი ლანდიას გათხოვებითაა შთაგონებული ის ვულკანური გახელებით დაწერილი ლექსი, რომელსაც „მწყემსის მუქარა" ჰქვია და ნამდვილი მშვენებაა მირზას პოეზიისა (კიდევ ერთხელ მადლობა ნანი ლანდიას!): „დამაცადე, ნატყვიარში დავიფიო ბალახი, კვლავ ვიხილო მთები, ქარში ჩემგან გადანალახი. გაგიტაცო, ლურჯა მალი მიგვაფრენდეს ნალვითა. მომკიოდეს შენი ქმარი ასი მეომარითა. ასსა ვკრავ და ასს მივაწვენ, სისხლს გავუშვებ ღვარადა, ჩემს მეგობარ ხეს მივაღწევ, ტოტს ვიფარებ ფარადა. ბაგე მალო ვერ დამალავ, კოცნას მაინც დაგაჩენ, ერთი წუთით შენს შავ დალალს ბალახებში დავაფენ. მერე მომწვდნენ, მერე მნახონ, აღარ მედარდებოდეს, გადამკრან და გადამჩეხონ, ხმალი მიწას სწვდებოდეს... ბევრჯერ ვლესე შავი დანა ბრაზით და გახელებით, სისხლმა ბევრჯერ გადანამა ჩემი თეთრი ხელები. უფრო ბევრჯერ ღიმის ჩენით ვზიდე გულის ტკივილი, ახლაც ახსოვს ღამეს ჩემი არწივული ყივილი. და სიკვდილმა ჩემთან ახლოს ბევრის თვალი მოფინა, მთებსაც ახსოვს, ქარსაც ახსოვს ეხო ჩემი თოფისა... დამაცადე, შავ ღამეში დაგილეწო კარები, მოვიხვიო შენი ეში, შენი შმაგი მკლავები... მერმე მომწვდნენ, მერმე მნახონ აღარ მედარდებოდეს, გადამკრან და გადამჩეხონ, ხმალი მიწას სწვდებოდეს". ამ ლექსში დაკრისტალებული სახითაა სუბლიმირებული ნანი ლანდიას და მირზა გელოვანის მთელი ურთიერთობა, გარდა ამისა, აქ აშკარად სჭვივის ჭაბუკის დაუმცხრალი, ამორგებული ვნება და სასურველი — რეალობადაა მოწოდებული. დიდ არს ძალა პოეზიისა!.. ახლა კი, ნება მიბოძეთ, თქვენთან ერთად სამუდამოდ დავემშვიდობო ნანი ლანდიას, რამეთუ „დედაკაცადქცეული", საეჭვოა მირზასათვის საინტერესო ყოფილიყო და ჩვენთვის ხომ — მით უმეტეს. დასასრულ, მკითხველი ალბათ უკვე მიხვდა, რომ „ნანი ლანდია" გამოგონილი სახელი და გვარია და ნის უკან რეალურად არსებული პიროვნება დგას...

P. S. ძვირფასო მკითხველო, რის თქმაც ახლა მინდა, ცოტა დაუჯერებელსა ჰგავს, მაგრამ ღმერთია მოწამე, სრულ სიმართლეს მოგახსენებ. თითქოს განგებ, ზუსტად ამ თავის წერისას, გაზეთიდან შევიტყვე, რომ ხანნოკლე, მძიმე ავადმყოფობის შემდეგ, „ნანი ლანდია" გარდაცვლილა. მე არ ვიცი, რა ცხოვრებით იცხოვრა მან მირზას შემდეგ, რა განცდები

აწუხებდა თუ ახარებდა, რა ფიქრები ჰქონდა, არცთუ ვინმეს ვიცნობ მისთა სახლეულთაგან, მაგრამ მაინც წავედი დაკრძალვაზე. იქ შემთხვევით შევხვდი ერთ ნაცნობ მანდილოსანს, რომელსაც გაეგო, მირზაზე რომ ვწერდი წიგნს და რომელიც, ამავე დროს, გარდაცვლილის ახლობელიც აღმოჩნდა. სწორედ მან მიამბო ის, რაც შეიძლება ერთგვარ ეპილოგად გამოადგეს მთელ ამ ნაღვლიან ამბავს. ავადმყოფობის ჟამს, აწ მიცვალებულს, მირზას დიდი სურათი კედელზე დაუკიდებინებია და ყველა მომსვლელს, შინაურსა თუ გარეულს, თვალცრემლიანი უამბობდა თურმე, წიგნში ჩარჩენილი ყვავილივით გახუნებული და სურნელებადაკარგული სიყვარულის ზღაპარს. თავის სურათისთვის კი, იმ სურათისთვის, ოღონდაც მირზამ ვიტრინაში რომ დაინახა ელდანაცემმა, სწორედ ის ლექსი, „ხეტიალით ძლიერ დავთვერი“... მიუკვრეევინებია და ყველას აკითხებდა თურმე. სხვა ლექსებსაც, თავის დროზე მხოლოდ მის კუთვნილ ლექსებს, უშურველად აცნობდა სხვებს. აცნობდა და ცრემლებად ღვრებოდა. ასე მიიცვალა თურმე, ტანჯვით ნათელი დაადგეს მის სულს!

თავი მეექვსე

1

უნივერსიტეტმა სწრაფად მოხიბლა და ჩაითრია მირზა. ეს უნარი უნივერსიტეტს მართლაც რომ ჭარბად აქვს მომადლებული: თუკი ერთხელ მაინც ჩაისუნთქე მისი ჰაერი, მზიან დერეფნებში გაიარე, შადრევნებიდან მოჩუხჩუხე წყალს დაეწაფე, ერთ-ორ ლექციას დაესწარი და რამდენიმე ამხანაგიც გაიჩინე, მორჩა, მის უცნაურ ჯადოს ველარასოდეს დაალწევ თავს. ასე იყო ძველად, უნივერსიტეტის დაარსებიდან მოყოლებული, ასეა ახლაც და ასე იქნება ყოველთვის, ვიდრე ჰგიეს საქართველო. ამას, რაღა თქმა უნდა, აქვს მიზეზები და მხოლოდ მზიან დერეფნებში ან შადრევნებში როდია საქმე: მთავარი ის გახლავთ, რომ უნივერსიტეტი თავისი არსით საქართველოს განასახიერებს და მანდ მოღვაწე სტუდენტი თუ აკადემიკოსი, საქართველოს უკეთესი მესვეურთაგანია მუდამ. ნუ გვიწყენს დღევანდელი უნივერსიტეტი, მაგრამ ოცდაათიანი წლებისას მაინც სულ სხვა იერი და პეწი ჰქონდა. თვითონვე განსაჯეთ: ქუდს ეზოშივე მოიხდიდა და ისე შემოაშუქებდა სულმნათი ივანე ჯავახიშვილი. მძიმე ფოლიანტების ფურცვლით მოქანცული, ჟამთა სიავით შეჭირვებული, გარნა არ გატეხილი, თვალთაგან მამულიშვილურ სიკეთეს ასხივებდა და, მარჯვნივ თუ მარცხნივ, მდაბალად ესალმებოდა კედლებზე მოწიწებით აკრულ სტუდენტებს. ჭარიშხალივით დაჰქროდა აბორგებული, დაუტევნელი შალვა ნუცუბიძე — სიბრძნისმეტყველი და ოქროპირი. თითქო წმინდანის ნიმბადადგმული, ნელიად დაბრძანდებოდა კორნელი კეკელიძე და სპეტაკი, მაღალი შუბლის ნაოჭები უდასტურებდა განუწყვეტელ, ჩაღრმავებულ ფიქრს ძველთუძველეს ქართულ მწერლობაზე. მუდამ მოღცლელი და მოფუსფუსე იყო აკაკი შანიძე — ხელხვავიანი მოჭირნახულე ქართული ენისა. ერთ და იმავ დროს რამე წიგნის სქოლიოსაც ამოწმებდა ბიბლიოთეკაში, ხანმეტ ტექსტებსაც ჩაჰკირკიტებდა, ხევსურული პოეზიის ნიმუშებსაც იწერდა ხევსური სტუდენტებისაგან და „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტში ბუნდოვანი ადგილების გამართვაზეც რუდუნებდა. დროდადრო გაიელვებდა სულით და ხორცით არისტოკრატი, ანტიკური სამყაროს ნამდვილი მოგვი — გრიგოლ წერეთელი, უზადო სმოკინგითა და ოქროს ძეწკვიანი ჯიბის საათით... ყველგან შეიძლებოდა მოგეკრათ თვალი სტუდენტებით შემოჯარული ვახტანგ კოტეტიშვილისათვის. შორს გაისმოდა მისი ხმამაღალი ლაპარაკი (ხმა ოდნავ დაბეჟილი ჰქონდა), გულღია სიცილი, სახელდახელო კაფიობა, თუ რამე ხალხური კილოს ჩაღიღინება. სილაღეს, კაიკაცობას, პოეზიის უნაპირო სიყვარულსა და ღრმა ინტელექტს იგი ბღუჯა-ბღუჯა აფრქვევდა გარეშემო და სტუდენტი ახალგაზრდობისათვის ნამდვილ კერპად იყო ქცეული. ყველა დიდი მეცნიერი უყვარდათ მეტ-ნაკლებად, პატივსაც მიაგებდნენ, მაგრამ ვახტანგ კოტეტიშვილს მაინც სხვა თაფლი ეცხო და მიზიდვის სხვა უნარიცა ჰქონდა. ყოველ შემთხვევაში, მირზასთვის ნამდვილად ასე იყო, იმ დღის დადგომა უხაროდა, როცა ბ-ნი ვახტანგის ლექციას უნდა დასწრებოდა. იმთავითვე ჩუმი, უთქმელი ურთიერთგაგება დამყარდა მოძღვარსა და შეგირდს შორის. ლექციები იმ აუდიტორიაში იკითხებოდა, ახლა რომ კ. კეკელიძის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის კაბინეტია. შევიდოდა ბ-ნი ვახტანგი გაჭედილ აუდიტორიაში, თაფლისფერ თვალებს ირგვლივ მოატარებდა და ვიდრე მირზას არ იპოვიდა მსმენელთა შორის, მანამდე საუბარს არ დაიწყებდა. იპოვიდა, ოდნავ ჩაიღიმებდა, და აი, მერმეღა შეუდგებოდა საქმეს: „სატრფიალო სიმღერების სათავე საგაზაფხულო და საზაფხულო დღეობებში უნდა მოიძებნოს. ეს არის დიონისე — ადონისის კულტთან დაკავ-

---

თეიმურაზ მაღლაფერიძე
ცხრაკარა

შირებული ჰიმნების შთამომავლობა. რასაკვირველია, ბევრი სიმღერა ახალია, მაგრამ ამას მნიშვნელობა როდი აქვს. ტექსტია ახალი, მაგრამ თვით სიმღერის ხასიათი? ეპითეტები? პარალელები? და კიდევ სხვა მრავალი ელემენტი, რომელთ ანალიზი მაინც იმავ სათავესთან მიგვიყვანს“... — ასე დაიწყო საუბარი ბ-ნმა ვახტანგმა ხალხურ სატრფიალო ლექსებზე და სულ მალე მთელი აუდიტორია (მსმენელები, ადგილები რომ აღარ იყო, პირდაპირ იატაკზე ისხდნენ) გადაიყვანა ჯადოსნურ სამყაროში, რომლის დაბურდული გზა-ბილიკების გაგნება და გაშუქება მხოლოდ და მხოლოდ მას ხელეწიფებოდა. ყამიდან ყამზე მირზას გაჰხედავდა ხოლმე, თითქო ნათქვამის ეფექტს ამოწმებსო. და ისინი, როგორც ითქვა, უსიტყვოდ უგებდნენ ერთმანეთს. უგებდნენ თუნდაც იმიტომ, რომ მირზამ, ჯერ კიდევ ბავშვობიდან მოყოლებული, თავიდან ბოლომდე, ლექსებიან — კომენტარებიანად ზეპირად იცოდა მოძღვრის დიდებული წიგნი „ხალხური პოეზია“. ერთხელ ისიც კი მოხდა, რომ ლექსის ერთერთ სტრიქონზე შემთხვევით წაფორხილებულ ბ-ნ ვახტანგს მირზამ შეაშველა სიტყვა და მისი გულწრფელი მადლობაც დაიმსახურა. ეს თითქო ნიშანი იყო, რომ მათი უსიტყვო ურთიერთობა სიტყვიერზე გადასულიყო, თავისთან მოიხმო ბ-მა ვახტანგმა ჭაბუკი და ვინაობა გამოჰკითხა. მამა სვანი, დედა ფშაველი? თიანეთიდან? შენ უთუოდ ლექსებსაც წერ, ძმობილო! ჰოო? აკი მივხვდი! გეტყობა, ხალხური პოეზიაც იცი! მთელი ჩემი წიგნი? ყოჩაღ, კარგია, მაგრამ მარტო ეგ რას გეყოფა? შენისთანა მარჯვე ბიჭები ძალიან მეირდება მე, უფრო სწორედ, ხალხურ პოეზიას! რატომ სამეცნიერო წრეზე არ დადიხარ? მაგრამ, აქ უცბად გაირკვა, რომ მირზა უნივერსიტეტის სტუდენტი არა ყოფილა. ეგ როგორ? რანაირად? თავის დროზე, სხვადასხვა მიზეზთა გამო, ატესტატი ვერ აიღო ტექნიკუმის დამთავრებისა და ახლა ლექციებზე თავისუფალ მსმენელად დაიარება. ბ-ნი ვახტანგი გულწრფელად შეწუხდა. „რანი ხართ, კაცო, ეს პოეტები, ყველაფერს ჰაიჰარად ექცევით. ალბათ არ მოინდომე, თორემ ერთი ცინგლიანი ატესტატის აღება გაგიჭირდებოდა?“ უცებ, რაღაც მოიფიქრა და სახე გაუნათდა. „მომიტა შენი ლექსები, წავიკითხავ და თუ მომეწონა, რაღაცას მოვიფიქრებთ. მაშ ეგრე ხომ არ იქნები? ჰმ, თავისუფალი მსმენელი! შენცა მყევხარ რაღა ვაუა-ფშაველა!“ — დაუმატა კეთილი ირონიით. მერმე მოხდა ის, რასაც მირზა ნაკლებად მოელოდა: ბატონმა ვახტანგმა წაიკითხა მისი „ხევსურული ნანა“, „აონ“, „ილიას ობელისკთან“, „აქ შეეჯახა“, „ასეთი იყო“, „თორღვა“, ერთი სიტყვით, ყველა ის თხზულება, რომელიც 1937 წელს ჯერხანობით დაეწერა მირზას, თვალებგაბრწყინებული გადაეხვია ჭაბუკს, გადაჭკოცნა და საზეიმო იერით გამოაცხადა — ნემსი რომ არ ჩავარდებოდა, ისე გაჭედილ აუდიტორიაში: „დღეს ჩვენ ლექციის მოსმენაზე გაცილებით საინტერესო საქმიანობა მოგველის. მირზა გელოვანი, რომელიც აქამდე ყუჩად იყო და არ გვაგებინებდა, რომ მშვენიერი პოეტი ბრძანებულა, წაგვიკითხავს თავის ლექსებს. აბა, ძმობილო, მოდი, დაიკავე კათედრა და დასცხე. მე კი შენ ადგილას დავჯდები და სიამოვნებით მოგისმენ“. დარბაზში უკმაყოფილო ჩურჩული გაისმა. ხალხი კოტეტიშვილის მოსასმენად იყო მოსული და უცებ, ვილაც ასლადგამოჩეკილი პოეტი? მაგრამ ბ-ნი ვახტანგის ხათრით აუდიტორიის დატოვება მაინც ვერავინ გაბედა. მირზას ერთი კი დაუარა ცივმა ურუანტელმა და თმის ძირებამდე გაწოლდა, მაგრამ ისიც მალიად შეიგნო, რომ ახლა თუ ვერ დასჯაბნიდა ამრეზილ მსმენელებს, უნივერსიტეტში სიარულს უნდა დანშვიდობებოდა, შეიგნო და მოღუშული ლითქო ხმლის მოსაქნევად გამზადებული, ავიდა კათედრაზე. ერთხანს ხმადაბლა და თვალდახუჭული კითხულობდა და არაფერსაც არ უყურებდა. თავის გაქნევისას სახეზე დასთამაშებდა ჭერა წამწამების ჩრდილი და, როცა თანდათან გაფიცხდა და ხმას აუმაღლა, მხოლოდ მაშინ გახსნა იმ ცისფერ-მომწვანო თვალთა უპეები, ადამიანის სულში ჩამწვდომად რომ იცოდნენ გამოხედვა... იყო რაღაც ტკბილი და თბილი მის კითხვაში, თითქოს კი არ კითხულობდა, არამედ გულჩათხრობით მოგვითხრობდა რაღაც ამბავს, რომელიც ვითომ მაინც-დამაინც მარტო მან იცოდა და ახლა სხვისთვისაც უნდა გაეზიარებინა: „დაიძინე, ქალავ, თორო შავი ღამე ფშვინავს, დაიძინე, დედას თოლო, დაიძინე შვილავ!.. ახლა გარეთ ოჩოპინტრე დადის, ნისლის ქუდი პატარა რქებს მალავს, მძივს აგისხამ სამძიმარას დარდო, დაიძინე ქალავ!... ღამეა და უდამური ღამე — არც ვარსკვლავი ბზინავს. დავიღალე... დაიძინე, ძილავ! დაიძინე, დედის თოლო, ძილს სიმშვიდე მოჰყავს. დაიძინე, ქალავ, თორო გაბაცდება ლოყა. მამაშენი ქარაფებში ათევს, ჯიხვის მწვადებს ჩამოგიტანს მამა... იქნებ ახლა ლეკურ ხანჯალს ფართეს — წმინდა სისხლი კალმახივით ნამავს. ბერში შუქი ფარფატებს და ლანდობს, კერას უკვე სძინავს. დაიძინე სამძიმარას დარდო, დაიძინე ძილავ“... წაიკითხა ეს ლექსი მირზამ და აუდიტორიისათვის მსწრაფლ გახდა ნათელი, რომ მათ წინ ნამდვილი პოეტი იდგა. მართალია, ლექსში ერთგვარად იგრძნობა სიმონ ჩიქოვანის „სვანური იავნანის“ შორეული გამოძახილი, მაგრამ გადაჭარბება არ იქნება თუ ვიტყვით, რომ იგი არაფრით ჩამოუვარდება თავის წინამორბედს, ხოლო ინტო-

ნაციის ბუნებრივობით იქნებ ჯობია კიდეც. „ხევსურულ ნანას“ სხვა ლექსები მოჰყვა მეტ-ნაკლები მხატვრული ძალისა და ბოლოს მირზამ „აონის“ კითხვა დაიწყო. იდგა ოცი წლის ჭაბუკი კათედრაზე და გასაოცარი პოეტური სისადავით უამბობდა მსმენელებს რწმენადამსხვრეული ადამიანის ტრაგიკულ ყისმათზე. თუმცა, ეს უფრო მეტი იყო, გაცილებით უფრო მეტი იყო, ვიდრე ერთი კაცის რწმენის ტრაგიკული მსხვრევა. მოდიოდა ახალი, უდრეკი ძალა, რომელიც არაფერს ერიდებოდა საკუთარი თავის დამკვიდრების ძნელ და მტკივნეულ გზაზე. გამოიცვალა დრო, გამოიცვალნენ ადამიანები: ის, რაც ოდესმე რწმენის სიმბოლოდ ითვლებოდა და საყოველთაო კრძალვის საგანი იყო, დღეს უბრალო ხევსური ბიჭის სამახსოვრო გამხდარა და მთელი სოფელიც, ნებსით თუ უნებლიეთ, ამ ბიჭის მხარეზე დგას...

აონი ხატია ივრის ხეობაში. სულ აღმა და აღმა უნდა აჰყვე დინებას და ბოლოს, როცა მდინარე ღელისოდენად დავიწროვდება, ჭავლთა სილურჯე და ჩქაფანი ერთიორად იმატებს, როცა თოვლიან მთათა მწვერვალებზე ნისლეული მძიმედ დალაგდება და ირაოდ მფრენი არწივების ყაშყაში შეეკერთობს, ხოლო წავარნებზე სიარულით გული და მუხლი დაგეტანჯება, აი, მაშინ მიაღწევ აონს, ყველაზე ძალმოსილ სალოცავს ამ კუთხე-მხარეში. ხატის ზარზე კი, როგორც თვით მირზასაც აქვს აღნიშნული ბალადის ეპიგრაფში, ასეთი წარწერის ამოკაწრვა შეიძლება ახლაც: „აონ: პირქუშ ღვთის მონაწილეე: ბარისა და მთის მფარველო: ესე ზარი შემოგწირე მე: იოანე ბექაურმა: ჩ... წელსა: მიშველე, აონ“. აი, სწორედ ეს ზარი „დათოფა“ რეგვენმა ხევსურის ბიჭმა — თუ მართლაც ყოვლადძლიერია, ვნახოთ ერთი, რას შემამთხვევსო. ასეთი მკრეხელობით სულის სიღრმემდე შეძრული ბერი წშიერი მგელივით ჩამოვარდება სოფელში და ღრიალებს: „ალუდას ვოუმა ზარი დათოფა! ხალხმა უნდ განსაჯოს სასჯელი მისი. სადალას თემი და ადათობა? წაიბილწაო საყუდარ ხთისი. მერმე ელოდა გულატკეცილი ხალხის ნათქვამს და თავი დახარა, მაგრამ ბიჭებში ჩადგა სიცილი, ზოგმა ხმამაღლა გადიხარხარა. მაშინ დასწყევლა ჭაღარამ ხალხი“ და ციცაბო ბილიკებით კვლავ აონის ხატისაკენ აიღო გეზი, რამეთუ მიხვდა: სხვა დრო დამდგარიყო, ახალი, საკუთრივ მისთვის — გაუგებარი და მიუღებელი და სწორედ მაშინ აღმოსკდა კიდეც გულიდან ის ტრაგიკული მონოლოგი, რომელიც ერთი უძლიერესთაგანია უახლეს პოეზიაში: „ვინ დაანგრია დიდ ხანს ნაშენი? თუკი გაძარცვეს, ვინღა შემოსავს?! აონ დიდება რა იქნა შენი? აონ, ნათელი რატომ არ მოჩანს? მე მიჭირს სუნთქვა... გატეხილია შავი კარები... ძლიერი იყავ და აწი ნუ გქნა, მიყვარდი, მაგრამ არ მეყვარები... გამხმარხარ, ჩემი ცხოვრების ხეო, შენი სიმწვანე ყინვამ მოლია. ძაღლიც შეჰყმუის ცას: მიშველეო! მაგრამ საშველი მაინც შორია. მოსწია თოფებს პატარა ზართა, გაისმა რეკვა: გვიშველე, ცაო! გაცურდა ეხო და გაიზარდა: — აონ! აონ! აონ!“ შთაბეჭდილება გამაოგნებული იყო. მსმენელები გატვრენილი, სუნთქვაშეკრული ისხდნენ და შესცქეროდნენ კათედრაზე წამომართულ ჭაბუკს, რომელმაც ისინი, სრულიად მოულოდნელად, პოეზიის ანკარა წყაროსთვალს დააწაფა. მერმე, რაღა თქმა უნდა, იყო ტაშიც, მოლოცვებიც, გულწრფელი აღიარებაც. ვახტანგ კოტეტიშვილჰა პატარა სიტყვა წარმოთქვა და მსმენელებს ძიულოცა, რომ პოეტის დაბადების მოწაწილენი შეიქნენ, ხოლო „აონს“, ყოველგვარი მიკიბ-მოკიბვის გარეშე, როგორც საერთოდ სჩვეოდა, პირდაპირ უწოდა შედევრი. არც ისე ძნელი წარმოსადგენია — რა მოხდებოდა ამ იმპროვიზებული პოეზიის სალამოს შემდეგ: რამდენიმე მეგობარი სადმე მყუდრო სარდაფში ჩავიდოდა, სტუდენტურ, მწირ მაგიდას შემოუსხდებოდა და გაიმართებოდა სადღეგრძელოებისა და ლექსების უსასრულო ჭახჭუხი. ყურადღების ცენტრში, ცხადია, მირზა იქნებოდა. ეჭვი არაა, მას მომავალ გენიოსად გამოაცხადებდნენ. ხუმრობა ხომ არ იყო, რაუდენ გვეტაძემ და გრიგოლ ცეცხლაძემ აქეს, მიხეილ ჯავახიშვილმა აქო, დღეს კიდევ ვახტანგ კოტეტიშვილმა აქო და თანაც, როგორ აქო... მომავალი გენიოსია, მაშ ვინ არის? ახლა მხოლოდ ისღაა საჭირო, რომ დაუყოვნებლივ შეუტიონ უფროსი თაობის პოეტთა ტახტებს, ძირს დასცენ ისინი და მათ ნანგრევებზე ახალი ტახტები წამოჭიმონ... ეს შუშხუნა, „მაღალ-მაღალი“ სიტყვები მირზას გულწრფელ სიცილსა ჰგვრიდა. მას არაფერი, სრულიად არაფერი ჰქონდა სადავო უფროსი თაობის პოეტებთან, რამეთუ კარგად უწყოდა: ლიტერატურა ის ხარბიელია, სადაც ყველას ეყოფა ადგილი თავის გამოსაჩენად, თუკი საამისო ნიჭი და ძალა შესწევს, გარდა ამისა, ისიც მშვენივრად იცოდა, რომ თვითონ უფროსი თაობის პოეტთა მონაპოვარზე ამოზრდილი ულორტი იყო, მათი სისხლი და ძვალი ძვალთაგანი. ამიტომაც სავსებით იზიარებდა თანამოკალმე მეგობრის — გაბრიელ ჯაბუშანურის პოეტურად დაფორმულებულ აზრს: „ჩვენ იმ გზებს მივდევთ, სად ნამუხლარი თქვენი ატყვია მაღალ ქარაფებს, მაგრამ ჩვენ ხმა გვაქვს თქვენგან უხმარი და სხვა ტკივილი გვალაპარაკებს“. მართალია, ლექსი ავტორმა დიდ კლასიკოსებს

თეიმურაზ მაღლაფერიძე
ბერბაკარა

— ვაჟა-ფშაველას და ყაზბეგს მიუძღვნა, მაგრამ ამით სულაც არ იცვლება არსი საქმისა. გადმოცემის მიხედვით, ზემორე სტრიქონებს გამეორება ხშირად ყვარებია მირზას, რაც იმას ადასტურებს, რომ მათში უნივერსალური აზრი ჰქონდა ნაგულისხმევი. „უხმარი ხმა“... რას ნიშნავს ეს? ალბათ იმას, რაც მირზასთან საუბარში, გალაკტიონმა, ერთ მშვენიერ დღეს, ასე განსაზღვრა: „უნდა გქონდეს საკუთარი სამყარო, რომელიც არაფრით ემგვანება ნამდვილს, მაგრამ რეალური კი იქნება“... მაგრამ ეს მოგვიანებით ბრძანა გალაკტიონმა, ერთი თუ ორი წლის შემდეგ, მანამდე კი მირზას ბევრი და თავდაუზოგავი წყვეტება მოუწევს „უხმარი ხმის“ დასამორჩილებლად. „აონში“ ეს უკვე არის, არის „თორლვაში“ და რამდენიმე სხვა ლექსში, მაგრამ ნამდვილ „უხმარ ხმამდე“ ჯერ კიდევ გრძელი გზა დევს. საჭიროა ფიქრი, კითხვა და მუშაობა, მუშაობა ხელებდაკაპიწებული. 1937 წელს მირზას მხოლოდ ერთი ლექსი გამოუქვეყნებია, ისიც ადრე დაწერილი: „თუშის ქალი წყაროზე“. („ჩვენი თაობა“, № 2—3). „აონ“ არ დაუბეჭდეს — „ძველი ადათ-ჩვეულების აპოლოგიაა და შიგ ახალი მთა არ ჩანსო“, ხოლო სხვა რამის გამოქვეყნება სცადა თუ არა, ძნელი სათქმელია.

თავი მეშვიდე

1

დილიდან საღამომდე იჯდა საჯარო ბიბლიოთეკის ნათელ, ჭერმაღალ დარბაზში და თავაუღებლად კითხულობდა. უკვე ჩაევლო იმ დროს, როცა განურჩევლად ყველაფრის წაკითხვა შეეძლო, ოღონდ კი მხატვრული ლიტერატურის პრეტენზიით ყოფილიყო მოწოდებული. შინაგანი კულტურისა და უტყუარი ალღოს წყალობით, ფიქრითა და კითხვით, გემოვნება თანდათან, შეუმჩნევლად მართლაც დაჰხვეწოდა და ახალ წიგნებს მხოლოდ მკაცრი შერჩევით ჰკიდებდა ხელს. დიდი სიხარული აგრძნობინა ძველმა ქართულმა მწერლობამ. წამდერებით კითხულობდა საოცარი რიტმით გაწყობილ სტრიქონებს და უკვე გაძვალრბილებული ჩვეულებისამებრ, ზეპირად იმახსოვრებდა, რათა მერმე, ქუჩებში ეულად მოხეტიალეს, თავისთვის ებუტბუტა: „ჟამი რაჲ წულილთა და ხმელთა აღმოფშვინვათაჲ წარმოდგეს, ზარი მეფობისაჲ წარხდეს და დიდებაჲ დაშრტეს, შუებანი უქმ იქმნენ, ყუავილოვნებაჲ დაჭნეს, სხუამან მიიღოს სკიპტრაჲ, სხუასა შეუდგნენ სპანი — მაშინ შემიწყალე, მსაჯულო ჩემო!“ შედარებით მალე მოიწვართა ქართული ლიტერატურა. 21 წლის ჭაბუკს უკვე შეეძლო ეთქვა — ჩამხვდარი ვარო მშობლიური ლიტერატურის ზნეობრივსა და ესთეტიკურ ღირებულებას. და ეს არ იყო ლიტონი სიტყვა, არც თვითმარქვიობა. მირზას პატარა, გარნა მკვიდრად შეკრული ხომალდი მართლაც თავისუფლად დაცურავდა ქართული მწერლობის ზღვაში. მოწევნილიყო ჟამი ნამდვილი შემოქმედებისა, ფუცხუნა მაჭარი, სადღესასწაულიოდ, ძელგ, სურნელოვან ღვინოდ უნდა ქცეულიყო, თუ განგება დაიცლიდა და დრო და ვითარებაც შეუწყობდა ხელს. პოეზია, ლიტერატურა საზოგადოდ, არასოდეს ყოფილა მირზასთვის გართობისა და თავშექცევის საგანი, პოეტი მხოლოდ „ტკბილ ხმათათვის“ რომ არ იყო გამოგზავნილი ქვეყნად, ეს კლასიკოსების მაგალითზეც მშვენივრად იცოდა, მაგრამ მხოლოდ ცოდნა არ კმაროდა. დიდი ცურვის დაწყების წინ საჭირო იყო მკაფიოდ ჩამოყალიბებული და გააზრებული სვლაგეზის შეუშავება, საკუთარი პოზიციის მონახვა. და სწორედ 1938-ში მირზა დაწერს ლექსს „ფანდური“, სადაც თავისი პოეტური მრწამსის გაცხადებას დაისახავს მიზნად: „წინაპრებს ჩემსას ჰყვარებიათ ლარების ყღერა. მაღალ ხევსურეთს ფანდურები თალეს მთებური, სამეგრელოში სიმის კვნესა გულს ატკბობს ჯერაც, ყირმიზა გოგოს მოძახილთან შეერთებული. დიდი რუსთველი ჩვენს ქვეყანას ტოვებდა როცა, ესმოდა მიწას გულმართალი მისი გალობა. გამგზავრებისას დედოფალმა გზა დაულოცა, საქართველომ კი ფანდურების ხმა უწყალობა... თუ გურამიშვილს არ გაუწყდა არც ერთი სიმი, ვაჟას ფანდურიც შინდის მოჭრილ ხისგან გათალეს, როცა უკრავდა მარად დინჯი და მოთვალთვალე, ყურის საგდებად იხრებოდა მყინვარი ცივი... აი, აწყვია ჩვენს წინაშე დადაფნულები, ვის შეელიოს, დრომ ვინ გარიყოს!... ხომ იცით, ხალხის გულებია ეს ფანდურები, შევეხოთ ისე, ჭუჭყიანი ხელი არ იყოს. შევეხოთ მაშინ, როცა გულში ვიგრძნოთ ჩანჩქრებად სიმღერების და ლექსთა მრავლობა, რომ იმ ფანდურებს, ჩვენს სახსოვრად ხალხს რომ დარჩება, მოკრძალებულად უცქეროდეს შთამომავლობა“. ეს ლექსი იქნებ არ გამოირჩეოდეს განსაკუთრებული სინატიფით, მაგრამ იმას კი ვერ წაართმევ, რომ სათქმელი ძალზე ზუსტად არის დაფორმულებული. მიაქციეთ ყურადღება, ჭაბუკი ყოველგვარი ზედმეტი მოკრძალებისა და რიდის გარეშე, თავის უშუალო წინამორბედებად ქართული პოეზიის დიდებულ სამებას აცხადებს: რუსთაველი — გურამიშვილი — ვაჟა... მართლაც გაბედული უნდა იყო და ძალიც შეგწევდეს ქადილისა, რომ მსგავსი რამ ხმამაღლა თქვა. მაგრამ ეს ყველაფერი როდია: ლექსის დასასრულს აშკარად სჭვივის: პოეტს თურმე ღრმადა სწამს

საკუთარი სიტყვის გამძლეობა და სრული იმედიცა აქვს, რომ მომავალი თაობები მის ფანდურს მოკრძალებით დაუწყებენ ცქერას... შევუნდოთ ჭაბუკს ცოტა ზედმეტი თვითრწმენა. მით უმეტეს, რომ გაბედვისა და თვითრწმენის გარეშე ლიტერატურაში ჯერაც არაფერი გაკეთებულა მნიშვნელოვანი! აქ სიტყვამ მოიტანა და ბარემ ისიც ვთქვათ, რომ გაბედულება და თვითრწმენა იმთავითვე არ მოჰკლებია მირზას პოეზიას. ეტყობა, რაღაც მაგიური იდუმალებით, იგი წინასწარ გრძნობდა, რომ ნაადრევად გაეცლებოდა ამ სამზეოს, მაგრამ რაც უფრო საკვირველია, იმასაც გრძნობდა, რომ მისი პოეტური ნაღვაწი ქართველი ერის სულიერი ცხოვრების თანამონაწილედ დარჩებოდა მუდამ. „მაღალ ფიქრებში ვდგავარ მაღალი და სიმაღლეში გამითენდება“, — წერს იგი ერთ ლექსში. „შორს მიქანავდა ორთქლმავალი როგორც ირემი და მეც — ესოდენ ახლობელი მთაწმინდისათვის“, — ვკითხულობთ მეორეგან. როგორც ვხედავთ, მირზას „დიდი მთაწმინდელების“ ძვალად და ხორცად მიაჩნია თავი. „აქ მისვამს წყარო მთების სურიდან, საკვდილის მერეც აქვე ვიქნები. აქ გაცოცხლდება ჩემი სული და დაუბეჭდავი ჩემი ლექსები“. — ეს უკვე ის ნათელხილვაა, რომლის ნიჭითაც მხოლოდ რჩეულნი არიან დაჯილდოებულნი... „მაგრამ მე მომდევს მონადირის ხალი მუხლები და საუკუნეს ფრანგულივით დავეკიდები“... „მაგრამ როდესაც მყინვარივით წამოვიხრები, როცა ჩემი ხმა გაანათებს უკუნეთს ქვიანს“... „იგრძნობენ, როგორ კვდებოდა იგი ვინც შემდეგ ყველგან დაესახლება“... „მე ოცი წლის გმირი ვარ და საუკუნე მიმაქვს მხრებით“, — ამ სტრიქონებით მთავრდება „შავნაბადა“, ერთ-ერთი ვრცელი ნაწარმოები მირზასი. „მე კი ამაყი, მივყვები ქუჩას და მახვილივით მიმაქვს სხეული, რადგანაც ვიცი, ჭაბუკურ გრძნობებს გადავაბიჯებ დინჯად, გულადად, მერმე ჩემს აზრებს, ქარში ნაწრთობებს დროს გადავკიდებ მანდიკურადა“... „და კვლავ მივდივარ, სიმშვიდეა ჩუმი ნიშანი, რომ გამარჯვება უსათუოდ ჩემია ბოლოს. მე გავიმარჯვებ — მოწაშეა მიწა ქართლისა“... (აქ, რაღა თქმა უნდა, მირზა პოეტურ გამარჯვებაზე ლაპარკობს). „ვიცი, ჟანგით არ დავიფარები!“... აი, არასრული ნუსხა სტრიქონებისა, სადაც პოეტი ერთგვარ თვითდახასიათებას გვაწვდის და ეს მით უფრო ფასეულია დღეს, რომ ჟამთა სვლამ სავსებით დაადასტურა ახალგაზრდა კაცის წინასწარ-ჭვრეტა. წელან ქართული პოეზიის დიდებული სამება ვახსენე: — რუსთაველი — გურამიშვილი — ვაჟა... როგორც ვნახეთ, მირზას სავსებით გაცნობიერებული სურვილი აქვს, მათ მემკვიდრედ თუ ჩამონავლად მიიჩნიოს თავი, მაგრამ სურათი ვერ იქნება დამთავრებული, თუ გალაკტიონის სახელიც არ მოვიხსენეთ აქ. ალბათ გახსოვთ, როგორ აჩუქა დამ, რუსუდანმა, მირზას, ადრე, სიჭაბუკის გარიჟრაჟზე, ლურჯ-ყდიანი წიგნი — 1927 წელს დასტამბული ლექსები გალაკტიონ ტაბიძისა. იმ დღიდან მოყოლებული, ეს წიგნი მირზას განუყრელ თანამგზავრად იქცა. ალბათ ისიც გახსოვთ, ბარად ჩამოვარდნილი ნუკრივით, როგორ მიადგა მირზა მწერალთა სასახლეს საკუთარი ლექსების რვეულით ხელში, რათა გალაკტიონის მსჯავრი მოესმინა, მაგრამ იმჟამად ვერ ნახა იგი, ოდნავ მოგვიანებით გაიცნეს ერთმანეთი.

ხანგრძლივი ფიქრისა და ყოყმანის შემდეგ, მირზამ როგორც იქნა გადაწყვიტა ბალადა „აონ“ „ჩვენი თაობის“ რედაქციისათვის წარედგინა. საერთოდ, ძალიან უჭირდა და ემძიმებოდა რედაქციაში მისვლა, დანაშაულზე წასწრებულივით იყო შებორკილი. რედაქციის იმდროინდელმა მდივანმა გულგრილად ახედ-დახედა ალანძულ ჭაბუკს, ხელნაწერი ნაჩქარევად, ჰაიჰარად გადაიკითხა და მიახალა: „ეს რა დაგიწერია? ძველი, დახავსებული მთის ადათ-წესების აპოლოგია გვინდა ახლა ჩვენ? იმის მაგივრად, რომ ახალი, პროგრესული ფრენები ავსახოთ? არა, ბიძია, ვერ დავბეჭდავთ!“ მირზა უსიტყვოდ გამობრუნდა, წელმოწყვეტილმა ჩაიარა კიბე. ყველაფერს ელოდა, მაგრამ „აონის“ დედაზრი თუ ასე გაუგებარი აღმოჩნდებოდა გამოცდილი ლიტერატორისათვის, ვერ წარმოიდგენდა და ვერა! განა „აონ“ მთის დრომოჭმული ადათ-წესების აპოლოგიისათვის დაიწერა? ამაზე აბსურდული რაღა იქნება? რა ქნას ახლა, მოდგეს და უმტკიცოს იმ გაბღენძილ, თვითკმაყოფილ გვამს — ცდები და არც არა იცოდ? მაგრამ შეასმენს კი რასმე? ანდა ღირს კი? ჯანდაბას! რაც მთავარია, მირზას თვითონ სჯეროდა, რომ „აონ“ ღირებული ნაწარმოები იყო, ეგევეს ეუბნებიან ნაცნობ-მეგობრები, ეგევე უთხრა ვახტანგ კოტეტიშვილმაც. ჰოდა, მორჩა! დრო მოვა, დაიბეჭდება! ამ ფიქრებით მოცული მირზა მწერალთა სასახლის პატარა ბაღში გავიდა, ადრეული, ცივი გაზაფხული იდგა. შიშველ მაღალ ჭადრებზე შავი, პრიალა ყვავები შეჩინჩხლულიყვნენ და გულსაკლავად ყრანტალებდნენ. უცებ, მირზამ გალაკტიონი დაინახა. საკინძეგაღეღილი იჯდა, გაშლილი მკლავები სკამის საზურგეზე დაეწყო და ყვავებს აჰყურებდა. აჰყურებდა დაუინებული ინტერესით, თან ბუტბუტებდა რაღაცას. შემკრთალმა მირზამ უკან გაბრუნება დააპირა, მაგრამ გვიან იყო, გალაკტიონმა შეამჩნია და ბავშვური, ოდნავ უმწეო ღიმილით სთხოვა — დაბრძანდითო, დაბრძანდით ჩემთან, ძამიკო. ეტყობოდა, გულით უნდოდა ვინმეს, თუნდაც სრულიად უცნობსა და უცხოს, გამოლაპარაკებოდა. მირზა მორიდებით ჩამოჯდა და პირველი, რაც თავის დაოკების შე-

---

თეიმურაზ მალლაფერიძე
ცხრაკარა

მდეგ შენიშნა, მისი მშვენიერი, ნამდვილად მშვენიერი ხელები იყო, იმდენად მშვენიერი, რომ ძლივს ალაგმა სურვილი — დაბრილიყო და მოწიწებით მთხვეოდა; ნისლეულში სისხლისფრად ელავდა მზე, მჭისედ ხრიალებდნენ ყვავები. ბიჭმა, ცხადია, ვერ გაბედა თქმა — ლექსებს ვწერო, თუმცა, გალაკტიონი არც დაინტერესებულა ამით. უბრალოდ ვინაობა გამოჰკითხა და დაკმაყოფილდა. (გაივლის ხანი, მომდევნო შეხვედრის ჟამს, გალაკტიონი მირზას სახელს გაიხსენებს, რითაც ძალზე გაახარებს და გააკვირვებს მას!) მერმე გაუფრთხილებლად, ყოველგვარი შესავლისა და მიკიბ-მოკიბვის გარეშე, ჩუმი, აცახცახებული, თითქოსდა წყვეტილი ხმით, ლექსის კითხვა დაიწყო, „შენ არ გინახავს კაცის ღიმილი, შურმა და მტრობამ ისე მიგინდო, შენი ცხოვრება და სიმძიმილი არის ეს ქუჩა და სამიკიტნო. შენი ცხოვრება არის ეს ძაღლი, რომელიც კვდება ცივი, ბებერი, მისთვის არ არის ამქვეყნად სახლი, არც კარებია შესადებელი. შენი ცხოვრება არის ეს ბუჩქი, ჩამოფლეთილი ყოფნის კარამდის, სადაც სიკვდილი და სადაც ჭუჭყი განუყოფელი მიდის მარადის. შენი ცხოვრება, ვით შემოდგომა, არასდროს აღარ დაიზამთრება. აცივდა და შენს გარშემო დგომა ეხლა არავის არ ენატრება. შენი ცხოვრება ღონემიხდილი არის ტალახი, ბოსელი, ქართა, რისთვის გაშინებს, მითხარ, სიკვდილი, თუ არავინ მოვა სიკვდილის გარდა? ეიცი, თუ როგორ გადიხარხარებს, როცა გაიგებს სიკვდილის ხველას, შენი ცხოვრება არვინ ახარებს, შენი სიკვდილი ახარებს ყველას“...

მირზა გაოგნებული იჯდა. საკუთარი თვალით ხედავდა, როგორ მეუღლეულად განიძარცვა გალაკტიონი ხორციისაგან და შიშველ, მოცახცახე სულად გარდაიქმნა. აი, თურმე როგორი ყოფილა იგი, ბუმბერაზი ბუმბერაზთა შორის, ჩვილი, უმწეო, მიუსაფარი, ტანჯული... რა ქნას ახლა მირზამ, უთხრას — მომეწონაო ლექსი? მაგრამ ეს ხომ კივილი იყო, კივილის მოწონება-დაწუნებაზე კი არ ლაპარაკობენ ჩვეულებრივ. გალაკტიონმა მჭისედ მოხრიალე ყვავებს აჰხედა ისევ. მერმე თვალები დახუჭა და ასე იჯდა კარგა ხანს — მილულული. იქნებ წაეთვლიმა, ან სულაც დაეძინა? ყოველ შემთხვევაში, მირზას არსებობა ნამდვილად გადაავიწყდა. მანაც, ერთხანს შეიცადა, უტყვი აღტაცებითა და მოკრძალებით უმზირა პოეტს, მერმე კი გაიპარა ფეხაკრეფით და თან წაიღო დიდი ტკივილი და ბუნდოვანი შეგრძნება მოახლოებული კატასტროფისა, რამაც შემდეგში, ცოტა მოგვიანებით, გალაკტიონისადმი მიძღვნილ ლექსში ასეთი ფორმა მიიღო: „ჯერ კიდევ ბავშვმა გავშალე წიგნი, გავშალე წიგნი, ჩავხედე მშვიდად. ვნახე გრიგალი ლურჯი ყდის შიგნით მთაწმინდის მთვარის ნაკვალევს შლიდა. ვნახე, ზარების ხმა საკვირველი, ვით გუგუნებდა მოჯრილ კარებთან, წამომდგარიყო ქარი პირველი და პირველ დროშას მოაქანებდა. და შავი ყორნის მჭისე ხრიალი აკრობდა თეთრი სინათლის ხაზებს, ციოდა, თუმცა მზე სისხლიანი ორლესულივით ეკიდა ცაზე. ციოდა... ყველა გაფრენილ ისარს ნაუცბათევი სიკვდილი ახლდა. ახლა გახედე მთაწმინდას, ისანს, ან მადათოვი იცანი ახლა. შენ გეხსომება უნაზეს უბეს როგორ ავსებდა ცრემლების ჩქერი. მდინარეს შავი მოჰქონდა კუბო და შიგ დიდება ესვენა ჩვენი. კუბო, რა კუბო, რა საშინელი, რა შავი სალტით შემორკინული, თუ სულში ჰყინავს, უფროა ძნელი, როდესაც სულში დნება ყინული. მაგრამ შენ მოხველ, ჩვენი მზეც ნახე, ყველა მზეებზე უფრო უზადო... დაე, პოეტის საყვარელ სახელს მხოლოდ გვირგვინმა უმუზარადოს. დაე, ახალმა სიტყვამ ადიდოს, ვინც სიბნელეში გრიგალს შეება, შარიშურობდნენ სამარადისოდ გადარჩენილი ალვის ხეები, რომ სტრიქონები, ვით ვარსკვლავები, ცას ალისფერი შუქით აღებდნენ, კვლავ გეხვეოდნენ ლექსთა მკლავები და პატრონობას შეგღალადებდნენ“. რაც შეეხება მეორე ლექსს, აგრეთვე გალაკტიონისადმი მიძღვნილს, ფრონტიდან რომაა გამოგზავნილი 1943 წელს, მის შესახებ საინტერესო ცნობა შემოუნახავს შალვა რადიანს მოგონებების წიგნში: „გალაკტიონს მოსწონდა ბევრი ახალგაზრდა პოეტი, კერძოდ, მირზა გელოვანი. „მირზა გელოვანი ნიჭიერი ახალგაზრდაა, — უთქვამს ხშირად, — მისგან ნამდვილი პოეტი დადგება. ხომ წაიკითხე, ძამიკო, მისი ლექსები ჩემდამი მოძღვნილი? როგორ მოგეწონა დაბოლოება? „ბრძენო მაღალო, ცაო ძვირფასო!“ ჭეშმარიტი სიტყვებია! ლექსი ფრონტიდან გამოუგზავნია. შეხედე, იქაც პოეზიაზე და ჩემზე ფიქრობს... მოსაწონია“... ეს პატარა ცნობა წარუვალი ღირებულების შემცველი გახლავთ. ყველას კარგად მოეხსენება, როგორი ძუნწი და თავშეკავებული იყო გალაკტიონი ვისიმე პოეტური ტალანტის აღიარებაში. კაცმა რომ თქვას, თავის ირგვლივ იგი სხვა პოეტების არსებობას ვერც კი ამჩნევდა. და უცებ, „მისგან ნამდვილი პოეტი დადგება“... ეს ფრაზა დიდზე დიდ ქებასა და დასტურის დასმას ნიშნავდა.

ფრონტიდან გამოგზავნილი ლექსი მართლაც ერთი საუკეთესოთაგანია მირზას შემოქმედებაში. აქ ერთდროულადაა გამჟღავნებული გალაკტიონის პოეზიით აღტაცებაც, მისი მიუწვდომლობის შეგნებაც, მოკრძალებაცა და ნამდვილი თვითრწმენაც და ბოლოს, წინათგრძნობა გარდუვალი დაღუპვისა... სულიან-ხორციანა პოეტი უნდა იყო და ფოლადის ნერვებიც გქონდეს, რომ „სისხლის წვიმებში, ტყვიების ჩქერში“, გალაკტიონზე საფიქრალად მოიცალო, მოცლა იქით იყოს, საამისო გუნება-განწყობილება რომ შეინარჩუნო. ახლა ვნახოთ, რას სწერს იმავე ხანებში მირზა დას, რუსუდანს: „მივი-

ლე შენი წერილი — გალაკტიონის სურათით. ძალიან გამეხარდა. შენ იცი, როგორ მიყვარს გალაკტიონი და აქ, ფრონტზე, მისი სურათი მომეჩვენა თავისებურ სულისჩადგმად. 1939 წელს მე მქონდა ასეთი ღია ბარათები. მე ის ჩემს მიწურ ქოხში გავკიდე. ამასწინათ ლექსი გამოგიგზავნე გალაკტიონისადმი. მე ვცხოვრობ ჩვეულებრივ. მოწყენა, თქვენი ნახვის სურვილი, დაბრუნების სიშორე და იმედი სცვლიან ერთმანეთს. აქ — ზამთარია, მანდაც ზამთარია, ალბათ. მე წარმოვიდგენ მთებს — თოვლიანებს და მედარდება. მე წარმოვიდგენ თბილისს ზამთარში: მწვანე ხეებს თოვლში და მედარდება"... აქვე უნდა ითქვას: თავისთავად იმას კი არ აქვს მნიშვნელობა, რამდენი ლექსი მიუძღვნა მირზამ გალაკტიონს, ანდა რას იწერება მის შესახებ ფრონტულ წერილებში, არამედ პრინციპულ პოზიციას, გალაკტიონის შემოქმედებისადმი დაკავებულს. გალაკტიონი XX საუკუნის ქართველი ინტელიგენტის სულიერ ზრახვათა გენიალური გამომხატველი იყო და სწორედ ამიტომაც აღმერთებდა მირზა. მის ლექსებში, აქა-იქ გაისმის კიდეც გალაკტიონური ინტონაციები, მაგრამ უნდა ვიფიქროთ, ეს დროსთან ერთად გაივლიდა და მირზა მონახავდა საკუთარ თავს, თავისებური თვალთახედვით შეეცდებოდა XX საუკუნის ქართველი ინტელიგენტის სულში ჩახედვას. აკი თვითონ გალაკტიონს უბრძანებია: „მისგან ნამდვილი პოეტი დადგებაო".

მირზა იმდენად განაწყენდა „ჩვენი თაობის" რედაქციაზე, რომ იქით გახედვაც აღარ უნდოდა, მაგრამ კითხვით კი, თითოეულ ნომერს გულმოდგინედ კითხულობდა, თვალს ადევნებდა ახალგაზრდა თანამოკალმეთა შემოქმედებას. პირდაპირ უნდა ითქვას, იმდროინდელი „ჩვენი თაობა" ვერ დგას მოწოდების სიმაღლეზე, ნომრები მჭლეა და უღიმღამო, ბედნიერ გამონაკლისად შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ აკაკი გაწერელიას მაღალი პროფესიონალიზმით აღბეჭდილი წერილები და დანტეს „ღვთაებრივი კომედიის" გამსახურდიასეული თარგმანის ნაწყვეტები, რომელიც ყამიდან ყამზე იბეჭდებოდა. ეტყობა, შინაგანად მომწიფდა ჟურნალის ხელმძღვანელობის შეცვლის აუცილებლობა და მართლაც ასე მოხდა. რედაქტორად დაინიშნა ი. აბაშიძე, პასუხისმგებელ მდივნად — ნ. აგიაშვილი, ეს უკანასკნელი კარგა ხანს იმუშავებს ჟურნალში. დიდ ღვაწლს დადებს მისი გამრავალფეროვნების საქმეს და დამწყებ „ჩვენ თაობელებს" ნამდვილ სულიერ მეგობრობას გაუწევს, ხოლო მრავალი წლის შემდეგ გამოაქვეყნებს მემუარულ წიგნს „ჭაბუკები დარჩნენ მარად", რომელშიც ძალზე ცოცხალ პორტრეტებს დახატავს ლადო ასათიანისა თუ სხვათა და, იმდროინდელი ლიტერატურული ცხოვრების სურნელსაც მშვენივრად გვაგრძნობინებს... მირზა თანდაყოლილი ალღოს წყალობით მიხვდა, რომ ჟურნალში „მისი დრო" დამდგარიყო და იმედი მოიცა, გადაწყვიტა უპატრონოდ მიტოვებული „აონისათვის" მიეკითხა. ნ. აგიაშვილის ხსენებულ წიგნში ეს ეპიზოდი შემდეგნაირადაა გადმოცემული:

„1938 წლის აპრილის პირველი რიცხვებია. ვამზადებთ მეოთხე ნომერს. ჯგუფ-ჯგუფად შემოდიან ახალგაზრდები და ერთბაშად ავსებენ ვიწრო ოთახს. აქ არიან: რევაზ მარგიანი, ალეკო შენგელია, ანდრო თევზაძე, გიორგი კალანდაძე, ძმები უბილავები — ლადო და ელიზბარ, იოსებ ნონეშვილი, გაბრიელ ჯაბუშანური, შალვა ამისულაშვილი, ვასო ლომიძე — გამხდარი, შავგვრემანი ახალგაზრდა. ის ძალიან მალე გამოაკლდა ჩვენთაობელთა რიგებს და ყველაზე ადრე გარდაიცვალა. დაბეჭდა მხოლოდ რამდენიმე ლექსი და ერთი პოემა „გადარჩენა". ერთად შემოვიდნენ ვოლდემარ (ლადო) ავალიანი და ალექსანდრე საჯაია. შავ-შავ პალტოებში კოხტად გამოწენწილნი, ძალზე ლამაზებად მომეჩვენა ორივე. ფრთხილად შემოაღო კარი მირზა გელოვანმა. თავშიშველი იყო. ეცვა ჯავშნის მსგავსი ყანგისფერი ჯუბა თუ პალტოსნაირი რაღაც სამოსი. მოკრძალებით მოგვესალმა და ზურგი ფანჯრის მაღალ რაფას მიაყრდნო. მან მომაძღენინა თავისი პოემა „აონ". წინანდელ მდივანს უარი ეთქვა დაბეჭდვაზე, ძველი ადათ-წესების აპოლოგიაა და შიგ ახალი მთა არ ჩანსო. ეტყობოდა, მირზა თავიდანვე გაბრაზებული შემოვიდა რედაქციაში, მაგრამ არ იმჩნევდა, მშვიდად ყოფნას ცდილობდა. ხანდახან ისე გამოაკვესებდა თვალთაგან რაღაცნაირ მომწვანო ელვარებას, რომ შეიმჩნეოდა: ვერ იყო კარგ გუნებაზე. როცა პოემა უჯრიდან ამოვიღე და ჩუმად კითხვა დავიწყე, რამდენიმეჯერ მომთხოვა: თუ შეიძლება დამიბრუნეო. არ ვარგა და იყოს ჩემთან, ძალიან მიყვარს, ჯერჯერობით უკეთესს ვერ დავწერ და თუ არ მოგწონთ, რა ვუყოთ, მე ეგ არ მწყინსო. „აონ" კარგი ნაწარმოები აღმოჩნდა. რედაქტორმა ირაკლი აბაშიძემ წაიწერა: „დაიბეჭდოს მეექვსე ნომერშიო" და მირზას ძლიერ ახარებდა ეს ამბავი. იმ დღეებში სულ თბილი ღიმილი დასთამაშებდა ახლადშეღებილულ სახეზე. მირზას ის-ის იყო ჭაბუკობაში შეედგა ფეხი. თითქოს მუდამ მზით ჰქონდა გაბრწყინებული ოქროს სქელი ქოჩორი, გრძელწამწამებიან მომწვანო-ცისფერ თვალებს ლაპარაკის დროს არ აფახულებდა და ისე იყურებოდა აქეთ-იქით, თითქოს ყურს უგდებდა თავისსავე ნათქვამს, თან ყურადღებით იმასაც აკვირდებოდა, რა შთაბეჭდილებას ახდენს მსმენელზე ჩემი ნათქვამიო. სიცილის დროს სახე რაღაც მწუხარე და ოდნავ კაეშნიანი გაუხდებოდა, წარბებს შეიჭმუხნიდა, მა-

---

თეიმურაზ მაღლაფერიძე
ცხრაკარა

ინც მხიარული იყო, მაგრამ, შეიძლება ითქვას, — პირქუშად მხიარული".

„ათონ" მართლაც დაიბეჭდა „ჩვენი თაობის" მეექვსე ნომერში (1938 წ.), ამას მოჰყვა ჯერ კიდევ 1936 წელს დაეწერილი „საუბარი ირონთან "და ტრიპტიხი „ჩარგალი" (ვაჟას ეზოში მოკლული ჩხიკვი, ღიმილი, მწყემსის მუქარა) რომელი ლექსებითაც მირზამ ერთბაშად დაიკავა კუთვნილი ადგილი „ჩვენი თაობის" ირგვლივ შემოკრებილ ახალგაზრდა ლიტერატორთა შორის. ზემოთ ნ. აგიაშვილს ჩამოთვლილი აქვს მათი გვარები. „ამ ახალგაზრდების სახით ქართველი მწერლების იმდროინდელ დიდსა და სახელოვან ოჯახს ნამდვილად ღირსეული ცვლა ეზრდებოდა", — აღნიშნავს ვახტანგ ჭელიძე. მართლაც, ზემოხსენებული გვარების უმეტესობა დღეს კარგად არის ცნობილი ყველა წიგნიერი ქართველისათვის და არავითარ დამატებით რეკომენდაციას არ საჭიროებს, მხოლოდ ეგაა, დაკვირვებული მკითხველი მათში უეჭველად მოისაკლისებს ელვარე ლადო ასათიანს. საქმე ის გახლავთ, რომ ამ დროისათვის ლადო ჯერ კიდევ არ არის ქუთაისიდან თბილისს გადმოსული, მწარე სულიერ ობლობას განიცდის და ასეთი ნაღვლიანი სტრიქონებით ეხმიანება უფროს მეგობარს — ნიკა აგიაშვილს: „რაც შენ წახვედი, მას შემდეგ მარტო ვარ. არც ქალაქში გავსულვარ ერთხელ მეტად. „გრანდ-ოტელისაკენ" ხომ სულ არ გამიხედია, — წარმოდგენები მახრჩობენ. დღეს ვიშოვე სამი მანეთი და ჩვენს საყვარელ კაფეში მინდა დავჯდე, ჩვენს მაგიდასთან. მინდა ვიფიქრო შენზე, სხვებზე, ყველაზე, მთელ ქვეყანაზე, ცოტა ჩემზეც... კაცი არა მყავს, რომ ვუთხრა სიტყვა, გამიგოს, შვება მაგრძნობინოს". ამ პატარა ნაწყვეტიდან აშკარად ჩანს, რომ ლადოც, მირზასი არ იყოს, პროვინციაში ვეღარ ეტევა, ადგილს ვერ პოულობს და დედაქალაქის სისხლსავსე ლიტერატურული ცხოვრებისაკენ მიუწევს გული. საიმდროოდ იგი 22 წლის ჭაბუკია და რამდენიმე, მართლაც მშვენიერი ლექსის ავტორიც გახლავთ. მიუხედავად ძალზე ახალგაზრდული ასაკისა, მას უკვე ჭარბად აქვს ნაგემები ცხოვრებისაგან მოწვდილი სამსალა და საბედისწერო ავადმყოფობის — ჭლექის ნიშნებიც აშკარად ემჩნევა. 1938 წლის ზაფხულზე იგი ტოვებს ქუთაისს და სამუდამო საცხოვრებლად თბილისს გადმოდის.

2.

„პოეზიის ბჭეს მიეჭერით ჭაბუკურ რიხით, გაიხსნა კარი და მუზების რული დაირღვა, წინ ახასხასდა საბალახო ლექსების ლიხი, ამღერდით სამნი და თქვენი ხმა ეხოდ დაირხა. ოქროს სიტყვები დაიხსენით უბრობის ციხით, მოუვასმა მყისვე მოუსმინა ნაირ-ნაირ ხმას, მაგრამ უხანოდ შეგეჩეხათ არყოფნის ჩიხი და ქარქაშები შეეგება შიშველ შაირ-ხმალს... ავაჯმე, ძმანო, თქვენი ლექსის ოქრო-ნაყოფი რარიგ მცირეა, თან რა დიდი—მარად სამღერო. ის, რაც გვითხარით, ჩვენს მშიერ სულს როგორ ეყოფა, — უფრო გვშივდება თქვენი სიტყვის ტკბილი სამხარი... ავაჭ, თქვენი ჩქრო რუსთაველზე აღარ ჩაიარს, — ასათიანო, გელოვანო და საჯაია"... — ასე დაიტირა გაბრიელ ჯაბუშანურმა უდროოდ დაღუპული სამი მეგობარი, ბედმა და განგებამ სამუდამოდ რომ გადააჭაჭვა ერთმანეთს. ლადო, მირზა, ალიოშა... ეს სამება ძვირფასია ყველასთვის, ვისთვისაც ძვირფასია ქართული პოეზია. „თავისი სიცოცხლით, შემოქმედებით და ნაადრევი სიკვდილითაც ისინი მთელი თაობის ბედს განასახიერებენ. მოკრძალებით შემოვიდნენ ქართულ პოეზიაში, ჩუმად დაანთეს სანთლები და ასევე უხმაუროდ, ფეხაკრეფით წავიდნენ ჩვენგან. ისინი მხოლოდ პოეტები იყნენ, მხოლოდ მეოცნებენი, სხვა თითქმის ვერაფერი მოასწრეს, მაგრამ მათ მიერ დატოვებული სინათლე, როგორც პირველი სიყვარულის ცრემლი, როგორც უმაწვილური ლოცვის განუმეორებელი მხურვალება, დღემდე არ ქრება და უჩვეულო სითბოს გამოსცემს". ისინი განსხვავებული ბუნებისა და ტემპერამენტის ადამიანები და პოეტები გახლდნენ, მაგრამ მაინც მჭიდრო მეგობრობა აკავშირებდათ ერთმანეთთან, რაიც, უპირველეს ყოვლისა, ქართული სიტყვისა და მწერლობის ფანატიკური სიყვარულით იყო გამოწვეული. „ლადო ასათიანის ლექსის სტრიქონს თითქოს ალმური ასდის. ეს სამხრეთის მცხუნვარე მზის ნიშანია, უფრო მეტად კი იმ გაუნელებელი ცეცხლისა, რომელიც დღედაღამ ღრღნიდა პოეტის სულს და სხეულს. ეს ის შუქია და ის სითბო, რომელიც პოეზიაში ვერავითარი ოსტატობით ვერ მოიპოვება, თუ სიტყვამ შთაგონების ღადარში არ გაიარა". გარდა ამისა, „ლადო იყო ზედმეტად გაღიზიანებული და ნერვიული კაცი. იგი თითქოს თვითონვე ეძებდა და იწვევდა მაღალი შემოქმედებისთვის აუცილებელ იმ დიდ ცხოვრებისეულ ტკივილებს, რაც ადამიანს სხვადასხვა დროსა და სხვადასხვა პირობებში ეწვევა ხოლმე. ამას გარდა, სიმონ ჩიქოვანის მოხდენილი თქმისა არ იყოს, ლადო ასათიანი თითქოს გრძნობდა მოახლოვებულ სიკვდილს და ცდილობდა ბევრი მოესწრო, ბევრი ეთქვა პოეზიაში. ეს, სხვათა შორის, მისი ლექსის რიტმსაც ეტყობოდა. მის ლექსებს რომ ვკითხულობთ, თითქოს გვესმის სიცხიანი ავტორის აჩქარებული მაჯისცემა. და მან ბევრის თქმა მოასწრო, თუმცა, რაღა თქმა უნდა, უფრო მეტი მაინც უთქმელი დარჩა. ალექსანდრე საჯაიას ბუნებით ნა-

---

1 ეპიზოდი სხვადასხვა ავტორების გამონათქვამთა მიხედვით არის შედგენილი (გ. ჯაბუშანური, ვ. ასათიანი, ვ. ჭელიძე, ნ. აგიაშვილი), მე მხოლოდ „დავამონტაჟე" ისინი.

კლები სიფიცხე და მგზნებარება არ ჰქონია, მაგრამ იგი ირეწდა საოცარ საერთო სიმშვიდეს, დიდ ზომიერებასა და ტაქტს ადამიანებთან ურთიერთობაში. ამიტომაც იგი ყველასაგან განებივრებული იყო. სიკვდილი მასაც თურმე იქვე ჰყავდა ჩასაფრებული, მაგრამ ალბათ ვერ გრძნობდა ამას და არც ეჩქარებოდა". რაც შეეხება მირზა გელოვანს, მან „თანატოლთა შორის ყველაზე მწარედ და მძაფრად თქვა იმ საბედისწერო განშორების, იმ განწირული იმედების დაბრუნებაზე, იმ მსასოვარი გულების, იმ საშინელი არდაბრუნების სიმღერა. მაგრამ მან, როგორც მძაფრი წინათგრძნობის პოეტმა, როგორც დაბადებით მეოცნებემ, მაღალმხედმა და ნათელმხედველმა — გვამცნო არა მხოლოდ თავისი ცხოვრების ამბავი, არა მხოლოდ ის, რაც სიცოცხლეში გადახდა, არამედ ისიც, რაც სიკვდილის შემდეგ ელოდა მის სახელს და მზიურ შთაგონებას..." ცნობილ ლიტერატორთა მიერ გამოთქმული ეს აზრები, რაღა თქმა უნდა, ჭეშმარიტებას შეესატყვისება, აქ ზუსტადაა დაჭერილი სამივე მათგანის პოეტური და ადამიანური თავისებურება, მაგრამ ეს ხაზ მერმინდელი, გვიანდელი დახასიათებებია. იმ დროს კი, როცა ჩვენი ჭაბუკები ერთმანეთს გაეცვნენ და დაუმეგობრდნენ, დახასიათებისა და შეფასებისათვის ისინი ჯერ კიდევ არ იძლეოდნენ მდიდარ მასალას. უბრალოდ ცხოვრობდნენ, თითქმის ყოველდღე სვდებოდნენ ერთმანეთს, წერდნენ ლექსებს, ბეჭდავდნენ, ზოგჯერ ვერც ბეჭდავდნენ და წუხდნენ... ასე გადიოდა დრო.

„ერთ დღეს ზოოპარკს ესტუმრნენ ლადო ასათიანი, მირზა გელოვანი და ალიოშა საჯაია. მიეხალისნენ ირმებს, მიუალერსეს თუთიყუშებსა და ფარშევანგებს, დააფრთხეს დღის სინათლით გამოლენჩებული ზარნაშო. მირზას არ მოეწონა მაიმუნების მანქვა-გრეხა და ზიზღით გაშორდა მათ. ერთი დიდი ფარშევანგი თვლემდა ჩიტოში.

— აი, ეს კი ცოცხალი კლასიკოსია, უკვე სახელმოხვეჭილი და ნაიუბილარი, — წამოიძახა მირზამ. შემდეგ დიდხანს იდგა ლომ-ვეფხვთა გალიებთან, — ახლა ეს ლომები და ვეფხვები ნახეთ! რა სიძულვილი და უსაზღვო სევდა გამოკრთის მათი ნაღვლიანი თვალებიდან... ერთხელ უნდა მოხვიდე და აუშვა ყველა ესენი. ჰოი, რა ორომტრიალი დადგება და რა თვალისსეირს ვნახავთ! მერე იმდენი ძალა და გავლენა უნდა გქონდეს, რაიმე ლექსი წარმოთქვა ან იმღერო ავთანდილურად და, ერთი თვალის გადაბრიალებით, შენს ფერხთით განერთხოს ყველა. მაშინ იქნები ნამდვილი პოეტი და მომღერალი ქვეყანაზე".

ამ ეპიზოდს ნიკა აგიაშვილი იგონებს და იქვე დასძენს: მაგრამ ახალგაზრდა პოეტთა ყოველდღიურ თავშეყრის ადგილი და ნამდვილი საფიხვნო მაინც რუსთაველის გამზირი იყო. „საღამოობით ლადო ასათიანი დაასწრებდა ყველას და გამოვიდოდა პროსპექტზე. გამოვიდოდა და დადგებოდა ალ. ჭავჭავაძის ქუჩის თავში, ჭადრის ძირას. ცოტა ხნის შემდეგ დაიძვრებოდნენ ყოველი მხრიდან, რუსთაველის პროსპექტის ზემოთ და ქვემოთ მდებარე ქუჩებიდან, ვერიდან, მტკვარგაღმიდან. ალიოშა საჯაია გრიბოედოვზე ცხოვრობდა. რეზო მარგიანი, ლადო ავალიანი, ალეკო შენგელია და გაბრიელ ჭაბუშანური მთაწმინდის უბნელები იყვნენ. მირზა გელოვანი, ვახტანგ ბეწუკელთან ერთად, ყოფილი წყნეთის ვიწრო ქუჩაზე იყო შებუდებული — ერთ პატარა დარაბაში, ზედ ტრამვაის ხაზთან და გარეშემო წვრილ-წვრილი სავაჭროები, ქართული პურის საცხობი, სახაშე და სახელოსნოები ერტყა. ჭადრის ძირში მალე სხვებიც მოიყრიდნენ თავს. იდგნენ ჯგუფ-ჯგუფად და საუბრობდნენ, კამათობდნენ და დავობდნენ. ლადო იმ დროს სტენდალით იყო გატაცებული. კითხულობდა „პარმის სავანეს" და „ეგოტისტის ჩანაწერებს". მესამედ თუ მეოთხედ დაუბრუნდა „წითელსა და შავს". ამბობდა: „ახლა კი მჯერა ტოლსტოის ნათქვამი ამ რომანზე: არ ვიცი, სადაა პოეზიასა და პროზას შორის განსხვავებაო". მას საერთოდ უყვარდა თავისი აზრების ხმამაღლა, კატეგორიული ფორმით გამოთქმა და ადვილად ცხარდებოდა, წონასწორობას კარგავდა, თუ შეატყობდა, რომ მსმენელი უსიტყვოდ არ ეთანხმებოდა. ლიტერატურა, ისტორია, პოეზია, საერთაშორისო ამბები... უკვე იგრძნობოდა მოახლოებული მსოფლიო ომის ფეხის ხმა. ერთმანეთს მოყვნენ: ხასანი, ხალხინ-გოლი, ფინეთი... იმ დროის ამბებს ეკუთვნის ალ. საჯაიას სტრიქონები: „კაპიტან ხასანი ჩვენია, ჩვენია სიცოცხლე, კაპიტან"... საუბრებისა და კამათის დროს ხშირად ისმოდა შეძახილები: გენიალურია! შესანიშნავია, სისულელეა! აბსურდია! ბითურობაა! გასაგიჟებელია! რა აბდლობაა! საოცარია! (სამი უკანასკნელი სიტყვა ყოველთვის ალიოშა საჯაიას ეკუთვნოდა!) აქვე იბადებოდა და ითხზვებოდა ეპიგრამა — „ფუნაგორიებიც". საერთო საუბარში რომელიმე მათგანი მოულოდნელად გადმოისროდა რაღაც უმნიშვნელო სიტყვას, მეორე კრიალოსანის მარცვალივით ჩაუგდებდა სადაგ რითმას, სხვებიც თავისას წაუმატებდნენ და მზად იყო ეპიგრამა. სხვებთან შედარებით ალიოშა საჯაია უფრო მშვიდი და თავდაჭერილი ჩანდა, მაგრამ ყოველთვის მზად ჰქონდა ცეცხლი დასაკვესად. ეს, ერთი შეხედვით, არ შეიმჩნეოდა, იმდენად თავაზიანი და გულისხმიერი იყო იგი. ამაში ხელს უწყობდა კულტურა და აღზრდა. იცოდა რაღაცა ღუღუნ-ღუღუნით და მოკრძალებით საუბარი, სიტყვები თითქოს იქვე იქმნებოდნენ მის ლამაზ ტუჩებთან და

თეიმურაზ მაღლაფერიძე
ცხრაკარა

ალმასივით კრიალა კბილებთან. ყოველთვის კოხტად იყო ჩაცმული, შავ კოსტუმში, ღილგახსნილი თეთრი პერანგით, თავშიშველი, ხუჭუჭთმიანი: ოდნავ მიბნედილი თვალები რიყრაჟს მიუგავდა, სისხამ დილით მონისლულს. ერთხელ ლადო ასათიანმა გაკენწლა: „რიბი-რაბო თვალები გაქვს, ტანკენარო, თეთრკბილება, კაიკაი ლექსებს გვიწერ, მაგრამ რა ვქნათ, გვეტკბილება". თავის მხრივ არც ალიოშა რჩებოდა ვალში. ერთ დღეს ლადომ თქვა: „ჩემი ოცნებაა გორკივით ვიხეტიალო მთელ ქვეყანაზე: ერთი-ორი ჩემისთანა ვინმე რომ მაპოვნინა, შევუამხანაგდებოდი, დავკრავდი ფეხს, მთელ საქართველოს დავივლიდი და ვნახავდი ყველაფერსო". ალიოშამ სიცილით მოუჭრა: „კაი. შეახედავი კი იქნებოდი შენი ორმოცდაექვსნომრიანი ფეხსაცმლით საქართველოს მთა-გორაზე აღმა-დაღმა მიმომავალიო". ლადოს მართლაც დიდი ფეხები ჰქონდა და სირბილსა და სიარულში მაინცდამაინც ვერავის გაეჯიბრებოდა. სწორედ ამიტომ, ალიოშამ „ბებერი ცხენი" შეარქვა მას, მაგრამ ლადოს არ სწყენია, ეს შეტსახელი, ერთიორჯერ ფსევდონიმადაც კი გამოიყენა. მირზა გელოვანი მათზე უფრო ჯანმაგარი იყო, ლადო კი — ორივეზე დიდი და მაღალი. მართალია, ბოლო წლებში ძლიერ დაჯაბნა და გაამწარა სენმა, მაგრამ ცხოვრება მაინც ვერ შეაზარა მაშინაც კი, როცა შავფრთიანი სიკვდილის ცელი ყელს ეხვეოდა საშინელ ბირდაბირად და უკვე გამართული ჰქონდა მასთან სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა. უკანასკნელად ავსიტყვა გახდა და ზოგიერთისთვის თითქოს აუტანელიც. ბევრს ერთობ გულდახურული, აბეზარი და ჯიუტი ეგონა, მაგრამ მეგობრებმა ხომ იცოდნენ მისი გულისტკივილი, გრძნობდნენ რომ დღეები დათვლილი ჰქონდა და ბევრ რასმე აპატიებდნენ ხოლმე. არ უყვარდა სიკვდილის შიშზე წუწუნი, წერა და საუბარი. „ჭაბუკი ვიყავ, ქარბუქი ვიყავ", — ლადოს ეს სიტყვები მძიმე ავადმყოფობის ყამსაა დაწერილი...

და დადიოდნენ თბილისის ქუჩებში, თეატრებსა და კინოებში, კრებებსა და მოხსენებებზე მთაწმინდის პლატოზე, ეკლესიებში, სასაფლაოებზე, ოქროყანაში, ბოტანიკურ ბაღში და ერთად იღებდნენ ფოტოსურათებს. სულ გარეთ და გაშლილ ჰაერზე უნდოდათ ყოფნა. მირზა, ლადო და ალიოშა, ალბათ გრძნობდნენ კიდეც, რომ მალე დახუჭავდნენ თვალებს და ვეღარ იხილავდნენ ზეცას თბილისისას.

რუსთაველის პროსპექტს თითქოს ახლაც ჰხნია მათი მკრთალი ნაფეხურები! ძლიერ უყვარდათ უფროსი თაობის მწერალთა საუბრების მოსმენა და ბევრ მათგანს პატივისცემით ეპყრობოდნენ. მოკრძალებით ადგნენ თავზე მწერალთა სახახლის ბაღში მერხზე ჩამომსხდართ: ტკბილქართულით მოსაუბრე გერონტი ქიქოძეს, პავლე ინგოროყვასა და ლეო ქიაჩელს. მხარდამხარ დაჰყვებოდნენ მუშაობის შემდეგ დამით პროსპექტზე ცალფად მოარულ კონსტანტინე გამსახურდიას — „დიდოსტატის მარჯვენა" მაშინ იბეჭდებოდა „მნათობში".

გვიანობამდე ვერ სცილდებოდნენ ერთმანეთს. ყამათ-ყამათითა და საუბრით რამდენჯერმე აივლიდნენ და ჩაივლიდნენ პროსპექტზე, მხოლოდ გვიან ღამით დაიშლებოდნენ და მიაშურებდნენ სახლებს. ბოლოს ერთმანეთს შეამორჩებოდნენ ლადო და მირზა და ერთხანს კიდევ განაგრძობდნენ ხეტიალს და „ფიქრს ლექსებზე, კარგ ლექსებზე"... ალბათ სწორედ მაშინ დაიბადა ეს სტრიქონები: „რუსთაველის პროსპექტზე სიარული ნუ მომიშალოს ღმერთმა".

ეჰ, მართლაც, „საით წავიდნენ ვაჟები?"...

3.

არც ერთს არ ახსოვდა, როდის ჩაესახათ აზრი თიანეთში წასვლისა. ლადო, შეიძლება ითქვას, სრულიად არ იცნობდა აღმოსავლეთ საქართველოს ლანდშაფტებსა და ყოფას. როცა გლდანის გადასახვევთან დაჯდრეული „პალტარატონკა" გააჩერეს და ძარაზე აფორთხდნენ, გრძელი მკლავები გაშალა და მანქანის რყევას აყოლილი, აცეკვდა სიხარულით. ნახავდა ერწო-თიანეთს, ნამდვილ ფშაველებსა და ხევსურებს, ეზიარებოდა ვაჟას სამყაროს და ვინ იცის, ეგებ ჩარგალშიაც გადასულიყო... მოდგეს და ახლაც იქილიკოს ალიოშა საჯაიამ — ბებერ ცხენს სად შეუძლია მთა-გორებზე სიარული, რომ დასცინოდა. აბა და ვნახოთ, თუ არ შეუძლია!... ძარაზე სამნი იყვნენ, მირზა, ლადო და ერთიც გამურული ბიჭი, შოფრის „პომოშნიკი", რომლის მოვალეობას შეადგენდა მალმალე ჩამქრალი მანქანის მოტორში „რუჩკის" შეყრა და ქანცის გაწყვეტამდე ტრიალი, ვიდრემდის ძრავა კვლავ არ ათუხთუხდებოდა. ასე სვენებ-სვენებით, ყმუილითა და კრიახით ეჭიდავებოდა მანქანა მამკოდისა და ცხვარიჭამიას აღმართებს, ხოლო ჩვენს მგზავრებს უმოწყალოდ უნჯდრევდა გულგვამს. როდის-როდის, კარგა დასამხრებულზე, საბადურის ტყეებსაც უწიეს და ლადო ლამის მთლად გადაირია ბუმბერაზი, ლიტაო თელების შემხედვარე. ხეები მჭიდროდ გადაჭდობოდნენ ერთმანეთს, ზაფხულის გამთანგავი ხვატი ვერ ატანდა მათს მწვანე ბურულში და ნოტიო, მაცოცხლებელი სიგრილე იდგა. აქ ნამდვილად მოითქვამდა სულს ქალაქის ალხით ნატანჯი კაცი. მანქანის ხტუნვას აყოლილი, მტვრის ბუქში გახვეული ჭაბუკები კაბინაზე იყვნენ დაყრდნობილი და თითოეული თავისთვის მღეროდა რაღაც გაურკვეველ მოტივს. მირზას ალარც ახსოვდა, უკანასკნელად როდის გრძნობდა თავს ასე ბედნიერად. ანდა, გრძნობდა კი, საერთოდ? თითოეული ხე, წავარნა თუ ფლატე, სივრცეები და მხურვალე ბორჯღალი ნზისა, ნშობლიური იყო და ახლობელი. ხოლო ეს აწოწილი

ბიჭი, თმაგადაპარსული და მაღალშუბლიანი, ბრიალა, შავი, ჭკვიანი, ოდნავ ნაღვლიანი თვალები რომ აქვს და მსხვილი, გლეხური მაჯები, იმდენად ძვირფასი გამხდარა შეუმჩნევლად, რომ მისი სიყვარულისაგან გული ეწურება, თუმცაღა გარეგნულად არაფერს იმჩნევს და არც ამყღავნებს. ლადოს სიტყვა-პასუხში, ქცევაში, გამოხედვაშიც კი, სამანდაუდებელი, აულაგმავი ნიჭიერება წყაროსთვალივით სჩქეფს, მაგრამ ჯერ კიდევ არ დამდგარა ის დრო, როცა იგი „სალაღობოს", „სასაფლაოს", „კრწანისის ყაყაჩოებს" და სხვა შედევრებს დასწერს და სამუდამოდ დაივანებს ქართულ პოეზიაში. ამჟამად ერთი დამწყები პოეტია მხოლოდ — ფართოდ გახელილი, აღტაცებაჩამდგარი თვალებით რომ იყურება ირგვლივ და ჭლექმორეული ფილტვებით ისრუტავს საბადურის მაცოცხლებელ ჰაერს. დროდადრო იგი მირზას გადახედავს და უსიტყვოდ ეუბნება მადლობას. აჰა, გამოჩნდა ერწოც ფართოდ გაშლილი ველებით, წითელ კრამიტიანი სახლებითა და ალვის ხეთა კენწეროებით. სოფელ ღულელებში ორი ხურჯინგადაკიდებული გლეხი გადაუდგა მანქანას. გააჩერებინეს, ჯერ ხურჯინები აალაგეს ძარაზე, მერმე თვითონაც აფოფხდნენ ხვნეშით და იქვე მოკალათდნენ. დროული კაცები იყვნენ, შეეერცხლილნი, თუშური ქუდები ეხურათ, ჭრელი წინდები და კოხტად გაწყობილი, ჭვინტიანი ქალამნები ეცვათ, ერთს ღვედის ქამარზე მეშის ქარქაშიანი, უბრალო სატეევარიც ეკიდა. ყიპიტაური ჰქონდათ ნასვამი და წვრილი, ნაოჭებში ჩაკარგული თვალები უციმციმებდათ, ძმები აღმოჩნდნენ, გეჯურა და ბიბო ზარიძეები, პირწყლიანი ბერიკაცები იყვნენ, მაშინვე გაეხმიანნენ მირზას და ლადოს, საით მიდიხართო, დაინტერესდნენ, თავისიცა თქვეს — ერთი სხლოვანს მიდენილა, მეორე კიდევ — არტანს, გათხოვილ ქალიშვილებთან. „სხლოვანი პირიქით არი ივრიპირზედა, არტნის პირდაპირა. არტანი და სხლოვანი სოფლებია, შუაზე ჩაუდის ოორი", — დანჯად განმარტა ბიბო პაპამ, ხოლო გეჯურამ დიდად გაიკვირვა, როცა გაიგო, რომ ლადო არ იყო თიანეთში ნამყოფი: „მაშ, არ გინახავ თიანეთი? თიანეთი ცოტა ქალაქია და ხალხი კარგია. ბაზრობა იცის კარგი, ქალაქით მოდის ხალხი. ერთი ვერსი იქნება არტანამდენა სოფლიოსშეითა". ლადომ დამნაშავესავით გადახედა მირზას, მირზამ ღიმილით ჩაუკრა თვალი — აჰყევი საუბარში, ნუ გერიდებაო. საიდან არი ლადო? ლეჩხუმიდან? ეე სადღაა ნეტა? არა, ლეჩხუმისა ნამდვილად არა იციან რა ძმებმა ზარიძეებმა. სადმე იმერლების ქვეყანაში იქნება ალბათ. რაო? იმერეთი იმერეთია და ლეჩხუმი კიდევ ლეჩხუმი? ბიჭოს?! კარგი და, რა განსხვავებაა, ვითომ? განა ლეჩხუმშიც ქართულად არ უბნობენ? ჰოდა, მორჩა და გათავდა, საქართველო ყოფილა იქაც. ლადო ოცინის. იცინიან მოხუცებიც, მერმე კი მირზას ასავალ-დასავალით ინტერესდებიან. როცა გაიგეს, გედეონის შვილია და შაქროს ძმისწულიო, გაიხარეს დიდად. თუ ვიცნობთო? გეჯურა პაპამ გაოცებით აზიდა წარბები: „რას ამბობ, ძმისწულო, მაგათ ვინ არ იცნობს ამ ერწო-თიანეთში"? მირზა სიამოვნებით იფაკლება, ხოლო გეჯურა პაპა ვეღარ ისვენებს, მანქანის უსაშველო ჯანჯღარს აყოლილი, ძლივძლივობით ხსნის ხურჯინის თვალს, ციკნის ტიკჭორას ამოათრევს, ცხვრის მოხარშულ ბარკალს ამოაყოლებს, სატევარს გაიძრობს, მოზრდილ ნაჭრებს ჩამოათლის, ჩამოარიგებს და სადღეგრძელოსაც იტყვის: „სანამ ცაზე ვარსკვლავი და დედამიწაზე ბალახი არემარეობს, კაცთა ხსენება და სიყვარული ყოველთვინ ყოფილიყოს". იტყვის და პირდაპირ ტიკჭორიდან დაიწყებს სმას. როცა მორჩება, შეყვითლებული წვერ-ულვაშით დაფარულ ტუჩებს ხელის ზურგით მოიწმენდს და ტიკს უმცროს ძმას, ბიბოს გადასცემს. და ვაჩაღდა სმა და პურობა. ძარაზე სხედან, ჯაყჯაყებენ, იბეგვებიან, ერთმანეთს ასკდებიან, ხარხარებენ და რიგრიგობით სვამენ მწკლარტე ყიპიტაურს, რომელმაც სულ მალე გააჩინა ცეცხლი ჯანში. მოხუცების გაკვირვებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა გაიგეს, ეს ორივე ჯეელი ნამდვილ საქმეს არას აკეთებდნენ და ლექსებსა წერდნენ მხოლოდ. მერედა, პურს რითი სჭამენ? ანდა, ჯალაბი როგორ უნდა არჩინონ, როცა ეყოლებათ? ამ ლეჩხუმელმა თვითონ იცის თავისი, მაგრამ აი, გედეონის ბალღს კი ვერ „უქნავ" მამა-ბიძის საკადრი საქმე. მირზა და ლადო ხარხარებენ, გეჯურა პაპა კი ახლა იმას იგონებს, თუ ბალღობაში, ბიძაშვილმა მათიამ, როგორ ასწავლა წერა-კითხვა: „მენ და მათია დავდიოდით სამწყემსოში. იქ ბალღები მინდორში ხან ვჭიდაობდით, ხან სალამურ-შტვირს ვუკრავდით, ხან ვმასხარაობდით და ხან მაჟწავლიდა წერვასა. პირველად ზოკოზე დამიწერა ჩხირითა, მემრე ქვაზე, მემრე ხეზე და მაჟწავლიდა ოცდაცამეტ ასოს. ეი ზოკო გუდაში მქონდის, ამოვიღებდი, წავიკითხავდი, ხან კი დავწერავდი. საქონელი რო მოგვიდიოდის მათია ჩუმათ ჟწერდა ქვებზე სიტყვებსა და მემრე, დილით, ასკინკილით რო შავაყოლებდით საქონელსა, მეტყოდის: — აბა, რა ჟწერია ემ ქვაზეო? მენაც ჩავღირღიტებდი და ვეტყოდი: მამაო ჩვენო-მეთქი. და ესრე ცოდო-ჭირით ვისწავლე თითო-ოროლა ასო". ლექსი, ლექსი თუ დაუწერია ოდისმე? „რატო არა, ერთხელ, როცა მენ ისევ ახალგაზრდა ვიყავი და ახლად შართული ცოლი მყვანდა. დადგა დიდი გოლვა, აირმა წამაჟკრა ისეთმა, რომ სუ გადაიწო მინდვრები. მაშინ კოლექტივები არ იყო, თორო დამშეულ ხალხს მთავრობა რამეჟ გვიშველიდა. წაველ ყანაში, რო კიდენ დამეხედნა. მიველ და

ნიკიფორაზ მალლაფერიძე
ცხრაკარა

რასა ვხედავ: ჩემი ყანა ბზედა ქცეულიყო გოლვისაგან. მენ ჯერ ვიტირე, მაგრე მოვნახე ერთი სიპი ქვა და ხანჯლი წვერით დავწერე ეს ლექსი: გეშუდრი ერწოდ მინდორო, თოლენჯიდ არემარეო, დასახედავად ვაკე ხარ, თავზე დაქცქერის მზვარეო, რაც შქონდა მთელი მიწები, მოვხანი, გადავბზარეო, როცა სამკალათ მიველი, ცხარე ცრემლები ვლვარეო. ვაი, შენ, ჩემო ნაშრომო, რა ცუდათ ჩამიარეო, დავდექი პური გზაზედა, ქვეყანა მოვიარეო, მაგრამ ვერ დავთმე, ოხერო, გული ვერ გავიავეო". მირზა და ლადო აღტაცებით გადახედავენ ერთმანეთს, მოდი და ნურც ამის შემდეგ დაუჯერებ ლეონიძეს — ყველა ხევსური, ვიცი, დანტეაო, რომ ამბობს. შოფრის „პამოშნიკმა", გაბურძგნულმა ბიჭმა, ხორცით და პურით მადიანად რომ იღმურძლებოდა და თან ძარაზე აქეთ-იქით ეხეთქებოდა, იფიქრა — აქ ლექსებს გასავალი ჰქონიაო და დაუკითხავად ჩააბულბულა: „მთის გულს მოშორდი წყვდიადო, ღამით დამდგარო ბნელისა, ნიავო, ალბიბინე მწვანე ბალახი მთებისა, ჩამოხკარ, შურთხო, ჭიუხში, ზარი ბუნების ლხენისა, მზევ, ჩამოხქარგე ოქროთი თავი მაღალი მთებისა. აბანოსთავ მწვარ ნისლებსა წამოუქროლე, ნიავო, მაშინ გამოჩნდი, ლამაზო, შავიკლდის მთანო კლდიანო, პირ დაღბან, გაალამაზე, ცისმარე დილავ, მზიანო, ენაცვლე, კავკასიონო, ლაღო და ლაზათიანო". აქ კი ვეღარ მოითმინა ლადომ, ბიჭი ჩაბღუჯა, გულზე მიიკრა და გადაკოცნა. თითქო ერთბაშად განიფანტა მანქანისაგან ამდგარი ყვითელი ბუქი და შორს, ჰორიზონტის დასალიერზე გამოჩნდა თოვლით მოსპეტილი გრეხილი „ლაღი და ლაზათიანი" კავკასიონისა, მზის ხხივებით რომ იყო დაფერილი... ახლა მირზას და ლადოსაც დაუდგათ ლექსების ჯერი, მაგრამ ხაშინლად დაირცხვინეს და ვერც ერთმა კრინტი ვერ დასძრა. „არა, ძმაო, ვაჟა-ფშაველა უნდა იყო, ამათთან ხმის ამოღება რომ გაბედო", — თქვა ლადომ. ასე და ამგვარად, მზის ჩასვლისას, როგორც იქნა მიატანეს თბილისს. და მირზა აცმუკდა ბავშვივით. ავერ, ოორი, მისი ოორი, მისი ბავშვობის ტკბილი აკვანი, ავერ, მიყოლებით ჩარიგებული, თმაგაწეწილი ტირიფები, ავერ, სასაფლაო და მის ზემოთ, ხერზე, ცხრაკარას ციხის ნანგრევები. წარვიდა, გაჭრა, ხანეტარო დრო ბალღობისა: „ოი, დღეებო ბავშვობის, არასდროს დამიბრუნდებით, დამტოვეთ, ჩუმად დამშორდით და როგორც მტრედთა გუნდები ცას გადაუვლით ბრძოლებით და დამაღონებთ ოოლად... რატომ არ ჩემი სწორები, რატომ არ ჩემი ოორი!?" — თვალზე ცრემლის ბინდმომდგარი იტყვის მირზა მერმე, გვიან, დაღუპვამდე ცოტა ხნით ადრე, ცეცხლით ადუღებული ცისა და მიწის შემყურე. „ჰეი, ბავშვობის დღეებო, დაბრუნდებოდეთ ნეტავი!" — ჩვეული ომახიანი სევდით შესძახებს ლადო თავის „ბარღნალაში", ცოტა უფრო ადრე, ვიდრე მირზას სტრიქონები დაიწერებოდა. მაინც რატომ არგუნა ბედმა ამ ორ ჭაბუკს ასეთი სიმწარე? ჯერ კიდევ თითქმის ბავშვები, უკვე დაკარგულ ბავშვობას მისტიროდნენ და მის დაბრუნებაზე ოცნებობდნენ ამაოდ... აი, თიანეთის ცენტრი, — პატარა მოედანი, უზარმაზარი ცაცხვებით ჩაბურული. მანქანა აქ ჩერდება. მე, რაღა თქმა უნდა, არ შევუდგები იმის აღწერას, თუ როგორი სალამ-ქალამითა და ნახვის ნატვრით დაემშვიდობნენ ერთმანეთს კარგა შეჭიკჭიკებული ბერიკაცები და ჭაბუკები, ეს არც ისე ძნელი წარმოსადგენია. არც იმის აღწერაზე გავაგრძელებ სიტყვას, თუ რა სიხარული გამოიწვია პატარა, მყუდრო გრემის ქუჩაზე მდებარე სახლში მირზას და ლადოს გამოჩენამ. თითქო ცა განათდა და ჭერი აიწია. ოჯახის წევრები ყველანი შინ იყვნენ. განგების ნებით, თუ რაღაც ავი წინათგრძნობის კარნახით, შვილები მშობლებსა და მშობლიურ ბუდეს დაჰბრუნებოდნენ. აქ იყო უფროსი და — როენა მეუღლითურთ, აქ იყო მშვენიერი რუსუდანი — უკვე დაქალებული, ცხოვრების ზაფხულისაკენ მიდრეკილი, აქ იყო და-ძმათა შორის უმრწემესი — თეიმურაზი, რომელიც მალე გაიზიარებს სათაყვანებელი ძმის — მირზას ბედსა და იღბალს, ომის გზებს გაუდგება.

თუ რა გუნება-განწყობილებაზე იყო მირზა ამ ხანებში, კარგად შეგვიძლია გავითვალისწინოთ ერთი პატარა ბარათით, რომელიც თიანეთში ჩასვლის პირველსავე დღეებშია დაწერილი და რომელიც ასე სათუთად შემოგვინახა „ჩვენთაობელთა" უამთააღმწერელმა — ნიკა აგიაშვილმა:

ძმაო ნიკა,

უკვე თიანეთში ვართ. სიმართლე გითხრა, საშინლად დაგვქანცა მანქანაზე ჯდომამ — ოთხი თუ ხუთი საათის განმავლობაში, მაგრამ რაკი გითხარ, პირველ წერილს შენა გწერ.

გაუმარჯოს ერთობას!

სიმონა დოლიძის ლექსს არ იყოს, თავი სიზმარში მგონია. რომ იცოდე, რა ჰაერია. ასე გასინჯე, ლამის ეს დინჯი კაცი ღობეზედ შევჯდე და არსენა ოძელაშვილივით „ყიყლიყო" ვიძახო — გეუბნები, ამას ვიზამდი, ნამდვილ მამალს რომ არ დაესწრო. მახლას, ეგრეა. ცაზე ღრუბლის ნასახიც არ არის — არც სადმე ცაა, მხოლოდ ზაფხულია და ხის ტოტებში ჰკიდია მზე.

გაუმარჯოს მზეს!

„ნეტავი შენა", რომ ახლაც დამწყებ ავტორებთან ზიხარ და უცქერ, სინჯავ, ასწორებ ჩვენს „დურაკულ" ნაცოდვილარს (სიტყვა ბრჭყალებშია, როგორც არა ჩვეულებრივს!). მე კი, რა ვქნა, ძმაო, მიხარია ეს ოხერი სიცოცხლე, ეს მზე, ეს მიწა და ექსტაზში შესული ვმღერი:

გაუმარჯოს თიანეთს!

მშვიდობით. მოკითხვა ყველა კარგ ხალხს.

თუ ძმა ხარ, „ჩვენი თაობის“ ნომერი გამოგზავნე შემდეგი მისამართით: თიანეთი, რუსუდან ბელოვანს. წერილსაც ველი.

სალმით მირზა ბელოვანი“

მირზას აღზევებული განწყობილების შექმნაში, ლადოს, რაღა თქმა უნდა, უეჭველად ედო ლომის არჩევი. მას საოცარი უნარი ჰქონდა გარეშემო მყოფი ადამიანები თავისი ნებისათვის დაემორჩილებინა და იგივე გრძნობით დაემუტტა, რასაც თვითონ განიცდიდა. იმჟამად კი, უზომოდ იყო აღტაცებული! ყველაფერი მოსწონდა და ახარებდა: ფანჯარაში მოშზირალი ქლიავის დახუნძლული ტოტი და ჩიტთა გაბმული სტვენა-ჭიკჭიკი ალიონისას, ივრის ლურჯ ჩქერალებში მხარულით სრიალი მირზასთან ერთად და ძეწნების ჩრდილში გარინდული წოლა, ანდა სათევზაო ბადის ოსტატურ გადაგდებაში შეჯიბრი (თუმცაღა აქ, იგი, ვერც მირზას და ვერც, მით უმეტეს, ძია შაქროს ვერ შეედრებოდა!) თავის მხრივ, რაღას არ იგონებდნენ ძია შაქრო და მირზა, რომ სტუმარი უფრო მეტად გაერთოთ და გაეხალისებინათ: კვეტარის მართლაც რომ განსაცვიფრებელი კომპლექსი მოახილვინეს, იხინგის გორაზე ანადირეს (ვერაფერი შვილი მონადირე გამოდგა!), ცხენებით აონის ხატში აიყვანეს და, თუმცა კარგა შორს მდებარეობდა, ბოგორმის ციხეც აჩვენეს. ლადო ბავშვივით ბედნიერი და აღტაცებული იყო! დღედაღამ საქართველოს ისტორიულ წარსულზე და მის ხვალინდელ დღეზე ამოდებდა, ნერვიულად, შინაგანი ცახცახით ეჩვენებოდა, რომ მის თანატოლ ახალგაზრდებს მამულიშვილობის ყოვლისმომცველი შეგრძნება აკლდათ და ისეთი ლექსების დაწერაზე ოცნებობდა, რომლებიც საქართველოს ეროვნულ ჰიმნებად გამოადგებოდა და რომლებსაც თაობები ომახიანად დაიგუგუნებდნენ ჩალისფერი დროშების წინამძღოლობით. გავა რამდენიმე წელი და ასეთ ლექსებს მართლაც დაწერს ლადო, ხოლო იმჟამინდელი მისი აღტკინება ელექტროდენივით გადაეცემოდა მირზას და ალბათ სწორედ მაშინ უმწიფდებოდა თავში „შავნაბადას“ ცნობილი სტრიქონები: „ქართლის მიწავ, უტკბილესო“.. სხვადასხვა ბუნებისანი იყვნენ ჭაბუკები: მწერალ ლ. ავალიანის მოხდენილი დახასიათებით. ლადო კახელჩილ ბროწეულსა ჰგავდა, სთელი თავისი შინაგანი ავლადიდება ყველას დასანანად რომ ჰქონდა გამოფენილი, მირზა კი მკვრივად შეკრული იყო და თუ არ იცოდი, ვერაფრით ვერ მიხვდებოდი, რომ ბროწეულის მაგარი ქერქის ქვეშ სისხლივით წითელი, წვნიანი და ტკბილი ნაყოფი იმალებოდა. მოულედ, ერთს ტინის მდგრადობა აკლდა, მეორეს — იოლად აალებადი აღტკინება. ამიტომაც მშვენივრად ავსებდნენ ერთმანეთს. მაგრამ მირზას სიხარულს და სულიერ სიმხნევეს, გარდა ამისა, სხვა საფუძველიც ჰქონდა: თუ მიაქცევთ ყურადღება, ზემორე ბარათის ბოლო სტრიქონში იგი ნიკა ავიაშვილს „ჩვენი თაობის“ გამოგზავნასა სთხოვს, ეს ის ნომერი გახლავთ, სადაც „აონ“ არის დაბეჭდილი (№ 6, 1938). ჟურნალმა მალე ჩაალწია თიანეთში და ახლა მირზა დაოკებული თრთოლვით ისმენდა ნაწარმოებზე გამოთქმულ აზრებს. „გამხმარხარ ჩემო ცხოვრების ხეო, შენი სიმწვანე ყინვამ მოლია, ძაღლიც შეჯუმუის ცას — მიშველეო, მაგრამ საშველი მაინც შორია“... — ჩვეული პათოსითა და ხელის მოწყვეტილი ქნევით წაიკითხა ლადომ და თვალებაელვარებულმა მოკლედ უთხრა: „ეს, ძმაო, ნამდვილი პოეზიაა. მომილოცავს!“ გარდა ამისა, მირზასთვის განსაკუთრებით სახიხარულო იყო ისიც, რომ „აონის“ შემდეგ მშობლებმაც, და-ძმამაც და ნაცნობ-მეგობრებმაც საბოლოოდ ირწმუნეს: იგი სერიოზულ ლიტერატურულ შრომას შესდგომოდა, ბევრი რამ ჰქონდა სათქმელი და, რაც მთავარია, ძალიც შესწევდა თქმისა. მაგრამ ყველაზე უკეთ ეს მაინც თვით მირზამ იცოდა. უდიდეს მოზღვავებას განიცდიდა ენერგიისას და როგორც ერთ ადრინდელ ლექსში წერდა, მისი სხეული ლამის „საკუთარ ძალას წაელეკა“... დილით გვიან იღვიძებდნენ ჭაბუკები. დედა ორივეს ცხელ რძეს უსხამდა მათლაფაზე, ისინიც ფაშარ პურს ჩაბუბუბუეებდნენ და მადიანად შეექცეოდნენ მამის გამოხვეწილი ხის კოვზებით. ამ დროს უკვე ყველა გაკრეფილი იყო თავთავის საქმეზე, მხოლოდ დედა იყო შინ, უჩუმრად იჯდა საქსოვით ხელში და შეფარული სიყვარულით შესცქეროდა, როგორ სვლეტდნენ ბიჭები რძეს. ლადო დაამთავრებდა თუ არა, ეამოდგებოდა, მიეახლებოდა, „მადლობთ, დედი“ — ეტყოდა და შუბლზე ემთხვეოდა. ელოვანინთ ოჯახში ხვევნა-კოცნა მაინცდამაინც არ იყო დიდ პატივში, მაგრამ მირზა ძალაუნებურად ბაძავდა მეგობარს და როცა ნესტოებით დედის ჭაღარა თმის მშობლიურ, ძვირფას სურნელს იყნოსავდა, უნებლიეთ ცრემლები ადგებოდა თვალზე. სულ უნდოდა ლადოსთვის ეკითხა — მიამბე შენს დედაზე და საერთოდ ოჯახზე, მე ხომ ასე ცოტა ვიცი მათ შესახებო, მაგრამ როგორღაც ვერ შეიქნა შესაფერი ვითარება და აი, ერთხელ, თვითონ ლადომ, მძიმე ამოოხვრით უთხრა: „ბედნიერი ხარ, ძმაო, ბედნიერი, რომ შეგიძლია დედაშენს შუბლზე აკოცო. ბედნიერი ხარ და დაიფასე ეს“. მირზა ვერაფერს მიხვდა. კი, ნამდვილად ბედნიერია, რომ დედა ჰყავს, მაგრამ განა ლადოს კი არა ჰყავს? რა არის აქ უჩვეულო და მაინცდამაინც შესანატრი? მაგრამ თავისდაგასაკვირად, მირზამ აშკარად დაინახა როგორ უცნაურად აპილპილდა ლადო, მთლად წახდა, დაიბნა და დადამბლავდა, სკამიდან წამოწევა სცა-

---

თეიმურაზ მაღლაფერიძე
ცხრაკარა

და, მაგრამ წელი ვერ აიტანა და დიდი ხელები მოკლული ჩიტებივით დაჰყარა მაგიდაზე. მუდარიანი მზერა მიაპყრო მირზას. ამ მზერაში უძლურება, შიში და ტკივილი ერთდროულად იხატებოდა...

●

შეუმჩნეველად გაირბინა ერთმა კვირამ. დადგა ლადოს გამგზავრების დროც. წინა დღეს ბიჭებმა ერთხელ კიდევ დაიარეს თიანეთის შემოვარენი, იორში იბანავეს, ცხრაკარას ხავსიან ნანგრევებს ესტუმრნენ, მერმე ის სახლიც მოინახულეს, სადაც ხანგრძლივად ცხოვრობდა ხოლმე ჩარგლიდან გადმოსული ვაჟა. ახლა იქ ვიდაც უცხონი ბინადრობდნენ და ცალთვალა დევის მოსაგონრად თეთრი მარმარილოს პატარა ფილაღა ჩანდა კედელზე, სხვა არაფერი. მირზასთვის ბალღობიდანვე ნაცნობი იყო ეს სახლი, ათასჯერ ნანახი და შესწავლილი, ლადო კი ვერ იქნა და ვერ მოშორდა, დიდხანს უტრიალა გარეშემო, სინჯა და აკვირდა, თან რაღაცას ჩურჩულებდა თავისთვის. სახლში რომ დაბრუნდნენ, განმარტოვდა, ჩაიკეტა და სალამოს, როცა გელოვანიანთ ოჯახი ვახშამს შემოუსხდა, სუფრაზე ნაპერწკლებივით დაცვივდა ვაჟასადმი მიძღვნილი „ფშაური ბალადის“ შუშხუნა სტრიქონები. მგალობელივით ყელაღერილი, მაღალი, მხრებში ოდნავ მოხრილი იდგა ლადო, ხელების მოწყვეტილ მოძრაობას გაბზარულ ხმას აყოლებდა და ჭლექით წამონთებული სახე თითქო პოეზიის შეუნელებელი ცეცხლით ეწვოდა. „რა ყამი იყო, რა გაზაფხული და სიყვარულით განუკურნელი იწვოდა გული, ღვიოდა ხნული და იდგა ნახნავ მიწის სურნელი“... „ფშაური ბალადა“ მართლაც რომ შედევრი იყო, 22 წლის ბიჭის მიერ ერთი ამოსუნთქვით დაწერილი შედევრი და ეს მყისვე იგრძნო პოეზიაში იმთავითვე ნაცადმა გელოვანიანთ ოჯახმა. იყო ტაში და ალალი აღტაცება. სუფრაზე ეყარა ხინკალი და ყანწით ისმეოდა პოეზიის სადღეგრძელო. საოცრად შვენრდნენ ერთმანეთს როენა და მისი მეუღლე, 26 წლის ქალწულის კდემით ანათებდა რუსუდანი, მის ლამაზ შუბლსა და გაზიდულ თვალთა კილოებს ჯერ ნაღვლიანი ნოჭებიხ ნასახიც არ აჩნდა და ორ-სამ წელიწადს, ვიდრე ათასი ჭირსახდელი არ დაატყდებოდა, კიდევ შეეძლო ლაღად, გულსავსედ ეცხოვრა. თეიმურაზს ახლად შეჰღინღვლოდა საულვაშე, და შუქიანი თვალები გამუდმებულად უფროსი ძმისაკენ ჰქონდა მიპყრობილი, რამეთუ მირზა იყო მისი ღმერთი და ხატი. ხოლო მშობლები, ევა და გედეონი, უტყვი აღტაცებით შესცქეროდნენ თავიანთ დაფრენილ და დასაფრენ ბღარტებს და ხარობდნენ მათი უზრუნველი ბედნიერებით... მირზა თითოეულისაკენ აპარებდა უჩუმრად მზერას. ხედავდა მათს ბედნიერ სახეებს, მაგრამ უცნაურია, თვითონაც ვერ ივსებოდა ბედნიერებით, გული როგორღაც შეჰკვნესოდა, ყრუ ტკივილით სტკიოდა, ისეთი შეგრძნება ჰქონდა, რომ ამ ბედნიერებას მალე, სულ მალე უნდა დასდებოდა სამანი და უკუნი, უმთვარო ღამე ჩამოწოლილიყო. კონკრეტული მიზეზი ასეთი შეგრძნებისა თითქო არ არსებობდა, მაგრამ შეგრძნება მაინც ძალზე მკაფიო იყო. „ბეჩავს, გული ასე რაზედ მიკვნესის?“ — გაახსენდა სადღაც ამოკითხული ფრაზა და უფრორე მოიქუფრა. სუფრას კი ლექსი უნდოდა — ისეთივე მოხეთქილი და ქაფიანი, როგორიც ლადომ წაიკითხა, ლექსი, ლექსი სწყუროდა სუფრას და თან იდუმალი მოლოდინიც აწვალებდა — რას წაიკითხავს მირზა? რით გაუწევს მეტოქეობას ლადოს? ან გაუწევს კი საერთოდ? მაგრამ მირზა მეტოქეობაზე სულ არ ფიქრობდა, ოდნავადაც არა! მას თავისი მძიმე წინათგრძნობა თანგავდა და მსმენელთათვის ამის გაგებინება უნდოდა მხოლოდ. მაინც, როდის დაიდო ბინა მის სულში მტერთან ეულად მორკინალი ვაჟკაცის, შავჩოხიანი შავლეგოს ტრაგიკულმა სახემ? როდის ირწმუნა, რომ ხალხური შავლეგოს და საკუთრად მისი ბედი ტყუპისცალებივით დაემგვანებოდნენ ერთმანეთს? ვინ იცის! ბალადის სტრიქონები ნელი დუღღუნით წყდებოდნენ ბაგეებს: „ქარო, შე ქარო, შარიანო, წადი, გაიარე მუხრანველი. კლდეს არწივები არიანო, დედაჩემს უთხარი — ნუღარ მელის. შავლეგ ხიფათმა დაიტანაო, იქ, სადაც უტყვი მთები არი, არც ქვრივმა დედამ დაიტირაო, არც სატრფო მოსთქვამს თმებიანი. ქარო, აშარო, ფრთა გაშალეო, არწივებს უთხარ კაცის ენით: კლდის ძირას კვდება ბიჭი შავლეგო, მარტო კლდე ტირის ყანგისფერი“. დაამთავრა მირზამ კითხვა და მძიმე დუმილი დაეფინა სუფრას. მხოლოდ დედის გულმა იგრძნო, რომ საკუთარ სვესა და ყინმათს დასტიროდა შვილი და, ნებაუნებლიედ, დასცდა: „ვაჲ, შენს დედას შვილო!“ ამ ჩუმმა წაკვნესებამ კიდევ უფრო დაძაბა ყველა, რაც მყისვე იგუმანა დედამ და ვითარების განსამუხტავად გიტარა მოატანინა როენას. ოი, ბავშვობის დღეებო! რა კარგი იყო ის დრო, როცა დედა ბაფთიან ძველებური გიტარას აიღებდა, ნიავივით ელამუნებოდა სიმებს და წყნარი, ტკბილი ხმით დამღეროდა. მშვიდად, ძალიან მშვიდად, საამოდ მღეროდა ღედა, მხოლოდ ერთხელ და ისიც ზმანებაში ქართველ ქალთა ძვირფასი სამება რომ უნახავს თურმე... მერმე რუსთველიც რომ გამოჩენილა — ის სულმნათი და მგოსანი და, ხელთ რომ ვეფხისტყაოსანი სჭერია... როენა ბავშვურ, წკრიალა პირველს გაუბედავად აყოლებდა დედის ხმას, ხოლო მამა დარბაისლური, დაბალი ბანით ავარაყებდა ცოლ-შვილის სიმღერას... დიახ, კარგი იყო ის დრო, მაგრამ, ღვთით, ახლაც ერთადაა მთელი ოჯახი და სიამტკბილობით, ურთიერთ პატივისცემითა და სიყვარულით სულდგმულობს. ლადო შესცქერის მათ, რაღაც გამოუთქმელი, ტკბილ-მწარე ნაღველით

ეუხება გული, ყანწს ივხებს, კიდევ ერთხელ ადღეგრძელებს ყველას ერთად, თავისი სანახევროდ დაშრეტილი ლეჩხუმური კერია აგონდება უნებლიეთ და მდუღარე ცრემლები ნიკაპქვეშ ესკვნება, მერმე სათითაოდ ეამბორება მშობლებსაც და დედმამიშვილებსაც და სვამს, ხოლო მეორე დილით, რაკიღა ვერავითარ მანქანას ვერ მოჰხელავენ, „ლინეიკაზე“ თავსდება, თბილისსაკენ მიხარხარებს და დიდხანს, დიდხანს უმზერს ხელაწეული მირზას სილუეტს...

მე აქ ორი წლით გადავუსწრებ მოვლენებს. ეს ის დრო გახლავთ, როცა მირზა კარგა ხნის წასულია თბილისიდან და ხარკოვში იმყოფება რომელიღაც ხამხედრო ნაწილში, ხოლო ლადოს უკვე ძლიერ მორევია ჭლექი და აბასთუმანში მკურნალობს. აი, სწორედ იქიდანაც სწერს ბარათს კოტე ხიმშიაშვილს (ნიჭიერი ბელეტრისტი, ლადოს და მირზას მხგავსად ტრაგიკულად დაღუპული!), საიდანაც კარგად ჩანს, თუ რა დიდი სიყვარული და იმედი ჰქონდა ლადოს მირზასი. (მომყავს ნაწყვეტი): „მე მიყვარს პატიოსანი მწერლები, მგონია გამიგებ — რა პატიოსნებაზეც ვლაპარაკობ. ეს ის პატიოსნებაა, გრიბოედოვს „ვაი ჭკუისაგან“ რომ დააწერინა და ხვებს მრავალი სხვა. ეს წმინდა ლიტერატურული პატიოსნებაა, რომლისგანაც ძალიან შორს არიან დღეს ქართველი მწერლები, ხოლო ჩვენი მეგობრები — მით უმეტეს. ბოლოს და ბოლოს, ყველაფერზე წერა ხომ არ შეიძლება, კარგი, თუ გინდა, სწერე ყველაფერზე, მაგრამ ეს პატიოსნება, მწერლის პატიოსნება, პატიოსნება დანახულის გადმოცემაში, არ უნდა დაკარგოს კაცმა! ეს შეიძლება ყველა ჩვენგანს აკლდეს, შეიძლება ზოგიერთებს გვქონდეს კიდეც, მაგრამ გვერდს ვუვლიდეთ „თავის ატკივებას“. კარგად გაიგებ, რა პატიოსნებაზეც ვლაპარაკობ და სწორედ ამ პატიოსნებისთვის მაგონდება მე ახლა ჩვენი მირზა გელოვანი, მარტოდმარტო ცივ რუსეთში“... ზემორე ნაწყვეტი მშვენივრად ახასიათებს ლადო ასათიანს, მაგრამ აქ მთელი მირზა გელოვანიც არის, რამეთუ იმ კონტექსტში მოხსენებული, რომ ნათქვამი სწორედ მასთან მისადაგებული. აქ კოტე ხიმშიაშვილიც გახლავთ „უკუფენილი“, მაგრამ ეს უკვე სხვა საუბრის თემაა.

ერთი სიტყვით, ლადო ასათიანი თბილისს გაემგზავრა. გაემგზავრა და მირზას სულიერი ობლობის მძიმე განცდა დაუტოვა. თითქო წონასწორობა დაერღვაო, ადგილს ველარ პოულობდა და უმიზნოდ დაბორიალობდა შინა თუ გარეთ. ამ მდგომარეობიდან თავის დაღწევა ისევ ლიტერატურული შრომით იყო შესაძლებელი და მართლაც ჩაუჯდა ვრცელ პოემას, რომლის დაწერის განზრახვა დიდი ხანია აკვიატებული ჰქონდა. სათაური პოემისა „შავნაბადა“ გახლავთ. ეტყობა, ჭაბუკ პოეტს გულით ეწადა ერთგვარი „სოციალური დაკვეთა“ შეესრულებინა და შეექმნა ვრცელი მხატვრული ტილო, სადაც ახალული იქნებოდა ოციანი წლების ქართველი ახალგაზრდების გმირულ-რევოლუციური საქმიანობა ლეგენდარული ბორის ძნელაძის ხელმძღვანელობით. ჩანაფიქრი, რაღა თქმა უნდა, აქტუალური იყო და სავსებით შეესატყვისებოდა კონკრეტული დროის მოთხოვნებს. ჩვენს ახალგაზრდობას მართლაც რომ ჰაერივითა და წყალივით ესაჭიროებოდა პავკა კორჩაგინისებური უდრეკი ნებისყოფისა და რწმენის ახალგაზრდათა მხატვრული სახეები, რომლებიც ეთიკური მაგალითის მიმცემი იქნებოდნენ. ქართული მწერლობა ვალში იყო ქართველი ახალგაზრდების წინაშე, რასაც მშვენივრად გრძნობდა მირზა, ამიტომაც მოჰკიდა ხელი ხსენებულ თემას. „ამბავი“ პოემისა მარტივია: გულისსწორთან პაემანზე მოსული გოგო შემთხვევით კომკავშირელთა არალეგალური კრების შემსწრე გახდება და თუმცა ბევრი არა გაეგება რა, ერთ-ერთის ცეცხლოვანი გამოსვლები ძალიან მოეწონება. ეს უკანასკნელი, როგორც ბოლოს გაირკვა, ბორის ძნელაძეა... შინ დაბრუნებულ გოგოს დაეპატიმრებენ და ეუბნებიან: „გსურს — იცოცხლო კიდევ დიდხანს, ოღონდ კრების რამე გვითხარ! მაგრამ ქალი სიტყვის ნაცვლად დუმდა მკაცრად“. ამის შემდეგ, უნდა ვივარაუდოთ, რომ გოგო გაათავისუფლეს, რადგან მრავალი წლის შემდეგ, იგი, უკვე თმაჭაღარა კოლმეურნე ქალი, კომუნარების ბაღში ნახავს ბრიგადის ძეგლს, იცნობს ბორის ძნელაძეს და თვალებმოწყლიანებული ჩურჩულებს: ბორის!... ასეთია „ამბავი!“ პოემისა და ძნელი არაა მიხვედრა, რომ ავტორი აქ მაინცდამაინც ვერ გვხიბლავს გამომგონებლობითა და სამანდაუდებელი ფანტაზიით. სხვათა შორის, შემორჩენილია ნიკა აგიაშვილისადმი მიწერილი პატარა ბარათი, საიდანაც ჩანს, რომ თვითონ მირზაც არ იყო მთლად აღფრთოვანებული თავისი კალმის ნამოღვაწარით:

„ძმაო ნიკა,

დიდი ხანია მინდოდა მოწერა, მაგრამ იყო მოწყენა და იყო სიზარმაცეც. ახლა ისე დავაგვიანე, რომ აღარ ვიცი სად იქნები. მაინცა გწერ და ვინძლო მიიღო.

როგორ ისვენებ?

მე უკვე მოსაწყენი გამიხდა თიანეთი. ჩვენების ხათრი და უფულობა თუ არა, აქამდის თბილისში ვიქნებოდი. 20-ში კი უთუოდ ჩამოვალ. რაღაც „შავნაბადას“ ვჯღაბნი და უნდა წარვადგინო „ჩვენ თაობაში“, იქნება მოიღონ მოწყალება. მომეწყინა ამდენი უსაქმოყიალი, ჩამოსვლისთანავე თუ სამსახური არ მოვძებნე, ჭირს. მშვიდობით იყავი, ღმერთმა

თეიმურაზ მაღლაფერიძე
ცხრაბანარა

ყოველივე კეთილი მოგაკერძოს. საალმით — მირზა გელოვანი. 12/VIII—38. თიანეთი".

ერთი სიტყვით, ნათელია, რომ პოემასთან დაკავშირებით მირზას მართლაც აწვალებდა შინაგანი დაუკმაყოფილებლობის გრძნობა, თორემ არასგზით არ იტყოდა „რაღაც „შავნაბადას" ვჭლაბნიო", მაგრამ ისიც უდავოა, რომ პოემაში არის მთელი რიგი ადგილები, რომლებიც არა მარტო მირზასი, არამედ ქართული პოეზიის მშვენებად დარჩება მუდამ. „ვინც იბრძოდა, ვინც იწოდა, ვისაც ხალხი ჩაჰყვა დარდად. ვინც სხვა სიტყვა არ იცოდა, ერთი სიტყვა — „ბრძოლის" გარდა — მათი ხსოვნის ნიშნად შეეხვათ, მათ გაკვალეს გზა ხაძნელო. ძმებო, ასწით აზარფეშა, იყოს მათი სადღეგრძელო". აღარას ვამბობ ნაწყვეტზე, რომელსაც პირობითად შეიძლება „ფიცი" ვუწოდოთ და რომელიც ერთი უგულწრფელესი აღსარებაა მამულიშვილური ცეცხლით გულანთებული თაობებისა. „თუ ოდესმე, როგორც ძველად, ამ ცას ვინმე შეგვეცილოს... წმიდა ვალის მოსახდელად უყოყმანოდ შეგეწირო. მოვკვდე ისე ღიმილმჩენი, ვით კვდებოდნენ გმირნი ძველად. რომ, ხამშობლოვ, ხაქმე ჩემი დარჩეს შენდა სასახელოდ". ეს სტრიქონები სწორედ „ფიციდანაა" მოხმობილი. ქვემორე ჩვენ კიდევ შევჩერდებით მასზე, აქ კი უნდა ითქვას, რომ მირზას პოეტური ბუნება, უდავოა, მკაფიოდ იყო აღბეჭდილი წინასწარმეტყველური ნიჭით, რამეთუ ამ ხაოცრად მაყორულ ხმიერებაში მაინც გამოკრთის შუქმიბინდული აჩრდილი გარდუვალი დალუპვისა... ხაერთოდ „ფიცში" ისეთი ტონალობაა აღებული, რომლის იქით თითქო ვეღარც უნდა შეიძლოს კაცმა ხმის აწევა, მაგრამ მირზა სრულიად დაუძაბავად ახერხებს მომდევნო, კიდევ უფრო მაღალი ტონის აღებას: „ჩემო მიწავ!" ლაჟვარდებში ვინც ქარს შეხვდა გამკლავებით, ვინც გაღეღილ ხაგულეში ჩაიბნია ვარსკვლავები, ვინც შეპორკა მტრების ზრახვა, ვინც ქმნის მუდამ — იგი მე ვარ! მე ჩემს თბილისს მალე ვნახავ, მე ნაომარ არწივს ვგევარ. შორს ხახელი გამივარდა, შორს წასულან ჩემი ხმები. მე ოცი წლის გმირი ვარ და ხაუკუნე მიმაქვს მხრებით". მკითხველი თავადაც მიხვდება, რომ აქ ყველაფერი პიროვნულია და კონკრეტული, შეიძლება ითქვას — ბიოგრაფიულიც კი, და მაინც, მოხმობილი სტრიქონებიდან იკვეთება ძალზე განზოგადებული სახე ახალგაზრდა კაცისა, რომლისთვისაც შრომა, შენება, პოეტური ამაღლებულობა, რაინდული შემართება და შეუპოვრობა, მამულისთვის თავდადება, ერთი სიტყვით, ყოველივე ის, რითაც ოდითგანვე ხუნთქავს ქართველი კაცი, ურყევ ზნეობრივ კოდექსად გადაქცეულა. აი, სწორედ ამიტომ, „შავნაბადაში" მიმობნეულ ხაუკეთესო სტრიქონებს მარადიული უბერებლობა აქვთ ღვთისაგან დაკვებებული... დაიწერა უკანასკნელი სიტყვები, დაისვა წერტილი, ხაკმაოდ მოზრდილი ნაშრომი გასრულდა და ხულის ბინულიც, ვიდრემდის ახალ, ცოცხალ წყალს კვლავ ჩაიყენებდა, დაიცალა. საჭირო იყო ახალი შთაბეჭდილებანი, ახალი განცდები და იმპულსები, თიანეთი კი ხაამისო ხაკვებს ვერ იძლეოდა. აკი სწერდა კიდეც ნიკა ადგიაშვილს: „მე უკვე მოსაწყენი გამიხდა თიანეთიო" და თუმცა შინაგანად ძალზედ უჭირდა ნშობლებთან და და-ძმასთან განშორება, რაღაცა მაჯლაჯუნა წინათგრძნობა არ ასვენებდა და ვამუდმებულად ეჩურჩულებოდა — მშობლიურ თიანეთს აწი ვეღარასოდეს იხილავო, მაინც თბილისი, თბილისი უხმობდა მირზას! წასვლა კიდევ უფრო დააჩქარა „ჩვენი თაობის" მორიგი, მერვე ნომრის მოსვლამ. მასში „ხაუბარი იორთან" დაებეჭდათ. ლექსი ადრინდელი იყო, ჯერ კიდევ 1936 წელს დაწერილი, მაგრამ ახლა რომ გადაიკითხა, არ ეხამუშა, ასე თუ ისე, ადრეც ხცოდნია წერა. „და მინდა, მიწას ლექსების ჩქერი შენი შხეფივით გადმოვაყარო. ვხაუბრობთ ასე, ვხაუბრობთ ლხენით, ამ ხაუკუნის ორი მაყარი". კარგად, მოხდენილად იყო ნათქვამი, ტყუილად როდი მოხწონდა თავის დროზე პოლო იაშვილს. მართლაც, დამდგარიყო „ლექსების ჩქერის" ყამი და ახლა თბილისის გარდა ეერასად მიიდრეკდა თავს მისი აბორიგენული ხული... მაგრამ ვიდრემდის გზას დაადგებოდა, ერთხელ კიდევ მოინახულა ბავშვობისა და ყრმობის დროინდელი ნაცნობ-მეგობრები, თიანეთის შემოგარენიც მიიარ-მოიარა და გარდასულ დღეთა ტკბილ-მწარე მოგონებებს ეზეარა. ხოლო როცა ბებერი, დაგვარჯღული ტყემლის ძირში კვლავინდებურად წამოწვა და ტოტებში ჩახლართულ მზის ხხივებს უსწორა თვალი, მოგონებათა ბინდბუნდიდან უნებლიეთ ამოცურდა ნანი ლანდიას მინავლული ხახე. დაინახა, მკაფიოდ დაინახა თმაში გვირილებჩაწნული, მოციანარი და მაცდური, უსაზღვროდ მიმზიდველი, გარნა მიუწვდომელი. ახლა იგი უკვე გათხოვილი ქალი იყო, ხხვის გულს ახარებდა, ხხვის მკლავზე გორავდა და მირზაც „ბრაზით და გახელებით" გამოეთხოვა ლექსში — „მწყემსის მუქარა". არა, ნანი ლანდია უკვე გუშინდელი, წარსული დღე იყო!...

გამგზავრების წინა ღამეს, ვეფან, დედა შევიდა მირზას ოთახში, ფანჯრიდან მრგვალი, ქათქათა მთვარე ანათებდა და მოღელილად მძინარე ჭაბუკს თეთრ, არაქვეყნიური შუქით აშუქებდა, თითქო მიცვალებული იყო. ძუძუებმა შეჰკვნესა დედას, უამისოდაც აკი წინათგრძნობა სტანჯავდა, ვეღარ მოითმინა, ხელის ფრთხილი შეხებით გაალვიძა შვილი. მირზა სწრაფად წამოჯდა: „რა იყო, დედა?" „არაფერი, არაფერი, დაიძინე". „უცნაურია, ხიზმარი ვნახე, ვითომ მე და ლადო ასათიანი ცხვრები ვიუავით და სამსხვერპლოზე დასაკლავად მიგვერეკებოდა ვიღაც მრისხანე, ხელკომბლიანი მწყემსი". „უწინამც მე ხიკვდილი! დაიძინე დედის ხელა-

ღევ, დაიძინე!“ დედას, რადა თქმა უნდა, ცუდად ენიშნა სიზმარი, მაგრამ არაფერი უთქვამს, უსიტყვოდ გაბრუნდა და მთელი დამე თვალცრემლიანი ლოცულობდა შვილისათვის. ხოლო დილით, მირზასა და რუსუდანს ცხენები შეკაზმული დახვდათ. საქმე ის იყო, რომ მირზამ სხვაგვარად მოინდომა მგზავრობა, ვიდრე ეს ჩვეულებრივ ხდება ხოლმე თიანეთიდან თბილისისაკენ. ჩარგლისა და არაგვის ხეობის სანახავად გაუწია გულმა. არტანში ჩავიდოდა, იქიდან საშუბის მთის ბილიკებს აჰყვებოდა, ჩარგალში დაეშვებოდა, მერმე ჩარგლის ჭალაში გავიდოდა და ზედ ყინვალთან, საქართველოს სამხედრო გზაზე ამოჰყოფდა თავს. მოიხილავდა საყვარელ და ძვირფას ადგილებს, ცხენს კი მაღალრესკარში გელოვანიანთ ოჯახის ერთ ძველ მეგობარს დაუტოვებდა, რომელიც მოგვიანებით, უკანვე გადმოჰგვრიდა გედეონს. მამამ ხათრი არ გაუტეხა შვილს, როგორც ითქვა, დილაადრიან ორი შეკაზმული ცხენი დაახვედრა და რუსუდანიც არტანამდე გასაცილებლად გაჰყვა, რადგან ასე მოისურვილა მირზამ. თვალი უკეთესს რას ნახავდა, როცა ფშაურ ტალავარში გამოწყობილი რუსუდანი ვაუკაცურად მოახტა ცხენს, თითქო მზე ალმოსდა და არემარე გადაანათაო. ლაღი თოხარიკით მიჰყვა წინ წასულ ძმას და სწორედ ასე დაიმახსოვრა შვილები მამამ: ლაღად, ჩაუქად ამხედრებულები, უნაგირს შეზრდილნი, კისკასნი, ჯანითა და ახალგაზრდული ხალისით სავსენი, მიდიოდნენ, მიგელავდნენ შორს, შორს...

ეგ იყო და, მამას მეტი აღარც უნახავს მირზა.

თიანეთს რომ გასცდნენ, ივრის გაშლილი ჭალა დაიწყო. მარჯვნივ, ნისლებში მოჩანდა ტყითშემოსილი იხინწის გორა. ნელი ნაბიჯით მიჰყავდათ დასადავებული ცხენები და საუბრობდნენ, უფრო სწორედ, მირზა ლაპარაკობდა. ათასი რამე ჰქონდა სათქმელი და გასაზიარებელი, რადგან რუსუდანი იყო ერთადერთი ადამიანი ამქვეყნად, ბოლომდე რომ ესმოდა და სჯეროდა მისი. „ვნანობ ყველა დაკარგულ საათზე, — დუდუნით ამბობდა მირზა, — ყველა დაუწერელ სტრიქონზე, რომელთაც ველარაფერი დააბრუნებს და რომელთაც ჩემი „მოუცლელობით“ ვერ ვიქერდი. არხეინად გატარებულ დღეებს ცოდნიათ დიდი დარდი შემდეგში, ხომ გახსოვს გურამიშვილი? „ყოველთვის მოცლას ვუცდიდი, ნეტავი არ მომეცადა!“ ნეტავ არც მე მომეცადა არაფრისთვის და ყოველი თავისუფალი წუთი გამომეყენებინა, ყოველ საათთან მევაჭრა, რათა წამერთმია მისთვის რაც შეიძლება მეტი მოგება. ახლაც იქნებ არ იყოს გვიან და მე ყველაფერს გავაკეთებ, ოღონდ შევძლო, რომ შენთან არ მრცხვენოდეს, რომ შენ არა გრცხვენოდეს, როცა შენს ახლოს დაიწყება საუბარი პოეზიაზე, მწერლობაზე“... კიდევ დიდხანს ლაპარაკობდა მირზა, რუსუდანი უსმენდა, უსმენდა და გული ტკივილით ეკუმშებოდა. რატომ სწუხს და ბორგავს ძმიკო ასე? სული რატომ სტკივა და უკვნესის? განა რას ჰხედავს საგანგაშოს? ჯერ მხოლოდ ოცდაერთისა არის და ამ ასაკისთვის იქნებ საკმაოზე მეტიც გაუკეთებია. კი, დიდებული თვისებაა შემოქმედისა სულ მეტის და მეტის ნატვრა, მაგრამ ჯერ ხომ გზა არ დამთავრებულა? მირზა თითქო უსიტყვოდ მიუხვდა დაიკოს ფიქრებს, მისკენ გადაიხარა და უცნაური დიმილით უთხრა: „დაცვივიან დღეები, გაივლის დაბინდება, ტანტიტველი დღეები ისევ აბიბინდება. ცა რომ გადიბარდნება, მწვერვალს გადეზნიქება, მაშინ ქარიც ჩადგება და აღარც მე ვიქნები!“ რუსუდანმა თვალი შეასწრო ამ უცნაურ დიმილს, ლექსის სტრიქონებიც ჩაესმა და უცებ სული შხამიანმა შუქმა გაუნათა — აშკარად, ცხადად მიხვდა, რომ მირზას დიდი დღე არ ეწერა; ეს იყო საშინელი ნათელხილვა, რომელიც მთელი სიცოცხლის მანძილზე აწვალებდა მერმე რუსუდანს. მიხვდა, ნამდვილად მიხვდა, რომ ეს ბეჭებში ლაღად გაშლილი, ოქროსქოჩრიანი, ცისფერთვალება ჭაბუკი, მისი სათაყვანებელი და სალოცავი ძმიკო, მალე სამუდამოდ გაქრებოდა ამ ხამზეოდან. მიხვდა და მოხეთქილი კივილი რომ დაეფარა, ცხენს გამეტებით სწყვიტა მათრახი, გიუივით გააქროლა. მირზამ ერთი კი გაოცებით გააყოლა თვალი, მერმე ეს გამოწვევად ჩათვალა, იცოდა დის დაუდგრომელი ხასიათი და, თვითონაც აიქნია მათრახი. კაი ხანს აჭენეს. როცა გადარეული ცხენები კვლავ დაიურვეს, სოფელი არტანიც მოახლოებული იყო. რუსუდანი ნაჩქარევად გამოეთხოვა ძმას, ეშინოდა გული არ ამოსჯდომოდა, მისი თანდასწრებით ქვითინი არ დაეწყო და უარესად არ შეეშფოთებინა ისედაც აფორიაქებული მირზა. გამოეთხოვა, ცხენს კისერი მოულრიჭა, უკანმიუხედავად გააქენა და გაკვირვებული, დაბნეული მზერა წაიყოლა. „რა მოხდა ნეტავ? რა წაეკიდა? მე ხომ არაფერი ვაწყენინე?“ — ფიქრობდა ჭაბუკი, მიმქროლავ დაიას გასცქეროდა სიყვარულით და აბა სიიდან მიხვდებოდა, რა ცეცხლი და ვარამიც ჰბუგავდა აქვითინებული რუსუდანის გულს.

მინაწერი:

დადის, დაიბიჯებს ახალგაზრდა კაცი საქართველოს წმიდა მიწაზე. თვალებში შუქი ჩასდგომია, მგლისმუსლასა და მკლავმაგარს, გული ბაჯაღლო სიყვარულითა აქვს სავსე. ბედნიერია: ქართველად გააჩინა უფალმა და სამეტყველოდ დაუდგინა ენა ქართული. მას ჯერ

ოსიმეურაზ მაღლაფერიძე
ცხრაკარა

კიდევ არ დასდგომია ჟამი დაეჭვებისა, მწარე იმედგაცრუებისა, არც სიკვდილის იდუმალ გარდუვალობაზე დაფიქრებულა ჯეროვანი ტკივილით, სული ლექსებად უმღერის ერთიან და უხარია, რომ ცოცხალია ცოცხალთა შორის. რამდენიმე დღეს ჩარგალში გაატარებს, ვაჟას სახლის დამსკდარ-დაშაშრულ კედლებს მოეფერება და ახუნის გორიდან ამომავალ მზეს უსწორებს მზერას, ალუდა ქეთელაურის ვნებით გაივსება და მინდიას სიბრძნეში წვდომას მოიწადინებს, ხოლო შემდეგ არაგვის ხეობას დაჰყვება, ჟინვალთან გავა და ყაზბეგისაკენ იბრუნებს პირს. უნდა ნახოს, თვალი შეავლოს თერგსა და მყინვარს, სამების მონასტერსა და ჩამოგაზულ პიტალოებს დარიალისას, იაგოების, ელგუჯების, ონისეების, გუგუების მთუთქავ ცეცხლს ეზიაროს და მათსავე ემბაზში იქმნეს განბანილ! თერგის ცოფიანი ხვიელი ვეფხის ძალასა და სიმარდეს გაუღვიძებს, დინებას დაჰყვება, ძაუ-ჯიყაუში (ორჯონიკიძე) ამოჰყოფს თავს და როცა იქიდან კვლავ თბილისში დაბრუნდება, მოგზაურის დამცხრალი ჟინით და შთაბეჭდილებებით ყელთამდე გავსებული, დასწერს ლექსების ციკლს „ჩარგალი", რომელიც „ჩვენი თაობის" მეთერთმეტე ნომერში გამოქვეყნდება. „დამკიდეთ ნამის ასი საყურე, გამივსეთ მკერდი ბროლის მძივითა, ცა ჩამოიღეთ, მხრებზე დამხურეთ, ან კლდეს მაჯახეთ არაგვივითა, რომ სამღერების თანაზიარად ჩქეფდეს არაგვი, არაგვიანი, ამ ზეცის თაღზე უფრო კრიალა, ამ მთის ძუძუზე ბარაქიანი".

რა დააოკებს, რა დაამშვიდებს ამ მართლაც რომ არაგვივით მოვარდნილ მეწყერს?

„მოვდივარ მგზავრი სვებედნიერი, რომ გრიგალებზე უფრო ძლიერი — შევხვდე დილას და ცას!"

ასე მიილია წელი 1938.

გაგრძელება იქნება

ლია სტურუა

პარალელი

მუხრუჭების კივილით შემზარავს ქუჩა,
გუშინ ტყე იყო, ნოტიო, მუქი,
სავსე მეხის და გველის საფრთხით,
ქვის ლოღნამდე
და კლდეზე ფრჩხილების მიმტვრევამდე
გადარჩენისთვის ბრძოლის დამტევი:
მოლიპულ თოვლზე
მთვარის ბრე რომ დახვავდებოდა,
ძლიერი მგელი სუსტს დაგლეჯდა,
არწივი მტრედს დააცხრებოდა
და შაქარყინულს ამოსწოვდა
თეთრი მკერდიდან,
მაგრამ თავს კი არ იმართლებდნენ:
მისთვის გავწირეთ მეტად ბრძენი
და მეტად სათნო,
რომ რწმენა არ დაკარგულიყო
ღვთისნიერების...
ან როცა მზე გაფიცხდებოდა,
და ბალნიანი ტანების ფსკერზე
ილექებოდა სურვილის თაფლი,
მათ უყვარდათ ერთმანეთი და
მრავლდებოდნენ
ერთგულების ფიცის გარეშე
და დაწრეტილი ვნების ბოლოში
ვერ ხედავდნენ ბიისფერ ღალატს,
რომელიც გულზე ლურსმნით გაჭედებს
შენზე ლამაზი, ახალგაზრდა
და ბედნიერი მეტოქის სურათს...
ახლა ქალაქში,
ჩვენს შორის მხოლოდ სიტყვებია:
სიტყვა — პირუტყვი, სიტყვა — ღმერთი,
სიტყვა — სიყვარული
და მათი ბანგით გეშარეული
ველარც კი ვამჩნევ
ჩემზე თოფივით დამიზნებულ
მუხრუჭების კივილს...
ჩამავალი მზე მე ალარ მეხება
იგი ეკუთვნის
დაღუპვის პირას მდგარ ვაშლის ხეს...

სიბერე

დაიწმინდა ჩემი სიზმრები...
სევდა, რომელსაც ვეჭიდები
სასაცილო განწირულებით,
ყოველ ღამე მოზრიალე მილებიდან
წყლის წვრილი და ბრწყინვალე ჭავლი,
ერთადერთი,
სულიერობის ნიშანწყალი რასაც ატყვია...
ლეღვის ტკბილ და წებოვან ტოტებში
ქარი ისახება...
შავი ლაბადა ეცვა იმ კაცს,
შავი და შრიალა ხმელი ფოთოლივით..
ჩაცხრა ის ქარი
და წვიმებიც ჩატბორდა
საღი გონების წრეში...
ახლა ქალაქი ფანჯრის ჩარჩოში
მთების მკვეთრი წვეროებით ბოლოვდება
და მაგრძნობინებს,
რომ ეს მთები
ბევრად უფრო ესადაგება ბალახის ღეროს,
ვიდრე ჩემს ლტოლვას სიმაღლისაკენ...
ოქროსფერი წყალი დგას ვარცლში,
რომელშიც უნდა
ზანტი და მარადი მდედრი ბანაობდეს,
შიგ კი პურის ნამცეცები
და ბუზები ყრია,
არც კაცი ჩანს მისი ქომაგი,
თაფლის ერთ წვეთში
ცაცხვების ტყე რომ ილანდება,

ასე უზომოდ
ყველა ჩვენგანის ცოდვის მტვირთველი
და მათი ვნების საძირკველი
წითელ ვარდებზე აღარ შენდება...

რა წვრილია ბალახის ღერი,
გაწელილი მთების წვერომდე,
სევდა, რომელსაც ვეჭიდები
სასაცილო გულუბრყვილობით...

მ ა თ უ ს ა ლ ა

შუბლის ჩარჩოში
სურათივით ჩასმული მათუსალა,
რომელსაც ჰქვია კაცის ტვინი,
ზეიმობდა და თახთახებდა,
მის ხვეულებში ფიქრი ფეთქავდა,
ერთფეროვანი და პირწმინდად
გამომრიცხავი
ყოველგვარი გადახვევის და გადარევის
სავსე მთვარის ქვეშ...
ხოლო მის თხემზე კაპელა იდგა —
არა ხიბლი დარხეულ ყელთა,
ამღერებულ ჯგუფად შეკრული,
არამედ კაპელა, მკაცრად შავ-თეთრი,
მაგრამ მაღალი ბგერის წვეროზე
ისე უტიფრად ოქროცურვილი,
რომ ორკესტრი ხეთქავდა ფილტვებს,
ჰიმნის ზეცამდე
და რექვიემის ქვესკნელამდე იწელებოდა.
მზესუმზირების კაშკაშა თავებს
ღლე შემოჰყავდათ ქვეცნობიერის
უკუნეთში,

მათი შერწყმისგან
ბედნიერი აზრი ჩნდებოდა,
ღვთით მობერილი
და თან ისეთი მიწისმიერი,
სასიკვდილო ჭრილობას რომ
ბალახით იფენს კაცი,
რომელსაც აეხილა გუმანის თვალი...
ხოლო შუბლის ოთხკუთხედში
გაჭედილი ტვინი კუთავდა,
გულაჩუყებულს და მტკივნეულს,
მათუსალობის ტკბილი რწმენა
ეკარგებოდა,
რადგან ჯერ არც ერთი კაცის შუბლს
მშობიარობის ტკივილები არ განუცდია...
ქალაქის მთავარ მოედანზე კოცონი ენთო...
მაგრამ უღრუბლოდ მშვიდი იყო
კაპელის მკერდი —
კრინის ფესვიც და ბანების ვულკანიც
მის ზედაპირზე
გახამებული თეთრი მაქმანით
ბოლოვდებოდა...

სიმყუდროვის აპოლოგია

ის დგება ადრე,
რადგან უკვე დიდი ხანია,
მისი სიზმრები
ცვილის ფრთებზე გამობმული
შენელებული კადრების ნაცვლად
მოაქანებენ კუპრის მდინარეს,
რომლის ტალღებში
ტივტივებენ მკვდარი მშობლები,
მეგობრები, ნათესავები,
მათი წაშლილი სახეები
პნევმატიური ჩაქუჩებივით უკაკუნებენ
მის უმადურ მეხსიერებას,
მაგრამ ამაოდ
ყველაფერი მკვეთრი და მწვავე
მარმარილოს წვეტიან ლოდებს

ჩამოახეხა სიცოცხლის ჟინმა...
მერე თვითონაც შემოაკლდა
ვნება და ბრაზი,
აღგზნებული ტალანტის ნერვი
მომღერალ სიმად გადაექცა
მკერდის არეში,
ზუსტ და რიტმიულ ფორმულამდე
დაიწრიტა მისი ცხოვრება:
გამოღვიძება, სამსახური,
ტელევიზორი, ჩაი და ძილი...
საღამოს ჩაის განასხვავებდა
ღილის ჩაისგან
ტელევიზორის ლურჯი ჭიატით
გამძაფრებული ურთიერთობა
წლების მანძილზე შეძენილი

ნივთების, ვერცხლის, სურათების,
რომელსაც ერქვა სიმყუდროვე
და მის ალზე პეპლებივით შემოფრენილი
სტუმრების საუბარი
პატარა ქალაქის პატარ-პატარა
სიახლეებზე
ნეკისხელა ლალუმებით იყო დატენილი...
ზოგჯერ, ძილისწინ, გაუელვებდა
იშვიათი, მტანჯველი აზრი:
— ხვალ ვიმუშავებ!
და შიში სუფთა ქაღალდის წინაშე
ჟრუანტელივით დაუელიდა თმის
ძირებამდე...
მეორე დღეს მარტო რჩებოდა,
მაგრამ მისი
სალაპარაკოდ განწირული
ყელის უფსკრული,
გაცვეთილი სიტყვების ხრეშით
ამოვსებული, უმწეოდ დუმდა,
ხოლო მუზის მოლოდინი
ისეთ გაუძლის მარტოობად იქცეოდა,
რომ ის ჩართავდა ტელევიზორს,
და ათასჯერ ნანახი ფილმის
თვლემისმომგვრელი პერსონაჟი
შემოდიოდა ცარიელ ოთახში,
მისი ჩაისსმის ქარვისფერ ჩრდილს
ეხიზნებოდა
და ქათქათი გაუდიოდა
ვერცხლსა და შაქარს....
დილას კი ისევ გაღვიძება,
სამსახური, სახლი, სტუმრები
და ზოგჯერ, ჩაის თუ მურაბის
მიწოდებისას,
ტრაგიკული ნოტი ეღერდა
მასპინძლის ხმაში
და პართენონის ელვარე სვეტებს
გულისხმობდა ყელის უფსკრული...
მაშინ ფეთქებად სიმაღლეზე
წყდებოდა ჭორი,
ღამის ალზე მოფრენილ პეპლებს
ქარი ქუჩაში ერეკებოდა
და კარგავდა შემთხვევით მსმენელს
კაცი, რომელმაც
ამდენი ხნის სიცარიელის,
ვერაფრის შექმნის, სიბერწის მერე
ერთხელ შებედა ტრაგედიას
და მარტო დარჩა,
რადგან ჩაისსმის ქარვისფერ ჩრდილს
შეერია ფიცხი წითელი,
რომელიც აფრთხობს
პეპლებივით მშვენიერ და შემთხვევით
სტუმრებს...

●

მან დაინახა შიშველი ქალი
პირველად თავის სიცოცხლეში,
მშობლებს კი უთხრა,
რომ მკერდზე
ქვის დოლაბებმა გადაუარა
და დაზაფრული იქვე დაეცა...
დედამისი,
როგორც იდგა ფანჯარასთან,
პურით და მჭრელი დანით ხელში,
სინათლემ შეისრუტა
სულ ბოლომდე,
ხელ-ფეხის მოგრძო მტევნებამდე
მხოლოდ გვიან, ღამის ზედაპირზე,
პურის ნაჭერი წამოტივტივდა...
და თქვა მაშინ მარტოკაცმა:
— რა იოლი სათქმელია ჭეშმარიტება!
თვალის კაკლებში
ქვებს რომ გვესროდნენ,
როგორც ჭაში,
ჩვენს თავზე წყალი რომ შეინივთოს,
მკერდს მაინც იპოვის დოლაბის სიმძიმე
და სინათლე, ხარბი, უწყვეტი,
ჩვენი ფერ-ხორცის შემსრუტავი
ფრჩხილების ბოლო წერტილამდე...
მერე კი ღამის ზედაპირზე
შეიძლება პურის ნაჭერი წამოტივტივდეს,
ან ვარსკვლავი,
ან თმა,
რომელსაც მზის სინათლეზე
თხემი მუდამ ოქროსფერი აქვს...

რევაზ ინანიშვილი

თინა და სანდრო

დაეხვა, დაეხვა თინას თავბრუ და... რომ არ წაქცეულიყო, ფეხი განზე გადგა. აქეთ-იქით გაწეული ხელებით თითქოს ჰაერს ეყრდნობოდა. წავიდა ასე, ტაატ-ტაატით, ღიმილით, ერთი დიდი ვაზის ძირში მიჯდა, მიიყუნჭა, თავი ფოთლიან რქებს მიაყრდნო, თვალები მილულა. ფეხის ძარღვები უფეთქავდა და თავბრუ ისევ ესხმოდა. „აქ რომ მოვკვდე!“ სანდრო მოუნდა, მარჯვენა მხარეს თავდახრილი, ჩაღიმებული, კუნთებგაბრწყინებული. თვალები გაახილა. უკიდეგანო ვენახში იჯდა. ცაც უკიდეგანო და კრიალა იყო. სულ ახლოს ფუტკრები თუ კრაზანები ირეოდნენ და ბზუოდნენ. ისევ დახუჭა თვალები, ისევ მოუნდა სანდრო. „შენცა ხარ, რა!“ — თქვა ჩუმად, უნუგეშოდ.

ჩრდილს იქით დარჩენილ შიშველ კანჭებზე მზე ჰკბენდა. წამოიღო ფეხები, ჩრდილში შემოტანას შეეცადა, ვერ მოახერხა, საყვედურით გახედა მზეს. ჩუსტები წაიძრო, გამტვრიანებული მოკლე თითები აამოძრავა. გახურებულ ფეხისგულებზე შეუმჩნეველმა ნიავმა დაუბერა და ოდნავი შვება იგრძნო.

— თინა! — დაუძახა მანანამ.

თინამ ხმა არ გასცა.

— თინა! არ გესმის, გოგო!

თინამ ისევ არ გასცა ხმა.

მანანამ ჭილის ქუდი დაიწია, წამოვიდა, იხრებოდა და ვაზის ძირებისკენ იყურებოდა. მზით გაშუქებულ ფოთლებსა და შავ ძირებს შორის თინას თეთრადდაწინწკლული ლურჯი კაბა გამოჩნდა. მანანა გამოიქცა, სახვევს აკეცილ წინსაფარში იტენიდა.

— რა იყო, გოგო, ცუდად ხომ არა ხარ? — რქები გასწია და ვაზის რიგს ზემოდან გადმოეყუდა.

— არა. — მოწყენილი თვალებით ახედა თინამ.

— აბა!

— ისე, დავჯექი ცოტა ხნითა.

მანანა მავთულებს შორის გამოძვრა და წინ დაუცუცქდა. ჯერ გახურებულ მსხვილ კანჭზე დაადო ხელი, მერე მაჯა გამოართვა, პულსი გაუსინჯა.

— ცუდადა ხარ? მე რას მიმალავ!

თინას თავბრუ აღარ ესხმოდა, მაგრამ ისეთ გუნებაზე იყო, ცუდად ყოფნა ერჩია. უფრო მეტად მირბილდა, უფრო მეტად დაუნაღვლიანდა თვალები, საკინძეზე ხელი მოიკიდა, გულისპირით დაინიავა.

მანანა შეწუხებული უყურებდა.

— პულსი ცუდი არა გაქვს. წყალი მოგიტანო?

— არა. მოდი, თუ და ხარ, ეს ოხრობა გამიხსენი. — თინა წამოიხარა და ხელები უკან წაიღო.

მანანა წამოდგა, ხელი ოდნავ ნესტიან ზურგში ჩაუყო და ლიფი გაუხსნა.

— ვიჰ, გაგახარა ღმერთმა! — თქვა

თინამ და ლიფი სულ ჩაიწია ჩამძიმებული ძუძუებიდან.

— წყალსაც მოგიტან, რისა გერიდება!

— რა ვიცი, რა ჭირი შემიდგა, თავბრუ დამეხვა და თითქოს სულ წამერთვა ხელ-ფეხი. — ნიათწართმეულ ხელს კაბის ქვეშ გულთან იტკაპუნებდა თინა.

— ეხლავე მოგიტან წყალს.

მანანა კორჩხლებზე ბარგანით გაიქცა. ცალი ხელით სახვევიანი წინსაფარი ეკავა, ცალს განზე მიიქნევდა.

თინა უყურებდა, ეუხერხულებოდა თავისი ცუდადყოფნის გაჭირდიდება, მაგრამ თან იქვე გულს იკეთებდა: „რატომაც არა! ვის ვაჭმევინებ ნეტავ ჩემ ჯანსა!“ ვაზის ძირს მიხედა, მსხვილი, ღონიერი ძირი იყო, — ნაკლებ გამოკუზული მხრიდან მიაწვა, მოსახვევი ჯერ კეფასთან გადაიწია, მერე სულ მოიხსნა. შავი, დატკეპნილი თმის ბოლოები კეფისკენ აიჩეჩა.

მანანამ ტოლჩით წყალი მოაციმციმა.

— დალიე ცოტ-ცოტა.

თინამ ტოლჩა ჩამოართვა, ცოტა მოსვა, რაც დარჩა, მუჭაში ისხამდა და ხან გავარვარებულ კანჭებზე ისვამდა, ხან სახეზე, ხანაც ძუძუებზე. კაბის გულისპირს ლურჯი ლაქები დააჩნდა.

მანანა მუხლებზე იდგა.

— ხო მოგეცა შვება?

— ღმერთმა გაგახაროს. წნევა მაქვს, რა არი, არ ვიცი.

— უნდა გააზომინო.

— გავაზომინე ნინას მაისში და, მინიმალური გაქვს აწეულიო. სახვევი მომეცი ცოტა.

— იჯექი, ქალო, ამის პატრონიც ჩახმა, რა გესახვევება!

— იი, მე რომ ჩემ ლეშს ავყვე!..

— იჯექი ცოტა ხანს მაინც. ხომ არ გადაირიე. — ძალით დასვა წამოწეული თინა მანანამ.

— თინა! თინათინო! — დაიძახა ბრიგადირმა.

— ხმის ჩაწყვეტა! — თითქმის ერთად თქვეს თინამ და მანანამ.

— თინა! მანან! — ისევ იძახდა ბრიგადირი.

— კუბოში ჩადება! მიწის დაყრა!

— მანან, ყრუო! მანან! — ხმაში ბრაზი ემატებოდა ბრიგადირს.

— აქა ვართ, აქა! — წამოდგა მანანა.

ბრიგადირი ორმოციოდე მეტრის იქით გამოძვრა რიგიდან — დიდი, წინწამოხრილი, თვალებდაჭყეტილი. სიცხისაგან გალექებული მოაფხაკუნებდა კორჩხლებზე ჩექმებს.

— რასა მამაძაღლობთ მანდა?

— მამაძაღლიცა ხარ და მამააყროლებულიც, — თქვა ჩუმად მანანამ. ხმამაღლა კი ეს დაიძახა:

— თინა გახდა ცუდად.

— ცუდზე ხომ არაფერზე დაჯდა, ჰა! — გაიღრიჭა და ლაშჩამოვარდნილი ყბა გვერდზე მოექცა ბრიგადირს.

— შენი ცოლი დაჯდეს შანთზე და მოუნელებელზე.

თინამ წამოიწია და ხელი კაბის გულისპირზე მიიფარა.

ბრიგადირი მოვიდა, ისევ იღრიჭებოდა.

— რა იყო, გოგო! — თვალი აატარა თინას კანჭებიდან ზემოთ.

— წადი, მოშორდი აქედან, — გაუთამამდა ბრიგადირს მანანა.

ბრიგადირმა უკან დაიხია, თვალს არ აშორებდა თინას.

— შენი ფერ-ხორცის პატრონი და ცუდადა?!

— წადი, კაცო, დაგვანებე თავი!

ბრიგადირი ცოტაზე წავიდა და ისევ ღიმილით მობრუნდა.

— თუ ისეთი დაგჭირდეთ რამე, ნურაფრისა ნუ მოგერიდებათ.

ქალებმა ერთმანეთს შეხედეს გამტკნარებულებმა და არაფერი უთხრეს. კიდე ცოტაზე რომ წავიდა ბრიგადირი, თინამ მაშინ თქვა:

— შენ გამჭვარტლულ ცოლს მოახმარე ეგ ლორის დინგი.

ბრიგადირმა ერთხელაც დაიძახა:

— გოგო, მანან! თუ გინდათ, დაიცადეთ მანქანის მოსვლამდე მანდა, თუ გინდათ, წაიყვანე ეგ ავადმყოფი და წადით შინა. თქვენგან მაინც არაფერი სახეირო არ გამოდნება.

— წავიდეთ? — ჰკითხა მანანამ თინას.

თინამ პასუხად სულ სხვა რამ თქვა:

— მაშ ერთხელ და სამუდამოდ არ უნდა ამოვუქოლოთ მაგას ეგ მყრალი პირი?!

— თქვა ლაცაბიძის ცოლმა კრებაზე! თქვენ ხომ სულ ვარდ-ყვავილები ამოგდითო, — თავმჯდომარემ, და ამით დამთავრდა ყველაფერი.

— მაგათი ამოწყვეტა იყოს, ყველასი ერთად, აჰა!

თინამ იქით გაიხედა, საითაც ბრიგადირი წავიდა. ბრიგადირი აღარ ჩანდა.

— მოდი ,შენს გახარებას, ისევ შემიკარი ესა.

თინამ ლიფი ძუძუებზე მოირგო.

მანანა ფეხზე იდგა.

— ორმოცზე მეტისა ხომ ხარ, არა?

—ორმოცდაერთისა. რა იყო?

— რა ვიცი, მე რამ ჩამიწყალა ეს მკერდი.

— ი, ნეტავი შენა! — შინაგანი კმაყოფილებით თქვა თინამ. — მუხლი და მკლავი მიჭრიდეს, თორემ რაღა თავში ვიხლი ძუძუებს. შენ ჩემზე პატარა არა ხარ?

— რაღა პატარა, ორმოცისა მეც უნდა გავხდე სექტემბერში. მეც წამოგყვები, წავიდეთ.

— არა, რას ამბობ. ხვალ არ უნდა გამოვიდე სამუშაოდ, კიტრი მაქვს წასაღები ქალაქში, ისედაც დამიბერდა და მაგ მიწაში ჩასარჩევის სალაპარაკო არ მინდა გავხდე.

— დაკრეფილი გაქვს?

— საღამოზე დავკრეფავ.

— მაშინ მეც წამოვალ. მეცა მაქვს კიტრიცა და ცოტა ატამიცა.

— წამოდი.

— სეირანას მანქანას გავყვეთ?

— ხო, მანდ ჩამოვა, წყაროსთან, ათი საათისთვის და ოთხ საათზე წავალთ. მომეცი სახვევი, ცოტაც წავიცოდვილოთ.

მანანამ საყვედურით თუ მუდარით შეხედა.

— რას ამბობ! იჯექი შენა.

— მოიტა, მოიტა, აღარაფერი მიშავს.

მანანამ წინსაფრიდან სახვევი ამოიღო და მისცა. თინა წავიდა, ასახვევ ვახთან ჩაკუნტდა, ზედიზედ, ღონივრად გამოგლიჯა ზედმეტი ამონაყარი. ადგა, შეაცალა ნამხრევიც, მავთულებზე მიაკრა განზე წასული რქები.

მანანა მომდევნო რიგთან იყო წახრილი. თინას შეებრალა ეს კეთილი გულის ძალიან გამხდარი გოგო, წვრილად რომ ჩამოშვებოდა თვით ნაოჭასხმული კაბა თეძოებზე. მანანას უხეირო ქმარი ჰყავდა, ხელთუპყარი, ლოთი.

სადღაც შორიდან მოისმა ჯერ მანქანის ხმა, მერე ბრიგადირის ძახილი.

— სად მოხვალ, სადა, ე, ბრმავ, ტვინშებრუნებულო!

მაღლა, კალისფერი ციდან გამოვიდნენ კრუტუნა კვირიონები. ტრიალებდნენ ვენახების თავზე, იწევდნენ დაბლა, იჭერდნენ რაღაც მწერებს და ფრთების გაჩქარებული ქნევით ცდილობდნენ გუნდიდან განაპირებას.

თინა და მანანა თვალებზე ხელმოჩრდილებულები აჰყურებდნენ იმ კვირიონებს.

— რამდენ ფუტკარს ჩაყლაპავენ ეს გასატიალებლები!

მანანამ ორი ქვა მოძებნა და კაკუნი ატეხა, — კვირიონებს აფრთხობდა. ქვების კაკუნი ისმოდა აქეთ-იქიდანაც.

თინას ეღიმებოდა.

კვირიონებმა იტრიალეს, იტრიალეს და თვითონ წავიდნენ სოფლისაკენ.

თინამ და მანანამ ერთ საათს კიდევ იმუშავეს, თინამ ნელ-ნელა, მოწყენილმა; მანანამ — ყოჩაღად, რაღაც ჯიბ-

რიანად. ხანდახან თუ გამოსძახებდა თინას:

— როგორა ხარ?

— კარგად! კარგად! — მიუგებდა თინა, მაგრამ თან ხმაში ისეთ კილოს ურევდა, მანანას არ უნდა ეფიქრა — მართლა მთლად კარგად არისო.

— დაჯექი, დაისვენე ხოლმე, — ურჩ[illegible]და მანანა.

— აკი ვისვენებ. ნელ-ნელა მოგდევ!

მზე კიდევ ციდაზე იყო, მანქანა რომ მოვიდა. გამოდგა ლაფანა გოგია საფეხურზე და დაიძახა განგებ გაწვრილებული, დედაბრული ხმით:

— ქალებო, ქვეყნის ჭრელო თვალებო! აბა, შინისკენ, შვილებსა სჭირდებით, ქმრებსა სჭირდებით.

ჩამოხტა საფეხურიდან, არხთან გავიდა და ტალახიანი კიტრი წყალში გაალაღლაღა.

თინამ და მანანამ დარჩენილი სახვევი, სადაც იყვნენ, იქვე მიყარეს, წინსაფრები მოიხსნეს, დაბერტყეს და მათი კეცვა-კეცვით მანქანისკენ გამოჩქარდნენ. მანქანაში შვიდი ქალი სხვა იჯდა. თინა ერთხანს გვერდით მიჰყვებოდა მანანას, მერე გაახსენდა, რომ ცუდად იყო, და ჩამორჩა. ფეხი შეარბილა მანანამაც.

— ჩქარათ, ქა, რა ახალამდგარი პატარძლებივით მოსეირნობთ.

— ცუდად არის ქალი, რა იყოთ! — ასძახა მანანამ.

მანანას სიტყვებზე თინამ ნაბიჯს უმატა. მანქანაზე მსხდარი ქალები ახლა მდუმარედ იყურებოდნენ. ლალიაშვილი ქეთუა წამოდგა, ძარის ბოლოში გამოვიდა, თინას ხელი ჩამოაშველა და ყოჩაღად აიყვანა.

— რა მოგვიდა, ქალო!

— რა ვიცი, ჭირი და ჯანდაბა ჩემი თავისთვის. წნევა მაქვს, რა მაქვს, არ ვიცი.

მანანასთვისაც მიბრუნდა ქეთუა, მაგრამ მანანას მიხმარება არ დასჭირვებია, თვითონ ამოვიდა.

— სხვა არავინ არ არის აქა? — იკითხა კიტრით პირგამოტენილმა ლაფანა გოგიამ.

— თელასთან არიან, თელასთან იქნებიან.

— ეგ ხო ვიცი.

გოგია კაბინაში შევიდა და მანქანა დაძრა.

თინა და მანანა გვერდიგვერდ ისხდნენ. თინას ეხლა სხვები ეკითხებოდნენ, რა დაგემართა, როგორ გახდი ცუდადო.

— არაფერი, — იიოლებდა თინა, — თავბრუ დამესხა და ხელ-ფეხი წამერთვა ცოტა ხნით.

— წნევა გექნება, წნევა, — უყვიროდნენ ქალები მანქანის ჯაყჯაყში, — მზეს უნდა ერიდო. რამდენი წლისა ხარ, გოგო!

— ორმოცდაერთისა.

— დროა, უკვე დროა. წნევა გექნება.

— იი, მაგის... — ისევ იიოლებდა თინა.

ექვსი ქალიც თელასთან ამოვიდა. უკან გამობრუნდნენ. სამნი, თინა და მანანა რომ მუშაობდნენ, ომის ცოტა იქით დახვდნენ. შორიდანვე დაიწყეს ყაყანი:

— გვტოვებდი, ე, მაიმუნო, ლაზღანდარ?! — ხელებს უქნევდნენ მძღოლს.

— რატო ხმა არ ამოიღეთ, რო ვყვიროდი! რას იყავით ჩანაბულები, რა საქმით იყავით გართულები?!

— აი, ჩახმი! — ქოქოლა მიაყარეს ქალებმა, —ამასთან ლაპარაკი შეიძლება?!

ის სამიც ამოიყვანეს. დიდ გზასთან ბრიგადირი იდგა. თინა რომ მანქანაზე დაინახა, გაიკვირვა.

— არ წახვედი შენა? არ წახვედით თქვენა? ხო გითხარით, წადით-მეთქი, მანან!

— იი, ნეტავი ერთი შენცა.

— რა ვიცი, კაცო, ცოდო არ დავიდო-მეთქი მაგისი ქმრისა.

თინას გვერდულად ჩაეღიმა.

რევაზ ინანიშვილი
თინა და სანდრო

— ეხლა წაგვიყვანე დროით, შინაც საქმეები გვაქვს! — უთხრა მანანამ.

— ეხლავე, გენა, ეხლავე.

ბრიგადირი გაჩქარებული ჩაჯდა კაბინაში და მანქანამ მტვერი აიყოლა ხრეშმოყრილ გზაზე.

თინას უკვე სხვები ეკითხებოდნენ, როგორ იყო, როგორ გახდი ცუდად, ისევ ისე ხარ თუ გადაგიარაო. თან თინას უგდებდნენ ყურს, თან თავიანთ გასაჭირისასაც ამბობდნენ ,— მაყვალაც გამხდარიყო ცუდად. მაყვალაც, ანგელინაც და ნაზიკოც.

სწყევლიდნენ მზეს.

— აღარ კი ჩაცხრა და ჩაგრილდა ოხრად დასარჩენი და...

სწყევლიდნენ ქალის ბედს და გაჩენის საათსაც.

— ქალი რა გასაჩენი იყო. ქალი და შავი ქვა ერთად არიან ძრული დედის მუცელში.

თინას გაეცინა.

— კარგით, ქა, მე ძალიან მშვენივრადა ვარ .აი, კიტრის დაკრეფაც უნდა მოვასწრო დაბინდებამდე, ამაღამ კიდევ ქალაქშიც უნდა წავიღო. — წელში გაიმართა, ღრმად ჩაისუნთქა და სახეგაბრწყინებულმა მიმოიხედა. ახლა მართლა კარგად იყო. კარგადაც იყო, ლამაზიც იყო — თვალებში ხავერდოვნეზაშენარჩუნებული, ტუჩებმკვრივი.

— კარგად გამყოფოს ღმერთმა, — თქვა ერთმა სევდიანად მიშტერებულმა ქალმა.

— სულელი ხომ არა ხარ შენა! — გაუწყრა მეორე.

— ი, თქვენცა!..

სოფელში შესული მანქანა რამდენჯერმე გაჩერდა. ჩადიოდნენ ქალები, — ორ-ორი, თითო-თითო, სამი-ოთხი ერთად. ჩამოვიდნენ თინა და მანანაც.

— დავკრიფო მეცა, მაშა? — კიდევ ერთხელ იკითხა მანანამ.

— დაკრიფე, ხო. წყაროსთან შევხვდეთ. ათ საათზე იქ ვიქნები. შენც იმ დროისთვის გადმოდი, რომ მერე ცოტა წაძინებაც მოვასწროთ.

მანანა გაიქცა. თინაც შინისკენ გამოჩქარდა.

შინ მარტო გოგო დახვდა, პირქვე დაწოლილიყო დერეფნის ტახტზე, მთელ სიგრძეზე გამოეშალა ძლიერი შიშველი ფეხები და წიგნს კითხულობდა.

თინამ კაბაზე ხელი მოჰკიდა და ჩამოუწია. გოგომ შემკრთალმა მოხედა.

— ბიჭი სად არი?

— მე რა ვიცი, — უკვე აღარ ამოუხედავს გოგოს.

— ადექი, კიტრის დაკრეფა მიშველე, მოვასწროთ, თორემ დაღამდება სადაცაა.

— მე კიტრისა რა ვიცი, ქალო!

— რა არ იცი?

— კიტრის დაკრეფა.

— არა გაცოდინათ რა მამაზეციერმა. თუ ხელი არ ახლეთ რამეს, არაფერი გეცოდინებათ თქვენს სიცოცხლეში. ეყარენით ეგრე და იყავით. აი, დღესაც ცუდად გავხდი მინდორში.

გოგო ახლა კი წამოჯდა.

— რა დაგემართა!

— ჭირი ჩემი თავისთვის.

თინამ ორი ტომარა მოძებნა, წინსაფარი ისევ შემოიკრა და ვენახისკენ გაჩქარდა.

— მოიცა, წამოვალ მეცა.

თინამ არაფერი უთხრა.

— მე რა წამოვიღო?

— წინსაფარი რამე წამოიღე შენი.

გოგომ წინსაფარს დაუწყო ძებნა. როდის-როდის იპოვა. ძველი ფეხსაცმელები აითრია, კიბეზე ჩამობაკუნდა და ვენახის ბილიკზე გავიდა. თავის ასაკთან შედარებით (თხუთმეტისა ხდებოდა) დიდი იყო, დედის კვალობაზე წასული — ფერხორციანი, თანაც უფრო მაღალი. მიდიოდა და დაუდევრად მიჰქონდა ის ძლიერი, ვარვარა ფეხები.

მზე ჩავიდა. ვენახებში გრილი სიმშვიდე ჩამოდგა. თინა გაფაციცებული ეწეოდა კიტრის ფოთლებს აქეთ-იქით, კრეფდა, ბრაზობდა:

— დაბერდა და გაოხრდა, გაოხრდეს და გატიალდეს მაგათი სახლ-კარი.

გოგოც გადავიდა კიტრში, იმან ერთხილად გადასწ-გადმოსწია ფოთლები.

— ცოტა რომა აქვს შეპარული სიყვითლე, ისეთებიც დავკრიფო? შეყვითლებულები და დაბრეცილები.

— დაკრიფე, ყველანაირი დაკრიფე.

გოგომ დიდი, თავზე სიყვითლეჩამოყოლებული კიტრი მოწყვიტა და დედას დაანახვა.

— აი, ესეთები.

— ჰო, იყოს ეგეთებიც. მხოლოდ ცოტა მარდად, ჩამობნელდება სადაცაა.

გოგოც გაფაციცდა.

აივსებდნენ აკალთავებულ წინსაფრებს, გადავიდოდნენ ბილიკზე, იქ ტომრებში ჩასცლიდნენ და ისევ კიტრში ბრუნდებოდნენ. გოგო შეწუხებული ისვამდა დასუსხულ კანჭებზე ხელს, მაგრამ ხმამაღლა არაფერს ამბობდა. დაბნელდა და მორჩნენ კიდეც. ორივე ტომარა თითქმის პირამდე გაივსო. თინამ გოგო შინ გაგზავნა, წადი, ნახე, ვალიკო თუ ჩამოსულია, გამოვიდეს, გატანაში მოგვეხმაროსო. თვითონ ისევ კიტრში გადავიდა და ერთხელ კიდევ აუარ-ჩაუარა რიგებს. გოგომ ცოტა დაიგვიანა, — წყაროსთანაც კი გადავედი და ვალიკო ვერსად ვნახეო.

— მოდი, ამიწი მაშინ მე! — თქვა თინამ.

— გადავყოთ, ქალო, და ნაწილ-ნაწილ გავიტანოთ.

— მაგისი დროა ეხლა?

მართლაც კარგად იყო ჩამობნელებული.

— მაშინ მე ამიწიე, მე გავიტან.

— შენ არა, ისა. ჩემი ხომ ძალიან მაღლობელი ვარ, ახლა შენ იკიდე მეშოკები.

თინამ ტომარას პირი მოუხვია, გოგო მივიდა, ჩაიხარა.

— თან ცუდად ყოფილხარ დღესა.

— ამიწი, ნუღა მაგვიანებ.

თინამ ღონივრად შეაქანა ტომარა, გოგომ ძირიდან აუწია, თინამ მუხლი ჩახარა და ტომარა ზურგზე მოიგდო. ერთი შექანება შექანდა, მერე ნაბიჯი გამართა და ჩქარ-ჩქარა წავიდა ბილიკზე. თითქოს გაგანიერებული იყო, გაბრტყელებული. გოგო უყურებდა და ეღიმებოდა. მერე დაღონდა. მივიდა მეორე ტომარასთან, მოუგრიხა პირი იმანაც ღონივრად, მიათრია ბილიკის ნაპირთან, თვითონ დაბალში ჩადგა, ჩაიღუნა, ტომარა გადმოიქნია და ყოჩაღად წამოიკიდა, ყოჩაღად ავიდა მაღლა. სულ სირბილით მიჰქონდა. სახლს რომ მიუახლოვდა, თინა შეეფეთა.

— კარგით რა! კარგით! — დაიძახა თინამ. გამოიქცა, უკან ამოუდგა და ტომარა აუწია. გოგომ იუარა, — დამანებე თავი, რა შენი აწევა მინდაო, მაგრამ თინამ ხელი არ გაუშვა. ასე ორმა მიიტანა ტომარა დერეფნამდე და იქ კედელთან მიდგეს. დერეფანში სინათლე ენთო. თინა ირგვლივ უვლიდა აწითლებულ გოგოს და ეუბნებოდა:

— აქედანვე თუ წაუწექი მეშოკებსა და გოდრებს, მთელ შენ სიცოცხლეში ვეღარ მოიცილებ. ეგ მაგას ეხერხებაო და, შინაური იქნება თუ გარეული, ყველა შენ აგკიდებს.

— რა არის, ქალო, ეს ჩემთვის, — ტომარას ხელი წამოჰკრა გოგომ, — მე ეხლა გაქშუებულ კამეჩს დავიჭერ რქებით.

მისწვდა დედას, წელზე შემოხვია ხელები, მაღლა ასწია.

— დამსვი, შე არგასაშვებო!

თინა ძლივს გაუსხლტა. იცინოდა და ტკბილად უყურებდა გოგოს.

— დაიჭერ შენ გულის გაგანიერებას და ათას ოხრობას.

გოგო მოჭიდავესავით გამომწვევად უყურებდა, იღუნებოდა.

— კარგი, არა მცალია ღლაბუცისათვის.

თინამ ტომარა იატაკზე წამოამხო, ჩაკუნტდა. გოგო დაიხარა და ყურისძირში აკოცა.

— ფუჰ! — მოიშორა თინამ, — ჭუ-

ჭყიანი ვარ, შე არგასაქრობო!

მოვიდა გოგოც, ჩაიმუხლა — გაბრწყინებული თვალებით ამოხედავდა ხოლმე დედას, ქვედა ტუჩს კბილებით აწვალებდა — „გასათხოვარია ეს მაიმუნი“. თინას რაღაც უსიამოვნო გრძნობა დაეუფლა.

— ცუდად ხომ არ გახდი? — ჰკითხა შეფიქრიანებულმა გოგომ.

— არა.

სულ სათითაოდ გადაარჩიეს ორივე ტომარა. დაბრეცილი, ანუ ნახუნაგი კიტრი და ცოტა გაყვითლებული — ცალკე, სამწნილედ, შინ მოსახმარად. კარგი კიდევ — ცალკე, გასაყიდად. გასაყიდმა კიტრმა ერთი ტომარა გაავსო და მეორე ნახევრობაზე მოყარა.

— ჭამა არ გინდა, ქალო? — ჰკითხა თინას გოგომ.

— თუ რამე გაქვს, გამოიტანე, მანამ მე ხელებს დავიბან.

თინამ ტომრებს კანაფით მოუკრა პირი. მიდგა პირისაბანთან, საპნით დაიბანა ხელები, სახეზედაც მოისვა წყალი.

გოგოს კამიანი ახალი კარტოფილი გაეკეთებინა.

თინა მაგიდასთან დაჯდა, კერძი გადმოიღო, პური მოიტეხა.

— შენა? შენ არა ჭამ?

— მე ეხლახან ვჭამე.

— იცი, რას გეტყვი შენა?

— რასა.

— მაგ სისულელეებს თავი დაანებე.

— რა სისულელეებს, ქალო!

— აი, მაგ გახდომებსა და რაღაც ეშმაკობებს.

— ვჭამე, შენ თავს გეფიცები.

თინამ გამომცდელად შეხედა. გოგოს თვალი არ დაუხამხამებია.

— დაგისუსტდება ფილტვები და ნახავ მერე შენ.

გოგომ თეფში გამოიტანა.

— ვჭამე, მაგრამ შენი ხათრით კიდევ შევჭამ ცოტას.

ქვაბს სახურავი ახადა, სამი კარტოფილი ამოიღო და დედის პირდაპირ დაჯდა. თინა ჩქარა ჭამდა, ის — ნელნელა, თან სულ დედას უყურებდა.

— როგორ გახდი ცუდად?

— რა ვიცი, თავბრუ დამეხვა და ხელ-ფეხი დამიდუნდა.

— მერე, ხვალ ახლა ბაზარში უნდა იდგე მთელ დღეს?!

— მა რა ვქნა, გავაფუჭო? ორიათასი მანეთი მარტო შენი მომზადებისთვის რომ გვჭირდება?!

— ჩამოვიდოდა მამაჩემი და ის წაიღებდა.

— როდის ჩამოვა, რა იცი! ეგ კიდევ ნახევარზე მეტი დამსხვილებულია, რაღა ფასი უნდა ჰქონდეს მაგას! შენ ისა ქენი — ბიჭი მონახე, რომ წყაროამდე მაინც იმან გადმომიტანოს ეგ მეშოკები.

— გადმოვიდეს თვითონ ის შანქანა, რა მოხდება?!

— არ გადმოვა. ისეა გაყვინიზებული ეგ ფეხებდაბრეცილი სეირანა, არ გადმოვა. დგას რაიკომის მდივანივით და ბარგი რომ გსრესავდეს, ხელს ზურგიდან არ გადმოიღებს.

— არ მოხმარდეს მაგოდენა ფული, რასაც ეგ იღებს.

გოგო წამოდგა.

— წავალ, აბა, მე, ზეკითაც ვიკითხავ.

— წადი, მხოლოდ დროით ჩამოდი, შენც არ დაიკარგო.

გოგომ საყვედურით მიხედა.

თინამაც დაამთავრა ჭამა — გახი აანთო, ქეთლით წყალი დადგა, სუფრა აალაგა, გადარჩეული ნახუნაგი კიტრი კალათაში ჩაყარა და მარანში შეიტანა. მარანში მოესმა ძახილი:

— ნარგიზ! ნარგიზ!

მეზობლის გოგომ რძე მოიტანა. თინამ გამოართვა და მადლობა გადაუხადა. საკიდრიდან მომინანქრებული ქვაბი ჩამოიღო, რძე იმ ქვაბში ჩაასხა და ასადუღებლად დადგა. სანამ რძე ადუღდებოდა, შიგნით ოთახში შეავიდა, სინათლე ჩართო და გარდერობის სარკესთან მიდგა, ახლოს მიიწია. გაშავებული იყო, სახის წვრილნაოჭებ-ჩამუქებული. „ამოწყდნენ და ამოიბუგნენ!“ — დასწყევლა ვიღაცანი. გამოვიდა. გაზიდან ქეთლი გადმოდგა,

რძემაც ამოიწია. ტახტის ქვეშიდან ალუმინის ტაშტი გამოაცურა. ტაშტში ბიჭის ორი პერანგი იყო ჩამბალი, ცხელი წყალი ჩაუმატა და ჭეჭყვა დაუწყო.

მობრუნდა გოგოც.

— ვალიკო და ბიჭები თევზზე წასულან მაშხალებით. ვინ იცის, როდის მოვლენ.

— მოუსავლეთში წავიდეს, სულ სუფთა-სუფთა პერანგები კი უნდა.

— მოიცა, მე გავრეცხავ. — წამოსწვდა გოგო.

— აქ არ იყო, თუ გამრეცხავი იყავი?!

— გამოდი, მე გავრეცხავ, მაგას რა უნდა.

— მიდი, შენ თეფშები დარეცხე.

— ეგეთი ჯიბრიანი რომა ხარ, იმიტომა ხარ ეგრე.

— როგორა?

— ცუდად რომ ხდები ხოლმე.

თინამ ათვალწუნებით გამოხედა.

— მანქანა ხომ არ იყო მოსული წყაროსთანა?

— არა.

თინამ პერანგები გარეცხა და ბოძებშორის გაბმულ მავთულზე გაფინა.

ათს უკვე გადაცდენილი იყო. წავიდა, წყაროსთან გადავიდა. სეირანა მოსული იყო. ზოგნი დაბარგებულიყვნენ კიდეც. იმათ შვებით ეღიმებოდათ. წამოვიდა ჩქარი ნაბიჯით შინ. სავსე ტომარა თვითონ აიკიდა, ნაკლულს გოგომ წამოუსვა მსუბუქად ხელი. გადაიტანეს მანქანასთან.

კაცები ქვებზე ისხდნენ და სიგარეტებით ანათებდნენ.

არც თინას უთხოვია ხელი წამაშველეთო, არც ისინი გარჯილან. მაღლა თინა ავიდა, გოგომ ქვემოდან ასწია და ისე აიტანეს მანქანაზე ტომრები. თინამ სავსე ტომარა სხვა ბარგთან მიდგა, ნაკლული ზედ დაადო. შეამოწმა, ხომ არ ტოკავდა. ორივე ტომარა მაგრად იდგა. ჩამოვიდა მანქანიდან და სეირანას ჰკითხა:

— რომელზე გახვალ, სეირან?

— როგორც არი, რა! ოთხი რომ გახდება, დავიძვრები! სულ ეგა გაქ?

— ეგ არი სულა.

— ნიშანი ხომ გიდევ მეშოკებზე?

— სახელები მიწერია.

— შენა თინა გქვიან, არა?

— ხო, თინა.

— წადი ეხლა, თინა, დაიძინე ტკბილადა და ოთხის ნახევარზე აქ იყავი.

წამოვიდა დედა-შვილი.

— მოდი, წყალს გადავივლებ.

— მე დაგისხამ.

— თუ მაგ სიკეთეს იზამ?!

დიდი ქვაბით შედგეს გაზქურაზე წყალი. სანამ ის წყალი გათბებოდა, თინამ მაღვიძარა საათი დაქოქა, სამზე დააყენა, სუფთა თეთრეული მოიმზადა. მერე, წყალი რომ გათბა, მარანში, დედაბოძის იქით, სპილენძის დიდი ტაშტი დადგა. წყალი გადაანელა.

— მოდი, აბა! — დაუძახა გოგოს.

ქვაბი მარანში შეიტანეს.

გოგომ ტოლჩა აიღო.

თინამ კარი მიხურა, გადარაზა. ტანთ გაიხადა. ტაშტში გადავიდა, ყელს ქვემოთ და მუხლებს ზემოთ თეთრი იყო, თეთრი. კანიც ახალგაზრდულად გადასტკეცოდა. მხოლოდ მუცელი ჰქონდა ცოტათი წამოზრდილი და სავსე ძუძუების კერტები დაგრძელებული, გამკვრივებული.

— თავსაც დაიბან? — ჰკითხა გოგომ.

— დავიბან. რაკი ხარჯია, ხარჯი იყოს.

— არ გასცივდე.

— დამასხი. სად არის სიცივე.

თინა ჩაკუნტდა, თმა წინ წამოიშალა.

გოგომ წყალი დაასხა.

— ვუი! — დაიძახა წყლის პირველ დასხმაზე თინამ და წელი შეზნიქა. მერე და მერე შვება იგრძნო.

— გაგახარა ღმერთმა!

თინამ საპონი აიღო და თავზე მიისვ-მოისვა.

ბეჭები და წელი ნარგიზამ გაუხეხა.

ჭყიანი ვარ, შე არგასაქრობო!

მოვიდა გოგოც, ჩაიმუხლა — გაბრწყინებული თვალებით ამოხედავდა ხოლმე დედას, ქვედა ტუჩს კბილებით აწვალებდა — „გასათხოვარია ეს მაიმუნი“. თინას რაღაც უსიამოვნო გრძნობა დაეუფლა.

— ცუდად ხომ არ გახდი? — ჰკითხა შეფიქრიანებულმა გოგომ.

— არა.

სულ სათითაოდ გადაარჩიეს ორივე ტომარა. დაბრეცილი, ანუ ნახუნაგი კიტრი და ცოტა გაყვითლებული — ცალკე, სამწნილედ, შინ მოსახმარად. კარგი კიდევ — ცალკე, გასაყიდად. გასაყიდმა კიტრმა ერთი ტომარა გაავსო და მეორე ნახევრობაზე მოყარა.

— ჭამა არ გინდა, ქალო? — ჰკითხა თინას გოგომ.

— თუ რამე გაქვს, გამოიტანე, მანამ მე ხელებს დავიბან.

თინამ ტომრებს კანაფით მოუკრა პირი. მიდგა პირისაბანთან, საპნით დაიბანა ხელები, სახეზედაც მოისვა წყალი.

გოგოს კამიანი ახალი კარტოფილი გაეკეთებინა.

თინა მაგიდასთან დაჯდა, კერძი გადმოიღო, პური მოიტეხა.

— შენა? შენ არა ჭამ?

— მე ეხლახან ვჭამე.

— იცი, რას გეტყვი შენა?

— რასა.

— მაგ სისულელეებს თავი დაანებე.

— რა სისულელეებს, ქალო!

— აი, მაგ გახდომებსა და რაღაც ეშმაკობებს.

— ვჭამე, შენ თავს გეფიცები.

თინამ გამომცდელად შეხედა. გოგოს თვალი არ დაუხამხამებია.

— დაგისუსტდება ფილტვები და ნახავ მერე შენ.

გოგომ თეფში გამოიტანა.

— ვჭამე, მაგრამ შენი ხათრით კიდევ შევჭამ ცოტას.

ქვაბს სახურავი ახადა, სამი კარტოფილი ამოიღო და დედის პირდაპირ დაჯდა. თინა ჩქარა ჭამდა, ის — ნელ-ნელა, თან სულ დედას უყურებდა.

— როგორ გახდი ცუდად?

— რა ვიცი, თავბრუ დამეხვა და ხელ-ფეხი დამიდუნდა.

— მერე, ხვალ ახლა ბაზარში უნდა იდგე მთელ დღეს?!

— მა რა ვქნა, გავაფუჭო? ორიათასი მანეთი მარტო შენი მომზადებისთვის რომ გვჭირდება?!

— ჩამოვიდოდა მამაჩემი და ის წაიღებდა.

— როდის ჩამოვა, რა იცი! ეგ კიდევ ნახევარზე მეტი დამსხვილებულია, რაღა ფასი უნდა ჰქონდეს მაგას! შენ ისა ქენი — ბიჭი მონახე, რომ წყარომდე მაინც იმან გადმომიტანოს ეგ მეშოკები.

— გადმოვიდეს თვითონ ის მანქანა, რა მოხდება?!

— არ გადმოვა. ისეა გაყვინიზებული ეგ ფეხებდაბრეცილი სეირანა, არ გადმოვა. დგას რაიკომის მდივანივით და ბარგი რომ გსრესავდეს, ხელს ზურგიდან არ გადმოიღებს.

— არ მოხმარდეს მაგოდენა ფული, რასაც ეგ იღებს.

გოგო წამოდგა.

— წავალ, აბა, მე, ზეგითაც ვიკითხავ.

— წადი, მხოლოდ დროით ჩამოდი, შენც არ დაიკარგო.

გოგომ საყვედურით მიხედა.

თინამაც დაამთავრა ჭამა — გახი აანთო, ქეთლით წყალი დადგა, სუფრა აალაგა, გადარჩეული ნახუნაგი კიტრი კალათაში ჩაყარა და მარანში შეიტანა. მარანში მოესმა ძახილი:

— ნარგიზ! ნარგიზ!

მეზობლის გოგომ რძე მოიტანა. თინამ გამოართვა და მადლობა გადაუხადა. საკიდრიდან მომინანქრებული ქვაბი ჩამოიღო, რძე იმ ქვაბში ჩაასხა და ასადუღებლად დადგა. სანამ რძე ადუღდებოდა, შიგნით ოთახში შეავიდა, სინათლე ჩართო და გარდერობის სარკესთან მიდგა, ახლოს მიიწია. გაშავებული იყო, სახის წვრილნაოჭებჩამუქებული. „ამოწყდნენ და ამოიბუგნენ!“ — დასწყევლა ვილაცანი. გამოვიდა. გაზიდან ქეთლი გადმოდგა,

რძემაც ამოიწია. ტახტის ქვეშიდან ალუმინის ტაშტი გამოაცურა. ტაშტში ბიჭის ორი პერანგი იყო ჩამბალი, ცხელი წყალი ჩაუმატა და ჭეჭყვა დაუწყო.

მობრუნდა გოგოც.

— ვალიკო და ბიჭები თევზზე წასულან მაშხალებით. ვინ იცის, როდის მოვლენ.

— მოუსავლეთში წავიდეს, სულ სუფთა-სუფთა პერანგები კი უნდა.

— მოიცა, მე გავრეცხავ. — წამოსწვდა გოგო.

— აქ არ იყო, თუ გამრეცხავი იყავი?!

— გამოდი, მე გავრეცხავ, მაგას რა უნდა.

— მიდი, შენ თეფშები დარეცხე.

— ეგეთი ჯიბრიანი რომა ხარ, იმიტომა ხარ ეგრე.

— როგორა?

— ცუდად რომ ხდები ხოლმე.

თინამ ათვალწუნებით გამოხედა.

— მანქანა ხომ არ იყო მოსული წყაროსთანა?

— არა.

თინამ პერანგები გარეცხა და ბოძებშორის გაბმულ მავთულზე გაფინა.

ათს უკვე გადაცდენილი იყო. წავიდა, წყაროსთან გადავიდა. სეირანა მოსული იყო. ზოგნი დაბარგებულიყვნენ კიდეც. იმათ შვებით ეღიმებოდათ. წამოვიდა ჩქარი ნაბიჯით შინ. სავსე ტომარა თვითონ აიკიდა, ნაკლულს გოგომ წამოუსვა მსუბუქად ხელი. გადაიტანეს მანქანასთან.

კაცები ქვებზე ისხდნენ და სიგარეტებით ანათებდნენ.

არც თინას უთხოვია ხელი წამაშველეთო, არც ისინი გარჯილან. მაღლა თინა ავიდა, გოგომ ქვემოდან ასწია და ისე აიტანეს მანქანაზე ტომრები. თინამ სავსე ტომარა სხვა ბარგთან მიდგა, ნაკლული ზედ დაადო. შეამოწმა, ხომ არ ტოკავდა. ორივე ტომარა მაგრად იდგა. ჩამოვიდა მანქანიდან და სეირანას ჰკითხა:

— რომელზე გახვალ, სეირან?

— როგორც არი, რა! ოთხი რომ გახდება, დავიძვრები! სულ ეგა გაქ?

— ეგ არი სულა.

— ნიშანი ხომ გიდევ მეშოკებზე?

— სახელები მიწერია.

— შენა თინა გქვიან, არა?

— ხო, თინა.

— წადი ეხლა, თინა, დაიძინე ტკბილადა და ოთხის ნახევარზე აქ იყავი.

წამოვიდა დედა-შვილი.

— მოდი, წყალს გადავივლებ.

— მე დაგისხამ.

— თუ მაგ სიკეთეს იზამ?!

დიდი ქვაბით შედგეს გაზქურაზე წყალი. სანამ ის წყალი გათბებოდა, თინამ მაღვიძარა საათი დაქოქა, სამზე დააყენა, სუფთა თეთრეული მოიმზადა. მერე, წყალი რომ გათბა, მარანში, დედაბოძის იქით, სპილენძის დიდი ტაშტი დადგა. წყალი გადაანელა.

— მოდი, აბა! — დაუძახა გოგოს.

ქვაბი მარანში შეიტანეს.

გოგომ ტოლჩა აიღო.

თინამ კარი მიხურა, გადარაზა. ტანთ გაიხადა. ტაშტში გადავიდა, ყელს ქვემოთ და მუხლებს ზემოთ თეთრი იყო, თეთრი. კანიც ახალგაზრდულად გადასტკეცოდა. მხოლოდ მუცელი ჰქონდა ცოტათი წამოზრდილი და სავსე ძუძუების კერტები დაგრძელებული, გამკვრივებული.

— თავსაც დაიბან? — ჰკითხა გოგომ.

— დავიბან. რაკი ხარჯია, ხარჯი იყოს.

— არ გასცივდე.

— დამასხი. სად არის სიცივე.

თინა ჩაკუნტდა, თმა წინ წამოიშალა.

გოგომ წყალი დაასხა.

— ვუი! — დაიძახა წყლის პირველ დასხმაზე თინამ და წელი შეზნიქა. მერე და მერე შვება იგრძნო.

— გაგახარა ღმერთმა!

თინამ საპონი აიღო და თავზე მიისვამოისვა.

ბეჭები და წელი ნარგიზამ გაუხეხა.

წყალი რომ თავდებოდა, თეძოზე ხელი დაუტყაპუნა და უთხრა:

— დათვი მჭლე და შენ მსუქანი! დათვი მჭლე და შენ მსუქანი!

— მე კიდევ სიმსუქნე მჭირდება, გოგო?!

— რას ამბობ, კუკლასავითა ხარ. დიდ, პრიალა კუკლასავით.

— იი! — აშკარად ესიამოვნა თინას. მაინც შემოიწყო ბარძაყზე ხელები, — აი, ამ ჩიჩიას უყურე!

— არაფერიც. აბა, როგორ გინდა!

კმაყოფილი მშრალდებოდა თინა დიდი, ხაოიანი პირსახოცით. გოგო წყლებს ღვრიდა. თინამ ერთხელაც დალოცა.

— შენ გაიხარე და გამრავლდი!

ნეილონის საცვალი და პერანგი ჩაიცვა. ახლა თავს მართლა ისე გრძნობდა, თითქოს სულ ახალგაზრდა ყოფილიყოს. ჭრელ ხალათში გახვეული გამოვიდა მარნიდან. თავზე წითელი მოსახვევი ჰქონდა წაკრული. გოგოს წიგნი აეღო.

— მაშინ მე დავწვები, შვილო, იქნება ცოტა წავატყუო თვალი.

— დაწექი, აბა რა!

წავიდა თინა, საწოლს ცისფერი გადასაფარებელი გადახადა, საბანი ასწია და შეწვა.

— უი, ღმერთო!

ლოგინი სასიამოვნოდ გრილი იყო. საბანში ყელამდე გაეხვია. მაშინვე თვალები დახუჭა. ერთხანს იმაზე ფიქრობდა, თავისი ცუდად ყოფნა რომ გააზვიადა. მერე სანდრო მოუნდა, მისი მაგარი ხელი წელზე. მაგრამ სანდრო „ჯანდაბაში“ იყო დაკარგული. ბალიში ამოსწია, ლოყაზე მიიხუტა და ესე ჩაეძინა.

ვალიკო რომ დაბრუნდა, გაეღვიძა.

— ნელა, დედასა სძინავს, არ გააღვიძო. — ჩუმად ეუბნებოდა ნარგიზა, — ქალაქში მიდის ამაღამ.

— ქალაქში რა უნდა? — იკითხა ვალიკომ.

— კიტრი მიაქვს გასაყიდად.

— იი!

— რა ი! აბა, ეგრე გაფუჭდეს?! — ქვაბის სახურავმა გამოსცა ხმა. — თინას ისევ ჩაეძინა.

სამს, ალბათ, ათიოდე წუთი უკლდა, რომ თავისით გაეღვიძა. ცოტა ხანს იწვა და სიჩუმეს უგდებდა ყურს. რაღაცნაირად ცარიელი იყო უსანდროოდ სახლი. წამოდგა. საათმა სწორედ მაშინ დარეკა. წასწვდა, ღილაკს თითი დააჭირა. სიბნელეში ჩაიცვა. ქაკეტიც შემოიცვა კაბაზე. თმას ხელი შეუყარა. იძულებული იყო, სინათლე აენთო. აანთო, სარკესთან მივიდა, დაივარცხნა, მქრქალი, მქრქალი პომადაც გადაისვა ტუჩებზე, სხვა მოსახვევი აიღო, იმით წაიკრა თმა უკან. ჩანთა და ბადურა მონახა, დაკეცა, გაზეთში გაახვია. „აბა, კარგად იყავით, გენაცვალეთო,“ — თქვა თავისთვის და გარეთ გავიდა.

ცა ვარსკვლავებით იყო მოჭედილი, მაგრამ მაინც ბნელოდა. მაღალქუსლიანი ფეხსაცმელები ეცვა და მიწას აკვირდებოდა, ფრთხილად მიდიოდა. მაინც გაიგო ღაღანიძეების ძაღლმა, ორიოდეჯერ ამოიყეფა; დაიყივლა მამალმაც.

წყაროსთან მისულს ხალხი უკვე იქ დახვდა. „გამარჯობა“ თქვა. მიდიოდა ახლოს, სახეში უყურებდა, აინტერესებდა, ვინ იყვნენ.

— მანანა არ მოსულა?

— აქა ვარ, აქა, ამოდი! — დაიძახა მანქანიდან მანანამ.

თინა მანქანასთან მივიდა, მანანამ ხელი ჩამოაშველა და ისე ავიდა.

— მოდი, აი, აქ დავსხდეთ.

მანანამ ხელგაუშვებლად მიიყვანა გრძელ სკამთან. დასხდნენ. წინ წაიწიეს. ეტყობოდა, მანანასაც ებანავა, ვარდის წყლის სუნი ასდიოდა.

— თინა ხარ, გოგო? — იკითხა ვიღაცა ქალმა მანქანის სიღრმიდან.

— ჰო, თინა ვარ, საშიკო.

— შენ რაღა მოგაქვს, გოგო?

— იი, ცოტაოდენი კიტრი.

— გივარგათ, გოგო?

— რა გვივარგა, მეორე დაკრეფაა ეს და მესამედ დაიკრიფება თუ არა, აღ-

არ ვიცი, ისე აქვს ფოთოლი დანაცრუ-ლი და დახრუკული.

— ჩვენსასაც, გენა, ჩვენსასაც.

— ამოდენა რაკეტების ბახაბუხს არ შეუძლია?!

— ჰო, ჰო. მაგისი ბრალია ნამდვილ-ად, მაგისი მომგონი დაჯდეს ცარიელი, როგორც ჩვენა გვსხამს ცარიელს.

მანანა მხრით მიეკრა თინას.

— ცივა, არა, ცოტა?

— ხო. ღამღამობით ჯერ ისევ გრი-ლა.

თინას აღარ ეძინებოდა, მაგრამ მა-ინც თვალები დახუჭა.

ამოვიდა ტაკვია დათა. ხელების ცე-ცებით იკითხა:

— აქ ვინა სხედხართ?

— მე ვარ, — მიუგო თინამ.

— თინა ხარ?

— ხო.

— შეიძლება შენ გვერდით დავჯდე?

თინას არ უნდოდა მის გვერდით და-მჯდარიყო ტაკვია დათა, მაგრამ უარს ხომ ვერ ეტყოდა!

— დაჯექი.

ტაკვია დათა ჯერ მოცილებით იჯდა, მერე, სხვებიც რომ ამოვიდნენ, მოი-წია და თინას მოეკრა.

თინას უგემურად გააჟრჟოლა, მაგ-რამ რა უნდა ექნა! ისევ მანანას მიეჭუ-ჭკა და ისევ თვალები დახუჭა. ხალხი მანქანის დაძვრამდე ყაყანებდა, მანქა-ნა დაიძრა და თანდათან ყველა გაჩუმ-და. თინა ნახევრად მთვლემარე თუ ფხიზელი იჯდა მთელ გზაზე. ჩასახლე-ლებში მომეტებულად ეხლებოდა და-თა. „ფუჰ, შენი!“ — ამბობდა თინა გუნებაში და თან, რატომღაც, სანდრ-ოზე ბრაზობდა.

ქალაქში რომ შევიდნენ, კარგად ინა-თა. თინამ მანქანის გაჩერებას აღარ დაუცადა, ადგა, თვალის გაკვრითაც კი არ გაუხედავს ტაკვია დათასკენ, თა-ვის ტომრებთან მიბარგანდა, ნაკრაული გაასწორა და იქვე დარჩა, ტომარაზე ხელმოკიდებული. მანქანამ დიდი გზი-დან მარცხნივ ჩაუხვია, რკინიგზის ხიდ-ქვეშ გაძვრა, ტრამვაის ხაზზე გავ-იდა და ათიოდე წუთს ქვებზე ჯაყჯაყ-ის შემდეგ ნავთლუღის ბაზართან გა-ჩერდა.

— აბა, დალოი! — დაიძახა ქვემო-დან სეირანამ.

უმეტესობა უკვე ფეხზე იდგა, ჩაეჭ-იდნენ თავ-თავის ბარგს, მოდგნენ ბა-ზრის მტვირთავებიც. ტაკვია დათა უყ-ვიროდა იმ მტვირთავებს:

— მე რას შემომყურებთ, აგე, დედ-აკაცებსა ჰკითხეთ.

— არ გინდათ შველა, დედაკაცებო?

— მოშორდით აქედან, აქ რაღა შვე-ლა გვინდა, ამოგვიტანია, ჩატანას ველ-არ მოვახერხებთ?!

მართლაც ყოჩაღად ირჯებოდნენ ქა-ლები, ეჯაჯგურებოდნენ, მოათრევდ-ნენ ყუთებსა და ტომრებს, ერთნი ძირს იდგნენ, მეორენი მაღლიდან აწვდიდ-ნენ. საშიკო გაუბრაზდა მტვირთავებს:

— წადით, თქვე გასაწყვეტლებო, რას შემოგვყურებთ პირდაღებულები!

— რა იყო, რას იწყევლები! — თქვა ერთმა მუშამ და ყველანი გვერდზე გა-დგნენ.

თინამ და მანანამაც ერთმანეთს უშ-ველეს. ბარგი ჩამოზიდეს, ერთ გროვად დააწყვეს და სეირანასთან ანგარიშის გასასწორებლად მივიდნენ. სეირანამ ნაკრაულებიც ტომრებად ჩათვალა და იმაშიც თითო მანეთი მოითხოვა. ნაკრა-ულებშიც მანეთი, ორ ვედროშიც მანე-თი.

— რას ამბობ, სეირან, პირველად ხომ არა ვართ ამ გზაზე.

— მე პირველადა ვარ რო?!

— ნაკრაულზე ათი შაური არ იყო?

— მანეთი! — მტკიცედ თქვა სეირა-ნამ.

თინამ და მანანამ ერთმანეთს შეხე-დეს.

— უნდა მივაშავოთ, რა ვქნათ! — ჩუმად უთხრა თინამ მანანას.

— სამ მანეთზე მეტი არა მაქვს, ქა.

მაგას რომ სამი მანეთი მივცე, ჩეკისა და სასწორის ფული აღარ დამრჩება.

— მე მაქვს, ნუ გეშინია.

თინამ უბიდან ცხვირსახოცი ამოიღო, გახსნა და სეირანას სამმანეთიანი მისცა — ორი მანეთი ტომრებისა, მანეთიც თავისი, თავისი მგზავრობისა.

მისცა სამმანეთიანი მანანამაც. თან მაინც თავის ბარგს დაჰყურებდა — ერთ ნაკრაულას და ორ ვედროს.

— ემაში, ქა, ემაში ორი მანეთი!

— კარგი, ნუღარა ბრაზობ. დღეს შაბათია, ატამს კარგ ფასად გაჰყიდი, — ამშვიდებდა თინა.

სეირანამ ყველასგან აკრიფა ფული. დათვალა, ჯიბეში ჩაიდო, — აბა, კარგად იყავით საღამომდეო, — ჩაჯდა მანქანაში და წავიდა. დარჩნენ ჩამოსულები თავ-თავის ბარგთან, ქუჩაში. სხვებიც ბევრნი იყვნენ, სხვა სოფლელები, ზოგი ბარგზე მიწოლილიყო და თვლემდა, ზოგი იჯდა, ზოგი მიმოდიოდა. ბაზარი შვიდ საათზე გაიღებოდა. მანამდე არც ჩეკი იყიდებოდა, არც შიგნით უშვებდნენ არავის. თინა და მანანა ფეხზე იდგნენ. ყუთიც არაფერი ჰქონდათ, რომ იმაზე ჩამომსხდარიყვნენ. საშიკომ მიიპატიჟა, — მოდით, გოგო, ჩამოსხედითო, მაგრამ იუარეს. ზურგს უქცევდნენ ნიავს და თავისთვის ლაპარაკობდნენ. მანანა მეველეს სწყევლიდა.

— მაგას ამოუწყდეს კომლობა, მაგის მეტი ვინა, ქალო! რომელი ქურდი მივიდა და სუ კარგები არჩია აქა-იქ. თვალები რომ დაუბნელო ადამიანს, თითქოს თვალები დაჰბნელებიაო, ისე იდგა მთელი ატამი.

თინა ეთანხმებოდა.

— კი, კი, მაგის მეტი ქურდი აღარ აწუხებს ჩვენს ვენახებს.

— თავმჯდომარეს უნდა დაეყაროს მიწა, რომ ეგ გაუშვა წლეულაცა.

— იმასაც ასარგებლებს და იმიტომაც.

— აბა, რის ინტერესი აქვს მაშა!

მოვიდნენ მეეზოვეები. მოჰყვნენ ქუჩას ზემოდან, ეგრევე, მოურწყავს დაუწყეს დიდი ცოცხებით გვა. ნიავი იმათი მხრიდან მოდიოდა და მტვერს პირდაპირ ბაზართან შეგროვილ ხალხს და ბარგს აყრიდა.

— მორწყეთ, თქვე ჯანდამწვრებო! — უყვიროდნენ ქალები.

— ლაილაი! ლაილაი! — გამოაჯავრეს მეეზოვეებმა

მარტო ეს კი არა, კედლის ძირისკენაც მოითხოვეს ბარგის მიწევა. ამაზე უკვე ყველანი აყაყანდნენ.

— მიდი! მიდი! — ჯიუტობდნენ მეეზოვეები.

ზოგი მართლა ჩაეჭიდა თავის ბარგს და კედლისკენ წაათრია.

თინა მაგრად დაუდგა.

— ხომ არ გადაირიეთ თქვენა! იქნება რა გინახიათ!.

— რა გვინახია! თქვენ თქვენი საქმეა, ჩვენ — ჩვენი!

— მერე ადამიანები აღარა ხართ!

— თქვენ არა ხართ ადამიანები? ჩვენი საქმეს გაკეთება არ უნდა? თქვენ დაგაოთ აქაურობა?

— აბა, აქ რა არის დასაგველი!

ერთი სხვაგნებური დიდი კაცი იყო მიწოლილი თავის ბარგზე, იმან დაუძახა იქიდანვე.

— არ გადმომიყვანოთ მანდა!

მეეზოვეებმა გახედეს და ვითომ ქალებს დაუთმეს.

— აი, თქვენი ხათრითა! — წავიდნენ და დაუყვნენ ქვემოთ-ქვემოთ ქუჩას.

გაიღო სალაროები. ყველას რიგი ჰქონდა დაკავებული, მაგრამ ყველა ერთად მიაწყდა. თითო ჩეკის მეტი არ გაიცემაო, და ისეთი ჩოჩქოლი ატყდა, თითქოს ეშინოდათ, მთლად უჩეკოდ არ დავრჩეთო. ერთმანეთის თავს ზემოდან აწვდიდნენ ფულსა და კოლმეურნის წიგნაკს. თინამ მანანას მანეთიანი მისცა და ისინიც იმ ჰეჭყვაში მოექცნენ, თან თვალი ბარგისკენ ჰქონდათ.

— რა იყოთ, ხალხო, — იძახდა ხან ვინა და ხან ვინ, — ხალხი არა ხართ? დაიწით ცოტა უკან.

მაგრამ უკან არავინ იწევდა. მოსახვევგადამძვრალი, თმაგაწეწილი გამოვიდა თინა რიგიდან.

— გაიქუქენით, კარგი ადამიანობა თქვენა გაქვთ!

გაიღო ბაზრის კარიც. გამოვიდნენ ახლა სხვა მუშები რკინის ურიკებით. იმათაც თითო გზობაზე თითო მანეთი უნდოდათ. უმეტესობა უარს ეუბნებოდა დახმარების თავაზზე.

— შენ აქ იყავი, — უთხრა მანანას თინამ, — მე წავიღებ პირველად, მე დავიჭერ ადგილს, შენ ეს მეშოკი ამიწიე!

აიკიდა თინამ სავსე ტომარა და წაიღო ჩქარ-ჩქარი ნაბიჯით. მალევე მობრუნდა, — კარგი ადგილი დავიკავეო, — წაიღო ახლა ნაკრაული. მერე მანანას ბარგი წაიღეს — ვედროები თინამ, ნაკრაული მანანამ. მანანაც კმაყოფილი დარჩა ადგილით.

— სასწორზე მე წავალ. — თქვა მანანამ.

— კარგი, წადი, მხოლოდ ორი წინსაფარი გამოართვი.

სასწორის და წინსაფრების ფულიც თინამ მისცა.

სანამ მანანა დაბრუნდებოდა, თინამ კიტრი დახლზე ამოაწყო. წვრილსა და ქორფებს ცალკე ალაგებდა, მსხვილებს — ცალკე.

ჩამოიარეს მყიდველებმა თუ მაზანდის გამგებებმა, დააფასებინეს.

— ეს მანეთნახევარი, ეს მანეთი.

არაჯინ შევაჭრებია, ჩაიარეს იმათ და წაიღნენ. მოიტანა მანანამ სასწორი, აიფარეს წინსაფრები. ეხლა უკვე გულდაარხეულებულები იყვნენ. ორივე ერთმ ნეთს შეჰღიმოდა.

— როგორ გიხდება, ქა ეგ მოსახვევი და ეგ წინსაფარიც! — ეუბნებოდა მანანა თინას.

— შენც გიხდება, კომკავშირელ გამყიდველს ჰგავხარ.

მანანამ ცხვირი შეუშმუხნა.

გაივსო ბაზარი გამყიდველებითაც, მყიდველებითაც. დააცხუნა მზემაც.

— ივრის წმინდა წყლით მორწყული! ინებეთ ივრის კამკამა წყლით მორწყული კიტრი!

ეს სიტყვები იზიდავდა თუ თინას შესახედაობა, ბევრნი ჩერდებოდნენ, კიტრში ხელებს ურევდნენ, აფასებინებდნენ, არჩევდნენ, — ყველას არჩევა უნდოდა, — ზოგი შეჰღიმოდა თინას, ნაკლებად არ იქნება, ჩემო დაო? ზოგს უკვირდა, — რა ამბავია მანეთნახევარი, უქმდება ფული თუ რა არისო! უმეტესობა თავის ფასს სთავაზობდა, — მანეთს, მანეთსა და ერთ აბაზს, მანეთსა და ორმოც კაპიკსაც კი. მაგრამ თინა მაგრად იდგა, — ეს მანეთნახევარი, მანეთად კიდევ, აი, ესაო.

მოვიდა ერთი გაოხრებულიც, ნაკლულ ტიკჭორასავით დაფუკული, ტუჩებგადმობრუნებული, ვითომც ერთი თავჩაღუნული. სამჯერ იკითხა:

— მსხვილი სჯობია თუ წვრილი, ჰა, ქალო. მსხვილი სჯობია თუ წვრილი. რატომ არაფერს ამბობ?

თინა ისე დაიბნა, მართლა ვერაფერი უთხრა. მაშინ მანანა გადმოეშველა:

— შენა, ეგ გიჟს ხომ ხედავ!

— გიჟები ხართ, ვინა ხართ! — ვითომ ძალიან გაიკვირვა ის გაოხრებულმა.

— მოწყდი აქედან, თორემ გაჩვენებთ, რა გიჟებიცა ვართ!

— უუხ! — მუქარით გადაიქნია თავი გაოხრებულმა და წავიდა.

— თფუ! — ეხლადა მიადევნა თინამ.

მოდიოდნენ ყველაფერზე გაღიზიანებულებიც, ძალიან ეძვირებოდათ კიტრიც, ატამიც. უწოდებდნენ თინას და მანანას სპეკულანტებს, ჩარჩებს, საწყალი ხალხის მყვლეფავებს.

— ხუთი მანეთი დააფასე, უფრო მალე გამდიდრდები!

თინა ამათ ადვილად უმკლავდებოდა.

— მდიდარსაც მეხი დავაყარე და ღარიბსაც.

— ღარიბებს რაღათა, ღარიბებმა რა დააშავეს!

— ღარიბს იმიტომ, რომა ხელის გაძვრა ეზარება. ხელის გამტოკებელი ად-

---

ამიანი ეხლა ღარიბი რაღათ უნდა იყოს!

— ეე! — უქნევდნენ შუბლთან ხელს, — შენ რომ რამე გესმოდეს!

— ჩემი წილი ყველაფერი მესმის.

ცხრა საათი იქნებოდა, რომ მუშტარი როგორღაც შეცოტავდა. თინამ თქვა, შიმშილით ხომ არ უნდა დავიხოცოთ, წავალ, ძეხვსა და პურს ვიყიდი, ცოტა წავიხემსოთო. მანანამ თავისი წილი ფულის მიცემა დააპირა, მანეთიანისა.

— მოიცა, რას სულელობ!

წავიდა თინა, ორასი გრამი ძეხვი და ერთი ოცდაათკაპიკიანი პური იყიდა, ძეხვიც დააჭრევინა, პურიც. მოიტანა, გაშალეს ქაღალდი დახლზე და დაიწყეს ჭამა. თან ჭამდნენ, თან ვაჭრობდნენ.

მოვიდა ერთი ჯგუფი ქალებისა. წინ ხანში შესული ქალი მოუძღოდათ — მოკლეულ თმაშეჭრილი, ყბებგანიერი, შავი, კაცივით ბოხი ხმით მოლაპარაკე.

— თქვენი დოკუმენტებიო! — მოსთხოვა თინას და მანანას.

— რა დოკუმენტები? — ჰკითხა თინამ.

— ვინა ხართ, გაქვთ თუ არა უფლება საკოლმეურნეო ბაზარში ვაჭრობისა.

— თქვენ თვითონ ვინა ხართ, — ყოჩაღად დაუდგა თინა, — ყველას კი არა აქვს უფლება, ეგეთი რამეების მოთხოვნისა.

იმ ქალმა რაღაც მოწმობა ამოიღო და ისევ ჯიბეში ჩაიდო.

თინა აშკარად ნერვიულობდა. უბიდან კოლმეურნის წიგნაკი ამოიღო და აჩვენა.

— შენა? — მიუბრუნდა ქალი მანანას.

— მე სასწორზე მაქვს დატოვებული

— ერთადა ხართ? — ანიშნა თინაზე.

— ერთად.

ქალმა თინას წიგნაკი გადაშალა და თქვა:

— ორმოცი კაც-დღეც არა გაქვს გამომუშავებული. იმიტომ გაქვს დამრგვალებული ეგ მკლავები.

წიგნაკი თითქმის მიუგდო თინას და ისიც და სხვა ქალებიც დახლებს ქვემოთ დაუყვნენ.

თინას ცრემლები მოსდგომოდა. კარგა ხნის დუმილის შემდეგ ძლივსღა თქვა:

— შენ იკვნესე და იჭლექე! რაკი კოლმეურნე ვარ, ჭლექიანი უნდა ვიყო აუცილებლად?

საჭმელისათვის ხელი აღარ უხლია, ვინც კი კიტრს აფასებინებდა, ყველას წყრომით მიუგებდა:

— ეს მანეთნახევარი, ეს — მანეთი.

ახლა უკვე აღარავის არჩევინებდა, ორივე ხელს დაადებდა გროვას და თავის გაქნევით ამბობდა:

— რაც არის, ეგ არის. ეგრე რომ არჩიოთ ყველამ, სად წავა!

— სად წავა, ვალში ჩავარდები?

— წამოდით, თქვენ წაიღუნეთ იმ მზეში და ნახავთ.

— ეე, ძალიან არ გეტყობა?!

თინა პირველად ხომ არ იყო ბაზარში და უკვირდა.

— რა თვალი დამადგეს ამ ამოსაძირავებმა!

რაც კარგი კიტრი ჰქონდა, ის შუადღემდე გაყიდა, მაგრამ შეყვითლებულ-შებერებულებს აღარავინ ეკარებოდა. დაუკლო ფასი, სამოც კაპიკზე ჩამოვიდა, მაინც დიდხანს დასჭირდა დგომა.

ბოლოს ვიღაცა მოვიდა, ათ შაურობაზე მიიწონა სულ, მანანამაც ათშაურობაზე მისცა. მანანამ ვედროები ერთმანეთში ჩადგა, — ატამი სულ კარგ ფასად გაყიდა, სამ მანეთად და ორდაათშაურად, — ჩაცუცქდნენ დახლის უკან, ფული დაითვალეს, კარგად გამოკრეს ცხვირსახოცებში, ისევ უბეში ჩაიდეს, სასწორი ჩააბარეს, ტომრები და ვედროები საშიკოს მიაბარეს და ქალაქში გავიდნენ. თინა ამბობდა, იქნება თითო წყვილი ჩულქი მაინც ვიყიდოთო.

ჯერ ოთხი საათი ხდებოდა. ხან ერთ მაღაზიაში შევიდნენ, ხან მეორეში, ჩულქები იყო, მაგრამ არც საზღვარგარეთული, არც — ოცდასამი ზომა. ჩა-

სხდნენ ტრამვაიში და ავლაბრის უნივერმაღში გავიდნენ. არც იქა ჰქონდათ. ერთმა ქალმა უთხრა, ახალ უნივერმაღშიაო, გაღმა. ჩავიდნენ მეტროში, სიცილ-სიცილით, ერთმანეთის ქეზებით, ამოვიდნენ რუსთაველზე.

ახალ უნივერმაღში მართლა ჰქონდათ „დედერონის“ „ჩულქები“. თინამ ორი წყვილი აიღო, მანანამ — ერთი. იყიდეს კიდევ თითო მინის გრაფინი, თავისი თითო ჭიქით, იაფად, ორ-ორ მანეთად და ოც კაპიკად. იყიდეს სარეცხი ფხვნილი — „აინაც“, თითო „ნედეც“. ბადურები გატენეს და ბაზარში დაბრუნდნენ. საშიკოს იმდენი პანტა ჰქონდა დარჩენილი, ეტყობოდა, დღეს ვერ მორჩებოდა გაყიდვას. ისევ გავიდნენ მაღაზიებში, პურები იყიდეს, თინამ ოთხი პური, მანანამ — ხუთი, იმას მეტი ჰყავდა მეჯამლები. პურის მაღაზიიდან რომ გამოდიოდნენ, ერთ გლეხ ქალს ყველი მოჰქონდა. სად აიღეო, ჰკითხეს. აგე, აქვე რომ გაუხვევთ და მაღაზიაა, ეხლა დაიწყეს გაყიდვა, დიდი რიგი არ არისო. გაიქცნენ თინა და მანანა. კარგა მოზრდილი რიგი დახვდათ, მაგრამ მაინც დადგნენ. ნახევარ საათზე მეტხანს იდგნენ და ორ-ორი კილო აიღეს. მეტს არ იძლეოდნენ. ამითაც დიდად კმაყოფილები დარჩნენ. დაბრუნდნენ საშიკოსთან და იქაც გაიხარეს. საშიკო პანტას მორჩენილიყო, ერთიანად მიეწონა ვიღაცისთვის „თითქმის მუქთად“. საშიკომ რომ ყველი დაინახა, ერთი ამბავი დააწია, მაშ თქვენ ხალხი ხართ, მაშ ჩემთვის არ უნდა შეგეტყობინებინათ, რომ არიგებდნენო!

— როგორ, ქალო, იმოდენა პანტა გქონდა გასაყიდი!

— ჩავაბარებდი მეც ვინმეს და მეც დავდგებოდი. დღეს რა, თქვენი ბარგის ყარაული არა ვარ სულა?!

— წადი, ეხლა დადექი, განა არ მოგიწევს, ბარგთან ჩვენ ვიქნებით, — უთხრა თინამ.

წავიდა ფაციფუცით საშიკო. თინა და მანანა კი იმის ცარიელ ყუთებზე დასხდნენ. იტეხდნენ პურს და ნელ-ნელა ჭამდნენ, ყველისთვის ხელი არ უხლიათ. დაიწყეს სასტვენების სტვენა „ბაზარნიკებმა“, — აბა, მორჩითო, ბაზარი იკეტებაო. ელოდნენ ცოტა ხანსაც თინა და მანანა საშიკოს. რაკი არა და არ გამოჩნდა, აიჩონჩხლეს იმისი ყუთებიც, თავისი ვედროები და ტომრებიც და გარეთ გავიდნენ, იქ დაიწყეს ცდა. ბოლოს, როგორც იყო, საშიკოც გამოჩნდა, იმას ერთ კილოზე მეტი ვერ აეღო.

— მიწა დავაყარე ამათ! თავდება და თითო კილოზე მეტი არ მისცეთო! მაშ თავიდანვე არ უნდა შეგეტყობინებინათ, თქვენ წილს ხო მე არ წამოვიღებდი! — კიდევ ერთხელ უსაყვედურა თინას და მანანას.

თინასაც სწყინდა, მანანასაც, მაგრამ ჩუმად იყვნენ. აიღო სამივემ თავ-თავისი ბარგი, წავიდნენ სადგურისაკენ, სადაც სეირანა მოდიოდა ხოლმე, და იქ დაბარგდნენ, დასხდნენ. სხვებიც იქ იყვნენ — ზოგი კმაყოფილი, ზოგი უკმაყოფილო, ზოგი ნაყიდებით, ზოგი თავისი ცარიელი ყუთების ამარა. ვინ რას ამბობდა, ვინ რას.

მოვიდა სეირანაც. როგორც ყოველთვის, ახლაც მხიარულ გუნებაზე იყო.

— ჰა, როგორა მყავხართ, ხომ არ იზარალეთ რომელიმემ!

გადმოხსნა მანქანის უკანა ბორტი, წაესივნენ ქალები; ქალებიც, კაცებიც, აყარეს ყუთები, ვედროები. ავიდნენ თვითონაც, დასხდნენ. „საზიზღარი“ ტაკვია დათა არა ჩანდა. — „მიწამ უყოს პირი“, — გაიფიქრა თინამ. დილას უფრო ცოტანი იყვნენ, ახლა ზემოუბნელებიც დამატებოდნენ. დაიძრნენ და წამოვიდნენ. ლომაშვილების რძალი, დიდი, როხროხა, ხუმარა ქალი, ყველას გასაგონად ჰყვებოდა:

— მოვიდა ერთი გაოხრებული, ფინთი, და რას მეკითხება, იცით, ქალო, აი, მსხვილი კარგია თუ წვრილი, მსხვი-

---

რევაზ ინანიშვილი

ლი სჯობია თუ წვრილიო, ვითომ კიტრზე.

თინამ არა, მაგრამ მანანამ წამოიძახა:

— ჩვენთანაც იყო ის გაფუჭებული.

— მერე თქვენ რომელი უთხარით, თქვენ როგორები გირჩევნიათ?

იფხრიწებოდნენ სიცილით ქალებიც და კაცებიც.

ბინდდებოდა, სოფელში რომ შევიდნენ. ზოგი სად „ჩამოყარა“ სეირანამ, ზოგი სად. ბოლოს თინა და მანანაც ჩამოვიდნენ.

— კარგად იყავი, ქალო!

— კარგად, კარგად! — და ერთი იქით წავიდა, მეორე აქეთ წამოვიდა.

მოდიოდა ჩაბნელებულ ქუჩაში თინა, ზურგზე ტომარა ეკიდა — ეხლა იმაში ეწყო „აინებიც“, პურებიც, ყველიც — ნაღვლიანი ჩაჰყურებდა მიწას და ფიქრობდა, — „ნეტა მოვიდა სანდრო თუ არა, ნეტა მოვა თუ არა, ხვალ ხომ კვირაა!“ თავისი ეზო რომ გამოჩნდა, ნაბიჯი შეანელა, მაღლაც შუქი ენთო და დაბლაც. დააკვირდა და ხის ტოტებში დაინახა: დერეფნის წინ სანდრო და ვალიკო იდგნენ. სანდრო წელს ზემოთ გაშიშვლებულიყო, ვალიკო სურით წყალს უსხამდა და პრიალა მხარ-მკლავს აბანინებდა.

თინა რაღაცნაირად უცებ მოდუნდა. წავიდა თითქმის გარბაცით, ჭიშკარი შეაღო და გაჩერდა. სანდრომ გამოხედა და დაიძახა:

— ოო, ვინც მოვიდა, გაუმარჯოს!

— მშვიდობა შენს გამოჩენას! — საბრალობლად გაეღიმა თინასაც. ტომარა ჩამოიღო და იქვე, ბალახებში ჩადგა. მოსახვევი უკან გადაიწია.

სანდრომ მოაჯირიდან პირსახოცი აიღო, სახეზე ჩამოისვა და თავისებურად გვერდზე გადახრილმა, გვერდზე ჩაღიმებულმა დაიძახა:

— მოდი, ქალო, ან მაკოცე, ან გაკოცო!

თინა წამოვიდა, ჯერ ბიჭს შეხედა, ვალიკოს, რომელიც გაღრეჭილი იდგა, მერე თითისწვერებზე აიწია და სველ ლოყაზე აკოცა, ტუჩების ბოლოს.

სანდრომაც ბიჭს მიხედა.

— მიდექ ცოტა, შე მამაძაღლო, რას შემოგვყურებ პირდაღებული!

ვალიკო ფხუკუნით მიტრიალდა.

სანდრომ თინას ბეჭებზე შემოაწყო ხელები, მიიზიდა და ჯერ შუბლზე აკოცა, მერე ქვემოთ — ყელისა და ყბის თბილ შესაყარში.

კიბის თავზე გაღიმებული ნარგიზაც გადმოდგა.

გვიან, შუაღამისას, ერთად რომ იწვნენ, თინა გულაჩუყებული ეუბნებოდა სანდროს.

— რაღაცა ჭირი მიდგება. სულ მეჩვენება, რომ მარტოდმარტო ვარ, ბიჭიც სხვაგან არი, გოგოც. შენ ხომ სულ სხვაგან ხარ.

— სიბერე მოდის, თინა,სიბერე!

— აღარ გაგიშვებ იმ საერანეში. არც ფული მინდა, არც არაფერი.

სანდრომ თინას პატარა თავი მხარსა და ლოყას შორის მოიქცია.

— სტირი, ქალო? ერიჰა!

თინას სლუკუნი აუვარდა.

— ვაიმე, რა ვქნა! ვაიმე, რა ვუშველო ჩემს დაჩაგრულ თინიკოსა!

ეთერ თათარაიძე

თუშური მოტივები

ეთერ თათარაიძის გამოჩენის დღე ყველა ჩვენთაგანმა იცის.

იგი 14 აპრილს, ფილარმონიაში გამართულ ხალხური პოეზიის საღამოზე გაიცნო მაყურებელმა.

ეს იყო შესანიშნავი საღამო, თითქოს საგანგებოდ შერჩეული, მშვენიერი მაყურებლით.

ამ საღამოს ინიციატორები კი ისეთი ადამიანები იყვნენ, რომელთა პირად ღირსებებს ამგვარადაც უნდა ეზეიმა.

ეთერ თათარაიძე სიყვარულით მიიღო ხალხმა და ამისი მიზეზი მარტო მისი ლექსების ეგზოტიკურობა და უჩვეულობა როდი იყო, — მაყურებელი ისმენდა ბუნებრივ და უშუალო ხმას, რომელშიც შერწყმული იყო გარდასულიც, ტრადიციულიც და თანადროულიც. რაც მთავარია, მაყურებელს სჯეროდა ამ სუფთა ადამიანური ხმის, სჯეროდა მისი სიმართლის, მისი პიროვნების და ამის გამო იმასაც პატიებდა, რაც ამ ლექსებში ვერ გაეგო ან არ მოსწონდა.

შემდეგში, ტელევიზიისა და რადიოს საშუალებით, ეთერის ლექსებს კიდევ უფრო მეტი მაყურებელი და მსმენელი გაეცნო და მისმა პოეზიამ კიდევ უფრო მეტი პატივისმცემელი შეიძინა, ამიტომ ,მე მგონია, რომ როცა ეს სიტყვები დაისტამბება, იგი უფრო მინაწერი იქნება ეთერ თათარაიძის ლექსებზე, ვიდრე წინწამგზავრებული გზის დალოცვა — ისე ერთბაშად მოიგო თუშმა ქალმა პოეზიის მოყვარულთა გულები.

მაგრამ ახლა მას მკითხველი ელოდება — უფრო ძნელად გულმოსაგები ხალხი. დაე, აქაც გაუმარჯვდეს მას, რადგანაც ეთერ თათარაიძემ ჩვენთან თუშეთი ჩამოიტანა, ხოლო მის მიერ გამოვლილ ბილიკს ამაყი თუში მეცხვარეები მოკვალავდნენ ჩვენსკენ.

ბესიკ ხარანაული

●

ჩიხრიხზე დავგრ-მოვგრიხ ჩემ ნებისყოფაი-დ
ჯარანზე დავძ-მოვძახ თხორად,
საქსლოს ქსელ დავიდგი-დ მღიე ,ბინდ-ლურჯ ბაწრით
ლექსებ ამოგიქარგ მკობად.

●

წაბრუნდისავ, ტან ჯობდისავ,
მობრუნდისავ — სახეივ,
წაბრუნდისავ, კოშკ მიდგისავ,
მობრუნდისავ — მახეივ.

თავთუხისფერს დალალ ჯობდავ,
ყორნისფერსავ — თვალებივ,
წაბრუნდისავ, წყალნ მხვიისავ,
მობრუნდისავ — ალებივ.



●

მამაი-დ შენაღ არ დამიბერდნეთ,
ჰაგრე, ჩემ დედო;
თქვენიღ სიკვეთის მეტს ნუ მაგონებთ,
ჩემ დავ, ჩემ ძმებო.
თქვენ ფთიანობას, თქვენ სიმრავლეს
ვენაცვლ ჩემ მწყრებო;
თქვენ გასსნილ შუბლები´, ბადაგ სიტყვაჲ,
ცხვა რა', ჩემ ზლებო.

ცხვა არც ნატვრა მაქვ,
არც არას გთხოვ, იცი, ჩემ ბედო.

●

დედო, კიდენ მესტუმრ აგვისტოს წუხილი-დ
კიდენ ჩამომეღვენთ ცხელ ცრემლები´,
კიდენ გულს ვიმაგრებ, ცხვა ფიქრის წინდა'ის
წვერდადებად ავიღ შენ ცხემლები´.

დე'ი, ჩამი'არა ცელქ, დუ'ღელა'ნიავმ
დანოს, ხეხისკარა-დ საჯარეს?
ალუდებ შეხკიდეთა საწყაროგთროდ,
ახალჯვარ, აშტო-კარატთ საჯარედ?

არ ხედავა ხანთხან გომეწრით ამოსრულ
სამსვია', ან ნამგალა' მთვარეს?
არ აფრინა'ებენა ყანის ყავრეებზე
ორთქლიან ცხენებს ნადღეობარ მთვრალები´?

არ ბიბინებენა საკრთობლია'ები´
ან ოქროსფერ, თავმძიმე ყანები´?
არ ხმება სიპებზე მაკრატელა'ში მოკლულ
ბებერ ჯიხვის ყადები´?

დე'ი, თეო, ირმა ,მამუკა'ი-დ რეზოჲ
ხეხისკარ ქუჩულა´ობენა კიდენ?
რკინის კოლოფა'ში ჟოლ-ხვაფა'ს ხარშვენა?
შენ გაშინებენა კიდენ?

ჩემ დედო, გონთ იყავი´, მეტს არ დაგაღონებ,
ჩემ თავს უმალავ, რო შენ თავ მეტა' მჭირდებ.

ხმით მოთქმაი-დ ტირილი´
სუ ხოცვამ მასწავლავ,
სუ ცხვათ კერა'ზედავ
დეზდების დათვლამავ;

ცხვათ სარომა' გზებზედ
სუ ვარდის დაყრამავ,
ჩემ კიბორჭა'ებზედ
ქვათი-დ ხეთ დაყრამავ,

იალაღითამავ
ცხვარ-ძროხათ აყრამავ,
ცხვათ ძველმალებშიავ
მკლავების გაყრამავ;

შიმშილდაოხებად
ხოტ-ყვა'ის ნაყრა'მავ,
მამის სახლისამავ
დაგულვამ, დაყრამავ.

ჩემ ნანდობისამავ
ნდობიზდ ხელაკვრამავ,
ცხვა ჩემდ ძნელ ფიქრისამ
დათიკვამ, დაწვნამავ.

მე ჲეს ხმით ტირილივ
ძნელყოფამ მასწავლავ,
სიღარიბემაო-დ
ცხოვრებამ ნასწავლამავ.

დიდ ჭარულა'ში წყალ ენჩქლევ კედლებს,
ხარით შეყრაი ერთვის'იმ სახლში,
ამანათიავ, ძმობად მოსრულივ,
სიტყვა მონცხრეულ მჯიღისსწორ ხალხში.

ამანათმ მი'ყვან პირმთვარიან ხარი´,
ჭარულა'მ მოხარშ, სამპირად ხორც-წვენი´,
საჯარეს ქიტებს აღარ აქვ მოცლაჲ,
რქებით ჩამა'ტარ ალუდებ სამ მწდემ.

ბასრ-ფხიან ხანჯრით გადი'ჭრ ამანათმ
ობოლ-ოხრობის დაკოჟრილ თითები´,
ჩამუ'გორდ წლების ნახვავებ ცრემლები´,
ჯანღით დაბურულ ყრმობის შავ მთითები´.

ჯგრომ ერთნაირად შა'გებ ამანათს
ძმობად შეფიცვის სისხლიან ხელები´,
შირუმით აშენდ ძმობაიდ-ნდობაჲ,
ამანათისი-დ სოფლისაჲ, დერელ.

დიდ ჭარულა'ში ხორც-წვენსთან ერთად
ფიჭვის ცეცხლმ მოხარშ შეძმაულ ხელები´.

●

კარებგამოჯარულო,
ცხვათ შუბლის მხედველო,
სუ ცხვათ გარეკებულ
ჩხირ-ჯოხის მღებელო.

თავაშავა'-ჯანგაროთ
ცხვათ ნაზდებ მღებელო,
არწადიან, არნდობას
გულავის მქებელო.

ცხორების ნატანჯო,
ცხვათ ფეხქვეშ მგებელო.

ცხვათ ყანის მმკელა'ო,
მუხლჩახრის მძებნელო.

გულის კვნესა-ტირილს
ცხვათ რთობად მმღერელო'
ობოლო, ოხერო,
მხრებით ჯავრ-მღებელო.

შენ მაინც აცალევ,
კაც მიწას მღებელო,
სიკვდილვ, შე თვალბნელო,
მაგ ობლის მძებნელო.

●

დე', ბაშტიკარით ფურის ზმუილ
მომედინ ჟახლა-დ'
ჯერ-ჯერით წველაჟ, თბილა' ზის ხმა
შევიგრძენ ჟქამდი´.

მიამბეო, დედო, ქოთქოთობენა
თეო, მამუკა', რეზო, ირმა, მირანდა,
მახარი´?
დე'ი, ჩემ გულის წუხილი-დ აზრი´
უნდ გიამბვ, გახარვ,

რამდენ ხანი, დე', ერთკვადს ვერ ვხედავთ,
რა' გვერემ გავზძლეთ, ჰოა, დე', ჟაქამდი´?

დე'ი, დღეების ცვლასავით დამეწყვ
ფიქრების ცვლაი-დ ბადება ახალი´,
დედო ,იმედის შუქ გამინათდა-დ
მეაც მალ ავალ მწვერვალზე მაღალი´.

დედიკო, ჩემ დე', ჩემ წუხილზეაღ
შენ სუც არ იფქვრ, არც დღი´დ არც ღამი´,
არა, ჩემ დედო, ჩემით არ გი' მრავლვ
გულისტკივილი-დ სამსალა'-ბალღამი´.

კომენტარები

ეთერ თათარაიძის აქ წარმოდგენილი ლექსები, ფართო მკითხველის საჭიროების გათვალისწინებით, გამარტივებული ორთოგრაფიით იბეჭდება. არის კი საშუალება, ლექსი ზუსტად ისე ჩაიწეროს და დაიბეჭდოს, როგორც იკითხება. ნიმუშად აქ წარმოვადგენთ ერთ ლექსს ქართული დიალექტოლოგიის პრაქტიკაში დამკვიდრებული ორთოგრაფიით:

კავანაკ აკრულ ჭძიმე ჩითებ
სიპზე დავიფხიკი˜,
კერადის თავსთან ჩიკაკ დიკიდგი˜,
ქცევა გავიმთხილი˜.

ქერეჭით, ჩხლაკვით ცეცხლ გაკაღივი˜,
ქაფიც შევაპარი˜.
კარსეს ძველ კასრი-დ ხის ბაზუნაკ
ბებომ შემაკფარ.

საიბედიო ფიქრ რაკიც მქონდ,
ნელა შეგაპარი˜.
არდ მიმაქცოთავ, დორაკისქეველს
ქალმ თავ შევაბრალი˜.

დიდ იმედების მწვანე მინდორ
ჭროლ-ჭოდით მერთვოდ,
გულ დაღით ნატკივნ მუხის სახრელში
ტარზე ცრემლ მერთვოდ,
წმიდა ცრემლის ძაფს
ალაგ-ალაგ მსხვილ ქვირჩლიც ერთვოდ.

საყუჩეს ვიჯედი˜, ჩემ ძველ ფიქრებს
დადარაჯებული˜,
გარშემო ყავრის მყარ ღობე მერტყმოდ.

მუხის სახრელში ზროსავით ტარზე
ფიქრ-ბაწრაკს ვაზდავდი˜,
ჩემ გაზდულ ბაწარ˜ ჩემ დარდ-ფიქრით
ჩემივ მოქსოილ ფარდაგზე მქარგავდ.

საქსლოს ათასფრით შეღებილ ნაზდები˜
ფარდაგში მხატავდ, ფარდაგში მქარგავდ.
საიბედიოს, მაგრ მაინც კარგაკს,
ვერავისში გცვლიდი˜, ვერასი გკარგავდი˜...
ჩემ დამთავრებით ჩემივ გვერდს შენაც
არ კი გსოვდი˜, გქარგავდი˜.

ქერეჭ ჩამქერალიყვ, დაკვლად ქცეულიყვ..
კერაკის პირში სკივდ მომასწარი˜,
ქაუშიავ, შემხვი, დილიზდ შემინახი˜...
კაილა, ყმაო, ცოცხალს მომასწარი˜,

ლექსში ვხედავთ კერის პირს ხელსაქნართან ჩამომჯდარ თუშის ქალს თავისი ფიქრებითა და შინაგანი განცდებით. ქალი ძაფს ართავს და მატყლის ფთილიდან გამოსულ „ნაზდს“ თითქოსთან გასდევს ფიქრ-დარდის უწყვეტი გრეხილი, რომელიც ხან იმედებით არის მწვანე მინდორად ახასხასებული, ხან კი ჭროლ-ჭოდის სიცივე შეეპარება, ხან სუფთაა, წმინდა, ალაგ-ალაგ კი მსხვილია, უხეში, „ხვირჩლი“ გამოსდევს. ქალის განცდები ღრმაა, სულის ტკივილამდე ძლიერი. სათქმელის თუშური ფორმა საუკეთესოდ გამოხატავს თუშურ კოლორიტს, რაც, ვფიქრობთ, წამყვანი კომპონენტია ამ ლექსისა.

უეჭველია, ლექსი აღსაქმელად ძნელია, რაც თვით დიალექტის თვისებიდან გამომდინარეობს, მაგრამ, ალბათ, განმარტებებისა და კომენტარების შემდეგ ეს სიძნელე მოიხსნება და შესაძლებელი გახდება მის არსში სრულყოფილად ჩაწვდომა.

თუშური კილო, თავისი ლექსიკით, ფონეტიკური და გრამატიკული თავისებურებებით საგრძნობლადაა დაცილებული სალიტერატურო ქართულს. ეს გარემოება ორი ფაქტორითაა შეპირობებული: ერთი ისაა, რომ თუშეთის გეოგრაფიული მდებარეობის გამო ეს დიალექტი ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ვითარდებოდა სხვა ქართული კილოებისაგან იზოლირებულად, მეორე — ის, რომ მას მჭიდრო მეზობლური კონტაქტი ჰქონდა არაქართულ, ნახურ (ჭისტურ-ბაცბურ) და დაღესტნურ ენობრივ სამყაროსთან.

თუშური კილოს ბგერობრივი თავისებურებების გადმოსაცემად ხაჭირო ხდება ოთხი დამატებითი ნიშნის შემოტანა. ესენია კ, კ, ი˜ და ჲ.

კ (ხარი) დამოუკიდებელი ფონემური ღირებულების ერთეულია. იგი ქართველი მკითხველისათვის ცნობილია ძველი სალიტერატურო ქართულიდან და თუშურშიც გვხვდება იმავე სიტყვებში, რაშიც ძველ ქართულში. ნახურ-დაღესტნური ენებიდან ნასესხები სიტყვებიც ამ ბგერით უცვლელადაა გადმოტანილი.

ი˜-ისა და ჲ-ს დამოუკიდებელი ფონემური ღირებულება არა აქვს. ჲ გამოიყენება აღმავალი დიფთონგის ოიტიზებული შემართვის გადმოსაცემად ჩვენებით ნაცვალსახელებში (ჲესი˜, ჲეგი˜, ჲასთაკი˜) და სახელობითი ბრუნვის ნიშნად ხმოვანფუძეიან სახელებთან (დედაჲ, მამაჲ, ძმაჲ); ი˜ (მოკლე ი) სახელობითი ბრუნვის ნიშანია თანხმოვანფუძეიან სახელებთან (ბაწარი˜), აგრეთვე — ზმნის ბოლოკიდური -ი და -ე სუფიქსთა გაუმარცვლოებული ვარიანტი (ვიჯედი˜, დავიფხიკი˜). ჲ და ი˜ გამოითქმის და იწერება მხოლოდ მაშინ, თუ სათანადო სახელი ან ზმნა ფრაზის ბოლოსაა. დანარჩენ შემთხვევებში სიტყვა სუფთა ფუძითაა წარმოდგენილი (ქცევა გავიმთხილი˜).

ცოტა უფრო რთულია ᲂ-ს ფონემურობის განსაზღვრის საკითხი. ეს ნიშანი ხმოვნის ძლიერი შემართვა-დამართვისა და ძლიერი დამართვის აღსანიშნავად გამოიყენება. პირველს ადგილი აქვს ჩვენებით ნაცვალსახელებში (ᲂᲔᲡᲘ˜, ᲓᲔᲓᲔᲒᲘ˜ ᲓᲐᲓᲡᲗᲐᲚᲘ˜. ესენი იხმარება ზემოთნახსენები ჲიანი ნაცვალსახელების პარალელურად), მეორეს — ზმნებში, ზმნისწინისეული და ფუ-

ძისეული ხმოვნების შესაყარზე (გაყვენ, შეეგბრალ) და სახელის ბოლოს სუფიქსურ ა-სთან (კოდალაკი´, მამალაკი´, პეპელაკი´).

ზოგჯერ ხმოვნის ძლიერ დამართვას სიტყვათა განსხვავების უნარი აქვს: შემეეპარ — შემოეპარა ის მას; შემეპარ — შემეპარა ის მე, რაც კითხვითი ნაცვალსახელია (რაც გაქვ?), რა — განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელი (მითხარ რა — მითხარი რამე).

ზოგი სიტყვა ფონეტიკური პროცესების შედეგადაა სახეცვლილი და ამით განსხვავდება სალიტერატუროსაგან. აქ მოყვანილ ლექსში ასეთებია: გავიმთხილი´-გავიფრთხილე; ვაზდავ-ვართავ; გაზდული´-დართული; ნაზდი´-ნართი. ბოლო სამისთვის ამოსავალია ძველი ქართულის სთვა სიტყვის ძირი.

განმარტებანი

კავანაკი´ — ფეხსაცმელზე აკრული ტალახი.
კერაკის თავი´ — კერის პირი.
ჩიკაკი´ — დაბალი სამფეხა სკამი.
ქერეჭი´ — ფიჭვის ქერქი.
ჩხლაკვი´ — არყის ქერქი.
ჭაფი´ — ფიჭვის მყიფე კვარი.
კარსეჯ — თუშური სახლის წინკარი.
კასრი´ — ხის სათლი.
ბაზუნაკი´ —მოზრდილი ჭიქის მოყვანილობის ხის ჭურჭელი.
საიბედიოჯ — საორთაო, საორჭოფო.
მაქცი´ — ხიფათი.
დორაკისკეველი´ — ქაჯების, ავსულთა უფროსი.
ჭროლი´ — ალაგ-ალაგ ამშრალი თოვლიანი მინდორი.
ჭოდი´ — ზედაპირგაყინული თოვლი.
სახრელი´ — თითისტარის საბრუნი (საგრეხელა).
ტარი´ — თითისტარი.
ჭვირჩლი´ — წმინდა ძაფს რთვისას გამოყოლილი მატყლის კოშტები.
საყუჩეჯ — ადგილი, საიდანაც ჩუმად უთვალთვალებენ რაიმეს.
ზროჯ — ისრის წკერი.
საქსლოჯ — ფარდული, სადაც ქსოვენ ქსელ-ფარდაგებს.
ნაზდი´ — მატყლის ძაფი, ნართი.
დაკვლი´ — ნავლი, ფერფლი.
სკივი´ — ნაპერწკალი.
ჭაყი´ — ღველფი.

1. ქცევა გავიმთხილი´:
თუშის ქალი რომ დაჯდება, კაბის კალთებს საგანგებოდ ჩამოიწევს, თავს შეამოწმებს, უხერხულად ხომ არა ზის.

2. არღ მიმაქცოთავ, დორაკისკეველს
ქალმ თავ შეეაბრალი:
თუშების წარმოდგენით, ყოველი საქმის წარმატება-წარუმატებლობა ორ ზებუნებრივ ძალაზეა დამოკიდებული: კეთილზე — ღვთაების სახით და ბოროტზე — ავსულის სახით. დორაკისკეველი ავი სულია, ქაჯთა და ეშმაკთა უფროსი, შუბლში თვალი აქვს. იგი მაცდურია. ქალი ეხვეწება მას, რომ ხიფათს არაფერს შეამთხვიოს, მაცდურად ნურაფერს აფიქრებინებს.

3. დიდ იმედების მწვანე მინდორ
ჭროლ-ჭოდით მერთვოდ:
იმედიან ფიქრს თან სდევდა უიმედობის სიცივე.

4. გულდაღით ნატკივნ მუხის სახრეში...
სახრელის გული, რაშიც ტარმა უნდა იბრუნოს, ზოგჯერ ამომწვარია, ამოდაღული.

გიორგი ცოცანიძე.

თენგიზ ღვინიაშვილი

ნიკოლოზ მუსხელიშვილი



გიორგი ლეონიძე

ელენე ახვლედიანი



იაკობ ნიკოლაძე



გრიგოლ ჭყოვრელი

ბალერინა

ბიჭის პორტრეტი

დიანა ჟკლება



ორშაბათი...

მე ორშაბათს დავიბადე.
ჩემი დაბადების დღეა ორშაბათი.
ორშაბათი მთოვარის დღეა.
ორშაბათით იწყება ჩემი კვირა — მზგეფსი
და განესრულება კვირიაკეთი —
წითელი დღით.
ცისკარი ამოხდება სისხამზე და მთვარეს მიეკვრის,
მერე ორივენი გაჰქრებიან...

შვიდი დღე შვიდი სანთელივით მიდგას:
ორშაბათს მეწვევა ალდია;
სამშაბათს — ი(ო)ვანე;
ოთხშაბათს — აკია ნათლია;
ხუთშაბათს — ზაქარია;
პარასკევს — უცნობი ქალი;
შაბათს — მამაჩემი;
კვირას ვზივარ დედასთან...

განესრულება კვირა და იწყება მეორე,
ყველა კვირა მსგავსია ერთმანეთის
მაგრამ ყველანი თვისი ეტლით ბრუნავენ:
თვის I კვირა სწრაფად გადის.
II — უფრო ნელა.
III — კვირა ნერვიულია რამე თუ მთვარე სიბერეში
შედის —
მე ავად ვარ...
IV — კვირას ჩემს ცოლს ფორეჯები უჩნდება სახეზე,
თვე განესრულება წითლად...

. . . . . .

და მთვარის სიბერის ჟამს
იმსხვრევა ყოველივე ჩემს სულში
და ილექება ნაღვლიან მიწაზე...

საწელწდოდ ჩვენები ტაბლას დგამენ
და მკვდრებს იგონებენ —
ეპიტაფიებს არ კითხულობენ —
მაგრამ სულთა საოხად ლოცვას მიავლენენ...
ბერი კაცები ჰყვებიან უხილავზე —
როგორც ხილულზე...
მერე ცოცხლები თავის სიცოცხლეს დალოცავენ
და არც თუ ისე აუგად იხსენებენ საწუთროს...

. . . . . .

მერე მზე შემოჯდება ზოდიაქოს თევზისას,

ყოველი თვე აღივსება თავისი სასწაულით
და ეს სასწაული იხილვება წელიწადში თორმეტჯერ—
და მე იანვარსაშინა ვიხილავ სახეს ჩემსას
დაბადებამდელს,

თებერვალში მე ვიშვები,
მარტში აღვესრულები ორი თვის.
აპრილში — 3-ის,
მაისში — 4-ის.
ივნისში — 5-ის.
ივლისში — 6-ის...
და ამგვარად განესრულება წელიწადი.
თორმეტჯერ აღივსება და დაცხრება მთოვარი,
დღე და ღამე ორჯერ გაწონასწორდებიან...

...მერე თქარუნით წავლენ წლები:
კვიცებივით იჯირითებენ...
ლაფშებივით ითოხარიკებენ...
ბოლოს ბებერი ხარებივით გადათელავენ მინდვრებს
და ბღავილით გადივლიან ჰორიზონტზე...
17-18-20-26 წლისა დავიჭრები ლექსით;
26-დან 31-მდე „ვტკბები“ ამაოებათა ჭვრეტით;
31-დან 36-მდე დავსწერ ჩემს წიგნს
და 40 წლამდე ორჯერ გადავსწერ!

. . . . . .

თუმცა როდემდე შეუძლია გულმა ათრიოს
სისხლის ბორბალი,
და სულმა გაძლოს ხორცის ტომარაში?!
იდგეს კაცი ცოდვის მორევში
და ელოდდეს სასწაულს?!

. . . . . .

..;.ხოლო 17 წლამდე მე მეყოლება ცხენი
არცა ყორნისფერი,
არცა ორბისფერი
არცა ცისაფერი
არცა წყლისა ფერი —
არცა რომელი ფერის...
და მეყვარება ქალი,
რომელსაც შევხვდები
არცა ორშაბათს,
არცა სამშაბათს,
არცა ოთხშაბათს — არცა რომელსა დღეს,
მაგრამ ყოველთვის ჩემთან იქნება იგი
და ვიჯირითებთ ჩემის ცხენით
იქ სადაც უწინ ქალაქები და სოფლები ჰყვაოდნენ...
ახლა კი
ველის
ყვავილები
სტირიან...

●

რა სოფელია ეს სოფელი,
მხოლოდ მკვდრები რომ სდარაჯობენ?
რად უღალატეს ცოცხლებმა და
სად გადიხვეწნენ?!

აქ გარეული ძაღლები ჰყეფენ არი-არეზე,
ფრთადაცვეთილი არწივები მისდევენ ღრუბლებს.

პ უ რ ი

ორად გაპობილი ცა —
ყორნების ყივილით,
დიდხანს თრთის ჩემი სოფლის თავზე
და დედამიწა გარდუვალის მოლოდინში
თითქოს უმწეოა...

მე პურის მარცვალს ვყრი და ვფუთავ
მიწის კალთაში —
თავისუფლების დედაა პური,
ვიცი დამიფარავს განუწყვეტელი შიშისაგან.

●

როცა ყველაზე პატარა დღეა წელიწადში
და საერთოდაც ქვეყანაზე, —
მაშინ მოვალ და მოგეფერები,
ესაა ჩემი სურვილი.

ცა გადაიწმინდება სუროთი,
წამით მიიმალებიან ცრემლის სურები
და თვალებში შედედდება ცისფერი ტკვილი.

თ ა ლ ა ლ ა

უშობლის შარდით იბანდა თმას
ქალი თალალა
და ებურა ღვინისფერი დალალები
აქერტილი ლოყების ქიმზე.

შეიტყუებდა ყმაწვილკაცებს —
მიაჭყლეტდა ჩალის ლაჭანზე...

და მიჰქონდა თაფლიანი ქოთნები უბით...
მის ახლო-მახლო ყვავილები იერს ჰკარგავდნენ.
იქაურები სულ „თალალა — თალალაო“ —
გაიძახოდნენ...

. . . . . .

იმ ზამთარს ქალი შეიწირა თოვლის უდაბნომ.
დედიშობილა მოემწყვდია ჩალის ლაჭანში,
მოეწერა ჭყინტი ყველივით.
დასტეხოდნენ თაფლის ქოთნები.
მისი რძისფერი ტანის სითეთრე შეეწოვა თოვლს
და თოვლი იყო რძისფერი.

კაცები თვალცრემლიანი მოსდგომოდნენ
უფერულ სხეულს ქალისას —
როგორც სკიდან გადმოვარდნილი ხილილოს
ფუტკრები —
და ზლუქუნებდნენ.
ო, რა სინანულის ტბები ედგათ თვალებში...

იმ ზამთარს ჩემი ლამაზი ცხენიც გაჰქრა თოვლში
და კიდევ რქაჟანგიანი ხარი.
ისე სტიროდა ჩემი ბებერი მამა ხარს —
როგორც ძმას.
ხოლო გველეთლებს კარგად ესმოდათ ცხენის ჭიხვინი,
რომელიც ხეობებიდან ამოხდა
და თეთრად შესუდრული მწვერვალები გადაარა...

. . . . . .

ცოცხლები სწრაფად ივიწყებენ უბედურებას
და ბუნებაც უცვლელი რჩება.
ის ზამთარიც და სხვაც,
რომელიც ესოდენ მწუხარე იყო ჩვენთვის,
ხსოვნაში გაჰქრება...
ყოველივეს დაუდგება თვისი ზამთარი
და მარადიულ სითეთრეს შეერწყმის...

ბელა შალვაშვილი

მე მივაშურებ

დამყვება მისი სიმაღლე — მადლი
და ჩათავდება თუ არა მარტი,
მე მივაშურებ საყვარელ ადგილს,
ადგილს, რომელსაც უხმობენ მარტვილს.
რაც მაქვს არ მინდა იმაზე მეტი,
და რაც მაქვს სხვისთვის არ მემეტება...
და ეს მარტვილი თავისი ბედით
თუ უბედობით გულზე მედება,
წყლულზე მედება იგი მალამოდ
და გული ჩემი სხვაგვარ ალალობს...
და ჩათავდება თუ არა მარტი,
მე მივაშურებ საყვარელ მარტვილს.

ზმანებიდან — ცხადში

გულიგულ ძილში მეცხადება შენი ხატება,
შენი ხატება — არსთარსების გამონათება,
წამოვიჭრები ზახილით და გულმდუღარებით, —
არსაით შენი ხატება და... განამწარები
თავს მივდებ, რათა დავიბრუნო იგი ზმანება, —
აღარ ზმანება... ზმანებამან ცხადს მიმანება.

არ შემიშინდე!

კოლხეთში იცის ასეთი ღამე —
გზას ვერ გაიგნებ საკუთარ კართან...
კოლხეთში იცის ასეთი ღამე —
შენსავე თავში ჩაღრმავდე რათა.
მოფენილია ჭვარტლი და კუპრი
და მაძახურის ხმა ისმის მჭახე...
ეს ბნელი ღამეც რაღაცას უბნობს
და ნათელს აფენს ათასგვარ მახეს.
ოდით კი ასე იყო და არის —
მთები ბნელშიაც მთებურად დგანან,
ამ ჭვარტლსაც მალე გაფანტავს ქარი,
არ შემიშინდე სიბნელით, ნანა!

მადლობელი ვარ...

მადლობელი ვარ ამ სიმწარისთვის,
მადლობელი ვარ, ძვირფასო ჩემო,
თურმე რაოდენ ვიყავ ღარიბი, —
რომ არ ვუწყოდი სიმწარის გემო.
ვიდექ... დუმილსღა ვსცნობდი საჩინოდ,
ჩამიქრა ბნელი სანთელი იქვიც...
მადლობელი ვარ, აღმოვაჩინე —
მქონია თმენა-დუმილის ნიჭი.
მერე რაა თუ დუმილი იგი
დამარცხებულის სიჩუმედ სცანით...
მთავარია, რომ წესით და რიგით
ანათებს მზე და ბრუნავენ ცანი.

ცთუნება

როგორც თებერვლის მზიანი დღე
გამოიტყუებს კვირტიდან
ყვავილს,
გამოიტყუეთ გული ჩემი
თავის ბუდიდან
მშვიდი იერით,
და მერე სუსხი მიუმარჯვეთ
მარტისმიერი.
ახლა ეს გული სულთამბრძოლი
თევზია, რომელ
გადმოისროლა მებადურმა
წყლიდან რიყეზე.
ნუ დაღონდებით, —
მე ბრალდებას კი არ
გიყენებთ...
მცირეოდენიც არ ჩაგყვეთ
ჯავრი...
თებერვლის ერთ თბილ,
ძალზე თბილ დღედ
იქეცით ჩემთვის,
და სითბოსათვის ვის,
ან როდის დაადეს
მსჯავრი.

გივი ბერაძე

ჩახრჩობა

გველოკერა

ხახადალებული კარიერის წითელი მიწის გულს მზემ დააჭირა. გულგრილად, შეუბრალებლად რომ ქმნის სიცოცხლეს, სიკვდილსაც. გადათხრილ-გადაშავებულ მიწას მტვრის სუნი უდის, — მიტოვებულობის სუნი, ავის მომასწავებელი უნაყოფობა, გამოცარიელებული, ყრუ და უჩინო... ადრე აქ ტყე იყო. უწყალოდ გაჩეხეს და გადააქერეს. მდინარის გაღმა ხეობას შეაფარა თავი. ჩამუქებულ მწვანე თვალებში ნაღველი ჩასდგომია, — შიშიც. საკუთარ არსებობაზე განუყოფლად ვმეუფებო, მთვარეულივით დანდობილად და შეუმცდარად მიიკვლევდა ბილიკს. მიჰყვებოდა სახეს, უსახოთა შორის.

კაციც თავის წილ სიკეთეს დაეძებსო, — ასე თქვა ჩემმა მასპინძელმა... შეუფარავი ყინით, დაუმცხრალი წყურვილით ებრძვის გარემოს, — თავის თავსაც. იქნებ ცხოვრებამ სულ სხვა სული ჩაიდგასო. შეუცნობელშიც, საკუთარი თავის უარყოფაშიც კი გამართლებას ეძიებს. იმიტომაც შეუბრალებლად ამსხვრევს საკუთარ სახეს. შეიძლება ჭეშმარიტების ძიების დაუმწყურვალებელი ლტოლვაა ეს. ანდა სულ სხვა რაღაც, ვერ ჩაწვდები, ვერ გააცნობიერებ, ჩვენივე რაობა გვზღუდავს.

აქ მდინარეც მდორედ, უხმაუროდ მიედინება. დროც, თითქოს ფეხაკრეფით მიიპარება. ცა მშვიდია, ნათელი, მაგრამ მიუწვდომელი და უკარება... გადაშიშვლებულ ბორცვს გვერდით უვლის ბილიკი, გადამწვარ მიწაზე ნაიარებივით რომ აჩნია, მდინარისკენ ეშვება. ნაპირს მიჰყვება ვიდრემდე მდინარე დასიცხულ არე-მიდამოს არ გააღწევს, ბუჩქებს მიეფარება და სულს მოითქვამს. მერე ისევ წამოიწყებს სიმღერას თავისას. ამბავს თუ ლეგენდას ყვება. მთებივით ძველს, უხსოვარს: ერთხელ მთვარეს როგორ გადაეხვია და მის მკერდზე ტკბილად ჩაეძინა. ბილიკიც იქვე მთავრდება, დევის ნამუხლართან. წყაროს თვალი ჩამდგარა შიგ და სულ სხვა სამყაროს ირეკლავს შორეულს, მარადიულს. ცოტა მოშორებით, გატიალებულ მინდორზე, ვეებერთელა ლოდი დაყუდებულა. რაღაც დაუჯერებელს თუ სასწაულს ხორცი შეუსხამს. თითქოს გამოჰყოფია, გამოცალკევებია სამყაროს, თვლემს უძრავ და უცვლელ უაზრობაში...

მონადირე და მებადური მიხო მიყვებოდა: დევს დაედევნაო ტყის სული, მაგრამ დევმა წყალგაღმა გაასწროო. მაშინ, კლდე მოარღვია უკვდავმა და დევს სტყორცნაო...

●

იმ ამბის მოწმეცაა და დასტურიც ის ლოდი. იქნებ გაქვავებულ დუმი-

ლში, უხეშ ძალასა და განუყოფლობაში ყოველივეს საწყისს ხედავდნენ... გარდუვალობის უკუქცევასაც... იმიტომაც შესთხოვდნენ: ჩემს მარჯვენას გაუმარჯვეო. საკლავს ბიართმევდნენ უკვდავს. იმ ლოდის ტერფთან იღვრებოდა უცოდველი ბატკნის სისხლი. უამრავი საქონელიც იკვლებოდა. გაჟღენთილი იყო მიწა სისხლით. დევის ნამუხლარში წყაროს თვალიც ისევე ჩასისხლიანდებოდა, როგორც ლუდითა და პანტის არყით გადამთვრალი ხატის კაცის გადაბრეცილი თვალები... ღრეობდნენ, წარმართული სული ჰქონდათ და წარმართული სხეული...

— მალე ეს ლოდი წყალსაცავის ფსკერზე მოექცევაო, — თქვა ჩემმა მასპინძელმა — კარგი საქმე კეთდებაო.

— შენ როგორღა წარმოგიდგენია? — ვკითხე მიხოს, მონადირეს და მებადურს.

— მომავლის საქმე კეთდება — მითხრა და ჭიქა მოიყუდა. ერთბაშად გადაუძახა პანტის არაყი. ჰაი, დედასო!... ეს დააყოლა და თავი ჩაქინდრა. რაღაც აზრს ჩაუღრმავდა. ოთახში შემოპარული მკრთალი ბინდიც ნელ-ნელა მუქდებოდა. მერე საიდანღაც ქალის ხმა შემოიჭრა, შეარხია ჩამოწოლილი დუმილი.

— რა ბნელში დამსხდარხართ, კაცებო, — ნათია იყო, მიხოს ცოლი. ნათურა ჩართო. თეთრად შეღებილ კედელზე მონადირე-მებადურის მოხრილი ჩრდილი გაუფერულდა

— შე ვიცი მაგის ამბავი, დილამდე ეგრე იქნება, — ხელი ჩაიქნია ჩემმა მასპინძელმა და უსიამოვნოდ ჩაიცინა. ნათიამაც გაიცინა უწყინრად, ლმობიერად. ადამიანი ბედს რომ შეეგუება, ჭირსა თუ ვარამს, ისე.

— ასე იცის, ასე, — თქვა მან და კარისკენ გაემართა.

— ჰა, რას იტყვი?.. — წამოილაპარაკა ჩემმა მასპინძელმა და მიმავალ ნათიას თვალი გააყოლა...

ამას წინათ სულ სხვანაირი მომეჩვენა ნათია, დევის ნამუხლართან თავზე რომ წამომადგა.

რა მარტო დაეხეტებიო, — მითხრა და ხმამაღლა გაიცინა, რაღაცნაირად დამცინავად, გამაღიზიანებლად, მერე ჩაიმუხლა, წყაროს თვალს ხარბად, დანდობილად დაეწაფა, როგორც ბუნების შვილებს სჩვევიათ, წყურვილი რომ მოიკლა, ხელებიც დაისველა, სახეზე ჩამოისვა და გაიღიმა. მე კი არ გამიღიმა, პირველსაწყისს გაუღიმა, ყველაფრის თავიდათავს, დროდადრო ჩვენი სული რომ ერწყმის. იქნებ ესაა სასწაული?.. თავად ადამიანიც...

— სიჩუმეს ვუსმენ აქ, — ესღა ვუთხარი, წელში რომ გაიმართა და გამოხუნებული თავსაფარი შეისწორა, ჩრდილმა გადაკვეთა წყაროს თვალში მოცახცახე შუქი. ტანასხლეტილი დიაცი სინამდვილე იყო... იქნებ სიზმრის ხილვაც-მეთქი? ანდა მოლივლივე უსაზღვროების თამაში... სიცხით დაბინდული გონების, მოძალებული ეშხისა და სურვილის ნაყოფი. ასეც ხომ ხდება...

— მაშ სიჩუმეს უსმენ? — წელანდელივით გაიცინა. დამცინავად, გამაღიზიანებლად. ისევე მიბრუნდა და გაჰყვა ბილიკს, გადამხმარ მიწას ნაიარევივით რომ აჩნდა...

თუმცა, განა ყველაფერი სიზმრის ხილვასაც არ ჰგავს?.. შენი სამყაროს სიღრმიდან უჭვრეტ ჯერაც თბილისა და მფეთქავს, უკან მიტოვებულ ნაწილს შენსას, ჟამს შენსას, სივრცეში განიბნევა, განიფანტება ან დასრულდება, სრულიქმნება თავისი არსებობით რომ იარსებოს. შენ რჩები ვეებერთელა სამყაროს პირისპირ. ყოფიერება, მცნება, იდეა... იქნებ ყოველივე ისევ შენ წიაღში უკუქცევა?.. რაც შენით არსებობს, კვლავაც შენად იქცევა, მაგრამ რაც არ არსებობს, იგი არც კვდებაო, როგორც სიკვდილი. შეიძლება ასეცაა უნაპირო, უკიდეგანო უსაზღვრობაში.

●

სიზმრის ხილვასაც ჰგავს-მეთქი... საღამოს პირზე ხვალინდელი დღის მოლოდინი. იმედიც, გაურკვეველი და მიმზიდველი ელფერი რომ დაჰკრავს. დინჯი, აუმღვრეველი საუბარიც. განსჯა დღევანდლის, გუშინდლის თუ ხვალინდლის. შეფარული სათქმელიც, გულისტკივილი, ამბავიც, სადღაც ყურმოკრული, გაზვიადებული, უჩვეულო, დაუსრულებელ დღესავით მომქანცველი... დროდადრო მოსხლეტილ კაფიას თუ ანეგდოტსაც გამოურევენ... თვალები წამოენთებათ, სახე წამოუწითლდებათ.. ხარხარებენ, გულღიად, გულარხეინად... ისევ სიტყვები, სიტყვები... სულს და გონებას რომ წარმოაჩენს, იმად იქმნება, რაც არიან თავად... ყოველი საღამო ასეთი იყო — უსაქმური, უშფოთველი, თითქოს უდროო, როდესაც დროისა და რიცხვის შეგრძნება იკარგება, მაგრამ მოულოდნელად ვიღაცა იკითხავს, რომელი საათიაო, და ყველაფერი თავის ადგილს და მიზანს იძენს.

— თრობის საათიაო... — ღიმილით პასუხობს ჩემი მასპინძელი... მაგრამ ისე იღიმება, უკანდასახევი ხვრელი თავადვე არ ამოვქოლოო. თუმცა რას გაიგებ?... ხშირად სულის ნაგლეჯიდან მთელის დანახვას ვლამობთ... თრობის საათიაო... ისევ ხარხარებენ. გულღრძოდ კი არა. თავი ისეთი ცარიელი მაქვს, როგორც თეთრი, დაუწერელი ქაღალდი, უძრავი სიცარიელე... თრობის საათიაო...

— სახსრებში მტეხს, — ვიღრიჯები, — ალბათ იწვიმებს.

— სიბერის ტკივილია, — დამცინის მეორე, რომელიც გაურბის სიბერეს... მაგრამ ის ქალი?... მშვენიერი თვალებით რომ შემომცქერის. სიყვარულის და ქალის თვალებით... ასეთი თვალები ჰქონდა ელენეს. მერე მხოლოდ ღიმილიღა შემორჩა საკუთარი... გადაშლილი წიგნი ყოველთვის. ერთი და იგივეს იმეორებს...

— რა გქვია?... — უკვე მერამდენედ მეკითხება ის ქალი.

— არაფერი, — ვიღიმები.

— არაფერიო?...

— რა მნიშვნელობა აქვს...

— თუმცა არაფერიც სახელია... ერთს ერქვა არაფერი... მაგრამ ისეთი ბუზღუნა და ეჭვიანი იყო...

— ალბათ მე მგავდა, როგორც ყოველი არაფერი არაფერს... მე ელენეს დაგიძახებ.

— იქნებ ელენეც ვარ, მაგრამ ახლა ნათია მინდა ვიყო.

— ელენესავით იღიმები.

— როდესაც გვინდა სხვის სახეში სასურველის სახე დავინახოთ, ვახერხებთ კიდეც. სიყვარულია ეს.

— მე არ ვიცი სიყვარული.

— მაშინ როგორღა იღიმები?..

— ყოველ დღეს რაღაცა მოაქვს: ბედნიერებაც, სიკეთეც, ჭირიც და ტკივილიც... ხომ უნდა მეცხოვრა.

— ხომ უნდა მეცხოვრაო?.. მებრალები.

— რაში მჭირდება სიბრალული?..

— გულს სჭირდება... — წყნარად თქვა და ახლოს მოვიდა... სულ ახლოს ვიგრძენი მისი სუნთქვა. მისი სხეულის სითბო... — სიბრალულიც ხომ რაღაცნაირი სევდაა. ლტოლვაც ერთვის თან, ნაღველიც... გულს სჭირდებაო... ჩავიცინე... თუმცა განა ისეთივე ვარ, როგორიც ვიყავი ან ვიქნები?.. შეიძლება ხმამაღლა ვთქვი ეს... თვალები გავახილე. მორევის სიღრმიდან ამოვტივტივდი. მორევს ფსკერიც აქვს, მაგრამ მე ზედაპირზე ამომატივტივა, რომ ნაპირზე გავერიყე. მკვეთრმა სინათლემ თვალები მომჭრა. ოთახის კედლები თეთრად იყო შეღებილი, ჭერიც. რამ მოგვიყვანა აქ? შემცბარი ვიყურები... აივანზე გაბმულ სარეცხის თოკზე თეთრი პერანგი ირწევა.

გივი ბერაძე
მოთხრობები

— მიხო... ჰაი... მიხო!.. — იძახდა ნათია. საღამოს სიმშვიდეში მისი ხმა ზარივით რეკდა. ალბათ მონადირე და მებადური მიხო სადმე ზის გაყრუებული. ცალი თვალი მოუხუჭავს, ცალით უსაზღვროებას მიშტერებია. ჰაი, დედასაო.!. დროდადრო წამოიყვირებს და ისევ ჩაიძირება საკუთარ არსებობაში თუ სამძიმარში.

— მიხო... ჰაი... მიხო!.. — იძახდა აივანზე გადამდგარი ნათია. ნიავი კაბას უფრიალებდა და ზოგჯერ კაბა ტანზე რომ მიეტმასნებოდა, მისი მკვრივი სხეულის მოხაზულობა იკვეთებოდა. ჩემი მასპინძელიც ნათიას გასცქეროდა. თვალებში რაღაცნაირი შეურაცხმყოფელი დაუნდობლობა უციმციმებდა.

— ვითომ ვგრძნობთ, როგორები ვართ?.. — თქვა ჩემმა მასპინძელმა ისე, თითქოს საკუთარ თავს გამოელაპარაკაო. მერე წამოდგა. ღია კარში ლანდივით გავიდა. მე ბავშვს ვუყურებდი, ტახტზე რომ წამომჯდარიყო, ხელში სარკე ეჭირა, მშვიდად ჩასცქეროდა.

— მთელი დღე ეგრე იქნება, — ნაღვლიანად მითხრა ნათიამ, — შარშან მაგის ტყუპისცალი მომიკვდა.

— იქნებ სარკეში ტყუპისცალს ხედავს?..

— რა ვიცი, — მხრები აიჩეჩა ნათიამ, — შეიძლება მარტო თავისთავს ხედავს ან მე. ჩემი ხმაც ესმის. სახე გაუნათდება და იღიმება. ჩიტების გალობაც ესმის. თვალებს ჭუტავს ხოლმე.

— ჩვენც ეგრე არა ვართ.

— ჩვენ როგორღა?.. — უნდოდ მიყურებს.

— ჩვენც ტყუპისცალს ვეძებთ... სხვებს თვალებში იმიტომ ჩავხედავთ ხოლმე... იქნებ ვიპოვნოთო... ოდესღაც დავკარგეთ და ვეღარ გვიპოვია. იქნებ მივაგნოთ კიდეც. ვინ იცის... — ვიღიმები.

— ვითომ ეგრეა?..

— მეც ტვინი მქონდა ნაღრძობი... — ისევ ვიღიმები.

— ტვინი ნაღრძობიო?..

— ტვინის შერყევა მქონდა-მეთქი...

— მერე?..

— მერე რა... ხომ მხედავ... შეიძლება ეს ბალღიც ქალაქში რომ წაიყვანო...

— მოკვდება, — ნაღვლიანად თქვა ნათიამ.

— იქნებ სხვა რამეც შეასწავლონ?..

— მოკვდება, — თქვა ნათიამ, — მაგას ვერავინ გაუგებს. ზოგჯერ მეც არ მესმის. გაყრუებული მომაჩერდება ხოლმე. ალბათ მაშინ ვერც მხედავს. ტირის... სხვა ქვეყანაში ცხოვრობს... ჩვენი არაფერი გაეგება.

— შენც წამოდი... — უცებ ვუთხარი და ჰაერი ღრმად ჩავისუნთქე. დაკვირვებით შემომაცქერდა. მის თვალებში ქუფრი ცა ჩაძირულიყო. ჩემი სახე ვერ დავინახე... იგი არც გადაიხსნება, არც განიყოფება და არც სხვად იქცევა... უცებ წელში გაიმართა და ხმამაღლა გაიცინა. დამცინავად, გამაღიზიანებლადაც.

— ვითომ მართლა ეგრე ფიქრობ? — ჩამეკითხა და ისევ ჩამაცქერდა.

— ეგრე ვფიქრობ, — ვუთხარი გადაწყვეტილად, თან თვალი არ მომიშორებია.

— ჩემ კაცს ეს ბალღი უყვარს, — თქვა მან მშვიდად, თავდაჯერებულად...

ბავშვი გაუნძრევლად იჯდა, სარკეს ჩასცქეროდა... შემშურდა მისი...

მეორე დღეს მიტოვებულ კარიერისკენ გავწიე რატომღაც, ბილიკზე ჩემს მასპინძელს შევეჩეხე. ჩემს წინ მოულოდნელად წამოიმართა, თითქოს მიწიდან ამოიზარდაო.

— სტუმარო, რა ცხვირ-პირი ჩამოგტირის, ბედნიერებამ ხომ არ დაგამწუხრა? — მითხრა და უსიამოვნოდ ჩაიცინა. „განა უბრალოდ მოთვალთვა-

ლეა, დამკვირვებელიცაა“ — თავში გამიელვა. ჩაწითლებული თვალებით მომჩერებოდა.

— იმ ბალღზე რაღაცა გითქვამს... — ხმა გაებზარა, ჩაახველა, სიტყვას მახვილივით რომ დაეცემა სიყალბე, ჰაერში დარჩება გამოკიდებული. თვალებიც უსაგნოდ აბორიალდება. — იქნებ ისე აჯობებს... რას იტყვი?.. იქნებ-მეთქი... ვინ იცის?.. — თვალი ავარიდე. გვერდზე გავიხედე და ისიც დავინახე, ბილიკზე, გადამწვარ მიწას ნაიარებივით რომ აჩნდა, გველხოკერა როგორ გადახოხდა.

მანქანური ეპილეფსია

ვრცელ დარბაზში ნეონის ნათურების მოყვითალო-მოიისფრო ციმციმი ყველაფერს უსიცოცხლო ელფერს აძლევდა. ელექტრული გამომთვლელი მანქანა დარბაზის მთელ სიგრძეზე იდგა. ცალმხრივ წაგრძელებული და ჩახურული, ვეებერთელა ასანთის კოლოფს ჰგავდა. საიდანღაც დახშული გუგუნი ისმოდა, განუწყვეტელი, გულის გამაწვრილებელი გუგუნი.

დიდთავა, დაბალი ტანის მამაკაცმა მანქანის გარშემო შემომატარა, თან დაწვრილებით მიხსნიდა ყველაფერს. ლაპარაკის დროს პირდაპირ თვალებში შემომცქეროდა. ქეშად ჩამოწოლილ წარბებქვეშ, წვრილი თვალები დამცინავად უკრთოდა. მორგვივით დამჯდარ ტანზე იმდენად მოკლე კისერი ება, გეგონებოდათ, ყურები მხრის თავებზე ამოსვლიაო.

— ცუდ დროს მოხვედით, — მითხრა, როდესაც ახსნა-განმარტებას მორჩა და ისევ მანქანის წინ გამოვედით. პულტისკენ გავემართეთ. კედელთან მიდგმულ სამუშაო მაგიდაზე რაღაც ხელსაწყოები, კანიფოლისა და კალის ნარჩენები უწესრიგოდ ეყარა. — ცოტა შევფერხდით.

— რა?.. ახლა გაჩერებულია? — ვიკითხე.

სახეზე ზიზღნარევმა ღიმილმა გადაურბინა.

— სამაგიეროდ ჩვენ სულ ჩართულები ვართ, — ხმამაღლა გაიცინა. — ერთხელ გამოგვრთავენ და მარადისობას ვეზიარებით... დიდებულად არის მოწყობილი. — კვლავ შეუცნობელი და ზრდილობიანი გამომეტყველება მიიღო. — სხვა რა გაინტერესებთ?

— ძნელია ასე ერთბაშად... — უხერხულად გავიღიმე.

— ვერ წარმოიდგინეთ?

— ჩემთვის ახალია.

გულმოწყალედ გამიღიმა. წელში გაიმართა. ოდნავ წამოზრდილი მუცელი გამოზნიქა. ორმოც წელს იქნებოდა მიღწეული. მალე გვარიანი ღიპი დაედებოდა.

— წარმოდგენა შეიძლება, — ისე თქვა, თითქოს ცულით მოკვეთაო, — ასეთ მანქანებზე მრავალი წიგნი გამოდის. კაცს ტვინი გაულაყდება. ისედაც უამრავი წვრილმანით გვაქვს თავი გამოტენილი. — დინჯად, ოდნავ აგდებულად ლაპარაკობდა. სიტყვები ნათლად და გარკვევით გამოჰყოფდა. ამაყი და თავდაჯერებული იყო.

— არსებობა, არარსებობა. ან ყველაფერი, ან არაფერი. მანქანა ეს არის. ჩართავ და გათავდა, ადამიანის ტვინივით მუშაობს. როდესაც მუშაობს, მაშინ არსებობს. დაუძლეველი მისწრაფებაა, ლტოლვაა, სურვილია ერთი, მთლიანი. მანქანა, მანქანაა... თავში რაც მოუვათ, ყველაფერს წერენ. კაცი-მანქანა, მანქანა-კაცი ბევრს გონებას ურევს... თუმცა ალბათურ სამყაროში ვცხოვრობთ, ამას ვერ გავექცევით... ადამმა დაივიწყა თავის შე-

მქმნელი და კაცად იქცა. მაგრამ ვინ იცის?... ვინ იცის?.. ღირსების გრძნობა არ დავკარგოთო... სისულელეა...

ჩამქრალი სიგარეტი საფერფლეში ჩავჭყლიტე. მეორეს მოვუკიდე. მამაკაცს უსიამოვნო, ჩახლეჩილი ხმა ჰქონდა. სახეზე მოყვითალო ელფერი გადაჰკვროდა. რატომღაც გუნება გამიფუჭდა. მან ხელები იღლიებში ამოიწყო. ერთხანს ჩაფიქრებული იდგა. მერე შემომხედა და მშვიდად თქვა:

— ბოლოს და ბოლოს, ჩვენც რაღაცნაირი აპარატები ვართ. წარმოუდგენელი და უჩვეულო არაფერია. ბუნებამ იმ მასალისაგან შეგვქმნა, რაც მოეძებებოდა. ჩვენც ვქმნით დიდებულ არსებებს — წეღანდელივით ხმამაღლა გაიცინა. უგემურად, მკღერი, ხორხისმიერი ხმა გამოსცა, ფოლადგადაკრულმა კბილებმა ცივად გაიელვა. — იქნებ დიდი, საყოველთაო იმედგაცრუება გველის?.. რას იტყვით?.. თქვენ ჟურნალისტი ხართ, არა? — დაკვირვებით დამაცქერდა. მისი ღრმად წასული მოელვარე თვალები დამცინავი იყო, დაუოკებელი.

— ღმერთი ცბიერია და არა ბოროტგანმზრახველიო, — გავიღიმე — კარგად არის ნათქვამი.

— ვითომ?

— არ გჯერათ?.. ახლა აზრიც სწრაფად ძველდება, მოძრაობა, სიჩქარე. ყველაფერი სწრაფად ძველდება, — ვთქვი.

— მე ჩემი საქმე კარგად ვიცი.

— სხვები?

— რა სხვები?

— რამდენი კაცი ემსახურება?

— ექვსნი ვართ. — უხალისოდ თქვა და სახეზე დამაცქერდა, — ენას გადმოაგდებენ და ვეღარ გააჩერებენ... — ღვარძლიანად ჩაიცინა, — ასეთებიც არიან.

— შეუცვლელი არავინ არის, — მშვიდად წარმოვთქვი და თვალი გავუსწორე. სახე გაუქვავდა. უნდო გაუხდა.

— ბრიყვები... მაგით თავს იმხნევებენ, — ისე თქვა, თითქოს გადმოაფურთხაო, — უვიცები... სხვის სახესაც ყიდულობენ, საკუთარი რომ არ გააჩნიათ... ჩემი საქმე კარგად ვიცი... არ მოსწონთ, პირში რომ ვეუბნები.

— მერე რა, რომ არ მოსწონთ?

— პირდაპირი ლაპარაკი მიყვარს და....

კიდევ რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ სწრაფად გამოვემშვიდობე და ლაპარაკის საშუალება აღარ მივეცი.

ირაკლი ბაზაძე

ვიცი, შენი ცის ვარ

ვიცი, შენი ცის ვარ, ცის ვარ,
მაგრამ აქ გიტოვებ ლამპრად,
სიზმარს — უმარტივეს ზღაპარს,
ზღაპარს — ამოუხსნელ სიზმარს.

მაგრამ მე გიტოვებ ცრემლსაც —
ციცინათელების ციალს,
მერე ჩამოგკივლებს ციდან
კვნესა, წვიმის თბილი კვნესა.

მერე ჩამოგძახებს თოვა —
დედის უმშვიდესი ნანა,
მკერდში ჩარჩენილი დანა...
...მერე ჩამოგძახებს თოვა.

მერე წყალწითელას ჭალად
ივლის აღტკინება კვლავაც,
ჩემთვის — შემოდგომის ქარვად,
შენთვის — ყვავილების ჭავლად.

ოღონდ გამახსენე მართლა,
ოღონდ გამახსენე მართლა,
ოღონდ გამახსენე მართლა
შორი უზრუნველი ბიჭი.

ვიცი, შენი ცის ვარ, ცის ვარ,
მაგრამ აქ გიტოვებ ტკივილს,
სიზმარს — ზღაპარს უმარტივესს,
ზღაპარს — ამოუხსნელ სიზმარს.

ვიცი, შენი ცის ვარ, ცის ვარ.

●

მაღლა, სულ მაღლა ცაზე თუ ცაში,
დაცურავს თეთრი ღრუბელი — ბავშვი.
მე სულ უბრალო პატარა ნატვრის
ამარა დავრჩი. დავრჩი თუ ვრჩები.
მდორე რიონი აწყდება ჯებირს,
აწვება ბაღებს სოველი მარტი
იქნებ ამაოდ გიხსენებ... ვწუხდი,
იქნებ ამაოდ მახსოვხარ... მწამდი,
რა ახლო არი იმ მაღალ ცამდი
და რა მძაფრია გაფრენის წუთი.
იქნებ ამაოდ ცაზე თუ ცაში,
იქნებ ამაოდ ღრუბელი-ბავშვი...
იქნებ ამაოდ, იქნებ ამაოდ,
იქნებ ამაოდ ვრჩები ან დავრჩი.

ძველი სიმღერა

როგორ მიყვარდი და მიყვარდი
შენი ვნებასავსე სხეულით,
მზერა ლურჯ ცად გაქცეული —
ძირს მითვლემს ჩემი განძეული: —

ტაძრები, ციხეები, კოშკები,
გრემი, გეგუთი და უბისა,
შეგინებული და უბიწო —
სავანე მოწყენილ უფლისა.

როგორ მომწყურდებით, როგორა,
ქართლის უსაშველო მინდვრები,
კოლხეთს მორონინე ბინდები
როგორ მომწყურდებით, როგორა.

როგორ მინდოდი და დამქონდი,
შენი ბოსტანით და წალკოტით,
ასე მწყაზარი და ძვირფასი
მწვავდი და ვერცრაით მაქრობდი.

როგორ მომინდებით, როგორა,
მთები და
კლდენი და
წყარონი...
ხელს მიქნევს ნავიდან ხარონი
და წყდება ეჟვნების წკარუნი.

როგორ მიყვარდი და ვეტრფოდი
შენს კედლებს ძვლებგამოპირული, —
აქ რჩება ცრემლების ბინული,
გტოვებ და მაინც არ მეთმობი.

როგორ მიყვარდი და მიყვარდი...

გულისადმი, მინიკარდიოგრამის შემდეგ

ჩვენ დავრჩით მარტო და საუბარი
მწადია შენთან — ერთ პეშვ ტკივილთან,
როდემდე უნდა გაგრძელდეს ასე,
როდემდე უნდა მაფორიაქო,
როდემდე უნდა
ჩამომტოვო ჩქარ მატარებელს?
შენი კარნახით რად ხდება ზოგჯერ
უარვყო რწმენა, — გაწვრთნილ მხეცივით
გზად რომ დამყვება თავაღერილი.
და ერთხელ, როცა რტო იასამნის
მე გავუწოდე ნაღვლიან მზერით
ქალს, — ნეტარ ტკივილს და ცათა
სიზმარს,
შენ შემაჩერე და ჩამიღვარე
თვალებში იჭვის მჭვირვალე ცეცხლი.
მერე დამაბი გაჩორკნილ მერხზე
და ამატირე ვარდისფერი ლექსის
ცრემლებით...
არ განუცდიათ რომელთაც ჯერაც
არც სიხარული, არც უარყოფა,
აღარ სწამთ ზოგჯერ შენი და შენივ
ნაჩუქარ იჭვის თვალებით გჭვრეტენ,
რად ხდება ასე? ნუთუ ყველა მოკვდავის
მკერდში
შენ არ წრიალებ თანაბარ განცდით?
რად ხდება ასე!.. მაგრამ არა ღირს —
მე, ამდენი ხნის შენი ნაცნობი,
ამდენ წვრილმანზე გედავო ახლა.

●

ისევ გაშინებ... ჩაგკივი ყურთან,
გეხვევი ისევ და თმებზე გქაჩავ,
თუ დარჩა შენგან, ისევ თუ დარჩა
ის ყელი — ბროლი, ის ძუძუ — გუნდა.

ის ფიქრი სუფთა — გაშლილი მოვად,
მახედებს შენსკენ — მახედებს უკან,
ზაფხულის ხვატში ლაპლაპებს შუკა,
შორია უკვე და ვეღარ მოვალ.

შორია უკვე... ქარებს დავნებდი,
დავნებდი ზამთარს, ვით მძერწველს თიხა,
ვატარებ თუმცა ღიმილის ნიღაბს,
„დავდივარ... ვწუხვარ და მენანება“.

ცას მისდევს ღრუბლის უბელო პონი

ცას მისდევს ღრუბლის უბელო პონი,
ვიხსენებ, რასაც ვთმობდი და ვერ ვთმობ,
მადლობელი ვარ! რამეთუ, ღმერთო,
მოეც ჩემს მზერას ხილვით და პოვნით.

მადლობელი ვარ! მე ისევ დავრჩი
შენს ტანს აკრული მცივანა ბავშვი,
აქედან მომდევს შენი ყანები,
წამომეწევა საცაა ქარში.

თვალს მიწვავს თბილი კერიის კვამლი,
ასე ნამდვილი და ახლობელი...
როგორც ლურჯ ცაზე თეთრი ღრუბელი,
როგორც ლურჯ ცისთვის შხარა და ხვამლი.

გიხსენებ შენ და ღია თვალებში
მაცვივა ფერფლი შენი ჩვენების.
მაცვივა ფერფლი და შორს ლამაზი
ჩნდება აპრილის ჭრელი ხანძარი
და ჩამოზნექილ ცათა ტრამალზე
ამოენთება ხომლის ტაძარი.
იქ შენი თეთრი სული მარხია,
იქ შენ ხარ ერთი და სხვა არავინ,
მე აღარ მტკივა შენი ძახილი
დღემდე განცვიფით რომ მიმალავდნენ.

მე აღარ მტკივა
და ფიტულივით
ვკიდივარ ქარებს და იშვიათი
ზეცა დაჰყურებს ჩვეულ დუმილით
ჩემს უმწეობას და სიდიადეს...
იქ — შენი სული,
აქ — განცდა ბევრი
და ვარსკვლავეთის გზა ნისლეული,
აქ — დაღამებულ დაფნების ტევრი
აქ — მოფარფატე ჩემი სხეული.

რაც არის, არის

ზურაბ კუხიანიძეს

რაც არის, არის, ხვალ მოვირბენ და ლექსს მოგიტან,
რომ მიწერია ღამეები ნაღდი ბორგვითა.
მოგიტან ლურჯი აჯამეთის ტყეების სევდას, —
რაც არ მახსოვდა და იჩქითად რაც გამახსენდა.
მოგიტან ტკივილს, ბებუთივით მკერდს რომ გამჩრია,
ბაგრატის ტაძრის ფერს ჩავაწნი სტრიქონს არშიად,
გელათის ნაგვემ სულს მოგიტან — ბრჭყვიალა ხვითოს,
პოეტი პოეტს გულს მოგიტან ჩაუქრობ სითბოდ.
შენ კი მიამბობ შფოთვაშორევ განცდით და გზნებით,
თუ როგორ ყიდდნენ თეთრ ხიდესთან ენძელებს ძმები—
თუ ყვავილივით ყიდდნენ ცვრიან პირმწყაზარ დილებს, —
რომ სიყვარული ცად ასასვლელ გზებს გვიადვილებს...
მეტყვი: ძეაკაცის გიდარდნია შენც ბევრჯერ ბედით,
რომ არ არსებობს ქვეყნად ლექსზე მართალი ღმერთი,
რომ ღადარწაყრილ მუგუზლებზე შიშველ ფეხებით
უფსკრულებიან მწვერვალების აღმართს შეჰყევი,
რომ ვერ გვაცდუნებს სხვისი ღმერთი, ვერც ჩვენი ეშმა,
თუ არ გაგვწირა საკუთარი ხილვების გეშმა.
ვერცხლის წკრიალი ჩაგეპნევა ანთებულ ხმაში
დედის ზმანებით როცა თრთიხარ ამაყი ბავშვი.
შორი ფიქრების, ხედავ, ხანძრით ნაამბორალი,
მოჩანს რიონზე ურჩხულივით შავი ბორანი...
რეკს ვარსკვლავები საქართველოდ — ოქროს ეკვანი
და შენც ბავშვური აღტკინებით და კაეშანით
მეძახი გეგუთს,
გრემთან მიხმობ,
ჯვართან მომკივი

და წარმართ ლოცვებს მზის გულზე ჰფენ ბებერ
მოგვივით.
ლურჯი წყვდიადი —
შენი წილი კრთის ზეცის ბროლი,
შრიალებს ყანა, მუხლებამდე ხასხასებს მოლი...

●

აღარ ვარსებობ... აღარ — გავთავდი,
ჩემი ეშმაკი ითვლის ათამდი...
აღარ მომბღავის ლურჯი ფაზისი,
არც ცა დამცქერის უფაქიზესი,
არ დამფარფატებს თეთრი ღრუბელი —
ჩამოძენძილი კვართი ქრისტესი.
როდემდე ნეტა შე სატიალე,
დამლევ ხანჯლების გულს დაღერებით,
დამიღამებდე სადმე თრიალეთს,
მომიფერებდე ბებრულ ხელებით.
დამიღამებდე სადმე გელათთან,
იქნებ ახალი სხივით გენათა,
იქნებ გყოფნოდა თბილ სამარედაც,
გყოფნოდა მოთქმად და სიმღერადაც.
თორემ საცაა ლამის გავთავდე
ისეც ლოდინით დღემდე, აქამდი,
ჩემი ეშმაკი დგას და იცინის
და მერე მშვიდად ითვლის ათამდი.

ვაჟა ჩორდელი



ᲫᲐᲫᲔ

ᲓᲦᲔᲛᲘᲡᲬᲠᲔᲑᲐ ერიდებოდა ტატე ფიზიკურ შრომას. განა არ უნდოდა, რომ ეხნა, ეთესა, ემკა, შეშა ეჭრა, ღობე ეღობა, სხვებივით აკვანი ეთალა, მაგრამ, როგორც თვითონ ამბობდა ხოლმე, დიდი უბედურება სჭირდა, ცაცია იყო — მარჯვენა ხელის საკეთებელი მარცხენა ხელს ებარა და საქმეც ყოველთვის მარცხად მისდიოდა.

მშობლების გარდაცვალების შემდეგ იძულებული შეიქნა, ვინმე მოეყვანა სახლში. მოიყვანა კიდეც, მთას იქიდან ერთი კარგი გოგო შეირთო ცოლად და კერიაზე ახალი ცეცხლი დაანთო. უხაროდა ტატეს, ცოლი რომ ერთობ ხელმარჯვე და ოჯახის საქმეში გაწაფული აღმოჩნდა. იმედი სულ მასზე დაამყარა — ეს ნამდვილად მარჯვენა ხელობას გამიწევსო.

მეზობლობაში ტატეს ცუდი სახელი არ ჰქონდა. თანგადაყოლა იცოდა თავისი მარცხენით. თუკი რამე შეეძლო, ყველას ხელს უმართავდა, ჭირსა და ლხინს არ აკლდებოდა, თავის სიტყვას ყოველთვის ამბობდა, მაგრამ არსად და არასდროს მარცხენა ხელის მარჯვენობა არ ავიწყდებოდა, თავიც კი არ მოსწონდა მარცხენა ხელის გადამკიდეს, მითუმეტეს მაშინ, ღვინით შეჟინჟღილებული თამადა სადღეგრძელოს რომ იტყოდა — ჩვენს მარჯვენას გაუმარჯოსო. მისი ტრაგედია აქ იწყებოდა, — მარცხენა ხელიდან მარჯვენაში გადაიტანდა ჭიქას და აკანკალებულ ხელს ალმაცერად დაუწყებდა ყურებას, მერე თვალებს მოჭუტავდა და სანამ სადღეგრძელო ჩამოთავდებოდა, თვითონ თავდებოდა კაცი.

ტატე მაღაზიაში მუშაობდა. რაც კი მაღაზია გახსნეს სოფელში, მის მერე მესამე ნოქარი იყო. გაგიზარიათ, ისე მუშაობდა, გეგმას გადაჭარბებით ასრულებდა, ხელმოკლე სოფლელებს თვეობით აცლიდა ფულს, მევალეებს

სიაშიც კი არ წერდა, ნამუსით იყო ანგარიში. არც ისინი მტყუნობდნენ, როცა კი იშოვნიდნენ, ნახარჯსაც უსტუმრებდნენ და მადლობასაც ერთიორად უხდიდნენ.

მოგეხსენებათ მთებში ჩაკეტილი სოფელი... კოლმეურნეობის თავმჯდომარის, მთავარი ბუღალტრისა და მძღოლის შემდეგ ტატე იმ მიდამოში მეოთხე კაცად ითვლებოდა ყოველთვის. ზოგისთვის კი თავმჯდომარეც იყო, ბუღალტერიც და ხანდახან მძღოლიც.

სანამ მაღაზია ღია ჰქონდა, მარცხენა ხელი სრულებით არ უშლიდა ხელს, უკუღმა რომ დათვლიდა სალაროს, ანგარიში მაინც წაღმა მისდიოდა, მაგრამ მაღაზიის დაკეტვის შემდეგ ოჯახში მამაკაცის ხელით გასაკეთებელი საქმე რომ დაუხვდებოდა, ნერვები აეშლებოდა, ჟრუანტელი თავით ფეხამდე დაურბენდა, გუნება აემღვრეოდა... არადა, თავს ზევით ძალა არ არსებობდა: საკარმიდამო უნდა დაეხნა, ღობე შეეკეთებინა, შეშა დაეჭრა, სახურავი შეექცია, ერთადერთი კინკილა ხარი დაეჭედა და, ვინ მოთვლის, რამდენი სხვა წვრილმანი თუ მსხვილმანი რამ სჭირდებოდა ოჯახს.

დღე არ იყო, რომ ან ხელი, ან ფეხი, ან თავი არ ჰქონოდა შეხვეული. რაიონის გახრეკილ აფთიაქს ტატე მოსისხლე მტერივით ედგა კრიჭაში: თუ დოლბანდს, მალამოსა და იოდს ან რაიმე მის მაგვარს შემოიტანდნენ, ტატეს ეგრევე მიჰქონდა სახლში. იმ ზომამდე იყო საქმე მისული, რომ აფთიაქარ ქალს კითხვაც არ სჭირდებოდა, გაზეპირებული ჰქონდა ტატეს „რეცეპტი“. ტატეს გამოჩენა და რიგგარეშე გასტუმრება ერთი იყო. აფთიაქის ზოგიერთი მომხმარებელი უკმაყოფილებასაც კი გამოთქვამდა, რიგი რიგია, „დიდკაცობა“ რა შუაშიაო.

...და ამ დროს ტატეს მარცხენა ხელი უფრო დაუწყებდა ტკივილს.

მაღაზიის დაკეტვის შემდეგ ტატეს ბევრჯერ აუთრევია სახლამდე მისასვლელი ფეხი. ზაფხული მთლად უჭირვებდა საქმეს — გამოეკიდებოდა მზე ფოცხვრებას მთაზე და ჩასვლას არც კი ფიქრობდა. ტატეს ისიც კი ეგონა, რომ მზეც მისი მტერი იყო, მის ჯინაზე იჯდა საკარცხულზე და არ ჩადიოდა ადრე. მუშტარიც რომ არ ჰყავდა, მაშინაც განგებ გვიან კეტავდა ხოლმე მაღაზიას, თუმცა არ ელოდა ამვლელი და ჩამვლელი, დახლზე მუდამ იდგა ღვინო, პური და ყველი, ხშირად პური და ყველი თვითონ მიჰქონდა სახლიდან, ბიჭებს ღვინოზე მისატანებელი რომ ჰქონოდათ. დრო არის, რაც არის, თორემ ადრე სოფლის მაღაზიებში ვეებერთელა კასრებიდან ჰყიდდნენ ღვინოს. რეზინის მილი და ლიტრიანი ბოთლები ტატეზე მეტს მუშაობდნენ. ტატეც მუშაობდა... შექეიფიანებულ ბიჭებს მეორე, „სადესერტო“, სარეზერვო კასრიდან უსხამდა ხოლმე ღვინოს „ხელის დასაბანად“. ამბობდა კიდეც, საჭაპანო მიტან-მოტანას ხარჯი აქვსო...

მიდექი და მოდექი, გასწიე და გამოსწიე, მაგრამ ოჯახი მაინც ოჯახიაო, იტყოდა ხოლმე და უნდოდა თუ არ უნდოდა, მაინც საქმიანობდა: სხვები თუ ალმა ხნავდნენ, ტატე დალმა ხნავდა, სხვები თუ მარჯვნივ მკიდნენ, თვითონ მარცხნივ მკიდა, მემარჯვენეები თუ მარჯვნივ აქცევდნენ საშეშე ხეებს, ტატე მარცხნივ აქცევდა და თავ-პირსაც ხშირად იმტვრევდა; არც ერთი საქმე ბოლომდე არ მიუყვანია, ყოველთვის ღალატობდა მარცხენა ხელი — ხან ფეხი მოიჭრა, ხან — ხელი, ხანაც მოხლეწილი ტოტი ჩამოვარდა და ბეჭი ჩამოახლირცა; უგერგილოდ მოქნეული ცული ტარის ყუაში გადაუტყდა და თვითონ ცხვირი გადაიტყავა. რამდენი რამ გადახდენია თავს, მაგრამ ერთხელაც არ წამოსცდენია საყვედური. სულ იმას ამბობდა ხოლმე, ალბათ, ასე იყო საჭიროო — ზოგი მარჯვე უნდა გამოსულიყო, ზოგი — მარცხეო...

„ქალაქისა არ იყოს, სოფელსაც კარგა მოზრდილი კუჭი აქვს. არ გააკეთებ, არ მოიყვან, არ გაზრდი და, ვაი სირცხვილო! რაც კი ხელიდან გამოგდის,

ყველაფერი უნდა გააკეთო, არადა, შერცხვენილი იქნები, უმეზობლო იქნები და, საერთოდ, ცოცხალი კაცი მკვდრებში იქნები აქედანვე ჩაწერილი. ასე იცის სოფელმა, მას თავისი წესი აქვს, თავისი ჩვევა აქვს, ზნე აქვს თავისი და, რა გინდა, რომ ქნა". — დღემოსწრება ფიქრობდა ტატე და ეს ყველაფერი ზუსტად და ზედმიწევნით რომ იცოდა, მიტომაც ყველაფერს ეპორწიალებოდა, უნდოდა, არ უნდოდა, ძალაუნებლიედ აკეთებდა, სოფელს როგორ ააყაყანებდა თავისი ხელმარცხიანობით.

წვრილმან საქმეებს, ასე თუ ისე, კი ეწეოდა, მაგრამ შეშის მოჭრისა და მოტანის საკითხი ყოველთვის ნედლი მორებივით აწვა გულზე.

დროით არ მოჭრი, არ მოიტან და არ გაახმობ საშეშე ხე-ტყეს, რას შვრები მერე, ნახევრად შემშრალი შეშა ბუხარსა თუ ღუმელში მორთავს ცრემლვასა და ტირილს და რა ფასი აქვს მერე, სიცივე არ დაგინდობს, მოგადგება და გვერდებში დაგიწყებს კბენას.

ყველაზე მეტად ტატეს ნაჯახი მტროობდა. რა ეშმაკი ჰქონდა შემძვრალი, ვერ გეტყვით, ტატეს დანახვა და ფხაზე მოსვლა ერთი იყო, ლაპლაპს დაიწყებდა ის ტიალი. მაშინ რომ შეგეხედათ ტატესთვის, გული ჩაგწყდებოდათ, ისე მორიდებით, მოკრძალებით, შიშით და ამოურწყავი ზიზღით უყურებდა ხისტარიან ფოლადს.

„ერთი უნაჯახოდ იჭრებოდეს ეს ოხერი შეშა და მომკლა მერეო". — ინატრებდა ხოლმე გულში და იმწამსვე მოეშხამებოდა გუნება, წინამორბედი რომ არ ჰყავდა ამ საქმეს.

ტატეს ცოლი იმდენად იყო შეჩვეული ქმრის ხელმარცხეობას, რომ სადაც არ უნდა წასულიყო ტატე: სამკალად, სახნავად, სათიბად, ტყეში თუ ღობემესერის შესაკეთებლად, სულ კუდში დასდევდა. ტატე ერთ უარზე მეტს არც ეტყოდა ხოლმე, თავის ბედის ირონიას ირონიული ღიმილით უპასუხებდა და მერე ცოლს მიაძახებდა: აფთიაქის წამოღება არ დაგავიწყდესო. ცოლიც, რა თქმა უნდა, ქმარს იმისთვის მიჰყვებოდა, რომ სასწრაფო საექიმო დახმარება ადგილზევე აღმოეჩინა. მიტომაც იყო ხოლმე, რომ სასაგზლე ჩანთაში წამლებსა და დოლბანდის გორგალს მეტს ალაგებდა, ვიდრე სადილ-სამხარს. შუადღით კი, როცა უკან ბრუნდებოდნენ, საგზალი ხელუხლებლად იდო ჩანთაში, დოლბანდი და იოდ-მალამო კი ყუაზე იყო მისული...

ნაჯახისა არ იყოს, ტატეს ცელიც არანაკლებ ხეირს აყრიდა და, საერთოდ, ყოველნაირი გამჭრელი მისი დაუძინებელი მტერი იყო. სისხლით მაქვს მორწყული მიდამოო, ტატეს შეეძლო დაეტრაბახებინა.

შემოდგომაზე ტატემ ცოლის გარეშე სამი დღე იარა ტყეში. არც „აფთიაქი" წაუღია და არც არაფერი მისდაგვარი. მარტოდ მიდიოდა და მოდიოდა. ცოლს უკვირდა, რა ღმერთი შეეწია, ასე უშოშოფოდ რომ შრომობსო. ერთხელ ჰკითხა კიდეც, ხელი ხომ არ გამოგეცვალაო, მაგრამ ტატემ ცალყბად გაიცინა და ღმერთსა და ტყე-ველს ჩემი სისხლი აღარ სჭირდებაო, ჩუმად ჩაილაპარაკა. ნეტამც ეგრე იყოსო, ცოლმა კვერი დაუკრა.

...და, თქვენ გგონიათ, ტატე შეშას ჭრიდა? ნურას უკაცრავად! ტყეში წასვლის წინ შეივლიდა მაღაზიაში, კასრის გვერდით მიმალულ ღვინით სავსე ნახევარფუთიანს წამოავლებდა ხელს, მერე ტყეს სხვა გზით აუყვებოდა, ავიდოდა საშეშე ადგილამდე, წამოწვებოდა და ვინმე ნაჯახიან თანასოფლელს ელოდა. მთელი სამი დღე ძეხორციელს არ გაუჭაჭანებია იმ მხარეს, რომ ტატეს გადაჰყროდა. არადა, ვინც არ უნდა ყოფილიყო, მოიხმარდა, აბა, მეტი რისთვის მიჰქონდა ყოველდღე იმოდენა ღვინო, პური და მარილი. პატარა ხელი წამიკარით, რაცხა გამჭვალა და ჭამის ფასსაც კი ვერ გავაკეთებო, ასე უნდა

ვაჟა ჩოჩდელი
ვოთბრიგადები

ეთქვა, ვინც უნდა შეხვედროდა, მაგრამ...

სამი დღე ტყეში უსაქმურად ტანტალი ტატეს ნერვებს უწყვეტდა. მაღაზიაში მაინც მევაჭრაო, გეგმას ადრევე მაინც შევასრულებდიო, სულ ამას ფიქრობდა. დღესაც წავალ და ჯანდაბა ჩემს თავსო, — თქვა ბოლოს და ისევ მოამზადებინა ცოლს სადილ-სამხარი, ისევ ძველი გეგმა აირჩია, ჩავიდა, მაღაზია გააღო, და, ის იყო, სამი დღე აქეთ-იქით ხელუხლებლად ნატარები ნახევარფუთიანი უნდა აეღო, რომ მანქანის ხმა შემოესმა. ბედი გქონია, ტატე, უთხრა თავის თავს, მანქანით ავლიოთ აღმართები და მერე გადავუხვიოთ ტყეში, ასე არ სჯობია, ტატე? კი ბატონო, სწორი ხარო, უთხრა ტატემ ტატეს. მერე მაღაზია დაკეტა და გზაზე გავიდა.

ვეებერთელა მანქანა ხვნეშა-ზმუილით უახლოვდებოდა ტატეს.

ტატემ ხელი დაუქნია, მძღოლმა მანქანა [illegible] გაჩერა და კაბინის კარიც გაუღო.

— შენ აგაშენა ღმერთმა, შენმა მარჯვენამ იხარა, სულ კაცურად გევლოს, — კაბინაში ჩაჯდომას დააყოლა ტატემ.

— იცოცხლე!

— რა მიგაქვს ასე წელიწყვეტით? — ჰკითხა ნოქარმა.

— წარმოებაში მუშებს გათბობის სისტემა შეუცვალესო, ასე გვითხრეს, შეშით კი არა, ქვანახშირით უნდა გაუთბონ ბინებიო, ჰოდა, მიმაქვს კიდეც. ცოტა მეტი მომივიდა, ხუთი ტონა დავუდე და მანქანას ღმერთს აცლის.

— როგორ, კაცო, შეშა აღარ იქნება საჭირო?

— ფრჩხილისოდენას ჩაუყრი ძირს, ზედ დააყრი ამ შავ ქვას და გათავდა, ღუღუნებს ღუმელი, შეშა მოგონილია მაგასთან, ისეთი ცეცხლი იცის, რომ გაგიკვირდება, დღე-ღამეში ორჯერ დაუმატებ ასე, ორი-სამი პეშვისოდენას და მორჩა, მიდექი და გემოზე გათბი, გაგიხარია მთელი ზამთარი. მე, კაცო, სულ მაგას ვხმარობ, აბა, შეშისთვის სად ვიწვალო, მაგის დრო მაქვს? — თქვა მძღოლმა და მოსახვევში საჭე ღონივრად მოღრიცა.

ტატემ თვალი იბრუნა, უკანა პატარა მინაში გაიხედა და ძარაზე დაყრილ ქვანახშირს იჭვნეული მზერა დაადგა, მერე მძღოლს შეხედა ამრეზით, ხომ არ ციგნობს ეს მამაძაღლი, მაგრამ ვერაფერი იმდაგვარი რომ ვერ შეატყო, გულს მოეფონა.

ზომაზე მეტად დატვირთული მანქანა ამოთხრილ, ნახევრად ხრეშდაყრილ ორმოებზე მძიმედ გადად-გადმოდიოდა, ძარა აკვანივით ირწეოდა და ქვანახშირს ძილისპირულივით უნანავებდა.

ტატემ ერთი შევლება კიდევ შეაკლო თვალი შავი ქვით გაძეძგილ ძარას და უცბად სასიამოვნო ფიქრმა გაუელვა. ფიქრიც არის და ფიქრიც, ასეთი, პირდაპირ ტატეზე მორგებული საქმე ჯერ არ გამოუგონია ღმერთს და აგერ, რამდენიმე წუთში მეორედ დაბადებასავით მოევლინა. კარგია, ძმაო, კარგი, ჩემთვის ყოფილა მოგონილი ეს კურთხეული შავი ქვა, აღარც ფეხს მოვიჭრი, აღარც — ხელს, არც შეშა მომხვდება ცხვირსა და შუბლში ჭრისა და ჩეხვის დროსო. აშენდა შენი მომგონი და აქეთ გამომგზავნიო.

— მაღაზიაში ღვინო გაქვს? — ფიქრიდან გამოიყვანა მძღოლმა ტატე.

— კასრი რომ თავქვე დავამხო, სოფელს წალეკავს.

— ძალიან კარგი. გუშინ ბიჭებმა პრემია ავიღეთ, როგორც ეტყობა, შენს მაღაზიაში მოგვიწევს პურის ჭამა.

— მოგიკვდეთ ტატე, ტყეს მოუკვდა პატრონი, საერთოდ არ გავადგამ ფეხს, თუ თქვენისთანა ვაჟკაცები არ გამომელევა. — ქება დაუწყო მძღოლებს ტატემ.

— ათი მანქანა მოვდივართ, ყველას ქვანახშირი მოგვაქვს.

— რა მაგის პასუხია და, ორი მანქანა რომ ჩემს ეზოში დაყაროთ, ფულს მოგცემთ, ტყუილად კი არ მინდა, ქვეყანა დაიქცევა?

— ქვეყანას ორი მანქანა კი არა, მთელი ტყვარჩელი შენს ეზოში რომ დავყაროთ, იოტისოდენა არაფერი დაკლდება, ისე, გამოწერით რომ იყიდო, კაპიკები დაგიჯდება, მოტანას არ დაგზარდები, თვითონ მოგიტან.

— ესე იგი, არ წავიდე ტყეში? — სიხარული ვეღარ დამალა ტატემ.

— რა გინდა ტყეში, ტყესა და წყალს თუ არ გაუფრთხილდი, რაც დაგრჩება, მერე ნახავ, ქვეყანა დაიქცევა და შავი ქვაც არ დააყოვნებს, შენ რომ იცი, ის შავი ქვა, წარწერიანი...

— ქვეყანა თუ დაიღუპა, მერე წარწერას ვიღა გააკეთებს შავ ქვაზე?

— ღმერთი.

— თუ ეგრეა, მაშინ შავი ქვა შენსა და ჩემს დამაწყევარსა და შემაგინებელს, მარა, ისე, როგორც შენ თქვი, კარგია შავი ქვა, არა? — დააყოლა ბოლოს ტატემ.

მძღოლს გაეცინა.

— არა, ნუ იცინი, წარწერიან შავ ქვაზე კი არ გეუბნები, აგერ, ძარაზე რომ ყრია, იმაზე.

— შავი ქვაა, რაცაა, იცოდე შენ მაგი, მთელი ქალაქი შავ ქვაზეა გადასული.

— გააჩერე მანქანა. — უთხრა ტატემ მძღოლს.

— რა იყო?

— გააჩერე!

— კი ბატონო.

— ჩამოდი ახლა ძირს, შორი გზიდან მოდიხარ, მოშიებული იქნები. ამ ხასხასა მინდორზე ვისადილოთ, სხვა მანქანებიც მოვლენ. ნახევარფუთიანი მაქვს, ყველი მაქვს, პური, მწვანილი, ხორცი მაქვს და მარილი და გული მაქვს კიდევ კაცური.

მძღოლმა ჯერ ტატეს უყურა ცოტა ხანს, მერე ხორაგით სავსე ზურგჩანთას, მერე გაღმა გაიხედა, უკან მომავალი ბიჭების მანქანების ხმას მიაყურადა, მერე ისევ ტატე აათვალიერ-ჩაათვალიერა და მინდორზე გავიდა.

ტატემ ჭიქა შეავსო, მაღლა შემართა, დღეის ამას იქით შავი ქვა ნუ მოუშალოს ტატეს ღმერთმაო, თქვა და გადაჰკრა.

მძღოლს სიცილი წასკდა...

●

— ჯერ ოჯახის, ცოლის წინაშე უნდა ამაღლდე, მერე სოფლის თვალში უნდა ამაღლდე, საკუთარ თვალშიც უნდა ამაღლდე, ყველგან და ყველაფერში უნდა ამაღლდე, აპა, როგორ გინდა იცხოვრო ამ მოკლე წუთისოფელში? ჰოდა, მე ვიცი, აწი, როგორც ვიზამ! — სულ ამაზე ფიქრობდა ტატე ორი დღეღამის განმავლობაში.

მესამე დღეს, როგორც მძღოლებს მოელაპარაკა, ქვანახშირს მოუტანდნენ და კარგი პურიც უნდა ეჭამათ. მართალია, ცოლისთვის არაფერი უთქვამს, მაგრამ თვითონ თადარიგი მაინც დაიჭირა. წინა დღეს ხორცი იყიდა, ღვინოც აიტანა სახლში მაღაზიიდან, ცოლს ხაჭაპურისთვის ხაჭოში აზელილი ყველი შეანახვინა, გუმანი მაქვს, სტუმრები მოვლენო.

თვალსა და ხელს შუა შემოადნა ტატეს დათქმული დღე. მძღოლები არ გამოჩნდნენ. ნერვებაშლილი მუშაობდა, ამვლელსა თუ ჩამვლელს, ვინც კი მაღაზიაში შეივლიდა, ამრეზით უყურებდა...

გვიანი საღამო იყო, ტატე რომ სახლისკენ მიმავალ გზას გაუყვა. მიდიოდა და ერთი ახირებული ფიქრი ტვინს უბურღავდა.

„ერთიც არის და არ მოვიდნენ, რას შვრები მერე, ტატე გაჭირვებულო, შეშა შენ არ მოგიჭრია და ერთი და მეორე, რით აპირებ ზამთრის გადათრევას? სირცხვილი ვერ გაგითბობს ოჯახს, იცოდე შენ, რაღაც უნდა გამოიგონო. ისიც კი უნდა იკადრო, შეშა მომპარეს, ზამთარი ჩამიმწარეს ვიღაც ვიგინდარებმაო, ქუჩა-ქუჩა დადიოდე და გაიძახოდე, ვაი, სირცხვილო! შენ

ვაჟა ჩორდელი
მოთხრობები

რა გითხრა, ღმერთო, მოგეცა ნაღდი მარჯვენა და მძღოლების იმედსა და შავი ქვის მოლოდინის სიხარულში ვიქნებოდი? მეტი მტერი არ გყოლოდა მერე, შავ ქვაზე რომ ვიფიქრებდი, მარა, ეჰ-ეჰ-ეჰ, ვაი, შენს მარცხენას ტატე!" — თქვა ტატემ, მარცხენა ხელს დახედა, დააფურთხა და მერე გულმოსულად გააქნ-გამოაქნია.

იჯდა ტატე სახლში, მაგიდასთან, პატარა, წელში გამოყვანილი ჭიქით ღვინოს სვამდა და შავი ქვა შავ ქვასავით აწვა გულზე. მაგიდის გვერდით ცოლი ჭირისუფალივით ეჯდა და ვერ გაეგო, რა ბოღმა უტრიალებდა ქმარს გულსა და გონებაში. იქით კი, ღუმელში ახლად შეკეთებული შეშა ტკაცუნობდა, ბავშვები პატარა სამფეხებზე ჩამომჯდარიყვნენ და ნაცარქექიას ამბავს ჰყვებოდნენ...

●

შავ ქვაზე ფიქრში მეათე დღე ილეოდა.

საღამო ჟამს, ის იყო, ტატეს მაღაზია უნდა დაეკეტა, რომ მანქანის ხმაური შემოესმა. ყურიც არ ათხოვა, ხელჩაქნეული იყო უკვე შავი ქვის ამბავზე და ახლა იმას ფიქრობდა, ვისგან ეყიდა ერთი-ორი წლის უკან მოჭრილი შეშა, ხმელი და კარგი, რომ ზამთარი ისე გადაეგორებინა, სიცივე არ ეგრძნოთ ცოლსა და ბავშვებს. ეს ყველაფერი ისე უნდა გაეკეთებინა, სოფელს ეჭვიც კი არ შეპარვოდა ტატეს კაცობაში. თორემ, სირცხვილი ცოტაა იმასთან, სოფელმა რომ აკლება იცის, მტრის კარს, მის ყბაში ჩავარდნა, ნიანგის ყბა სალოცავ ხატად მოგეჩვენება მერე. დიდი, დიდი ყბა აქვს სოფელს!..

მაღაზიასთან მანქანა გაჩერდა. ძრავამ, აქამდე რომ გულხეთქებით მუშაობდა, ცოტა ამოისუნთქა, თიფთიფით გააგრძელა თავისი საქმე. მძღოლმა სიგნალით ამცნო ტატეს, მოვედი და გამოიხედე გარეთო.

ტატე დინჯად გავიდა და დაინახა ის მძღოლი, არსენა, შავი ქვის საიდუმლო რომ გაანდო, ტატესკენ იხედებოდა და იღიმებოდა.

— გამარჯობა, ტატე! — დაუძახა მძღოლმა.

— არსენას გაუმარჯოს, არსენას! სად დაიკარგე, ბიჭო, მომკლა ლოდინმა და ეგ არის! სირცხვილი შენ, ტატეს კაცი მოატყუებს? შენს დანაპირებზე ის შეშა გავყიდე კიდეც და რომ არ გამოჩნდი, ვიფიქრე, ნამდვილად დავიღუპე-მეთქი, კიდევ კარგი, გამოჩნდი, შე ღმერთძაღლო, შენა! — ხმამაღლა ეუბნებოდა ტატე.

— შენ არსენას არ იცნობ. ცუდი ამბავი შეხვდა ჩემს მეგობარს, მანქანა დაამტვრია, ვეხმარებოდი და დღემდე აქეთ პირი არ მიქნია, მოვრჩი თუ არა კარგი ბიჭის ამბავს, პირდაპირ შენკენ გამოვწიე, მოვკალი მანქანა, რვა ტონა დავუდე, მარა, შენისთანა კარგ კაცს ალალად დააწვევინოს. — დააყოლა მძღოლმა.

— რა, რა მოიტანა? — დასაწვავიო, რომ გაიგონეს, აქეთ-იქიდან იკითხეს გაკვირვებულმა მეზობლებმა.

— თქვენ მაგას გაისად გაიგებთ, ახლა არაა მაგის ახსნა-განმარტება საჭირო. — თქვა გამარჯვებულმა ტატემ, კაბინაში ჩაჯდა და პირდაპირ წადიო, მძღოლს უთხრა.

— რაა ეგ, მშენებლობას იწყებ თუ რა ეშმაკია, ან და შავი ქვით რის აშენებას აპირებ? — გაოცებული შეეკითხა ცოლი ქმარს, როცა ტატემ მანქანის ძარიდან, ჭიშკრის წინ, ქვანახშირს გულიანად დაუწყო გადმოცლა.

— შავი ქვისა რა გესმის შენ, მაგას გაისად გაიგებ. უნდა გეკითხა წიგნი ბავშვობაში და არ დაგჭირდებოდა მერე ბევრი მიეთმოეთი. — უთხრა ტატემ ცოლს და გაიცინა.

არსენას გაეღიმა.

— კაცო, შენ სულ მაგრე რაღაცნაირად ნუ იღიმები, თორემ ცოლი ამ წვალებას არაფრად ჩამითვლის, მე შენ გეტყვი, ბევრი რამე იცის ამ შავი ქვის

მათემატიკისა, აი, წიგნში არ ჩაუხედია, თავის დღე-მოსწრება ძროხებს დასდევდა ტყეში. — თქვა ტატემ ცოლის გასაბრაზებლად და შუბლზე მომწყდარი ოფლი სახელოთი მოიწმინდა.

— მაგ ქვას განსაკუთრებული ღუმელი სჭირდება, როგორც გითხარი მე, ამიტომაც გიყიდეთ და მეორე მანქანას მოაქვს, ისე, ცოტა მოუჩქარე, მათემატიკა და ასტრონომია არ გიშველის, მეც მაქვს ოჯახი, დღესვე უნდა დავბრუნდე, დაცლისთანავე, აუცილებელი საქმე მაქვს, თორემ ქეიფს ვერავინ დამასწრებს, მაგისთვის ვარ, როგორც ეტყობა, გაჩენილი. — უთხრა არსენამ ტატეს და ძარაში ჩაიხედა, რამდენი დარჩა კიდევ ჩამოსაცლელიო.

— კი ბატონო, ჰა ბატონო. — აუჩქარა ტატემ.

ცოლი გაკვირვებული შესცქეროდა ქმარს და ვერ გაეგო, რა ხდებოდა, რა საჭირო იყო შავზე უფრო შავი ქვა ოჯახში. ერთი ფიქრით ისიც კი გაივლო გულში, ეზოს მოოჭვა ხომ არ უნდაო, მაგრამ ამაზეც დიდი ეჭვი შეეპარა, რადგან მძღოლი და ტატე შავი ქვის დაწვის სიმარტივესა და სიკეთეს ენიდან არ იცილებდნენ.

ტატეს ბავშვებიც გარეთ იდგნენ და შავ ქვას უნდობლად უყურებდნენ.

— არიქა, ბიჭო, დაღამდა, ძალიან მეჩქარება! — შესძახა მძღოლმა ტატეს, როცა მანქანის ქვეშიდან გამოძვრა და ძარაზე შეიხედა.

ტატემ სახვეტი ერთი ორჯერ ძალუმად მოიქნია. მესამედ, მისდა საუბედუროდ, ძარაში მაღლა ამოწეულ ჭანჭიკს წამოსდო, ხელები მოუსხლტა, შექანებული წაბორძიკდა და ძირს, ქვანახშირის გროვაზე, უღონერთოდ დაეცა... დაეცა და ერთი ისეთი შეჰყვირა ქვეყანას, რომ ცამაც ჩამოხედა...

●

ნახევარი ზამთარი ტატემ საავადმყოფოში გაატარა... კიდევ კარგი, მეტი არ დასჭირდა მის ცხრადდაფშვნილი გვერდის სამ ნეკნსა და შაბივით ორად გადატეხილ ლავიწის ძვალს.

— ყველა ნეკნი რომ გამტეხოდა, ბეჭი ან თეძო ამომვარდნოდა, გინდაც კისერი მომეტეხა, მერე რა, იმად არ ღირდა, რომ ამხელა საქმე გავაკეთე? მსხვერპლს მოითხოვს ყველა დიდი საქმე, ყველა დიდი წამოწყება. გაკეთებულ საქმეზე, გაგიხარია, თავს სხვები გამოიდებენ, მაგრამ ნურას უკაცრავად, არავის არაფერი შეეშალოს, ცივილიზაცია მე შემოვიტანე სოფელში და ღმერთის მაგიერ ჩემზე უნდა ილოცოთ! — სულ ამ ხუმრობით ინუგეშებდა ტატე თავს მნახველების წინაშე...

...იმ წელიწადს, რამდენიმე ოჯახში, შავი ქვა მართლაც იწვოდა...

როლის ამოლის მზე

ის-ის იყო ადრეული შემოდგომა სოფელს კარზე მოადგა, რომ სამი თვის უკან გამოკეტილ ბიბლიოთეკაში ახალი ბიბლიოთეკარი მოვიდა. მოვიდა და, მოგეცათ ლხენა, მანამდე კოლმეურნეობის კანტორის გარდა სხვა რაიმე გასართობი რომ არ გააჩნდა სოფელს, ბიბლიოთეკის ოთახის კარის გაღებამ ახალი, რომ იტყვიან, გაუგონარიო, ისეთი სინათლე შემოიტანა მთელ მიდამოში. ვისლა ახსოვდა კანტორა, გართობის ცენტრმა ბიბლიოთეკის ოთახში გადაინაცვლა — სოფლის დიდი და პატარა, განსაკუთრებით წვიმიან ამინდში, ბიბლიოთეკის მომცრო ოთახში იყრიდა თავს: ყველაფერი იქ ითქმოდა და იქ იდგამდა ფეხს. იქამდე მივიდა საქმე ორ კვირაში, რომ ბიბლიოთეკას სოფლ-ჭორი დაარქვეს. კაცი კაცს ქუჩაში რომ

ვაჟა ჩოჩდელი
მოთხრობები

შეხვდებოდა და კითხავდა, სად იყავი, ან საიდან მოდიხარო, სოფლჭორში კიყავიო, უმალვე შეაგებებდა. ერთი სიტყვით, სხვას რომ თავი დავანებოთ, ბიბლიოთეკის ოთახი ახლად წვერშეღინღლული ბიჭებისთვის ფართო ასპარეზად გადაიქცა...

უპირველესად, რაც მთავარია სოფლის ენისთვის, გასათხოვარი იყო ნათელა ბიბლიოთეკარი. მისი მოსვლა იყო და შეიქნა ერთი ამბავი, ჩურჩული და პუტუნი, მითქმა-მოთქმა, შუამავლების გამოძებნა, ნაკისნაკისი ნათესავების გამოკითხვა, ჰაი, აქეთი, ჰაი, იქეთი, ვინ ვის, სად და რას ეკითხებოდა და ამოწმებდა, ვერ გაუგებდით ასავალ-დასავალს...

ყველაზე ავ ქალად იყო ცნობილი სოფელში ტერეზა, ავიშმაგის ქვრივი, და ყველაზე საყვარელი და მოსაფერებელი შეიქნა იმ დღის შემდეგ, რაც ნათელა მისი მდგმური გახდა. იმ დღის მერე ტერეზას არც თივაზე უფიქრია, არც შეშის მოჭრა-მოტანაზე და არც ღობე-მესერის სარ-სახრეზე და ყორის ქვაზე — საცოლედ შეღერებული ბიჭები დილიდან-საღამომდე მკლავებდაკარწახებულნი თავს დასტრიალებდნენ ავიშმაგის ქვრივს.

ნათელას მოსვლის დღიდან მალაქას ბიბლიოთეკაში ტახტი და ლოგინი არ ჩაუტანია, თორემ გაღებიდან დაკეტვამდე იქ იჯდა და ბიბლიოთეკარს თვალებში შესციცინებდა.

მალაქას ბუხრის შესანთებ შეშას ვერ შეატანინებდით სახლში, ნაჯახს ვერ ააღებინებდით ხელში დავიდარაბის გარეშე, ბიბლიოთეკაში ნაადრევად აციებულ შემოდგომის ჟამს კი შეშის ჩეხვასა და ღუმელის დანთებას ვერავინ ასწრებდა — პირველი კაცი იყო ამ დარგში ბიბლიოთეკის სტუმარ-მოყვარეთა შორის.

უყურებდა ნათელა მალაქას და ეღიმებოდა ჩუმ-ჩუმად. იჯდა მალაქა და გადმოფოფრილი წარბების ქვემოდან მალულად შესცქეროდა ნათელა მდივანს...

ბიბლიოთეკარის მოსვლა იყო და იმ დღის მერე სოფელში ღვინო ისე არ დაილეოდა, რომ ბიჭებს ერთი-ერთმანეთისთვის პატარა არ მიერტყ-მოერტყათ ცხვირ-პირში. ნათელა კი იჯდა თავისთვის სამსახურსა თუ ტერეზას სახლში და ინსტიტუტის დამთავრებაზე ფიქრობდა.

ნათელა მდივანს ჰადო სოკოს ფერი ტუჩები, შავი თვალები, სწორი ცხვირი, გრძელი სახე და ნახევრად ხვეული, მხრებზე ჩამოყრილი წაბლისფერი თმა ჰქონდა. ტკბილი, აზრიანი და ალერსიანი საუბარი იცოდა. ღიმილი იმდენად უხდებოდა, რომ გინდოდა არ გინდოდა, სულ იმის ღიმილზე დაიწყებდი ფიქრს. ყველაფერს ამას თუ გავითვალისწინებთ, რა თქმა უნდა, ბიჭებს ერთმანეთის ცემა-ტყეპა არც გაემტყუნებოდათ...

●

ანთიმოზს წესად ჰქონდა, გამოძვრებოდა თუ არა საბნის ქვეშიდან, ლამპას აუწევდა, ბუხარს შეუჩინჩხალებდა, ნაკვერცხალს ნაკვერცხალზე მიადებდა, ზედ წკირებსა და კვარის ნაფოტებს დააწყობდა, სულს შეუბერავდა და ბუხარს პირს გაუხსნიდა. ნახოს სოფელმა, ქვეყანამ ნახოს, ცამ ჩამოიხედოს, ანთიმოზი ისევ ის ანთიმოზიაო!

ბუხრის გვერდით, აი, იმ ბუხრისა, აშენების დღიდან გაბუტულივით რომ მიდგომოდა ქვიტკირის კედელს, ათადან და ბაბადან გადმონაყოლი ტახტი იდგა. ტახტი და ბიჭი, წყლისა და თევზის არ იყოს, ისე იყვნენ ერთმანეთს შეჩვეულნი, ძეხორციელს ცოდვად ჩაეთვლებოდა მათი გაყრა — უსაშველო ძილი უყვარდა მალაქას, სანამ არ მოიმთავრებდა, ლოგინიდან ფეხს არ გამოყოფდა.

ყოველი ცისმარე დღე ანთიმოზის ოჯახში კამათით იწყებოდა...

— ადე, ბიჭო, ადე, აეთრიე, აწოწდი, ერთხელ ხომ უნდა დაესწრო მზის ამოსვლას, ერთხელ ხომ მაინც უნდა ნახო, ამ მთაში, ამ ლამაზ ქვეყანაში როდის

ამოდის მზე! ადე, ადე, საცაა შუადღე მოვიდა, აშენდა სოფელი, შე მამაძაღლო შენა, ვის დაემგვანე ასეთი ზარმაცი და ოხერი, ვისი სისხლი გამოგყვა, ვიცოდე მაინც, იმ შობელძაღლისა, იმისა!

— ჰოო, ვდგები, რა იყო, კაცო, წუხელ ქანდარაზე ხომ არ გეძინა დომენტის მამალივით, აცალე, გათენდეს, მოიხადოს ტყე-მინდორმა დელგმა. — თვალსაც არ გაახელდა მალაქა, ისე ამოყრიდა დაზეპირებულ სიტყვებს.

— შენც კარგი ვინმე ხარ, ანთიმოზ, — შვილის დაცვას გაუბედავდა ცოლი ქმარს, — საზრდელია, საზრდელი, ბავშვი ძილში თუ არ გაიზარდა, ტყესა და სათიბ-სათოხარში ვერ გაიზრდება, აცალე ცოტა, გაუმაგრდეს ძვალი, დაუმსხვილდეს წვივი, მოიმაგროს მუხლი და მერე თუ არ მოგეხმარა, ჩემთან ექნება საქმე...

— ქალო, მაგ სისულელეებს თავი დაანებე! მაგას რომ წვივი გაეზრდება, დამუხლდება, დავაჟკაცდება და თანაც სიზარმაცეში ექნება ხელი და გული გაწაფული, მოგეცა ლხენა, დაჯდება მერე, მუხლს მუხლზე გადაიდებს დიდკაცურად და მზამზარეულს მოითხოვს, ასე ვარ გაზრდილი და ასე უნდა ვიცხოვროო, რას შვრები მერე? მე ცასა და მიწას კი ვერ გამოვეკერები, ვბერდები, ვჩაჩანაკდები, მუხლში წყალი მიდგება...

— კაი, კაცო, კაი, შენ არაფერი გეტყობა მუხლში წყლის ჩადგომისა, მე უკეთ არ ვიცი?.. ნაჯაფი ხარ თუ ნასვამი, გულის ამოჭმა იცი...

— უკუღმართი ნუ ხარ, ქალო, შენ!.. დღეს არ მეტყობა, ხომ? ხვალ, ზეგ დამეტყობა, მერე წელში ოთხად მოკეცილი ბებერი გინდა მეფის ტახტზე დასვი და გინდაც ამ ბუხართან, ერთი ოხერი იქნება!

— კაი, ბატონო, კაი, როგორც გინდა, ისე ქენი, ბატონი ბრძანდები!

— სხვანაირად ნუ მელაპარაკები, ქალო, შვილი მტრად კი არა, ათჯერ მტრად უნდა გაზარდო, თუ გინდა ოჯახსა და ქვეყანას მოყვრად გამოადგეს. ეს სიტყვა ჩემამდე ბარე მილიონზე მეტ კაცს ექნება ნათქვამი და რამდენიმეს შესრულებული. გვეშლება, ძალიან გვეშლება, არ ვართ სიტყვის ხალხი, შეცოდების, მოფერების, შეწყალების, სიბრალულის ხალხი ვართ და მიტომაცაა, წელებზე ფეხს ვიდგამთ და აი, ასე რომ ვცხოვრობთ, ასე! — ხურდასავით დაუბრუნებდა ანთიმოზი მოკამათე ცოლს და ხელს ბუხრისკენ გაიშვერდა.

მშობლების კამათი და ერთმანეთის ჭკუის სწავლება, ვინ იცის, როდი-როდის წამოაგდებდა საწოლიდან ძილგატეხილ ბიჭს...

●

ნათელა მდივნის სოფელში მოსვლის დღე იყო და იმ საღამოსვე მალაქა ვეებერთელა ტახტზე ვერაფრით ვეღარ დაეტია. უკვირდა კიდეც, ადრე მთელი ჯალაბობა ეტეოდა და ახლა მე რა ეშმაკი დამეცაო, გუშინ და კიდევ იმის წინ აქ არ ვიწექიო? რა დამესია ასეთიო! ბევრი არ უფიქრია, უცბად აღმოაჩინა, ტახტი არაფერ შუაში იყო, ნათელა იყო შუაშიც და ნაპირზეც...

გათენებამდე ჯერ კიდევ იმდენი დრო იყო დარჩენილი, სამი სოფლის მამლებს თავი რომ მოეკლათ, ვერაფერს გახდებოდნენ, ღამებნელს საშველს ვერ დააყენებდნენ. ანთიმოზი კი უკვე ბუხარს მიდგომოდა და წკირებს აწყობდა.

ცეცხლი აინთო.

ანთიმოზმა ტახტისკენ იბრუნა თვალი. ბიჭს ღრმად ეძინა.

კაცმა უყურა და უყურა მძინარე ბიჭს, მერე ადგა, მივიდა, შეანჯღრ-შემოანჯღრია, გამოაღვიძა და უთხრა:

— ადე, ადე, სანამ ხარ-ურემს გავმართავ, ჩაიცმევ კიდეც, მეორედ არ მათქმევინო, გაიგე?

ნათელა მდივანზე ფიქრში როდი-როდის ჩაძინებულ მალაქას უდროოდროს გაღვიძებამ ხასიათი გაუფუჭა. თვალები მოიფშვნიტა, წელათრევით

ადგა, ზანტად ჩაიცვა, დაიხურა და ბუ-ხართან მივიდა. ხან ერთი, ხან მეორე გვერდი მიაფიცხა ცეცხლადქცეულ კუ-ნძებს, მერე კი გარეთ გავიდა, ცოტა ხანს გაჩერდა, რამდენჯერმე ღრმად ჩა-ისუნთქა და ამოისუნთქა, მერე, იქვე, ორიოდე ნაბიჯზე ღელის წყალი რომ მილიკლიკ-მიჩხრიალებდა, იმას უსმინა, ვარსკვლავებით მოოჭვილ ცას შეავლო თვალი, ბოლოს კი მამას, ხარებსა და წასასვლელად გაწყობილ ჩოჩიალა ურ-ემს გახედა ცალყბად.

...გრძელი ნაბიჯით იმოკლებდნენ გზას დაუღლელი ხარები. პირუტყვის ფართო ნესტოებიდან საბერველივით უბერავდა თბილი ჰაერი.

ის იყო მთაში ავიდნენ, რომ შორეულ-ი მზის ციალი ჩამოვარდნილი ნამის მომცრო წვეთივით დაეცა გაღმა-გამო-ღმეთს.

— ხოო-ხიი, ხოო, ლომა! — შეუძახა ანთიმოზმა ხარებს, როცა დანიშნულ ადგილს მიადგნენ.

ხარებმა ჯერ ნაბიჯს უკლეს, მერე კი გაჩერდნენ. ანთიმოზმა ურმიდან პირ-დაპირ მინდორზე გადაალაჯა, გვერდზე მოქცეული ქუდი მჭიდროდ მოირგო კეფაზე, ხარებს წინ მოუარა, ურემი დაუხსნა, აპეურები ცალ-ცალი მხრიდან ტაბიკებს წააძრო და საბლიანი ხარები ბალახზე მიუშვა.

მამა-შვილმა პატარა წაიხემსა, მერე კი თივის მოგროვებასა და ურმის და-ტვირთვას შეუდგნენ.

ჩოჩიალა ურემი ნელ-ნელა გაიზარდა, გამოიკუთხა. თოკით ერთმანეთს გადაბ-მულმა შინდის ხის კავებმა კისრები დაიგრძელეს და თივა აქეთ-იქიდან ჩამუჭეს.

— ესეც ასე, ამით დამთავრდა ჩვენი წლევანდელი თივობა, მორეკე ხარები, — უთხრა ანთიმოზმა შვილს და ურ-ემი და თივა ერთხელ კიდევ შეათვალიე-რა საგულდაგულოდ.

მალაქამ ჯერ ურემსა და თივას შეხე-და ზანტად, მერე მამამისს და ხარების-კენ სწრაფი ნაბიჯით წავიდა. ანდა, რო-გორ არ წავიდოდა, სოფელში ბიბლი-ოთეკა და ნათელა ეგულებოდა.

ანთიმოზმა ხარები შეაბა, პირჯვარი გამოისახა და ჰა, ლომაო, შეუძახა.

ხარებს, ისე მაგრად მოსჭიმა ქედზე უღელმა, თვალები გადმოცვენამდე და-უფართოვდათ.

მეურმეებსა და ხარ-ურემს თვეობით მთაში სიარულით გზა ისე გაეტკიცათ, გაგიხარიათ, ყველი რომ დაგვარდნო-დათ, მტვერი არ მოეკიდებოდა.

ისე კი, კაცმა რომ თქვას, დიდი ოხე-რი და ტიალი გზა იყო, ათასი ღელე-ხე-ვი, განი და ციცაბო იყო გასასვლელ-ასავლელი. ანთიმოზი დაღმართებსა და დაქანებულ ადგილებზე გვერდითა კავს იყო ჩაფრენილი და ურემს მთელი ძალით იჭერდა, რომ არ გადაბრუნებო-და, მალაქას კი მაგრად ჩაევლო საბლი-სთვის ხელი და წინ მიუძღოდა ხარებს, მესაჭე იყო.

განსა და აღმართში დიდი შრომა არ ადგა მალაქას. დაღმართში კი, შიშისგ-ან, ცოტაზე მეტს ჩინჩხალობდა კიდეც, ისე ჩქარა და მოხერხებულად უნდა ევლო, საქედურზე ურემმიწოლილ, ნა-ბიჯაჩქარებულ ხარებს ქუსლებზე ფეხი რომ არ დაედგათ. მიტომაც იყო, განსა და აღმართში თუთუნს გაუმცდარად აპლაკუნებდა და ნათელა მდივანზე ფი-ქრობდა, დაღმართში კი — საკუთარ ქუსლებზე.

შემოდგომა ადრე სწვეოდა მთას. სა-ცოცხე ხეები და ჯუჯა ნეკერჩხლები ფოთოლცვენას შესდგომოდნენ. სამაგ-ეროდ ჯიუტი, ღელის პირზე ამოსული თხმელები სულაც არ უყურებდნენ შემოდგომის ნაადრევ შემობრძანებას, მწვანედ შრიალებდნენ.

ხარები განი გზით მიდიოდნენ. მალა-ქამ ბუჩქიდან მაღალი, ხმელი ბალახის ღერო გამოიწიწკნა, შუაზე გაკეცა და გაზეთის ქაღალდში შეხვეულ თუთუნს სატუჩეს კიდესთან მოარგო. ეგრეთ წოდებული, „ფწკალაში“ გაჩხერილი თამბაქო თითებსა და ტუჩებს ვეღარ დაუწვავდა. გადაგდებით კი როგორ გა-იმეტებდა ყუამდე მისულ ნამწვს, სად იყო იმდენი თამბაქო, ასე რომ ეფანტ-

ეყარა, ის კი არა, ფილიპეს ორი დღე ეხმარა სათოხარში ერთი ქისა თუთუნისთვის.

მალაქამ ფწკალაში დატნეული თამბაქო გულიანად დააპლაკუნა და გაღმისკენ გაიხედა. ჩილორულას ხეობაში მზის ჩავარდნას ნისლები ამოეყარა. მაღალ, ათამიჯნის ხეებსა და კბოდეებს თხელი, სიფრიფანა ნისლები ნაფხრეწებად ექციათ.

„ეხ, ნეტავ ანახა ახლა ნათელას ეს სილამაზე და მომკლა მერე. თუ იქნება ისეთი დრო, რომ ის უძღვეს ხარებს და მე კავში მეკიდოს ხელი? არა, არა მგონია, ბიბლიოთეკარი აქ წამოვა? ანდა, მე ისე შევუყვარდები, რომ წინ გამიძღვეს? შეიძლება ასეც მოხდეს, გულს ნუ გაიტეხ, მალაქა, ასეთები გაგიგონია ზღაპრებში?“ — ელაპარაკებოდა თავს მალაქა.

— ხიი, ხოო, რას შვრები, ბიჭო, სად მიგყავს ეგ ხარები, თვალს ხომ არ დაგაკლდა, შე შობელძაღლო! — ერთი შეჰყვირა ანთიმოზმა, და თივიანი ურემი რომ ვეღარ შეიკავა, ხელი გაუშვა და განზე გადახტა.

ურემი გადაბრუნდა. იმდენად მძიმე იყო თივა, რომ ხარები თავისკენ გადაითრია, მოღრეცილი უღელი ლომა ხარს საქედურზე ამოუვარდა და აპეურმა ისე მაგრად წაუჭირა ყელში, ხრიალი დააწყებინა.

მალაქა გაოგნებული შეჰყურებდა ამ სურათს.

— არიქა, ბიჭო, შეხსენი აპეური, თორემ გაგუდა ხარი და ეგ არის! — ისევ შეუძახა მამამ შვილს.

მალაქამ ფწკალაში დატნეული თუთუნი ხელუკუღმა მოისროლა, ხარს ეცა, მაგრამ აპეური ისე მაგრად იყო დაჭიმული, ოდნავი ძვრაც კი ვერ უყო. ამასობაში ხარმა ჩაიჩოქა და თვალები გადაატრიალა.

ანთიმოზი ბუჩქს გადაევლო, თეძოსთან ქამარზე ჩამოკიდებული დანა იძრო და აპეური გაჭრა, უღელი საქედურიდან გადმოუგდო ლომა ხარს, რქებში ხელი წაავლო, წამოსწია, წამოყენება სცადა. ბევრი ეჯაჯგურა, მაგრამ ვერაფერს გახდა. ხარმა თვითონ გვიან-გვიან გაახილა თვალი.

რის ვაი-ვაგლახით წამოაყენეს ურემი.

ანთიმოზს გულზე მოეშვა, მაგრამ შვილის უგულისყურობამ გული ატკინა, შოლტი შემართა და ორჯერ-სამჯერ თავით-ფეხებამდე გადაუცხელა.

— რა ჩემი ბრალია, რა ჩემი ბრალია, შენ თავმძიმე ტვირთი დაუდე და მე მაბრალებ? — აღრიალდა მალაქა.

— დაჯექი და ახლა წიე, ჩაგეწვა ეგ გულ-მუცელი! ანდა, რა დროს შენი წევაა, შე მამაძაღლო, შენა! — განაგრძობდა ყვირილს ანთიმოზი.

— შენ სულ ასე იცი, შენს დანაშაულს სხვას გადააბრალებ, ბევრჯერ არა ხარ მართალი, არა...

— ეგიც მაკადრე, ხომ?

— აბა, რა იყო, შე კაცო... — ცრემლი მოადგა მალაქას.

— ფხიანი მინდა იყო და სიზარმაცეს, წელიწყვეტიაობას გიგინებ, შენ ამასაც კი ვერ მიმხვდარხარ. — არ ცხრებოდა ანთიმოზი.

ანთიმოზი ხარებს თვითონ წაუძღვა.

შეშინებული ლომა ხარი ახლა უკვე სიფრთხილით მიაბიჯებდა. ანთიმოზიც დინჯად მიალაჯებდა და ფიქრში საკუთარ სახლში მიტანილ თივის ზვინებს ითვლიდა. მალაქა ისევ გაღმა ხევს უყურებდა და ბამბასავით გაშლილ ნისლებსა და ნათელაზე ფიქრობდა. ათი არშინის სიგრძეზე ამოსული მზე კი არაფერზე არ ფიქრობდა, უბრალოდ, პატარა ბიჭივით, სოფლისკენ მიმავალ ხარ-ურემს მისდევდა.

— ფუი, ეშმაკს, ფუი ეშმაკს! გააჩერე ურემი! — იყვირა მალაქამ.

შვილის ყვირილზე ანთიმოზმა თვალი უკან იბრუნა.

თივით გაძეძგილ ურემს ბოლი ასდიოდა.

მალაქა კავს აჰყვა, ტანი აიკრა და

ვაჟა ჩოჩდელი
მოთხრობები

თივას ზემოდან მოექცა. დიდხანს არ გაგრძელებულა ცეცხლისა და ბიჭის ბრძოლა, მალაქამ მალე იმარჯვა, თუმცა მამამ მაინც შეუკურთხა:

— კიდევ ეწეოდი? აგრეა, აგრე, შე ვირისთავო, სად ნახე, სად გაიგონე მეთივე და ცეცხლი ერთად, ახლა დაწვაც გვაკლდა ამდენი დავიდარაბის შემდეგ და ეგ არის!

— არა, ბატონო, არ ვეწეოდი, არა!

— წეღან რომ ეწეოდი, იმის ნამწვი ჩავარდებოდა, აბა, ზეციდან კი არ მოფრენილა ეს პატრონსაკვდავი ცეცხლი, აგრეა, შე უმგვანო, შენა! — ცოფებს ჰყრიდა ანთიმოზი.

— კაი, მამა რა, გეყო ამდენი ლანძღვა... — ხელები გაშალა წყენის ნიშნად მალაქამ.

●

ბიბლიოთეკის დაკეტვის შემდეგ ნათელა მდივანი ტერეზას სახლში იჯდა. საღამო ერთი იყო და მალაქა ასჯერ მაინც გაივლ-გამოივლიდა ცხონებული ავიშმაგის უდროოდ მიტოვებული სახლის წინ. თავს ფანჯრისკენ იბრუნებდა, ნაბიჯს მოუნელებდა და სახეიროს რომ ვერაფერს დაატყობდა იქაურობას, ღობე-ყორეს კუდამოძუებულ მელასავით გაუყვებოდა.

იმ დღეს, როგორც სხვა წვიმიანი ამინდის დღეებში, ბიბლიოთეკის პატარა ოთახი სავსე იყო ახალგაზრდებითა და კოლმეურნეობის თავკაცებით. იყო ერთმანეთის ქილიკი, იდგა ანეკდოტებისა და გაუთავებელი ჭორების კორიანტელი.

— ერთი, ბიჭო, მალაქა, ის მოყევი, თუ კაცი ხარ, ფწკალაში გაკრულ თუთუნს ჯერ ლომა ხარი და მერე ურემი თივა კინაღამ რომ გადააყოლე, მიდი რა, თუ კაცი ხარ. — ჭორაობის თემიდან პირდაპირ ნაღდ ამბავზე გადავიდა ლევარსი.

— ჩემი რა გიკვირს, თუ ბიჭი ხარ, ის მოყევი, შენმა ბიჭმა ცელების მაგიერ ნაჯახები რომ ამოგიტანათ სათიბში შენა და შენს ძმას. — იქით აუგდო სიტყვა მალაქამ ლევარსის.

— ეგ, ბიჭო, მომიგონეს.

— მეც მომიგონეს!

— მოგიგონეს არა, ტოლმის იხვი! ახლაც გატყვია ბეჭებზე შოლტის ნაკვალევი, შე მამაძაღლო, შენა!

— ლევარსი ბატონო, მამაძაღლი მე კი არა, შენი ბიჭია, გირჩევნია, იმას მიხედო...

— შეხედეთ, შეხედეთ, თაგვი ამოძვრა, არიქა, ბიჭო, დააფარეთ ფეხი ხვრელს, მოვკლათ, მაგის დედა ვატირე, დაგვიხრა სოფლის მთელი წიგნსაცავი, არიქა, ბიჭო, დროზე მიდი! — უთხრა ტერენტიმ ბიჭიკოს და ამ უკანასკნელმაც არ დააყოვნა, მივარდა და ფეხი დაადგა ამოხრულ იატაკს.

შეიქნა ერთი ამბავი, ვინ ძირს, ვინ წიგნების თაროსა და მაგიდის ქვეშ დასდევდა ხმაურითა და ზრიალით გულამოვარდნილსა და შიშისაგან ფერწასულ თაგვს. ერთ ხანობას თაგვი მიიმალა, მაგრამ ისევ აღმოაჩინა ვიღაცამ, ფეხიც კი გაუქნია, მერე სქელტანიანი წიგნიც ესროლა, მაგრამ ნურას უკაცრავად, თაგვმა იმდენი ითაგვა და იმამაძაღლა, რომ ყველას დაუძვრა ხელიდან და გაუჩინარდა.

— ამდენი ხალხი ერთ პატარა თაგვს რომ ვერ მოერევა, დაღუპულია სოფელი.—თქვა ლევარსიმ და სკამზე დაჯდა.

— კიდევ კარგი, დათვი არ შემოგვივარდა. — ღიმილით თქვა ნათელამ.

— მეც მაგი უნდა მეთქვა. — დაემოწმა ბიჭიკო.

თაგვის მდევარნი თავთავიანთ სკამებს დაუბრუნდნენ. სიჩუმე ჩამოვარდა ბიბლიოთეკაში.

მალაქა არ ჩარეულა თაგვის შეპყრობის საქმეში. იჯდა თავისთვის და ნათელას ნამალევად უყურებდა წარბებქვეშიდან.

— თაგვისას რას გაიგებ, მოძებნა გზა და გაიქცა. დიდი ოხერი მღრღნელია ეგ მამაძაღლი, კბილები რომ დაიცვითოს, ყოველთვის სქელტანიან წიგნს ეტანება, იმაში პოულობს სახრავსა და საბადებელს. უუ, შენი! — თქვა ლევარსიმ და თავი გადააქნია.

მალაქამ მიწყნარებულ ბიბლიოთეკის ერთხელ კიდევ შეავლო თვალი, მერე მუხლზე გადადებული ფეხი ძირს ჩამოიღო და ნათელას, კაცმა არ იცის მერამდენედ, თვალი გაუწერიმალა.

უცბად რაღაც იგრძნო მალაქამ ბარძაყის არეში, რაღაც ზევით-ზევით მიფოფხავდა, მიძვრებოდა. მალაქამ ჯერ ნათელას შეხედა, მერე ბარძაყზე დაიხედა, მერე ხელიც გაატკაცუნა, მაგრამ რაღაც მბობღავი თავის გზით განაგრძობდა გზას, თავისას არ იშლიდა ეშმაკის სული.

მალაქა ფეხზე წამოდგა, უკანალზე მიირტყა ხელი, მერე ისევ ბარძაყზე, მერე ისევ უკანალზე. მაღალ, აწოწილ ბიჭს მთელი ბიბლიოთეკა მისჩერებოდა და ვერ გაეგოთ, რა აწუხებდა.

— რა ჩემი ფეხები უნდა დადიოდეს, არ გაგიშვებ, სად მიხვალ, სად! — შეიყვირა მალაქამ, როცა მბობღავი ეშმაკი საჯდომისკენ აიჭრა.

— ესეც შენ, ესეც შენ! — ხმამაღლა გაიძახოდა მალაქა და ხელების ტყაპატყუპს განაგრძობდა.

წამიც და მარჯვენა შარვლის ტოტიდან ფერდაკარგული თაგვი იატაკზე ჩამოვარდა.

ბიბლიოთეკაში მყოფთ მეტი რაღა უნდოდათ, სიცილით ჩაბჟირებულნი ერთმანეთს აწყდებოდნენ.

საწყალი თაგვი ძირს ეგდო და ცხვირიდან ძმარივით სდიოდა შაშისაგან გაფერმკრთალებული სისხლი.

მალაქამ ბიბლიოთეკის კარი გაიჯახუნა და სახლისკენ გაიქცა...

●

სტუმრები დახვდნენ მალაქას სახლში. ანთიმოზ გოგრიჭიანი შინ არ იყო, ამიტომ მალაქას მოუხდა ოჯახის უფროსის მოვალეობის შესრულება. სტუმრები, როცა საკმაოდ შექეიფიანდნენ, ადგნენ, ოჯახს ჭერი დაულოცეს და წავიდნენ.

მალაქა სახლში შებრუნდა, ტახტზე ჩამოჯდა და ათასი ფიქრის ხლართში გაყო თავი.

„მამაჩემი ხომ გადამეკიდა და გადამეკიდა, აა, დღეს ეს პატრონმკვდარი თაგვიც მაინცადამაინც მე დამეტაკა, ისიც კი გამიხსენეს, ერთ მოწევა თუთუნს ლომა ხარი კინაღამ რომ გადააყოლე და ურემი თივაც კინაღამ ზედ რომ დაუფეშქაშეო, რა ხდება ჩემს ირგვლივ, ვერ გავიგე, კაცო“. — ფიქრობდა მალაქა და გაზეთის ქაღალდში შეხვეულ თუთუნს მაგრად ქაჩავდა.

„არა, ასე არ გამოვა, უნდა ვუთხრა ნათელას მიყვარხარ-მეთქი. რა მოხდა მერე, მიყვარს, ხომ არ მძულს... არაო, არ მომწონხარ, არ შემიყვარდებიო... ჩავუსაფრდები, მოვიტაცებ და მდიონ კუდში მერე მისმა მშობლებმა, ძმებმა თუ ვინც იქნება იმან. აპა, როგორ, კაცი არ ვარ თუ რა!“

ცხელ გულზე მალაქამ წერილის წერა დაიწყო. დაიწყო მაგრამ, ვაი, ისეთ დაწყებას. დასაწყისი ხუთჯერ წაშალა, რადგან ხუთჯერვე ერთი და იგივე დააწერინა ვიღაცამ თუ რაღაცამ. „ჩემო ნათელაო“, ასე ეწერებოდა და რა მისი ბრალი იყო. წერა და შალა, წერა და შალა და ბოლოს გადაჯღაბნილი ქაღალდი შერჩა ხელში.

წერილის წერისას ტერეზას ავი კოპები გაახსენდა, მაგრამ კალმისთვის ხელი მაინც არ გაუშვია. „მართალია, მე ვერ ვუთხარი სათქმელი, ვერ გავუბედე, ვერ ვივაჟკაცე, სამაგიეროდ ჩემს ამბავს წერილი ჩამოუჭიკჭიკებს, მარცვალ-მარცვალ ჩამოუკაკლავს, კი, კი, ასე იქნება ეს. რა მე მითქვამს პირადად და, რა წერილი დამიწერია, ერთი არაა, თუ?“ — ფიქრობდა თამბაქოს კვამლში გახვეული ბიჭი.

ბოლოს ისე ძალუმად აეშალა წერის მადა, რომ წერტილის დასასმელი ადგილიც აღარ დარჩა ფურცლის აქეთა და იქეთა მხარეს. მერე საგულდაგულოდ დაკეცა, ჯიბეში ჩაიდო, ტახტზე წამოწვა და ჭერს შვებამორეული თვალებით შეხედა.

ვაჟა ჩოჩდელი
მოთხრობები

მალაქამ მთელი ორი კვირა ჯიბით ატარა წერილი. რამდენჯერმე დააპირა ნათელას მაგიდაზე დაედო, მაგრამ ხან ვინ შემოესწრო და ხან ვინ. მერე ტერეზასთვის გადაცემა გაივლო გულში, მაგრამ ესეც გადაიფიქრა. მესამე კვირას სულ ჩაიქნია ხელი, ამოიღო წერილი, იქეთ ატრიალა, აქეთ ატრიალა, გადაგდება ნამდვილად დაენანა, მაგრამ თავისივე გადაწყვეტილებას წინ ვერ აღუდგა. მერე გაშალა და თვალი გადაავლო. წერილის ბოლოში რომ ჩავიდა, თვალები გადმოცვენაზე მოადგა. ეს რა აბდაუბდა დამიწერიაო, — შუბლზე მირტყა ხელი, — ღმერთი მე მყოლია შემწევნი და ხატი, თორემ, ეს წერილი ნათელას რომ წაეკითხა, სიცილად არ ეყოფოდა ჩემი ამსიგრძე ბიჭობა. დედა, საოცარია, ტერეზას ვუხსნი სიყვარულს თუ ნათელას, ეშმაკი ვერ გაიგებს. კიდევ კარგი, ტერეზას არ მივეცი ეს წერილი, თორემ ავიშმაგის ქვრივი სოფელს შემიყრიდა, ქვეყანაზე გამომაჭენებდა უუნაგირო ცხენივით, ერიჰაა! ვაი, შენს პატრონს, მალაქა! — თქვა გულმოსულმა, წერილი საგულდაგულოდ დახია და ღელის წყალს გაატანა...

●

ლევარსი მამა-შვილს გზაზე წამოეწია. ანთიმოზი წინ მიდიოდა, წელში ვეებერთელა ცული ჰქონდა გაჩრილი, ხელებიც უკან, მენჯზე შემოეწყო და მძიმე, მოღლილი ნაბიჯით მისდევდა გზაწვრილს. მალაქას მომცრო ნაჯახი ბეჭზე გაედო, ფწკალაში დატნეული თუთუნი წამისწამ ტუჩებთან მიჰქონდა და ბოლებ-ბოლებით მამას კუდში მისდევდა.

— გამარჯობათ თქვენი, — მიესალმათ ლევარსი, — ისე მძიმედ მიდიხართ, გეტყობათ, ბევრი გიმუშავნიათ, გვარიანად დაღლილხართ. — დააყოლა ბოლოს.

— ასე ყოფილა კაცის ცხოვრება აწყობილი და რა გინდა, რო ქნა. წუთისოფელი არ გაპატიებს ჩამუხლებას, საწვალებლადაა გაჩენილი კაცი, ალბათ, თორემ რასაც მე ვშრომობ, უკეთ უნდა ვცხოვრობდე. — უპასუხა სალამთან ერთად ანთიმოზმა.

— კაი, ახლა, კაი, თავს ნუ მოისაწყლებ, ვიცი შენი ამბავი, გურიის ბანკში შენ რაც ფული გაქვს მოყუჩებული, ბარე ათ ოჯახს შეინახავს წლობით. — ირიბულად გახედა ლევარსიმ ანთიმოზს.

— მაგის დაზუსტება უნდა ჩემს ბიჭს ახლა, აი. ისეც ტვინი მაქვს შეჭმული, იმერეთში, გურიაში რომ სახლებს აშენებდი, ის ფული სად მიგქონდაო, სულ იმის კითხვაშია და ახლა შენც თუ დაუდასტურე, მთლად გადაირევა.

— ისე, კი უნდა გამოიტანო მაგი ფული, აგერ, ამსიგრძე ბიჭი რომ გყავს, ცოლი უნდა, ცოლს კი იცი, რაც უნდა, რაზე აცდენ ამ ბუღასავით ბიჭს! — არ ეშვებოდა ანთიმოზს ლევარსი.

— ლევარსის ვენაცვალე, მარა, შენ მოგზავნილი ხომ არა ხარ, მითხარი, თუ ღმერთი გწამს! — მარცხენა თვალი მოჭუტა ანთიმოზმა და ისე შეხედა ლევარსის.

— რა შემატყვე მოგზავნილობის, ან და, რა გითხარი ტყუილი, არაა ე ბიჭი ბუღასავით, თუ? შერთე ჩვენი ბიბლიოთეკარი, კაი გოგოა და ყველაფერი, მისი ხელფასი პენსიასავით შემოგივა ოჯახში, რავა, დაიწუნებ რძლად ნათელა მდივანს თუ? ცუდი რამე ვთქვი, ბიჭო, მე? — ლევარსიმ მალაქა დაიმოწმა.

— შენ კი არ თქვი ცუდი, მარა.. — გაიღრიჭა მალაქა და მამას შეხედა.

ანთიმოზი ცოტახანს ჩაფიქრდა, მერე ხელი გაიქნია და დააყოლა:

— ჯერ ისეა მომსპარი, ზარმაცი და ოხერი და ამას ახლა ქალი რომ შევრთო, ლოგინიდან ვეღარ გადმოვიყვან, მთლად დამექცევა ოჯახი. იმ გოგოსაც მოაცდენს, მერე სამსახურიდანაც მოახსნევინებს და რა გამოვა ამით, რაცხაში ვიხმარიებ ძალისძალით და ეს მშველის ცოტას, თორემ მარტო კაცმა რა უნდა გააკეთოს, ხომ ხედავ, რამხელა

პირი აქვს დაფჩენილი სოფელს. — თქვა ანთიმოზმა და სოფლისკენ მარჯვენა ხელი გაიშვირა.

— დაბიჯერე, — ბოლომდე ჩაყვა ლევარსი, — შენთვის რა მითქვამს ისეთი, რომ მერე არ მოგწონებოდეს. ე ბიჭი სახლში რომ არ მოდის და ბიბლიოთეკაში დილიდან საღამომდე იმ გოგოს ყურებით რომ ილევა, ვერ ხვდები ამას? ისე, ქალაქში, აი, დიდი ქალაქი რომ არის, იქ თუ ხარ ნამყოფი? — ახლა მალაქას მიუბრუნდა ლევარსი.

— სამჯერ ვიყავი ბიძაჩემთან თითო დღით. — თქვა მალაქამ.

— ისე იყავი თუ ასე?..

მალაქა ორაზროვნად გაიკრიჭა...

— ეჰა, ისე არ მოგივა, აი, ასლანის ბიჭს რომ მოუვიდა, ცოლი რომ მოიყვანა. პირველ ღამეს ასე უთქვია ქალისთვის, რავა გამოუცდელივით იქცევიო... — თქვა ლევარსიმ და სიცილი აუვარდა.

ანთიმოზმაც გულიანად იცინა.

— ეჰა, ისე, შენც ღვთის გლახა ხარ, თორემ რამ გაგახსენა ეგ ამბავი, შენ რა გითხრა, შენ. — დააყოლა ბოლოს.

მალაქამაც იმდენი იცინა და იკრიჭა, ერთ თვეს ეყოფოდა სოფელს.

გზაგასაყარზე ლევარსი თავის გზით წავიდა. ოთხიოდ ნაბიჯი არც ექნებოდა გადადგმული, რომ მობრუნდა და მალაქას მიაძახა:

— ბიჭო, იმ დღეს, ბიბლიოთეკაში, თაგვი თავს რომ დაგესხა, სარცხვენალზე რაიმე ხიფათი ხომ არ დაგიტრიალა, ხომ არ დაგღუპა კაცი, მითხარი ერთი, თუ კაცი ხარ! — ისევ წასკდა სიცილი ლევარსის.

— მაგას მე და ნათელა გავარკვევთ, ლევარსი ბატონო, თუ მამაჩემი დამეხმარა და ტერეზამაც პირი არ შეიკრა. — ნაშალი ფულივით გადაუყარა ლევარსის მალაქამ.

— წამოდი, შე მამაძაღლო, გამოადგი ფეხი, არ დამიწყო ახლა ამანაც იმნაირები? რა დროს შენი მაგეთებია, სარძევე კბილები არ მოგიცვლია ჯერ, შე ყურუმსაღო, შენა! — გაუწყრა შვილს ანთიმოზი და მერე ლევარსის მიაძახა:

— წადი, ძმაო, წადი, შემოჩენილი ხომ არა ხარ, წადი რა, გზას ბარაქა დააყოლე, ვა, ვინ ყოფილა, კაცო, ეს! ბიჭოს?!

●

ნაადრევი გაზაფხული ჭორიკანა ქალივით დადიოდა სოფელ-სოფელ. ტყესა და ველს, ყანასა თუ ზვარს რილოჭრილომ ხელი დარია. მზესაფიცხზე პირველი სტუმრებიც გამოჩნდნენ...

საღამო ხანს ოჯახი ვახშამს შეექცეოდა.

— ორ დღეში წყალი ჩაუდგება ტყეს. მანამ უნდა მოვჭრათ მომავალი ზამთრის საყოფი შეშა. უწყლო ხე ერთიორად ადრე ხმება, მიტომაცაა, რომ ჩემი მოჭრილი საბუხრე კუნძები ქვრივი ქალებივით არც წუწუნებენ და არც სტირიან. ხვალ დილაადრიან უნდა წავიდეთ. ნაჯახები ისე დავლესე, მოქნევის მეტი არა უნდა რა. — უთხრა მამამ შვილს.

გველნაკბენ კაცს ისე არ გაუფითრდებოდა სახე, როგორც მალაქას მოუვიდა მამის ნათქვამის მერე. ჯერ იყო და, ისეც ზანტად იღეჭებოდა, მამის განცხადების შემდეგ ლუკმა ჯამზე დააგდო და გუნებაში ღმერთს შეუკურთხა.

„არა, ბედი არა მაქვს. ნაღდად არა მაქვს. რაღა ხვალ მოუნდა ტყეში წასვლა, ესეც კარგი ვინმეა, რა. არ გამიჭირა საქმე? არ წავყვე და, სახლში არ შემომიშვებს, ყოფის დღეს მიტირებს, ხომ ვიცი მაგის ამბავი. წავიდე და წყალში ჩამეყრება ამდენი ხნის ნაფიქრნაცოდვილარი. უხ, შენი“... — ბრაზიანად გაივლო მალაქამ გულში ბოლო სიტყვები და არაფერი წამომცდესო, ენას კბილი დააჭირა.

— წადი, დაწექი ახლა, დილით დაძახება არ დამჭირდეს, გაიგე? — დაუგდო სიტყვა ანთიმოზმა შვილს და საწოლისკენ წავიდა.

ბაჟა ჩოჩდელი
მოთხრობები

„ხვალ მიდის ნათელა მდივანი ქალაქში ერთთვიან კვალიფიკაციის კურსებზე თუ რა ვიცი, რაღაც ჯანდაბაზე. მაინცადამაინც ხვალ მინდოდა, მეთქვა, მიყვარხარ-მეთქი. კვალიფიკაციაზე კი არა, ჩემზე იფიქრე-მეთქი. რას ვეტყვი ახლა მე, ტყეში უნდა წავიდე დილაბნელზე, ის კიდევ ქალაქში მიდის შუადღით. არაფერი არ გამოვა ისე, რაღაც თუ არ მოვიფიქრე, გამწირა ღმერთმა და ეგ არის. რა ვიცი, კაცო, იმ ოხერ ქალაქში ვინმე არ გადაეყაროს და თავის გზას არ გაუყენოს ეს ჯეირანივით გოგო. მერე დაჯექი ბუხრის წინ, მალაქა უბედურო, და ქექე ნაცარი...“

აწოწილი ბიჭი ბუხრის წინ ჩამოჯდა, ცხვირი ჩამოუშვა. ბუხარში ერთმანეთს ჩახუტებული კუნძები ნელი-ნელ იწვოდნენ.

„გადადებული საქმე ეშმაკისაა. დღეს მივალ, დავუძახებ, შევალ, დავჯდები, მოვისვამ გვერდით ტერეზას, წინ ნათელას დავაყენებ და ვეტყვი სათქმელს. მე შენ გეტყვი, ბიჭი ვარ ცუდი, აი!“ — გადაწყვიტა უცბად, მერე ადგა, ჩუმად გაიპარა გარეთ, მარანთან მივიდა, ფრთხილად გამოაღო კარი, შევიდა შიგ, ასანთის შუქზე არყით სავსე ლიტრიანი ბოთლი მოძებნა, იქვე, რაღაც რქის გადანაჭრელ წვერისაგან გაკეთებულ საარყე ყანწს მიატანა ხელი, გაავსო, დალია და, რატომღაც, ისე მშვიდად ამოისუნთქა, თითქოს და ნათელა მდივანს სათქმელი რა ხანია შეუთვალა და სასიამოვნო პასუხიც ეს-ეს არის მოუვიდაო. სვა და სვა, ბოთლი ყუაზე მიიყვანა, მერე მარნიდან ქურდი ძაღლივით გაიძურწა, შარაზე გავიდა, თუთუნი გააწყო, გააბოლა და ფართო ნაბიჯით ტერეზას სახლისკენ გაემართა.

არაყმა თავით-ფეხამდე დაურბინა, თმები აუბურძგნა, ძარღვები დაუფართოვა და, როგორც თვითონ ეგონა, ენაც კი დაუგრძელა.

არც კი დაუძახებია, ფრთხილად გააღო ჭიშკარი, სახლს მეორე მხრიდან შემოუარა, კარისკენ წავიდა, მიუახლოვდა, დაძახებაც დააპირა, მაგრამ უცბად შეჩერდა. ფანჯრიდან თვალნათლივ ჩანდა თუ როგორ ისხდნენ მაგიდასთან ტერეზა, ნათელა და ბრუციანი გოგიას ბიჭი დათუნა.

უსმინა და უსმინა...

გოგიას ბიჭი ისეთ ანეკდოტებს ყვებოდა, რომ, ტერეზას, ქვეყანაზე რომ არ არსებობს, ისეთ გაუცინარ ქვრივს, ისე ეცინებოდა, იღლიებს ქვეშ მჭიდროდ შემოტმასნილი კაბა ლამის შემოსკდომოდა. არანაკლებ იცინოდა ნათელა მდივანიც. სიცილით გულამომჯდარს მკერდი ისე უთახთახებდა, მის შემყურეს, არყით გამოპრუტუნებულ დათუნას, თუ გააგდებდნენ, თორემ ნებით ქვრივის სახლიდან ფეხს როგორ მოიცვლიდა.

ყურს არ აშორებდა მალაქა კარის კიდეს და თან პატარა ჭუჭრუტანაში დაჟინებით იყურებოდა. გოგიას ბიჭი კი ყოველი ანეკდოტის მოყოლის მერე მსხლის ორნახად არაყს წრუპავდა და სახეც თანდათან ეჩორთებ-ელრიცებოდა.

ბევრი იფიქრა მალაქამ, შევიდე თუ არ შევიდეო, არადა, დათუნაც არ მიდიოდა სახლში. გადავიდა შუაღამე. იმ დრომაც მოაღწია, რომ ვასილას მამალი ერთ ვაიუშველებელს დააყრიდა ფეხგადგმულ ღამეს, იმას თედაოზას მამალიც მიეხმარებოდა და გათენებას ციდან ფეხად ჩამოიყვანდნენ.

— ეე, წავედი ახლა, გვიანია, ხვალ კი ბედნიერ მგზავრობას ვისურვებ, ჩემო ნათელა, შენთვისაც და ჩემთვისაც. ნუ მიწყენთ, ამდენ ხანს რომ შეგაწუხეთ.

კარგა მთვრალი იყო გოგიას ბიჭი. ლაბადის მაგვარი მოკლე, რაღაც საწვიმარისნაირი შემოსაცმელი არც კი ჩაიცვა, ისე, ბეჭზე გადაიდო და წასასვლელად გაემზადა. მერე წაბარბაცდა კიდეც, მაგრამ ჭიქასა და ნათელას ხელი ერთდროულად მოჰკიდა.

— ამ ჭიქით გაუმარჯოს...

სათქმელი აღარ დააცალა ვასილას მამალმა დათუნას, ერთი ისეთი შეუძახა ცასა და მიწას, რომ ცის კიდური

შაბივით გატყდა და სინათლის შორეული ციალი იქაურობას ნამცეცებივით დაეყარა.

...მერე აღარაფერი გაუგონია მალაქას, სახლისკენ მიმავალ შარაზე მძიმედ მიალაჯებდა და თუთუნს ისე სულმოუთქმელად ქაჩავდა, რომ მყრალი ბოლი დილის მზეს ნამდვილად ჩაუმწარებდა ცის კიდურზე გამოჩენას...

●

— ადე, ბიჭო, ადე, რა გითხარი მე, ასე გაიგონე? რა დროს ძილია, აშენდა ქვეყანა და ის არის. — ასასივით ადგა თავზე მამა შვილს.

მალაქას არ ეძინა. ან და, რა დააძინებდა. ბრუციანი გოგიას ბიჭი, დათუნა, თურმე ასე ახლოს ეკურკურებოდა ნათელა მდივანს და ამან რომ არ იცოდა და უცბად რომ გაიგო, ძილი კი არა, თავი დაავიწყდა, ყველაფერი დაავიწყდა, ყველაფერი და ყველაფერი...

ბიჭს ტყეში წასვლა სიკვდილივით არ უნდოდა, მაგრამ მამა-შვილობას, ხათრსა და მორიდებას ვერსად გაექცა...

— აა, აქ მოვჭრით შეშას. ნახე, რა ტყეა! — ერთმანეთზე მიწყობილი რცხილა და წიფელი ანთიმოზმა თვალით ერთხელ კიდევ მოზომა.

კოდალებივით აკაკუნდნენ ცულები...

— ნამდვილად უნდა გავიქცე. აქამდე ხომ ამოვყევი და მეტი რა უნდა... ნათელა დღეს თუ არ ვნახე, ყველაფერი დამთავრდება, გოგიას ბიჭი წაიყვანს და პირში ჩალას გამომავლებს. ვიცი მაგის ამბავი, ისე აქვს გატლეკილი ენა, წყაროსაც კი ალმა მიმავალს მოაჩვენებს. — გაიფიქრა მალაქამ და მამას ალმაცერად შეხედა.

ანთიმოზი იქნევდა და იქნევდა ცულს. წყალჩაუმდგარი ხეები ნელ-ნელა, წყება-წყებად იქცეოდნენ.

მალაქამ ნაჯახი ქუსლით შემოჰკრა ხეს. ტარი ყუაში გადატყდა და ნაჯახმა აყელყელავებულ ლეშკებში ზრიალი მოადინა.

— რას შვრები, ბიჭო, რა ღმერთი გიწყრება, პირველად გიჭირავს ნაჯახი? ვაი, ვაი, რა ტყუილად გაჭმევ პურს, შე ღვთის გლახა, შენა! — გააღრჭიალა კბილები ანთიმოზმა და მაყვლის ბარდისკენ ჯავრიანად გადააფურთხა.

— არაფერი ეშველება ახლა ამას, შევისვენოთ და წავიხემსოთ, მომშივდა კიდეც. — წაიბურტყუნა მალაქამ და ხის ტოტზე ჩამოჯდა.

— კაი, ბატონო, კაი, მუშაობას ჭამა არა სჯობია? აგრე იყოს. — დაასვა ხეზე ცული ანთიმოზმა და სასაგზლე ზურგჩანთას თვალი შეავლო.

გატეხეს მჭადი და ზედ ყველი მიატანეს.

— კი მარა, ამ ტყეს რომ მივადექით და პირწმინდად რომ ვჭრით, არავის არ უნდა შევეკითხოთ?

— ვის უნდა შევეკითხო, ბიჭო, საშეშე ტყის ჭრა?

— როგორ თუ ვის უნდა შეეკითხო, რომ ჭრი, ბილეთი გაქვს?

— რად მინდა ბიჭო, ბილეთი, ერთბაშად არ დამიჭიროს ვინმემ!

— მართლა არ გაქვს ბილეთი?

— არა.

— აპა, მე ვერ დავაჭერინებ თავს ტყისმცველებს, კარგად იყავი. — თქვა რიხიანად მალაქამ, დაავლო ხელი ტარმოტეხილ ცულს და სახლისკენ მოუსვა.

— უყურე შენ, ვისა ვზრდი თურმე, მე შენ გიჩვენებ სეირს, მოვალ სახლში! — ჩაილაპარაკა თავისთვის ანთიმოზმა, როცა დარწმუნდა, რომ შვილი კი არ ხუმრობდა, სახლისკენ მართლა გარბოდა.

ანთიმოზი მძიმედ ადგა ხის კუნძიდან, ცულს ხელი მოჰკიდა, ერთი ორჯერ გულმოსულად მოიქნია და... ხელში ტარი შერჩა, ყუაში გადაიმტვრა ცული. კაცს ნერვები აეშალა. დააფურთხა ხესა და ნაჯახს, მერე ტარი მოისროლა ბუჩქებში, სასაგზლე ჩანთა ზურგზე მოიგდო და, უნაჯახოდ დარჩე-

---

ბაჟა ჩოხდელი
ეროთზროგები

ნილს, სხვა მეტი რაღა გზა ჰქონდა, დაღმართს დაუყვა.

„ვიღაცამ გამთვალა, უხ, იმისი“. — გაიფიქრა ანთიმოზმა და ეჭვი უცებ ლევარსიზე გაუჩნდა.

გინებ-გინებით გაიარა აღმართი და დაღმართი, აგინა ღმერთს უკუღმართი შვილის გაჩენისათვის და აგინა ლევარსის უკუღმართობისათვის.

ანთიმოზმა გზაში თხილის ბუჩქიდან კარგა მოზრდილი, ცერა თითის სიმსხო სახრე გამოჭრა, აქეთ-იქეთ ატრიალა, რაღაც ამოუკაკლავი სიტყვები თავის გულს ჩაუკაკლა, მერე სახრე ნაცერალით შეაბრუნა, მაგრად მომუჭა და ნაბიჯსაც ერთიორად აუჩქარა.

„მოვალ სახლში! დამხვდები და ბიჭი იქნები!“ — ავი ფიქრი უტრიალებდა ანთიმოზს.

სახლში მალაქას ნახევრად ჩამქრალი ბუხრის გარდა ჯრავინ დახვედრია. ბუხრის წინ ჩაიმუხლა, კუნძები ერთმანეთს მიუწყო, ტუჩები მოჭუჭკა, შეუბერა, გააღვივა, გაახელა ნაკვერცხლები...

ცოტაც და ცეცხლი მთლად გადარია.

მალაქა ხან ერთ გვერდს, ხან მეორე გვერდს ცივი მჭადივით უფიცხებდა ნაკვერცხლებიდან ლურჯად ამოსულ ალს, თანაც წამისწამ გარეთ იხედებოდა, მზეს უყურებდა, არ დამაგვიანდეს, ნათელამ არ გამასწროს.

ღრიჭოდ დარჩენილი კარი ანთიმოზმა ფრთხილად შეაღო. ფეხაკრეფით მიეპარა შვილს, მერე სახრე მაღლა შემართა და ერთი და ორი, ერთი და ორი... გამეტებულად მოქნეული, ზუზუნად ქცეული სახრე მალაქას სიგრძითა და სიგანით თავიდან ბოლომდე გადაეჭიმა.

— ეაუ!! რას შვრები, მამია, მკლავ?!. — ერთი ისეთი შეიღრიალა მალაქამ, რომ ბუხარმა შიშით კინაღამ ნაკვერცხლები გადმოყარა იატაკზე.

— კი მარა, ბუხარს რომ მიფიცხებიხარ და გულიანად ითბობ მაგ საოხრე ტანსა და ფეხს, ერთი მითხარი, ბილეთი გაქვს? მაჩვენე, თუ ვაუკაცი ხარ, შე ოხერო, შენა!

მალაქას მამის ნათქვამი ნახევარიც კი არ გაუგონია, თავქუდმოგლეჯილი გარეთ გავარდა და დაღმართზე კისრისტეხით მოკურცხლა.

— წადი და ირბინე, შე მამაძაღლო, მე შენ გასწავლი, როგორ უნდა ბილეთის აღება და მუქთად გათბობა. — თავისთვის ლაპარაკობდა ანთიმოზი.

მალაქამ სოფლის შარა დინჯად გაიარა, ეფხანებოდა კია ნასახრული ადგილები, მაგრამ სირცხვილით როგორ მოიფხანდა, არადა, ერთი სული ჰქონდა, როდის გასცდებოდა სოფელს, მიეყუდებოდა ღობეს და გულიანად მოიქარვებდა ჩალურჯებულ-ჩასისხლულ ადგილებს ზურგსა და ღვირკებზე.

მიილია სოფლის შარაც. მალაქამ იქეთ-აქეთ მიმოავლო თვალი, ვინმე ხომ არ მიყურებსო და სულმოუთქმელად ეცა ღობეს, აუსვა და ჩაუსვა ზურგი, ხელით ბარძაყები და ღვირკები მოისრისა და შვებით ამოისუნთქა, მერე ისევ მოიშიშვლა ქუდი და დაღმართს დაედევნა.

„რომ გავრბივარ, სად გავრბივარ, ნათელა წავიდოდა, კი? ეგებ არც წასულა? თუმცა ჩავირბენ ბოლომდე, სირბილში ტკივილიც მომიქარვებს, თუ წასული არ არის, მოვბრუნდები და სად წამივა, წინ შემხვდება, აბა, რა ჯანდაბა იქნება!“ — მირბოდა სახჯრურმო გზაზე მალაქა და ამ ფიქრს იხვევდა ხელზე.

მალაქა ღელის წყალს გადაევლო, პატარა აღმართიც აირბინა. ბექობზე გზა მკვეთრად უხვევდა, მერე კი ასიოდ მეტრზე ლარივით სწორდებოდა. სწორედაც ამ მოსახვევიდან დაინახა, რომ ბრუციან გოგიას ბიჭს ნათელა მდივნის ჩემოდანი მარჯვენა ხელში დაეკავებინა, მარცხენა თავის ზურგჩანთისთვის ჩაევლო და, მოკლე, მაგრამ ჩქარი ნაბიჯით მიდიოდა. ბიბლიოთეკარიც ასევე ჩქარი ნაბიჯით მისდევდა თანამგზავრს.

„იღბალზე მომისწრო მამაჩემის სახრემ, თორემ, რას დავეწეოდი მერე,

ერიჰაა, როგორ შემიყოლია საოხრე ბუხარმა“. — გაიფიქრა მალაქამ.

„დავეწევი, გამოვართმევ ხელბარგს, დავაწყობ გზაზე, წამოვაქცევ დათუნა უბედურს, მივუჟეჟ-მოვუჟეჟავ, ამოვუნაყავ ცხვირ-პირს, მერე მოვკიდებ ნათელას ჩემოდანს ხელს და ავტობუსამდე მე მივაცილებ“. — ერთი ფიქრი გაივლო მალაქამ და მუშტები გულმოსულად შეკრა, მერე გახსნა და თითები მოიფშვნიტა.

— თბილისში სად იქნები, კაცმა რომ გნახოს? — უთხრა დათუნამ ნათელას მაშინ, როცა მალაქა ფეხის ნაბიჯზე წამოეწია მგზავრებს.

ნათელამ რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ მალაქამ დაასწრო:

— გამარჯობათ, მგზავრებო!

— გაგიმარჯოს, მარა, როგორ მოგვეპარე, ფეხის ხმაც არ გაგვიგია. — სალამზე დააყოლა დათუნამ.

— მალაქას გაუმარჯოს, ბიბლიოთეკის აქტიურ წევრს. — ღიმილით უთხრა ნათელამ.

— საით გაგიწევია, ანთიმოს ბიჭო!

— მაგას მერე გაიგებ, დადგება მაგის დრო, ახლა კი ნათელასთან მაქვს საქმე, კოლმეურნეობის თავმჯდომარემ რაღაცის დაბარება დამავიწყდაო და მე გამომგზავნა, ეგებ დაეწიო და უთხრაო. — მარჯვენა წარბი ჩამოაფარა თვალს და ისე აზომ-დაზომა დათუნა მალაქამ.

— მაინც რაო, რა დამავიწყდაო! — სერიოზულად შეეკითხა ნათელა.

— გოგიას ბიჭო (უნდოდა, ბრუციანი დაეყოლებინა), შენ წინ წადი, საიდუმლოა, ყველამ არ უნდა გაიგოს, გამიგე?

— კი ბატონო. — თქვა დათუნამ და ნაბიჯს ერთიორად აუჩქარა.

საკმაოდ წაიგდო წინ დათუნამ გზა. მალაქა ხმას მაინც არ იღებდა.

— რაო, რა მინდაო თავმჯდომარემ? — მორიდებით ჰკითხა ნათელამ მალაქას.

ბიჭმა არაფერი უპასუხა, ისე, ვითომ აქ არაფერიო, დინჯად გააგრძელა გზა.

— გამოდის, რომ თავმჯდომარემ გითხრა, ერთი კაცის დამგზავრება საშიშია მაგ გოგოსთვისო, აუცილებლად ორმა გააცილეთო, ხომ?

— არა, თავმჯდომარემ ეგ კი არა, ასე მითხრა: მაგ გოგოს გაცილება შენ გეკუთვნისო, ბრუციან გოგიას ბიჭს კი ერთი მაგარი დაჟეჟვაო. ისიც მითხრა, ჰკითხე, თუ კაცი ხარ, ჩვენს სოფელში მზე როდის ამოდისო. — ნათელას არც კი უყურებდა, ისე ლაპარაკობდა მალაქა.

— რატომ მაინცადამაინც შენაო?

— აბა, რა ვიცი, ეტყობა, თავის საქმის თავმჯდომარემ უკეთ იცის.

— გასაგებია.

— ასე იოლად?

— კი ბატონო.

— მზის ამოსვლის ამბავიც გასაგებია? — თვალები დაუფართოვდა მალაქას.

— მზე? მზე მაშინ ამოდის, როცა ბიბლიოთეკის კარი ღიაა, ასე არ არის?

— სულ ეგრე არ არის.

— მეტი მე არ ვიცი.

დათუნამ რამდენჯერმე მოიხედა უკან.

— ჩემოდანი მაინც გამოგვერთმია, ცოდვაა. — უთხრა ნათელამ მალაქას.

— ატაროს, კარგი ვირია, შეძლებს!

— კიდევ რა გითხრა თავმჯდომარემ?

— ისაო, რომაო, ქალაქში დათუნა თუ ყოველდღე შეხვდა ნათელას, შენი საქმე წასულიაო, ის იმისი იქნებაო, შენ ჩალა გამოივლე პირშიო...

ნათელას გაეღიმა.

— გააჩერე, გააჩერე. — დაუყვირა დათუნამ ალაგ-ალაგ სახურავ გამოფხრეწილი და გამოჭმული ავტობუსის მძღოლს, მერე ჩემოდანი დადგა, პირში ოთხი თითი იტაკა და სტვენა დაიწყო.

მძღოლმა მანქანა გააჩერა.

— მოუჩქარე, ნათელა, მოუჩქარე. — დაუძახა დათუნამ ბიბლიოთეკარს.

ვაჟა ჩოჩრდელი
ბოთბრიგები

— კარგად იყავი. — ნათელამ მალაქას ხელი ჩამოართვა, მიბრუნდა და გაიქცა.

— მარტო ჩამოხვალ, იცოდე!.. — მიაძახა ბიჭმა.

მალაქამ ცოტა ხანს უყურა დაბლეკვილ ავტობუსს, სამადლოდ რომ ჰყავდა რაიონს, აი, იმ ავტობუსს, ნათელა რომ ჩაჯდა. მერე მიბრუნდა, ორიოდ ნაბიჯი გადადგა, სახრენაცემი ადგილები კიდევ მოიფხან-მოიქავა და სახლში მიმავალ გზას მძიმედ გაუყვა...

გერასიმე

სამხრობდა მზე, მაგრამ ხვატის ქამარი ისე მაგრად წასჭეროდა სოფელს, რომ ამოსუნთქვასაც კი უშლიდა. სწორედ ეს სამხრობა დაესწრო გერასიმეს დღებედნიერს, როცა მამისაგან დატოვებულ ოკრობოკროდ აშენებულ ფიცრულში ეპრაქსის ფეხი შეადგმევინა. ის იყო ზღურბლს გადააბიჯეს, რომ პატარძალმა ჯერ ტუჩები მოჭუჭკა, მერე კი ამრეზით გადახედა დასვრილ იატაკს, თავდაყირა დაყენებულ ჯორკოებს, მოთხვრილ მაგიდასა და თვალდამდგარ ბუხარს.

გერასიმე და ეპრაქსი ერთმანეთს აშარმა მეზობლებმა დააკავშირეს...

გერასიმე ერთი უნიათო, ენამოტეხილი კაცი იყო. არც მამამისი იყო დიდი ვინმე, — ზარმაცი და უჯილაგო სულ სხვის ხელს მისჩერებოდა. ისე მოკვდა, რომ შვილისთვის პატარა ფიცრულის მეტი არა დაუტოვებია რა.

არც ეპრაქსი იყო მთლად ისე, როგორც საჭირო იყო, მაგრამ გერასიმესთვის ანგელოზის მოფრენას ნიშნავდა მის თავდაყირადქცეულ, გამჭვარტლულ ჯარგვალში კაბიანი არსების გამოჩენა.

— ჩემო გერასიმე, პირველ რიგში, შენ გენაცვალე, სახლი უნდა დავალაგოთ, დავასუფთაოთ, ფიჩხი გავტეხოთ, ცეცხლი ავანთოთ და დღეისდღეს ანგელოზები უნდა მოვიხმოთ!— თქვა მტკიცედ პატარძალმა.

გერასიმეს გაეცინა.

— აპა, სხვა რა უნდა ვაკეთოთ? — განაგრძო პატარძალმა, — ცხოვრება ცეცხლიდან და ანგელოზებიდან იწყება. მამაჩემი სულ ამას მეუბნებოდა, ცეცხლი არ უნდა ჩააქრო, სადაც კი ფეხს შედგამ, სადაც კი მიხვალო!

— მმმამაშენი ნააამეეეტანი ააზრიაანი კკააააცი ყოფფფილა, — თქვა გერასიმემ და შუბლი ოფლით დაენამა.

გერასიმე ეპრაქსის მზერაამოურწყავი თვალით მიშტერებოდა. ქალს გაცვეთილი ჩითის კაბა ეცვა. სახელდახელოდ გადავარცხნილი თმა ბოლოში თეთრი ზორტით გაეკრა, ხელები მკერდზე დაეჭდო და რაღაცას ფიქრობდა.

— წყალს მოვიტან, სოფელს გადავხედავ, ხალხს გავიცნობ, შენ ცეცხლი დაანთე, ფიჩხი კარგად შეუკეთე, ანგელოზებს ალის ბრიალი უყვართ, მერე მე აქაურობას დავალაგებ, დავრეცხავ და დავასუფთავებ, გაიგე? — უეცარი გადაწყვეტილება მიიღო ქალმა.

— გგაააგიგე. — თქვა გერასიმემ და ეზოში მიმავალ ეპრაქსის თვალი დაადევნა.

●

სოფლის მესამე უბნის თავშესაყარი ადგილი წყარო იყო. წყარო რკინის მილიდან გადმოდიოდა. ძირს გრძელი, წიფლის ხისაგან გათლილი გობი ედგა. ხალხისა არ იყოს, ნახირსაც ძალიან მოსწონდა უბნის ეს ადგილი. ავლა-ჩამოვლაზე წყალს ყოველთვის იქ ეწაფებოდნენ. წყაროს მარჯვენა მხარეს უსაშველოდ ტანაყრილი კაკალი გადაფოფვროდა იქაურობას. გაგიხარიათ, ისეთი ჩრდილის დაცემა იცოდა, წვიმაში კი, თუ მაინცდამაინც ცა არ ჩამოიქცეოდა,

კარგად დახურული სახლივით იყო, წვეთს მიწამდე არ დაუშვებდა.

რა დროსაც არ უნდა გაევლო კაცს წყაროსთან, ყოველთვის ვინმეს გადაეყრებოდა. ისხდნენ ქალები და ყვებოდნენ მთისას და ბარისას, ჭორავდნენ დიდსა და პატარას, ამვლელსა თუ ჩამვლელს. ხშირად ერთმანეთის გაქილიკებასაც არ ერიდებოდნენ, მერე იცინოდნენ და იცინოდნენ.

ყანა-ბოსტნის საქმეს რომ მორჩებოდნენ, მართლაც და, რა უნდა ეკეთებინათ. გაჭორვისა და გაქილიკების ეშხში შესულნი, უფრო გამალებით ქსოვდნენ და ართავდნენ ხელგაწაფული ქალები. სალაპარაკოს რა გამოულევდა სოფელს.

ყველაზე უფრო ფოსტალიონის გამოჩენა უხაროდათ. ან და, როგორ არ გაუხარდებოდათ, ქვეყნის ყველა კუთხეში საშოვარზე გადავარდნილი ქმრების ამბებს ფოსტალიონის წყალობით იგებდნენ.

იმ დღესაც იგივე გამეორდა, რაც სხვა დღეებში...

— აა, შენმა კაცმა ქაღალდი გამოგიგზავნა, ჩაიხუტე გულში და მის მაგიერ მაგრად მოეფერე, — საგულდაგულოდ წყაროსთან მისულმა სახეგაღიმებულმა ფოსტალიონმა თედოს ცოლს წერილი გაუწოდა.

— დედა, ბეჩა, გავახსენდი კი?

— კი, კი, სულ შენ ახსოვხარ! აგერ, ექვსი თვე გადის და ორი წერილი ძლივს მოგწერა. ისე, გაშალე, ხმამაღლა წაიკითხე, ისეთი რა ეწერება, ჩემს ქმარს რომ არ მოუწერია, ფულს ვშოულობთო, დღედღეზე მელოდეთო, კარგი საჩუქრები გიყიდეთო, მარა, კარგა ხანია, არ მოთრეულა. — ჩაილაპარაკა ზოსიმეს რძალმა.

— მოგენატრა კაცი, ხომ? — გახედა ნუნუს ბიკენტის ქვრივმა.

— კაცი რა შუაშია, — დარცხვენით თქვა ნუნუმ.

— კაცია შუაში, აბა, მე?

— ნუ იცი შენ ეგეთი ლაპარაკი.

— შენი კაცი რას გწერს, ორი თვის მოყვანილი რომ დაგტოვა და, აგერ, ოთხი თვე რომ არ გამოჩენილა, რაო, აქაური ქალები სჯობიაო? — ახლა ლევანას რძალს გაუხსნა კბილი ბიკენტის ქვრივმა.

— ჩემნაირები სიზმარშიც არ გამოეცხადება, თორემ ცხადში ვინ მიაშავებს, ვინც გვერდით გაყვება, ყველა ჩემსავით შტერი იქნება. — წყრომა გამოთქვა თინამ.

— აპა, აპა, — მაგნაირ ქალებს შენ გამოლევ?

— სხვაში არ გამცვლის ჩემი ქმარი!— იხტიბარი არ გაიტეხა თინამ.

— ბეჩა, ბეჩა, რავა გაგცვლის, შენი ქმარი ხვთის ანგელოზია! — ბიკენტის ქვრივს ნანული წამოეშველა.

— შენ რაღა გაქვს სალაპარაკო, ნანულის ვენაცვალე, შენი რძალი დღე ერთია და ქმრის სურათს ასჯერ იხუტებს გულში, მარა, რად უნდა, წელზევითაა გადაღებული. — ჩამოუკაკლა კაკლის კუნძზე ჩამომჯდარმა დესპინემ ნანულის და სიცილით ჩაბჯირდა.

სიცილ-ხარხარის ექომ კარგი დამპატიჟებელივით კარი-კარ ჩამოურა მთელ უბანს. ფოსტალიონმაც იმდენი იცინა, რომ მოსაბრუნებელი შეიქნა.

— შენ რომ ენა არა გქონდეს...

— გამარჯობათ, მეზობლებო, გამარჯობათ! — კაკლის ჩრდილქვეშ ჩამომსხდარ ქალებს ხმამაღლა მიესალმა ეპრაქსი.

— ააა, მოფრინდი, ჩიტო? მომილოცნია გაბედნიერება, ღმერთმა კეთილად შეგაბეროთ ერთმანეთს, აბა, შენ იცი, რა ქალობას გამოიჩენ, იცოდე, სოფელი დიდია, არ შეუშინდე ცხოვრებას! — ტუჩზე ხელი მოისვა ბიკენტის ქვრივმა და ეპრაქსის ლოყაზე აკოცა.

ქალებმა რიგრიგობით მიულოცეს დღეგრძელობა ეპრაქსის.

— სახლი თუ არ დავალაგე, იქაურო-

ვაჟა ჩორდელი
მოთხრობები

ბას თუ არ მივხედე, არ დავრეცხე, არ დავასუფთავე, ისე არ იქნება, ხო სწორი ვარ, ქალებო? — დაიმოწმა მეზობლები ეპრაქსიმ.

— ყველაფერი უნდა გააკეთო, აბა, როგორ გინდა, კისერზე რომ ოჯახის უფელს დაიდგამ, მერე ბეჭედში უნდა გაძვრე, ცხოვრება სხვანაირად არ გამოდის. — უთხრა ნანულიმ პატარძალს.

— თუ რამე გამიჭირდება, ხომ მომეხმარებით, ქალებო?

—ყველაფერში მოგეხმარებით, ხელს გაგიმართავთ ახალ ოჯახს, თუ თავიდანვე ჩვენს რჩევას დაუჯერებთ. — საუბარში ჩაერია ბიკენტის ქვრივი და ქალებს თვალი ჩაუპაჭუნა.

— თქვენ თუ არ დაგიჯერებთ, აბა, სხვას ვის უნდა დავუჯეროთ, თქვენ უკეთ არ იცით ამ ცხოვრების ასავალ-დასავალი?

— თუ აგრეა, პირველი რჩევა ეს იქნება ჩვენი, ამაღამ სინათლე არ უნდა ჩააქროთ, თორემ ბედი ჩაგიქრებათ, დაეკვებება სიბნელე და მთელი თქვენი ცხოვრება მოწამლული გექნებათ, ხომ ასეა, ქალებო? — სხვა ქალები დაიმოწმა ბიკენტის ქვრივმა და თვალი ისევ ჩააპაჭუნა.

— კი, შვილო, კი, ასეა, ჩვენც ასე გავატარეთ პირველი ღამე. — თქვეს ქალებმა აქეთ-იქედან და, დარწმუნებულებმა, ეპრაქსიმ დაიჯერა მათი ნათქვამი, ერთმანეთს თვალით ანიშნეს, ავაცურეთ, ჩვენია, საღამოთი ნახეთ სასაცილო ამბავიო.

— არც ჩვენ არ ჩავაქრობთ, ბედმა ჩემს მტერსა და ორგულს უმტყუნოს.— თქვა პატარძალმა და სახლისკენ წავიდა.

როცა ეპრაქსი ორღობეს მიეფარა, ქალებმა გულიანი სიცილი ატეხეს.

ტარასი წყაროსთან ქალების სიცილმა შეაჩერა.

— ტარასი, ტარასი, — ჩამოუკაკლა ბიკენტის ქვრივმა ტარასის ყველაფერი, — მიდი გერასიმესთან სახლში, ჭერიც დაულოცე, ბედნიერებაც და შენც ისე უთხარი, როგორც ჩვენ, მერე ნახე სიცილი.

ტარასის არაფერი უთქვამს, თავისთვის ჩაიღიმა, მიბრუნდა და ქვემოთკენ წავიდა, ფილიპეს კართან არც კი იყო მისული, რომ პირი იბრუნა და ეგრე ვიზამო, ქალებს მიაძახა.

გერასიმე კარში იდგა და ცოლს ელოდებოდა. ეპრაქსი რომ გამოჩნდა, კაცმა უნებლიედ მზეს შეავლო თვალი. სულაც არ ეპიტნავა გაბრდღვიალებული მნათობი ისე რომ წამოჭიმულიყო ფოცხვრებას თავზე და ჩასვლასაც არ ჩქარობდა...

— რომ დაღამდება, სინათლე არ უნდა ჩავაქროთ თურმე, ბედი ზურგს შეგვაქცევს, ცეცხლი უყვართ ანგელოზებს-მეთქი, ხომ გეუბნებოდი, ქალებმაც ასე მითხრეს. — უთხრა ეპრაქსიმ ქმარს, როცა ოთახში შევიდა.

— ააანთებული? — იკვნეულად იკითხა გერასიმემ.

— ასე ყოფილა წესი, გერასიმეს ვენაცვალე, ასე მითხრეს და უნდა შევასრულოთ, ღმერთი რასაც ბრძანებს, უნდა დავემორჩილოთ! — სხაპასხუპით ლაპარაკობდა ქალი და თანაც ჩაცუცქული იატაკს წმენდდა.

— გერასიმე! — დაიძახა ვიღაცამ.

გერასიმემ კარში გაიხედა.

— გამოდი, შე კაცო, გარეთ, გამოდი, რაღაი ნავსი გატეხე, ცოლი შეირთე, ქორწილს რომ თავი დავანებოთ, ორი ჭიქით არ უნდა დაგვალოცვინო ოჯახი? — უთხრა გერასიმეს ტარასიმ და ეზოში შედგა ფეხი.

ეპრაქსიც გავიდა კარში.

— ღვინო შენ რომ არა გაქვს, ჩემო გერასიმე, აქ არის სოფელი, აგერ კოჭლი თედო მოდის, ლევანტი მოდის, ღვინოც მაგათ მოაქვთ და პურიც. მე წინ წამოვედი, კარგი ფეხი მაქვს, კი იცი შენც. — განაგრძობდა ტარასი.

გერასიმე დაიბნა. პურ-მარილი კი მოეწონა, მაგრამ ტარასის გამოჩენა მაინც ეწყინა, გამიბამენ ლაილაის და მაგათთვის არ მცალიაო მე...

...მზე უკვე კარგა ხნის ჩასული იყო, როცა შექეიფიანებული მეზობლები ახალშეუღლებულთ' დაემშვიდობნენ.

უმთვარო და ულრუბლო ცაზე ვარსკვლავთკრებულები ქვიშასავით ეყარა.

გერასიმე ოთახში მიმოდიოდა და ხან ცეცხლს, ხან ეპრაქსის და ხანაც ლოგინს უყურებდა. ბრაზიც კი მოსდიოდა თავის თავზე. ასე მარტო, საკუთარ სახლში, აქამდე ქალი სიზმარში მაინც რატომ ვერ ვნახო.

ჭორიკანა ქალები, შემდგომში საჭორაო და გასართობი რომ ჰქონოდა სოფელს, ოკრობოკროდ აშენებულ სახლის კედლებში იჭვრიტებოდნენ. მკრთალ სინათლეზე, რომელსაც კედელზე ჩამოკიდებული ლამპა უმადლოდ უწილადებდა ოთახს, გერასიმე და ეპრაქსი უცოდველი თვალებით შესცქეროდნენ ერთმანეთს...

ქალმა ლოგინი გააწყო.

გერასიმეს გულმა ბაგაბუგი ატეხა.

გერასიმემ ბუხრისკენ იბრუნა პირი ქალის თხოვნით. ეპრაქსიმ კაბა გაიხადა. კაცს სულმა არ მოუთმინა, მაინც მიახედა ქალისკენ და თვალზე უხილავი ბინდი გადაეკრა, მერე, როცა მხედველობა დაუბრუნდა, ორიოდე ნაბიჯი გადადგა საწოლისკენ.

ქალი ლოგინში შეიმალა.

გარეთ, ჭორიკანა ქალები აქამდე ტუჩებს რომ იკვნეტდნენ, ხმამაღლა არ გაგვეცინოსო, ვერ მოერევნენ თავს, ერთ-ორს ნებისყოფამ უმტყუნა და სიცილით ჩაბჟირდა. ალბათ, საცოდავი სანახავი იყო ჭუჭრუტანიდან გერასიმე და იმიტომ.

კაცს რაღაც ხმაური შემოესმა, მიაყურადა, მერე საწოლისკენ ორიოდ ნაბიჯი გადადგა და ისევ შეჩერდა. ბუხარში შეშამ მოადინა ტკაცანი და წამსვე იქით მიბრუნდა, უყურა და უყურა აღგზნებულმა მოგიზგიზე ბუხარს, მერე შებრუნდა და ლამპას დაადგა უსაშველო მზერა.

რამდენიმე ხანი გავიდა, ჩამიჩუმი არსაიდან ისმოდა.

„ალბათ, მომეჩვენაო". — გაიფიქრა გერასიმემ და რამდენადმე დამშვიდდა.

გერასიმე საწოლს მიუახლოვდა, საკინძე შეიხსნა, სქელჯიბეებიანი კიტელი გაიხადა და ბანჯგვლიანი მკერდი მოსრისა.

ვიღაცას კიდევ უმტყუნა ნერვებმა, ხმამაღალი სიცილი ჭუჭრუტანიდან პირდაპირ შეიჭრა ჯარგვალში და გერასიმეს გახელებას ერთი-ორად დარია ხელი.

„მყარაულობენო, მდარაჯობენო", — ვიფიქრა უცბად გერასიმემ, — დაიღრიალა, ბუხარში ვედრო წყალი დააპირქვავა, ლამპას სწვდა, ჩამოგლიჯა, ფანჯარა გააღო, გარეთ გაისროლა და კბილების ღრჭიალით დააყოლა:

— მმმაააცალეთ, თქვე შშშობელძააღლებბბო, ნნნნამუსი ააარა ბბბარეთ? ხხხააალხი ააარა ხხხართ? ღმერთი ააარაა ბბწამთ? მმმეც ხხხოოოომ კკკკააცი, კკკკააააცი... — მთლად შეეკრა სათქმელი გერასიმეს და გინებაც მხოლოდ ფიქრში გაივლო, ვაი-უშველებელი გინება.

ვიღაცას ახლა ეტკინა გული, ახლა მიხვდა, რომ გასაჭორი, სათვალთვალო და სამასხრო ეწამოტეხილი, უნირო და უნიათო გერასიმე კი არა, თვითონ გახდა...

ვიღაცას ცრემლიც კი მოადგა თვალზე..

ბიკენტის ქვრივს ხელები ცისკენ აღეპყრო და განგებას ჩურჩულით რაღაცას სთხოვდა.

გერასიმემ დასწყევლა გამჩენი, აგინა ხალხსა და სოფელს, მერე კი ცრემლები ჩამოსცვივდა... კაცი თავის თავს ტიროდა..

ეპრაქსი გაოგნებული შესცქეროდა ქმარს.

წამით გაიტრუნა ყველა და ყველაფერი...

ვაჟა ნოდელი
მოთხრობები

ᲓᲣᲔᲚᲘ

— შენი ბრალია, შენი, შენა ხარ, რაცა ხარ! გეუბნებოდი, ასჯერ გავზომოთ და ერთხელ გავჭრათ-მეთქი, მაგრამ არ დამიჯერე, ყურიც არ ათხოვე ჩემს ნათქვამს, კინაღამ პირი ამომიკერე! — ხმამაღლა ეუბნებოდა ედიშერი ცოლს.

— რა იყო, ედიშერ, რამ გადაგრია, რამ აგშალა, რა გეცა ამ სამხრობის ჟამს ასეთი! — ჩვეული სიდინჯით პასუხობდა ცოლი.

— ააა, რა იყოო, რაზე ჩხუბობო, კიდევ აქეთ მეუბნება და მაღიზიანებს! ვითომ არ იცი, რაზე ვდავობ, ვყვირი და ვილანძღები! — არ ცხრებოდა ედიშერი.

— ჰო, ჰო, აბა, რა იყო, აცალე მაგ ბაღნებს მოსიყვარულება, მეტი რა ყრია ამ ცხოვრებაში. მე შენ გეტყვი, ცასა და მიწას გამოეკერებიან... — უყვავებდა ცოლი გულმოსულ ქმარს.

— ქალო, შენ კიდევ მაგას გაიძახი? გადამრევ და ეგ არის. იყო დრო, დაიქცა ის დღე, შენ რომ მოგიყვანე... დღე-ღამ წელებზე ფეხს ვიდგამდი, ათას რამეს ვაკეთებდი, ვჩალიჩობდი, რომ ოჯახი მერჩინა, შენ კი ასე იოლად მეუბნები... რას ჰგავს ეს, ამისთვის ვიკლავდი თავს მთელი ჩემი ცხოვრება?

— რა იყო, კაცო, ლენცოფა ხომ არ იყო მაგ ბორჯომის ბოთლში, ასე რომ გადაგრია?

— ლენცოფაზე უარესია ასეთი დოყლაპია ზედსიძე რომ გეყოლება სახლში. საკუთარი სტომაქის გასაგრილებლად წყლის დალევა რომ კაცს დეზარება, მისგან გამოვა რამე?!

— ნუ აჭარბებ, ედიშერ, რამ აგაცუნდრუკა, ჭკუას მოუხმე.

— ანგელინა! დროზე მოდი გონს, თორემ შენა და შენ სიძე-ქალიშვილს შიმშილით სული ამოგხდებათ.

— ნურას უკაცრავად!

— უკაცრავად მერე იქნებით, მაგრამ გვიან იქნება!

— კი მარა, ბოლო-ბოლო, რა გინდა მაგ ბიჭისგან?

— როგორ თუ რა მინდა, ზარმაცი კაცი ოჯახის მტერია, ჭერის დამაქცეველი. უგვანო და მოუხერხებელია, ორი წელი გადის და ბაღანაც კი ვერ გაუჩინა ქალს, მაგის თავიც თუ არ ჰქონდა, რას თხოულობდა ცოლს, ან ეს ჩვენი ჩერჩეტიც რას მისდევდა კუდში. ოჯახის შექმნა მარტო ხელმოწერა და ქორწილი კი არ არის... გასაკვირია, ასე მთლად უჯიგრო და ამოწყვეტილი სად ამოარჩიეთ...

— სუს, სუს, მოდიან! — შეაწყვეტინა ანგელინამ ქმარს, — დედა ენაცვალა, ა, გახედე, რა ლამაზები არიან, რა კარგები, ნახე, ნახე, როგორ მოაბიჯებს ჩვენი სიძე, რა ეტყობა მაგას ახლა სიზარმაცის და დოყლაპიობის...

კარი გაიღო და ოთახში სიძე-ქალიშვილი შემოვიდა.

— მოდით, შვილებო, მოდით, დაიღლებოდით, კი მარა, რა იყო ამოდენა სურათი, რომ ამდენ ხანს ვაგრძელობა. მეორე ნახეთ, თუ?!

— ორი სერია იყო. — მშვიდად მიუგო ქალიშვილმა დედას.

ედიშერი უხმოდ გავიდა მეორე ოთახში. ცოლმა თვალი გააყოლა ქმარს.

ანგელინამ სუფრა გააწყო. ქეთი და გოგი მაგიდას მიუსხდნენ.

ედიშერი ოთახში მიმოდიოდა და უგემურად უყურებდა თაროზე დაწყობილ სქელტანიან წიგნებს. მერე ფანჯარასთან მივიდა, რაფას ჩამოეყრდნო და ცას ახედა. მთლად გაუფუჭა გუნება ცაზე ჩამოძენძილმა შავმა ღრუბლებმა „ნაღდად გაწვიმდება. მოგიკვდა პატრონი“, დააყოლა ბოლოს.

სამზარეულოდან ედიშერის ოთახში ქეთისა და გოგის ხმამაღალი სიცილი აღწევდა და კედლები და ჭერი ხან

ტკრციალსა და ხანაც ბუბუნს გამოსცემდა.

სიძე-ქალიშვილის უდარდელმა სიცილმა ედიშერს გუნება უფრო მოუწამლა. რატომღაც გასვლაც დააპირა ქალაქში, მაგრამ წვიმის მოლოდინმა გადააფიქრებინა — ელვა მოქნეული შოლტივით დაიკლაკნა ცაზე და გრუხუნი მძიმე ტვირთივით დააგდო ქალაქში.

ანგელინა ქმართან შევიდა.

—როგორ არ მოგივა კაცს გული, — წამოიწყო ისევ ედიშერმა, — ოქროსავით სამსახური შევთავაზე ამ დილით მაგ ვაჟბატონს, ვინ არ შევაწუხე, ვისი ვალი არ დავიდე და აინუნშიაც არ ჩამაგდო. აბა, ესაა კაცობა?

— ჩუმად, არ გაიგოს, ეწყინება!

— ეწყინება, თორემ მუხრან-ბატონს გადავიმტერებ, აი!

— მუხრან-ბატონიც ეგ არის ჩვენთვის და ვახტანგ მეექვსეც. მაგაზე ახლა ლაპარაკი ზედმეტია.

გარეთ ერთხელ კიდევ დაიბერტყა ელვამ ღრუბლების მძიმე ტვირთი და ზღართანი მოადენინა მიწაზე. ფანჯრებს ჟრუნტელივით დაუარა ზრიალმა. ედიშერმა ფანჯრიდან მოწამლული მზერა მიაპყრო ელვისაგან შიშნაჭამსა და გალურსულ ჭადრის ხეებს.

ქეთი და გოგი ტახტზე წამოწვნენ, თხელი ზეწარი გადაიფარეს და წიგნი გადაშალეს.

ცა ფეხად ჩამოდისო, რომ იტყვიან, ისეთი თავსხმა მოვარდა. წუთიც არ გასულა და ქუჩები ნიაღვრებმა გადაფარა.

ედიშერმა სიძე-ქალიშვილის ოთახში გაიარა. ამ დროს გოგი ხმამაღლა უკითხავდა ცოლს: „როცა მხურვალედ გულში ჩაიკრა და ურიცხვჯერ აკოცა და იმდენივე კოცნა რინალდოსაგან უკანვე დაიბრუნა, აქედან ორნივ გავიდნენ, საწოლი ოთახისკენ გაემართნენ, მაშინვე საწოლს მიაშურეს და გათენებამდე არა ერთხელ ისიამტკბილეს“...

ქეთისა და გოგის ღიმილმა გადაურბინათ სახეზე...

წარბშეკრულმა ედიშერმა უკანვე გაიარა და ისევ თავის ოთახს დაუბრუნდა. ანგელინა ფანჯარასთან იდგა და ჩამოქცეულ ცას გაჰყურებდა.

— არა, კაცო, გადასარევია, მეც ვიყავი ახალგაზრდა, მაშინაც ისე იყო, ახლაც ასეა, თაფლობის თვეს ახალდაქორწინებულთა პირველ დღეებს ეძახდნენ და ეძახიან დღესაც, მაგრამ ორწლიანი თაფლობა ჯერ არ გამიგონია!

— რას გადაეკიდე მაგ ბაღნებს, რას გიშავებენ!

—ახლაც, აა, რომ გამოვიარე ძაგათ ოთახში, ერთმანეთს ეხვეოდნენ, ასე დღისით, მზისით, არ მინახავს არაფერი. არა, მომაკვლევინებენ თავს და ის იქნება!

— ედიშერ!

— არ ვიცი მე ედიშერ! — დაიღრინა ედიშერმა, მერე სავარძელში ჩაჯდა, იდაყვები საწერ მაგიდაზე ჩამოაწყო და ფიქრში ჩაიძირა.

— ნუ იზამ, ედიშერ, ავ საქმეს, მოიხალისებენ ერთმანეთს, ბავშვიც შეეძინებათ, სამსახურსაც მოჰკიდებენ ხელს და ყველაფერი რიგზე იქნება. — ეხვეწებოდა ანგელინა ქმარს.

ედიშერს უცბად რაღაც აზრმა გაუელვა, შეშლილივით ფეხზე წამოიჭრა, ტანსაცმლის კარადასთან მივარდა, გამოაღო, საწვიმარი გამოიღო, მოიხურა, ცოლს კუშტად შეხედა, ფეხი არ მოიცვალო ამ ადგილიდან, თორემ ან შენ იქნები, ან მეო, თვალით ანიშნა და მეორე კარით გარეთ გავიდა.

წვიმას ერთი წამითაც არ შეუხანებია...

„მე შენ გიჩვენებ სეირს, ერთი ვნახოთ, რას იზამ, ეგებ ახლა მაინც შეგაწუხოს კაცობის გამჩენმა, შე მუდრეგო, შენა, შე ზეზე მკვდარო, შენა“. — თავის თავს ელაპარაკებოდა ედიშერი და სახლის სახურავზე მიდგმული კიბის ორ-ორ საფეხურზე ერთად აბიჯებდა.

— „სად წავიდა ნეტა ეს კაცი?“ — გაიფიქრა ანგელინამ, როცა ქმარს შეაგვიანდა.

ვაჟა ჩორდელი
მოთხრობები

„ზუსტად ამ მხარეს არიან წამოშხ-ლართულნი. მე თქვენ გიჩვენებთ სეირს, ერთი ვნახოთ, რა ზომებს მიიღებთ. ჰაი, დედასა მტრისასა მერე“. — წვიმას ელაპარაკებოდა ედიშერი და თან კრამიტს ყრიდა სახლის სახურავიდან.

როცა საკმაოდ აყარა კრამიტი, ძირს ჩავიდა, ისევ იმ მეორე კართან მივიდა, ლაბადა ჩამოჰკიდა და ოთახში გამარჯვებული კაცის იერით შეალაჯა.

— სად იყავი, კაცო, ამ თავსხმაში? — ჰკითხა ცოლმა.

—მერე გაიგებ! ისე, ოცოდე, აქედან ფეხი არ მოიცვალო, სადაც დგახარ, იქ იდექი, თუ გინდა, მთლად არ გადავირიო!

— კაცი ვერაფერს გაგიგებს...

ედიშერმა ალმაცერად გახედა მეუღლეს.

ქეთი და გოგი კითხვას განაგრძობდნენ: „ალესანდროომ აბატეს გულზე ხელი დააღო...“

ედიშერმა ვეღარ მოითმინა და სიძე-ქალიშვილის ოთახში შეიჭვრიტა. წამიც და, ჭერზე დაგუბებული წყალი ერთიანად მოსკდა და პირდაპირ ქეთისა და გოგის ტახტის თავზე ჩამოიქცა.

— რა მოხდა, რა უბედურებაა? — თითქმის ერთად თქვა ცოლ-ქმარმა და ჭერს ახედეს.

„მოხვდა მიზანში, მოხვდა,ნეტა ახლა რას იზამენ, წარბი თუ შეუტოკდებათ, ჯანდაბას მერე ყველაფერი“, — გაიფიქრა ედიშერმა და ჭუჭრუტანას თვალი მოაცილა.

რამდენიმე წუთი გავიდა. ნერვები არ ეყო ედიშერს, ბოლთის ცემას თავი მიანება და ისევ ოთახში შეიხედა. შეიხედა და განცვიფრებისაგან თვალები კინალამ გადმოუცვივდა — ქეთისა და გოგის ტახტი გვერდით, ერთი-ორი მეტრის იქით მიეჩოჩებინათ, ისევ წამოწოლილიყვნენ და წიგნს კითხულობდნენ.

„თქვენ აგასიამტკბილებთ, თუ კაცი ვარ!“ — თქვა გულში ედიშერმა, გავარდა გარეთ, ლაბადა მოიხურა და ისევ სახლის სახურავზე ავიდა. კრამიტი ერთი ორად უფრო მეტ ადგილზე აყარა და ისევ ძირს ჩავიდა.

წყალმა, რაკიღა ერთი პირი იჩინა, სანამ ედიშერი შეიხედავდა სიძე-ქალიშვილის ოთახში, წყაროსავით გაიღო წკრიალი და პირველად გოგის დაესხა, მერე კი ქეთის დარია ხელი.

— ეშმაკმა დალახვროს, სხვა დროს არ ჩამოსულა და რაღა დღეს მოუნდა, რა ღმერთი გაუწყრა!. — დაიჩივლა სიძემ და ტახტი, ქეთის რომ ფეხი არ ჩამოუდგამს ძირს, ისე მიაჩოჩა კუთხისაკენ.

ედიშერმა ფრთხილად შეიჭვრიტა ოთახში. ტახტის ადგილი მონაცვლებული რომ დახვდა და სიძე-ქალიშვილი ისევ მწოლიარე, ცოტა დააკლდა, ჭკუაზე არ შეიშალა. იბრუნა პირი, გავარდა გარეთ, ავიდა ისევ სახურავზე და კრამიტი კი არ აყარა და ფრთხილად კი არ გადააწყო, მთელ ეზოში გადაყარ-გადმოყარა, დაფშვნა და დაამსხვრია.

წვიმის წყალმა მთელი ოთახი მოიარა. გოგიმ ერთხელ კიდევ მწყრალად ახედა ჭერს, მერე ტახტზე წამოჯდა და ცოლს უთხრა, დედაშენს გასძახე, ქოლგა მაინც შემოგვიტანოსო.

— ავდგეთ, ვნახოთ, რა მოხდა.

— ამ წვიმაში გარეთ გავალ? მეტი საქმე არა მაქვს. — ჩაიქნია ხელი სიძემ.

ტახტზე მუხლმოკეცილი ქეთიც ალმაცერად შეჰყურებდა ჭერს. ის იყო, დედისთვის უნდა დაეძახა, რომ ანგელინამ, რაღაც ხმაურის გამო, ოთახში თვითონ შეიხედა.

— დედა, მომიკვდა თავი, ამას რას ხედავს ჩემი თვალები. ამისთვის დარბის ეგ შეჩვენებული წამი-წამ ამ თავსხმაში? დედა, დედა, დედა, რა რემონტი გააფუჭა მაგ სულძაღლმა, მოკითხე ახლა მაგას ჭკუა, მაგ მართლა გადარეულსა და გიჟს. გამოდით, შვილებო, გამოდით მეორე ოთახში, მაგას დაუდგა თვალი, მაგი არ ჩამოვიდა ძირს ცოცხალი, უი, უი, უი! — ხელებს შლიდა ანგელინა და მოტირალ ჭერს ცრემლიანი თვალებით შესცქეროდა.

— არა, რა კაცობაა ეს, რას ჰგავს ეს! — ხელებს შლიდა სიძე.

„ახლა სადღა წაიღებთ ტახტს, კიდევ დაგრჩათ ადგილი ოთახში? ვნახოთ, აბა, ერთი ვნახოთ, რას იზამთ“. — გაიფიქრა ედიშერმა და კიბის სველ საფეხურს მარჯვენა ფეხი დაადგა, მაგრამ... კიბის საფეხურებს თავის ფეხით ბოლომდე არ ჩაჰყოლია. შუამდე არც კი იყო მისული, რომ კიბის მარცხენა მხარე, რომლისთვისაც ზეიქეშს საკმაოდ გამოეთხარა ძირი, უცბად ჩაიწია. კიბე გვერდით გადაიხარა. ედიშერმა თავი ვერ შეიკავა და კაცმა და კიბემ წვიმისაგან დალართხულ მიწაზე ბრაგვანი მოადინა.

რაღაც უცნაურმა შეყვირებამ ანგელინა გარეთ გაახედა.

— უიმეე, მომიკვდეს თავი! უიმეე!.. — მორთო ანგელინამ.

სასწრაფო დახმარების მანქანა ედიშერს თავისი გზიდ მიაქროლებდა..

შალვა ფორჩხიძე

ცნობილ ქართველ პოეტს შალვა ფორჩხიძეს 60 წელი შეუსრულდა. ჟურნალ „ციხკრის“ სარედაქციო კოლეგია გულითადად მიესალმება პოეტს, უსურვებს ჯანმრთელ სიცოცხლეს და დიდ შემოქმედებით წარმატებებს.

მე ახალს ვჭედდი სარწმუნოებას...

მე
ფეხს ვურჩევდი ჩემს აღმართ-დაღმართს,
მე
მზეს ვეძებდი მუხლჩაუხრელი,
მე
ძმას საკუთარს ვაცმევდი ხალათს,
მე
ვიყავ რწმენა ცხრაასხუთელის!..
მე
არ მეძინა არც დღე, არც ღამე,
მე
ცეცხლს ვანთებდი, ცეცხლს განახლების,
მე
საკუთარი დავგმე სიამე,
მე
ჟინი მკლავდა არდახანების...
მე
დალეწილი შემრჩა სახსრები,
მე
არ გამაჩნდა სხვა რამ ქონება,
მე
მაწამებდნენ ცივი ქარები,
მე
ახალს ვჭედდი სარწმუნოებას.

მე
მწამდა მხოლოდ გზა სიყვარულის,
მე
გზებს ვდაფნავდი მომავლის სხივით,
მე
განახლების მენთო არული,
მე
დედამიწას ვალტობდი სისხლით.
მე
საძირკველი ჩავყარე ახლის,
მე
ვამკვიდრებდი სიკეთეს ქვეყნად,
მე
თეთრ ღრუბლებში ვაშენე სახლი,
მე
ნუ ჩამითვლით ნურაფერს კვეხნად...
მე
კაცი ვიყავ და ცეცხლი მერქვა,
მე
განვვლე ჩემი წუთისოფელი,
მე
მსურდა ერთი სიმღერა მეთქვა,
და
ამ სიმღერით მეთქვა ყოველი...

●

მიდის ჟამი... მოდის მწუხრი,
ყველაფერი მეჩქარება.
დამავიწყდა, რაზეც ვწუხდი,
არაფერი მენანება.

ყველას ძველ-ძველ ვალებს ვუხდი,
სიყვარული თან წამყვება
მისი,

ვიზეც დღემდე ვქუხდი,
შენ ხომ
გული არ დაგწყდება?!

მეზარება თოვლის დნობა,
ყალბი კაცის ყურის გდება.
შენი უწყინარი მტრობა,
შენი მოსაწყენი ქება...

ბოროტი სარკე

დგას ჩემს ოთახში მაღალი სარკე,
შევყურებ ჩუმად
... და ვწევ თამბაქოს,
გარედან ბინდი ასკდება სარკმელს
და მეზარება, შუქი ჩავაქრო...

შევყურებ უხმოდ ჩემს დაღლილ სახეს
თამბაქოს კვამლის კორიანტელში...
მეძახის დედა
ბავშვობის სახელს
და უკიაფებს ცრემლი თვალებში...

იღვრება ხსოვნა ყვითელ ფერებად,
თითქოს სარკის წინ დგას უცხო კაცი,
დედა სარკეში ბავშვს ეფერება,
ფუსფუსებს სულში
და ფიქრს არ მაცლის.

ჩამესმის ყურში ხმა შორეული
და ვერ ვიხსენებ, ვისი ხმა არი?
სარკეში ჩემი დგას ორეული
და შუქი თითქოს ჩემი თმა არის.

ნუთუ ამგვარი ვუყვარდი დედას,
ნუთუ მე ის ვარ,
ის კარგი ბავშვი?

არადა, ვხედავ,
თვალნათლივ ვხედავ,
ყოველ მსგავსებას
ჩვენს შორის წაშლილს!..

ვდგავარ სარკის წინ გაოგნებული
და თითქოს მახრჩობს ხსოვნა წარსულის,
და მტოვებს დედა დაღონებული,
თვითონ დაღლილი
და მზეჩასული...

ვზივარ სარკის წინ
და ვწევ თამბაქოს,
გარედან ღამე ასკდება სარკმელს...
წამოვვარდები
და სანთელს ვაქრობ,
რომ არ ვუყურო ამ ბოროტ სარკეს...

მოვდივარ, დედა!

თვალნათლივ ვხედავ:
სავსე მთვარე მოადგა ღობეს,
მეზობელივით ჭიშკარს აღებს,
მეძებს, მეძახის...
მოვდივარ, დედა,
შენთან უფრო მოვიკრეფ ღონეს,
მომწყურდა ცქერა
დავიწყებულ ჩვენი ვენახის!..

გამოიხედე ოღონდ, დედა,
გამოდი ჭასთან,
სახლის წინ
შავი მოზვერივით წევს კაკლის ჩერო...
შემოდგომაა...
ალბათ ყურძენს
ჩიტები ჭამს და
სამხრეთისაკენ
დაღვრემილი მიფრინავს წერო...

ვენახის კრეფას
როდის იწყებ, მითხარი, დედა,
წვიმები მოვა,
ცა დაჭორფლეს შავად ღრუბლებმა...
შემხედე, დედა,

ჩემს თვალებშიც წევს
ჩუმი სევდა,
გთხოვ,
როგორც წინათ,
დამაძინე შენს თბილ მუხლებთან...

ოღონდ ძილის წინ მომიყევი,
ჩვენი სახლკარი
რისთვის გადაწვეს ჯალათებმა,
რისთვის გაგვწირეს,
ფერფლმა დაფარა მამა-პაპის ნაამაგარი
და შენს ნაზ სულში
მწუხარების ენთო საკირე...

მითხარი, დედა,
როგორც გახსოვს
ცხრაასხუთელთა
ბრძოლები მკაცრი
და მე მათზე შევთხზავ მოთხრობებს...
ვენახსაც დავკრეფ...
ცა დაჭორფლეს შავად ღრუბლებმა
მთვარე ჭიშკართან დაყრდნობია იდაყვით
ღობეს...

ვიცოდი, ვგრძნობდი...

ქვეყანა ჩემი, —
მწვანე ბზის ტოტი —
ვარსკვლავებს შორის გაბმული ბონდი,
ჭრელი ჩიტები, ვენახი, კორდი,
არ გამწირავდა, ვიცოდი,
ვგრძნობდი!

ქვეყანა ჩემი,
თუჯის, ფოლადის,
ცა წითელი მზით გასაფოთლავი,
ძელქვის და მუხის უტეხი კორძი
ამამზევებდა, ვიცოდი,
ვგრძნობდი!

ქვეყანა ჩემი, —
შოთას შაირი,
ყანებით, ზვრებით ნაირნაირით,
ციხე-ტაძრების მოოჭვილ ლოდით,
ამამაღლებდა, ვიცოდი,
ვგრძნობდი!

ქვეყანა ჩემი, —
მტრისთვის ლახვარი,
მშობელი ხალხის თბილი სახლ-კარი,
მზე — ცაში ოქროდ დამდნარი ზოდი
გამამდიდრებდა , ვიცოდი,
ვგრძნობდი!

ქვეყანა ჩემი, —
მტკიცედ დაწნული
დუღაბით, რკინით, თმებით ქალწულის,
მთები შემკული ზურმუხტით, ძოწით,
არ გამწირავდა, ვიცოდი,
ვგრძნობდი!

●

ყველამ დიდი სიმღერა თქვა,
ყველა დიდი გულით მღერის.
ჩემს სიმღერას რა დავარქვა,
როგორ მივცე უცხო ფერი?

როგორ გავჭრა ჩემი ახო,
ჩემი შევსვა ღვინო ძველი,
ვმწყემსო ჩემი საბალახო,
ვთიბო ყვავილები ველის...

არ მაძლევენ საშველს ძმები,
პოეტების გაჰქუხს ჯარი!
დავიღალე შენი ძებნით,
ვერ შევხსენდ ციხეს კარი.

სხვამ სვას სიტკბო შენი თასით,
მწარეს შევსვამ ჩემსას ღვინოს..
მე სიმღერის ვიცი ფასი,
მე ჩემი მაქვს საღიღინო!..

მშვენიერო ქალბატონო!..

მთვარე ჩვენი სახლის მნათე,
ჩვენი მყუდრო ეზოს მდგმური,
ჩემს მკლავებზე ღამეს ათევს,
ბარემც მოკვდეს მტერი შურით!..

მაღალ კორდზე მიდგას სუფრა,
დაბალ ქოხში ჭრაქი ხრჩოლავს,
ანგელოსებს მოაქვთ სუფთა
მწიფე ვარსკვლავების ხონჩა!..

სადღაც ძაღლი უყეფს ჭინკას,
შენს საუფლოს მე ვპატრონობ,
მოდი, ერთიც შევსვათ ჭიქა,
მშვენიერო ქალბატონო!

მთვარე — ჩვენი სახლის მნათე
ჩვენი მყუდრო ეზოს მდგმური,
ჩემს მკლავებზე ღამეს ათევს,
არაფერზე მწყდება გული!

წაუღიათ ჭინკებს უკვე,
რაც გამაჩნდა საგანძური,
აფსუს, ჩემო სიჭაბუკევ,
სად გეძებო დაკარგული!..

მეამაყება —
ტყეს ფოთოლი მოუსხამს მრავლად,
ხარი კი არა,
წიფელი მზე გასულა თესვად.
დილიდან ჩიტი უსტვენს საყვარლად,
თითქოს ლურჯი ცა
ჩიტს ნისკარტზე ეღვრება ლექსად...

გამოხვეულა დედამიწა მწვანე ბალახში,
როგორც ბავშვების სათამაშო,
ფერადი ბუშტი.

შევყურებ ხარბად,
სურნელება მათრობს ხაშხაშის
და ჯიუტ სიტყვას
თითქოს გულზე ვინაყავ მუშტით.

დილიდან ჩიტი უსტვენს საყვარლად,
უცნაურ ჰანგებს
უკვდავების ვაგროვებ თესლად,
ნეტა ეს ხმები
თავთუხივით უსვად ამრავლა.
ხარი კი არა,
წითელი მზე გასულა თესვად!..

ჯონ ვალერი

ა ზ რ ე ბ ი

სული, სადაც სურს, სუნთქავს ...სპირიტუალიზმისა და შთაგონების მოყვარეთა ვალია აგვიხსნან, რატომ არ სუნთქავს ეს სული ცხოველებში და რატომ ასე სუსტად სუნთქავს ბრიყვებში.

ყველაზე დიდი ადამიანები ის ადამიანები არიან, რომლებმაც გაბედეს მინდობოდნენ თავიანთ მსჯელობებს, და, იმავდროულად, — ყველაზე ბრიყვნიც.

ჩვენ არ გვიყვარს კაცი, რომელიც გვაიძულებს არ ვიყოთ ის, რაც ვართ; და ჩვენ არ გვიყვარს კაცი, რომელიც გვაიძულებს შიშველნი ვეჩვენოთ ჩვენსავე თავს.

მაგრამ ჩვენ გვიყვარს კაცი, რომელსაც ჰგონია, რომ ჩვენა ვართ ის, რაც გვინდა ვიყოთ, და სწორედ ეს გახლავთ არსი დიდებით ტკბობისა, რომლისგანაც თავდასაცავად საჭიროა დიდი მწუხარება და მრავალმხრივი ძალმოსილება.

ჩვენი ნამდვილი მტრები ჩუმად არიან.

უმჯობესია შეურაცხყოფის მიტევება, ვიდრე დავიწყება მისი. — მაგრამ მიტევება არასოდეს არ არის გულწრფელი. არაფერს შეუძლია გააქარვოს ახლად მოყენებული ტკივილი. ის, ვინც ამ მდგომარეობაში უტევებს შეურაცხმყოფელს, ცდილობს თავი მოგვაჩვენოს იმად, რაც ჯერ კიდევ არ არის. ეს კეთილშობილური კომედიაა.

უნდა გიყვარდეს შენი მტრები.

მე მიყვარს ისინი, ვინც მე მასულდგმულებენ, და ისინი, ვისაც მე ვასულდგმულებ. ჩვენი მტრები ჩვენ გვასულდგმულებენ.

ყოველწამიერად, სული წამისა გარედან გვეძლევა ჩვენ.

დასასრული. დასაწყისი იხ. „ცისკარი“ № 9.

უსამართლობით ტკბობა.

უსამართლობა არის სიმწარე, რომელიც სასურველს ხდის სიმარტოვეს, ამძაფრებს განდგომისა და განმხოლოების წყურვილს და სულის წინაშე ხსნის სიღრმისეულ გზებს, რომლებსაც მივყავართ ერთადერთისა და განუმეორებლისაკენ.

ორმხრივი მზერა.

როდესაც ორი მზერა ერთმანეთს ხვდება, ეს შეხვედრა უცნაურ ურთიერთობას ბადებს.

ვერავინ იფიქრებდა თავისუფლად, მის თვალებს რომ არ შეეძლოთ თავი აარიდონ მათ მდევნელ სხვა თვალებს.

როგორც კი ორი მზერა ერთმანეთს გადაეჭდობა, უკვე აღარ არსებობს **ორი,** და, თანაც, რარიგ ძნელია **მარტო** დარჩენა.

არავინ იცის, რომელ წერტილში, მისი ნერვების რომელ კვანძში, ვინ როდის ან როგორ შეიძვრება სიტყვის მიერ, — მე ვგულისხმობ **უმნიშვნელო** სიტყვას.

შეიძვრება, — აქ ივივეა, რაც: **შეიცვლება.** სიტყვა მყისიერად ამწიფებს ბავშვს. **და ა. შ.**

ჩემის აზრით, მძლავრი სულებისათვის სრულიადაც არაა აუცილებელი მძაფრი შეგრძნებანი. პირიქით, ისინი, უმალ, შეიძლება საბედისწერონი აღმოჩნდნენ მათთვის, ვინაიდან მძლავრი სულები ის სულები გახლავთ, რომლებიც არაფრისგან ქმნიან **რაღაცას.**

ცნობიერება წყვდიადიდან გამოდის, მისით საზრდოობს, მისით სულდგმულობს, და, ბოლოს, კიდეც გარდაქმნის მას, ასე განსაჯეთ, თვით **ყველაზე** პირქუშ წყვდიადსაც, თუნდაც იმავე კითხვების წყალობით, რომლებსაც თვითონვე სვამს, საკუთარი სიცხადის უშუალო მიზეზებითა და ძალით.

*შესაძლოა, ჩვენი ფილოსოფიის ქვაკუთხედად უნდა დაგვედო ეს ბაზისი: რომ ჩვენ ვემყარებით ელემენტთა და ელემენტარულ მოვლენათა ჯოჯოხეთურად რთულ სიმრავლეს.

სული, რომელსაც უნარი შესწევს აღიქვას თავისი **ტვინის** მთელი სირთულე, უფრო **რთული** იქნება, ვიდრე ის, რაც მას იმად აქცევს, რაც არის... ვინაიდან თვითეულ აზრს მან უნდა შეურწყას იდეა თავისი თავისაგან ამ მარად განსხვავებული მექანიზმისა, და ამ მექანიზმისეულ ყოველ წარმოსახვას — **სრულიად განსხვავებული ქმედითობა,** ვიდრე მისი აზრია ყოველ წამს.

ვერავინ იქნება მეტისმეტად **დახვეწილი;** და ვერავინ იქნება მეტისმეტად **მარტივი.**

მეტისმეტად დახვეწილი, ვინაიდან საგნები ამას მოითხოვენ; და მეტისმეტად **მარტივი,** ვინაიდან ჩვენი არსებობა და **ქმედითობა** ამას **გვიწესებს.**

ამა თუ იმ არსებას რომ არ შეეძლოს იცოცხლოს სხვისი **სიცოცხლით,** მაშინ ის **თავისი** სიცოცხლითაც ვერ **იცოცხლებდა.** ,

ვინაიდან მისი სიცოცხლე შემთხვევითობათა **უსასრულო** **წყებისაგან** არის შეთხზული, რომელთაგანაც თვითეული შეიძლება ეკუთვნოდეს სულ სხვა სიცოცხლეს.

რა არის ის, რაც ყველაზე ცუდად მეტყველებს? რა ბუტბუტებს, რა ბლუკუნებს? რა იყენებს ყველაზე უგერგილოდ ყველაზე არაზუსტ სიტყვებს? რა ქმნის ყველაზე სასაცილო, ყველაზე მცდარ, ყველაზე ქაოტურ ფრაზებს, ან ვინ მსჯელობს ყველაზე უაზროდ? ვინ არის ყველა შესაძლო ცუდ მწერალთაგან ყველაზე ცუდი მწერალი? ყველაზე უმწეო მოაზროვნე?

ეს გახლავთ ჩვენი სული. სანამდის გაიხსენებდეს, რომ არსებობს გარეშე ყური, არსებობენ მოწმენი და მისი აზროვნების პროცესის მსჯულნი; სანამდის შემწედ მოუხმობდეს ამაოებას და იდეებს — სიცხადის, სიმკაცრის ზოგადობის, ზომიერების, ძალმოსილების და სხვა იდეებს, ის, ყოველ წამს, **ყველაფერზე დაბლა დგას.**

ყოველგვარი თვალთახედვა, რომლითაც აღვიქვამთ საგნებს, თუკი ის უჩვეულო არ არის, ყალბია. ყოველ საგანს, თუკი ის **რეალურია,** სხვა არა დარჩენია რა, გარდა იმისა, რომ **დაკარგოს** თავისი **რეალობა,** როდესაც ჩვეულ ხდება.

ფილოსოფიური **აზროვნება ესაა ჩვეულიდან უჩვეულობზე** გადასვლა, და **უჩვეულობის კვალად, — რეალობისადმი დაპირისპირება.**

დიდებამოსილი მეხსიერება.

ამქვეყნად **მეხსიერების ნიჭით** დაჯილდოებული მხოლოდ ხუთი თუ ექვსი კაცი რომ იყოს, როგორც ვთქვათ, ზებუნებრივი ხედვისა თუ უჩვეულო აღქმის ნიჭით ცხებულნი, — მათ გამო ასე **იტყოდნენ:** აი, საოცარი არსებანი, რომელნიც იმარხავენ **იმას,** რაც იყო. **ისინი** გვიხსნიან **იმდენ** ისეთ რასმე ჩვენს ირგვლივ, რასაც ქმედითი სარგებლობა არ გააჩნია! ისინი გვასწავლიან, რანი ვიყავით, და, მაშასადამე, **რანი ვართ... ამ ღრმად** მხედველთ **წინასწარმეტყველებზე** მაღლა **დააყენებდნენ,** და **წმინდა** მეხსიერება **დაჩრდილავდა** ყველაზე **დიდ** გენიას. **საყოველთაო** ამნეზია **ინტელექტუალური** სამყაროს **მთელს** ფასეულობებს **შეცვლიდა.**

აშკარა გახდებოდა, **რომ** კვლავ **შექმნა** (reproduire) **უფრო** საოცარი **რამ** **გახლავთ, ვიდრე შექმნა** (produire).

არსებობს ამქვეყნად ყოველი აზრისა და ყოველი ღრმა საგნის წილხვედრილი სიყვარული, ზიზღი, განსაცვიფრებლად ქმედითი შხამი, **რომელიც** არის **ყოველივე დანარჩენი,** ყოველივე ის, რაც არ არის ეს საგანი თუ აზრი, და რაც მას გაფანტავს, განაბნევს, **განაქარებს...**

უცნაური ძალმოსილება სიცოცხლის თვალსაზრისით სრულიად განურჩეველი ზოგიერთი საგნის **ისეთი** თავგამოდებით, **მძვინვარებით,** დაჟინებით, **შექმნისა,** თითქოს სიცოცხლე მათზე იყოს **დამოკიდებული...** და **სწორედ** ამას **ვუწოდებთ ჩვენ სიცოცხლეს.**

ყოველ **წამს** სული **სავსეა** **შავი** **წერტილებით,** **რომლებიც** **მზად** **არიან** **გაიზარდონ ან გაქრნენ.**

ჩვენი „მე“.

ჩვენ მხოლოდ იმდენად ვიცნობთ **საკუთარ** თავს, **რამდენადაც** **გარემოებანი** **გვაძლევენ** **თვითმეცნობის** **საშუალებას** (მე ათასი **რამ** **არ** **ვიცი** **ჩემსავე** **თავზე**).

ყოველივე **დანარჩენი** **ინდუქციაა,** **ალბათობა:** **რობესპიერი** **ვერასოდეს** **ვერ**

წარმოიდგენდა, რომ გილიოტინაზე გაისტუმრებდა ამდენ ხალხს; ვერც ესა თუ ის კაცი იფიქრებდა, რომ გაგიჟებით შეიყვარებდა ამა და ამ ქალს.

სულის საზრდო არის ის, რაზედაც მას არასოდეს არ უფიქრია; ის შეუცნობლად დაეძებს და უნებურად პოულობს მას.

თავის ზიზღს კაცთა თუ საკუთარი თავის მიმართ, თავის გულმოყირჭებას თუ სასოწარკვეთას ღრმა სული თანდათანობით მიჰყავს იქამდე, რომ ყველაზე ფრივოლური საზოგადოების გარდა ვეღარაფერს იტანს.

ყველაფერი ემყარება რამდენიმე იდეას, რომლებიც თავზარს გვცემენ და რომლებსაც კერავინ უსწორებს თვალს.

ყველა დანაშაულში არის რაღაც სიზმრისეული.

დანაშაული, რომლის ჩადენაც **სურთ**, თვითონვე იწვევს ყველაფერს, რაც მას სჭირდება: მსხვერპლს, გარემოებას, საბაბს, **შემთხვევას.**

...თქვენ მე აღმითქვამთ სამეფოებს: შენ — მიწისას, ხოლო შენ — ცისას. იქნებ კეთილ-ინებოთ და აღმიწეროთ ისინი! თუ შეიძლება, ცოტა დეტალურად. მაცთუნეთ ნათლად, მომინადირეთ ზუსტად დახატული ხატებით. მაგრამ ნუ გექნებათ იმის იმედი, რომ მღვრიე წყალში მათევზავებთ.

ომები, აშლილობანი სუსტ სულთა, მორწმუნეთა, გულფიცხთა სიმრავლის შეღეგია, რომელნიც კაცთა ერთობლივი მოქმედებისა თუ ფერმენტაციის მასალად გვევლინებიან.

ან, იქნებ, შეგიძლიათ წარმოიდგინოთ მეტ-ნაკლებად **სულიერი** კაცნი, რომელთაც უნარი შესწევთ მთლიანად უგულებელყონ, დაამუხრუჭონ, გასაქანი არ მისცენ და თანმიმდევრულად გააუქმონ **ყველა საწყისი საბაბი,** ყველა პირველადი მოძრაობა და ფაქტებისა თუ სიტყვების ყოველი გამოძახილი?

ურიცხვი უწესრიგობა ამქვეყნად ურთიერთ სადარი ღირებულების მქონე და ერთმანეთისაგან ძნელად გასარჩევ „ჭეშმარიტებათა“ თუ იდეალთა თანაარსებობისაგან იღებს დასაბამს.

ყველაზე მძაფრი შეხლა-შემოხლა დასაბამიდან ვიდრე აქამომდე ერთმანეთისაგან ძალზე მცირედ განსხვავებული დოქტრინებისა თუ დოგმების გამო ხდებოდა.

ბრძოლა ორთოდოქსიასა და მწვალებლობას შორის ყოველთვის უფრო მწვავე იყო, ვიდრე ორთოდოქსიასა და წარმართობას შორის.

დავის სიზუსტის ხარისხი ამძაფრებს მის სიმწვავეს და მძვინვარებას. კაცნი უფრო გააფთრებით იბრძვიან შორეული **მეათედისთვის.**

არავის შეუძლია კაცის ჩაკეტვა მის ქმედებებში, არც მის ქმნილებებში: ასე განსაჯეთ, არც მის ფიქრებში, სადაც თვითონაც ვერ შესძლებს ჩაკეტვას, რადგან, **საკუთარი** და **უწყვეტი** გამოცდილებით, ჩვენ ვიცით, რომ ის, რასაც ყოველწამიერად ვაკეთებთ ან ვფიქრობთ, არასოდეს **არ** არის ზედმიწევნით ჩვენი; არამედ ხან უფრო მეტად, ხან კი უფრო ნაკლებად ან გაცილებით უფრო ნაკლებად, ვიდრე ის, რისი მოლოდინიც შეიძლება გვქონოდა ჩვენი თავისგან; და ხან უფრო ნაკლებ, ხან კი გაცილებით უფრო ნაკლებ... **სასურველი.**

ეს მარტივია. რადგან ჩვენ თვითონ, არსებითად, ვარსებობთ ან იმის უარყოფით, ან იმის გამო სინანულით, რაც არის; იმ ერთგვარი შუალედით, რომელიც ჩვენ წამისაგან გვთიშავს და გვასხვავებს. ჩვენი ცხოვრება იმდენად ყოველივე **იმის** ერთობლიობა როდია, რაც თავს გადაგვხდენია, ან რაც ვყოფილ-

ვართ (ეს იქნებოდა უცნაური, აღრიცხვადი, აღწერადი, სასრული ცხოვრება), — რამდენადაც ყოველივე იმისა, რაც ხელიდან გაგვსხლტომია, ანდა რასაც იმედგაცრუება გამოუწევევია ჩვენი.

სულის სიმდარე იზომება საგანთა თუ მოვლენათა მოჩვენებითი სიდიადით, რაც მას სჭირდება თვითშესაძვრელად; და განსაკუთრებით, სიცრუისა და სიყალბის ნიღაბთა სისქით, რაც მას სჭირდება, რათა არ დაინახოს თავისი საშუალებებისა თუ სურვილების უბადრუკობა.

მე ვწერდი: კაცი ბრიყვია იმის მიხედვით, რასაც ეძებს, და დიდია იმის მიხედვით, რასაც პოულობს.

მაშასადამე, უნდა გვეცადა ანგარიშში მიგვეთვალა ის, რაც მიკვლეულ იქნა, და უგულებელგვეყო ის, რაც საძიებელი იყო.

მიგვეთვალა ის, რაც მიკვლეულ იქნა, როგორც ის, რაც **საძიებელი უნდა ყოფილიყო,** და, ამრიგად, ცდით შეგვემოწმებინა, ხომ არ გარდაქმნილა დინება, ბუნება და ზოგადი სახე იმისა, რაც მიკვლეულ იქმნა, ჩვენი ძიებების ჩვეულ არსს? იქნებ, სახე გვეცვალა ჩვენი პრობლემებისათვის? — ჩვენი ცნობისწადილისათვის?

— **პასუხი.** — **მაგრამ სახეცვალებადობა თავისთავად ხდება. მიმოიხედეთ თქვენს ირგვლივ.**

ჩვენი ჭეშმარიტი გემოვნება, ჭეშმარიტი სირცხვილი, ჩვენი სისუსტე, ჩვენი ნათელმხილველი შიში ჩვენივე თავის მიმართ... ესაა ერთთავად გამოკეტილი მთელი საიდუმლო მუზეუმი. და ამ დილეგს სულის სიღრმეში მეზობლად ჰყავს უფალი ღმერთი, ისევე როგორც სიკვდილის განცდა, **თავისი სევდიანი** საათებითა და **პირქუში ბადით.**

ესაა **ყველა აჩრდილისა** და ყველა **ამ ბუნდოვანი სიზუსტის** ადგილი, რომლებსაც მოძრაობა, სინათლე, **ქარი, ეშმაკეული** სიტყვა თუ საქმე, **გზაკეთილი** სიყვარული, ჟინი, ყლორტი გამარჯვებისა, ბრძოლა ფიცხელი და მძაფრი ერთბაშად ფანტავს ან ადგილს უცვლის მომენტის სულში.

დანაშაულთა უმეტესობას რომ მთვარეულები სჩადიოდნენ, მორალის არსი, ალბათ, ის იქნებოდა, რომ დროულად გაგვეღვიძებინა საზარელი მძინარე.

უყოყმანოდ უნდა აღასრულო ის, რაც შენი მომხრეების ნახევარს ჩამოგაშორებს, მაგრამ გაასამკეცებს დანარჩენთა სიყვარულს შენდა მომართ.

ყოველგვარი საზოგადოებრივი წყობილებისათვის აუცილებელია ფიქცია.

ზოგიერთი წყობილება მოქალაქეთა თანასწორობას აწესებს; ზოგიერთი კი აკანონებს და აფუძნებს უთანასწორობას.

ყველა ეს პირობა აუცილებელია თამაშის დაწყებისათვის. როცა ერთი ან მეორე ძალაში შედის, თამაშიც იწყება, რაც გარდუვალად გულისხმობს, პიროვნებების მხრივ, საპირისპირო აზრით ქცევას.

თანასწორთა საზოგადოებაში პიროვნება თანასწორობის წინააღმდეგ მოქმედებს; უთანასწოროთა საზოგადოებაში კი უმრავლესობის მოქმედება უთანასწორობის წინააღმდეგ არის მიმართული.

ისტორიკოსი წარსულის მიმართ ისე იქცევა, როგორც მკითხავი — მომავლის მიმართ. მაგრამ მკითხავი გამოცდას აბარებს (გამტყუნდება ან გამართლდება), ისტორიკოსი კი არა.

როცა მოწინააღმდეგე გადაჭარბებით აფასებს ჩვენს ძალას, ჩვენს შთანაფიქრს, ჩვენს სიღრმეს; როცა, ჩვენს წინააღმდეგ ხალხის წასაქეზებლად, თავზარდამცემი ფერებით გვხატავს, — ის ჩვენს სასარგებლოდ მუშაობს.

მეზობლების არსებობა — აი, ერებისათვის თავდაცვის ერთადერთი საშუალება, რაც მათ თავიდან აცილებს მუდმივი სამოქალაქო ომების საფრთხეს.

მგელი დამოკიდებულია კრავზე, რომელიც დამოკიდებულია ბალახზე.

ბალახი არაუშუალოდ დაცულია მგლის მიერ. ხორცისმჭამელი მფარველობს ბალახს (რომელიც არაუშუალოდ არჩენს მას).

დიდი მოვლენები, შესაძლოა, მხოლოდ პატარა სულებისთვის არიან დიდნი.

რაც შეეხება უფრო ყურადღებიან სულებს, ისინი მხოლოდ შეუმჩნეველსა და უწყვეტ მოვლენებს უწევენ ანგარიშს.

მოვლენები უცნობი მამის ნაშიერნი არიან. აუცილებლობა მხოლოდ დედაა მათი.

სამართალი შუამავლის როლს ასრულებს ძალათა შორის.

ყველაზე უფრო **პესიმისტური** მსჯელობა ადამიანის, სინამდვილის, სიცოცხლისა და სიცოცხლის ფასეულობის შესახებ განსაცვიფრებელი სიზუსტით ემთხვევა **მოქმედებას** და **ოპტიმიზმს**, რომელსაც მოქმედება მოითხოვს. — ეს ევროპის სული გახლავთ.

სიკეთე მხოლოდ გარკვეული თვალსაზრისით უპირისპირდება ბოროტებას; — სხვა თვალსაზრისი მათ ერთმანეთთან აკავშირებს.

განცვიფრებული ანგელოსი.

ანგელოსი განცვიფრდა, როცა გაიგონა კაცთა **სიცილი.**

მას აუხსნეს, როგორც შეეძლოთ, რას ნიშნავდა ეს.

მაშინ მან იკითხა, რატომ არ იცინოდნენ კაცნი ყოველთვის და ყველაფრის გამო; ანდა, საერთოდ, რატომ ვერ ახერხებდნენ იმას, რომ სულაც არ ეცინათ.

„რადგან, — თქვა მან, — თუ კარგად გავიგე, ან ყველაფერზე უნდა იცინოდეთ, ან არაფერზე“.

ცხოველები, რომლებიც აფრთხობენ ადამიანს და, ასე განსაჯეთ, თვით მის აზრებსაც კი აფორიაქებენ, კატა, რვაფეხა, ქვემძრომი, ობობა... ის ცხოველები არიან, რომელთა იერი, თვალი, მოძრაობა შეიცავს რაღაც **ფსიქოლოგიურს.** ისინი რაღაც პირქუში ხიბლით, რაღაც იდუმალი გრძნებით მოქმედებენ ნერვებზე, თითქოს ბილწი **უკანა-აზრები** (arriere—pensées) იყვნენ. თვით გასრესილნი და თავგაჭყლეტილნიც კი, ისინი გვაფრთხობენ, ენითუთქმელ ზიზღს გვგვრიან და გულს გვირევენ.

ეს ყოვლისმძლე ანტიპათია გვიმჟღავნებს, რომ არის ჩვენში ერთგვარი მითოლოგია, ერთგვარი ფარული არაკი — მთელი ნერვიული ფოლკლორი, რომელსაც ვერასდიდებით ვერ დავაღწევთ თავს, ვინაიდან მისი შინაგანი განფენილობა, შესაძლოა, ერწყმის კიდეც გრძნობელობის ეფექტებს, რომლებიც პირწმინდად მოლეკულურ ექსტრა-ფიზიკურ ოდენობებად გვევლინებიან. ასე მაგალითად, გაღიზიანება, კბილების ღრჭიალი, ზოგიერთი რეალიზებული შეუძლებლობა თუ იძულებითი მიბაძვა, — მოკლედ, ყოველივე ის, რაც აუტანელ **თავდაცვას** იწვევს **(რადგან აქ სწორედ თავდაცვაა რეალურად მტანჯველი).**

ეს სამყარო მეტისმეტად პირქუშია, მეტისმეტად მნიშვნელოვანი, — საფრთხე მის მიერ გამოწვეული რეაქციების პროპორციული როდია, — სწორედ ეს რეაქციები გვევლინებიან რეალურ საფრთხედ.

ქალის სახე

ტანჯვის მემილიონედი, კითხვის ორი მეათასედი, ცბიერების და სიხარბის ათასნაირი ნაკვალევი, ზიზღი ცხვირის წვერზე; სხვადასხვა გრძნობის ურიცხვი დასაწყისი თუ ჩანასახი, ქინძისთავებივით ჩარჭობილი მის ნიღაბში.

როგორ ლაგდება, როდის წესრიგდება ყოველივე ეს? და მთლიანად ამას ჰქვია „ლამაზი ქალი“.

რაც ყველაზე მეტად მაცბუნებს რელიგიაში — ეს გახლავთ... არასიწმინდე. ისტორიის, თქმულებების, ლოგიკის, პოლიციის, პოეზიის, სამართლის, გრძნობის, სოციალურისა თუ პიროვნულის ნაზავი, და არა მარტო ნაზავი.

დიახ, არა მარტო ნაზავი, არამედ კომბინაცია, — მაგრამ სწორედ ესაა მისი ძალა, — რაც მას ყველაზე მეტად „აბუნებრივებს“ და მცენარეულობას ამსგავსებს, და რის წყალობითაც ის ამდენ სხვადასხვა არსებას ყოველთვის თავის ამა თუ იმ ნაწილს სთავაზობს, რომლებსაც ისინი ასერიგად ეტანებიან.

შეიძლება უსმენდე და არ კი გესმოდეს.

ეს არის დუმილი...

დუმილი თავის როლს ასრულებს **სმენის სამყაროში**.

არის ბევრი საათი და ბევრი ადგილი, აღბეჭდილნი მათი დუმილით.

ყური იძაბება და თანდათანობით ფხიზლდება სიცარიელეთა ამ საუფლოში.

მუსიკამ იცის, **როგორ განალაგოს ისინი.**

არის ბევრი სხვა დუმილიც. **არის** დუმილის ფუნქციაც **მდგომარეობის სამყაროში**: საუბრისას, სადაც ანაზდად თავს იჩენს ამა თუ იმ პასუხის ნაკლებობა; სიყვარულის დაბადებისას; იმედის მსხვრევისას...

იდეები როგორც ტკივილი.

ჩვენი იდეები ისევე ჩვენნი არიან და, იმავდროულად, ისევე უცხონი, როგორც ჩვენი და, თანაც, უცხო ტკივილი, თხემით ტერფამდე რომ დაგვივლის ხოლმე.

იანუსი. — სიტყვა იანუსია. ჩემსკენ მოქცეული და შენსკენ მოქცეული. მე მელაპარაკება და შენ გელაპარაკება.

ჩვენი წინააღმდეგობანი — აი, სუბსტანცია ჩვენი სულიერი ქმედითობისა.

ვისაც ჩვენი არ ეშინია, აქეთ გვაშინებს.

ცხოვრება თანდათანობით ნთქამს ჩვენი მხნეობის, ერთადერთობის, შესაძლებლობების პირველად მარაგს.

ერთადერთ სიტყვას, ერთადერთ ჟესტს თუ გამოხედვას შეუძლია დაანგრიოს ურთიერთობის მთელი სისტემა, შემუსროს მთელი სიცოცხლე თუ ორი სიცოცხლე, მიზანი, რწმენა.

გაცილებით უფრო იშვიათად ხდება, რომ ესოდენ უმნიშვნელო რამემ შე-

სძლოს ყოველივე ამის შექმნა: მაგრამ, თქვენ წარმოიდგინეთ, ხანდახან მაინც ხდება.

ბატონო № მარტო ის როდია, ვისაც თქვენ იცნობთ, არამედ ისიც, ვისაც თქვენ არ იცნობთ, და ეს უკანასკნელი მოიცავს **იმას, ვინც ის იქნება** და ვისაც თავადაც არ იცნობს.

— ხმა ჩააკმედინე მაგ შენს სულს! ყოვლისშემძლემ რომ გაიგონოს!

— კი მაგრამ, რა ვქნა, რას მიბრძანებთ? ხომ ვერ მასწავლით, როგორ დავიურვო და გასაქანი არ მივცე იმას, რაც საგანთა ხილვისას აღიძვრის ჩემში?

კაცი თან დაატარებს ყოველივე იმას, რაც მას აკნინებს, და რითაც ასე ბოროტად სარგებლობდნენ ეკლესიის მამები და თეოლოგები.

უნდა ვაღიაროთ, რომ ნგრევის ძალა განუზომლად უფრო დიდია, ვიდრე შექმნის ძალმოსილება, რადგან ის ზედმიწევნით ეთანხმება სამყაროს ყველაზე მძლავრ კანონს.

არაფერი არა ხდის კაცს უფრო საშიშს, უფრო უწყალოს, უფრო.. ვიდრე უნარი საგანთა ისე აღქმისა, **...როგორიც ისინი არიან სინამდვილეში.**

მოძღვრები ისინი არიან, ვინც გვიჩვენებენ, რა არის შესაძლო შეუძლებელის **სფეროში.**

გეშინოდეთ იმისა, ვისაც სურს მართალი იყოს. მას წარმოუდგენია, რომ სიმართლეს და მის საკუთარ პერსონას შორის ძალზე ინტიმური ურთიერთობა არსებობს და „სიმართლეს" ცოლად ირთავს, ვის მიმართაც საშინლად ეჭვიანობს.

მაგრამ რაც უფრო მეტად ეკუთვნის ეს ცოლი ვინმეს, მით უფრო ნაკლებადაა იგი „სიმართლე".

ბარუქს და ტროფიმეს სურთ მართალნი იყვნენ, სურთ — ვისიმე მიმართ — თავიანთ „საკუთრებას" ფლობდნენ. ისინი მას ექსპლოატაციას უწევენ.

სული ისევე უნდა გვიცავდეს ჩვენი დიდებისა და სიდიადისგან, როგორც ჩვენი სიმცირისა და უბადრუკობისაგან გვიცავს.

ნახევრად ჩრდილში უნდა იდგე...

ნარცისი. განა სარკეში ცქერა სიკვდილზე ფიქრს არ ნიშნავს? განა იქ ჩვენს წარმავლობას არ ვხედავთ? უკვდავი იქ ხედავს თავის მოკვდავს. სარკეს ჩვენი ტყავიდან, ჩვენი სახიდან გამოვყავართ.

ვერავინ ვერ უძლებს თავის ორეულს.

გაიმეორეთ სამჯერ თქვენი სიტყვა.

ცრემლი, რომელსაც ტკივილი ან ტანჯვა გამოსწურავს შენი სისხლიდან და რომელიც შენს ღაწვზე მოცურავს, უმეცარი მისთვის გაღებული საფასურისა, — აცვიფრებს სულს, რომელსაც არ შეუძლია ჩასწვდეს ამ ცვლილების მიზეზს და ბრსს.

რადგან ის არ იცნობს არაფერს ცხოვრებისეულს, რაც მისი ქმედითობისათვის ურგები ჩანს. ეს სულის თვისება გახლავთ.

ფრთხილად! ის, ვინც შენს გულში ლაპარაკობს, შენზე უკეთ როდი იცნობს **მას.**

ანგელოსმა წიგნი მომცა და მითხრა: „ამ წიგნში წერია ყველაფერი, რისი ცოდნაც გსურს“. ესა თქვა და თვალს მიეფარა.

მე გადავშალე ეს წიგნი. საშუალო სისქისა იყო.

უცნობი დამწერლობით დაწერილი აღმოჩნდა.

რეცნიერებმა თარგმნეს, მაგრამ ყველამ თავისებური, ერთმანეთისგან ძირფესვიანად განსხვავებული თარგმანი წარმოადგინა.

ასე განსაჯეთ, წაკითხვის აზრზეც კი ვერ შეთანხმდნენ; ერთიმეორეს ვერც თავი ნიუსადაგეს და ვერც ბოლო. ვერც დასაწყისი და ვერც დასასრული.

ამ ხილვის დამლევს, მე მომეჩვენა, რომ წიგნი გალღვა, ჩვენს გარემომცველ სამყაროში გაითქვიფა და გაუჩინარდა.

ყველაზე დიდი შესაძლო პოეტი — ესაა ნერვული სისტემა.

ყველაფრის გამომგონებელი — მაგრამ უწინარეს ყოვლისა მხოლოდ პოეტი.

კაცთა ვულგარულობა მათი არსებობის უმნიშვნელო მომენტებში იჩენს ხოლმე თავს.

მწერლებისა — მათი ნაწარმოებების „არაეფექტურ“ ადგილებში.

ადამიანები ერთიანდებიან ტკივილით, სიცილით, მთქნარებით, გრძნობით, მისტიური თვითგანდგომით, განცხრომით, — და განურჩეველნი ხდებიან.

მაგრამ რითი განსხვავდებიან ისინი ერთმანეთისგან?

ერთ მშვენიერ დღეს, ერთი საგანი ძირს არ დავარდა. და დარჩა ასე, თავისებურად ერთადერთი, მიწიდან ერთ მეტრზე ჰაერში დაკიდებული.

ვერავინ ვერაფერი გაიგო. მის ირგვლივ ტაძარი ააგეს.

ორი სიშლეგე: მიზეზ-შედეგობრიობის სიშლეგე და არა მიზეზ-შედეგობრიობის სიშლეგე.

მე მიყვარს ბავშვები, ვინაიდან, როცა ისინი ერთობიან, ისინი ერთობიან, როცა ისინი ტირიან, ისინი ტირიან, და ყველაფერი ეს ძალდაუტანებლად ენაცვლება ერთიმეორეს.

მაგრამ ისინი ერთმანეთში არ ურევენ სახეებს, არცერთ ფაზას არაფერი აქვს საერთო მეორე ფაზასთან.

ჩვენ კი...

გამოღვიძება

გამოღვიძებისას იდეების სამი თუ ოთხი კერა ენთება სულის ტრამალზე ერთმანეთისაგან დაშორებულ სხვადასხვა წერტილში.

კაცმა არ იცის, საით გაიქცეს, რომელს მიეფიცხოს.

ფსალმუნი!

ყველაზე დიდი სკეპტიკოსი —
ეს გახლავთ დრო,

რომელიც ქმნის ჰოს გვერდით არას,
სიყვარულის გვერდით — სიძულვილს,
ანდა პირუკუ.
და თუ მდინარე უკანვე არ უბრუნდება
თავის სათავეს,
და თუ ვაშლი არ ახტება,
რათა ხელახლა თავისსავე ტოტს შეეუღლოს,
მხოლოდ იმიტომ, რომ მოთმინება არ გყოფნის,
მოთმინება იმისა,
რომ ირწმუნო ეს!

ჩვენს შორის

ის, რაც ყველაზე ღრმაა შენში, არის ის, რაც ყველაზე მეტად დაშორებულია ჩემგან, — თვით იმ უკიდურეს წერტილამდე, სადაც იწყება ჩვენი აბსოლუტური იგივეობა.

არის საერთო ზონა ჩვენს შორის, არაკომუნიკაბილური სიღრმე ჩვენს შორის და იგივეობის წერტილი ჩვენს შორის.

მაგრამ ასევეა ჩემსა და ჩემს შორისაც.

კაცმა ძალზე ცოტა რამ იცის თავის თავზე, და ასეც უნდა იყოს, რათა მისმა აღსარებამ, მისმა გულწრფელობამ გაგვანდოს რაღაც ჭეშმარიტად მნიშვნელოვანი, რასაც ჩვენდა თავად, ალბათ, ვერც კი წარმოვიდგენდით.

ორი მგზავრი ვარდება აბობოქრებულ მდინარეში. ერთი გამოცურავს, მეორე იხრჩობა.

ასეა სულის სიბობოქრეში, კითხვების, პასუხების, მითების, ფასეულობების მორევში „გენიალობა“ და „სიშლეგე“. ერთი გადარჩება, მეორე იღუპება.

ის, ვისაც არ შეუძლია ანდა შიშს ჰგვრის ბუნდოვანი აზრის გამოთქმა, მეტწილად მდუმარეა და მუდამ უბედური.

ხელოვნების მიზანი ორადია: „დიდებული ქმნილება“ და „დიდების მოხვეჭა“.

ხელოვანი თავის როლს ასრულებს თამაშში, სადაც მონაწილეობენ „შემთხვევა“, ნება, აზროვნება, ოსტატობა და ა. შ. შეუძლებელია ამ ელემენტების ჩამოთვლა და, მით უმეტეს, მათი ურთიერთგანცალკევება.

არის მის შრომაში რაღაც თამაშისა და რაღაც კომედიის მსგავსი. ის თვითონვე ქმნის საკუთარ მოპირისპირეს. „კაცი“ „მასალის“ წინააღმდეგ, „დროის“ წინააღმდეგ, რომელიღაც თვითნებური იდეის, განუსაზღვრელობის, უნაყოფობის ამა თუ იმ პასაჟზე მუშაობისას მოძალებული სევდისა თუ თავმობეზრების წინააღმდეგ, აი, მისი ქმნილების ქმნილება — მასში.

მითოლოგია

ძალისხმევას კაცისას, რომელიც აზროვნებს, ლანდების ნაპირიდან საგნების ნაპირზე გადააქვს ზმანებათა ნაფლეთები, რომლებსაც შენარჩუნებული აქვ ესა თუ ის ფორმა, რისი წყალობითაც შეიძლება მათი მოხელთება; ნაფლეთები, რომლებიც რაღაცას მაინც ჰგვანან, ანდა რაღაცით საჭირონი არიან მისთვის.

ზმანებებით სავსე ხომალდი სიფხიზლის მეჩეჩზე იმსხვრევა. რობინზონი ცდილობს თავის ნაპირზე გადაიტანოს ზოგიერთი გადარჩენილი, მისთვის საჭირო ნივთი. წვალობს საწყალი.

საზრდო აუცილებელია; მაგრამ საკვები, რომელიც მას შეიცავს, ნაწილობრივ სარგოა, ნაწილობრივ კი — ურგები. ის თავის გემოს კარგავს სასაზე.

გემო ამკობს შენი საზრდოს ზედაპირს, ღვინის ყლუპის ფორმა შემკულია სურნელით, რომელიც ბადებს ზმანებებს და სიღრმეს.

ცოცხალი არსება თავის ნებას თავს ახვევს საგნებს, და მოითხოვს, რომ ისინი სხვა რამენი იყვნენ, — მოითხოვს უფრო მეტს, ვიდრე მათს არსებობას და მათს სუბსტანციას. ის მათგან მოითხოვს აქციდენტებს.

ფერების სამყაროსაგან განსხვავებით, ბგერების სამყაროს არ გააჩნია უზენაესი რანგის შემოქმედი და მბრძანებელი, რომელიც იქნებოდა ბგერების სამყაროს მზე.

თავისუფალი კაცი

ვეძიოთ „თავისუფლების" მთელი სისავსე.

რატომ არ შეიძლება, რომ „სხვისადმი" მიმართული კომპლიმენტები სიამოვნებას გგვრიდნენ შენ? ეს წვრთნის საქმეა. უნდა მივეჩვიოთ ამ გადახრას თუ გადახვევას, რომელიც ეგზომ უცნაური ჩანს, მაგრამ არა უფრო მეტად უცნაური, ვიდრე მიჩვევა (ან ბუნებით მიღწევა) იმისა, რომ თვით შენდამი მომართული კომპლიმენტები არავითარ სიამოვნებას არ გგვრიდნენ შენ.

ჭეშმარიტება საშუალებაა. ის ერთადერთი როდია.

ზნე-ჩვეულებებსა და მწერლობას, სიტყვასა და საქმეს შორის გარკვეული თანაფარდობა არსებობს. ისინი ან უგულებელყოფენ, ან, იმავდროულად, ხელს უწვდიან ერთმანეთს.

გონება კოლექტიური ფსევდონიმია სრულიად სხვადასხვა პერსონაჟთა ურიცხვი სიმრავლისა, — რომლებიც მასში პოულობენ (მეტ-ნაკლებად დახვეწილად და მოხდენილად) თვითგამოხატვის საშუალებას, — როგორც მაგალითად, მუცელი, გული, სექსი და თვით ტვინი. ვაღიარებ, რომ აქ საჭირო იყო უფრო მეცნიერული სახელწოდებების შერჩევა, მაგრამ მე არ ვიცი, და არც არავინ იცის ისინი.

ჩვენ რომ შეგვეძლოს ამ სიმრავლის, ალბათ, პირწმინდად ქიმიური სიმრავლის განსაზღვრა, რომელთა გადამცემი არხები აღაგზნებენ და აღიზიანებენ წარმოსახვითი ხატებისა და ნიშნების ცენტრებს; ჩვენ რომ შეგვეძლოს გარემოებებისდა მიხედვით, თვითეული მათგანის დაურვება... დროდადრო ერთი პასუხს იძლევა, ხოლო მეორე კითხვას სვამს. მაგრამ მათ განკარგულებაში მხოლოდ ერთი გადამცემი და მიმღები აპარატია.

აი კაცი, რომელიც თავს ისე გვაჩვენებს, თითქოს რაციონალისტი, გულიანი, თანმიმდევრული და ა. შ. იყოს.

ჩვენ ვგულისხმობთ, რომ ყველაფერი პირუკუა, და რადაც ის გვაჩვენებს თავს, სხვა არა არის რა, თუ არა შედეგი მისი რეაქციისა იმაზე, რაც ის სინამდვილეში არის.

მთლიანად გარშემოწერილი, ანუ გაცნობიერებული გრძნობა დამახინჯებული გრძნობაა.

გულწრფელობის ძალისხმევის შედეგი დამოკიდებულია მხოლოდ და მხოლოდ ძალისხმევის ხანგრძლივობასა და... სუბიექტის წარმოსახვაზე.

პოლემისტები

სიხუსტეა ის, რომ შენს ძალას ხარჯავ მოპირისპირის წინააღმდეგ, ნაცვლად იმისა ,რომ შემოინახო და დახარჯო იგი შენთვის. მით უმეტეს, შენს წინააღმდეგ.

დიდება სხვა არა არის, რა, თუ არა ის, რომ თემად, საზოგადო სახელად ან ეპითეტად იქცე....

ყოველთვის დგება მომენტი, როცა ამა თუ იმ მოძღვრების არსებითი ასპექტი, რომელიც უკიდურესად ბუნდოვანი ჩანდა, ორიოდე სიტყვით აიხსნება ჭკვიანი კაცის მიერ.

მაღალნიჭიერი კაცი ნაკლებ ნიჭიერთა არსებობას მოითხოვს.
ასე თუ ისე, ის მადლიერი უნდა იყოს მათი.

ჩვენი ფასი (სოციალურად), ათასგვარი მიზეზის გამო, სხვებისადმი ჩვენი მსგავსებით, ან მათგან ჩვენი განსხვავებით განისაზღვრება.

მათ რომ არ ვგავდეთ, სრულიად უცხონი ვიქნებოდით მათთვის, ხოლო ისინი — ჩვენთვის. შეუძლებელი გახდებოდა ურთიერთობა.

მათგან რომ არ განვსხვავდებოდეთ, ერთნი და იგივენი ვიქნებოდით. ყველა იქნებოდა ის, რაცა ვართ ჩვენ. რაღა აზრი ექნებოდა ურთიერთობას?

დიდი ადამიანები, სიცოცხლეშივე გაღმერთებულნი, თავიანთ სიკვდილს ბოლოს და ბოლოს, წარსულში განიხილავენ, როგორც მოგონებას, როგორც მათი ცხოვრების შუაგზაზე მომხდარ ფაქტს.

ამქვეყნად ყველაზე დიდ ბოროტებას „ბოროტმოქმედნი“ როდი სჩადიან.
არამედ ხელმოცარულნი, გულგრილნი და მალემრწმენნი.
„ბოროტმოქმედნი“ უმწეონი იქნებოდნენ „კეთილთა“ სიმრავლის გარეშე.

სხვისი შემოსვლა მეყვსეულად და ქვეცნობიერად ცვლის მას, ვინც მანამდე მარტოკა იყო.

კამათის დროს მე პატივსაცემ მოწინააღმდეგედ ვთვლი კაცს, რომელიც იმდენად იმას როდი ცდილობს, რომ „მართალი იყოს“, რამდენადაც თავისი სულიერი წყობის დახვეწას, — ვინც საკუთარ სულს საკუთარ თავმოყვარეობაზე მაღლა აყენებს.

სკეპტიკოსი ისაა, ვინც ხედავს, რამდენნაირ მოდიფიკაციას შეიძლება ექვემდებარებოდნენ სხვისი სიტყვები და მისი საკუთარი აზრები, ისე რომ მათში, არსებითად, არაფერი არ შეიცვალოს.

ცრუს თვისება მეხსიერებაა —
ცუდი მეხსიერება ქმნის ცრუპენტელას.
კარგი ხელს უწყობს მას.

სიცოცხლე სხეულის ვარდნაა.

დანაშაული, გარკვეული აზრით, სულს ესახება, როგორც უმოკლესი გზა სურვილსა და მის აღსრულებას შორის. ის ანგარიშს არ უწევს სხვის სურვილს,

როგორც დაბრკოლებას, რადგან დაბრკოლებად მხოლოდ რაღაც ნივთიერს თვლის.

აქედან გამომდინარეობს, რომ თითქმის ყველა ჩვენი სურვილი დანაშაულებრივია თავისი არსით.

ხშირად უფრო ძნელია ჩასწვდე მეგობრის გულს, ვიდრე მტრისას.

სულის წრიალისას შეხედე საათს და ჩაინიშნე. შეხედე წამმზომ პატარა ისარს. ის ერთადერთი იღვწის ბოროტებისა და სიკეთის წინააღმდეგ.

ღირსეული კაცი უარყოფს იმას, რაზედაც უარს ეუბნებიან, უფრო მეტად, ვიდრე უარს ეუბნებიან ისინი, ვინც მას უარს ეუბნებიან.

ადამიანი შეიძლება შევადაროთ ხომალდს, რომლის **მოწყვლადი** და ძირითადი ნაწილიც წყალქვეშ დაცურავს. რაც ჩანს, სხვა არა არის რა თუ არა უსულო ქმნილება, თუ არა სამკაული. ზღვის ღელვა ნაწილობრივ ააშკარავებს ცოცხალ ქმნილებას, ანუ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, **სასიცოცხლო ასოების გრძნობელობას** (სიმპათიურსა თუ პნევმოგასტრულს) და ინტიმური ენერგიის ათასგვარ წყაროს, მეტ-ნაკლებად ამა თუ იმ საიდუმლოსთან დაკავშირებულს.

სწორედ ამ მომენტს უთვალთვალებს და მიზანში იღებს მისი ვერაგი მტერი — **გონება.**

ფოტო-პოეტური ფენომენი

ის გარემოება, რომ ადამიანები აშკარად გრძნობენ თავიანთ უმწეობას განავითარონ საკუთარი აზრი იმ **ზღვარს მიღმა,** სადაც ის გვაბრმავებს, გვნუსხავს, გვაბრუებს, პოეტისათვის თვალსაჩინო უპირატესობად გვევლინება.

ნაპერწკალი ანათებს ამა თუ იმ ადგილს, რომელიც უსასრულო გვეჩვენება მის სახილველად მოცემული ერთი წამის განმავლობაში. გამოხატულება **გვაბრმავებს.**

გულშეძრულობის ეფექტი განუყრელად უკავშირდება საგანს, რომელსაც ის ავლენს. მუქი ჩრდილები, რომლებიც წამიერად გვევლინებიან, მეხსიერებაში აღიბეჭდებიან, როგორც მომხიბლავი მინანქარი.

ჩვენ არ ვასხვავებთ მათ ნამდვილი საგნებისაგან; ისინი ჩვენთვის რეალური თვისებებით არიან აღბეჭდილნი.

მაგრამ ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ, პოეზიის საბედნიეროდ და საკეთილდღეოდ, **მსწრაფლწარმავალი წამი,** რომელიც ზემოთ ვახსენე, არასდიდებით არ გახანგრძლივდება. ჩვენ არ შეგვიძლია ნაპერწკლის შეცვლა **სინათლის მუდმივი წყაროთი.**

ის სრულიად სხვა რამეს გაანათებდა.

ფენომენებს ამ სფეროში სინათლის წყარო განაპირობებს.

მსწრაფლწარმავალი **წამი** გვიცხადებს სულ სხვა სისტემის, სხვა „სამყაროს“ გაელვებას და გამონათებას, რომლებსაც **სინათლის მუდმივი წყარო ვერ გამოავლენს.** ეს სამყარო (რომელსაც არ უნდა მივაწეროთ მეტაფიზიკური ღირებულება, — რაც უსარგებლო და უაზრო იქნებოდა), თავისი არსით, არამდგრადია. შესაძლოა, ესაა სულის ძალისმიერ შესაძლებლობათა **ორგანული და თავისუფალი კავშირურთიერთობის** სამყარო? მიზიდულობის, უმოკლესი გზების, რეზონანსების სამყარო?...

იქნებ, აუხსნელი მასში ხატოვნად გამოხატულია **დისტანციით?** დისტანციური მოქმედება, ინდუქცია და ა. შ.?

ალმასები

I

ბალერინა ერთდროულად ავლენს: განსაცვიფრებლად ზუსტი პირუეტების კასკადს, **ალმასის წახნაგებივით რომ ციმციმებენ...**

ოცდათორმეტი პირუეტი! (კარსავინა).

ულამაზესი ხატი.

II

ალმასი. — მეუბნებიან რომ მისი სილამაზე დასაბამს იღებს სრული არეკვლის კუთხის სიმცირისაგან... ოსტატი იმნაირად თრაშავს წახნაგებს, რომ ერთ-ერთ მათგანში შეღწეული სხივი მხოლოდ იმავე გზით თუ გამოვა უკან! აქედან — ციმციმი, თვალისმომჭრელი ბრწყინვა.

მშვენიერი ხატია იმის გამოსათქმელად, რასაც მე ვფიქრობ პოეზიის გამო: სულისმიერი სხივის მიქცევა მისი გამტარი სიტყვების მიმართ.

III

საუბრობს თუ მღერის მშვენიერება, ჩვენთვის გაუგებარია მისი სიტყვები ჩვენ ვთხოვთ კვლავაც გაიმეოროს. ჩვენ მზადა ვართ დაუსრულებლად ვუსმინოთ მას. ჩვენ მზადა ვართ დაუსრულებლად ვიყნოსოთ დამათრობელი სურნელი. ჩვენ მზადა ვართ დაუსრულებლად ვუცქიროთ მშვენიერი არსების სახეს და ნაკვთებს. ჩვენ შეგვიძლია მოვიხელთოთ და დავეუფლოთ მას, მაგრამ ჩვენი სურვილი არ ამოიწურება, არც დაცხრება. არაფერს არ შეუძლია დაასრულოს მოძრაობა, რომელსაც იწვევს ის, რაც თავისთავად სრულქმნილია და სრულყოფილი.

შეიძლებოდა შეგვეთხზა იგავი თავისი სატრფოს მშვენიერებით სასოწარკვეთილი კაცის შესახებ: თუმცა მან მიიღო ქალისაგან ყველაფერი (სიყვარულიცა და ყველა სხვაგვარი მსხვერპლიც), მაგრამ ყოველივე ის, რისი მოცემაც შეუძლია სიყვარულს, ვერ ახშობს მის უცნაურ წყურვილს, რასაც მასში ამ ქალის სახე და ხატება იწვევს, წყურვილს, რომლის მოკვლაც ამქვეყნად **არ შეუძლია აბსოლუტურად არაფერს.** ესაა თავი და თავი.

სული

I

სული — ესაა ძალმოსილება, რომელიც აწინდელ ვითარებას წარსულის მთელს მემკვიდრეობასა და მომავლის მთელს ენერგიას ანიჭებს.

სული ხედავს თავისი არსებობის დასასრულს; ის მარადისობიდან წუთისოფლად უნდა გადმოსახლდეს, უნდა განსხეულდეს, განკაცდეს:

„შენ უნდა **იცოცხლო!**"

ეს კი მისთვის **სიკვდილსა ნიშნავს!** რა საშინელებაა!... საშინელებაა წუთისოფლის ტყვეობა!

სიყვარულისა და სულის ნაზავი ყველაზე მათრობელი სასმელია.

ასაკი თავის სიძელგესა და სიმწარეს, თავის ციაგ სიმჭვირვალეს ურევს მასში, — უსასრულო ღირებულებას ანიჭებს ერთ წვეთს წამისას.

სიყვარული! ერთი და იმავე ჯგუფის მარადიული სკულპტორი.

ყველაფერი ისე ხდება, თითქოს უმეტესობა იმისა, რაც არის, არ არსებობდეს. ვისიმე განსაზღვრა იმის მიხედვით, რაც არ არსებობს მისთვის...

ადამიანები ერთმანეთს უპირისპირდებიან იმდენად, რამდენადაც ერთმანეთს ჰგვანან. კონკურენცია მოთხოვნილებათა იგივეობისაგან იღებს დასაბამს.

მაგრამ საშუალებათა იგივეობა (იმისდა კვალად, სადაც ის არსებობს) შესაძლებლობას აძლევს მათ გაერთიანდნენ. ისინი ერთიანდებიან შრომის პროცესში და ერთმანეთს უპირისპირდებიან შრომის პროდუქტთა მოხმარების პროცესში.

როდესაც სამი კაცი ერთად შეიყრება, მათ შეუძლიათ ერთმანეთს უთხრან, რომ ერთსა და იმავე საგნებს ხედავენ; მაგრამ ისიც შეუძლიათ უთხრან, რომ ერთსა და იმავე საგნებს არ ხედავენ. ეს სიზუსტის ხარისხზეა დამოკიდებული.

მშვენიერი უარყოფითი ცნებაა.

მშვენიერი გულისხმობს უთქმელის, აუწერლის, აუხსნელის შთაბეჭდილებას. და თვითონ ეს ტერმინიც **არაფერს** ამბობს. შეუძლებელია მისი განსაზღვრა, რადგან ყოველი ჭეშმარიტი განსაზღვრა რაღაცაზე დაყრდნობით გამოიყვანება.

ამრიგად, თუ ჩვენ გვინდა გამოვიწვიოთ მსგავსი შთაბეჭდილება **იმის მეშვეობით, რაც მეტყველებს,** — ესე იგი ენის მეშვეობით, — და თუ ჩვენის მხრივ, ენის წყალობით განვიცდით კიდეც ამნაირ შთაბეჭდილებას, მაშასადამე, ენას სიმუნჯის მდგომარეობა და გამოთქმის სიმუნჯე უნდა გამოეწვია ჩვენში.

„მშვენიერება“ ნიშნავს „გამოუთქმელობას“ (და ამ შთაბეჭდილების განმეორების სურვილს). მაშასადამე, ამ ტერმინის „განსაზღვრა“ შეიძლება იყოს მხოლოდ იმ პირობების აღწერა და დახასიათება, რომელთა წყალობითაც დასაბამს იღებს რისიმე გამოთქმის .შეუძლებლობის მდგომარეობა, ამა თუ იმ კერძო შემთხვევაში და ამა თუ იმ სახით.

„გამოუთქმელობა“ იმას კი არ ნიშნავს, რომ არ არსებობს არავითარი გამოთქმა, არამედ იმას, რომ ყველა გამოთქმა, ერთად აღებული, ვერ გამოხატავს თავის გამომწვევს, და რომ ჩვენ აღვიქვამთ ამ უუნარობას თუ „ირრაციონალურობას“, როგორც საგან-მიზეზის ნამდვილ თვისებას.

აი, რა გვევლინება ამ მშვენიერი სურათის არსებით თვისებად: ის იწვევს ჩვენში იმის განცდას, რომ შეუძლებელია გამოთქმის საშუალებათა სისტემით მისი ამოწურვა.

„გამოუთქმელი“ ისაა, რისთვისაც „სიტყვები არ გვყოფნის“. მწერლობა ცდილობს „სიტყვების“ მეშვეობით შექმნას „სიტყვიერი უკმარისობის ეს მდგომარეობა“.

მაშასადამე, მშვენიერება — ესაა ნეგატიურობა, პლიუს ერთგვარი წყურვილი, გამოწვეული იმით, რაც ამ უუნარობით გამოიხატება, პლიუს ამ წყურვილის „დაუსრულებლობა“, პლიუს X...

ის, რაც სრულქმნილია და სრულყოფილი, ჩვენში იწვევს იმის განცდას, რომ შეუძლებელია რაიმე შეცვალო მასში.

ფერები

საგნის ფერი არის ისეთი ფერი, რომელსაც ის ყველაზე მეტად უარყოფს და რომლის ასიმილირებაც არ შეუძლია. მოწმენდილი ცა განდგება ცისფერისაგან და სილაჟვარდეს თვალის ბადურას უბრუნებს. ფოთლები მთელი ზაფხულის განმავლობაში ინარჩუნებენ სიყვითლეს. ნახშირის მტვერი ყველაფერს ნთქამს.

საგნები მხოლოდ იმას გადასცემენ ჩვენს გრძნობებს, რასაც თავად უკუ-

აგდებენ. სწორედ ამ უკუფენილ თვისებათა მიხედვით შევიცნობთ მათ. ყვავილი თავიდან იშორებს სურნელს.

შესაძლოა ადამიანების შესახებ მხოლოდ ის ვიცოდეთ, რასაც ისინი თავიდან იშორებენ, რაც არსებითად უცხოა მათთვის. თუ კეთილი ხარ, მაშასადამე, სულში ბოროტებას იმარხავ. თუ ბრწყინავ, სხივებს აფრქვევ და ელვასავით ლაპლაპებ, — მხოლოდ იმიტომ რომ სევდა, უბადრუკობა, სიბრიყვე განუყრელნი არიან შენგან. ისინი უფრო მეტად ნიშნეულნი, უფრო ორგანულნი არიან შენთვის, ვიდრე შენი თვალისმომჭრელი ბრწყინვალება. შენი გენია შენ თვითონვე გეუცხოება. შენი ყველაზე მშვენიერი ქმედებანი ყველაზე უფრო იდუმალნი არიან შენთვის...

ბოროტება იმისა, ვინც მართალია. — კაცს, რომელიც „მართალია", უფლებამოსილია", „სამართლიანია" ან „მართლად გამრიგე", გამუდმებით ემუქრება იმის ცთუნება, რომ საკუთარი უპირატესობა თავისდა სასარგებლოდ გამოიყენოს, და, ამრიგად, ყოვლად ბუნებრივი ბოროტების გზას დაადგეს... „ჭეშმარიტების გულისთვის თუ სამართლიანობის გამო".

ერთი კაცი ფიქრობდა თუ გრძნობდა, რომ არ არსებობს არავითარი **მსგავსება**. რომ არაფერი არ მეორდება, არაფერი არ თანაბრდება. დალეული სასმელის ორი ყლუპი არაფრით არ ჰგავდა ერთმანეთს, ის ყველგან და ყველაფერში მხოლოდ ერთადერთობას ხედავდა. მას სწამდა, რომ სამსა და ოთხს შორის არ არსებობს არავითარი თანაფარდობა, და რომ ორჯერ ერთს არავითარი აზრი არა აქვს. ყველაფერი ახალი და ცინცხალი იყო ყოველ წამს. — როდესაც რამე მოაგონდებოდა, ის ამას აღიქვამდა, როგორც შექმნას; ის აღიქვამდა მის ორიგინალობას, — ესე იგი აღიქვამდა მას მხოლოდ იმდენად, რამდენადაც მოგონება წარსული კი არ არის, არამედ აწმყო აქტი.

რასაკვირველია, სწორედ ამგვარად ვითარდება „ბუნება". მისთვის არ არსებობს წარსული, არც განმეორება, არც მსგავსება, რასაც ჩვენი აღქმის სიტლანქე, ჩვენი საშუალებების სიმწირე და გამარტივების აუცილებელი მოთხოვნილება გვაფიქრებინებს და გვავარაუდებინებს.

მაგრამ ამ სიმწირისა და სიმცირის, ამ აუცილებლობისა და გაყალბების გარეშე შეუძლებელი იქნებოდა **გონიერება**, ისევე როგორც **ანალოგიები** ანდა **ინივერსალობა**.

ესთეტი

I

ხანდახან მე უცნაურ და ბარბაროსულ ჩვეულებად მესახება სტატუებითა და ცოცხალ არსებათა გამოსახულებებით ნაგებობების შემკობა.

მე მუსმის არაბებისა, რომლებისთვისაც უცხოა ყოველივე ეს. ცოტა არ იყოს, მე მტკივნეულად განვიცდი დაპირისპირებულობას ფორმასა და მასალას შორის, რომელიც თავს იჩენს ორნამენტების ამ სამყაროში, სადაც ქვის მექანიკური როლი მისი თეატრალური შემოსილობით არის შეცვლილი.

მე ვგრძნობ, რომ ძალისხმევა, რომელმაც აღმართა კედელი თუ თაღი, ძირეულად განსხვავდება ძალისხმევისაგან, რომელმაც ნიშში დააყუდა წმიდანი.

პართენონი დაფუძნებულია თანაფარდობებზე, რომლებიც არაფერს არ სესხულობენ რეალურ საგნებზე დაკვირვებისაგან. შემდეგ მას ასახლებენ პერსონაჟებით და ორნამენტებით ხაზს უსვამენ მის ფორმებს.

მე ვარჩევდი, რომ ამ გროვაში თვალს ვერ ამოეცნო ვერაფერი, არამედ პირიქით, აღმოეჩინა რაღაც ახალი საგანი, ყოველგვარ გარეგნულ მსგავსებათაგან განყენებული, რომელიც აღიქმებოდა მის მიერ როგორც **მისივე ქმნილება**, როგორც მისი საკუთარი კანონების დაუსრულებელი ჭვრეტისათვის შექმნილი ხელოვნური **თვალი.**

II

ორნამენტები გაფანტვის აქტია გაფანტული მზერისათვის.

პროპორციები ისე უნდა მოქმედებდნენ, რომ არ ავლენდნენ თავიანთ თავს.

III

პორტრეტები მხოლოდ მეთვრამეტე საუკუნეში იყვნენ მეტყველნი. სახეები აღბეჭდავდნენ წამს.

სხვადასხვაგვარი ცრემლები, — ცრემლებს იწვევს ტკივილი, უძლურება, დამცირება, — ყოველთვის ესა თუ ის უბედურება ან უკმარისობა.

მაგრამ არის ღვთაებრივი ცრემლები, რომლებიც იბადებიან მაშინ, როცა ძალა არ გვყოფნის სულში დავიტიოთ ერთგვარი ღვთაებრივი ხატება, დავეუფლოთ მას, ან ამოვწუროთ მისი არსი.

მოთხრობას, მიმიკას, დრამას შეუძლია ცრემლების გამოწვევა ცხოვრების სამწუხარო ამბების ასახვის გზით.

მაგრამ თუკი არქიტექტურა (ანდა რომელიმე სხვა ჰარმონია, ზოგიერთი დისონანსისა არ იყოს, თითქმის აუტანელი თავისი სიზუსტით), რომელიც ჩვენს თვალში არაფერს ადამიანურს არ უკავშირდება, ცრემლს გაფრქვევინებს, მაშინ ეს უჩვეულო მდუღარება, რომელიც, როგორც თვითონვე გრძნობ, მზადაა შენი სულის გონებამიუწვდომელი სიღრმიდან გადმოღვაროს, ჭეშმარიტად ფასდაუდებელია, ვინაიდან გიჩვენებს, რომ შენ უგრძნობელი როდი ხარ შენი არსებობის, შენი ხვედრის, შენი ინტერესებისათვის სრულიად უსარგებლო და განურჩეველი საგნების, მოკლედ, ყველა იმ მომენტისა თუ ვითარების მიმართ, რომლებიც განგსაზღვრავენ შენ, როგორც მოკვდავს.

მოგონება

ჩემს ცხოვრებაში იყო ხოლმე მომენტი, როცა, გარკვეულ გარემოებათა წყალობით, ლექსზე მუშაობა „ქვეყნისაგან“ განდგომის საშუალებად ქცეულა ჩემთვის.

მე აქ „ქვეყანას“ ვუწოდებ სხვადასხვაგვარ და სხვადასხვა ძალის მოვლენათა, აუცილებლობათა, იმპულსთა თუ მოთხოვნილებათა ერთობლიობას, რომლებიც გარემოიცავენ და შინაგან ნათელში თვითწვდომის გზას უხშობენ სულს; რომლებიც ამღვრევენ, აბორგებენ და ყველაზე არსებითიდან ნაკლებ არსებითისაკენ უბიძგებენ მას...

ვითომ რა არის ცუდი იმაში, რომ არსებობენ კაცნი, რომელნიც ამა თუ იმ შორეული მეათედის, ანდა ამა თუ იმ მძიმის ადგილის განსაზღვრას უფრო მეტ მნიშვნელობას ანიჭებენ, ვიდრე ყველაზე თავბრუდამხვევ სიახლეს, ყველაზე გრანდიოზულ კატასტროფას და თვით საკუთარ სიცოცხლეს?

ეს მე მაფიქრებინებს, რომ ერთი-ერთი უპირატესობა პირობით ფორმათა მკაცრი დაცვისა, რომლის წყალობითაც ჩვენ ლექსის სტრიქონებს ვქმნით, სხვა არა არის რა, თუ არა დეტალების გულმოდგინე დახვეწა და დამუშავება,

რასაც ეს დისციპლინა ავითარებს, როცა მას უწყვეტი მელოდიურობის კანონსა და მუდმივი სრულქმნილების მომნუსხველ ძალას უქვემდებარებენ, რაც (ზოგიერთის თვალსაზრისით) ჭეშმარიტი პოემის შექმნის ერთადერთ საწინდრად გვევლინება. ამის შედეგია პროზისაგან, ანუ ყოველგვარი, წყვეტილობისაგან თავის დაღწევა, ყოველგვარი თვითნებობის უარყოფა, ყოველგვარი შემთხვევითობის, პოლიტიკის, ვითარებათა ქაოსისა თუ მსწრაფლცვალებადი მოდის მიქცევ-მოქცევისაგან განდგომა; ძიება საკუთარ სულში ძალისა, რომელიც შესძლებდა ცოტა უფრო სრულყოფილი ნაწარმოების შექმნას, ვიდრე თვითონ შეიძლება ჰქონოდა ამის იმედი; აღმოჩენა შენსავე თავში ენერგიისა, რომელიც იკმარებდა საიმისოდ, რომ კმაყოფილება გეპოვა მხოლოდ და მხოლოდ ძალისხმევის უსასრულო თამაშით და, ამრიგად, თავისი ზოგადი არსით გადაუჭრელი გადაწყვეტილებების ვნებიანი ძიებით დაპირისპირებოდი გარე სამყაროს ყოველგვარ ძალადობასა თუ ვერაგულ საცთურს, — აი, რა მომწონს, აი, რა მხიბლავს მე.

მე სრულიადაც არ ვნანობ იმ ოთხ წელს, რომლებიც ურთულესი ვერსიფიკაციული პრობლემების გადაჭრის ყოველდღიურ მცდელობაში გავატარე.

ეს იყო საყოველთაო ურვის, დახურული გულების, შეჭმუხვნილი შუბლებისა და გაწამებული, შინაგანი სიმძიმილით დამუნჯებული, ახალ-ახალი ცნობების ნიაღვრით წალეკილი, წინაგრძნობებით, სასოწარკვეთილებით, უაზრო ვარაუდებით დათრგუნვილი სულების წლები. რაღა დარჩენოდა კაცს ამ საშინელ ვითარებაში, როცა შეიძლებოდა მხოლოდ მოგეთმინა ის, რაც ხდებოდა, და როცა ყოველგვარი უკუქმედება, რომელიც შეძლებისდაგვარად პასუხს გასცემდა გამძვინვარებული ეპოქის ყველა უჩვეულო ქმედებას, არსებითად, შეუძლებელი გახლდათ?

შესაძლოა, აუცილებელი იყო სწორედ ეს ძიებები, ყველაზე ფუჭი და ყველაზე დახვეწილი ძიებები, რომლებიც ესადაგებიან მყისიერად შექმნილი ენობრივი მნიშვნელობების რთულსა და ნატიფ კომბინაციებს, რათა აღაგზნონ მთელი ნება, — ვინაიდან სწორედ ეს გახლავთ მათი დანიშნულება, — და აღძრან ამ ნების მთელი სიკერპე, იმ მიზნით, რომ გონებამ ნაწილობრივ მაინც იხსნას თავი, ნაწილობრივ მაინც გადაურჩეს მტანჯველ მოლოდინს, რეზონანსთა ეფექტს, წარმოსახვის დამთხვეულობას და აბსურდის გადამდებ სენს.

მე შევქმენი იმ ხანად იმედის პირწმინდად ჩემეული პოეზია, რომელსაც არ გააჩნდა სხვა მიზანი, და თითქმის არავითარი სხვა კანონი, გარდა იმისა, რომ ყოველდღიურად, რამდენიმე საათის განმავლობაში, ჩემსავე თავთან თანაარსებობის საშუალება მოეცა ჩემთვის. მე არ ვუსახავდი არავითარ ზღვარს, და საკმაოდ ბევრ მოთხოვნას ვუყენებდი მას, რათა დაუსრულებელი რუდუნების საბაბი მეპოვა მასში.

ამ **ნებაყოფლობითმა დაუსრულებლობამ** არა ერთი და ორი რამ მასწავლა. მე, რასაკვირველია, ვიცოდი, რომ ნაწარმოებს მხოლოდ ესა თუ ის შემთხვევითობა, ვთქვათ, დაღლილობა, დასვენების სურვილი, გამომცემლის მოთხოვნილება ან სიკვდილი ასრულებს; რადგან ნაწარმოები, მისი ავტორის, ან მისი უშუალო მიზეზის თვალსაზრისით, სხვა არა არის რა, თუ არა შინაგან ფერისცვალებათა თანმიმდევრული მწკრივის გარკვეული მდგომარეობა. რამდენჯერ აღგვძვრია სურვილი, დაგვეწყო იმით, რაც სულ ცოტა ხნის წინათ დასრულებული ჩანდა!... რამდენჯერ დამისახავს ის, რაც მკითხველის სამსჯავროზე წარმიდგენია, სანუკვარი ქმნილების მხოლოდ და მხოლოდ აუცილებელ მონახაზად, ქმნილებისა, რომლის მთელ შესაძლო სიმწიფესაც მხოლოდ ახლაღა **ვამჩნევ-**

დი, როგორც ყველა ჩემი უნარის, მთელი ჩემი შეძლების მიხედვით ესოდენ მკვეთრად გამოკვეთილსა და ახალი მოლოდინისა და ძალისხმევის ყველაზე ნამდვილსა და ყველაზე სასურველ ნაყოფს. საბოლოოდ დასრულებული ქმნილება მაშინ მე მეჩვენებოდა ერთგვარ მკვდარ სხეულად, რომელიც უნდა შეეცვალა სახეცვლილსა და უხრწნელ სხეულს.

მაგრამ პრაქტიკაში მუდმივი განახლებისა და დაუცხრომელი სრულქმნილების ჩემეული მეთოდის გამოყენებამ მე დამარწმუნა მენტალური ცხოვრების მთელს უპირატესობაში, ცხოვრებისა, რომელიც არავითარ ანგარიშს არ უწევს სხვის გემოვნებას. პოეზიის პრობლემები მე მაინტერესებდა მხოლოდ იმდენად, რამდენადაც მათი გადაჭრა შეიძლებოდა წინასწარ მოფიქრებული და ჩამოყალიბებული პირობების განხორციელების შედეგად, როგორც ეს ხდება გეომეტრიაში. ეს მე შესაძლებლობას მაძლევდა არ მეძებნა არავითარი „ეფექტი“ (ვთქვათ, თვითმკმარი „ლამაზი სტრიქონები“) და უსინანულოდ გამეწირა ყველა, როცა ისინი ხორცს ისხამდნენ ჩემს სულში. ასე გამოვიმუშავე თვითმოზღუდვისა და ზოგი სხვა სასარგებლო ჩვევა. კერძოდ, თანდათანობით მივეჩვიე შემოქმედებითი სულის ოპერაციების ორიგინალურ შეცვლას: მე მიხდებოდა არცთუ იშვიათად განმეპირობებინა ის, რასაც ფილოსოფოსები, მართებულად თუ უმართებულოდ, უწოდებენ აზრის „შინაარსს“ (უმჯობესი იქნებოდა გამოთქმათა შინაარსზე გველაპარაკა), ფორმალური მოსაზრებებით. აზრს მე განვიხილავდი, თუ შეიძლება ასე ითქვას, როგორც „უცნობ ქალს“, და დაახლოების დაჟინებული მცდელობით, რამდენადაც ეს საჭირო იყო, თანდათანობით ვიხელთებდი „მას“.

გაწმინდეთ დედამიწა პატივმოყვარეთა, ბრიყვთა, გულით სუსტთა და სულით გლახაკთაგან; მოსპეთ მორწმუნენი, მოშიშნი, ურიცხვი სულნი; ამოძირკეთ პირმოთნენი, შემუსრეთ ურჯულნი, და მთელი საზოგადოების არსებობა შეუძლებელი გახდება.

წესრიგის სუფევისათვის აბსოლუტურად აუცილებელია, რომ არსებობდეს პატივმოყვარეთა და სახელის მოხვეჭის მოსურნეთა, ისევე როგორც მათთვის სრულიად გაუგებარი სიტყვების, ორატორთა ტემბრის და ტონის, სიტყვიერი ძალადობის, აღთქმების, დაპირებების, ბუნდოვანი და ტლანქი ხატების, აჩრდილებისა და სიტყვიერი კერპების წინაშე სრულიად უმწეო კაცთა ურიცხვი სიმრავლე. ასევე აუცილებელია გულმხეცთა გარკვეული რაოდენობა, რათა მათ წესრიგში შეიტანონ თავიანთი წვლილი, რომელიც მას ასე სჭირდება.

საჭიროა ისიც, რომ არ გვზარავდეს ყველაზე საზარელ მოთხოვნილებათა ერთობლიობა. და ბოლოს, ასევე უნდა არსებობდეს უთვალავი ანგარი და ვერცხლისმოყვარე, ხოლო სიმხდალე უფრო საყოველთაო უნდა იყოს და, მაშასადამე, პოლიტიკურად უფრო ძლიერიც, ვიდრე სიმამაცე.

მაგრამ თუ არასრულქმნილების ყველა ეს ტიპი აუცილებელია (თვით მათი არასრულქმნილების გამო) საზოგადოების ცხოვრებისათვის, რატომ და რისთვის არიან ისინი მოძულებულნი, ყბადაღებულნი და საზოგადოებრივი აზრის მიერ შეჩვენებულნი, აზრისა, რომელიც თვით ამ საზოგადოებისაგან იღებს დასაბამს? საზოგადოებრივი უსაფრთხოება, უზრუნველყოფა და კეთილდღეობა ხომ მათზეა დაფუძნებული?

თარგმნა **ბაჩანა ბრეგვაძემ.**

კორნელი კეკელიძე

კოლხეთის დაბლობზე ჩამოქვეითებული რიონი სამხრეთის ხაბო ნაპირებს უფრო ეძალება და ვანის მიდამოებში ფერსათის მთაგრეხილს უახლოვდება. სადაც ამ მთაგრეხილს მდინარე ყუმური ჩამოათავებს, გზათგასაყარზე შეფენილია სოფელი შუამთა. გზათგასაყარიდან თუ გეზს ჩრდილოეთით აიღებთ, ოთხიოდ კილომეტრის შემდეგ, ცოტა ქვემოთ იმ ადგილიდან, სადაც ყუმურის გამჭვირვალე წყალი რიონის შემდოვრებულ ტალღებში წყნარდება, სოფელ ჭყვიშში თქვენ შემოგეგებებათ გალაკტიონ ტაბიძის სახლი.

ხოლო შუამთიდან თუ პირს ჩრდილოეთისაკენ იზამთ და ხეობას ზევითკენ ოთხიოდ კილომეტრზე აუყვებით, იქ, სადაც ფერსათის ვიწროები ყუმურის ნაკადულებს მუჭაში სწურავენ, მიადგებით კარ-მიდამოს, სადაც კორნელი კეკელიძე დაბადებულა 1879 წლის 18 (30) აპრილს. სოფელს ტობანიერი ჰქვია. სვებედნიერი ვარსკვლავი, თანაც ორი, მდგარა ტობანიერის ცარგვალზე. ძველი ქართული მწერლობის ისტორიის მამამთავრის დაბადებიდან 11 წლის შემდეგ იმავე თემში XX საუკუნის ჩვენი პოეზიის მეუფე იშვა (ჭყვიში ტობანიურის თემში შეიმოდიოდა).

კორნელი კეკელიძის წინაპრები გურიის მალალმთიან სოფელ ზოტიდან ჩამოსახლებულან ტობანიერში. ძველ ნაფუძვარზე განმტკიცებული ინსტინქტის კვალობაზე კერა აქაც მადლა, კინწოსულას მთის ფერდობზე გაუჩაღებიათ. მოწმენდილ ამინდში ამ სერიდან გატყორცნილი მზერა ხვამლის ქედსა და კავკასიონის თეთრ ბუმბერაზებსაც უწევს. უფრო აქეთ ჭუთაისის შემოგარენი და სამეგრელოს გორები ირჩევა. დაბლობში რიონის მორკალული სხეული წევს, მის გაღმა „მეფის ჭალაა", ხოლო გამოღმა — შუამთა...

მოწმე იმ ყრმობის, კვლავ შუა ქამთა,
სხვა მთათა შორის შვენის შუამთა.
მრავალთა წამთა სჯეროდათ, სწამდათ
ძველი შუამთა, კარგი შუამთა.

კორნელის მამას სამსონს და ბიძას ასლანს აქ გაუყოფელი, დიდი ოჯახი ჰქონიათ. ამ მამაპაპურ კერაზე ჩავლილა ბავშვობა მეცნიერისა, აქ შეუხედავს პირველად თავისი ქვეყნის ცის ლურჯი თავანისათვის. მადლი და სილბო ქართული მეტყველებისა, რომლის ჭირისუფლობას მერე მთელი სიცოცხლე მიეძღვნება, აქ ჩაუთესავს მის არსებაში სხვათ უწინარეს დედას — თებროლე უშვერიძის ქალს. ღვთისნიერი მშობლებისა და მეზობლების გარემოცვაში დაპურებულა სული კორნელი კეკელიძისა. სულის ეს პური ჭუთაისში სწავლის მძებნელად მიმავალ ბავშვს დედისეულ კერთან ერთად თან წაუღია საგზლად. ეს საგზალი სიცოცხლის მიმწუხრამდე უხარჯავს და არ გამოლევია. ხოლო როცა დაბადების 80 წლის იუბილეზე იმ ხის შტოც მიართვეს, მამისეული ოდის წინ რომ მდგარა, წიფლის მოწყენილ ფოთლებზე დიდ მეცნიერს ცრემლები დასცვენია.

ტობანიერის სამების ეკლესიის ეზოს შესასვლელთან ყურადღებას დღესაც იპყრობს ტრადიციული იერით გამომშვირალი ორი საფლავი. აქ განისვენებენ სამსონ და თებროლე კეკელიძეები. ჩალისფერ ლოდისგან გათლილ ორივე ქვას ეპიტაფია ამკობს. ორივე ეპიტაფიის ბოლოს ამოტვიფრულია: „...მადლიერი შვილი კორნელი კეკელიძე". ჩანს, სულის დიდი მღვიძარება უსახსოვრებიათ თავიანთი შობილისათვის ამ ლოდების ქვეშ მძინარეთ.

ჭუთაისიდან თბილისის სასულიერო სემინარიას მიაშურებს კორნელი კეკელიძე. სემინარიის წარჩინებული კურსდამთავრებული 1900 წელს „სახელმწიფო ხარჯით" ეწყობა კიევის სასულიერო აკადემიაში. იმავე წლის სექტემბერში კიევიდან თელავში გამოგზავნილ ერთ კერძო ბარათში, რომლის ადრესატია სემინა-

რიელი მეგობარი მიხეილ ელიზბარაშვილი, ახალგაზრდა სტუდენტი სწერს: „ვცხოვრობ მეტად სანატრელად, მაგრამ სამშობლო მაინც არ მცილდება გულიდან. ნუთუ ველირსო, ბიჭო, ჩემი სამოთხის მსგავსი საქართველო და მასში საყვარელი ძმა ამხანაგები ვიხილო?..“ მოზრდილი წერილის ბოლოს ნათქვამია: აქ ერთ კახელს, ბაბუნიძეს, ღვინის სარდაფი აქვს. იქ ვიკრიბებით ზოგჯერ უნივერსიტეტის და აკადემიის ქართველი სტუდენტები. „ხან ვთამაშობთ, ხან ვსვამთ, ხან საქართველოს გაცოცხლებაზე ვბაასობთ“.

1904 წ. კ. კეკელიძემ კიევის სასულიერო აკადემიას წარუდგინა საკანდიდატო ნაშრომი, „ქართული ლიტურგიკული ძეგლები სამამულო წიგნთსაცავებში“, რომელმაც სპეციალისტებზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა. აკადემიის დასრულების შემდეგ კ. კეკელიძე მასწავლებლობას შეუდგა ჯერ ქუთაისს, ხოლო მერე (1906 წ.) თბილისის ეპარქიალურ სასწავლებელში. იღწვის საეკლესიო მუზეუმის კომიტეტში, წერა-კითხვის გამავრცელებელ და საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებათა მუშაობაში.

1907 წ. კ. კეკელიძე კვლავ წარდგება კიევის სასულიერო აკადემიის წინაშე, ამჯერად მაგისტრის ხარისხის მოსაპოვებლად. საკანდიდატო ნაშრომის თემა მეცნიერს თვალსაჩინოდ გაეფართოებინა და გაელრმავებინა. პირველად ხდებოდა, რომ რუსეთის აკადემიაში ქართველი კაცი იცავდა დისერტაციას ქართულ თემაზე. დაცვის წინ კ. კეკელიძე წარმოთქვამს სიტყვას, რომელიც თანაბრად მომხიბვლელია ეროვნული კულტურის მხურვალე სიყვარულით, აკადემიურ სოლიდურობასთან რომაა წილნაყარი, და მეცნიერული შემართებით. დისერტანტი პირუთვნელად, მკაცრად გააკრიტიკებს რუსეთის სასულიერო აკადემიების ნიჰილისტურ დამოკიდებულებას ქართული ქრისტიანული კულტურისადმი. „ქართული ეკლესია, — ამბობს იგი, — ადმოცენდა ქრისტიანობის გარიჟრაჟზე. მან ჯერ კიდევ IV-V ს. გამოიმუშავა თავისი საკუთარი სალიტერატურო ენა, რომლის საშუალებითაც დაიწყო ბერძნულ-ბიზანტიური საქრისტიანო ცივილიზაციის ათვისება და ეროვნული გენიის ძალით გარდაქმნა იგი ივერიზმის ცხადად გამოკვეთილი ნიშნების მქონე თავისებურ კულტურულ სისტემად“.

ამ გაბედულ თვალსაზრისს, რომლის ჭეშმარიტებას იმ დღიდან დღემდე თვალსინულად ადასტურებს ქართველთმეტყველება, დისერტანტმა მაშინვე ამოუყენა გვერდით მეორე დებულება, საპროგრამო რომ შეიქნა მთელი მისი შემდგომი მეცნიერული ძიებისათვის: ქართული კულტურა კეთილად ანაყოფიერებდა თვით ბიზანტიურ ცივილიზაციას; ქართულმა მწერლობამ ქრისტიანულ კულტურას გადაურჩინა ისეთი ღირებულების საგანძური, რომ ამიერიდან „არც ერთ ნაშრომს, რომელიც კი ძველი საქრისტიანო-საეკლესიო მწერლობის ამა თუ იმ საკითხის შესწავლას ეძღვნება, სათანადო საკითხის ყოველმხრივად გაშუქებისა და გამოკვლევის თვალსაზრისით არ შეიძლება ჰქონდეს სამეცნიერო პრეტენზია ქართული ხელნაწერი საგანძურებით შემონახული ცნობების გარეშე“.

კ. კეკელიძე ბრწყინვალედ იცავს სამაგისტრო დისერტაციას, ხოლო ერთი წლის შემდგომ სასულიერო აკადემია თავის უკვე სახელოვან აღზრდილს ლიტურგიკის კათედრის გაძღოლას სთავაზობს. კ. კეკელიძე უარს ამბობს ამ ფრიად მაღალ თანამდებობასა და პატივზე, რაფინირებული აკადემიზმისა და ელიტარულ გარემოცვაზე; ბრუნდება საქართველოში, „პროვინციალური ცხოვრების მიყრუებულობაში, სადაც უმაღლესი სასწავლო დაწესებულების არარსებობის გამო ვერ იპოვნი ვერც ერთს, ცოტად თუ ბევრად სერიოზულ სამეცნიერო წიგნს“ (კ. კეკელიძის სიტყვებია, ერთი წლით ადრე წარმოთქმული). მშობლიური ქვეყნის სიძველეთსაცავების მტვერი, მეცნიერული ინტერესებისა და სახსრების სიღარიბე, მიმობნეული და დიდი შრომით მოსაძიებელი ხელნაწერები... აი, ის ასპარეზი, რაც ახალგაზრდა მაგისტრს ელოდა სასულიერო აკადემიის ერთ-ერთი მესვეურის პატივის სანუფქოდ.

ცხადი იყო, რომ კ. კეკელიძემ „ყოვლითა გულს-მოდგინებითა და სასოებითა შეუდგა კვალსა“ და მაგალითს დიდ კულტურულ წინაპართა. გიორგი მერჩულე უვება, თუ როგორ შეაქცია ზურგი გრიგოლ ხანძთელმა ქართლის ერისმთავრის მემკვიდრეობის პატივს, სასახლის ბრწყინვალე ცხოვრებას, ეპისკოპოსის ჩინს და ულვაწ ტაო-კლარჯეთს მიაშურა, „რაჲთა უქმთა მათ უდაბნოთა შინა გამობრწყინდეს სანთელი ესე დაუვსებელი... დაუტევა შეცვალებადი პატივი ქუაყანისა მოკუდავთა კაცთა სუფევისაჲ და მოჰრიდა ყამიერთა და ნივთიერთა ბუნებათა, რაჲთა უყამოჲ იგი ნათელი უძღოდის“. 29 წლის კ. კეკელიძემაც ასევე „მოჰრიდა ნივთიერთა ბუნებათა“.

ქართველთმეტყველება და ბიზანტინისტიკა ზედიზედ იმკის ასეთი მეცნიერული შემართების საუცხოო ნაყოფს. 1910 წ. კიევის სასულიერო აკადემიის შრომებში კ. კეკელიძე აქვეყნებს ნარკვევს ბიზანტიური მეტაფრასული ჰაგიოგრაფიის მამამთავრის — სვიმეონ ლოღოთეტის შესახებ. საკითხი სვიმეონის ლიტერატურული მოღვაწეობის, მისი ხასიათის, მოცულობისა და დროის შესახებ, მეცნიერებაში აქამდე საცილობელი, საბოლოოდ გაირკვა ქართული წყაროთი — „მოსაკსენებელი მცირე სუმეონისათუს ლოღოთეტისა“, რომელიც XI ს. დაუწე-

რია ცხოველი ქართველ მწერალს ეფრემ მცირეს. ქართულადვე აღმოჩნდა სვიმეონის ისეთი თხზულებებიც, რომლებიც ორიგინალში არ გადარჩა.

სვიმეონის მეტაფრასული საქმიანობის გამგრძელებლის შესახებ მეცნიერებამ საერთოდ არაფერი იცოდა. 1912 წ. გელათის წიგნთსაცავებში კ. კეკელიძე მიაკვლევს უნიკალურ ქართულ მასალებს, რომელთაგან ცხადდება, რომ სვიმეონის შრომა გაუგრძელებია და ბოლომდე მიუყვანია ბიზანტიის ისტორიაში აქამდე უცნობ მწერალს XI საუკუნისა, „პალატის მწიგნობართა უაღრესს", იოანე ქსიფილინოსს. ამასთანავე, როგორც მკვლევარი მიუთითებდა, „ქსიფილინოსის შრომა, რომელიც ბერძნულ ენაზე არ შენახულა, ქართულად თითქმის მთლიანადაა დაცული, ასე რომ შესაძლებელი ხდება საშუალო საუკუნეთა ბიზანტიური მწერლობის ერთ-ერთი მსხვილი ხარვეზის ამოვსება". ამ მიგნებამ ფრიად გააოცა როგორც რუსი, ისე ევროპელი სწავლულები. მაგალითად, აკადემიკოსმა ვ. ლატიშევმა იგი მიიჩნია „თავისებურ ხილვად."

ქართული ხელნაწერების კვალზე კ. კეკელიძე 1911 წ. ლეჩხუმის გავლით, მთის ბილიკებით, ცხენით გადაივლის ქვემო და ზემო სვანეთის სოფლებს. როგორც უშუალო ნაყოფი ამ მოგზაურობისა, 1912 წ. თბილისში გამოქვეყნდა „იერუსალიმის განჩინება". ევროპული მეცნიერება დიდხანს იყო დაინტერესებული იმ ლიტურგიკული წიგნით, რომელიც რეგულატორია ღვთისმსახურებისა (ტიბიკონი). როგორ ჩაისახა და განვითარდა ეს წიგნი თანდათანობით პირველი ათი საუკუნის მანძილზე, ამის შესახებ მეცნიერებამ თითქმის არაფერი იცოდა. და აი, ქართულ მწერლობას შემოუნახავს მთლიანი სახე ამ წიგნისა მეშვიდე საუკუნის რედაქციით. შეივსო თითქმის ათი საუკუნის ხარვეზი ლიტურგიკის ისტორიაში, გაცოცხლდა უნიკალური წყარო პალესტინათმცოდნეობისა.

როცა ნახევარი საუკუნის შემდეგ სვანეთში ამ მოგზაურობის შესახებ ჩამოვარდება საუბარი, ხანდაზმულ მეცნიერს მისი ერთი მოწაფე ჰკითხავს, თუ რა შთაბეჭდილება დასტოვა მასზე ამ კუთხის ბუნებამ. კ. კეკელიძე, რომელსაც ზუსტად ახსოვდა „განჩინების" ლატალური ხელნაწერის დეტალები, პერგამენტის ზომა და შეფერილობა, წიგნის აღნაგობა და ხარვეზები, ვერაფერს გაიხსენებს სვანეთის ბუნების შესახებ. მოძღვარი არ წუხდა, ყურადღება და სიყვარული რომ სხვას არავის უწილადა. არც მოწაფე ჩანდა დაღონებული, რომ მის მშობლიურ კუთხეს არ ერგო მაღალი ყურადღება, მარტო იმას ცდილობდა, ეს უღალატო სიყვარული გაესიგრძეგანებინა გონების თვალით.

1906-1916 წლებში კ. კეკელიძე თბილისის ეპარქიალურ ქალთა სასწავლებელს განაგებს. ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი ათწლეული ეროვნული სასკოლო განათლების ისტორიისა. თუ რა ცხოველმყოფელი კვალი დაუჩნევია მოძღვარს თავისი მრავალრიცხოვანი მოწაფეების სულზე, ამაზე მეცნიერის პირად არქივში შენახული ერთი რეული მეტყველებს, რომლის ფურცლებზე 1916 წ. სასწავლებლის მოწაფეებს თავიანთი განცდები გამოუსატავთ იმასთან დაკავშირებით, რომ მასწავლებელს ემშვიდობებოდნენ (იგი სასულიერო სემინარიის რექტორად გადაიყვანეს). ამ სტრიქონებში ალბათ იმდენივე პოეზიაა, რამდენიც ანკარა სიყვარული და კეთილშობილება. მაგრამ უფრო ოფიციალურ ხმას მოვუსმინოთ. გაზეთი „საქართველო" (1916 წ. № 258) ეპარქიალური სასწავლებლიდან კ. კეკელიძის გაცილების გამო წერდა: ძვირფას მასწავლებელს „მრავალჟამიერი უგალობეს და შემდეგ მოწაფეებმა გამოსათხოვარი სიტყვებით მიმართეს... მთელი სასწავლებელი მწარე ცრემლით სტიროდა, თან ძვირფას მასწავლებელს წინ ყვავილებს უფენდა".

ცოტა უფრო ადრე იგივე გაზეთი (1916 წ. № 226) წერდა: „კორნელი კეკელიძის გამგებლობისას საეპარქიო სასწავლებელი დიდათ გამოიცვალა და ნამდვილ ეროვნულ სასწავლებლად გადაიქცა; ქართული ენის კათედრა გაძლიერდა და ლიტერატურის პროგრამა გაფართოვდა იმ ზომად, როგორც ეს არც ერთ ქართულ სასწავლებელში არაა; დღეს იქ ქართული არქეოლოგიაც ცალკე საგანს შეადგენს... კორნელი კეკელიძის მიერ გაკეთებული საქმე არ უნდა ჩაიფუშოს... ქართლ-კახეთის ეპარქიის დედათა სასწავლებლის ხელმძღვანელი უნდა იყოს ქართველი, ქართველი არა მარტო გვარით, არამედ სულითაც".

1916 წ. კ. კეკელიძე თბილისის სასულიერო სემინარიის რექტორად დაინიშნა. ცოტა ხნის შემდგომ სემინარიის სტუდენტებმა ამბოხება მოაწყვეს; ისინი შოვინისტ რუს პედაგოგთა დათხოვნას და სემინარიის გაქართულებას მოითხოვდნენ. რექტორი სიტყვით და საქმით მხარს უჭერდა ეროვნული განათლების დასაცავად ამბოხებულთ. ასეთი თანადგომისათვის სინოდის ბრძანებით კ. კეკელიძე რექტორობიდან გადააყენეს, მაგრამ ბრძოლა გამარჯვებით დამთავრდა, 1917 წ. რუსული სემინარია ქართულად გადაკეთდა.

იმავე წელს აღდგენილ იქნა ქართული ეკლესიის ავტოკეფალია. კ. კეკელიძე ამ საქმეს სულისჩამდგმელთა დასს ეკუთვნოდა.

დიდი რუდუნებით განაგრძობს კ. კეკელიძე ქრისტიანული კულტურის იმ ძეგლების მოძიებას, რუსულად თარგმნასა და კვლევას, რო-

---

მლებიც ქართული თარგმანებით შემოგვენახა. მკვლევრის საგანგებო ინტერესის საგანი შეიქნა ჰაგიოგრაფიული ეპოსი. 1915 წ. კ. კეკელიძე, რუსეთის, მეცნიერებათა აკადემიის მბარდაჭერით, შეუდგა სამზადისს ქართული თარგმანებით გადარჩენილი ჰაგიოგრაფიული ტექსტების 8 ტომეულის გამოსაცემად. 1918 წ. გამოვიდა ამ სერიის პირველი ტომი (კიმენი), ხოლო 1946 წ. — მეორე ტომი. კარგა ხანია ამ წიგნებს დიდი ნდობით ეკიდებიან და ემყარებიან ევროპელი მედიევისტები.

მარტო „იერუსალიმის განჩინება“ და „კიმენის“ ხელნაწერი ორი ტომი იკმარებდა მსოფლიო რეზონანსის მეცნიერული ავტორიტეტისათვის. ხოლო კ. კეკელიძის დაუცხრომლად მაძიებელი სული გადასწვდა ქრისტიანული ლიტერატურის სხვა დარგებსაც. მაგალითად, 1920 წ. მეცნიერმა აღმოაჩინა და გამოსცა IX ს. ბიზანტიელი მწერლის მიტროფანე ზმირნელის ეგზეგეტიკური თხზულება „თარგმანებაჲ ეკლესიასტისაჲ“. ბერძნულ ენაზე ამ თხზულების არსებობაც კი არავინ იცოდა. კ. კეკელიძისვე მეცადინეობით „ბიზანტიური ლიტერატურის ისტორიას ქართულმა მწერლობამ შემატა მეტად შესანიშნავი ეგზეგეტიკური „კატენები“, ისეთი მთლიანი და სრული, რომელთა მსგავსი ცნობილ კატენებს შორის მეორე ჰრ მოიპოვება“.

დიდმა მეცნიერმა ცხადყო, რომ ჩვენი წინაპრები უცხოურ კულტურას ქართულ ნიადაგზე, ეროვნულ ფორმებში ითვისებდნენ, ყოველთვის მძლავრობდა „ტენდენცია ქრისტიანულ-ბიზანტიური კულტურის ნაციონალიზაციისა“. კორნელი კეკელიძეს გამოვლენილი აქვს, რომ ეს ტენდენცია შეხებია მსოფლიო ხაქრისტიანო მწერლობის თვით უპირველესსა და შეუვალ საფუძველს — ბიბლიას. სხვა კანონიკურ ძეგლებთან ერთად თავის დროზე ქართველებს იგი უთარგმნიათ „არა მონურად, სიტყვა-სიტყვით, არამედ თავისუფლად და თავისებურად. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ მეთერთმეტესა და შემდეგ საუკუნეებში, ამ პერიოდში (მეთერამეტე საუკუნეემდე. — გ. ფ.) თავისუფლად ნათარგმნ თხზულებებს, საღმრთო წერილი იქნებოდა ეს თუ სხვა რამ, უკვე ქართულს ეძახდნენ, ალბათ, იმიტომ, რომ ისინი თანამედროვე ბერძნულს აღარ უდგებოდნენ. მაგალითად, გიორგი მთაწმიდელი მის მიერ ნათარგმნ დავითნს უპირდაპირებს ქართველთა დავითთა; ექვთიმე მთაწმიდელსო, შენიშნავს ის, „ქართულნი დავითნი თანაესხნან“. ეს არის უნიკალური მოვლენა, რომლის ანალოგს ალბათ ძნელად ვიპოვით სხვა ერთა ქრისტიანულ კულტურაში. დიდი მეცნიერის ამ დაკვირვებაში ის ტენდენციაა შენიშნული, რაც ჩვენი ერის კულტურულ შუბლს ბედნიერად გამოარჩევს დღემდე. ამ ტენდენციის ცხადმყოფელი ფაქტები და მოვლენები ჯერ კიდევ თვლემენ ჩვენი სულის ისტორიის წიალში და მოსიყვარულე ხელს შეხებას ელოდებიან.

ხოლო XI საუკუნეში, როცა ეროვნული კულტურის შენობა სრულიად თვითმყოფი სახით გამოიკვეთა და ცხადი შეიქნა, რომ კულტურული დადგინების პროცესს უპირველესი ქრისტიანული წიგნიც საჭიროებისაებრ უკვე ემსახურა, გიორგი ათონელი და ეფრემ მცირე ბიბლიური წიგნების ახალს, მეცნიერულად ზუსტს თარგმანს ქმნიან.

კორნელი კეკელიძეს მისთვის ჩვეული აკრიბეით წარმოაჩინა ქართული წვლილი ბიზანტიურ ლიტერატურაში. ამ რიგის გამოკვლევებით სარწმუნო შეიქნა, რომ „თუ ქართულ ლიტერატურას რაიმე დამსახურება მიუძღვის ბიზანტიური მწერლობის წინაშე, მას ერთგვარი დამსახურება ევროპის კულტურის წინაშეც ჰქონია“.

როცა წარსულის დიდ ლიტერატურულ მოვლენებზე საუბრობდა, ძნელად იგრძნობდით დროის სიმძიმეს, ისეთი განცდა გეუფლებოდათ, თითქოს ეს მომხიბვლელი მოხუცი თავის თანამოკალმეებსა და მეგობრებს გაცნობდათ. კ. კეკელიძის ნაშრომები ქმნის საოცრად ცოცხალ, ხელშესახებ წარმოდგენას იმ კულტურული ატმოსფეროსი, იმ სულისკვეთებისა, რომელიც ძველი ქართული განათლებისა და მწიგნობრობის კერებში იდგა. ათონისა და გელათის, შატბერდისა და ოშკის ფოლიანტებთან დამეგობრებული მეცნიერის ნაფიქრალ-ნაზრევში ასეთი სულიც ცხადდება (მეცნიერება წილნაყარი ხდება პოეზიასთან). მეორეს მხრივ, მოცულობა და ანალიტიკური სიღრმე კ. კეკელიძის ნაღვაწისა თავიდანვე ისე მასშტაბური იყო, რომ მას საიმედოდ შეიძლებოდა დამყარებოდა ეროვნული უმაღლესი განათლება. აკად. ნ. მარი „იერუსალიმის ვანჩინების“ გამოქვეყნების გამო 1912 წ. წერდა: „ქალაქში, სადაც ადგილობრივი საზოგადოების სავარაუდო მოუმწიფებლობის გამო უნივერსიტეტის დაარსება ნაადრევად ითვლება, გამოდის წიგნი, იქაური მკვიდრის მიერ შედგენილი, რომელიც განსაკუთრებით ძლიერ სინანულს აღგვიძრავს იქ უნივერსიტეტის არარსებობის გამო“.

6 წლის შემდგომ თბილისში ქართული უნივერსიტეტი გაიხსნა. კ. კეკელიძე მართლაც „ერთი იმ ბურჯთაგანი“ იყო, რომელსაც უნივერსიტეტი დაეფუძნა. აქ შექმნა მან კათედრა ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიისა. მისი თავგანწირული სამეცნიერო მოღვაწეობის კვალობაზე ამ დროისათვის უკვე გამოიკვეთა ქართველოლოგიის ეს უმნიშვნელოვანესი დარგი, სამეცნიერო-სასწავლო დისციპლინა. ხოლო 1928 წ. კ. კეკელიძემ გვირგვინი დაადგა ეროვნული სიტყვიერი კულტუ-

რის კვლევის თავის ოცწლიან ნაღვაწს, გამოსცა ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის პირველი ტომი (სახელმიერო მწერლობა), რასაც 1924 წ. მოჰყვა მეორე ტომი (საერო მწერლობა). აღსრულდა მეცნიერთა რამდენიმე თაობის ოცნება; მოკლულ იქნა წყურვილი, რაიც ეროვნული კულტურისა და განათლების ყველა მუშაკს აწვალებდა XIX ს. დასაწყისიდან მაინც.

კ. კეკელიძის ნაშრომთა ბიბლიოგრაფიულ ნუსხაში 1920 წლის შემდგომ 1923 წლამდე სიცარიელეა. მოჩვენებითია ეს უნაყოფობა. ალბათ ეს არის მოღვაწეობის ყველაზე ინტენსიური და ნაყოფსავსე პერიოდი მეცნიერის ცხოვრებაში. სანატორელი მყუდროებით განაპირებულა იგი მეუღლის მამაპაპურ სახლში, სოფელ ქემერტაში (ცხინვალის სიახლოვეს). „აი, ამ სოფელში, — იტყვის მოგვიანებით მეცნიერი, — ვპოულობ ხოლმე მე დასასვენებელ ადგილს. აქ მოფიქრებული და საბოლოოდ გაფორმებულია დიდი ნაწილი ჩემი კვლევა-ძიებითი შრომებისა...“ უპირველეს ყოვლისა, „აქაა მოფიქრებული და გაფორმებული“ ორივე ტომი ქართული ლიტერატურის ისტორიისა.

ჩვენმა საზოგადოებამ უნდა იცოდეს სახელი იმ დიდებული მანდილოსნისა, რომელიც დიდი მეცნიერის სიახლოვეს ქმნიდა „ნათესაყუდელსა მყუდრო დუმილისასა“. ეს გახლდათ მინადორა კასრაძე, ჩვენი კულტურის ნამდვილი მოჭირნახულე, სახელოვანი მეუღლის მეცნიერული ნაყოფიერების ზვარაკად ამაყად და უჩუმრად რომ მიიტანა თავისი ცხოვრება. სიკვდილის წინ უმცროს დას მანია კასრაძეს ანდერძად დაუგდო, — მხცოვან მეცნიერზე მზრუნველობა ეტვირთა. უმცროსმა შესაშური დვთისნიერობით აღუსრულა ანდერძი უფროსს. 1955 წლით დათარიღებულ ბარათში მეცნიერი სემინარიელ მეგობარს ნიკო კანდელაკს სწერს: „აღარ მყავს ის, ვინც ბურჯი იყო ჩემი სიცოცხლისა, ის, ვინც ხალისს აძლევდა ჩემს ცხოვრებას. დავრჩი უმეგობროდ, უპატრონოდ, როგორც ჩვილი ბავშვი. მე ხომ ოჯახური ცხოვრების არაფერი ვიცოდი, ეს საქმე ჩაბარებული ჰქონდა მთლიანად იმას, ვინც შექმნა ჩემი ოჯახი“.

ორიგინალური ქართული ლიტერატურის მონუმენტურმა ორტომიანმა ისტორიამ განათლებული მსოფლიოს წინაშე ერთბაშად და საოცარ სიმაღლეზე ამოზიდა ჩვენი ეროვნული კულტურული სულის ძალა, თვითმყოფობა და მოუღლელობა, ჩვენი დღევანდელი და ხვალინდელი იმედის გამმართლებელი. ბელგიელი ორიენტალისტი პაულ პეეტერსი ამის გამო ამბობდა: „ათას ორას გვერდიანი ქართული ლიტერატურის ისტორია არის დასაბუთება საქართველოს ინტელექტუალურ ღირსებათა ლ ი ი ს ლ ღ ლ ე ბ ი ს ა, რომ იცხოვროს თავისი საკუთარი ცხოვრებით. ღირსებანი ბრწყინვალეა და უფლებანი უცილობელი“.

ამ ღირსებათა და უფლებათა დასტურად კ. კეკელიძემ „მონუმენტური, ბიბლიის მსგავსი შრომები დააწყო ქართული კულტურის ანალოზე“ (აკ. გაწერელია). ეს შრომები, რომელთა აღნუსხვა „კნინდა და შეუძლებელ არს“, დიდმა მეცნიერმა „ხატად ცხოველად და ძეგლად პირმეტყველად საწურთელად და სახელველად მომავალთა ნათესავთა აღუმართა“. ამ ნაშრომებში ისევე, როგორც ივანე ჯავახიშვილის წიგნებში, ქართული ჰუმანიტარული მეცნიერების ის ღონიერი სული, რომელიც ათონელების, ეფრემ მცირის, არსენი იყალთოელისა და იოანე პეტრიწონელის შემდგომ შესუსტებულიყო, ოდინდელი ძალმოსილებით გაცოცხლდა. ეს გარემოება კი მრავლისმეტყველია; უნდა ვიფიქროთ, რომ ეროვნული ენერგიის სხვა ნაკადებიც ეძებენ თავის თავს.

მკაცრი აკადემიზმის ფორმით კ. კეკელიძის წიგნებში ცოცხლობს რაინდული ტრფობა ეროვნული კულტურული სულისადმი. „ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს, — იგონებდა მეცნიერი, — გავეცანი იმ შეფასებას, რომელიც მისცეს მეთერთმეტე საუკუნეში ქედმაღალმა ბერძნებმა ანტიოქიის უზენაესი წარმომადგენლის პირით იმდროინდელ ჩვენ მოღვაწეს მწერლობისა და კულტურის დარგში — გიორგი ათონელს: „დადაცათუ ნათესავი ხარ ქართველი, სხვითა ყოვლითა სწავლულებითა სრულად ბერძენი ხარ“. ეს ნიშნავს: ქართველებს ძალა არ შესწევთ „სწავლულებით“, განათლებით „ბერძნები“ ვახდნენ, შენ თუ ასეთი გამხდარხარ, მხოლოდ გამონაკლისის ხახით. მე მაშინვე დამებადა სურვილი, ჩვენი ძველი მწერლობისა და კულტურის შესწავლით და გამომზეურებით, მეჩვენებია ყველა იმათთვის, ვინც თავის თავს კულტურულ ერად თვლიდა და მედიდურად ვვიყურებდა, რომ „სწავლულებით“ ქართველები არავის არ ჩამოუვარდებოდნენ ძველად“.

ძველ ქართულ მწერლობაში კ. კეკელიძე ეძიებდა და პოულობდა იმას, რასაც ჩვენმა ერმა ადრევე დააჩნია თავისი ორიგინალური გენიის ძალა, გამოვლინებულ იქნა უდავო ნიშნები ქართველთა შემოქმედებითი პოტენციისა.

კ. კეკელიძეს გარკვეული აქვს, რომ „ბიზანტიურ ფილოსოფიას ჩვენში დიდი გავლენა ჰქონდა, მაგრამ აქ მაინც არ იყვნენ გატაცებულნი ბიზანტიური სქოლასტიკისა და მისტიკის წვრილმანებით, აქ უფრო მეტი იყო „თავისუფლება სულისა“. ამის კვალობაზე წარმართულმა ძიებამ ქართული პოეტური სი-

---

ტყვის უძველესი ძირებიდან რუსთაველთან მისასვლელი გზა გამოაჩინა. მის ნაშრომებში უჩინარი ძაფია გაბმული და ერთმანეთს ხვდებიან ბიბლიის პირველი გადმომქართულებელნი და რუსთაველი, ჰიმნოგრაფები და დავით გურამიშვილი, რუსთაველი და აღორძინების ხანის მწერლები, ჰაგიოგრაფები და ილია, აკაკი, ბარნოვი, ფოლკლორული და მწიგნობრული შემოქმედებითი ტრადიციები...

კ. კეკელიძემ საგანგებო კვლევის საგნად ქართული სასულიერო მწერლობა გაიხადა. სწორედ მან შეძლო, რომ ეს თავისებური ნაკადი საერთო ეროვნულ პოეტურ კულტურას შეუსისხლხორცა და ესთეტიკური მაჯისცემის ძალმოსილობა იქაც დაადასტურა, სადაც იგი დაშრეტილი ეჩვენებოდათ. დიდმა მეცნიერმა დაამტკიცა, რომ „უძველესი საეკლესიო-სასულიერო სტილის მწერლობა ისევითვე ორგანული ნაწილია ჩვენი ლიტერატურის საერთო მდინარისა, როგორც საერო, აუცილებელი საფეხურია ჩვენი ლიტერატურული კიბისა“.

ამ გზით კ. კეკელიძემ ჩვენთან დაუახლოვა იაკობ ხუცესი და იოვანე საბანისძე, გიორგი მერჩულე და მიქაელ მოდრეკილი, ათონელები, მტბევარნი, ეფრემ მცირე... თვალსაჩინოდ გახადა მათთან ჩვენი ნათესაობა და მიუთითა, რომ „ვეფხისტყაოსანი“ არა მხოლოდ კეთილად ანაყოფიერებს მთელს შემდგომ ქართულ პოეზიას, არამედ თვითონაც ძალუმადაა ნაკვები წინარე ლიტერატურული და საეზროვნო ტრადიციებით. სწორედ კ. კეკელიძემ გაჰფანტა ის ბურუსი, რაც კარგა ხანს აძნელებდა რუსთველის მსოფლმხედველობის კვლევას. დიდი თეოლოგიური ერუდიციით აღჭურვილმა სწავლულმა უეჭველი საბუთებით ცხადყო, რომ „ვეფხისტყაოსნის“ უკან ქრისტიანი შემოქმედი დგას. ამით პოემის კვლევა შესატყვისი ეპოქის კულტურის კონტექსტში მოექცა და ცხადი შეიქნა, რარიგ უცილობელია ასეთი კონტექსტის ენის ცოდნა. იმავე გასაღებით, ქრისტიანული კულტურის სპეციფიკის მომარჯვებით გახსნა კ. კეკელიძემ საიდუმლო დავით გურამიშვილის თავისებური ჰიმნებისა.

„კორნელი კეკელიძე ეკუთვნის საქართველოს დიდ მწერალთა, ფილოსოფოსთა, მეისტორიეთა, თარგმანთა, გამომძიებელთა დიდ რაზმს, ვინც დათესა ცრემლი და მოიმკო ღვაწლი“ (გ. ლეონიძე). ძნელი არ იყო იმის შემჩნევა, რომ გრიგოლ ხანძთელის, ეფრემ მცირის, დიდი ათონელების ცხოვრების იერი და სული გადმოსულიყო მათი მემკვიდრეობის შთაგონებულ გამომძიებელზე. უზომო ტრფიალებით უყვარდა უნივერსიტეტი; ხანძთისა და ოშკის, ათონისა და გელათის მემკვიდრეს ჭვრეტდა მასში. როგორც დიდ წინამძღვართა მადლით გაბრწყინებულ ძველი სავანეებისაკენ არ წყდებოდა სწავლის მძებნელ ქართველთა ლტოლვა, კორნელი კეკელიძის სახელი და ღვაწლი ასევე უხმობდა უნივერსიტეტისაკენ თაობებს. მოდიოდნენ და „სწავლისა სძესა მის მიერ სუმიდეს“. არასოდეს ყოფილა გულგრილი ამ თაობათა ბედისადმი და მათ სულიერ დავაუკაცებას ძალუმად დააჩნია თავისი ძლიერი გონების ბეჭედი. მოკრძალებით დააბიჯებდა ტაძარში, რომლის ერთი მესაძირკვლეთაგანი თავად გახლდათ. „ადგილი ესე წმიდა არს!“ — ამ სიტყვებით აფხიზლებდა იმათ შეგნებას, ვინც ამ ტაძრის ფრთეთა ქვეშ შეჰფარებოდა, და ბევრს მოითხოვდა მათგან. ღრმა შინაგან პასუხისმგებლობას გრძნობდა ყველას მიმართ, ვისაც მისგან შეეძლო ესწავლა ქვეყნის სიყვარული და მომავალში ეტვირთა ქვეყნის სამსახური.

კ. კეკელიძემ მრავალ სასწავლო და სამეცნიერო კერას დაუდო საფუძველი, მაგრამ უნივერსიტეტიდან ფეხი არ მოუცვლია, სამუდამოდ აქ დაისაყდრა სხვა პატივთაგან გარიდებულმა. როგორც ჩანს, მასაც ის იმპულსი ამოქმედებდა, რაც ხანძთის საფუძვლის ჩამყრელს: „უწინარეს აღშენებული ადგილი ემართლების მაშენებელსა თჳსსა უფროჲსსა პატივსა“.

ჩვენს დიდ წინაპართა მსგავსად, კ. კეკელიძის სურვილიც ის იყო, რომ ეროვნული კულტურის მისგანვე ნაღვაწ ტაძართან, თანამოდასეთა სიახლოვეს, შერთვოდა მიწას. ესეც აღესრულდა, ივანე ჯავახიშვილისა და პეტრე მელიქიშვილის გვერდით შეუწიაღდა იგი უნივერსიტეტის მიწას.

ძველ ქართველ მოღვაწეთა ცხოვრების აღმწერნი მოგვითხრობენ, რომ ღვაწლმოსილნი მამანი შინაგანი ხილვით გრძნობენ სიკვდილის სიახლოვეს, მოწაფეებს შეკრებენ, მათ შორის უწარჩინებულესს წინამძღვრად ხელდასხამენ და ანდერძს დააგდებენ.

მიცვალებამდე ორი თვით ადრე კ. კეკელიძემ უახლოესი მოწაფეები შეჰყარა პუროობაზე პროფ. ალ. ბარამიძის დაბადების 60 წლის აღსანიშნავად, სანატრელად მოიღხინა, იუბილარს სამეცნიერო სკოლის წინამძღვრის ტვირთი გადაულოცა, სეფე ხიტყვა წარმოთქვა, ვითარცა პროგრამა და ანდერძი: გიყვარდეთ თქვენი საგანი და თვალისჩინივით გაუფრთხილდით მის სიმაღლესა და ღირსებას; ერიდეთ სენსაციებსა და რეკლამებს, ჭეშმარიტი მეცნიერისათვის უცხოა ცრუ პატრიოტული სპეკულაცია; ეცადეთ ბევრი ცოდნა დაგროვოთ, ფაქტების ღრმა ცოდნა უცდომელი განზოგადების პირობაცაა და საფუძველიც; ანგარიში გაუწიეთ და თვალწინ გედგათ წინა თაობების ნაღვაწი, რაგინდ უმნიშვნელოდ უნდა გეჩვენებოდნენ ისინი; ქართული მწერ-

ლობის ისტორიის კვლევის სადავეები უცხოელმა სწავლულებმა ხელთაგან არ უნდა წარგვტაცონო.

არ ეგონა, რომ ძიების გრძელ გზაზე უშეცდომოდ მიემართებოდა, მათი გამოსწორებისათვის არ უგრძვნია შიში. მარტო უგუნურება აღუძრავდა ასეთ განცდას. სახელ-დიდება და პატივი ოლიმპიური სიმშვიდით აღუქვამს და არც უმადურთა გესლს შეუშლია მისთვის ნაბიჯი. ცრემლი სიხარულისა გაუმყღავნებია და სიმძიმილისა დაუმალავს. მკაცრი და შეუვალი ჩანდა აკადემიურ-სამეცნიერო ურთიერთობათა ყამს, ლბილი და მიმნდობი — სხვა შემთხვევაში.

რაინდულ ტრფობას მშობლიური კულტურისადმი კ. კეკელიძის ხანდაზმულსა და და მოღლილ სხეულშიც ჭაბუკური სიცინცხალე შერჩა და უკანასკნელ, მისთვის მძიმე, წლებშიც არავის უნახავს შემოქმედებითი შრომისა და მეცნიერული თრთოლვიდან გამოთიშული. ამგვარი თრთოლვით მოელოდა ოთხმოცს გადაცილებული სწავლული „ჰიმნოგრაფიული თუენის“ უცნობი ქართული რედაქციის მიკროფილმებს უცხოეთიდან. დიდად გაიხარა მისი მიღებით, მაგიდას მიუჯდა... უკანასკნელი ორი თვე სავარძელს არ მოსცილებია, მუშაობდა, იქვე ეძინა... ჩვენი კულტურის ისტორიის კიდევ ერთ კუნჭულს ეფინებოდა სინათლე იმის საფასურად, რომ 83 წლის კაცი უშურველად, თავდავიწყებით სწვავდა ხორციელი და სულიერი ენერგიის უკანასკნელ მარაგს....

მის ერთ გვიანდელ კერძო ბარათში, სიბერითა და მეგობართა შემოფანტვით აღძრულ სიმძიმილზე ჩივილს, ასეთი ფრაზა მოსდევს: „ერთადერთი მანუგეშებელი და გამთბობი მეგობარი, რაც ახალგაზრდობიდან მომყვება, არის მეცნიერული კვლევა-ძიება, ამის კმაყოფილი ვარ...“ მეორეგან ვკითხულობთ: „...ვიმუშავებ, სანამ წავიქცევი“. უხმაუროდ, უფრო თავისთვის წარმოთქმული ეს აღთქმა სულიერი ვაჟკაცობისა, აღსრულებულ იქნა. კორნელი კეკელიძემ მართლაც წაქცევამდე იმუშავა. ხოლო მისი დიდი ნააზრევი და სული მარადღე მოუღლელად საქმობს ქართული კულტურის მრავალჭირნახულ ყანაში.

რუბენ ჩეთითი, მარგარიტა ვალიევა

ოსური პოეზიის საგანძური

მივდინარე წლის ოქტომბერში სრულდება დიდი ოსი პოეტისა და საზოგადო მოღვაწის კოსტა ლევანის ძე ხეთაგათის (1859-1906) დაბადების 120, ხოლო მისი ცნობილი ლექსების კრებულის „ირონ ფანდირის“ („ოსური ქნარი“) I გამოცემის 80 წლისთავი. მთელი საბჭოთა ხალხი ზეიმით აღნიშნავს ამ მნიშვნელოვან თარიღებს.

წინამდებარე წერილი „ოსური პოეზიის საგანძური“ ეძღვნება „ირონ ფანდირის“ გამოცემის 80 წლისთავს.

ოსური ენისა და ლიტერატურის ფუძემდებელმა, ფერწერის თვალსაჩინო ოსტატმა, ცნობილმა პუბლიცისტმა, გასული საუკუნის საზოგადო მოღვაწემ და პროგრესულმა მოაზროვნემ კოსტა ხეთაგათიმ (1859—1906) მშობლიური ხალხს ფასდაუდებელი საუნჯე დაუტოვა ეროვნული კულტურის თითქმის ყველა სფეროში.

ოსური კლასიკური ლიტერატურის დედაბოძი გახდა კოსტას მიერ ოსურად დაწერილი ლექსების კრებული „ირონ ფანდირი“ („ოსური ქნარი“), რომელიც პირველად 1899 წელს დაიბეჭდა.

ადვილი არ იყო მაშინდელ პირობებში კოსტა ხეთაგათის — მკვეთრი, აქტიური რევოლუციონერ-დემოკრატის შემოქმედების საჯაროდ გამოტანა, დაბეჭდვა.

წინამდებარე წერილში მკითხველი გაეცნობა იმ წინააღმდეგობებს, რომლებიც ელობებოდა ხსენებული კრებულის გამოსვლას მეფის საცენზურო კომიტეტის მხრივ.

როგორც „ირონ ფანდირში“ შეტანილი, ისე ბევრი სხვა ლექსიც კოსტა ხეთაგათისა დაბეჭდვამდე ფართოდ გავრცელდა ხალხში ხელნაწერის სახით. ხალხმა მთელი გულით შეიყვარა, შეითვისა და თავისად აქცია პოეზიის ეს საგანძური.

როგორც საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო არქივის № 480 ფონდიდან ვგებულობთ, კოსტამ თავისი ლექსების კრებული ხელნაწერის სახით გადასცა ვლადიკავკაზის ქალაქის უფროსს გიორგი (გაფო) ვასილის ძე ბაევს. ამ უკანასკნელმა კი 1898 წლის სექტემბერში წარუდგინა კავკასიის საცენზურო კომიტეტს, რომელსაც ნება უნდა დაერთო კრებულის გამოსვლაზე.

საცენზურო კომიტეტში ოსური ენის მცოდნე არ აღმოჩნდა, ამიტომაც კომიტეტის თავმჯდომარემ ლექსების ხელნაწერთა კრებული გადასცა კავკასიის სასწავლო ოლქის საიდუმლო განყოფილების წევრს კირილე იანოვსკის, რომელსაც სთხოვდა გადაესინჯა ხელნაწერი და სათანადო დასკვნა საცენზურო კომიტეტისათვის წერილობით მოეხსენებინა.

იანოვსკიმ „ირონ ფანდირი“ სარეცენზიოდ გადასცა ერევნის ვაჟთა გიმნაზიის მასწავლე-

ბელს ქრისტეფორე (ფორა) ჯიოევს, რომელიც სასწავლო ოლქში ოსური ენის მცოდნედ იყო ალიარებული.

სასულიერო აკადემიის კურსდამთავრებული ქ. ჯიოევი რუსეთის მოწინავე ინტელიგენციის იდეების ფარული თაყვანისმცემელი გახლდათ. ახალგაზრდა მასწავლებელს მეტად აწუხებდა მშობლიური ხალხის ბედ-იღბალი, აფიქრებდა ოსური ლიტერატურისა და ხელოვნების აწმყო და მომავალი.

კრებულის მიღებისთანავე ქ. ჯიოევმა ყველა ლექსი გულდასმით გადაიკითხა. პროგრესულ იდეებს ნაზიარევი ჯიოევი უდავოდ ჩახწვდა კოსტას ლექსების ჩანაფიქრს, თვითოეული ტაეპისა თუ სტროფის ქვეტექსტს. მან იშვიათი ტაქტი და ალღო გამოიჩინა იმისათვის, რომ „ამბოხებულ" ლექსებს სინათლე ეხილათ.

მან კრებულს დადებითი შეფასება მისცა. ლექსები დაახასიათა და წარმოადგინა, როგორც სრულყოფილი ლიტერატურული ქმნილებანი, რომლებშიაც გამორიცხულია რაიმე პოლიტიკური მიმართულება. ფორა ჯიოევმა საცენზურო კომიტეტის თვალის ასახვევად მსუბუქად გააკრიტიკა ლექსი „იმღერე". აი, სტროფები ამ ლექსიდან:

„ჩვენ არა გვაქვს ნება სრული,
ო, იმღერე, სანამ გული
იქცევა ფერფლად,
მგმოლის მსხვერპლად!
ხალხის საზრდო მიწა არის...
დამიტირე. მისთვის მკვდარი:
ვაი-თქვა, მითხარ, —
წაგვართვეს მიწა...

„ეს... ლექსი — წერს რეცენზენტი — ცენზურის თვალსაზრისით, რამდენადმე საეჭვოდ მიგვაჩნია. მასში ლაპარაკია თავისუფლებისა და მიწის დაკარგვაზე... თუმცალა არ არის ნახსენები, სახელდობრ, ვინ არის „მიწისა" და „თავისუფლების" წამართმევი. ჩვენ ვერ შევუდგებით იმის მტკიცებას, თითქოს ავტორს ამ სტრიქონებში მმართველობა ჰყავდეს ნაგულისხმევი... რადგანაც ოსები სრულიად სამართლიანად შეეჩვივნენ იმ აზრს, რომ რუსეში მათი კეთილისმყოფელნი არიან..."[1] და სხვა. საგულისხმოა ჯიოევის გულუბრყვილო ტონი... მან იმ ლექსებს, რომლებშიც მკაცრი ბრძოლაა გამოცხადებული თვითმპყრობელური რეჟიმის წინააღმდეგ („უმწყემსოდ", „სასაფლაოზე", „ა-ლოლ-ლაი", „ჰეი, ვასდირჯი, მოგვხედე" და მრ. სხვ.), გვერდი აუხვია იმ განზრახვით, რომ დაბეჭდილიყო. წარმოუდგენელია, რომ რეცენზენტს არ ესმოდა ქვეტექსტი შემდეგი სტროფებისა:

ახალგაზრდობავ ოსეთისა, ბრალია,
ბრალი,
რომ შენ არა გყავს ერთი დამცველიც.
...
ულრანი გაკრავს, გამოსავალს ამაოდ ეძებ,
ხარ მშიერი და ხარ დაბნეული.
ობობასავით ბორიალობ უხილავ ბეწვზე,
და იღუპები ბედდამსხვრეული.
...
თუ კი ოდესმე შენი მწყემსიც დაიბადება,
გაიბადრება გული სხივით, როგორიც
ჯერ არს,
დიდ სიმღერაში ღამის ბინდი გაიფანტება
და ერთად შეგყრით დიდი სიმღერა.
(„უმწყემსოდ").

სამშობლოს კაცი ცოტაა,
ცოტაა კაცი კაცური,
არ ჩანს ცისკარი მომავლის,
ბნელში დანთქმულა წარსულიც.

და მაინც სადღაც მივდივართ,
ბრმად მივდევთ ბედის ფრიალოს...
ჰეი, ვასდირჯი,[1] მოგვხედე,
უგზოდ როდემდე ვიაროთ!
(„ჰეი, ვასდირჯი, მოგვხედე").

ნეტავი მას, ხალხთან ვისაც
უფლება აქვს სიტყვის თქმისა,
იცავს მშობელ მთებს და მდელოს,
თავის საქმეს თუ სიხარულს,
სიდიადეს და სიყვარულს
ქვეყნად ტოვებს სასახელოდ!..
(„ნეტავი მას").

მრავალი მსგავსი ადგილის მოტანა შეიძლება კოსტას ლექსებიდან, მაგრამ, ვფიქრობთ, საილუსტრაციოდ ესეც კმარა. ხალხის დუხჭირ მდგომარეობაზე ხომ თითქმის ყოველი მეორე ლექსი მეტყველებს („ღარიბის სიმღერა", „ღარიბის გული", „ზამთარი", „ობლების დედა" და მრავალი სხვა).

ხსენებულ კრებულზე ქ. ჯიოევის მიერ დადებითი რეცენზიის შედგენის საფუძველზე გაიცა განკარგულება „ირონ ფანდირის" დაბეჭდვისა.

დაიწყო „ირონ ფანდირის" ბეჭდვა ვლადიკავკაზში, შუვალოვის სტამბაში. მაგრამ საქმე ამით არ დამთავრებულა...

1899 წ. გაჩნდა საგანგაშო სიგნალები — „საიდუმლოდ" კრებულის ბეჭდვის ირგვლივ. ბეჭდვა შეწყვეტილი იქნა. კავკასიის ადმინისტრაცია შეშფოთებული იყო. მის წინაშე 10

[1] კოსტა ხეთაგუროვი, სსრ კავშირის მეცნ. აკად. გამომც. მოსკოვი, 1961, წ. ტ. V, გვ. 433.

[1] ვასდირჯი — წმინდა გიორგი.

მარტს თერგის ოლქის უფროსმა, წარადგინა პატაკი, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ თბილისის ცენზურას გაეპარა ოსურ ენაზე დაწერილი ლექსები ხეთაგუროვისა, რომელსაც კავკასიიდან გადასახლება აქვს მისჯილი. ეს ლექსები, ზოგიერთი კეთილშობილი ოსის ცნობით, უკიდურესად აღმაშფოთებელი შინაარსისაა, განსაკუთრებით „ჯარისკაცი“ და „შინელი“.[1] გენერალ ლეიტენანტი კახანოვი მოითხოვდა შეეწყვიტათ კრებულის ბეჭდვა.

„ირონ ფანდირის“ ბეჭდვა, მართლაც, შეწყვიტეს, ოღონდ დროებით. ზემოთხსენებული არქივის ფონდი გვატყობინებს, რომ კოსტას ლექსების ხელნაწერი კრებული სარეცენზიოდ დაუბრუნდა ფორა ჯიოევს. მიუთითებდნენ რა იმაზე, რომ გაეპარა მეფის პოლიტიკის წინააღმდეგ დაწერილი აზრები, მოითხოვდნენ მისგან, გულდასმით, ხელმეორედ გადაეკითხა ხეთაგუროვის ნაწერები და თუ მართლაც მათში რაიმე საეჭვოს აღმოაჩენდა, წერილობით ეცნობებინა კავკასიის საცენზურო კომიტეტისათვის.

ფორა ჯიოევის თანამედროვე და მახლობელი, თბილისში მცხოვრები გიორგი ჯიოევი იგონებს: როგორც კი ფორამ ხელმეორედ მიიღო „ირონ ფანდირი“ საცენზურო კომიტეტისაგან გამაფრთხილებელი წერილით, მაშინვე საგონებელში ჩავარდაო.

ფ. ჯიოევი დიდად აფასებდა კოსტას პოეზიას, კოსტაზე ყოველთვის მოწიწებით და სიყვარულით ლაპარაკობდა: ერთ-ერთ წერილში საყვარელი მგოსნის შესახებ იგი წერდა: „მისი ცხოვრება და შემოქმედება ჩვენს საერთო საკუთრებას შეადგენს“.[2]

კოსტას თაყვანისმცემელი მიხვდა, რომ კრებული ისეთი ოსის ხელში მოხვდა, რომელსაც სრულიად არ გააჩნდა მშობლიური ერის სიყვარული. ასეთი იყო გაფო ბაევი. იგი ყოველნაირად ეცდებოდა, რომ შეეფერხებინა წიგნის გამოცემა.

ქ. ჯიოევმა იფიქრა, იფიქრა და გამოსავალიც ნახა: რამდენიმე ლექსი, რომლებშიაც პოეტი აშკარად გამოდიოდა მეფის ხელისუფლების წინააღმდეგ, გადამალა. ასეთი იყო ლექსები: „ჯარისკაცი“, „მოთქმა“, „შინელი“...

ლექსში „ჯარისკაცი“ პოეტი წყევლა-კრულვას უთვლის მმართველობას, გადმოგვცემს ჯარისკაცისადმი უდიერ მოქცევას და ხხვა.

სიხარულს, სიმშვიდეს ნურასდროს,
ეძიებ, ოსო,
ვინც გვიხშობს სიცოცხლის გზას!
ძვირფასო მშობელო, საჩოხეს ნუ მიქსოვ,
აწ ვეღარ გავცვეთავ მას.

ჩოხა-ახალუხით შენს გაზრდილს უეცრად
ვეღარ გაუხარებ გულს,
ზემდეგმა მუშტით თუ ყბები ჩაულეწა, —
ჯარისკაცს ვინ უგდებს ყურს!

თავისუფლების დაკარგვით გამოწვეული სასოწარკვეთილების, თვითმპყრობელობისადმი უდიდესი ზიზღისა და აღშფოთების, მრისხანე მუქარის ხმა ისმის ლექსში „მოთქმა“:

ცრემლფრქვევით ტიროდე, სამშობლოს
მთა-ველო,
სჯობდა რომ მენახე ქცეული ფერფლად!
ზვავმა დაგიტანოთ, ერის მოთავენო, —
ხალხს თუ არ შესწირავთ სიცოცხლეს
მსხვერპლად!..

.....

მასხარად იგდებენ წმინდა სალოცავებს,
ხელ-ფეხზე გვადებენ ქანგიან ბორკილს;
წაგვართვეს მთები და უწყალოდ
გვხოცავენ,
დიდსა თუ პატარას სულს გვხვდიან
როზგით...

მომხვდურმა დაგვსაქსა, მოგწყდით
ჩვენს ქვეყანას,
ასეღა დაფანტავს ნადირი ნახირს.
ჰე, მწყემსო კეთილო, ერთმანეთს
შეგვყარე!
სადა ხარ! სადა ხარ! — უსმინე ძახილს...

დანარჩენ ლექსებზე კვლავ დადებითი რეცენზია წარადგინა, რომელშიც ირწმუნებოდა: დამსმენი უთუოდ პროვოკატორია და სასტიკ დასჯას იმსახურებს, რადგანაც მთელ კრებულში სიტყვები „ჯარისკაცი“ და „შინელი“ არა თუ ლექსების სათაურად, არამედ თვით სტრიქონებშიც კი არ მოიძებნებაო. რეცენზენტი ხაზგასმით აღნიშნავდა კრებულის დაბეჭდვის დიდ მნიშვნელობას ოსური ლიტერატურის, ოსური პოეზიის განვითარებისთვის. ასეთი რეცენზიის შედეგად „ირონ ფანდირის“ ბეჭდვა განაგრძეს.

„ირონ ფანდირი“ გამოვიდა 1899 წლის ივნისში, იმ დროს, როცა პოეტი გადასახლებაში იმყოფებოდა.

I გამოცემაში არ შევიდა ლექსები: „იმღერე“, „ჯარისკაცი“, „მოთქმა“, „განგაში“ და თავისუფალი თარგმანი პუშკინიდან „ყვავი ყვავთან მიფრინავს“.

---

[1] კოსტა ხეთაგუროვი, „ოსური ქნარი“, გამომც. „სოვეტსკაია როსია“ მოსკოვი, 1977 წ. გვ. 310-311.

[2] იქვე. გვ. 310.

აქედან ლექსები „ჯარისკაცი“ და „მოთქმა“ დაიბეჭდა 1907 წ. გაზეთში „ნოგ ცარდ“ („ახალი ცხოვრება“ № 49 2 IX, № 14 29/IV), ხოლო ლექსი „წუხილი“ — 1906 წელს „ირონ გაზეთში“ № 1, 23 VII.

რევოლუციამდე „ირონ ფანდირი“ სამჯერ გამოიცა. პირველად, როგორც უკვე აღინიშნა, — 1899., მეორედ — 1909 და მესამედ — 1911 წელს. ამ გამოცემებში ცენზურის მიზეზით გამოტოვებული იყო მთელი რიგი ლექსებისა.

„ირონ ფანდირის“ სრულყოფილი გამოცემა მკითხველებმა მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ მიიღეს.

კოსტა ხეთაგაროის თხზულებები როგორც ერთ, ასევე სამ და ხუთ ტომად მრავალჯერ იქნა გამოცემული ოსურ და რუსულ ენებზე. ქართულ ენაზე კოსტას ლექსების კრებულები გამოიცა ხუთჯერ.

საბჭოთა ხალხი დიდი სიხარულითა და კმაყოფილებით ხვდება კოსტა ხეთაგაროის პოეზიის ახალ-ახალ გამოცემებს. და რამდენჯერაც უნდა წაიკითხოთ კოსტას ლექსები, ყოველთვის ახალ რაღაცას აღმოაჩენთ, ახალი ემოცია გიპყრობთ, ახალი განცდა გეუფლებათ, ახლებურად გწვავთ და განთებთ მისი ცეცხლოვანი სტრიქონები, მისი მარად ჩაუქრობელი პოეზიის ცეცხლი.

ნინო ერჯომაიშვილი

იურისტის ფიქრები ნოდარ დუმბაძის ზოგიერთ ნაწარმოებზე

ეს კრიტიკული წერილი ან ბელეტრიზებული ნარკვევი როდია ცნობილ მწერალზე, — იურისტის ფიქრები და აზრებია ქართული პროზის ოსტატის, მოკრძალებული პიროვნების, ნათელი ცხოვრების მშენებელი ხალხის ინტერესებისა და მისი ბერ-ვარამის გამომხატველი პროზაიკოსის — ნოდარ დუმბაძის ნაწარმოებების შესახებ.

ნოდარ დუმბაძის თხზულებათა სამტომეულის რუსული გამოცემის წინასიტყვაობაში კრიტიკოსი ლევან ანენსკი მართებულად აღნიშნავს; ნოდარ დუმბაძის სახით ჩვენს წინაშეა თანამედროვე ადამიანის ბედ-იღბალსა და პრობლემებზე ღრმად დაფიქრებული მწერალი.

თავის დროზე მაქსიმ გორკი წერდა: საბჭოთა ლიტერატურის გმირი „ახალი კაცობრიობის ადამიანია, რომელსაც სამყაროს შესწავლა და შეცნობა სურს, რათა იგი თავის სრულ საკუთრებად აქციოს“.

ნოდარ დუმბაძე საბჭოთა მწერლების იმ პლეადას ეკუთვნის, რომლებიც ეხმარებიან ადამიანს ახალი სამყაროს შესწავლასა და შეცნობაში. იგი მისთვის დამახასიათებელი განსაკუთრებული მანერით ქმნის ადამიანთა მხატვრულ სახეებს, კომუნიზმის მშენებელთა და შემოქმედთა ნათელ და მეტყველ პორტრეტებს. მისი სანუკვარი მიზანია, მართებულად და შეულამაზებლად გვიჩვენოს ცხოვრების სიავკარგე. იგი სიცოცხლესა და სიკეთეს ამკვიდრებს, როცა ადამიანთა ბედიღბალში იშვიათი გულწრფელობით აქსოვს ფილოსოფიურ, ზოგადსაკაცობრიო პრობლემებს, ღრმად იჭრება ცხოვრების მოვლენებსა და უაღრესად რთულ სიტუაციებში. ამის ნათელი დადასტურებაა მოთხრობა „უმადური“: გუდული ბერეჟიანის დაბადების დღეა, მას ასი წელი შეუსრულდა. მაგრამ სუსტადაა, ძალ-ღონე გამოლევია, მოხუცი სიკვდილის მოახლოებას გრძნობს, მუხლებზე ეშვება და ტირის. მეზობლები ამხნევებენ, ანუგეშებენ, ეფერებიან. — „თქვენები არ ჩამოვლენ, გუდული ბატონო, ქალაქიდან? ასი წელი არაა ასე წასაყრუებელი თარიღი“, — ამბობს მეზობლის ქალი ქსენია. არავინ ჩამოვიდა, მაგრამ გუდულის არ აბრაზებს, არ აბოროტებს შვილების უმადურობა. თითქოს მზერა მოაელლო მთელ განვლილ ცხოვრებას, მადლობას სწირავს მზეს იმისათვის, რომ შეელი ეს წლები გათენების სიხარულს ანიჭებ[illegible]; ემადლიერება ძროხას, რომელიც დილაობით რძეს აწვდიდა; ემადლიერება მამალს, კეთილსინდისიერად რომ აღვიძებდა ყოველ დილით, იგი ყურძნის წვენის უზომო მადლიერია... მადლიერია ვაზისა და ძვირფასი ქვევრის, რომელმაც ასი წლის მანძილზე ყველა ლხინი და მწუხარება პატიოსნად გააცილებინა. გუდული ემშვიდობება მსხლის ხეს, ეხვევა და ეჩურჩულება: „...სამი თაობის ნაგრამს უჩრდილობენ და, ვინ იცის, კიდევ რამდენს უჩრდილობენ... მადლობელი ვარ შენი, ბატონო, დიდი მადლობელი“. მოხუცი ქედს იხრის ბუნების წინაშე: „იდიდე, ბუნებავ, რა ბედნიერებაა, ყოველივე ეს რომ რჩება ქვეყანაზე და კაცთან ერთად არ კვდება“. ბოლოს მოხუცი მადლობას ეუბნება თავის დაღლილ გულს, რომელსაც ასი წლის ჭანძილზე ერთხელაც არ უმუხთლია. გუდულის ესმის, რომ ყველას თავი მოაბეზრა, რომ ერთი, ორი, სამი თვე და, ყველასათვის ზედმეტი გახდება. იგი ემშვიდობება მეზობლის კეთილ ქალს ქსენიას და... „ბერეჟიანების ეზოში თოფი გავარდა“. მოხუცი ტრაგიკულად ამთავრებს თავის ცხოვრებას.

— რაა ეს? — სისუსტე თუ პროტესტი მეშჩანობის, ადამიანთა უმადურობისა და გულგრილობის წინააღმდეგ? უნდა ვიფიქროთ, რომ პროტესტია. ამ დასკვნის სასარგებლოდ განსაკუთრებით გუდული ბერეჟიანის დაკრძალვა მეტყველებს. უფროსი ვაჟი — დიმიტრი ხელგაშლილ, მდიდრულ დაკრძალვას აწყობს. ავტორი სამძიმრის სათქმელად მიდის დიმიტრისთან, რომელიც აღშფოთებულია: „რა პირით ჩავიდე თბილისში? რით ავხსნა ეს ამბავი? არ ინება ჩვენთან ცხოვრება, დედათქვენის საფლავს ვერ მივატოვებო. ძროხაო... ქათამიო... რა გახდა, ბატონო, ეს გაძვალტყაეებული ძროხა, დაფეხვილი მამალი და წაქცეული სახლი?.. უჩას ვერ შეველევიო, — მეზობლის ბიჭს, — ისიც კი მომკადრა შარშან“. და შემდეგ დასძენს: „კლებოდა მაინც რამე. ამ ზაფხულს ჩემმა ცოლმა თბილი საცვალი ჩამოუტანა პარიზიდან... ვის ღირსებია ასეთი დასაულავება ამ სოფელში?.... მაგრამ უმადური

იყო მისი ღღე და მოსწრება და ასე უმადურად გაათავა სიცოცხლეც".

ნოდარ დუმბაძემ ამ მოთხრობაში შესანიშნავად დაგვიხატა მეზჩანი ადამიანი, გვიჩვენა ლიმიტრის სულმოკლეობა, დასახა ხერიოზული პრობლემა, რომელიც მამათა და შვილთა, შვილთა და მშობელთა ურთიერთობას შეეხება. კერძოდ, მწერალმა გვიჩვენა შვილთა და შვილიშვილთა გულცივობა და უმადურობა თავიანთი ალმზრდელებისადმი. მოთხრობაში მწერალი ყურადღებას ამახვილებს შემდეგ გარემოებაზე: გუდული ბერეჟიანს ოთხი შვილი მყავდა და მთელი შთამომავლობა ოცდასამ სულს შეადგენდა, „რად გინდა? ჩემთვის არც ერთი არ დარჩა", დაასკვნის გულმოკლული მოხუცი.

ნოდარ დუმბაძე ოსტატურად იყენებს ხალხურ სიბრძნეს და შეუცდომლად ამხელს დრომოჭმული ტრადიციების, ადათ-წესებისა და ჩვეულების სრულ უაზრობას, მხედველობიდან არ კარგავს რთულ ცხოვრებისეულ პერიპეტიებს, კონფლიქტურ სიტუაციებს, დაბრკოლებებს და არც იმ ფაქტებს უგულებელყოფს, რაც თვითონ განუცდია და გაუაზრებია.

მწერალი თამამად ამხელს მშიშარა, გულგრილ, ხარბ, სუსტი ნებისყოფის, უმაქნის ადამიანებს. კომუნისტ მწერალს ადელვებს ჩვენი თანამედროვის მორალური სახე და კომუნიზმის მშენებლის კოდექსის ზნეობრივი პრინციპებისაგან ნებისმიერი გადახვევისადმი სრულ ულმობლობას იჩენს. იგი თავის რომანებსა და მოთხრობებში ოსტატურად აცოცხლებს ბიუროკრატთა, მლიქვნელთა, მომხვეჭელთა, მექრთამეთა, ქურდთა, მფლანგველთა, კარიერისტთა, ეგოისტთა, მეზჩანთა, უსულგულო ადამიანთა სახეებს. მწერალი არ ერიდება გვიჩვენოს გამოძიებისა და სასამართლო პროცესის ჩრდილოვანი მხარეები. ნოდარ დუმბაძე მძაფრად განიცდის ადამიანის სულიერ სიცარიელეს და ზნეობრივ დაცემას, ქედმაღლობას, უსამართლობასა და სიყალბეს და, როგორც ერთხელ თვითონ განაცხადა, როცა საჭიროა, ტირის, მაგრამ ტირის ტკივილისა და სინანულის გამო. იგი აღსავსეა რწმენით, რომ ადამიანს, რაგინდ ცუდი იყოს, შეუძლია, უფრო კეთილი გახდეს და მწერლის კალამი სწორედ ამ მიზანს ემსახურება.

ცნობილი რუსი იურისტი ა. კონი ამბობდა: „ყველაზე გადაგვარებულ სულშიც ყოველთვის რჩება საღი კუნძულები, დანალაქებითა და სიბინძურით დაფარული, და უნდა შევძლოთ საყრდენი წერტილის მოძებნა ამ კუნძულებზე კეთილი ზემოქმედებისათვის". ნ. დუმბაძეს სწამს, რომ ასეთი საყრდენი კუნძულები შეგვძლია მოვძებნოთ, ვინაიდან კომუნისტური მსოფლმხედველობის კეთილშობილური იდეალებს, ჰუმანიზმის მაღალ პრინციპებს და ჩვენი საზოგადოების სულიერ მოთხოვნებს არ შეუძლია გავლენა არ იქონიოს მომავალი კომუნისტური საზოგადოების ადამიანის სულიერ ჩამოყალიბებაზე. შემთხვევით როდი უწოდა ნოდარ დუმბაძემ ერთ თავის ნაწარმოებს „თეთრი ბაირაღები", რაც წმინდა და ნათელ მომავალს ნიშნავს. „თეთრი ბაირაღები" ცხოვრებისეული პერსპექტივების, სიკეთის გზაზე დადგომისა და სამართლიანობის ზეიმის ჩვენებაა.

ჩვენ ვცხოვრობთ საბჭოთა ხალხის მრავალმხრივი შემოქმედებითი მოღვაწეობის და სამეურნეო, სახელმწიფო და კულტურული მშენებლობის ყველა დარგის დიდი აღმავლობისა და განვითარების ეპოქაში. ყოველივე ეს ქალაქისა და სოფლის მშრომელთაგან, ინტელიგენციისაგან, ყველასაგან უკლებლივ მაღალ შეგნებულობას, ორგანიზებულობას, შრომითს ჰეროიზმს მოითხოვს. შედარებით ხანმოკლე დროის მანძილზე ჩვენმა ქვეყანამ სოციალისტური საზოგადოების შრომისმოყვარე, მტკიცე, კომუნიზმის იდეალებისადმი უსაზღვროდ ერთგულ ადამიანთა უზარმაზარი არმია შექმნა. მაგრამ უმართებულო იქნებოდა თვალები დაგვეხუჭა იმაზე, რომ აქა-იქ ჯერ კიდევ გვხვდება ჩვენთვის უცხო იდეოლოგიისა და მორალის „მატარებლები".

ამხანაგ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევმა ოცდამეხუთე ყრილობის საანგარიშო მოხსენებაში ხაზგასმით აღნიშნა:

„სამწუხაროდ, ჯერ კიდევ გვხვდებიან ადამიანები, რომლებმაც იციან ჩვენი პოლიტიკა და პრინციპები, მაგრამ პრაქტიკულად ყოველთვის არ იცავენ მათ, არ იბრძვიან მათი განხორციელებისათვის, შემრიგებლად ეკიდებიან სოციალისტური, საერთო ცხოვრების ნორმების დარღვევებს. სიტყვასა და საქმეს შორის განსხვავება, რა ფორმითაც არ უნდა ვლინდებოდეს, ზიანს აყენებს სამეურნეო მშენებლობასაც, მაგრამ განსაკუთრებით — ზნეობრივ აღზრდას". (სკკპ XXV ყრილობის მასალები, გვ. 106).

ნოდარ დუმბაძე, როგორც მწერალი და საზოგადო მოღვაწე, მხატვრულ ლიტერატურაში დიდ აღმზრდელობით ძალას ხედავს. იგი ისე ასახავს მოვლენებს, რომ გვიჩვენებს არა ბნოლოდ პატიოსნებასა და გულადებს, არამედ უსულგულოებსა და უსახო ადამიანებსაც.

ნოდარ დუმბაძის ნაწარმოებთა იდეა და სულისკვეთება ჰარმონიულად ეთანხმება იურისტთა მოღვაწეობასა და მიზანდასახულობას. მიზანი და ამოცანა ერთია — პიროვნების ზნეობრივი სრულყოფის პროცესის დაჩქარება, ჩვენი დროის წეს-ჩვეულებათა სრულყოფა, შეურიგებელი ბრძოლა იმის წინააღმდეგ, რაც ადამიანს ბედნიერ ცხოვრებასა და შრო-

---

ნინო ერქომაიშვილი
იურისტის ფიქრები ნოდარ დუმბაძის
ზოგიერთ ნაწარმოებზე

ნაში ხელს უშლის. საზოგადოებრივ ცხოვრებას აქვს მხატვრული ლიტერატურისა და მართლმსაჯულების ნაყოფიერი თანამშრომლობის კარგი ტრადიცია. ლ. ტოლსტოიმ სასამართლო პრაქტიკის მასალები გამოიყენა ისეთ ნაწარმოებებში, როგორიცაა „აღდგომა“, „ცოცხალი ლეში“, „მეუფება წყვდიადისა“; ფ. დოსტოევსკი კიდევ უფრო მეტად არის დავალებული მართლმსაჯულების მასალებით თავის რომანებში: „მკვდარი სახლის ჩანაწერები“, „იდიოტი“, „დანაშაული და სასჯელი“, „ძმები კარამაზოვები“ და „მწერლის დღიური“.

მხატვრული ლიტერატურა ყოველთვის ასახავდა საზოგადოების ცხოვრებას და, ამდენად, მართლმსაჯულების სფეროსაც შეეხებოდა. დიდი მწერლები და პოეტები თავიანთ ნაწარმოებებში თამამად ამხელდნენ მეფის რუსეთის სახელმწიფო აპარატის სრულ გახრწნილობას. გავიხსენოთ გოგოლის „რევიზორი“ და „მკვდარი სულები“. ი. კრილოვის „სულების ფოსტა“, ა. ოსტროვსკის „მხურვალე გული“, ა. პუშკინის „სოფელი“, „დუბროვსკი“, „კაპიტანის ქალიშვილი“ და მრავალი სხვა.

თავის დროზე კ. მარქსი აღნიშნავდა: ინგლისელმა რომანისტებმა უფრო მეტად გამოავლინეს პოლიტიკური და სოციალური ჭეშმარიტებანი, ვიდრე ეს გააკეთეს პოლიტიკოსებმა, პუბლიცისტებმა და მორალისტებმა ერთადო. შეიძლება ითქვას, რომ ნ. დუმბაძე ერთ-ერთი პირველი მწერალთაგანია ჩვენს რესპუბლიკაში, რომელმაც კონტაქტი დაამყარა იურისტებთან. მან შექმნა ნაწარმოებები, სადაც ამხელს კარიერისტებს, მომხვეჭელებს, მლიქვნელებს, ქურდებს და ამასთან, საოცარი სიზუსტით — საგამომძიებლო-სასამართლო მოღვაწეობის ცალკეულ მანკიერ მხარეებსაც. მწერალი ნათელყოფს, რომ მართლმსაჯულება ჭეშმარიტად დემოკრატიულ და ჰუმანისტურ საწყისებს უნდა ემყარებოდეს და ყოველი გადახვევა ამ ნორმებისა და კანონის მოთხოვნებისაგან მიუტევებელ ბოროტებად მიაჩნია. ეს აზრი ბრწყინვალედ არის გატარებული და მხატვრულად ხორცშესხმული „თეთრ ბაირაღებში“. აქ იურისტებს ბევრ რამეზე მართებთ დაფიქრება და საფუძვლიანი მუშაობა. ამ ნაწარმოებში იუმორი სიცილისთვის არ არის გამოყენებული, ტრაგიკომიკური ხერხი ტკივილისა და თანაგრძნობის გამოვლენას ემსახურება და ამასთანავე გვინერგავს რწმენას, რომ სიკეთე და სიმართლე თავის გზა-კვალს არ დაკარგავს.

როდესაც ნოდარ დუმბაძის მოთხრობებსა და რომანებს ვკითხულობთ, ჩვენს წინაშე მთელი სისავსით იხსნება ადამიანის შინაგანი სამყარო, გვახარებს სიკეთე და სინანულს გვგვრის ბოროტება. დიდია ამ ნაწარმოებების ძალა ადამიანის ცნობიერების გარდაქმნის, მაღალი ზნეობრივი მიზნების მიღწევის საქმეში. ბევრი რამ არის აგრეთვე საგულისხმო მართლმსაჯულების წარმართვის, სასამართლო პატიქრობის, იურიდიულ საკითხებზე ლექციებისა და საუბრების ჩატარების მხრივ. აღარას ვამბობთ იმაზე, რომ ეს ნაწარმოებები ფართოდ უნდა გამოიყენოს თეატრმა, კინომ, ტელევიზიამ და რადიომ.

როგორც ცნობილია, სასამართლო-სამსჯავრო გამოძიება, უპირველეს ყოვლისა, მხარეთა პაექრობის მოსმენაა, სადაც ძირითადი ადგილი უკავია პროკურორისა და საზოგადოებრივი ბრალმდებლის სიტყვას. ბუნებრივია, კამათისას პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭება საქმის ირგვლივ შეკრებილი ფაქტობრივი მასალების ანალიზს ბრალდებისა და დაცვის თვალსაზრისით, ბრალდების საქმის საზოგადოებრივი მნიშვნელობის ჩვენებას. იურიდიული შეფასება უნდა მიეცეს ჩადენილ ქმედებასა და მოპოვებულ მტკიცებებს. საქმის გარჩევა სისხლის სამართლის პროცესის მოთხოვნათა უმკაცრესი დაცვით ხორციელდება. მოსამართლე დამოუკიდებელია, იგი მხოლოდ კანონს ემორჩილება; სასამართლო საჯაროა; ბრალდებულს დაცვის უფლება აქვს; სასამართლო პროცესი ბრალდებულთა ეროვნულ ენაზე ტარდება; საზოგადოებრიობა მონაწილეობს და თვალყურს ადევნებს სასამართლო პროცესს. ეჭვსგარეშეა, რომ ეს პრინციპები უზარმაზარ გავლენას ახდენს არა მხოლოდ ბრალდებულზე, არამედ მოწმეებზე და სასამართლო პროცესის დამსწრე საზოგადოებაზეც. ცნობილია ისიც, რომ დავალდებულება, ანუ სასჯელი, ყოველთვის როდი იწვევს პიროვნების ზნეობრივი პოზიციის შეცვლას. ამიტომ აუცილებელია ვეძებოთ და სრულვყოთ ზემოქმედების ისეთი ფორმები, რომლებიც ხელს შეუწყობდნენ პიროვნების ზნეობრივ საწყისთა სათანადო ფორმირების დაჩქარებას. ამ მხრივ უაღრესად საგულისხმოა სამსჯავრო ძიების დროს ლიტერატურულ-მხატვრული ნიმუშების გამოყენება. აქ იგულისხმება დანაშაულის მართებული ასახვა, ბრალდებულისა და მისი გარემოცვის ფსიქოლოგიური და ზნეობრივი ანალიზის ჩატარება, ხოლო შემდეგ სიკეთისა და ბოროტების შეპირისპირება, რომ ყოველივე ამით შევეხოთ არა მხოლოდ ბრალდებულის, არამედ დამსწრეთა სულის სიმებსაც. ეს დაგვეხმარება იმაში, რომ შევქმნათ შეურიგებლობის ატმოსფერო დანაშაულისადმი, გავაღვიძოთ ბრალდებულში კეთილი საწყისი, რათა მან შეიგნოს თავისი დანაშაული, მოინანიოს და პრაქტიკულად დადგეს გამოსწორების გზაზე. ამ მხრივ უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს პროკურორისა და დამცველთა სიტყვაში ლიტერატურულ-მხატვრული ხერხების გამოყენებას. ამ თვალსაზრისითაც ერთობ მდიდარ მასალას იძლევიან ნოდარ დუმბაძის ნაწარმოებები.

გამოჩენილი რევოლუციამდელი ადვოკატი ს. ა. ანდრეევსკი წერდა: „მხატვრული ლიტე-

რატურა, რომელიც ეგზომ ღრმად გვახედებს ადამიანთა სულში, ადვოკატთა მთავარი მასწავლებელი უნდა გახდეს". ზოგიერთ ჩვენს ორატორს სწორედ ეს თვისება აკლია; საჭიროა ამ ტრადიციის აღორძინება. ერთხელ თვით ანდრეევსკი იცავდა ვინმე ს. ა. ივანოვს, რომელმაც მოკლა თავისი საცოლე ა. ა. ნაზარენკო. ანდრეევსკიმ თხოვა მსაჯულებს განეხილათ ბრალდებულის ქმედება არა როგორც განზრახ მკვლელობა, არამედ როგორც დანაშაული, გამოწვეული უკიდურესი აფექტითა და ფსიქიური მოშლილობით. ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ სატრფომ უღალატა ივანოვს, რომელიც „მოტყუებული" აღმოჩნდა სამიჯნურო ტრაგიკულ სიტუაციაში. აქ, აღნიშნა ანდრეევსკიმ, საბედისწერო როლი ითამაშა ვნებათაღელვამ, ხოლო პუშკინის თქმით: „საბედისწერო ვნებათა ტყვე ვართ, რომელთაც კაცი ვერ გაექცევა". ამასთანავე ადვოკატმა სასამართლოს წარუდგინა ივანოვის ყოფილი თანამეცხედრის წერილი გაგზავნილი ციხეში: „არ მესმის, როგორ შეეძლო ისეთ კეთილ ადამიანს, როგორიც შენ ხარ, ჩაედინა ასეთი დანაშაული". შეგვიძლია მრავალი მაგალითის მოყვანა, როცა სასამართლო პროცესზე მხატვრული ლიტერატურის ნიმუშთა დამოწმებამ შუქი მოჰფინა ჩადენილ დანაშაულს და ხელი შეუწყო ჭეშმარიტების დადგენას.

ჩვენში იშვიათი როდია სასამართლო პროცესები, რომლებიც შეეხება განზრახ მკვლელობას, გაფლანგვას, მექრთამეობას, ხულიგნობას, განქორწინებას, მემკვიდრეობის მიღებას და ასე შემდეგ, მაგრამ სამსჯავრო კამათი ასეთ საკითხებზე ყოველთვის როდი გამოირჩევა საქმეში ღრმა ფსიქოლოგიური წვდომითა და მჭევრმეტყველებით.

ყოველთვის როდი გვაღელვებს ბრალმდებელთა და დამცველთა სიტყვა. მაშინაც კი, როცა გვხვდება მჭევრმეტყველებით აღსავსე მოპაექრეთა სიტყვები, ისინი მაინც გამოუქვეყნებელი რჩება.

სამწუხაროა, რომ საქართველოს საუკეთესო ადვოკატთა — ო. ბარათაშვილის, შ. მესხიშვილის, ბ. ბარათაშვილის, ა. საგინაშვილის, ბ. ამირაგოვის, დ. დიდებულიძის, მ. ღვამიჩავას და სხვათა სიტყვები ჯერ კიდევ არ არის მთლიანად ასახული იურიდიულ ლიტერატურაში.

უეჭველია, რომ თუ სასამართლოს ორატორთა სიტყვები უნდა მდიდრდებოდეს მხატვრული ლიტერატურის ნიმუშებით, ასევე მწერლები თავიანთ ნაწარმოებებში უფრო ფართოდ და ნაყოფიერად უნდა იყენებდნენ სასამართლო პრაქტიკის მასალებს, როგორც სისხლის სამართლის, ასევე სამოქალაქო საქმეებზე. ჩვენს მოსამართლეებს საშუალება აქვთ მრავალი მასალა მოიშველიონ ნოდარ დუმბაძის მოთხრობებიდან და რომანებიდან. მის ყოველ ნაწარმოებში ასახულია ცხოვრების მრავალმხრივობა, ადამიანთა ვნებათა ღელვა, სატრფიალო ტრაგიკული კომფლიქტები, „საღი კუნძულები" და „შავი ლაქები" და ამასთანავე ნაჩვენებია სიყვარულის, მეგობრობის, გულადობის, ერთგულების, თავგანწირვისა და პატიოსნების იშვიათი მაგალითები, ანუ, სხვაგვარად რომ ვთქვათ, ვხედავთ ბრძოლას ადამიანის იდეალთა გამარჯვებისათვის. გვინდა გავიხსენოთ თეოკრიტეს სიტყვები: „ბრძენ ადამიანებს მრავალი გამონათქვამი აქვთ. ბევრი სასარგებლო და გამოსადეგი შეგვიძლია ავიღოთ ამ გამონათქვამებიდან". ეს სიტყვები შეგვიძლია თავისუფლად გავავრცელოთ ნოდარ დუმბაძის ნაწარმოებებზე. შევეხოთ ამ თვალსაზრისით მოთხრობას „ძაღლი", რომლის მოქმედება დიდი სამამულო ომის მრისხანე დღეებში ხდება. ბაბუა სპირიდონმა შვილიშვილ გოგიტას არყის სიმინდზე გადაცვლა დაავალა. გოგიტამ ჩინებულად შეასრულა ეს დავალება: სიმინდიც მიიღო და წითელი ოცდაათმანეთიანიც. მშიერი ბავშვი სასადილოში შევიდა და სამი ულუფა კატლეტი მოითხოვა. სასადილოში დამშეული ძაღლი შემოძუნძულდა და თითქოს ვედრებით შეხედა გოგიტას, რომელსაც კატლეტი დაენანა, მაგრამ მაკარონი გადაუგდო ძაღლს. „გადი, ძაღლო, გარეთ, შენი ბანალი დაიწვა!" — გაუჯავრდა მებუფეტე ძაღლს, გააგდო იგი და თან მდუღარე მიასხა. გოგიტას შეკითხვაზე — „დადუღრე?"— მებუფეტე გაიკრიჭა და მიუგო — „არა, ფეხები დავუთბილე". გოგიტამ პერანგი შუაზე გახია, წყალში დაასველა და აუხვია ძაღლს დათუთქული თვალი, თათი შეუხვია. ბაბუა ჯერ გაბრაზდა, შემდეგ კი თვითონ შეუდგა ძაღლის მკურნალობას ზეთით. მალე ბაბუა და ძაღლი დამეგობრდნენ, ხშირად ისხდნენ ერთად აივანზე, მზეს ეფიცხებოდნენ და ფიქრობდნენ: ბაბუა — ომის დამთავრებაზე, შვილის შინ დაბრუნებაზე... ძაღლი კი — ხორცზე. ერთხელ სოფელში ხმა გავარდა, ცოფიანმა ძაღლმა კირილე მამალაძის ბიჭი დაკბინა, ხოლო ასლან თავბერიძემ მოკლული ძაღლი წყაროსთან ნახაო. ბაბუამ ამაზე თქვა: სოფელში ბართლომეს ღამე დაგვიდგაო. ყოველი მხრიდან მოისმოდა სროლის ხმა და ძაღლების ყეფა, კაცებისა და ქალების ყვირილი, ბავშვების ტირილი და ძროხების ზმუილი. ყველამ თავის ძაღლი მოკლა. მეზობელმა ბადრიმ ბაბუას უსაყვედურა: „ხალხი ჩივის, სპირიდონის ეზოში წუხელ თოფი არ გავარდნილაო". იმ ღამით ვიღაცამ ესროლა გოგიტას ძაღლს, მაგრამ ვერ მოკლა. ბაბუამ თქვა, ძაღლმა კი იცის ვინ ესროლა, მაგრამ ვერ ამბობსო და ძაღლს თვალებზე ცრემლი მოწმინდა. ბაბუამ გადაწყვი-

---

ნინო ერქომაიშვილი
იურისტის ფიქრები ნოდარ დუმბაძის ზოგიერთ ნაწარმოებზე

ტა, სოფელს არ აღდგომოდა წინ და გოგიტას ხმადაბლა უთხრა: „...ადექი ახლა, აიღე თოფი, ჩააბი ბაწარი და... ოღონდ მე ნუ გამაგონებ...“

გოგიტა დაემორჩილა ბედს — გაიყოლია ძაღლი და გზას გაუდგა. მდინარის პირას თოფი ჩამოიღო, გილზი წყალში გადააგდო და ძაღლი ასე დამოძღვრა: „წადი ახლა შენ, ძაღლო, სოფელ-სოფელ არ იარო...“ და შინ დაბრუნდა.

მალე გაირკვა, რომ ძაღლი, რომელმაც კირილე მამალაძის ბავშვი დაკბინა, არ ყოფილა ცოფიანი. ცოტა ხნის შემდეგ ბაბუაც გარდაიცვალა. პანაშვიდზე დაკარგული ძაღლი გამოჩნდა, იგი მიცვალებულს დაკვირდა და შემდეგ გოგიტას ფეხებთან მოკალათდა. როცა ოთახში სამძიმრისათვის ბადრია შემოვიდა, ძაღლი წამოიმართა, ღრენა დაუწყო... ბადრია მიხვდა, რომ უნდა გაცლოდა იქაურობას.

ამ მოთხრობაში ბაბუა და შვილიშვილი სიკეთისა და სიწმინდის განსახიერებაა, ხოლო ბადრია და მებუფეტე — სისასტიკისა და სიძულვილის.

ავიღოთ ნ. დუმბაძის მეორე მოთხრობა „დიდრო“. რუსეთ-იაპონიის ომის დამთავრების შემდეგ სნეულ ედემიკა ვაშაკიძეს ვაჟი შეეძინა. მან „ტვინგაწყალებულ ნაყოფს დიდრო დაარქვა“. ტოლი ბიჭები მუდამდღე ახელებდნენ დიდროს, ხან „დიდროია ბურძგლას“ ეძახდნენ, ხან „დიდროია საბაკას“ და ხან კიდევ რას. დიდრო ბრაზდებოდა, ილანძღებოდა, მაგრამ არასოდეს ბიჭებისათვის ქვები არ დაუშენია. თუ ქვას ხელს დაავლებდა, შესაშინებლად მოიქნევდა ხოლმე, მერე მყისვე ხელს დაბლა დაუშვებდა და ქვას ჩამოხეულ ჯიბეში ჩამალავდა. ერთხელ ექვთიმე დალაქს დიდრომ ასეთი გამოცანა მისცა: „ამერიკისა და იაპონიის საზღვარზე მამალი ზის ღობეზე, თავი იქით აქვს — იაპონიისაკენ, და კუდი — ამერიკისაკენ. დადგა უცებ მამალმა კვერცხი ზედ შუა საზღვარზე, რომლისაა კვერცხი — ამერიკისა თუ იაპონიის?“.

— „ამერიკის“, — დასძინა ვითომ გახარებულმა ექვთიმემ... სულელ დიდროს გაეხარდა, მოვატყუილე დალაქიო და ექვთიმეს მიახალა: „ვაი, შე ამდალა, სადა აქვს ამერიკას და იაპონიას საზღვარი?“

საპარიკმახერო შეაზანზარა სიცილმა. როცა დიდროს ჰკითხეს, სად ისწავლე ეს გამოცანო, დიდრომ უპასუხა: პორტ-არტურშიო. მერე სულ მთლად სასაცილოდ აიგდეს დიდრო: სად იყო მაშინ დედაშენიო, სად იყო მამაშენიო. როცა დიდროს ჰკითხეს ამ დროს თვითონ სად იყავიო, მან უპასუხა: „სად ვიყავი და მამაჩემში!“. დალაქმა დიდროს ეს დაცინვა არ აკმარა. იგი არწმუნებდა ბუნებით დასჯილ, გონებაჩლუნგ ბიჭს, სიცხე გაქვს და ენა გამოყავო. შეშინებულმა დიდრომ მართლა დაიჯერა და, გამოყო თუ არა ენა, ექვთიმე დალაქმა ზედ საპნიანი ფუნჯი წაუსვა. პირაქაფებული დიდრო გარეთ გავარდა. „მიემატა დიდროს კიდევ ერთი ზედმეტი სახელი — „დიდროია ქაფურა“. ზოგი საცოდავ დიდროს „ოიამას ნაბიჭვარსაც“ კი ეძახდა.

დიდროს დაცინვა და აბუჩად აგდება ამით არ დამთავრებულა.

გამალებული ჩაისკრეფა იყო. მთელი სოფელი გავიდა ჩაის საკრეფად. თავის გამოჩენა მოისურვა დიდრომაც, მივიდა და ჩაეწერა ჩაის მკრეფავთა რიგებში. დიდროიას ჩაით აუვსეს გოდორი. დიდრომ გოდორი მოსინჯა, ემსუბუქა, ორი ტომრის დამატება ითხოვა. კიდევ ორი ტომარა მიუბეს გოდორზე და მხრებზე აკიდეს.

ყველას ეგონა, ვერ ზიდავდა ტვირთს დიდრო, მაგრამ დიდროია ჯინსების შარვალზეც კი დაეძღვეოდა და გოდრითა და ტომრებით დატვირთული, მთვრალივით, ბარბაცით წავიდა.

„კისრის მყესები ღვედებივით დაეჭიმა, შუბლზე ლურჯი ძარღვი ამოებურცა და თვალები სისხლით აევსო“. ბოლოს გაირკვა, რომ დიდროიას ეს ორმოცდაერთი კილოგრამი ჩაის ფოთოლი მიჰქონდა მხრებით. ნაძლევი კი მოიგო, მაგრამ ლოგინად ჩავარდა და სულიც დალია.

აი, როგორ მსჯელობს აფთიაქარი თეიმურაზი დიდროიას სიცოცხლეზე: „საცოდაობა იყო მაგის სიცოცხლე. დაილოცოს, ღმერთო, შენი სამართალი. — პირჯვარი გადაესახა...“ მაგრამ თუ ღრმად დავუფიქრდებით მოთხრობის შინაარსს, შეგვაძრწუნებს ზოგიერთი პერსონაჟის გულცივობა და არაადამიანურობა, განსაკუთრებით იმ უშუალო „დამნაშავეთა“, რომლებმაც აიძულეს დიდრო ჩაედინა ეს „თვითმკვლელობა“.

ყოველივე ის, რაც დაგვიხატა ნ. დუმბაძემ თავის ნაწარმოებებში, გვაოცებს თავისი გულწრფელობით, მწერლური ხედვის საოცარი უნარითა და სულიერი სიმდიდრით.

და თუ იურისტის თვალითაც შეეხეოთ ნ. დუმბაძის ნაწარმოებებს, კიდევ ერთხელ დავრწმუნდებით, თუ რა მაღალფასოვანია ამ მწერლის შემოქმედება და ცხოვრება. დიდი რუსი მოაზროვნე ვ. გ. ბელინსკი წერდა: „შემოქმედებითი თავისუფლება ნიშნავს — ემსახურო თანამედროვეობას. ამისათვის არ არის საჭირო საგანგებოდ წერო ამა თუ იმ თემაზე, აწვალო ფანტაზია. ამისათვის უნდა იყო მოქალაქე, შენი საზოგადოებისა და ეპოქის ერთგული შვილი“.

ნოდარ დუმბაძე სწორედ ჩვენი საზოგადოებისა და დროის ნაამდვილი შვილია, მისთვის უცხო არაა დანაშაულისა და სასჯელის პრობლემა.

ივანე სურგულაძე

საბჭოთა ისტორიოგრაფიის ძვირფასი შენაძენი

ჩვენი განხილვის საგანია შ. მესხიას ნაშრომი — „საშინაო პოლიტიკური ვითარება და სამოხელეო წყობა XII საუკუნის საქართველოში".

ჩვენგან უდროოდ წასული შ. მესხია საბჭოთა ისტორიოგრაფიის ერთ-ერთი ნიჭიერი წარმომადგენელია. მას ეკუთვნის ფუნდამენტალური მონოგრაფია ფეოდალური საქართველოს ქალაქებისა და საქალაქო წყობილების შესახებ, მასვე ეკუთვნის ნაშრომი თბილისის საქალაქო წყობილების შესახებ ფეოდალურ საქართველოში, ნაშრომი დავით აღმაშენებლის შესახებ და სხვა. მანვე გამოაქვეყნა სათანადო გამოკვლევითა და კომენტარებით მრავალი მნიშვნელოვანი ისტორიული შინაარსის ძეგლი.

შ. მესხიას ნაშრომები გამოირჩევიან მდიდარი ფაქტობრივი მასალით, ავტორის იშვიათი ანალიზის უნარით და მეცნიერული დასკვნების სიახლით. შ. მესხია სხვა მეცნიერების მიერ გამოცემულ და განხილულ ძეგლებში ახლებური მიდგომით ცდილობს ახალი დასკვნების გამოტანას და ხშირად ამას აღწევს კიდეც.

შესაძლებელია, ზოგიერთი მისი მოსაზრება არც გავიზიაროთ, მაგრამ მიუხედავად ამისა, მისი მეცნიერული მონაცემები მაინც მნიშვნელოვანია: შ. მესხიამ შესძლო მრავალი ახალი ძეგლების შემოტანა მეცნიერულ მიმოქცევაში, მრავალი ახალი მეცნიერული დებულებების წამოყენება, რომლებიც ფრიად მნიშვნელოვანია ჩვენი ისტორიოგრაფიისათვის.

საბჭოთა მეცნიერებისათვის ერთ-ერთ ფრიად მნიშვნელოვან ნაშრომს წარმოადგენს სარეცენზიო წიგნი. იგი მიძღვნილია გაერთიანებული ფეოდალური საქართველოს სახელმწიფოებრივ წყობილების შესწავლისადმი. გაერთიანების პერიოდიდან მას აღებული აქვს XII საუკუნე, როცა საქართველოს სახელმწიფო ფეოდალიზმის სხვა პერიოდებთან შედარებით ყველაზე უფრო ძლიერი იყო, როცა ქართული კულტურაც განვითარების მაღალ საფეხურზე იდგა. აი ამ პერიოდის სახელმწიფო სამართლის საკითხები აქვს მას განხილული და უნდა ითქვას, რომ ავტორმა საკვლევ თემასთან დაკავშირებით მრავალი ფრიად საყურადღებო მოსაზრება გამოთქვა.

პირველი საკითხი რომელსაც შ. მესხია ეხება ხარეცენზიო მონოგრაფიაში არის სავაზიროს საკითხი ფეოდალურ საქართველოში.

ავტორი ახასიათებს ყველა იმ დიდ მოხელეს, რომლებიც მმართველობის ცენტრალურ აპარატში იყვნენ გიორგი III და თამარ მეფის დროს და ამტკიცებს, რომ ვაზირის თანამდებობა მხოლოდ ერთ მოხელეს, სახელდობრ მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელს ჰქონდა, სხვა დიდი მოხელეები — მანდატურთუხუცესი, ამირსპასალარი და მეჭურჭლეთუხუცესი დიდი მოხელეები იყვნენ მეფის კარზე, მაგრამ არც ერთი მათგანი, არც ერთ წყაროში ვაზირად მოხსენებული არ არის. ავტორის აზრით, იმის გამო, რომ წყაროებში მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელის გარდა სხვა ვაზირი არ არის მოხსენებული, ამისათვის საერთოდ სავაზირო საქართველოში არც არსებობდა თამარის მეფობაში, სავაზირო, სარეცენზიო ნაშრომის მიხედვით, როგორც ჩანს, გაჩნდა საქართველოში ათაბაგობის შემოღებასთან დაკავშირებით. რაც შეეხება „ხელმწიფის კარის გარიგების" სავაზიროს, მასში მოცემულ 6 ვაზირს, ხუთი მათგანი შემოღებულია ათაბაგობის დაწესების შემდეგ. მსახურთუხუცესს, რომელიც მეექვსე ვაზირი იყო, „ხელმწიფის კარის გარიგების მიხედვით, რუსუდანმა უბოძა ვაზირობა, მაშასადამე, სავაზირო, რომელიც „ხელმწიფის კარის გარიგებაშია" მოცემული, ჩამოყალიბებულია ათაბაგობის დაწესებიდან (1213 წელი) ლაშა-გიორგისა და რუსუდანის მეფობათა განმავლობაში. მართლაც, სავსებით მართებულია შ. მესხია იმაში, არც ერთ წყაროში მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელის გარდა სხვა ვაზირი არ არის მოხსენებული. „ვეფხისტყაოსანშიც" — მხოლოდ ერთი ვაზირია მოხსენებული სხვა დიდ მოხელეებთან ერთად. ამასთან დაკავშირებით ისმება ორი საკითხი: 1. მეფეს გაერთიანების ხანაში ყავდა მრჩევლები, რომლებიც შეიძლება ყოფილიყვნენ და იყვნენ კა-

დეც სასახლის დიდი მოხელეები, ასეთი პირები იწოდებოდნენ ვეზირებად, მრჩევლებად. შ. მესხია მიუთითებს „ხელმწიფის კარის გარიგების“ იმ ადგილზე, სადაც ამირსპასალარის მოადგილე ამილახვარი, ამირსპასალარის ვეზირად იწოდებოდა. თუკი ამილახვარი იწოდებოდა ამირსპასალარის ვეზირად, სავსებით სარწმუნოა, რომ თვით ამირსპასალარი, მანდატურუხუცესი და სხვა დიდი მოხელეები შეფის ვეზირები ყოფილიყვნენ, მაგრამ ამათგან გამორჩეული და გამოყოფილი იყო მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელი, რომელი თანამდებობაც დავით აღმაშენებლის მიერ იყო შემოღებული. სახელმწიფოებრივი წყობილების რეფორმების დროს ამ სახელოს შემოღება მეფის ხელისუფლების გაძლიერების საქმეს ემსახურებოდა, მართლაც მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელი მთელი მისი არსებობის განმავლობაში ცენტრალური ხელისუფლების განმტკიცებისათვის იბრძოდა. მეფის ეს მრჩევლები, დარბაზის კარზე, დიდი მოხელეები შეადგენდნენ მეფის საბჭოს ანუ მისი მრჩევლების კრებას, იყო თუ არა ეს კრებული იურიდიულად სავაზიროს სახელით გაფორმებული — არა ჩანს, წყაროებში არც სავაზირო, არც კიდევ მეფის საბჭო სახელდებულად არ არის მოხსენებული. კიდევ ვიმეორებთ: მომქმედი მთავრობა გიორგი III და თამარს უსათუოდ უნდა ყოლოდა, დიდი მოხელეები რომელიმე უწყების სათავეში იდგა, მაგალითად, ამირსპასალარი — სამხედრო უწყებას ხელმძღვანელობდა, მანდატურუხუცესი — საპოლიციო უწყებას და ასე შემდეგ, მაგრამ იყო აგრეთვე საუწყებათშორისო საქმეებიც, რომელთაც ეს დიდი მოხელეები ერთად განაგებდნენ მეფის ხელმძღვანელობით. სახელდებულად რა ეწოდება ამ შემადგენლობას, წყაროებში ეს არ არის მოხსენებული გარდა „ხელმწიფის კარის გარიგებისა“, ამ ძეგლში კი ის სავაზიროდ იწოდება. როდესაც ნუქარდინის ელჩი და წერილი მოვიდა, თამარმა ის მოისმინა სხდომაზე, რომელზედაც იყვნენ ამირსპასალარი და სხვა დიდი მოხელეები. თამარის პირველ ისტორიკოსს აქვს ასეთი ადგილი: „მაშინ შეკრბეს თამარს წინაშე ყოველნი ვაზირნი და სპანი“. თამარის პირველ ისტორიკოსს ვაზირი მრავლობით რიცხვში ხშირად აქვს მოხსენებული.[1] როდესაც არაბეთის მეფე ფარსადანმა ნესტანის გათხოვება გადაწყვიტა, მოიწვია სხდომა, რომელსაც დიდი მოხელეები ესწრებოდნენ, ამ დიდ მოხელეებში ერთი დიდი ვეზირი იყო, ხოლო სხვა დიდი მოხელეები მეფის მრჩევლები ანუ ვეზირები იყვნენ. რა ვუწოდოთ ამ კრებებს ანუ სხდომებს? შეიძლება ასეთ შეკრებას, ასეთ სხდომას ვეზირების, ანუ მრჩევლების სხდომა ვუწოდოთ. აქედან კ[illegible]ვაზიროომდე ერთი ნაბიჯიც აღარაა.

შ. მესხიას შესანიშნავი ნაშრომი მრავალ საყურადღებო საკითხს აყენებს. თუ „ხელმწიფის კარის გარიგების“ სავაზირო მხოლოდ ათაბაგობის წარმოშობის შემდეგ ხანას ეხება, ასეთ შემთხვევაში მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელი დამცირებული უნდა იყოს; ათაბაგობა სწორედ მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელის წინააღმდეგ ბრძოლის პროცესში არის წარმოშობილი. დამახასიათებელია, რომ ათაბაგობა თავისი შინაარსით მეფის „მამად“ არის მოწოდებული, მაშინ როდესაც „ხელმწიფის კარის გარიგების“ მიხედვით მეფის მამა მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელია. არაფრიდან არ ჩანს, რომ „ხელმწიფის კარის გარიგების“ მიხედვით მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელი რაიმე მხრივ შეზღუდული ან დამცირებული იყოს. ამ მხრივ „ხელმწიფის კარის გარიგება“ არ შეიძლება ლაშა-გიორგისა და რუსუდანის მეფობის პერიოდს ასახავდეს, ლაშა-გიორგისა და რუსუდანის დროს მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელი სავსებით დამცირებულია, ჩრდილში იმყოფება, ამიტომაც „ხელმწიფის კარის გარიგება“ ამ შემთხვევაში ასახავს სწორედ იმ ხანას, როდესაც მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელი ძლიერია, პირველი ვეზირია და მეფის მარჯვენა ხელი. მაგრამ სარეცენზიო ნაშრომში ამ საკითხზე არ არის პასუხი გაცემული, რამდენადაც სარეცენზიო ნაშრომის მიზანდასახულება XII — საუკუნით არის შემოფარგლული.

შ. მესხია თავის ნაშრომში ეხება XII საუკუნის სახელმწიფოებრივი წყობილების საკითხებს. განსაკუთრებით უნდა აღვნიშნოთ ის გარემოება, რომ ავტორი უდიდესი ენერგიით, მეცნიერული დაკვირებით, დიდძალი ფაქტობრივი მასალის ანალიზით, დიდი მეცნიერისათვის დამახასიათებელი დაკვირვების უნარით წარმოგვიდგენს ქართული სამართლის თვითეულ ინსტიტუტს და დამაჯერებელი დასკვნების საშუალებით ანვითარებს თავის შეხედულებას ამა თუ იმ საკითხებზე. შესაძლებელია, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, მისი მოსაზრებანი ყოველთვის გასაზიარებელი არ იყოს, მაგრამ მეცნიერული აზროვნების მაღალი დონის მაჩვენებელი ის ყოველთვის არის. შ. მესხიას ძირითადი დებულება XII საუკუნის სახელმწიფოებრივი წყობილების შესახებ როგორც თვითონაც წერს, განსხვავებულია საქართველოს ისტორიოგრაფიაში გაბატონებულ შეხედულებისაგან.

ივ. ჯავახიშვილის შეხედულებით, დავით აღმაშენებლის შემდეგ მსხვილი ფეოდალების ბრძოლა მეფის ხელისუფლების წინააღმდეგ გრძელდება და ძლიერდება, გიორგი III და თამარის დროს მსხვილი ფეოდალების ძლიერ აჯანყებებთან გვაქვს საქმე, თამარის დროს ამ აჯანყებათა შედეგად მეფის ხელისუფლება

1. ქართლის ცხოვრება, II, ს. ყაუხჩიშვილის სტ. 1959, გვ. 67.

შეზღუდა და ამიერიდან, დაახლოებით 1185 წლიდან, სახელმწიფოს განაგებდნენ მეფე და მსხვილი ფეოდალები „ერთნებაობით". ასეთია ივ. ჯავახიშვილის მოსაზრება ამ საკითხზე. ივ. ჯავახიშვილის ასეთი მოსაზრება დამკვიდრდა ქართულ ისტორიოგრაფიაში და მას ძირითადად იზიარებს ყველა მკვლევარი, რომელიც კი XII საუკუნის საქართველოს სახელმწიფოებრივ წყობილების საკითხებს შეხებია. ს. ჯანაშია, ნ. ბერძენიშვილი, გ. მელიქიშვილი, პ. ინგოროყვა, ს. კაკაბაძე, მ. ლორთქიფანიძე, პ. გრიგოლია, ვ. აბაშმაძე და სხვა. მ. ლორთქიფანიძეს სპეციალური ნაშრომები აქვს ამ პერიოდის სამოხელეო ინსტიტუტების შესახებ და ძირითადად ისიც, როგორც ვთქვით ივ. ჯავახიშვილის ამ თვალსაზრისზე დგას. აგრეთვე ნ. შოშიაშვილი, მ. ბერძენიშვილი და სხვები, ამ პერიოდს სპეციალურად ეხებიან. საქართველოს ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებულ შეხედულების წინააღმდეგ შ. მესხიას შეხედულება ასეთია: დავით აღმაშენებლისა, გიორგი III და თამარის დროს სახელმწიფოებრივი წყობისა და მმართველობის ფორმის მხრივ არავითარი ცვლილება არ მომხდარა. თამარს მსხვილი ფეოდალებისათვის არაფერი დაუთმია და თამარი, ისე როგორც დავით აღმაშენებელი და გიორგი III შეუზღუდველი მეფის ხელისუფლებით სარგებლობდა. შ. მესხია ამტკიცებს: თამარის პირველი ისტორიკოსის სიტყვები იმის შესახებ, რომ თამარ მეფე „თანადგომითა და ერთნებაობითა შვიდთავე სამეფოთა დიდებულთა" ნიშნავდა დიდ მოხელეებს, არ მიესადაგება მხოლოდ თამარის მეფობას, მემატიანეებს მსგავსი გამოთქმა გაერთიანების პერიოდის სხვა მეფეების მიმართაც არის ნახმარი. ამიტომაც შ. მესხიას აზრით, მემატიანის ამ სიტყვებიდან არ გამომდინარეობს თამარის ხელისუფლების შეზღუდვა.

თამარის პირველი ისტორიკოსი მოგვითხრობს ჯერ დიდგვარიანთა აჯანყების, შემდეგ ყუთლუ-არსლანის დასის გამოსვლის შესახებ, ამის შემდეგ მოთხრობილია „ერთნებაობით" მოხელეების დანიშვნაზე; ამგვარად ეს თხრობა უშუალოდ არ არის დაკავშირებული წინა თხრობასთან და ამდენად, მართალია შ. მესხია იმაში, რომ ასეთი „ერთნებაობით" მმართველობა შეიძლება არ დავუკავშიროთ მაინც და მაინც დიდგვარიანთა და ყუთლუ-არსლანის გამოსვლას, მაგრამ საერთოდ კი მეფის ხელისუფლება თამარის დროს შეზღუდული ჩანს, ამდენად საქართველოს ისტორიოგრაფიაში მიღებული შეხედულება ამ საკითხზე ძირითადად მართებული უნდა იყოს.

ჩვენი შეხედულება გაერთიანების პერიოდის საქართველოს სახელმწიფოებრივი წყობისა და მმართველობის ფორმის შესახებ ასეთია: გაერთიანების პერიოდის საქართველოში სწარმოებს ბრძოლა მსხვილ ფეოდალებს და მეფის ხელისუფლებას შორის. დავით აღმაშენებლის დროს შესაძლებელი შეიქმნა მსხვილი ფეოდალების ასე თუ ისე დამორჩილება, მაგრამ შემდეგში კვლავ იწყებენ გაძლიერებას მსხვილი ფეოდალები, რომლებიც არა ერთხელ აჯანყებითაც გამოდიან მეფის ხელისუფლების წინააღმდეგ. მსხვილი ფეოდალების თანდათანობით გაძლიერება გაპირობებული იყო ძირითადად ქვეყნის ეკონომიკური განვითარებით.

მართალია დავით აღმაშენებლის შემდეგ საგარეო საშიშროება არ მოხსნილა, მაგრამ საქართველოს გაძლიერებული სახელმწიფო თურქობას საქართველოს გარეთ უტევდა და მათ დაპყრობებს, შემოსევებს საქართველოში ადგილი აღარ აქვს.

ამასთანავე, გაძლიერებული ფეოდალური სამთავროები უტევენ მეფის ხელისუფლებას, ცდილობენ მის განსაზღვრას. ძლიერი სახელმწიფო კი მათ სჭირდებათ შემდეგი გარემოებათა გამო: 1. გარეშე საშიშროების მოსპობის მიზნით. 2. ომის გადატანით მტრის ტერიტორიაზე გარეშე საფრთხის თავიდან ასაცილებლად და გასამდიდრებლად და გასაძლიერებლად 3. შინაგანი ძალების — მწარმოებელი კლასის დასამორჩილებლად. მაშასადამე, ერთის მხრივ მათ ძლიერი სახელმწიფო უნდათ, მეორე მხრივ, ისეთი სახელმწიფო, რომლის წყობა და მმართველობა მთლიანად მათზე იქნება დამოკიდებული. ამ მიზნით მათ ფეოდალური რესპუბლიკის დამყარებაც კი მოინდომეს (ყუთლუ-არსლანის პროგრამა), მაგრამ ეს ვერ შესძლეს. ამასთანავე, თამარის დროს მათ მიაღწიეს იმას, რომ თამარი მსხვილი ფეოდალების შინაგან საქმეებში აღარ ერეოდა, ამასთანავე, შეტევითი ომების შედეგად მოპოებულ მიწებს სწორედ მსხვილ ფეოდალებს უნაწილებდა (სახელმწიფოსათვის თითქმის არ იტოვებდა), მაშასადამე, მსხვილმა ფეოდალებმა თამარის დროს შექმნეს ისეთი სახელმწიფოებრივი წყობა და მმართველობის ფორმა, როცა სახელმწიფო ძლიერია, მაგრამ რომელიც მსხვილი ფეოდალების ხელშია. ასეთ სახელმწიფოს ისინი კი არ ებრძვიან, არამედ მხარს უჭერენ. ამიტომაც თამარის დროს ქართული სახელმწიფო ძლიერია, ვიდრე წინათ, ამავე დროს მეფის ხელისუფლება მსხვილ ფეოდალებზეა დამოკიდებული. ეს არის ერთგვარი კომპრომისი მსხვილ ფეოდალებსა და მეფეს შორის. როგორც წესი, სუსტი მეფის ხელისუფლება ფეოდალიზმის დროს, სუსტ სახელმწიფოსაც ნიშნავს, რომელიც მსხვილი ფეოდალების სეპარატიზმის საფუძველზე უნდა დაიშალოს. საქართველოს გაერთიანების პერიოდის თამარის დროს სახელმწიფოებრივი წყო-

ბისა და მმართველობის ფორმის თავისებურება სწორედ იმაში იყო, რომ მეფის ხელისუფლების შეზღუდულებასთან ერთად მოცემული იყო ძლიერი სახელმწიფო. ნორმალური განვითარების პირობებში, რომ მონღოლების დაპყრობას ადგილი არ ჰქონოდა, საქართველოს ძლიერი სახელმწიფო უზრუნველყოფდა ნორმალურ, პროგრესულ ეკონომიურ განვითარებას და ხელს შეუწყობდა ნიადაგის მომზადებას ახალი საზოგადოებრივი ეკონომიკური ფორმაციისათვის.

გაერთიანების დროს საქართველოს სახელმწიფო წარმოადგენდა მრავალნაციონალურს, რომელიც ფორმის მიხედვით. ახლო იდგა წოდებრივ-წარმომადგენლობით მონარქიასთან, იმ განსხვავებით, რომ ქალაქები არ იყო დარბაზში წარმოდგენილი, ხოლო თუ ქალაქის რომელიმე დიდი მოხელე, მაგალითად, თბილისის ამირათ-ამირა დარბაზში შედიოდა, ის დარბაზის წევრი იყო არა როგორც ქალაქის წარმომადგენელი, არამედ როგორც მსხვილი ფეოდალი. საერთოდ დარბაზის წევრობა განისაზღვრებოდა ფეოდალის სიძლიერით და არა ამორჩევით.

შეიძლება ითქვას, რომ თამარის დროს მეფის ხელისუფლების კომპრომისი მსხვილი ფეოდალებისადმი, ანუ შეთანხმება მეფისა და და მსხვილი ფეოდალებისა მიზნად ისახავდა ფეოდალურ სახელმწიფოს გაძლიერებას და არა დაშლა-დასუსტებას.

მაშასადამე, ერთი საკითხია დავეთანხმებით თუ არა მკვლევარს, მაგრამ იმ შემთხვევაშიც თუ მის მოსაზრებას არ გავიზიარებთ, მაშინაც მის მიერ საკითხების დასმა ფრიად მნიშვნელოვან მოვლენად მიგვაჩნია ჩვენი ისტორიოგრაფიისათვის.

ყველაფერი ის რის შესახებ აქამდე საუბარი გვქონდა და რაშიდაც შეიძლება ყოველთვის არ გავიზიაროთ შ. მესხიას შეხედულება ეხებოდა 337 გვერდიანი ნაშრომის ერთ ნაწილს, სახელდობრ სავაზიროსა და „ერთნებაობის“ საკითხებს (ნაშრომის გვ. 9-37, 63-79, სულ 44 გვერდს). ამის გარდა ნაშრომი თითქმის 300 გვერდს შეიცავს, რომელშიაც ან ძეგლებია განხილული ან კიდევ ცალკეული ინსტიტუტებია მეცნიერულად შესწავლილი.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს შ. მესხიას მიერ გუნია-ყალის წარწერის განხილვა. ამ ძეგლის ანალიზით შ. მესხიამ დაამტკიცა, რომ ძეგლში ჩამოთვლილი მოხელეები არ არიან მხოლოდ მმართველობის ცენტრალური აპარატის მოხელეები, არამედ ადგილობრივისაც, დღემდე კი, იქ ჩამოთვლილი მოხელეები სავაზიროს წევრებად იყო მიჩნეული.

ნაშრომში უდიდესი მეცნიერული ალღოთა და დიდძალი ფაქტიური მასალის მოშველიებით დახასიათებულია მწიგნობართუხუცესი-ჭყონდიდელის, მანდატურთუხუცესის, მეჭურჭლეთუხუცესის, მსახურთუხუცესისა, ჩუხჩარხისა და ამილახორის სახელოები (გვ. 79-159). წიგნის ნახევარი (მესამე თავი) მიძღვნილია მხარგრძელთა როლის საკითხისადმი XII საუკუნის საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში (გვ. 159-320).

მხარგრძელებს საქართველოს სამოხელეო აპარატში დიდი სახელოები ჰქონდათ ათაბაგობისა, ამირსპასალარობის და მანდატურთუხუცესისა. ამიტომ ამ საკითხის მონოგრაფიული დამუშავება უაღრესად მნიშვნელოვანია ჩვენი ისტორიოგრაფიისათვის. ავტორს დაწვრილებით აქვს განხილული ამ საკითხის შესახებ ისტორიოგრაფია, წყაროები, ძირითადად ქართული და სომხური. ამ განხილვისას წარმოჩენილი აქვს სადაო საკითხები და ყველა საკითხის მიმართ მოცემული აქვს მეცნიერულად დასაბუთებული თავისი შეხედულება. ნაშრომში დაწვრილებით და დამაჯერებლად არის დასაბუთებული მხარგრძელთა წარმოშობა, მათი საქართველოში ჩამოსახლება, მათი სარწმუნოება და ერთგული სამსახური მეფისა, განსაკუთრებით თამარის სამეფო კარზე.

ნაშრომი შესრულებულია მაღალ მეცნიერულ დონეზე, მართებულ მეთოდოლოგიურ საფუძველზე. წიგნი გაერთიანების პერიოდის საქართველოს სახელმწიფოებრივი წყობილების შესახებ ფუძემდებლური ნაწარმოებია და ამ საკითხების მკვლევარი გვერდს ვერ აუვლის მას. მასში მრავალი საკითხი ახლებურად არის დაყენებული და გადაწყვეტილი და ეს ნაშრომის უაღრესად დადებითი მხარეა. წიგნში ვხედავთ დიდი მეცნიერის მაძიებლურ შემოთებას. წიგნი წარმოადგენს შ. მესხიას მიერ ჩაფიქრებული მონოგრაფიის ნაწილს და საბოლოო სარო ის არის რომ ავტორის უდროო გარდაცვალების გამო, ეს არის მისი უკანასკნელი ნაშრომი.

გია ლომაძე

თენგიზ ღვინიაშვილი

ვინ იცის, როდის იგრძნო ადამიანმა დაუოკებელი ლტოლვა, აეღლერებინა ქვათა მდუმარება, როდის შეახო ხელი პირველად და აახმოვანა, აამეტყველა იგი. ქანდაკებანი, თითქოს მარადი მგზავრნი გადადიან საუკუნიდან საუკუნეში და ახალი ეპოქისათვის მიაქვთ მძლავრი სუნთქვა ისტორიისა და სიცოცხლის მარადისობისა.

საქართველოს დამსახურებული მხატვარი, თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის პროფესორი თენგიზ ღვინიაშვილი იმ ქართველ მოქანდაკეთა თაობის წარმომადგენელია, რომელმაც საუკუნეების წიაღში, ჩვენი ერის ბედ-უკუღმართ ისტორიაში ჩაკარგული ქართული მოქანდაკეობის გაწყვეტილი ჯაჭვი, მტკიცე რგოლით შეკრა თანამედროვე ეროვნულ კულტურასთან. დღეს ქართული ქანდაკების პრესტიჟი ისეთ დონეზე დგას, როგორც არასდროს და ამაში არცთუ ისე მცირე წვლილი მიუძღვის მოქანდაკე თენგიზ ღვინიაშვილს. ჩვენი ქვეყნის ბევრ ქალაქს ამშვენებენ მისი ქმნილებანი და ანიჭებენ ადამიანს სიხარულს.

თენგიზ ღვინიაშვილმა სულ ახალგაზრდამ, მიიქცია ფართო საზოგადოების ყურადღება. მისი სადიპლომო ნამუშევარი ორ ათეულ წელზე მეტია ამშვენებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს. ეს არის დიდი ქართველი მეცნიერის, უნივერსიტეტის დამაარსებლის აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის ქანდაკება. ბევრ ჩვენთაგანს, ვისაც არ გვინახავს დიდი მეცნიერი, ასეთნაირად წარმოგვიდგენია იგი და არც ვცდებით — თენგიზ ღვინიაშვილმა გამოაქანდაკა იგი ისე, როგორიც იყო სინამდვილეში. მეტყველი, შთამბეჭდავი სახე მოაზროვნისა, მაღალ შუბლზე ადგას ფიქრთა შარავანდედი ერის კეთილდღეობაზე ზრუნვისა... ამ ნამუშევარმა სამართლიანი აღიარება მოუტანა ავტორის ნიჭს და დაიწყო მოქანდაკე თენგიზ ღვინიაშვილის გზა ხელოვნებაში; გზა, რომელიც მესამე ათეულ წელს ითვლის ახლა, მუდამ ძნელია სავალად და რაც მეტს მიდიხარ, მით მეტია გასავლელი, ვინაიდან ამ გზაზე ჰორიზონტს მოსდევს ჰორიზონტი...

მრავალფეროვანია მოქანდაკის შემოქმედება: მონუმენტური ქანდაკება, ბარელიეფი, დეკორატიული ქანდაკება, პორტრეტი. ხელოვანი მუდამ დაუცხრომელ ძიებაშია ნაწარმოებზე მუშაობის დროს. მონუმენტური ქანდაკებებიდან აღსანიშნავია ილია ჭავჭავაძის ძეგლი ყვარელში, ნიკოლოზ ბარათაშვილი გორში, იაკობ ნიკოლაძე ქუთაისში, ზაქარია ფალიაშვილი ბორჯომში, დიდ სამამულო ომში დაღუპულთა ხსოვნის მემორიალი საჩხერეში...

ყვარელის მაღალ ფერდობზე დგას დიდი ილიას მონუმენტური ქანდაკება, ქართველი ერის მოაზროვნეს ძალუმი მხრებით სანეტარო სამშობლოს თავზე უჭირავს ცის თაღი. ჩაფიქრებული მშვიდი მზერით გაჰყურებს იგი საქართველოს აყვავებულ მდელოებს და ლურჯ ნისლში ჩაძირულ შორეთს, იმდენად შთამბეჭდავია იგი, რომ სულში ზარივით რეკავს დიდი მგოსნის სიტყვები:

„აყვავებულა მდელო, აყვავებულა მთები,
მამულო, საყვარელო, შენ როსღა აყვავ-
დები“...

გორში ნიკოლოზ ბარათაშვილის ქანდაკება ფიქრთა კაშანს აღუძრავს მნახველს. პოეტის ტრაგიკული, სევდიანი სახე და იერი გავიწყებს ყოველდღიურობის ერთფეროვნებას და ეზიარები მეცხრამეტე საუკუნის საქართველოს ნანგრევებზე მოხეტიალე პოეტის ეულ სულს.

თავისი მასწავლებლის, ქართული თანამედროვე ქანდაკების მამამთავრის, იაკობ ნიკოლაძის ძეგლი ქუთაისში გამოირჩევა ავტორისეული ღრმა გააზრებით. დიდი მოქანდაკის ასკეტური იერი კიდევ უფრო აძლიერებს შთაბეჭდილებას.

სამამულო ომისადმი მიძღვნილი ძეგლი საჩხერეში ორფიგურიანი კომპოზიციაა. ეს სტატიკური ფიგურები დიდ შინაგან ძალას და უდრეკელობას გამოხატავენ. განსაკუთრებით შთამბეჭდავია დედის ფიგურა, რომლის მეტყველი და ძლიერი სახე განსაკუთრებულ ზემოქმედებას ახდენს მნახველზე. იგრძნობა იმდროინდელი განწყობილება და სულისკვეთება...

ვ. ი. ლენინი, პ. ჩაიკოვსკი და ფალიაშვილი ბორჯომში...

მოქანდაკის მონუმენტური ნამუშევრები გამოირჩევიან ორიგინალური გააზრებით, გადმოცემის ინდივიდუალური ხერხებით და სინთეზური შერწყმით ლანდშაფტთან.

თენგიზ ღვინიაშვილის შემოქმედებაში გარკვეული ადგილი უჭირავს დეკორატიულ ქანდაკებას. დეკორატიული დანიშნულებისაა სკულპტურული კომპოზიციები: „ხორუმი", „ოცნება", „შადრევანი", „ქართველი ქალი", „სამაია" და სხვა...

თანამედროვე თემებთან ერთად მოქანდაკე ხშირად აცოცხლებს ჩვენი ძველი კულტურის და ხელოვნების მოღვაწეთა სახეებს; ასეთია ქართული ოქრომჭედლობის ბრწყინვალე ოსტატის ბექა ოპიზარის ქანდაკება, შოგონებული, მოაზროვნე სახე შემოქმედისა ძიების მომენტშია წარმოდგენილი. ბოლო ნამუშევრებიდან აღსანიშნავია გიორგი ლეონიძე და ელენე ახვლედიანი.

თენგიზ ღვინიაშვილის მრავალფეროვან შემოქმედებაში დიდი ადგილი პორტრეტს, ამ ურთულეს ჟანრს უჭირავს და აქ მთელი ძალიერით გვესახება მისი, როგორც მოქანდაკის, შესაძლებლობანი. მის მიერ შესრულებული პორტრეტები უპირველესად საოცარი დამაჯერებლობით გამოირჩევიან; უყურებ თენგიზ ღვინიაშვილის რომელიმე ნამუშევარს და გეუფლება გრძნობა, რომ არა ხარ მარტო, თითქოს გესმის სუნთქვა ამეტყველებული ქვისა. მის მიერ შესრულებული პორტრეტების ხილვისას რწმუნდები, რომ ნაწარმოებზე მუშაობისას მოქანდაკეს ხელთ უპყრია ადამიანის სულის გასაღები, რომლითაც იგი ხსნის, არჩეული მოდელის ბუნებას და იქმნება ფსიქოლოგიური დახასიათება ნატურისა; ამას ეი ნატურის ღრმა ცოდნა და საფუძვლიანი შესწავლა განაპირობებს.

თენგიზ ღვინიაშვილის, როგორც პორტრეტისტის, ინტერესები სხვა და სხვა დარგის და ასაკის ადამიანებს დასტრიალებს: გამოჩენილი მეცნიერები, უბრალო მშრომელები, კულტურის მოღვაწენი, შრომის მოწინავენი. წლების მანძილზე მოქანდაკემ პორტრეტთა მთელი გალერეა შექმნა. ადრინდელი ნამუშევრებიდან ერთ-ერთი საუკეთესოა რეჟისორ ა. წუწუნავას ბიუსტი, რომელმაც ბევრი გამოფენა მოიარა როგორც ჩვენში, ისე საზღვარგარეთ და სპეციალისტთა მაღალი შეფასება მიიღო. აგრეთვე აღსანიშნავია აკადემიკოს ზავრიევის, კომპოზიტორ ფოცხვერაშვილის, ფეიქარ აბაშიძის, რეჟისორ ანთაძის, ექიმ ხუციძის პორტრეტები. მოქანდაკემ შექმნა ჩვენი ეპოქის საუკეთესო წარმომადგენლების სახეები. ამ ნამუშევრებში ხელოვანი ტიპიურ და განზოგადებულ ნიშნებთან ერთად აღწევს ინდივიდუალური ნიშნების ღრმა გამოხატვას, საამისოდ იგი იყენებს გამომსახველობის მრავალ საშუალებას; კომპოზიციური მრავალფეროვნება, ძერწვის სხვა და სხვა მანერა. პორტრეტზე მუშაობისას იგი სახის გამომსახველობაზე სვამს ძირითად აქცენტს, მისი ნაწარმოებები მოკლებულია ზედმეტ აქსესუარებს, ეს უკანასკნელი საერთოდ უცხო და შეუთავსებელია თენგიზ ღვინიაშვილის შემოქმედებისათვის.

გვიანდელი ნამუშევრებიდან დიდი აღიარება ჰპოვა პიანისტ ელისო ვირსალაძის პორტრეტმა. ამ ნამუშევარს ფართოდ გამოეხმაურა როგორც ჩვენი, ისე საკავშირო პრესა.

მოქანდაკე თენგიზ ღვინიაშვილი მეტად შრომისმოყვარე ხელოვანია. მას არასოდეს ჩაუთვლია თავისი საქმე იოლად და იდეები ადვილგანსახორციელებლად. მასში თანაბრადაა შერწყმული ნიჭი, შრომისმოყვარეობა და პროფესიონალიზმი, რაც ესოდენ აუცილებელია ჭეშმარიტი ხელოვანისთვის. მისი არაერთი ნამუშევარი აღნიშნულა პრემიებითა და კონკურსებში გამარჯვებებით. 1968 წელს ბორის ძნელაძის ქანდაკებაში მას საკავშირო კომკავშირის პრემია მიენიჭა. პრემირებულია აგრეთვე ნ. მუსხელიშვილის ქანდაკება, კომპოზიციები: „მეტალურგია" და „სოფლის მეურნეობა". მოქანდაკის სახელი კარგა ხანია გასცდა რესპუბლიკის და ჩვენი ქვეყნის საზღვრებს. საზღვარგარეთ გამართულ მრავალ გამოფენაზე ყოფილა წარდგენილი მისი ნამუშევრები და მაღალი შეფასება მიუღია. იგი არა ერთხელ ყოფილა აგრეთვე შემოქმედებით მივლინებაში ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთაც.

თენგიზ ღვინიაშვილი როგორც მოქანდაკე მუ-

დამ ახალი გზების და გამოსახვის საშუალებების დაუცხრომელ ძიებაშია. მისი ყოველი ახალი ნამუშევარი განსხვავდება წინანდელისაგან, იგი არაა ჩვეული გატკეპნილი გზით სიარულს...

ამჟამად მოქანდაკე ახალგაზრდა შემოქმედ ირაკლი ფხალაძესთან ერთად დიდ სამამულო ომში დაღუპულ მებრძოლთა ხსოვნის მემორიალზე მუშაობს, რომელიც რთულ მრავალფიგურიან კომპოზიციას წარმოადგენს და დაიდგმება უზბეკეთში.

საქართველოს სსრ დამსახურებული მხატვარი თენგიზ ღვინიაშვილი აქტიურ საზოგადოებრივ და პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწევა. იგი თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ქანდაკების კათედრის პროფესორია. მთელ თავის ცოდნას და უნარს ახმარს ქართული ქანდაკების ზრდის და განვითარების საქმეს. მის აღზრდილებში ბევრია ისეთი, რომლებიც უკვე თამამად მიაბიჯებს ქართული კულტურის ფართო შარაგზაზე, როგორც პედაგოგი, პროფესორი თენგიზ ღვინიაშვილი გამოირჩევა დიდი მზრუნველობით და ყურადღებით მოწაფეთა მიმართ. იგი მუდამ მზადაა დაეხმაროს სტუდენტს, როგორც სწავლის პროცესში, ისე აკადემიის კედლებს გარეთაც. ყოველგვარ საშუალებას აძლევს ახალგაზრდას გამოამჟღავნოს თავისი ნიჭი და უნარი. მის სახელოსნოში ხშირად ნახავთ რომელიმე მის მოწაფეს. დიდია მისი ავტორიტეტი აკადემიის სტუდენტებს შორის. იგი თავისი პიროვნებით და ცხოვრებით შემოქმედებით მაგალითს აძლევს მათ. მის ნამუშევრებს შორის არაერთია, რომელიც უსაზღაუროდ უძღვნა ქვეყანას. თენგიზ ღვინიაშვილი მეტად მოკრძალებული და თავმდაბალი ადამიანია. ხელოვანი ყოველნაირად არიდებს თავს ილაპარაკოს საკუთარ მიღწევებსა და წარმატებებზე იგი წლების მანძილზე მუშაობდა საქართველოს მხატვართა კავშირის მდივნად და თავმჯდომარის მოადგილედ.

ხელოვანის ყველა ნამუშევარში იგრძნობა სულიერი სისავსე, ეადემიურობა, ჭეშმარიტად მაღალი პროფესიონალიზმი, აზრის სინათლე, ყველა ქმნილებაში ჩვენ ვხედავთ თვით ავტორს, რომელიც ცდილობს სილამაზისა და ცხოვრების მრავალსახოვნების მისეულ გაგებას გვაზიაროს.

ქართული ხელოვნების თაყვანისმცემლები მოქანდაკისგან კიდევ მრავალ შემოქმედებით გამარჯვებას მოელიან.

ეთერ შავგულიძე

„სიყვარულო, ძალსა შენსა“...

ბუნება ჭეშმარიტად ყველაზე საოცარი და ბუმბერაზი შემოქმედია — მან შექმნა ადამიანი, რომელსაც შეუძლია მგზნებარე სიყვარული და ყოვლისმომცველი სიძულვილი, უანგარო ერთგულება და უანგარიშო ღალატი, სულიერი გმირობა და ნებისყოფის სიმდაბლე. ამ დადებით და უარყოფით ნიშან-თვისებათა მეტ-ნაკლებობა განსაზღვრავს პიროვნების არსებას. დღეს ხშირად ლაპარაკობენ (განსაკუთრებით დასავლეთში), რომ მეოცე საუკუნე ფასეულობათა გადაფასების საუკუნეა და რომ მრავალმა მაღალადამიანურმა თვისებამ არამარტო ღირებულება დაჰკარგა, არამედ საერთოდ დეგრადაცია განიცადა. გაუცხოების ამგვარი „თეორია“, რა თქმა უნდა, პრაქტიკულად უსაფუძვლოა, ვიდრე დედამიწაზე არსებობს სიყვარულის უკვდავი გრძნობა და რომ იგი ჭეშმარიტად არსებობს ამის კიდევ ერთი ნათელი დადასტურებაა დიანა უკლებასა და გეგორგ გრიგორიანის (ჯოტო) ცხოვრების ისტორია.

მათი შეხვედრა თითქოს შემთხვევითი იყო, მაგრამ აუცილებლობად იქცა. ჯოტო (ასეთი იყო თბილისში დაბადებული სომეხი მხატვრის ფსევდონიმი) უკვე ცნობილ ხელოვანთა რიცხვს ეკუთვნოდა, როდესაც გაიცნო ჯერ კიდევ სამხატვრო აკადემიის სტუდენტი, შემოქმედებითი აღტკინებით შეპყრობილი მშვენიერი დიანა. იმერეთის სოფელ კურსებში დაბადებულმა ამ ასულმა ნადირობის ქალღმერთის ისარი მოიმარჯვა და სიყვარულის უკურნებელი სენით დააავადა სილამაზისა და კეთილშობილების ჭეშმარიტად მოტრფიალე მხატვარი. მაგრამ ვერც დიანა გადაურჩა ამ ყოვლისმომცველი გრძნობას, რომლის აღმოცენება-გაღვივების ძირითად წყაროს ამჯერად შეადგენდა ჯოტოს ხელოვნების მშვენიერება. ფაქიზი შეგრძნების უნარით დაჯილდოვებული ქალიშვილი მაშინვე მიხვდა, რომ ამგვარი მაღალი შემოქმედებითი ნიჭის ადამიანი შეუძლებელია კეთილშობილი პიროვნება არ იყოს. მაგრამ როგორც ყველა განსაკუთრებულად მოაზროვნე ადამიანი, ისიც ცვალებადი, უცნაური ბუნების მქონეა და სწორედ ამიტომ საჭიროებს ცხოვრების ერთგულ თანამგზავრს. დიანა იღებს მტკიცე გადაწყვეტილებას იტვირთოს ეს მძიმე მისია — ჯოტოს არსებაში დაფარული შემოქმედებითი ენერგია გაანთავისუფლოს ყოველდღიურ საზრუნავთა გარემოცვისაგან და ადამიანებს უძღვნას სიხარულის, ესთეტიკური ტკბობის მომნიჭებელი მისი ხელოვნება. ეს მოითხოვდა უდიდეს მსხვერპლს — ბავშვობის ოცნებათა უარყოფას, დიანა — ხელოვანის გარდაქმნას დიანა — მეუღლედ.

მართლაც, დიანა უკლება მრავალგვარი წინააღმდეგობის მიუხედავად ტოვებს სამხატვრო აკადემიას და თავის ცხოვრებას სამუდამოდ უკავშირებს გეგორქ გრიგორიანს. ამიერიდან ხელოვნებისა და მეუღლის სიყვარული ერთ მთლიან, განუყოფელ სახეს იღებს. დიანა, შეიძლება ითქვას, ცოცხლობს, სუნთქავს ჯოტოს ქმნილებებით. თავის მხრივ, მხატვრისთვისაც შემოქმედებითი წინსვლის აუცილებელ პირობას წამოადგენს უკვე თავისი ცხოვრების მუდმივი და ერთგული თანამგზავრის მშვენიერი მონაცრისფრო-ლურჯი თვალები, სახის საოცრად გამჭვირვალე თეთრი ფერი, ხშირი ოქროსფერი თმების ჩანქერი, მეოცნებე, პოეტური გამომეტყველება.

ზოგჯერ ადამიანი გაუცნობიერებლად იღებს ხოლმე ისეთ გადაწყვეტილებას, რომელიც ძირფესვიანად ცვლის მის ცხოვრებას, ზოგჯერ კი განსაზღვრულად მოქმედებს. შესაძლოა დიანა უკლებამაც შეგნებულად დაიმო საკუთარი შემოქმედებითი გამარჯვებებით გამოწვეული სიხარული და ხელოვნებაში უფრო ძლიერი ნიჭის თაყვანისმცემლად იქცა, შესაძლოა, პირიქითაც, უბრალოდ შეიყვარა და წმინდა ქალურმა ბუნებამ დასძლია

მასში ყოველგვარ სხვა გამოვლინებებს. ამაზე მსჯელობა ძნელია. ფაქტია ის, რომ იგი ბოლომდე ერთგული, ფოსტყვარული, მზრუნველი მეუღლე იყო და დღესაც არის, როდესაც ჯოტო აღარ არის მის გვერდით, მაგრამ არის მისი ხელოვნება, რომელიც კვლავაც საჭიროებს დიანას ყურადღებასა და მფარველობას. სწორედ ეს აჩერებს მშობლიურ კუთხეს მონატრებულ ამ საოცარ ქალს მეუღლის სამშობლოში — იგი ბოლომდე ერთგულად უნდა ემსახუროს მის ხელოვნებას. ოდითგანვე ასე ჩვეოდათ ქართველ ქალებს. დიანა უკლება კი ამაყობს თავისი წარმომავლობით და ჭეშმარიტად დირსეულად ატარებს ამ სახელს.

„აქ (ერევანში) არაჩვეულებრივი ამინდებია", — ვკითხულობთ დიანა უკლებას ერთერთ წერილში, — „უკვე გაზაფხულის მძლავრმა სუნთქვამ აიყვავილა ხეხილი და გალაღებით დაფრინავენ და ჭიკჭიკებენ ფრინველები, მაგრამ ეხლა თბილისის ბაღები და ლამაზი ბუნება სულ სხვა სიმშვენიერით იღვიძებს... ჩემი თვალი და გული მაქეთ გამორბის, ძნელია სამშობლოს მოშორება, ისიც სულიერი მეგობრის გარეშე ოთახში მარტო გამოკეტილი..."

მამულის სიყვარული, მშობლიური მიწის სუნთქვა იგრძნობა დიანა უკლებას საოცარი უშუალობით დაწერილ ლექსებშიც. ყოველგვარი პრეტენზიების გარეშე, შინაგანი შემოქმედებითი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისათვის ქმნის იგი ამ პოეტურ ქმნილებებს. ბოლოს იგრძნობა ამ ფერწერულ ტილოებშიც, რომელთა შექმნის სურვილმაც ხელახალი ძალით იფეთქა მეუღლის გარდაცვალების შემდეგ. თითქოს ჯოტოს შემოქმედებითმა უნარმა სიცოცხლე ცოლის არსებაში განაგრძო, შეერწყა მასში დიდი ხნის მიძინებულ ხელოვანს და სრულიად ახალი ფენომენის ძალით იფეთქა. გასაოცარია, რომ მეუღლის ხელოვნების ესოდენ თაყვანისმცემელი ქალი არ ექცევა მისი გავლენის ქვეშ და ამჯერადაც ერთგულებას იჩენს, ოღონდ ერთგულებას თავისი საკუთარი შემოქმედებითი მესადმი. ყველაფერი მისია — გამომსახველობითი ხერხები, ფორმა-ქმნადობის მეთოდი, კოლორიტი, სივრცის გრძნობა, ასახვის ობიექტისადმი დამოკიდებულება და ფერის პოეტური განცდაც, მაგრამ საყოველთაო ჭეშმარიტი ხელოვნებისადმი სიყვარულის გრძნობა, რომელმაც საუდამოდ ერთმანეთთან დააკავშირა ორი დიდბუნებოვანი ადამიანი.

ამჯერად ჩვენს მიზანს არ შეადგენს დიანა უკლებას და ჯოტო გრიგორიანის შემოქმედების განხილვა. ეს სპეციალური ყურადღების ღირსია. ჩვენ უბრალოდ გვსურდა მოგვეთხრო ამ ორი პიროვნების ერთმანეთისადმი და ხელოვნებისადმი უზადო სიყვარულისა და ერთგულების შესახებ, ამით კიდევ ერთხელ დაგვემტკიცებინა, რომ არსებობს კაცობრიობის ცხოვრებაში უმაღლესი ღირებულებანი, რომელთა გაუფასურებაც შეუძლებელია, ვინაიდან ეს თვით ადამიანის იდეის დაღუპვას მოახწავებს.



ᲬᲘᲒᲜᲘ ᲧᲕᲔᲚᲐᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲕᲘᲥᲢᲝᲠ ᲞᲔᲙᲔᲚᲘᲡᲘ — „ᲨᲔᲜᲘ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲚᲝᲒᲜᲘ, ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲝ!“. ᲠᲣᲡᲣᲚᲘᲓᲐᲜ ᲗᲐᲠᲒᲛᲜᲐ ᲖᲣᲠᲐᲑ ᲚᲔᲨᲙᲐᲨᲔᲚᲛᲐ, ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲚᲝᲒᲐ „ᲜᲐᲙᲐᲓᲣᲚᲘ“, ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ ᲛᲐᲠᲘᲜᲔ ᲡᲝᲮᲐᲫᲔ, 1978 ᲬᲚᲘ.

„ᲪᲘᲚᲝᲕᲠᲔᲑᲐ ᲛᲘᲖᲜᲘᲐ, ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲐ ᲙᲘ — ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲔᲑᲐ ᲛᲘᲖᲜᲘᲡ ᲛᲘᲦᲬᲔᲕᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ,“ — ᲡᲝᲪᲘᲝᲚᲝ�გᲗᲐ ᲛᲘᲔᲠ ᲐᲥᲡᲘᲝᲛᲐᲓᲐᲐ ᲛᲘᲩᲜᲔᲣᲚᲘ ᲔᲡ ᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ. ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡᲐ ᲗᲣ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲧᲝᲕᲔᲚᲘ ᲓᲐᲠᲒᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲧᲝᲤᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲠᲣᲚᲧᲛᲜᲐᲡ ᲔᲛᲘᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲐ. ᲠᲐᲝᲛᲔᲡ ᲧᲝᲤᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲠᲣᲚᲧᲛᲜᲐ ᲙᲘ ᲛᲘᲡᲘ ᲐᲠᲡᲘᲡ, ᲛᲘᲡᲘ ᲠᲐᲝᲑᲐ-ᲠᲝᲒᲝᲠᲝᲑᲘᲡ, ᲛᲘᲖᲐᲜ-ᲓᲐᲜᲘᲨᲜᲣᲚᲔᲑᲘᲡ, ᲔᲠᲗᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲘᲗ, ᲛᲘᲡᲘ ᲒᲐᲜᲣᲛᲔᲝᲠᲔᲑᲚᲝᲑᲐ — ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲣᲚᲝᲑᲘᲡ ᲪᲝᲓᲜᲐᲡ ᲛᲝᲘᲗᲮᲝᲕᲡ. ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲙᲝᲜᲙᲠᲔᲢᲣᲚᲘ ᲓᲐᲠᲒᲔᲑᲘ ᲡᲘᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲘᲡ ᲙᲝᲜᲙᲠᲔᲢᲣᲚ ᲡᲤᲔᲠᲝᲔᲑᲡ ᲡᲬᲐᲕᲚᲝᲑᲔᲜ ᲓᲐ ᲠᲐᲪ ᲛᲔᲢ ᲡᲤᲔᲠᲝᲡ ᲛᲝᲘᲪᲐᲕᲡ ᲡᲘᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲘᲡ ᲔᲡᲐ ᲗᲣ ᲘᲡ ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲐ, ᲐᲜᲣ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲐᲓᲐᲪ ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲤᲔᲠᲝᲕᲐᲜᲘᲐ ᲘᲒᲘ, „ᲛᲘᲖᲜᲘᲡ ᲛᲘᲦᲬᲔᲕᲘᲡ“ ᲛᲘᲗ ᲛᲔᲢᲘ ᲓᲐᲠᲒᲘ ᲘᲙᲕᲚᲔᲕᲡ ᲛᲐᲡ.

ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ ᲣᲠᲗᲝᲣᲚᲔᲡᲘᲐ ᲡᲐᲙᲕᲚᲔᲕ ᲤᲔᲜᲝᲛᲔᲜᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ, ᲑᲣᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲡᲐᲣᲙᲣᲜᲝᲕᲐᲜᲘ ᲒᲐᲠᲯᲘᲡ ᲣᲣᲙᲔᲗᲔᲡᲘ ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲣᲧᲝᲤᲔᲚ ᲜᲐᲘᲠᲗᲡ ᲰᲒᲐᲕᲡ ᲘᲒᲘ ᲓᲐ ᲐᲠᲐᲕᲘᲡ ᲐᲙᲕᲘᲠᲕᲔᲑᲡ, ᲠᲝᲛ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲗᲐ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲠᲘᲒᲘ (ᲤᲘᲚᲘᲡᲝᲤᲘᲐ, ᲐᲜᲗᲠᲝᲠᲝ�პᲝᲚᲝᲒᲘᲐ, ᲤᲡᲘᲮᲝᲚᲝᲒᲘᲐ, �პᲔᲓᲐ�გᲝ�გᲘᲙᲐ ᲓᲐ Ა. Შ.) ᲛᲐᲡ ᲙᲕᲚᲔᲕᲘᲡ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠ ᲝᲑᲘᲔᲥᲢᲐᲓ ᲛᲘᲘᲩᲜᲔᲕᲡ. ᲔᲠᲗᲘ ᲨᲔᲮᲔᲓᲕᲘᲗ, ᲡᲘᲖᲘᲤᲔᲡ ᲨᲠᲝᲛᲐᲡ ᲰᲒᲐᲕᲡ ᲨᲔᲛᲝᲛᲥᲛᲔᲓᲘ ᲒᲝᲜᲘᲡ ᲧᲝᲕᲔᲚᲘ ᲛᲪᲓᲔᲚᲝᲑᲐ ᲐᲛ ᲐᲡᲞᲔᲥᲢᲨᲘ: ᲘᲙᲕᲚᲔᲕᲡ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ „ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲡ“ ᲓᲐ ᲒᲐᲣᲠᲑᲘᲡ ᲡᲐᲙᲕᲚᲔᲕᲘ, ᲠᲝᲒᲝᲠᲐᲪ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠᲘ ᲩᲠᲓᲘᲚᲘ ᲛᲝᲫᲠᲐᲕ ᲡᲐᲒᲐᲜᲡ, ᲒᲐᲣᲠᲑᲘᲡ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲘᲜᲢᲔᲚᲔᲥᲢᲣᲐᲚᲣᲠᲐᲓ ᲒᲐᲛᲓᲘᲓᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲝᲑᲘᲔᲥᲢᲘ ᲣᲙᲕᲔ ᲡᲮᲕᲐ ᲝᲑᲘᲔᲥᲢᲘᲐ. ᲞᲐᲠᲐᲓᲝᲥᲡᲘᲐ, ᲛᲐ�გᲠᲐᲛ, ᲐᲡᲔᲗᲘ „ᲡᲬᲠᲐᲤᲘ“ ᲪᲕᲚᲐᲚᲑᲐᲓᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲣᲮᲔᲓᲐᲕᲐᲓ, ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ ᲛᲐᲘᲜᲪ ᲨᲔᲣᲓᲐᲠᲔᲑᲚᲐᲓ ᲛᲧᲐᲠᲘ ᲓᲐ ᲣᲪᲕᲚᲔᲚᲘᲐ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲞᲚᲐᲜᲔᲢᲐᲖᲔ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚ ᲡᲣᲚᲘᲔᲠᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ: ᲗᲣ ᲑᲣᲜᲔᲑᲐᲨᲘ ᲠᲐᲓᲘᲙᲐᲚᲣᲠᲘ ᲪᲕᲚᲘᲚᲔᲑᲐᲜᲘ ᲡᲪᲝᲑᲡ, ᲐᲜ ᲡᲐᲮᲔᲡ ᲣᲪᲕᲚᲘᲡ ᲡᲣᲚᲘᲔᲠᲗᲐᲒᲐᲜ ᲓᲐᲜᲐᲠᲩᲔᲜᲡ, ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ ᲗᲕᲘᲗ ᲒᲐᲠᲓᲐᲥᲛᲜᲘᲡ ᲑᲣᲜᲔᲑᲐᲡ ᲓᲐ ᲑᲘᲝᲚᲝᲒᲘᲣᲠᲐᲓ ᲗᲘᲗᲥᲛᲘᲡ ᲣᲪᲕᲚᲔᲚᲘ ᲠᲩᲔᲑᲐ.

ᲡᲐᲝᲪᲐᲠᲘᲐ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ, ᲡᲐᲝᲪᲐᲠᲘᲐ — ᲠᲐᲪ ᲕᲘᲪᲘᲗ ᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲓᲐ ᲒᲕᲬᲔᲠᲐ, ᲠᲝᲛ ᲛᲘᲡᲘ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲒᲝᲛᲘ ᲨᲔᲪᲜᲝᲑᲐ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲣᲤᲠᲝ ᲒᲐᲒᲕᲐᲝᲪᲔᲑᲡ.

ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲣᲙᲕᲔ ᲛᲘᲙᲕᲚᲔᲣᲚ, ᲛᲐ�გᲠᲐᲛ ᲙᲐᲪᲝᲑᲠᲘᲝᲑᲘᲡ ᲣᲛᲔᲢᲔᲡᲝᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲯᲔᲠ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲣᲪᲜᲝᲑᲡ ᲒᲕᲘᲡᲣᲠᲐᲗᲮᲐᲢᲔᲑᲡ ᲕᲘᲥᲢᲝᲠ ᲞᲔᲙᲔᲚᲘᲡᲘᲡ ᲬᲘᲒᲜᲘ „ᲨᲔᲜᲘ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲚᲝᲑᲐᲜᲘ, ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲝ!“

ᲬᲘᲒᲜᲘ ᲐᲗᲐᲡᲒᲕᲐᲠᲘᲐ: ᲐᲠᲘᲡ ᲘᲒᲘ ᲣᲤᲠᲝᲡᲗᲐᲗᲕᲘᲡ ᲓᲐ ᲣᲛᲪᲠᲝᲡᲗᲐᲗᲕᲘᲡ, ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲗᲐᲗᲕᲘᲡ ᲓᲐ ᲓᲘᲚᲔᲢᲐᲜᲢᲗᲐᲗᲕᲘᲡ, ᲬᲘᲒᲜᲘᲔᲠᲗᲐᲗᲕᲘᲡ ᲓᲐ ᲣᲬᲘᲒᲜᲣᲠᲗᲐᲗᲕᲘᲡᲐᲪ. ᲔᲡ ᲬᲘᲒᲜᲘ ᲙᲘ ᲧᲕᲔᲚᲐᲡᲐᲗᲕᲘᲡᲐᲐ, ᲣᲙᲚᲔᲑᲚᲘᲕ ᲧᲕᲔᲚᲐᲡᲐᲗᲕᲘᲡ!

ᲕᲔᲪᲜᲝᲑᲘᲗ „ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲨᲔᲥᲛᲜᲘᲚᲘ ᲡᲐᲛᲧᲐᲠᲝᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲐᲡᲗᲐᲜ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡ ᲨᲔᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲗᲘ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲚᲝᲑᲔᲑᲘᲡ“ ᲐᲛᲡᲐᲮᲕᲔᲚ ᲐᲛ ᲜᲐᲨᲠᲝᲛᲡ ᲓᲐ ᲡᲘᲐᲛᲐᲧᲘᲡ ᲩᲣᲛᲘ, ᲤᲐᲠᲣᲚᲘ, ᲒᲐᲣᲛᲯᲔᲚᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲣᲩᲕᲔᲣᲚᲝ ᲒᲠᲫᲜᲝᲑᲐ ᲒᲕᲔᲣᲤᲚᲔᲑᲐ, ᲣᲗᲐᲜᲐᲡᲬᲠᲝᲠᲘ ᲑᲠᲫᲝᲚᲐᲨᲘ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲣᲛᲪᲘᲠᲔᲡᲝᲑᲐ ᲗᲣ ᲒᲐᲜᲘᲪᲓᲘᲡ ᲠᲐᲦᲐᲪ ᲛᲡᲒᲐᲕᲡᲘ ᲛᲝᲒᲔᲑᲣᲚᲘ ᲑᲠᲫᲝᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ.

ᲩᲕᲔᲜᲘ „ᲗᲐᲕᲘᲡ ᲢᲕᲘᲜᲘᲡ ᲥᲔᲠᲥᲨᲘ ᲘᲛᲓᲔᲜᲘ ᲐᲖᲠᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲔᲜᲔᲠᲒᲘᲐᲐ ᲗᲐᲕᲛᲝᲧᲠᲘᲚᲘ, ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘ ᲤᲘᲖᲘᲙᲣᲠᲘ ᲔᲜᲔᲠᲒᲘᲐᲪᲐᲐ ᲐᲢᲝᲛᲒᲣᲚᲨᲘ“ (ᲒᲒ. 4), „ᲗᲘᲗᲝᲔᲣᲚ ᲩᲕᲔᲜᲗᲐᲒᲐᲜᲡ ᲨᲔᲣᲫᲚᲘᲐ ᲓᲐᲘᲛᲐᲮᲡᲝᲕᲠᲝᲡ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲛᲨᲘ ᲣᲓᲘᲓᲔᲡᲘ Ვ. Ი. ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲘᲡ ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲝᲑᲘᲗ ᲢᲝᲛᲨᲘ ᲛᲝᲗᲐᲕᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ“ (ᲒᲒ. 24), „ᲩᲕᲔᲜᲘ ᲢᲕᲘᲜᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲚᲝᲑᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲜᲐᲮᲔᲕᲠᲝᲓ ᲒᲐᲛᲝᲧᲔᲜᲔᲑᲐ ᲛᲐᲘᲜᲪ ᲠᲝᲛ ᲨᲔᲒᲕᲔᲫᲚᲝᲡ, ᲡᲣᲚ ᲘᲝᲚᲐᲓ ᲨᲔᲕᲘᲡᲬᲐᲕᲚᲘᲗ ᲝᲠᲛᲝᲪᲐᲛᲓᲔ ᲔᲜᲐᲡ, ᲗᲐᲕᲘᲓᲐᲜ ᲑᲝᲚᲝᲛᲓᲔ ᲓᲐᲕᲘᲛᲐᲮᲡᲝᲕᲠᲔᲑᲓᲘᲗ ᲓᲘᲓ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲔᲜᲪᲘᲙᲚᲝ�პᲔᲓᲘᲐᲡ, ᲒᲐᲕᲘᲕᲚᲘᲗ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲚᲘᲡ ᲐᲗᲝᲛᲘᲗ ᲙᲣᲠᲡᲡ“ (ᲒᲒ. 46), ᲕᲘᲙᲘᲗᲮᲐᲕᲓᲘᲗ „ᲛᲔᲢᲠᲝᲑᲘᲗ“ (ᲒᲒ. 109), ᲕᲘᲥᲪᲔᲝᲓᲘᲗ ᲞᲝᲚᲘᲒᲚᲝᲢᲔᲑᲐᲓ (ᲒᲒ. 123), ᲨᲔᲕᲥᲛᲜᲘᲓᲘᲗ ᲓᲔᲓᲐᲛᲘᲬᲘᲡ „ᲖᲔᲭᲙᲣᲐᲡ“ (ᲒᲒ. 219), ᲠᲐᲓᲒᲐᲜ „ᲧᲝᲕᲔᲚᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲡᲐᲛᲧᲐᲠᲝᲐ; ᲔᲡ ᲡᲐᲛᲧᲐᲠᲝ ᲛᲐᲡᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲘᲑᲐᲓᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲛᲐᲡᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲙᲕᲓᲔᲑᲐ. ᲧᲝᲕᲔᲚᲘ ᲡᲐᲤᲚᲐᲕᲘᲡ ᲥᲕᲘᲡ ᲥᲕᲔᲨ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐ ᲫᲔᲕᲡ“ (ᲒᲒ. 185), — ᲕᲙᲘᲗᲮᲣᲚᲝᲑᲗ ᲐᲛ ᲡᲢᲠᲘᲥᲝᲜᲔᲑᲡ ᲓᲐ ᲕᲘᲕᲡᲔᲑᲘᲗ, ᲕᲛᲐᲦᲚᲓᲔᲑᲘᲗ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠ ᲗᲕᲐᲚᲨᲘ, ᲕᲒᲠᲫ-

ნობთ, რომ მეტს უნდა ვაკეთებდეთ, მეტი უნდა შევიძლოთ, მეტი გვევალება.

თარგმნო — ნიშნავს აქცია ეროვნული ღირებულება ადექვატურ ღირებულებად შენი ერისათვის. ვფიქრობთ, ვ. პეკელისის წიგნის ზურაბ ლეშკაშელისეული თარგმანი, არც თუ დიდი ტრადიციის მქონე, სამეცნიერო-პოპულარული ლიტერატურის ნიმუშთა ქართულად ამეტყველების ერთ-ერთი საყურადღებო და მისაბაძი მაგალითია.

ვაჟა ყუბუსიძე

ფიქრები მამულის წარსულსა და აწმყოზე

ციალა არდაშელია — „ვინ იყო ქვათა ამათა მკვეთი", გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო", რედაქტორი ნ. ასათიანი, 1978 წელი.

ერი, რომელმაც კარგად არ იცის თავისი წარსული, ხვალინდელი დღის გამოცდას ვერ გაუძლებს. შორეულ საუკუნეთა შრეებში გადგმული ფესვები ასაზრდობენ ხოლმე ერის აწმყოსა და მყოფადს.

ქართულ ისტორიოგრაფიას უზარმაზარი შრომა აქვს გაწეული საქართველოს ისტორიის შესწავლის საქმეში, მაგრამ არ შეიძლება ითქვას, რომ ყველაფერი გარკვეული და დადგენილი გვაქვს. კერძოდ, ჯერჯერობით სუსტადაა გაშუქებული საქართველოს ერთ-ერთი უძველესი კუთხის კოლხეთის სამეფოს ისტორიის ადრეული პერიოდი, მისი წვლილი ქართული კულტურის ჩამოყალიბებაში.

ციალა არდაშელიას ნარკვევების წიგნში სწორედ კოლხეთის წარსულზეა უმთავრესად ლაპარაკი. ავტორს შემოქმედებითად გამოუყენებია მეცნიერული ლიტერატურა, ხალხური გადმოცემები, ფოლკლორული მასალა, ვანის ნაქალაქარზე არქეოლოგიური გათხრებისგან, ლაზეთში, მესხეთში მოგზაურობიდან მიღებული პირადი შთაბეჭდილებები და ერთ მთლიან ფიქრად და სატკივრად შეუკრავს.

ნარკვევი „ვინ იყო ქვათა ამათა მკვეთი", [illegible] თაც იხსნება წიგნი, ვანის არქეოლოგიური გათხრებისადმია მიძღვნილი. ავტორი უშუალოდ დასწრებია ექსპედიციის მუშაობას. ამაღელვებლად გვიყვება იგი თუ როგორ იხსნებოდა კოლხეთის ძველისძველი მიწის მკერდი და მზის სინათლეზე ამოდიოდა ვანის ნაქალაქარი თავისი ფასდაუდებელი საუნჯით: „ქალაქის III-II საუკ. ძვ. წ. გალავნის კედლები და კოშკები, კარიბჭის ხუროთმოძღვრული კომპლექსები, ე. წ. მოზაიკისიატაკიანი ტაძარი, მრგვალი და ამბიდიანი ნაგებობანი, საცხოვრებლის ნაშთები, აგრეთვე ორი მდიდრული სამარხი „წარჩინებული კოლხი მეომრისა", ჭედური გამოსახულებით შემკული ოქროს დიადემები, ცვარათი მორთული სამკაულები,... ნიკეს ქანდაკება, დიონისეს წრის ღვთაებრივი გამოსახულებანი". მეცნიერულმა კვლევა-ძიებამ დაამტკიცა რომ ყოველივე ეს ძველი კოლხეთის უძველესი კულტურის მიერაა შექმნილი. დამასკოს კონგრესზე ვანის ნაქალაქარის არქეოლოგიურ აღმოჩენებს „ახალი უცნობი ცივილიზაცია" უწოდეს.

ვანის ნაქალაქარი კოლხეთის სამეფოს დიდი კულტურისა და ცივილიზაციის ერთადერთი დასტურია ჯერჯერობით, მაგრამ, როგორც ც. არდაშელია შენიშნავს, „ჯერ ხომ არ არის მიკვლეული ძველი კოლხეთის დედაქალაქის საგანძური. და რამდენს დაიტევდა დედაქალაქი, როცა რიგითი ქალაქი, თუნდაც საკულტო — ფლობდა ასეთ აურაცხელ სიმდიდრეს".

კოლხეთი ელის თავის მკვლევარს. ბევრი რამ არის აღმოსაჩენი, მისაკვლევი და შესასწავლი.

ლაზეთი — საქართველოს ტკივილი, საქართველოს დავიწყებული ძმა. მის წარსულსა და ძნელბედობაზე მოგვითხრობენ ნარკვევები „ლაზეთი... ლაზეთი" და „გადარჩენილი სული კოლხეთის", ავტორი კიდევ ერთხელ შეგვახსენებს ლაზების, ამ კოლხური ტომის მიერ გამოვლილ ტანჯვის გზას. მიუხედავად ათასგვარი ძალადობისა და უბედურებისა, მათ მაინც შეინარჩუნეს თავისთავადობა და არ დავიწყნიათ თუ ვისი გორისა არიან. „დავიწყებულები ვართ ჩვენ, ჩვენო ძველო ძმაო!" — მოთქმასავით ისმის ერთი ლაზური ლექსიდან. ლაზეთი მეტ ყურადღებას მოითხოვს ჩვენი მეცნიერებისგან, ჩვენი მწერლობისგან.

ნარკვევში „ყვირილი გვმართებს დღისით, მზისით", რომელიც აჭარის ავბედით წარსულს, მის დღევანდელობას ეხება, ასეთ შემაძრწუნებელ ცნობებს ვკითხულობთ: „1640-1660 წლებში ოსმალეთში გადაასახლეს და დაფანტეს 400 ათასზე მეტი სული", „1708 წელს 2700 ქართული სოფლიდან 1300 გადაასახლეს უშორეს ადგილებში", „1829 წელს 300 ათასი ლაზი აყარეს და გაფანტეს შიდა თურქეთში". რაც თურქის ხმალმა ვერ შესძლო ბოლომდე, კინალამ მეფის რუსეთის მზაკვრობამ გააკეთა. ცარიზმის უგნური პოლიტიკით დამფრთხალი მოსახლეობა უკვე თავისი ნებით ტოვებს ბშობლიურ მიწა-წყალს. მუჰაჯირობას ცარიზმი

უწყობს ხელს — მას ხომ თავისუფალი მიწები აინტერესებს და არა ხალხის ბედ-იღბალი. დაცარიელებულ ქართულ სოფლებში, აჭარელი კაცის ნასახლარში ათასი ჯურის ხალხი სახლდება. მემედ აბაშიძემ, ხელიმ ხიმშიაშვილმა, ხასან თხილაიშვილმა და სხვა მრავალმა პატრიოტმა ბევრი რამ გააკეთეს აჭარაში ქართული სულის გადასარჩენად. მათი ნამდვილი მამულიშვილობა და უკვდავი დვაწლი ღირსეულადაა შეფასებული წიგნში.

ეს წიგნი არა მარტო ფაქტობრივი მასალითაა საინტერესო, არამედ მასში გვხიბლავს მწერლის ოსტატობა, მისი წერის მანერა, მაღალმხატვრულობა. ციალა არდაშელიას ნარკვევები სინთეზური ხასიათისაა — აქ ერთმანეთს ენაცვლებიან დოკუმენტური მასალა და მხატვრული პროზის ელემენტები, ამაღლებული, პოეტური თხრობა და მკაცრი, ლაკონური სტილი. ზოგჯერ ნარკვევებში ჩართულია მცირე მოცულობის მოთხრობა, რომელიც მშვენივრად ეხამება ნარკვევის საერთო ფონს და ხელს უწყობს მისი მთავარი იდეის წარმოჩენას.

აქ ყოველ სტრიქონში იგრძნობა თავის ერზე, თავის ქვეყანაზე, მის წარსულსა და აწმყოზე შეყვარებული ადამიანი, რომელიც თავის სიყვარულს ამაღელვებლად, გადამდებად გადმოგვცემს.

გულისტკივილით უნდა აღვნიშნოთ, რომ წიგნის ტირაჟი ძალზე მცირეა — სულ 1000 ცალი. (!) არადა ამ წიგნს აუცილებლად ეყოლება მრავალრიცხოვანი მკითხველი.

ვახტანგ ხარჩილავა

კულტურული ცხოვრების ქრონიკა

აშშ

ჯონ აგდაიკის ახალი რომანი

„წინსვლა“ — ასე ეწოდება ამ რომანს. კრიტიკას მიაჩნია, რომ ეს რომანი ამერიკულ ლიტერატურაში თვალსაჩინო ადგილს დაიკავებს.

რომანის მთავარი გმირი, აფრიკელი ზანგი კოლონელ ელელოუ საფრანგეთის არმიაში მსახურობს. მისი სამშობლო — პატარა აფრიკული ქვეყანა — საფრანგეთის კოლონიაა. ელელოუ უარს ამბობს თავისი თანამემამულეების წინააღმდეგ ბრძოლაზე და განმანთავისუფლებელი მოძრაობის ლიდერი ხდება. ბოლოს და ბოლოს იგი მიაღწევს თავისი ქვეყნის განთავისუფლებას და სათავეში ჩაუდგება ახალგაზრდა სახელმწიფოს. მაგრამ სწორედ განთავისუფლების შემდეგ წამოიჭრება ახალი პრობლემები, რომელთა მოგვარება უფრო ძნელი აღმოჩნდება, ვიდრე იარაღით ხელში თავისუფლებისათვის ბრძოლა. ეს არის ხალხის გაუნათლებლობა, ეკონომიური ჩამორჩენილობა, ეპიდემიები, შუღლი დაჯგუფებებს შორის. ელელოუ წინააღმდეგია ყოველგვარი გარეგანი დახმარებისა, მაგრამ მისი ქვეყანა ნელნელა მაინც ექცევა დიდი კაპიტალის გავლენის ქვეშ და ილუზია თავისუფალი — ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით — ქვეყნის შექმნისა — კითხვის ნიშნის ქვეშ დგება.

„ბივეები ბრაზილიიდან“

ამ ახალ ფილმში, რომელიც ჩვენს დღეებში ნეოფაშიზმის გააქტიურების პრობლემას ეხება, მთავარ როლებს ცნობილი მსახიობები ლოურენს ოლივიე და გრეგორი პეკი ასრულებენ.

ომის შემდეგ რაიხის ყოფილი ჯალათების დიდმა ნაწილმა, როგორც ვიცით, სამხრეთ ამერიკაში პოვა თავშესაფარი. სწორედ ერთ-ერთი ასეთი ჯალათთაგანია დოქტორი ჯოზეფ მენგელი (გრეგორი პეკი), რომელმაც ბიოლოგის კარიერა ადამიანებზე არაჰუმანური ცდების ჩატარებით მოიპოვა. ფილმში იგი ფაშისტური იდეების ახალ მქადაგებლად გვევლინება. გერმანული ნაციის ხელახალი აღზევება და არიული რასისადმი მსოფლიოს საბოლოო დამორჩილება — აი მენგელის სანუკვარი ოცნება.

მაგრამ თვით ყოფილ ფაშისტებშიც კი უკვე დაკარგულია ფაშიზმის აღდგენის რწმენა. მენგელს ეწინააღმდეგება რაიხის ყოფილი ჯალათი ეზრა ლიბერმანი — (ლოურენს ოლივიე), რომელიც კარგად გრძნობს მენგელის გეგმების უსუსურობას.

ფილმის სიუჟეტი ამ ორი ადამიანის ორთაბრძოლაში იშლება. მართალია, ფილმში ჯოზეფ მენგელი კრახს განიცდის, მაგრამ ფილმის ავტორები კიდევ ერთხელ აფრთხილებენ საზოგადოებას ფაშიზმის ყოველი ხელახალი გამოვლენის საშიშროების გამო.

ჯეინ ფონდას ახალი ფილმი

„კალიფორნიული ისტორია“ — ასე ეწოდება ახალ მხატვრულ ფილმს, რომელიც კოლუმბიის კინოკომპანიამ გადაიღო.

კალიფორნიის ერთ-ერთ სასტუმროში ოთხი ოჯახი ჩერდება. ფილმის ცენტრალური ისტორიას ქმნის ნიუიორკიდან ჩამოსული კინოსცენარისტის, მისი მეუღლისა და მათი 17 წლის ქალიშვილის ოჯახი. მეუღლის როლს ასახიერებს ჯეინ ფონდა.

მშობლები გრძნობენ, რომ ქალიშვილი უკვე 17 წლისაა და ყოველ წუთს მზადაა დატოვოს მშობლიური გუდერა გზას ამოირჩევს შვილი? მიატოვებს თუ არა მშობლებს? იქნება თუ არა ბედნიერი თავის არჩევანში? აი ეს კითხვები წამოიჭრება უეცრად ოჯახის წინაშე. მაგრამ ყოველივე ამის მიღმა იგრძნობა სხვა, არა ნაკლებ მნიშვნელოვანი პრობლემები, რომლებიც არც თუ ისე ახალგაზრდა ცოლ-ქმარის წინაშე დგება და პირველ რიგში ეს არის შიში მარტო დარჩენის წინაშე.

ჯეინ ფონდას ახალმა ნამუშევარმა საერთო ყურადღება მიიპყრო.

ინგლისი

სახიფათო ველოსიპედი

1879 წელს, ზუსტად 100 წლის წინათ, ინგლისის უმაღლესმა სასამართლომ გამოიტანა დადგენილება:

კანონი სწრაფი მოძრაობის აკრძალვის შესახებ გავრცელდეს ველოსიპედზეც, ვინაიდან იგი პოტენციურად საშიში ელემენტია. ტრანსპორტის არც ერთი სახე არ არის ისეთი უხმაურო, როგორც ველოსიპედი, განსაკუთრებით

დაღმართზე დაშვებისას. ამიტომ შეიზღუდოს ველოსიპედის სიჩქარე, ხოლო ხალხმრავალ ქუჩებში საერთოდ აიკრძალოს დაღმართზე ველოსიპედით დაშვება.

ინგლისელმა კანონმდებლებმა ველოსიპედის წინაღმდეგ მაშინ გაილაშქრეს, როდესაც ტრანსპორტის ეს უწყინარი სახე ხმარებაშიც კი არ იყო შესული!

ჭადრაკის „ოსკარი"

ცნობილია, რომ ჭადრაკის ჟურნალისტთა საერთაშორისო ასოციაცია წლის საუკეთესო მოჭადრაკეს „ოსკარს" ანიჭებს. ინგლისური ჟურნალი „სპექტეიტორი" ჭადრაკის „ოსკარის" მინიჭების პრაქტიკას აკრიტიკებს. ჟურნალი წერს:

არ იყო სწორი, როდესაც 1978 წელს ა. კარპოვთან წაგებული მატჩის მიუხედავად „ოსკარი" მაინც ვ. კორჩნოის მიანიჭეს. ამ შემთხვევაში პოლიტიკურმა გადასძლია მოჭადრაკის ოსტატობას. ამავე დროს, 1978 წელს „ოსკარის" სულ ცოტა სამი რეალური პრეტენდენტი არსებობდა. ესენია მისეილ ტალი, ვიტალი ჩეშკოვსკი და 15 წლის გარი კასპაროვი. არსებობს აზრი, რომ დღევანდელ ჩემპიონს სწორედ გარი კასპაროვი შეცვლის. გარდა ამისა, საჭადრაკო ჟურნალისტთა აზრით, „ოსკარის" მინიჭებამ არ უნდა დაკარგოს მოულოდნელობის ელემენტი. ის არ უნდა იყოს დამოკიდებული მსოფლიო ჩემპიონატში გამარჯვებაზე ან მოჭადრაკის ტიტულზე. სწორედ ასეთი მოულოდნელობებით არის აღსავსე ახალგაზრდა მოჭადრაკის კასპაროვის თამაში.

როგორ ჩატარდეს ჩემპიონატი?

ახლო მომავალში ჭადრაკის მსოფლიო ფედერაციამ უნდა შეიმუშაოს მსოფლიოს პირველი მოჭადრაკის ტიტულისათვის ბრძოლის ახალი რეგლამენტი. ინგლისის პრესა ამ საკითხის შესახებ აღნიშნავს:

ფიშერ-კარპოვის 1972 წლის მატჩის შემდეგ ნათლად იგრძნობა მსოფლიო ჩემპიონატის მატჩების დაძაბული ატმოსფერო. ამ თვალსაზრისით არც კარპოვ-კორჩნოის მატჩი იყო გამონაკლისი. მოჭადრაკეთა უღირსი საქციელი ჭადრაკის ზეიმს დაძაბულ „ბრძოლის ველად" აქცევს ხოლმე.

ეს მდგომარეობა სრულიად განსხვავდება 1886 წელს ჩატარებული პირველი მსოფლიო ჩემპიონატის სიტუაციისგან (მაშინ ერთმანეთს შეხვდნენ სტეინიცი და ცუკერტორტი, ჩემპიონი სტეინიცი გახდა). ცუკერტორტმა ჩემპიონატის წესების შესახებ შემდეგი განცხადება გააკეთა: „რადგან ორი ჯენტლმენი თანახმაა შეხვდეს ერთმანეთს ჭადრაკის დაფასთან, ეჭვს გარეშე უნდა იყოს, რომ ისინი ჯენტლმენურად მოიქცევიან".

ამჟამად ფიდეს კომისიაზე წარდგენილია მსოფლიოს ჩემპიონატის ჩატარების ახალი წესების პროექტი. ძირითადი ცვლილებები ეხება მატჩის ჟიურის შერჩევას, სადაც ოფიციალურ პირთა ნაცვლად გამოცდილი მოჭადრაკეები უნდა შედიოდნენ; უნდა შეიქმნას სპეციალური აპარატი, რომელიც კონტროლს გაუწევს მაყურებლებს და გულშემატკივართა დელეგაციებს; მატჩის ორგანიზატორები დაცულნი უნდა იყვნენ სპორტსმენთა კაპრიზებისაგან და პირიქით, არის წინადადება გაიზარდოს ფულადი პრიზი და ამასთან ერთად გადიდდეს ჯარიმების მოცულობა სხვადასხვა სახის დარღვევებისათვის.

გარეკანის მეორე გვერდზე — **კოსტა ხეთაგუროვი**, მხატვარი ტიტე შეყილაძე, მესამეზე — ფოტო და ტექსტი ამირან არაბულისა.

კრიტიკისა და პუბლიცისტიკის განყოფილება მასალებს მიიღებს არა უმეტეს ერთი საავტორო თაბახისა.

ტელეფონები: მთავარი რედაქტორი — **99-85-81**, მთ. რედაქტორის მოადგილე — **72-26-32**, მდივანი — **72-44-78**, განყოფილებათა გამგეები — **72-26-35**, პროზის — **72-26-30**, ლიტერატურული თანამშრომლები — **72-47-62**, „ცისკრის" დამატება — **72-17-01**, **ხაკორექტორო — 72-43-75.**

გადაეცა ასაწყობად 16. 8. 79 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 9. 10. 79 წ., ქაღალდის ზომა 70×108. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 10. პირობით ფორმათა რაოდენობა 14. საღრ-საგ. თაბახი 15.85. შეკვ. № 2167. უე 00819. ტირაჟი 36.600.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის 14
Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

„ნუ შეგაშინებენთ, არ გავნებენთ მთიდან ყვირილი ხარისა“...

ხევსურეთში, სოფელ ძეძეურთაში შვილთან, საძილასთან ერთად ცხოვრობს ას წელს გადაცილებული სამუკა ჭინჭარაული. ამჟამად სოფელში მათს გარდა აღარავინაა დარჩენილი. სტატისტიკური მონაცემების თანახმად აქ 1926 წელს ცხრა კომლი სახლობდა... ობლად მოჩანს შორიდან ახოში ჩამდგარი სამსართულიანი მიწური სახლი. ბანზე და კალოზე ჩალა-თივაა დაზვინული. იქვე, მახლობლად ყვავილიანი სათიბი და ქერის ყანაა აღერებული. საცხოვრებელ ოთახში ხარატულიანი კიდობნები, პურის შესანახი გოდრები, მოჩუქურთმებული სკამები და სამფეხა ტაბლა დგას. ვიწრო სარკმლიდან შემოსული დღის სინათლე შუაგულ ქაზდარზე ეცემა. ყველაფერს სიძველის იერი გადაჰკრავს. ეს არის ტიპიური ხევსურული საცხოვრისი, თითქოს დღევანდელი მთის განკარგებულ ყოფას გამიჯნული და განგების ნებით ცოცხალ მუზეუმად შეერონახული...

სამუკა ჭინჭარაული მამაპაპეული სამკვიდრებლის ერთგული მეპატრონეა. ოცდაათი წელიწადი იქნება, რაც სახლის გარეშემოს არ გასცილებია. არც ოდესმე უფიქრია მთიდან წასვლაზე. „ბალახ სადაც ამადის, იქავ ბერდების და კვდების. დედა და შვილებ აქ მიმარხავ, მიაც იმათან უნდა დავწვ“, — ასე სჯის ხევსურეთის უხუცესი კაცი... ცხოვრებამ ბევრი სიმწარე აგემა სამუკას. შვილებს — ორ დროულ ვაუკაცს საკუთარი ხელით მიაყარა სამარის მიწა. დარჩა ტანმტკივან მუხასავით ეული. მეზობლები კარგა ხანია შემოეფანტნენ. დაბლობი არჩიეს საცხოვრებლად აქაურობას. „სუყველა პირთავქვისკე გაიქც, კაცო, რა ღგონავ იქ, ის მაკვირებს“, — ამბობს მოხუცი... სტუმარი ათასში ერთხელ თუ ეწვევა, ისიც ზაფხულში. ზამთრობით ტყიან ფერდობზე ბილიკი თოვლით იფარება და ჭირს ძეძეურთაში ასვლა... ჯანმოტეხილ სამუკა ჭინჭარაულს დღესაც ჯიუტად სჯერა, რომ ბარში ჩასახლებული ხალხი ადრე თუ გვიან მშობლიურ ადგილ-მამულს დაუბრუნდება. ამ დღის დადგომის იმედი ღადარივით ბუუტავს მის გულში... ახლა კი, ქვის ყორეს მიქადლებული, თაკარა მზეს მიფიცხებია და ჩინმოკლებული თვალებით (როგორც ღრუბლებში მთვარის შუქი, ისე მიჭრის თვალიო, — თქვა თვითონ) ჩაჰყურებს მობუბუნე არაგვის ხეობას...

ფასი 60 კაპ. ინდექსი 76236

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-
ХУДОЖЕСТВЕННЫЙ И
ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ
ЖУРНАЛ

«ЦИСКАРИ»

**ИЗДАТЕЛЬСТВО
ЦК КП ГРУЗИИ**